

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის  
სამეცნიერო საზოგადოება

აკადემიკოსი  
ექვთიმე თაყაიშვილი  
ცხოვრება და მოღვაწეობა

სტატიების კრებული

90(041)  
90(47.922((092 თაყაიშვილი)  
0 902

კრებულში წარმოდგენილია გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის — ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიძღვნილი წერილები. ყველა მათ საფუძვლად დაედო მოხსენებები, რომლებიც წაკითხულ იქნა ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი იუბილეს დღეებში: 1963 წლის იანვარსა (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და უნივერსიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე) და აპრილში (ისტორიის არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების სესიაზე).

წერილებში მოცემულია ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საერთო მიმოხილვა. დახასიათებულია მისი წყაროთმცოდნეობითი და პუბლიკატორული მუშაობა, ისტორიული კონცეფცია; მისი დამსახურება ქართული ეპიგრაფიკის, ისტორიული გეოგრაფიის, ფოლკლორის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ხელოვნების ძეგლების, ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში.

კრებულის ბოლო ნაწილი შეიცავს თაყაიშვილის მიერ დაწერილ ანგარიშებს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობისა, ქართულად (ქვეყნდება პირველად) და რუსულად.

კრებულის მასალები მკითხველს მთლიან წარმოდგენას მისცემს ქართული ისტორიოგრაფიის იმ ეტაპის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ექვთიმე თაყაიშვილის სახელთან.

სარედაქციო კოლუმბია: ა. აფაქიძე, ნ. ბერძენიშვილი (მთავარი რედაქტორი), გ. ჩიტაია, ზ. ჩიქოვანი, მ. ცერცვაძე, შ. ხანთაძე (მღვიანი).



**ა. თაყაიშვილი**

## შენსავალი

„—წაგააკლ თუ არა შენს უნამუსობას?... წაეყვედრე მე.

—ჰმ!— ჩაიციანა იმან ისე გულდინჯად, თითქო ქვეშავებში გზვიდობით წევსო; — ამით გათავდა შენი შერმადინობა?

— როგორი ავთანდილიც შენ იყავ, მეც იმისთანა შერმადინობა გაგიწიე!<sup>1</sup>...

ჩვენ ამჟამად ვერ გამოუღლებით იმ საკითხის კვლევას, თუ როგორ ესმოდა „ჩატეხილი ხიდის“ დიდ მხატვარს ამ ხიდის ჩატეხის დრო და ვითარება; არც იმ მომენტის გამოდევნებას ვაპირებთ, თუ როგორ ესმოდა მას „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილ-შერმადინობა (ილია ჭავჭავაძეს და შოთა რუსთაველს ჩვენში ყურადღება არ აკლია და, იმედია, სპეციალისტები ამ საკითხებსაც გაარკვევენ). ამჟამად ჩვენთვის სრულიად საკმაოა იმის ჩვენება, თუ რამდენად ჩამორჩებოდა ქართული ისტორიოგრაფია მოწინავე ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას, მხატვრული ლიტერატურის სახით, განსაკუთრებით, რომ ასე ბრწყინვალედ წარმოსდგა მე-19 საუკუნის სამოციან წლებში... აბა, სად „ქართლის ცხოვრების“ საზოგადოებრივი იდეები „ისტორიანი და აზმანიდან“ და სად საზოგადოებრივი იდეები „სურამის ციხისა“, „კაკო უაჩალისა“ და „გლახის ნაამბობისა“?<sup>2</sup>...

მხატვრულმა ლიტერატურამ განუზომლად გაუსწრო ქართულ ისტორიოგრაფიას. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ავთანდილ-შერმადინის ადგილზე მან დათიკო და გაბრო აღმოაჩინა. ასეთი იყო რეალური ვითარება, ხოლო ქართულ ისტორიოგრაფიას კი ვერც „ხიდის ჩატეხვა“ აღენიშნა და ვერც ის დრო, როცა ეს ხიდი ჩატყდა. აქ რომ საამისო დრო და ადგილი იყოს, შეიძლებოდა ამ თემაზე საინტერესო საუბარი გამართულიყო. ცნობილია, მაგალითად, იმ დროის (მე-19 საუკუნის 60-იანი წლების) და შემდგომი ხანისაც არა ერთი მოღვაწე, პროგრესისტთა წრიდანაც კი, რომელთა ისტორიული კონცეფცია ჩვენი საზოგადოებრივი განვითარებას საკითხში „ქართლის ცხოვრებისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ იდეების ფარგლებში რჩებოდა...

და ახალი დროის მესიტყვე იყო დიდი ილია, როცა ის ჩვენი ისტორიოგრაფიის ამ ჩამორჩენას აღნიშნავდა და ახალი „ქართლის ცხოვრების“ დაწერას მოითხოვდა. — ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუშუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენი ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის კანტი-კუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზე, რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავის თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში, ერთი სიტყვით, ჩვენი შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა-აუხუნელია და

<sup>1</sup> „გლახის ნაამბობი“ ილია ჭავჭავაძისა, გამოცემული ა. საყაროვისაგან. ტფილისი, 1879, 23. 128.

უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა და ხალხი კი როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქო ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა-საქმეთა“<sup>2</sup>.

„ქართლის ცხოვრების“ ახლებურად დაწერის საჭიროებას სცნობდნენ არა მარტო ქართული მხატვრული ლიტერატურის მოღვაწენი. ილია ჭავჭავაძის ამ აზრს ემხრობოდა 60-იანელთა მთელი პროგრესული ნაწილი. კერძოდ, ამავე აზრისა იყო ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, რომლის ნაყოფიერ მოღვაწეობას და მიღწევებს ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდ ფასსა სდებდა ილია ჭავჭავაძე.

დ. ბაქრაძე პირველი მეცნიერი ისტორიკოსი იყო, „ქართლის ცხოვრების“ პრინციპული კრიტიკით რომ გამოვიდა. ის აღიარებდა „ქართლის ცხოვრების“ ახლებურად გამართვის საჭიროებას, წარმატებით განაგრძობდა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის დარგში ცნობილი ორიენტალისტის მარი ბროსეს მიერ წამოწყებულ მუშაობას და ახლად მოპოვებული მასალის მოწინავე ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის კონცეფციასთან შეწყობას დიდი მონდობებით ცდილობდა<sup>3</sup>.

მოკლედ რომ ვთქვათ, „ქართლის ცხოვრებას“ კრიზისი უდგა და მისი ამ ვითარებიდან გამოყვანა ახალი საქართველოს მოღვაწეთა უპირველესი ვალი იყო.

ყოველ ეპოქას თავისი ისტორიოგრაფია შეეფერება. იყო „ძმობის ხანა“. უეჭველია, მას თავისი „ისტორიოგრაფია“ ჰქონდა, თავისი „ქართლის ცხოვრება“. გვიან „ძმობა“ მოიშალა, საზოგადოება კლასებად დაიყო და მის „ქართლის ცხოვრებაშიაც“ შესაფერისმა მოტივებმა იჩინა თავი, — კლასობრივი ურთიერთობის, კლასობრივი ბრძოლის მოტივებმა. ეკონომიურად და სოციალურად გაბატონებული კლასი დაეუფლა „ქართლის ცხოვრებას“ და ის თანდათან საკუთარი იდეოლოგიის იარაღად აქცია. ეს იყო პირველი კრიზისი „ქართლის ცხოვრებისა“.

თანდათან გაიმართა ფეოდალური კლასის „ქართლის ცხოვრება“.

ფეოდალური საქართველოს „ქართლის ცხოვრება“ ვითარდებოდა თვით ფეოდალური საზოგადოების ზრდა-განვითარებისა თუ დაცემის შესაფერისად. ამ მხრით ადვილად გამოირჩევა აღმავალი ფეოდალური ხანის „ქართლის ცხოვრება“ „ჩიხისა“ და დაცემის ხანის „ქართლის ცხოვრებისაგან“ (ეს ფაქტი პირველად შენიშნა და მეცნიერული დასაბუთებით ცხადყო აკად. ივ. ჯავახიშვილმა. იხ. მისი „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“).

და ბოლოს, როცა ფეოდალურ საზოგადოებას არსებობის კრიტიკული ხანა დაუდგა, როცა ის, მეტისმეტად ხანმოთეთული, დასალუპავად გაიწირა, კრი-

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ, ნაწერების სრულ კრებული, ტ. V, ტფილისი, 1927, გვ. 201.

<sup>3</sup> მამია დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1952, 138-139.

ო. კაჭარავა, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბილისი, 1962, გვ. 29.

აბელ კიციძე, XIX ს. ქართული ისტორიული აზროვნება, მასალები საქართველო და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, თბილისი, 1951 წ.

ა. ბარამიძე, „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის ისტორიიდან მასალები..., ნაკვ. 34 თბილისი, 1962.

ზისი დაუდგა მის „ქართლის ცხოვრებასაც“. ახალმა საქართველომ აშკარად შეუტია ფეოდალური საზოგადოების ამ იდეოლოგიურ საყრდენს და ახალი დროის შესაფერისი „ქართლის ცხოვრების“ გამართვა დღის წესრიგში დასვა.

ქართული ისტორიოგრაფიის მეცნიერული შეუსწავლელობის მოწმობაა, რომ ჩვენ დღემდე არა გვაქვს „ქართლის ცხოვრების“ ჩასახვისა და მისი განვითარების შესახებ ჩვენი დროის შესაფერისი ერთიანი მონოგრაფია. აკად. ივ. ჭავჭავაძის დიდი წამოწყება დღემდე შეუთავებელია.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ისტორიკოსთა მიერ უკანასკნელ დროს ამ მიმართულებით მუშაობის გაცხოველება. კერძოდ, ამ საპატიო ამოცანის გადაწყვეტა უმთავრესი მიზანია მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში ახლახან შექმნილი სამეცნიერო უჯრდის,—ისტორიოგრაფიის განყოფილებისა.

ისტორიოგრაფია („ქართლის ცხოვრება“) საზოგადოებრივი აზროვნების დარგია და, როგორც ასეთს, კრიზისული ხანა, შეიძლება *a priori* ვამტკიცოთ, მას არა ერთგზის განუცდია. ის ხომ ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნაა და, ბუნებრივია, თითოეული სოციალური ფენა მას საკუთარ მოთხოვნილებას უყენებდა.

ჩვენ დღემდე არ შეგვიწუხებია თავი, რომ აღგვედგინა „ქართლის ცხოვრება“ „ძმობის ხანისა“ (გლგობა „ქართლის ცხოვრებაში“ კი პირველად დიდმა ილიამ მოიკითხა, ხოლო პროლეტარიატი—ჩვენმა დრომ).

ჩვენ მოგვეპოვება პოზიტიური ცნობები, რომ თვით ფეოდალთა კლასის შიგნითაც ბრძოლა მიმდინარეობდა „ქართლის ცხოვრების“ შინაარსისათვის...

საბოლოოდ, როგორც ცნობილია, საქართველოს ფეოდალურ საზოგადოების იდეურად გამართული „ქართლის ცხოვრება“, მისი ეს „წმინდა და პატიოსანი“ წიგნი, ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვება-აღმავლობის ხანაში ჩამოყალიბდა.

სახარებისა და „ვეფხისტყაოსნის“ გვერდით „ქართლის ცხოვრება“ მოწოდებული იყო ფეოდალური საქართველოს იდეურ-მორალური დასაყრდენი ყოფილიყო და, შეიძლება ითქვას, ის წარმატებით ასრულებდა ამ თავის დანიშნულებას.

იდეურ-პოლიტიკურად ფეოდალური საქართველოს ცივილიზაცია სამ სვეტს ემყარებოდა. სახარება, „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართლის ცხოვრება“ იყო გამარჯვებული ფეოდალური ურთიერთობის სამი „წმინდა წიგნი“. სახარებას (ქრისტიანობას) იმდენი წილი ედო ქართული ფეოდალური კულტურის განმტკიცების საქმეში, რომ „ქართველი“ ქრისტიანობის (ქალკედონურის) სინონიმად იქცა. არა ნაკლები მნიშვნელობისა იყო ფეოდალური საქართველოს კულტურული სახის გამოკვეთის საქმეში „ვეფხისტყაოსანი“, ფეოდალური საქართველოს ეს ჰიმნი, ქართული ფეოდალური ზნეობის ეს კოდექსი<sup>4</sup>. „ქართლის ცხოვრება“ კი ფეოდალური საქართველოს მეცნიერულ-ისტორიულ დასადგენ-ვლებას ემსახურებოდა (ქართლის წარმოშობა. ზრდა-განვითარება, საქართველოს ეროვნული დადგინება. აყვავება...).

<sup>4</sup> რა თქმა უნდა, ეს შოთას უკუდავო ქმნილების მხოლოდ ერთი, ამ შემთხვევაში ჩვენთვის მეტიად ყურადსაღები ასპექტია, თორემ განა ეინმესლა შეიძლება აუკუვბდეს, რომ რუსთაველმა —გენიალურმა მოაზროვნემ და შემოქმედმა—დიდად გაუსწრო თავის დროსაც, და თავის წარმომქმნელ საზოგადოებასაც; რომ იგი ადრეული რენესანსის მოციქულად მოგვევლინა და რომ უკვე მაშინ ჩაეყარა საძირკველი „ვეფხისტყაოსნის“ შევიდრად ჩადგომას მსოფლიო—და არა მარტოდენ ქართული კულტურის, აზროვნებისა და პოეზიის უმწვერვალეს მინაღწევართა არც თუ მრავალრიცხოვან მწყკრევიში?

დამახასიათებელია, რომ ქართული ფეოდალური კულტურის დიდი მოამაგე ვახტანგ VI თანაბრად ზრუნავდა სახარებაზე, „ვეფხისტყაოსანზე“ და „ქართლის ცხოვრებაზე“. საღმრთო წერილის ბეჭდვა, „ქართლის ცხოვრების“ რედაქციის გაგრძელება და „ვეფხისტყაოსნის“ „საღმრთოდ“ თარგმნა ქართული ეროვნული ფეოდალური კულტურის ამ სამი სვეტის შემავრება-შემტკიცების ცდა იყო.

ასე ესმოდათ ქართული ფეოდალური საზოგადოების კულტურის მესვეურთ საქართველოს ეროვნული კულტურა. ეს იყო ფეოდალური ხანის „ქართველობა“.

„ვეფხისტყაოსანი“ რომ ქართული ეროვნული ძეგლი იყო, ეს ღრმად სწამდა ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას. ვახტანგის მიერ მისი საღმრთოდ თარგმნა მხოლოდ ამ ნიადაგზეა გასაგები. „ვეფხისტყაოსანი“ იქამდე ძლიერი მოქმედი ფაქტორი იყო ქართული ფეოდალური კულტურისა, რომ მისი ასეთი კომენტირება სავალდებულო იყო ქართული ფეოდალური კულტურის მოამაგისათვის. და არც მისი ეროვნულ-ქართულობა შეიძლებოდა ეჭვს ქვეშ დამდგარიყო. ასეთ ეჭვს არც აყენებდნენ. ხოლო სდევნიდნენ „ვეფხისტყაოსანს“ იმიტომ, რომ ის „სახარების“ ყველაზე ძლიერ მეტოქედ ეჩვენებოდათ გვიანფეოდალური საქართველოს ამ, ჩიხისა და რეაქციის ბატონობის ხანაში.

ფეოდალური საქართველოს განვითარების გარკვეულ საფეხურზე წარმოქმნილი და „ვეფხისტყაოსანში“ რეალისტურად არეკლილი კონფლიქტი ფეოდალურ ზნეობასა (რენესანსი) და ქრისტიანულ კლერიკალურ ზნეობას შორის ვახტანგს ხელოვნურად სურდა შეენელებინა და ეს ორი, ურთიერთისაგან გაკიდვადანებული სვეტი, — „სახარება“ და „ვეფხისტყაოსანი“ — „ქართველობის“ სამსახურში თანხმობით ჩაეყენებინა.

ქართული ფეოდალური საზოგადოება ყოვლად დაჭერებული იყო „ქართლის ცხოვრების“ ცნობათა სანდოობაში და ამდენადვე „ქართლის ცხოვრება“ ამ საზოგადოებისათვის მეცნიერული ისტორია იყო.

გამარჯვებული ფეოდალური ურთიერთობის პირობებში სხვაგვარი „ქართლის ცხოვრება“ არც შეიძლებოდა შექმნილიყო, თუ არ ფეოდალების (მეფის, ეკლესიის, დიდგვარიანების) შემოქმედების მოთხრობა. ქვეყანა (საზოგადოება) გარკვეული სახით (ფეოდალურად) ორგანიზებული იყო და ამ ორგანიზაციის ხელშეუხებლობის სადარაჯოზე „მიწყვი“ ფიზიკობდნენ სწორედ ეს ფეოდალები: „მუშა მიწყვი მუშაკობდა, მეომარი გულოვნობდა“. ამ წესს იცავდა ფეოდალთა კლასი და „თხა და მგელი ერთად ძოვდეს“. ამ ცხოვრების ზედაპირზე, მის სარბიელზე, ბუნებრივია, საზოგადოებრივი ცხოვრების წარმმართველად ფეოდალი ჩანდა, ის იყო ამ საზოგადოების მომწესრიგებელი. ის ებრძოდა არსებული წესების დამრღვევთ, ებრძოდა გარეშე თუ შინაურ მტერს, ე. ი. ყველას, ვინც მას ამ ბატონობაში შემოეცილებოდა. ასეთი იყო საზოგადოებრივი ცხოვრება და, ბუნებრივია, ასეთივე იდეებისა უნდა ყოფილიყო მისი ოფიციალური ისტორია („ქართლის ცხოვრება“).

ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხომ უბირი ქრონიკა არაა, რომ იქ თავმოყრილი იყოს ყოველგვარი ცნობა, «доиру и злу внимая равнодушно». ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ისტორიაა და საყვედური მისი მისამართით, თუ რატომ არის ის ფეოდალური საქართველოს გამართული ისტორია, — გაუგებრობაა. ილია ჭავჭავაძეს, დ. ბაქრაძეს და სხვა სამოციანელებს ცალმხრივობა

სჭირდათ „ქართლის ცხოვრების“ შეფასებისას. მათ ავიწყდებოდათ ის გარემოება, რომ „ქართლის ცხოვრება“ მე-19 საუკუნის 60-იანი წლების იდეების საქადაგოდ კი არ იყო შექმნილი, არამედ—თავისი დროისათვის, ე. ი. ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებისათვის, ფეოდალთა კლასობრივი ბატონობისათვის, რასაც ის დიდი წარმატებით ემსახურებოდა.

აღნიშნული გაუგებრობა დღემდე არ გადალუწა. დღესაც ხშირად გაიგონებთ „ქართლის ცხოვრების“ მისამართით მრავალგვარ საყვედურს. იშვიათია ისეთი მეცნიერი, პოლიტიკური მოღვაწე თუ მწერალი, რომელიც ჩვენს ქართლის ცხოვრებას მის საკადრის სამართლიან ფასსა სდებდეს.

(ივ. ჭავჭავიძემაც კი, ქართული ისტორიოგრაფიის მეცნიერული შესწავლის ამ ფუძემდებელმა, ვერ სცნო საჭიროდ ამ მხრით სპეციალურად გამოსარჩლებოდა „ქართლის ცხოვრებას“ და ეს „პატიოსანი წიგნი“ უსამართლო შემფასებელთა თავდასხმისაგან დაეცვა).

ზოგი რასა სთხოვს მას, ზოგი რას და კი არავეინ ფიქრობს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო „ქართლის ცხოვრება“, რომ მას ფეოდალური საქართველოს იდეური მომსახურება შესძლებოდა.

განა იმ დროს უგანათლებულესი საზოგადო მოღვაწე, ვთქვათ, რომელიმე ეფრემ მცირე, სარგის თმოგველი ან, თუ გნებავთ, შოთა რუსთაველი პრინციპულად სხვარიც „ქართლის ცხოვრებას“ დაწერდა? (აკი შესაძლებლად სთვლიან—და ამ გავებით სრულიად სამართლიანად,—რომ შოთა რუსთაველი თამარის ეპოქის ერთ-ერთი ისტორიკოსია...).

აქედან თითქო ვარკვეულია, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი მეცნიერული დამოკიდებულება „ქართლის ცხოვრებისადმი“. ჩვენ უნდა ღრმად შევისწავლოთ იგი, შესაფერისი ფასი დავდოთ ფეოდალური საქართველოს ამ იდეოლოგიურ შენამოქმედს, უნდა გადავლახოთ ის და გავმართოთ ჩვენი დროის შესაფერისი „ქართლის ცხოვრება“.



მე-19 საუკუნის 60-იანი წლების პოლიტიკურმა მერცხლებმა ქართულ საზოგადოებას გაზაფხული ახარეს. ქვეყანა ახალი ცხოვრების სარბიელზე გამოდიოდა. ახალსა და ძველს შორის გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა და, ბუნებრივია, „ქართლის ცხოვრების“ აკითხვაც დაისვა. აზლისათვის მებრძოლთ ახალი შინაარსის ისტორია სჭირდათ,—მშრომელთა „ქართლის ცხოვრება“—და ახალი ცხოვრების მედროშემ, დიდმა ილიამ, დაიწუნა ახალი ცხოვრებისათვის შეუფერებელი იდეოლოგია—ფეოდალური „ქართლის ცხოვრება“ და დიდის გულისყურით უსმენდა ახალი დროის ქართველ ისტორიკოსს, თავის სახელოვან თანამოსანგრეს დიმიტრი ბაქრაძეს.

და ყველაფერი ეს ადვილად გასაგებია: ისტორია („ქართლის ცხოვრება“) სამოციანელებისათვის ტკბილ მოგონებათა თავშესაქცევი წიგნი კი არა ყოფილა, არამედ ის უნდა ყოფილიყო მძიმე იდეოლოგიური საჭურველი ქართველი ერის სოციალურ და ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

თავის ისტორიოგრაფიულ შეხედულებებს ქართველი სამოციანელები, როგორც ცნობილია, თანამედროვე რუსულსა და დასავლეთ-ევროპულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას დაესესხნენ. ეს დაესხნება საეგებით დროული იყო და შესაფერისიც, ამდენადვე ცხოველმყოფელი და ნაყოფიერი.



დღის წესრიგში დადგა „ქართლის ცხოვრების“ ახლებურად დაწერის საკითხი. ცხოველი ენერგიით შეუდგნენ სამოციანელები დიმიტრი ბაქრაძის მოთავეობით ამ დიდ საქმეს, მაგრამ თანდათან ცხადი გახდა, რომ მისი შესრულება დიდ წინასწარ მომზადებას გულისხმობდა. საქირო თეორიული აღჭურვილობის გვერდით აუცილებელი იყო დიდი წყაროთმცოდნეობითი სამუშაოს შესრულება (პირველ თავში მასალის შეგროვება).

თვალსაჩინო წარმატების მიუხედავად, დიმიტრი ბაქრაძეს არ დასცალდა ჩანაფიქრის განხორციელება და ახალი ქართლის ცხოვრების გამართვა მან შემდგომ თაობას უანდერძა.

1890 წელს, როცა დ. ბაქრაძე გარდაიცვალა, ექვთიმე თაყაიშვილი უკვე გამოხული იყო სამეცნიერო ასპარეზზე.

სამოციანელთა მოღვაწეობას იმ დროისათვის ხელშესახები ნაყოფი ჰქონდა გამოღებული. საქართველოში და მის გარეთაც მოქმედებდნენ ორგანიზაციები. რომელთა დანიშნულება ქართული ეროვნული კულტურის სამსახური იყო. საქართველოში შეკრულიყო კულტურისა და მეცნიერების სარბიელზე მოქმედი ჯგუფები. იმავე დროს იშვებოდა ქართველთმცოდნეობის პეტერბურგის სკოლა. ალ. ცაგარელი, უფრო გვიან ნიკო მარი და შემდეგ ივ. ჭავჭავაძე დიდის წარმატებით მოღვაწეობდნენ „ქართლის ცხოვრების“ შევსება-განახლების სარბიელზე. სწრაფად წავიდა წინ ქართველოლოგიის, კერძოდ, საქართველოს ისტორიის წყაროების შემოკრება (იერუსალიმი, სინა, ათონი, პეტერბურგი, ძოსკოვი).

ასეთივე ინტენსიური მუშაობა გაჩაღდა საქართველოში (მ. ჭანაშვილი, თ. ჟორდანია, ე. თაყაიშვილი, ივ. როსტომაშვილი, დ. ფურცელაძე, გ. წერეთელი და სხვ.).

ხელშესახები გახდა დიდი შედეგები, უხვად შეგროვდა მასალა საქართველოს ისტორიის ახლებურად გამართვისათვის.

ე. თაყაიშვილის ღვაწლი ამ საქმეში განსაკუთრებულია: პეტერბურგის ისტორიულ-ფილოლოგიური სკოლის აღზრდილი, ახალგაზრდა თაყაიშვილი პატრიოტული გატაცებით შეუდგა ახალი ქართლის ცხოვრებისათვის მასალების შემოკრებას და ოცდაათი წლის დაუღალავი შრომით საქართველოს ისტორიის მეცნიერულად შემუშავების საქმეს ამ მიმართულებით დასდო ისეთი ამაგი, რომ მისი ბადალი არც მის დრომდე და არც მის შემდეგ ამ დარგის არც ერთ მოღვაწეს არ გაუწევია.

ე. თაყაიშვილის ამ კეთილშობილ თავდადებას სცნობდა მის დროს ქართველი პროგრესული საზოგადოებრიობა. ამის მოწმობა არის ის დიდი მორალური ავტორიტეტი, რომლითაც იყო შემოსილი ეს უანგარო მოღვაწე. მოწინავე ქართველი ინტელიგენცია გვერდში უდგა დიდ პატრიოტს და სწორედ ამით გახდა შესაძლებელი მის მიერ ასეთი კოლოსალური საქმის შესრულება...

ამ დიდი საქმის საზოგადოებრივად თავის მობმას, მის კიდევ უფრო გაფართოება-გაღრმავებას ჰგულისხმობდა 1907 წელს ე. თაყაიშვილის თაოსნობით დაარსებული საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება...

1921 წლიდან ე. თაყაიშვილი რომ საქართველოში დარჩენილიყო, ის, უეჭველია, ჩვენი ისტორიისათვის იმ ახალი მასალის მოპოვების საქმეს მოახმარდა ძალ-ღონეს. რომელიც უკვე მის მიერ და მისივე ინიციატივით ისახებოდა. გულისხმობ წიაღისეულის არქეოლოგიას, ე. ი. ისტორიული მეცნიერების იმ

დარგს, რომელიც მოწოდებულია კრიტიკულად შეაფასოს წერილობითი ხასიათის ისტორიული მოწმობანი და დამწერლობის წინა ხანის დაბინდულ საუკუნეებშიც მეცნიერული შუქი შეიტანოს.

ბევრი რამ გაკეთდა, დიდი საქმე შემზადდა, თუმცა ბურჟუაზიულად საქართველოს ისტორია ვერ გაიმართა (ესეც ნიშანდობლივია!...).

ასე რომ, საქართველოს ბურჟუაზიულ ხანას ფეოდალური „ქართლის ცხოვრება“ არსებითად გადაულახავი დარჩა...

სხვა ვითარებაა დღეს. მაღალგანვითარებულია საქართველოს ისტორიის წყარომცოდნეობა, შემოკრებილია წერილობითი წყაროების დიდი ნაწილი, მოწიფულია წიადისეული არქეოლოგია, ლინგვისტიკა-ფილოლოგია, ისტორიული ეთნოგრაფია, ისტორიული ზეპირსიტყვიერება-ფოლკლორის შესწავლა, ისტორიული გეოგრაფია, ნუმისმატიკა, დიპლომატიკა, პალეოგრაფია და სხვა დამხმარე თუ მონათესავე სამეცნიერო დისციპლინები.

მომზადებულია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით შეიარაღებულ ისტორიკოსთა ლეგიონი. ერთი სიტყვით, ყველაფერი მზადაა იმისათვის, რომ ჩვენი სოციალისტური ხანის შესაფერისი დიდი „ქართლის ცხოვრება“ დაიწეროს. და ეს ასეც იქნება.

დღეს კი ჩვენი წმინდა ვალია უღრმესი პატივისცემა და მადლიერება იმ პატრიოტების მიმართ, რომელთაც ჩვენი ძნელბედობის ხანაში, თავდადებულნი, უანგარო შრომით განადგურებას გადაარჩინეს, შეაგროვეს და შემოგვინახეს ფასდაუდებელი წყაროები ასლებური „ქართლის ცხოვრების“ შესაქმნელად.

ამ პატრიოტ მეწინავეთა რიგს ამშვენებს ჩვენი უანგარო მოღვაწე, საქართველოს ისტორიული მეცნიერების რაინდი ექვთიმე თაყაიშვილი.

### ეკთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და ღვაწლი<sup>1</sup>

ექვთიმე თაყაიშვილი დაიბადა ამ სრული ერთი საუკუნის წინ, 1863 წლის 5 იანვარს (ძველი სტილით), გურიის სოფელ ლინაურში ანუ „ლენოურში“, რომელიც მაშინ ოზურგეთის ძაზრას ეკუთვნოდა და ოთხიოდე კილომეტრით შორავს ამ ქალაქს.

მამამისი იყო აზნაური სიმონ ნიკოლოზის-ძე<sup>2</sup> თაყაიშვილი—კაცი პატიოსანი, მხნე და გონიერი, „ჭკუის საკითხავი“; დედა—მაკვანელი თავადის გიტული ნაკაშიძის ასული; გულბილი, ხალხის მოსიყვარულე და მოსარჩლე, ქველმოქმედი მანდილოსანი. მათ შესძენიათ ოთხი შვილი: ლისა (ადრე გათხოვილი ძიმიტელ აზნაურ სიმონ გოთუაზე), ნიკო, ვარლამი და ექვთიმე—დედის საყვარელი ნაბოლარა, რომლის მკაფიოდ გამოვლენილი ნიჭიერება მას თურმე დიდ სიხარულს ჰგვრიდა, თუმცა ეს თვისება, მშობლებსავეთ, არც ერთ შვილს არა ჰქვებია.

მეტისმეტად მკვირცხლსა და დაუდგეარ ბიჭუნას სამი წლისას მარცხი შემთხვევია: ხიდან გადმოვარდნილა და მარჯვენა ფეხი მოუტეხია; შემდეგ მისივე მოუხსენარობისა და უვარგისი მკურნალობისა გამო ძელის „მჭამელი“ გასჩენია და ამის შედეგად კი მკელობლობა სამუდამო ნაკლად გამოაპყლია.

სიმონ თაყაიშვილი რუსის ჯარში მსახურებდა, თურქეთის საზღვრის მცველ ერთ-ერთ რაზმს მეთაურობდა, მდ. ჩოლოქზე, და სათანადო „კორდონის უფროსად“ იწოდებოდა. იგი ექვთიმეს დაბადების შემდეგ მალე გარდაიცვალა; აღარც მის მეუღლეს დასცალდა დღეგრძელობა და ექვთიმე ხუთიოდე წლისა სრულიად დაობლდა. მას შემდეგ ბავშვების აღზრდაზე ზრუნავდნენ ბებია (მხნე ბერიქალი, საჯავახოელი შარაშიძის ასული), დაქვრივებული მამიდა („მკაც მოლოზანი“), და და სიძე, რომელიც ობოლი ცოლიძმების მეურვედ დანიშნეს. უჭირსმა

<sup>1</sup> წინამდებარე ბიოგრაფიული ნარკვევის შესადაგნად ავტორს გამოყენებული აქვს შემდეგი წყაროები: განსვენებული ე. თაყაიშვილის მრავალრიცხოვანი ავტობიოგრაფიული ჩანაწერი თუ მეტ-ნაკლებ ვრცელი მოგონება. (მათ შორის ორი გამოქვეყნებული—„ლიტერატურის მატრიანეში“, 1952, № 6 და „მნათობში“, 1958, № № 5, 7, 11, 12, 1959 № № 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9); მისივე საბუთები, მიმოწერა, გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი ნაშრომები, ლექციათა კონსპექტები; მის ნაშრომთა შესახებ რეცენზიები და გამოძახილები პრესაში; სხვათა მოგონებანი და ა. შ. ამ მასალების დიდი უმეტესობა დაეუღლია ე. თაყაიშვილის პირად არქივში, რომელიც იმყოფება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში. ავტორი მადლობას უხდის ხსენებულ ინსტიტუტის დირექტორს პროფ. ილ. აბულაძესა და თანაშრომლებს ე. კელენჯერიძესა და ე. ბარნაველს არქივზე მუშაობაში ხელის შეწყობისათვის. იგი მადლობელია აგრეთვე ე. თაყაიშვილის ძმისწულის ნ. თაყაიშვილი-დემეტრიაძისა და შველბილი-ლ. თაყაიშვილი-პოლტარაკისა, ოჯახურ მოგონებათა სიტყვიერად გაზიარებისათვის.

ბევრი რამ აქვს ავტორს ამოკრებილი აგრეთვე თავისი ჩანაწერებიდან, რომლებიც მას დაუკრეოდა ე. თაყაიშვილთან მუშაობის დროს, 1948—1951 წლებში.

<sup>2</sup> ე. თაყაიშვილი ზოგიერთ ავტობიოგრაფიულ ცნობაში წერს, „სიმონ ბეჟანის ძეო“.

ძმამ ნიკომ სწავლა არ ინდომა, ვარლამი სამხედრო სასწავლებელში გაამწესეს, ხოლო ექვთიმე — სამოქალაქოში.

1865 წელს, გურიაში ბატონ-ყმობა რომ გაუქმდა, ძმების წილად განთავისუფლებულ ყმათა სასყიდელი ათასიოდე მინეთი მოვიდა (და მეურვე სიძეს ჩაბარდა), ხოლო 1883 წელს რუსეთში გამგზავრებულ ექვთიმეს ერთი დროებით ეკლდებული გლეხისაგან ასი მინეთი კიდევ ერგო.

როგორც ვხედავთ, ყმაწვილ აზნაურის შვილს ჯერ კიდევ ფეოდალური, წარმავალი გურიის ნიადაგზე სდგომა ფეხი. შემდგომ მისი ცხოვრება და მოღვაწეობა უმთავრესად კოლონიურ-ბურჟუაზიულ საქართველოში მიმდინარეობდა, ხოლო სიცოცხლის დასალიერს—უკვე საბჭოთა რესპუბლიკაში. წინასწარვე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ იგი, ბევრი თავისი მახლობელისაგან განსხვავებით, ისე აღიზარდა და დავაჟყავდა, რომ იქცა ჩვენი არისტოკრატიული წარმომობის ახალგაზრდობის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად; ჩადგა ამ წოდების მოწინავე, პროგრესულ და დემოკრატიულად მოაზროვნე, გამრჩე მამულიშვილთა რაზმში. მის მიმართაც ზედამოჭრილია ის სიტყვები, როქლებითაც ამ ოციოდე წლის წინ დაახასიათა პროფ ნ. ბერძენიშვილმა მაშინ ახლად გარდაცვლილი ივანე ჯავახიშვილი, „ძირძველი თავადის სახლის შვილი“ და დაუპირისპირა იგი თავად-აზნაურობის მრავალ გადაგვარებულ წარმომადგენელს: იგი „ჩვენი ინტელიგენციის იმ წრეს ეკუთვნის რომელიც ქართველი ხალხის სულ მაჯისცემას ცხოვლად გრძნობდა და... ერის ბრწყინვალე მომავლის ურყევი რწმენით შეუდგა... ხალხის სამსახურსაო“<sup>3</sup>.

ე. თაყაიშვილის თანამესოფლის, პროფ. ივ. სურგულაძის მიერ მოხუც მეზობელთაგან მოკრებილი ცნობების თანახმად, ექვთიმეს ბავშვობას ზოგჯერ სწამლავდა ოსმალეთის ტრადიციული მტარვალობის თითო-ორთა გადმონაშთი გამოვლინება. რაც მუდამ მწვავედ იგრძნობოდა ხოლმე გურიის საზღვრისპირა სოფლებში, ხოლო ლიხაური იმხანად ერთი მათგანი იყო. ამასთანავე, მომავალი ისტორიკოსის სინორჩე გარემოსილი ყოფილა ძველი ციხე-საყდრის, მრავალი ნამოსახლარი ნაშთის, მოხუცთა მოგონება-გადმოცემების, ძველებურ-ქართული ზნე-ჩვეულებისა და ეთნოგრაფიული ყოფის ატმოსფეროთი. ლიხაურის შუა უბანს საუკუნეობით ამშვენებდა ვეებერთელა მუხა, რომელიც ახლაცა დგას, სიბერისაგან ტოტებშემომხმარი, და გურიის მძიმე წარსულის ამ უტყვი მოწმის ქვეშ ხშირად უთამაშნია ყმაწვილ ექვთიმეს, ტოლ-ამხანაგებთან ერთად. შთამომავლობით აზნაური, მაგრამ პატარაობიდანვე გურიის გამრჩე გლეხკაცთა შორის აღზრდილი და თავადაც დაუღალავ მშრომელად ჩამოყალიბებული მეცნიერი ყოველთვის დიდი სიყვარულით იხსენებდა და თავად-აზნაურობის უარყოფითს წარმომადგენლებს უპირისპირებდა ამ გლეხებს, თავის ლიხაურულ მეზობლებს: თოიძეებს, ლომჯარიებს, სალუქვაძეებს და სხვ. იგი დიდი სიმპათიით ეკიდებოდა პოლიტიკურ ფირალებს და საერთოდ გლეხობის თავდაუზოგავ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ; გულისტყვილით ვანიცდიდა ცარიზმის სისხლიან რეპრესიებს გურიის მიმართ და ცდილობდა, შეძლები-სამებრ მიეღო მონაწილეობა მათ აღკვეთაში.

<sup>3</sup> იხ. „ენიქის მოამბე“, XIII, 1943, გვ. 263.

სიმონ თაყაიშვილის ოჯახი უშუალო მონაწილე შექნილა გურიაში 1841 წელს დატრიალებული ამბებისა, ოღონდ მისი წევრები მოწინააღმდეგე ბანაკებში აღმოჩენილან სიმონი და მისი ბიძაშვილი ქაიხოსრო, რუსის ჯართან ერთად მდგარან ოზურგეთის, გურიელთა ციხეში სიმონს თავიდანვე უგუფურებად მიუჩნევია „ჯანყი“ და კიდევაც ცდილა, დაეშლევინებინა იგი წამომწყებთათვის), ხოლო სიმონის ძმა, 16 წლის ერდიშელი—ჯანყის ერთ-ერთი მოთავეის დავით გუგუზნავას გავლენა-აყოლით, გოგორიშვილის რაზმში, რომელსაც ციხის გარემომცველთა შუაგულში უბრძოლია. დაჭრილი ყმაწვილი თვით გოგორიშვილს გაურიდებია ბრძოლის ველისათვის. შემდგომ ექვთიმეა გაუგონია საყვარელი ბიძისაგან, თუ როგორ შესწრებია იგი, შემთხვევით, აჯანყების გმიჯის გოგორიშვილის დახვრეტას და როგორ უნუგეშებია ყმაწვილი თვით საიკვდილოდ განწირულ ვაჟკაცს: „რა გატირებს, ბიჭო, არავის არ შერჩება ჩვენი სისხლი, დრო მოვა და გადაუხდინანო!“... აქვე დავეძნთ, რომ ყოველივე ეს, ბევრ სხვა ამბავთან ერთად, ექვთიმეს წერილობით უცნობებია ეგნატე ნინოშვილისათვის, მისი თხოვნით, 1892 წელს, როდესაც მწერალი აპირებდა ჯერ კიდეც დაუბეჭდავი ისტორიული რომანის „სამწუხარო შედეგის“ შევსება-დამუშავებას<sup>4</sup>.

ექვთიმეს ბავშვობიდანვე ახლო ურთიერთობა ჰქონია გურიელთა ოჯახთან და მოგონებებში ძალიან მკაფიოდ გვიხასიათებს თავისი თანამოსწავლის ვანოს მამას დათასა და ბიძას გრიგოლს: პირველს, როგორც უსწავლელს, ქალებისა და ლხინის ზედმეტად მოყვარულს, უზნეთსა და მოშულარ ფეოდალს, მეორეს—პირიქით, როგორც მეტისმეტად ბერული მიდრეკილების, სპეტაკ ადამიანსა და საზოგადო მოღვაწეს, ნაკითხსა და სამშობლოს ისტორიის მოყვარულს, წერაკითხვის საზოგადოების ერთ-ერთ დამაარსებელს. გრიგოლი ოფიცერი ყოფილა და ვენერლად გადამდგარა სამსახურიდან. ერთხანს ისიც მეთაურობდა თურმე ჩოლოქის მესაზღვრე რაზმს. მას დიდი დამსახურება მიუძღვის აჭარისა და შავშეთ-კლარჯეთის უსისხლოდ შემოერთების საქმეში, რისთვისაც თავისი სიძის შერიგ-ბეგ ხიმშიაშვილის გადმობირება მოუხერხებია. სათანადო მისიაში მას თან ხლებია ოფიცერი გიორგი ყაზბეგიც, რომელმაც ამ მოგზაურობის ცნობილი, კარგი მეცნიერული ანგარიში „Три месяца в Гурейском Грүзии“ დაგვიტოვა. თვალს-შვილო გრიგოლ გურიელს დიდად უზრუნავს ძმისწულის აღზრდაზე და ფაქულტეტიც ისეთი შეურჩევია მისთვის, რომ შემდგომ გურიის ისტორიის დაწერა შესძლებოდა.

ყმაწვილი ექვთიმეს თვალწინ დატრიალებულა აგრეთვე ზოგიერთი, მზაკვრობითა და სიხარბით აღსავსე ამბავი გურიის, დაქვეითების გზაზე შემდგარი თავად-აზნაურობის წრეში. მათი განხენებისას მხცოვანი აკადემიკოსი რამდენიმე სხარტსა და კოლორიტულ პორტრეტს გვიხატავს, სათანადო პიროვნებათა მიმართ უპრყოფითი, დაუნდობელი დამოკიდებულებით (გიორგი ნაკაშიძის უკანონო შვილი—ავანტურისტი, ერთხანს ათონის მთაზე ბერად ნაყოფი, მამობილ-დედობილისათვის მამულის წამრთმევი; გაქნილი ცინიკოსი გიორგი თაყაიშვილი, რომელიც ფულისათვის ყველაფერს იცადრებს და „თავსხნიერისა“ და

<sup>4</sup> ე. თაყაიშვილი, მოგონებები ქართველ მწერლებზე, „ლიტერატურის მატთან“, წ. 6, ნაკვ. პირველი, 1952, გვ. 59—62.

„უხსსაიერის“, ე. ი. კანონიერი და უკანონო შვილის განსხვავება არაფრად მიაჩნია; ენამკვერი და მარჯვე მელქისა მახარაძე—თან „მოღობერალო“, თან „ყოველი ავაზაკობის მოთავე“; იაკობ მარის შვილები, რომლებიც მოკვლის მიზნით აივნიდან აგდებენ—და ფეხს ატეხინებენ—პატარა ნიკოს, უკანონო ბავშვია და მამის ქონებაში არ შეგვეცილოსო და ა. შ.).

მაგრამ, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო მტკიცედ და სასიამოვნოდ ჩაჩენია ექვთიმეს მესხიერებაში რამდენიმე ისეთი ნათელი და მასზე დიდი გავლენის მომხდენი პიროვნება, როგორიც ჩანს, მაგალითად, მისი მეზობელი კოწია თაყაიშვილი—ყოფილი „კონვოლი“, გულწრფელი პატრიოტი, ახალი ქართული მწერლობის მოყვარული და ნიჭიერი პროპაგანდისტი, ილია ჭავჭავაძის დიდი თაყვანისმცემელი. ექვთიმე დაწვრილებით იგონებს გიმნაზიიდან საზამთრო არდადეგებზე გურიაში გამგზავრებას, როდესაც მას თან წაუღია „მეფე ლირის“ ქართული თარგმანი, რომლის ბოლომდე წაკითხვა ქუთაისში ვერ მოუხსრია. სოფ. ძიმითში, სიძის ოჯახში, სხვა სტუმრებულ აზნაურთა შორის, დახვედრია კოწია თაყაიშვილიც, რომელსაც მთელ დამეს უკითხავს, ჯერ სანთლისა და მერე ცეცხლის შუქზე, შექსპირის უკვდავი და ბრწყინვალედ ნათარგმნი ტრაგედია და თან შესანიშნავად განუმარტავს იგი სულგანაბული მსმენელებისათვის. კეთილად იხსენებს ექვთიმე აგრეთვე მღვდელსა და პედაგოგს სიმონ ქიქოძეს.

მეორე მოგვარე, მისი მასწავლებელი იოსებ თაყაიშვილი, ექვთიმეს სიტყვით, თვალსაჩინო პიროვნება ყოფილა მთელ გურიაში: იურიდიულ ფაკულტეტზე ნასწავლი, კარგი პედაგოგი და პატრიოტი, რომელსაც ექვთიმე ძალიან დაახლოვებია. განსაკუთრებით დახსომებია ამ უკანასკნელს ერთი ლხინი იოსებ თაყაიშვილთან, გიორგი წერეთლისა და ლიხაურელი გონიერი გლეხკაცის კაკაბაი ლომჯარიას მონაწილეობით: როდესაც მასპინძელს სადღევარძელოში მისთვის „საქართველოს პრეზიდენტობა“ უსურვებია, ექვთიმეს ეჭვი გამოუთქვამს სამშობლოს ასე ადვილად განთავისუფლების შესახებ და გ. წერეთელს აღერიაინად გაუტიცხავს იგი ამგვარი ურწმუნობისა გამო. აქვე უნდა აღვნიშნოთ. თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მოწაფე ექვთიმეზე გიორგი წერეთლის პატრიოტულ პოემას „არანასა“, რომელიც მისთვის უჩუქენია ალექსი ჭიჭინაძეს—იმეამდ მის მასწავლებელს, ქუოაისში...

ასეთ გარემოცვაში ყალიბდებოდა ბავშვობითვე მომავალი დიდი მოღვაწის პიროვნება, დიდი საზოგადოებრივი აქტივობისადმი მიდრეკილება, პატრიოტიზმი, დაკვირვებული და კრიტიკულად მოაზროვნე გონება.

სწავლა ექვთიმეს 7 წლისას დაუწყია. თავდაპირველად (1870 წელს) ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში მიუბარებიათ, ხოლო სამი წლის შემდეგ, რაკი ეს სასწავლებელი ქალაქის სკოლად გადაქცეულა, იქ პროგრამაც შეცვლილა და სწავლაც განანგრძლივებულა, ბავშვი გადაუყვანიათ ფოთის სამაზრო სასწავლებელში, რომელსაც მას 1875 წელს გაუთავებია. მერმე იგი შეუყვანიათ ქუთაისის კლასიკურ პროგიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ კლასიკურსავე გიმნაზიაში გადასულა: ეს უკანასკნელი მას ოცი წლის ვაჟკაც დაუსრულებია; 1883 წელს.

<sup>5</sup> ფოთში სასწავლებლად დროზე ვერ ჩასულა, ვინაიდან სიძე-მეურვეს უნდა წაეყვანა წყალ-წყალ და იგი კი ელოდა ნავიანევი კომპოსტოს („ლახანას“) შემოსვლას, რომ ვასაყიდად წადო ფოთს. სუფსის შესართავთან „ქალაიდღერი ღიღი ნავით“ ჩასულ ბავშვს პირველად დაუხანია და ვაკეირვება შავი ზღვა, რომლიც მას ნახევარი საუკუნის შემდეგ უცხოვას გადახვეწა მოუხდა.

გიმნაზიაში სწავლის დროს ექვთიმე მუღმივ ხელმოკლეობას განიცდიდა (საზომტრო პალტოც კი არ ჰქონია ყოველთვის) და მოწაფეთა მზადებით ივსებდა თურმე შემოსავალს. არდადეგებს გუფრიაში ატარებდა ხოლმე, ნათესავებთან; თევზაობდა, ნადირობდა და ა. შ. ბუნებრივ, შთამომავლობით გამოყოფილ ნიჭიერებას, მკვირცხლსა და ცნობისმოყვარე ჰქუას თან დაართვია შრომისმოყვარეობა, სისტემური მეცადინეობის ჩვევა და ექვთიმე ერთ-ერთი მოწინავე მოწაფე ყოფილა, ვერცხლის მედლით გაუთავებია გიმნაზია.

უფროს კლასებში ექვთიმე და მისი ტოლ-მეგობრები პატრიოტიზმითა და საზოგადოებრივი ინტერესებით გამსჭვალული ყმაწვილ-კაცობის წრეს ქმნიან და მუღმივ ტრიალებენ ქუთაისში იმ დროს უკვე მიქეფარე და საკმაოდ დაძაბულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ექვთიმე აღნიშნავს: ქართულ თეატრს, რომელსაც აკაკი წერეთელი რეჟისორობს, თბილისიდანაც ჩამოუდიან სახელგანთქმული მსახიობები (ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე და სხვ.) და ქუთათურები დიდი ხალისით ეტანებიან; ხალხოსანთა გაზეთს „შრომას“; ლიტერატურულ საღამოებს; საერთოდ ინტელიგენციის კრებებს და—რაც მთავარია—ქუთათურ „ბანკოვიადას“, რომელიც ბრძოლის სიცხარით ალბათ დიდად არ ჩამოუვარდება თბილისურს და რომელშიც აქტიურად არიან ჩაბმული გამოჩენილი თერგდალეულები ნიკო ნიკოლაძე, ბესარიონ და ნიკო ლოლობერიძეები, კ. ლორთქიფანიძე და სხვანი. გიმნაზიელები ყოველგვარ თავყრილობას ესწრებიან, შეუწელებელი ინტერესით ადევნებენ თვალ-ყურს საზოგადოებრივ ჭიდილს, კარვად ერკვივიან მის ავ-კარგში და საერთოდ უკვე „სტუდენტებივით არიან“ საქართველოს ამ მეორე კულტურულსა და პოლიტიკურ ცენტრში.

მიუხედავად სასწავლებელთა სრული რუსიფიკაციისა, ყმაწვილები ფეხდაფეხ მისდევენ ქართული ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის ყოველ ახალ ნაკადს, სასოებით სწავლობენ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ყოველ თხზულებას, თითონაც წერენ, ყურნალს უშვებენ და სხვ. პირადად ექვთიმეს განსაკუთრებით იტაცებს ისტორია, გეოგრაფია და ლიტერატურა. მას თანდათან უყალიბდება რწმენა, რომ მომავალში მასწავლებელი უნდა გახდეს.

ძალიან ნიშანდობლივი და ყურადსაღებია მოწიფული გიმნაზიელების გულმოდგინე მსჯელობა იმის შესახებ, თუ ვინ რას შეისწავლის და რით გამოადგება სამშობლოს. ერთი რამ ყველასათვის ცხადია: სადაც არ უნდა გაათავონ უმადლესი სასწავლებელი, საქართველოშივე უნდა ჩამობრუნდნენ და აქ იმუშაონ. თავის ხალხს მოემსახურონ. ერთი მათგანის. სიყრმიდანვე ექვთიმეს თანშეზრდილი ნიკო მარის ცხარე განცხადებით, ევროპის სწავლება მათ სრულიად არ ესაქმებათ და ისევ უნდა გაანათლონ საკუთარი ერი, რომელსაც ელემენტარული ცოდნაც კი არ გააჩნია თვით ნიკო მარისათვის ამხანაგებს ერთხმად ურჩევიათ ქართული ენისა და კულტურის ისტორიის შესწავლა, ექვთიმესათვის — იურისტობა (მჭევრმეტყველებისა გამო) და ა. შ. ინეინრობა ამ რიგორისტულად განწყობილ წრეს გამოსარჩენ, ე. ი. სათაქილო ხელობად მიუჩნევია. თვით ექვთიმეს ბოლოს მტკიცედ გადაუწყვეტია პედაგოგობა, მით უმეტეს, რომ იურისპრუდენციაზე კირილე ლორთქიფანიძისაგან გაგონილ ერთ პირადოქსულ ნათქვამსაც კი აუყრევინებია მისთვის გული („უქიმისა და ვეკილის არა მწამს რაო...“).

სწავლის ვასაგრძელებლად ექვთიმეს შეურჩევია პეტერბურგის უნივერსიტეტი, რამდენიმე მოსაზრებით: მოსკოვთან შედარებით იგი უფრო ევროპული ქალაქია, იქაური ჰავა უფრო რბილია და, თან, აღმოსავლური ფაკულტეტი მხო-

ლოდ პეტერბურგის უნივერსიტეტში არის, ხოლო ექვთიმეს პარალელურად ამ ფაქულტეტის ლექტორების მოხმენაც სურს.

გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების გამო ექვთიმეს ეკუთვნოდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის სტიპენდია, ოღონდ იმ წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში იგი არ ყოფილა თავისუფალი; ექვთიმეს უთხოვნია და მოსკოვისაში გათავისუფლებული ასეთი სტიპენდია პეტერბურგისაში გადაუტანიებია. გზის ფულად 100 მანეთი მიუღია, თავისი რეპეტიტორობის გასამრჩელოდან დაზოგილი 300-ოდე მანეთიც დაუმატებია, შინიდანაც მოსვლია ფული და ამრიგად დაგროვილი თანხის იმედად გამგზავრებულა შორეულ პეტერბურგს. მასთან ერთად წასულა ვანო გურიელიც, მისი თანაკლასელი ამხანაგი, რომლის ბიძას, გრიგოლს თავისი ნებიერი, ცულღუტი ძმისწული ფხიანი და საქმიანი ექვთიმესათვის ჩაუბარებია და თან ასე დაურიგებია ორივე: „იქირავეთ ოთახი, იყიდეთ და მოხარშეთ ხორცი, ჩამოკიდეთ კედელზე და, რამდენიც მოგმივდეთ. მიაჭერით; სხვა რაღა გინდათო?“ ექვთიმეს საქართველოს სამხედრო გზის დათვალიერება მოუწყადინებია და ამიტომ აბიტურიენტებს მცხეთიდან კავკავამდე ეტლით უვლიათ.

პეტერბურგში ორივენი შესულან ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე და, იქ დახვედრალ პ. მირიანაშვილთან და გოციბირძესთან ერთად, ყოფილან პირველი ქართველი სტუდენტები იმ, ექვთიმეს სიტყვით ძალზე რთული ფაკულტეტისა.

ხანდაზმული ექვთიმე სხვადასხვანაირად, ავ-კარგიანად იგონებს თავის პროფესორებს: ფაკულტეტის დეკანს, სლავისტსა და თავგამოდებულ სლავოფილს, ყველგან ამ ტომთა მაძებარ ლამანსკის; ძველი ისტორიის ლექტორს სოკოლოვს, რომელიც თურმე ქრონოლოგიისა და ტექსტების მეტს არაფერს დავიდევდათ. აქო და ისტორიაში მტკიცე კანონზომიერების დადგენა შეუძლებელიაო; ზოგად ენათმეცნიერების ლექტორს მინაევს, რომელიც გადაჭრით მიმდევარი ყოფილა იმეშად ძალზე გავრცელებული თეორიისა ინდო-ევროპელთა ყოველმხრივი უპირატესობის შესახებ (და რომლის ლექციებიც გულს უკლავდა ჯერ კიდევ მიამიტ ქართველ სტუდენტებს, რატომ ჩვენი ენა კი არ არის მიკუთვნებული ამ უნიჭიერეს და უმნიშვნელოვანეს ერთა ენების ჯგუფისადმიო); შესანიშნავ ბიზანტილოგს ვასილევსკის, რომელიც თურმე ცხოველი ყურადღებით ეკიდებოდა ჩვენ ძეგლებსაც და ქართველ სტუდენტებს იხმარიბდა კიდევაც მათ თარგმნაში; რუსეთის ისტორიის სპეციალისტს ზამისლოვსკის; ცნობილ ფოლკლორისტს ვესელოვსკის; ფილოსოფია-ფსიქოლოგია-ლოგიკის ლექტორს, კარგ სპეციალისტს, მაგრამ მორეტროგრადო ვლადისლავევს. შემდეგ მთავრობის მიერ რექტორად დანიშნულს (რომელსაც მოსწონებია IV კურსზე გადასული ექვთიმეს პასუხი გამოცდაზე და უკითხავს. ალბათ ჩემ საჯანში დასპეციალდებითო, მაგრამ ექვთიმეს მიუგია, უნივერსიტეტში დარჩენას არ ვაპირებო) და სხვებს. ამათ გარდა. ექვთიმეს უსმენია იურიდიული ფაკულტეტის გამოჩენილი პროფესორების კორკუჩოვისა და სერგეევჩისათვის და თვით ქიმიკოსი მენდელეევისთვისაც კი, როდესაც იგი თავის პერიოდულ სისტემას განმარტავდა.

ქართველი სტუდენტების უმეტესობას (ჩანს. ექვთიმეს თაოსნობით) მოუწოდომებია აღმოსავლეთის ფაკულტეტის პროფესორის ალექსანდრე ცაგარლის კურსის მოსმენაც და უთხოვნიათ მისთვის. კვირაში ერთხელ წაგვიკითხეთ ლექციები საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის შესახებო. მაგრამ ამ ლექციებს მსმენელები ვერ დაუკმაყოფილებია, თუმცა ექვთიმე თვით



ცაგარელს საერთოდ ნამდვილად ნიჭიერ, სასარგებლო მკვლევარად მიიჩნევდა და სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ჩვენი საზოგადოების ცალმხრივმა ამხედრებამ მას ხელი ააღებინა ლინგვისტურ მუშაობაზე.

ზაფხულობით ექვთიმე, ჩანს, საქართველოში ჩამოდიოდა და აქაურ აგარაკებზე (მაგ., სურამში) ისვენებდა ხოლმე—მით უმეტეს, რომ ფინეთის ყურგში შეყრილი ციებ-ცხელება აწუხებდა თურმე.

— პეტერბურგის უნივერსიტეტში გატარებული ოთხი წელიწადი ექვთიმე თაყაიშვილს, ჩვეულებისამებრ, ფრიალ ნაყოფიერად გამოუყენებია: გულმოდგინედ, დაძაბვით უმეცადინია, იმ დროისათვის შესაფერისი ფართო ისტორიულ-ფილოლოგიური განათლებით აღჭურვილა და თან ქართველმცოდნეობაშიც, „ვაუტეხია ენა“. უნივერსიტეტის კურსი 1887 წლის გაზაფხულზე დაუსრულდება, ზაფხულის არდადეგებზე აღარ წამოსულა, დისერტაცია დაუწერია, ენკენისთვეში წარუდგენია და, რაკი სახელმწიფო გამოცდებიც წარჩინებით ჰქონია ჩაბარებული, მიუღია კანდიდატის ხარისხი, რაც იმჟამად იშვიათი ყოფილა. მიუციათ ისტორიის მასწავლებლის მოწმობა.

ამის შემდეგ ექვთიმეს დაუპირებია ერთ წელიწადს მაინც კიდევ დარჩენილიყო პეტერბურგს, ცოტა დაესვენა, ზოგი რამ კიდევ ესწავლა და შეეგროვებინა ბიბლიოთეკა (უმთავრესად საქართველოსა და ქართული კულტურის ისტორიის განხრით)—რაკი ბისთვის უკვე ცხადი შექმნილა, რომ „თუ კაცი ნამდვილად კარგად არ იქნებოდა განვითარებული, არაფრად ივარგებდა“. ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ მაშინ იგი ჯერ კიდევ სხვას სრულიად არას აპირებდა, გარდა სამშობლოში (ოღონდ უსათუოდ თბილისში!) მასწავლებლობისა.

სტუდენტობისას ექვთიმე, როგორც მის სიყმაწვილითვე მკაფიოდ თავჩენილ საზოგადოებრივ ფხიანობას შეეფერებოდა, აქტიური მონაწილე ყოფილა ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობისა, ხელმოკლეთა სასარგებლოდ სიღამოების მართვისა და ა. შ. ერთხელ, ასეთ საქმიანობასთან დაკავშირებით, ხელ; საამისოდ არჩეული დლეგაციის სხვა წევრებთან ერთად, სათათბიროდ სხობია პეტერბურგში ჩასულ ილია ჭავჭავაძეს და, ამ უკანასკნელის რჩევით, სტუდენტებს კარგა მოზრდილი თანხა გადმოუციათ წერა-კითხვის საზოგადოებრივ სათვისტომოს. ასე გასცნობია ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოს იმ თავკაცს, რომლის ლექსებიც ძოწაფეობის დროს სიყვარულით უზეპირებია და რომელთან უმჭიდროესი ურთიერთობა და მხარდამხარ მოღვაწეობაც შემდეგ სულ მალე არგუნა ზედმა. ილია მაშინ კარგა შუახნის კაცი ყოფილა: გავისხენოთ, რომ იმ წელს. როდესაც ექვთიმე დაიბადა ლიხაურში, ილია უკვე რედაქტორობდა ჟურნალ „საქართველოს მოამბეს“...

ქართველმცოდნეობითი წიგნების შესაძენად ბუკინისტებში მოსიარულე ახლად კურსდამთავრებულს ვალიც კი დასდებია, მით უმეტეს, რომ სტიპენდია აღარ ეძლეოდა. გასჭირებია და, თუ არ ფიცხელი თავმოყვარეობა, ალბათ სხვებივით სთხოვდა დახმარებას ცნობილ პეტერბურგელ მეცენატს ივანე ნაკაშიძეს. ყოველი შემთხვევისათვის დეპეშით შემოკითხვია თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორს, თავის ყოფილ მასწავლებელს ალექსი ჭიჭინაძეს, თავისუფალი გაკვეთილები ხომ არ მოგეპოვებათ? პასუხად მისვლია დეპეშა, ლათინური ენის 12 გაკვეთილი გვაქვსო. წამოსვლა მაინც არ უფიქრია, სანამ განმეორებითი დეპეშა არ მიუღია, გელოდებითო. ამის შემდეგ დაყოვნება უხერხულად და მიუჩნევია, ღვინობისთვეში თბილისს ჩამოსულა და შედგომია ლათინურის მასწავლებლად აღნიშნულ გიმნაზიაში. წინასწარ კი მას დასჭირებია თავის

დახსნა, მთავრობის შეხედულებისამებრ ხუთი წლით სადმე (არა საქართველოში, არამედ კავკასიის სხვა რომელიმე პროვინციულ სასწავლებელში) გამწესებისაგან, რაც მას ევალებოდა, როგორც სტიპენდიანტს. ამასი ხელი იმასაც ჭეუწყვია, რომ კავკასიაში ექვთიმეს ვერსად აღმოუჩინეს ადგილი. დამახასიათებელი ამბავია: ქართველ პედაგოგს, ექიმს თუ სხვა სპეციალისტს, საქართველოში სამსახურს არ მისცემდნენ. იმავე დროს, მაგ., თბილისის სახელმწიფო გიმნაზიებში მრავლად იყვნენ ჩიქორთული რუსულით მოლაპარაკე ჩები პედაგოგები („Нравствъ чехи“). ექვთიმეს იმანაც შეუწყო ხელი, რომ სათავადაზნაურო გიმნაზია კერძო სასწავლებლად ითვლებოდა.

ამგვარად, 1887 წლის შემოდგომაზე დამკვიდრდა თბილისში ექვთიმე თაყაიშვილი—გურულ-ქუთათური წარმომავლობის ქართველი ინტელიგენტი, მანამდე ამ ქალაქში სულ ერთხელ ნამყოფი (ძმასთან, ოფიცერ ვარლამთან სტუმრობისას), ოცდამეხუთე წელში გადამდგარი, როგორც დამწყები პედაგოგი.

ამ საქმეს იგი თავიდანვე დიდი პასუხისმგებლობით მოჰკიდებია: რაკი კლასიკურ ენათა სწავლების გამოცდილება არ გააჩნდა, ერთხანს ესწრებოდა თბილისის სახელმწიფო გიმნაზიებში მომუშავე, თვალსაჩინო კლასიციტთა გაკვეთილებს. საათების ნაკლებობის გამო კერძო მოწაფეებიც აუყვანია და ამრიგად მოუმადგრებია ნიეთიერი საძირკველი; ორი წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ უსტუმრებია ზემოაღნიშნული ვალი.

თბილისის სათავადაზნაურო სკოლა იქამდე, არსებითად თურმე, ოთხკლასიან პროგიმნაზიას წარმოადგენდა, ვინაიდან საადგილ-მამულო ბანკი მეტისათვის საჭირო თანხას ვერ აძლევდა. მასწავლებლებად კი ყოფილან კარგი, დამსახურებული პედაგოგები: გ. იოსელიანი, ა. ქუთათელაძე, ნ. მთვარელიშვილი, გ. გამყრელიძე და სხვ. (რომელთაგან ზოგი შემდეგ მხარში ამოუდგა ე. თაყაიშვილს პედაგოგიურსა თუ მეცნიერულ საქმიანობაში). ახალგაზრდა მასწავლებელს მალევე მოუპოვებია ჩეროვანი ავტორიტეტი და სკოლის გამგე ალექსი ჭიჭინაძე თურმე მას ხშირად თავის მოადგილედ სტოვებდა ხოლმე, თუ სადმე წავიდოდა. ლათინურის გარდა მას თანდათან მიუღია გეოგრაფიის, ბერძნულისა და ისტორიის გაკვეთილებიც. ძლიერი პედაგოგიური პერსონალის წყალობით მოწაფეები კარგად ყოფილან მომზადებული და უმკაცრესი რევიზორებიც კი იძულებული ხდებოდნენ ელიარებინათ, რომ ამ მხრივ სასწავლებელი სახელმწიფო გიმნაზიებს არ ჩამოუვარდებოდა. რევიზიის სიმკაცრე კი ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა, ვინაიდან, სამოსწავლო ოლქის ადმინისტრაცია სასწავლებელს ისე უყურებდა, როგორც ვერს. მისი მესვეურები კი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ სკოლას—ერთადერთს ამგვარს, ეროვნულ დაწესებულებას აღმოსავლეთ საქართველოში. კერძოდ, ილია ჭავჭავაძეს ხაზგასმით აღუნიშნავს, რომ მასში „ახალგაზრდები უნდა აღიზარდონ იმ მიმართულებით, რომელიც შეეფერება ჩვენი ერის მოთხოვნილებას... მან უნდა აგვიზარდოს მსნე, შრომისა და მამულის მოყვარე ყმაწვილები“<sup>6</sup>. ოლონდ თვით ამ „მიმართულების“ გეზი ყველას ერთნაირად არ ესმოდა და ექვთიმეს ჩამოსვლის შემდეგ კვლავ განახლებულა დაეა ამ საკითხის ირგვლივ: ზოგის აზრით სასწავლებელი

<sup>6</sup> ს. თაყაიშვილი, ნახული და ვაგონილი, „მნათობი“, 1962, № 10, ვვ. 179 (ცნობილი პედაგოგი სეთ იაშვილი აღნიშნული გიმნაზიის ერთ-ერთი ძირითადი მუშაკი იყო).

კლასიკური უნდა ყოფილიყო, ზოგისა—რეალური, ხოლო ილია ჭავჭავაძე და ილია წინამძღვრის შვილი სულაც აგრონომიული სასწავლებლისაკენ მიიღრმავდნენ თურმე. ამასთანავე, საადგილ-მამულო ბანკის საქმეც აწეწილ-დაწეწილა, სკოლის კლასთა რიცხვი ორამდე ჩამოსულა. მოწაფეთა რიცხვსაც უკლია და მასწავლებლები იძულებული შექნილან სხვაგანაც ეძებნათ სამუშაო. პირადად ექვთიმეს ვაჟთა III გიმნაზიაშიც მიუღია ლათინურის გაკვეთილები.

სასწავლებლის გამგე კომიტეტსა და ალექსი ჭიჭინაძეს მანამდეც გამუდმებული შეხლა-შემოხლა ჰქონიათ, ახლა კი მას სულ აუღია ხელი სკოლის ხელმძღვანელობაზე და თბილისიდანაც წასულა, ისე რომ სკოლა უგამგეოდ დარჩენილა. კომიტეტის წევრს ვანო მაჩაბელს წამოუყენებია ექვთიმე თაყაიშვილის კანდიდატურა, მაგრამ იგი უარზე დამდგარა, ალექსი ჭიჭინაძის თავგადასავლის გათვალისწინებით. მისთვის დაჟინებით უთხოვია ამ „პატრიოტული საქმისათვის“ ხელის მოკიდება კომიტეტის თავმჯდომარეს, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლს კონსტანტინე მუხრანბატონს. ექვთიმე მანამ არ დასთანხმებია, სანამ მის მიერ მტკიცედ წარდგენილი რამდენიმე ნამდვილად რეფორმატორული პირობა არ დაუქმდებოდა. ეს მომხდარა 1894 წელს, ე. ი. მ. შინ, როცა ექვთიმე შვიდი წლის ჩამოსული იყო პეტერბურგიდან და როდესაც ჩვენს საზოგადოებაში უკვე საყოველთაოდ ყოფილა ცნობილი მისი მხნეობა-სიმარჯვეცა და პრინციპული შემმართებლობაც; მას უკვე ყველა პატივსაცემად და ანგარიშს უწევდა. მისი მოთხოვნების განხორციელებას, გამგე კომიტეტის მხრივ, და მის ფხიანობას კვლავ სრულყოფილ გიმნაზიად უქცევია თითქმის მიღებული სასწავლებელი; ახალ გამგეს საუკეთესო მასწავლებლები მიუზიდავს, მოწაფეთა რიცხვი დიდად მომრავლებულა და ა. შ. სწავლების გაუმჯობესებას გიმნაზიელთა ცოდნის დონე უფრო მაღლა აუწევია. გარდა აკადემიური წარმატებისა, ისიც ხაზგასმით არის აღსანიშნავი, რომ აქ ახალგაზრდობა მართლაც პატრიოტული სულისკვთებით იმსკვალებოდა და, მიუხედავად ცარიზმის მოხელეთა მხრივ დევნა-შარბანობისა, ქედს არ იხრიდა, ცოდნასაც ეუფლებოდა და ეროვნულ სარბიელზე სამოღვაწეოდაც ემზადებოდა. ექვთიმე თაყაიშვილი მათი სუსხიანი, მაგრამ უსაყვარლესი აღმზრდელი ყოფილა, ისევე როგორც პედაგოგიური პერსონალის ღირსეული და დიდად პატივცემული მე-ოთხეუნი. ამ გიმნაზიას სათავადაზნაურო კი ერქვა ოფიციალურად, მაგრამ ე. თაყაიშვილისთანა მესვეურების წყალობით მასში, სანახევროდ ფარულად, ე. წ. დაბალი ფენის, გლეხობისა და სხვ. ხელმოკლე ოჯახის ბევრი ნიჭიერი შვილიც სწავლობდა. ასე რომ აღმოსავლეთ საქართველოს სათავადაზნაურო ბანკის სახსრების მნიშვნელოვანი წილი იმ უბანზედაც საერთოდ ხალხს ხმარდებოდა, ამ სიტყვის ფართო გაგებით, და ამ მხრივაც საეცებით მართლდებოდა სასწავლებლის ისეთი დიდი მოამაგის მიერ დასახული გეგმა. როგორც იყო ილია ჭავჭავაძე.

თავისთავად სასწავლებლის ჯერ აღორძინება და შემდეგ ესოდენ თავგამოდებითა და მარჯვედ ხელმძღვანელობა, ყოველივე ზემოთქმულის გამო, ზედმიწევნით მნიშვნელოვანი, მამულიშვილური, საზოგადოებრივი საქმე იყო. ექვთიმეც სრული ათი წლის განმავლობაში განაგრძობდა მას. თუმცა, მისივე სიტყვით უხდებოდა „შეუწყვეტელი ბრძოლა კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამზრუნველ

ლოსთან, რომლის თვალში ქართული გიმნაზია ქართული ნაციონალიზმისა და ინტერესული მიმართულების ბუდე იყო“<sup>7</sup>.

1904 წელს ექვთიმემ გადაჭრით მიატოვა ეს სასწავლებელი. როგორც მისი გულწრფელი მოგონებებიდანა და ავტობიოგრაფიული ჩანაწერებიდან ჩანს, მმ ნაბიჯს ორი ძირითადი მიზეზი ჰქონია: სასწავლებლის გამგე კომიტეტის ზოფიერთი ვიწროდ მოაზროვნე წევრის მხრივ სისტემური ხელშეშლა და—რაც მთავარია—საბოლოოდ ჩამოყალიბებული შეგნება იმისა, რომ კვლევითი მუშაობისათვის გაცილებით მეტი დროს გამონახვა იყო საჭირო, ვიდრე მანამდე უხერხულდებოდა და რომ უფრო გონივრული და სასარგებლო იქნებოდა მეცნიერულ-საზოგადოებრივ სარბიელზე მუშაობის გაძლიერება. მაგრამ პედაგოგიურ მუშაობაზე საერთოდ ხელის აღება არც უფიქრია და არც შეიძლებოდა, რადგან თავისა და ახალშექმნილი ოჯახის რჩენაც აუცილებელი იყო და საკვლევი თუ საგამომცემლო სარჩებისათვის ფულის თავმოყრაც. 1904 წლიდან ოქტომბრის რევოლუციამდე, ქართული უნივერსიტეტის დაარსებამდე ექვთიმე თბილისის სხვადასხვა სახელმწიფო გიმნაზიაში მუშაობდა. ისტორიასა და ლათინურ ენებს ასწავლიდა.

ოჯახს ექვთიმე თაყაიშვილი 1895 წელს მოეკიდა. ცოლად შეირთო ილია ჰევკავაძის ერთი საუკეთესო მეგობრის, დედით ზედგინიძისა და გაბაშვილების სიძის, იურისტის ივანე პოლტარაკის ასული ნინო, რომელიც სიკვდილამდე ერთგულად ედგა მხარში თავის დაუცხრომლად მშრომელსა და მოღვაწე მუშაულს; პრაქტიკულადაც ეხმარებოდა ხოლმე სამეცნიერო მუშაობაში (მაგ., ფრანგულის კარგად ცოდნის წყალობით). ნინო თაყაიშვილისა გარდაიცვალა 1931 წელს, საფრანგეთში და იქ არის დაკრძალული.

\* \* \*

მეცნიერული კვლევისათვის ხელის მოკიდება ექვთიმე თაყაიშვილს, მისივე სიტყვით, გადაწყვეტივნა დიმიტრი ბაქრაძემ—სახელგანთქმულმა ისტორიკოსმა და არქეოლოგმა, შესანიშნავმა ადამიანმა და მოქალაქემ, ახალგაზრდობის წამქეზებელმა და გამწრთენელმა, რომელსაც ექვთიმე ხანდაზმულობაშიც შეუწყვლელი სიყვარულითა და მაღლიერებით იხსენებდა. თან იმასაც დასძენდა, სანახევროდ ხუმრობით, რომ მისი პირველი მეცნიერული ნაშრომი იყო საეკლესიო მუზეუმის წესდება, რომელიც შემდგენელმა დ. ბაქრაძემ რუსულით ათარგმნინა. ამასთანავე, ბაქრაძეს იგი 1889 წლის დამდეგს თან წაუყვოლებია მცხეთაში, იქაური ტაძრებიდან ჩამოსატანად ხელნაწერებისა, რომლებიც საფუძვლად დასდებია ახალშექმნილ საეკლესიო მუზეუმს. ექვთიმე სინანულით იგონებს, რომ მასა და საეკლესიო მუზეუმის გამგეობის რამდენსამე სხვა წევრს დიდხანს არ დასცალდათ კვალიფიციური და ფრიად პატივსაცემი ხელმძღვანელის, დ. ბაქრაძის ხელქვეით შემმატებულბული მუშაობა: ეს უკანასკნელი უდროოდ გარდაიცვალა 1890 წლის თებერვალში. შეიძლება აქვე ითქვას, რომ ექვთიმე თაყაიშვილი მარჯვედ დაეუფლა იმ ესტაფეტას, რომელიც საქართველოს მიერ დიდი ზარით გამოვლოვილ მეისტორიეს<sup>8</sup> გაუვარდა ხელიდან და სწორედ წყა-

<sup>7</sup> იხ. „სქემატური ცნობები ჩემი ცხოვრების შესახებ“—ხელნაწერთა ინსტიტუტში (ე. თაყაიშვილის პირადი არქივის № 32).

<sup>8</sup> გავიხსენოთ თუნდაც ილია ჰევკავაძის მიერ საფლავეზე მიტანილი გვირგვინის წარწერა: „საფლავი შენისთანა კაცისა სალოცავია მამულისა“. (იხ. მ. დუშბაძე, „ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე“, ბათუმი, 1950, გვ. 86).

რომეოდნეობისა და არქეოლოგიურ საქმიანობაში შეენაცვლა მას, როცა დაინახა, რომ ეს უბანი განსაკუთრებით საშიშრად დაცარიელდა. საერთოდ კი შეიძლება ითქვას, რომ ე. თაყაიშვილი განაგრძობს საქართველოს ისტორიისათვის აუცილებელი მასალა-ძეგლების ძიების ტრადიციულ გზას, რომელიც ჩვენთან-თავან ჯერ კიდევ პლატონ იოსელიანმა გაკვალა XIX საუკუნეში.

სამეცნიერო მუშაობის თავდაპირველი ფართო სარბიელი ახალგაზრდა პედაგოგს გადაეშალა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, რომელმაც იგი, როგორც სათანადო განათლებით აღჭურვილი და უკვე თვალსაჩინო პედაგოგი, თავისი გამგეობის წევრად აირჩია თბილისში ჩამოსვლის მომდევნო, 1888 წელს. ექვთიმე კი იმთავითვე არ იყო ისეთი ხასიათის კაცი, რომ ასეთ საპატიო თანამდებობას მხოლოდ მოსაჩვენებლად დასჯერებოდა და, როგორც კი შეუდგა მის ასრულებას, მოუსვენრობა დაეუფლა იმის გამო, რომ საზოგადოების წიგნსაცავში თავმოყრილი ძველი ქართული ხელნაწერები აღურიცხავად მიყრილი ინახებოდა. დიდხანს ეხვეწებოდა თურმე წიგნსაცავის გამგეს პეტრე უმიკაშვილს, სია შეადგინეთ, მაგრამ მას ვერ მოუცლია ამ საქმისათვის და მალე თვით ექვთიმე ჩასჯდომია, დაუწყია ხელნაწერთა არა მარტო აღნუსხვა. არამედ აღწერა. ეს იგივე საქმე იყო. რასაც მანამდე საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა მიმართ წარმატებით აკეთებდნენ თ. ჟორდანიას და მ. ჯანაშვილი (რომელიც ქუთაისის გიმნაზიაში ინსპექტორად მუშაობდა ექვთიმეს იქ სწავლის დროს). ამ პირველადს აღწერა-სიას ექვთიმე, აღნიშნულ წინამორბედთა მაგალითისამებრ, აქვეყნებდა გაზ. „ივერია“-ში (1890 წლის ოციოდე ნომერში), რომლის რედაქტორი ი. ჭავჭავაძე, მიუხედავად მკითხველთა დიდი ნაწილის უკმაყოფილებისა, ყოველთვის ფართოდ უღებდა კარს ასეთ მასალებს, რადგან მშვენიერად ესმოდა მათი გამოქვეყნების მნიშვნელობა და ხშირად იყენებდა მათ თავის მეცნიერულ პუბლიცისტიკაში.

მალე საზოგადოებამ დაავალა ამ საქმის უკვე კარგ სპეციალისტად მოვლენილ თაყაიშვილს ხელნაწერთა მეცნიერული კატალოგის შედგენა, მაგრამ დავალებას რამდენიმე პირი წინააღუდგა, ეგ კაცი მაგ საქმეს ჯეროვნად ვერ გააკეთებსო, და პრესაშიც კი ატყდა პოლემიკა. ამ ულამაზო ამხედრებამ მწვერვალს მიაღწია მას შემდეგ, რაც დამწყებმა მკვლევარმა საკუთარი საფასურით ცალკე წიგნაკად გამოსცა (დიდი ტექნიკური დაბრკოლების გადალახვით) თავისი პირველი და უკვე ბევრი ახლის რისამე სათქმელი კვლევითი პუბლიკაცია „სამი ისტორიული ხრონიკა“, რომელიც ჯერ კიდევ დ. ბაქრაძის დროს ჰქონდა, მისი მოწონებით, წამოწყებული. როგორც ცნობილია, ეს ნაშრომი შეიცავს: იქამად წერა-კითხვის საზოგადოების წიგნსაცავში შეწირულ „შატბერდის კრებულში“ თავჩენილ თხზულებას „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომლის უდიდეს მნიშვნელობას ქართული ისტორიოგრაფიისათვის დასაბუთება აღარ სჭირდება; სუმბატ დავითის ძის ქრონიკას (1884 წელს დ. ბაქრაძის მიერ აღმოჩენილ მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ რომ იყო დაცული) და თვით ექვთიმეს მიერ წიგნსაცავისათვის შექმნილ ე. წ. მესხურ დავითნზე მიწერილ ქრონიკას. ამასთანავე, ექვთიმეს მიერ მიკვლულმა და დანამდილებით დათარგმნულმა „პარხლის სახარებამ“ საშუალება მისცა მას, იმავე პირის მიერ გადაწერილი „შატბერდის კრებულიც“ X საუკუნისათვის მიეკუთვნებინა და არა IX საუკუნისათვის, როგორც მანამდე ეგონათ. გარდა ამ სახარებისა, ნაშრომში ჩართულია ავტორის მიერ იმხანად, არქეოლოგიური მოგზაურობის პირველი ნაბიჯების დროს უკვე

მკვლევური რამდენიმე სხვა ხელნაწერის, წარწერის თუ ნივთის აღწერაც. 1891 წელს „სამ ქრონიკას“ მოჰყვა გამოცემა „წმ. ნინოს ცხოვრებისა“.

ყოველივე ამის ირგვლივ დატრიალებულმა, არა-პრინციპულმა დავამ ბოლოს უსიამოვნო ცხარე შეტაკების სახე მიიღო და კინაღამ დუელიც კი გაიმართა. მაგრამ ამ საქმეში არ შეიძლებოდა არ ჩარეულიყო და აქტიურად, ავტორიტეტულად ჩაერია კიდევაც იმდროინდელი ჩვენი საზოგადოების დიდი მესვეურნი ილ. ჭავჭავაძე, რომელიც ძალიან სწუნდა იმ ორიოდე უაღრესად საჭირო სპეციალისტი ისტორიკოსის წაყიდვას, რომელთა მეტი იმჟამად არც მოიპოვებოდა საქართველოში. მან ეს კონფლიქტი დიდის ტაქტით მოაგვარა სამედიატორო სისამართლოს მეშვეობით, რომელმაც, გიორგი წერეთლის გონივრული ზემოქმედანელობით, ზნეობრივად დააკაყოფილა გულფიცხი, თავმოყვარეობაშეღახული ახალგაზრდა მკვლევარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თაყაიშვილი თბილისის ჩამოსვლისთანავე საქმიანად დაუკავშირდა ილია ჭავჭავაძესა და მის ირგვლივ შემოქმედროვებულ მოწინავე წრეს<sup>9</sup>, რომელმაც დაუყოვნებლოვ დააფასა და უყოყმანოდ აღიარა მისი მეცნიერული და მოქალაქეობრივი ღირსება.

ესოდენ სავალალო ამბავზე შეჩერება თითქოს არც უნდა ღირებულებოდა, მაგრამ ვერადებით, ვინაიდან აღნიშნულ შეხლა-შემოხლასა და უსაფუძვლო შეურაცხყოფას სიკვდილმდე ძალიან მწვავედ განიცდიდა ე. თაყაიშვილი. ამ შემთხვევას, როგორც იგი გულანდით იგონებდა, მაშინ რამდენსამე თვეს მწარედ დაუფიქრებია დამწყები მეცნიერი: ხომ არ სჯობია, რომ ისევ პედაგოგიურ მუშაობასა და სახელმძღვანელოთა გამოცემას დაეჭვრდე, თუკი კვლევით მუშაობას ასეთი ეკლიანი და პიროვნების დამამცირებელი გზა უდევს წინაო?! მაგრამ საბოლოოდ მას დაუძლევია ეს სულმოკლეობა და იმის ღრმა რწმენით, რომ კიდევ ერთი მკვლევარი უსათუოდ საჭიროა ჩვენი ჯერ კიდევ მოუმაგრებელი ისტორიოგრაფიისათვის, რომ პირადად მას ღონეც ერჩის საამისოდ, უკვე ცოდნა-გამოდლებაც და იგი შეძლებს ამ საქმეში თავისი წვლილის შეტანას, კვლავ განუგრძობა წარმატებით დაწყებული შრომა. არ შეიძლება არ დავძინოთ, რომ ახალგაზრდა კაცის ნებისყოფას ასეთი გამარჯვება ქართული კულტურის სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ მოუპოვებია...

აი, რასა წერს იგი თავის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ მოგონებაში: „იმხანად უკვე გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი: რამდენადაც შეიძლებოდა და გარემოება ნებას მაძლევდა, შემეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის; ყოველი ძალ-ღონე მეხმარა ძეგლთა დაღუპვისა და დაქარგვისაგან გადასარჩენად; რაც შეიძლებოდა. მეტი გამომეზიურებინა და მისაწვდომი გამეხადა მკვლევართათვის. ეს მიმანდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ მაშინ—იმ რწმენით, რომ, როდესაც ასეთი მასალა საკმაოდ დაგროვდებოდა, გამოჩნდებოდნენ ჩვენში მეცნიერები, რომლებიც ჯეროვნად შეგვიდგენდნენ საქართველოს ისტორიას, გავგიშუქებ-

<sup>9</sup> ამასთან დაკავშირებით უნდა ვაიხსენო ახალგაზრდა ექვთიმე თაყაიშვილის პიოტუბელი და ფხიზელი კრიტიკული შენიშვნები მისგან დიდად პატარავებული ილია ჭავჭავაძისადმი, რომელთაც ნამდვილად უხსნიათ ამ უკანასკნელის „ქვათა ღაღადინს“ ზოგი ადგილი მეცნიერული დასაბუთების უხერხული მცდარობისაგან.

დნენ იმ მართლაც და დიდ კულტურას, რომელსაც ქართველმა ერმა მიიღწია ჯერ კიდევ შორეულ წარსულში<sup>10</sup>.

ამ თავდაბლად დახასიათებული, მაგრამ ნამდვილად კი ჩვენი ისტორიო-გრაფიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი და გადაუდებელი საჭირო, წყაროთმცოდნეობითი და წყაროთა ზუსტი ისტორიული ინტერპრეტაციის გეზით მიმართული პროგრამის განხორციელებაში ჩააქსოვა ექვთიმე თაყაიშვილმა მთელი თავისი ზეადამიანური მხნეობა, დაუცხრომელი ძიებისა და მრავალმხრივი მეცნიერული ინტერესების ჯეროვანად დაკმაყოფილების უნარი. რაც შეეხება ამ მხრივ თავისი ნამუშავეების მოკლებით შეფასებას სიცოცხლის მიწურულში (ის, რასაც იგი მხოლოდ „მასალის შეკრებას“ უწოდებს, უპირველეს ყოვლისა, ამ მასალის გონებამახვილსა და კვალიფიციურ გამოკვლევასაც შეიცავს)<sup>11</sup>, ამით ექვთიმე თაყაიშვილი საესებით კანონზომიერად მოგვაგონებს თავის უმცროს თანამოსაქმესა და თანამებრძოლს ივანე ჯავახიშვილს. იგი ხომ სწორედ ექვთიმეს შემდეგ „გამოჩნდა“. როგორც მეცნიერი, „რომელმაც ჯეროვანად შეგვიდგინა საქართველოს ისტორია“—სხვათა შორის, ექვთიმეს მრავალი პუბლიკაციის მარჯვედ გამოყენების წყალობითაც—და თავის წინამორბედსავით გასაოცრად მრავალმხრივი და ნაყოფიერი შრომა სიკვდილამდე ერთი წლით ადრე შეაფასა, როგორც ნამუშევარი მხოლოდ „ახოს გამტეხისა. რომელსაც შემდეგ მხენელ-მთესველები უნდა ჩასდგომოდნენ კვალში“ (ეს განაცხადა მხცოვანმა მეცნიერმა 1939 წელს, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრად არჩევასთან დაკავშირებით, აკადემიის საქ. ფილიალის თანამშრომლებთან შეხვედრისას).

ასე იყო თუ ისე, ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ ახალგაზრდა ექვთიმე თაყაიშვილი გასამკეცებელი ძალ-ღობით შეუდგა ზემოაღნიშნული ამოცანის განხორციელებას და თავდაუზოგავად იყენებდა საამისოდ სამოსწავლო არდადეგებს, უქმე დღეებს, პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მუშაობისაგან თავისუფალ

<sup>10</sup> ე. თაყაიშვილი, „მოგონებები“, ეურნ. „მნათობი“, 1958, № 7, გვ. 162. იმავე მოგონებებში ავტორი აქაიკ ეკერით, მაგრამ ბოლომდე შეუნღებელი აღშფოთება-გულსტიკილით აღნიშნავს. თუ რა ნაკლებ ესმოდა მაშინდელი ქართველი ინტელიჯენციის დიდ ნაწილს ჩვენი ძველი კულტურის ძეგლთა დაუყოვნებელი მოვლა-პატრონობისა და შესწავლის, ხოლო საამისოდ დაუზარელი მოგზაურობის მწვავე აუცილებლობა: რა გულგრილად და ზოგჯერ „გამანიავებლად“ იყო ბევრი თვალსაჩინო პიროვნებაც კი განწყობილი ერის სანუკვარი რელიჯიების (მემორიული სავნების, „ეფთხისტყაოსნის“ ხელნაწერების და სხვ.) სვე-ბედისადმი და ა. შ.

შესადარებლად უნდა მოვიტანოთ ივ. ჯავახიშვილის შემდეგი სიტყვები: „ძველ საქართველოზე მრავალჯის თავდამტყდარმა უბედურებამ ქართული... კულტურის მრავალი ძეგლი იმსხვერპლა, ხოლო რაც გადარჩა, იმათგანაც ბევრი რამ რომსოვების ხანაში მთავრობის მოხელეთა უკულტურო ბატონობისა და ჩვენ წარსულ თაობათა შეუგნებლობად აღუდევრობის გამო გაჩანაგდა და განადგურდა. ამიტომ გასაკვირველიც არაფერია, თუ ჩვენ... კულტურისა და ყოფაცხოვრების ნივთიერ ნაშთთაგან ძალიან ცოტა-ლა გვაქვს დარჩენილი“ („შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა“, ვახ. „კომუნისტი“, 1937, №55).

<sup>11</sup> ასე შეუფასებია, მაგალითად, ავტორის ზედმეტი მოკრძალებისაგან ჩვეული გაფიცებოთ აღშფოთებულ ნიკო მარს ე. თაყაიშვილის ცნობილი „Описание рукописей“: „Какое это описание, ведь это настоящее исследование!“-ო (იხ. ე. თაყაიშვილის „მოგონებები“, ეურნ. „მნათობი“, 1959, № 2, გვ. 172). ცნობილია აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის აზრი, რომ ეს „Описание“ შეიცავს ვრცელ გამოკვლევას ქართლის ცხოვრების ყველა ხელნაწერების შესახებ („ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, 1916, გვ. 252).

ლამის საათებს. თან, რაც დრო გადიოდა. სულ უფრო აფართოებდა, ამრავალ-შხრივებდა ძიება-კვლევის სარბიელს, ისე რომ საბოლოოდ „ისტორია-არქეოლოგია“ მის ხელში ერთნაირი, მეცნიერულად მაღალი დონით მოიცვა ჩვენი კულტურის ისტორიის ყველა დარგი, ლიტერატურის ისტორიიდან ვიდრე წიაღისეულ არქეოლოგიამდე. მაგრამ მისი კვლევა-ძიების მთავარ საგანს თავიდან ბოლომდე მაინც შეადგენდა საქართველოს ისტორიის წყაროები, ერთხანს უმთავრესად იმ ხელნაწერთა სახით, რომლებიც წ/კ საზოგადოების წიგნსაცავში იყო თავმოყრილი (ბევრი—პირადად მისი თაოსნობის წყალობით), ხოლო შემდეგ სხვა საცავებში დატულთა სახითაც. ოღონდ. ზემოაღნიშნული კონფლიქტის შემდეგ ამ ხელნაწერთა მეცნიერულ აღწერილობას იგი უკვე მეტწილ რუსულად ბეჭდავს და ეს გარემოება დიდად აფართოვებს მკითხველთა წრეს.

აქ არ გვიხერხდება რამდენადმე მაინც განვცომა სიტყვისა მისი სათანადო კვლევის შედეგების შესახებ—მით უმეტეს, რომ მათ სხვა ნარკვევთა ავტორები ეხებიან საგანგებოდ<sup>12</sup>—და დავკვრდებით ე. თაყაიშვილის, ასე ვთქვათ, წერილობითი წყაროების კვლევითი პუბლიკაციების ჩამოთვლას, თანმიდევნებით: 1891 წელს—ცალკე წიგნად „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“. რომელსაც თან ერთვის: 'უფრემ მცირის „უწყება მიზეზისა ქართულთა მოქცევისა“ და საქართველოს ერისთავთ-ერისთავების, მეფეებისა და მღვდელთმთავართა შედარებითი სიები, შედგენილი სხვადასხვა წყაროთა მიხედვით; გაზ. „ივერია“-ში რამდენიმე წერილი სამეგრელოს სიგელ-გუჯრებისა და გრიგოლ გურიელის მიერ წ/კ საზოგადოებისათვის შემოწირულ ხელნაწერთა შესახებ; 1893 წელს—ბარათაანთ ბეთანიური გუჯარი, როგორც ვახუშტის „საქართველოს ცხოვრების“ კიდევ ერთი წყარო (რუსულად). მეფე ერეკლეს წერილები და ბაგრატ მეოთხის სიგელი (რუსულად); 1894 წელს—დასაწყისი „საქართველოს სიძველეებისა“, სიგელ-გუჯრები; 1895 წელს.—ორი კინკლოსის მინაწერი და ზოგი სხვა წყაროს ცნობები და დომენტო კათალიკოსის ორი საბუთი (რუსულად); 1897 წელს—საქართველოს სიძველეთა. სიგელ-გუჯართა მორიგი წყება; 1898 წელს—სამი მცირე ხელნაწერი სხვადასხვა რელიგიური თხზულების შესახებ (რუსულად); 1899 წელს—„საქართველოს სიძველენი“-ს I ტომი (სიგელ-გუჯრები); 1900 წელს—„სამი ქრონიკა“ (რუსულად); 1901 წელს—ერისთავთა აკათისტოს ქრონიკა, ალა-მაჰმად-ხანის ულტიმატუმი ერეკლე მეფისადმი. ყანჩათის ეამ-გულანი და მისი მინაწერები (ყველა რუსულად); 1902 წელს—წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერთა აღწერა (რუსულად); 1904 წელს—ხელნაწერთა აღწერის I ტომის მე-4 ნაკვეთი და ოთხივე ნაკვეთი ერთ წიგნად; 1906 წელს— ერთი უმნიშვნელოვანესი პუბლიკაცია, „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ვარიანტი. ოთხი დამატებითურთ („ქვაბი საგანძური“ და სამი ვაგრძელება); 1907 წელს—წალკაში ნახულ ქართულ ხელნაწერთა შესახებ (რუსულად), ცალკე წიგნად „მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა XVIII საუკუნეში (საბარათაშვილო და არაგვის ხეობა)“, შენიშვნები ვახუშტის ისტორია-გეოგრაფიის ხელნაწერთა შესახებ. რუისის სამწყსოს დავთარი, ალ. ამილახვარის პოლიტიკური ტრაქტა-

<sup>12</sup> ამავე გარემოების გათვალისწინებით არის, რომ წინამდებარე ნარკვევს ქვემოთ ისეთი ლეტალბაცია აღარ ახლავს, როგორც აქამდე ახლდა: კრებულის შემადგენელ დანარჩენ წერილთა ავტორები სათნაოდ და დაწერილებით აშუქებენ ე. თაყაიშვილის მრავალშხრივი მეცნიერული მოღვაწეობის ყველა დარგს.



ტი; 1908 წელს—ხელნაწერთა აღწერის II ტომის 2—3 ნაკვეთები; 1909 წელს —„საქართველოს სიძველენი“-ს II ტომი (სიგელ-გუჯრები, მოურავის სარგო, ვახუშტი ორბელიანის ქონების სია, პალეოგრაფიული ალბომის I რვეული—XI და XIII ს. ს. სიგელთა ფაქსიმილეები), ყანაეთის ტყავის სახარება და მისი მინაწერები, პარხლისა და ტბეთის ოთხთავები (რუსულად); 1910 წელს—„საქართველოს სიძველენი“-ს II ტომი (სიგელ-გუჯრები, ორი მზითვის წიგნი, საეკლესიო გაწერის სია, კახეთის ბაჟთა გარიგება, სადედოფლოს სია); 1912 წელს—ხელნაწერთა აღწერილობის II ტომი ცალკე წიგნად (შიგ—„ქართლის მოქცევის“ შატბერდული და ჰელიშური ტექსტები, პარალელურად); 1913 წელს—ბაგრატიონების ე. წ. „აფხაზეთის ისტორიის“ შესახებ, მოკლე ცნობები და შენიშვნები საქართველოს ისტორიიდან, ორი ჟამ-გულანი და მათი ისტორიული წარწერები, დავით ბატონიშვილის ხელნაწერი; 1914 წელს—ხონის ეკლესიის სიგელ-გუჯრები; 1915 წელს—ქუთაისის ბეგრის დავთარი, შენიშვნა „სატრაპელას“ შესახებ (რუსულად); 1916 წელს — აღიშნის IX საუკუნის სახარების ფოტოტიპური გამოცემა (რუსულად, თანაავტორი); 1918 წელს—ლაბეჭინის სახარება და მისი მინაწერები; 1920 წელს—ე. თაყაიშვილის ერთი უბრწყინვალესი აღმონაწენი, ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრიობის და სამართლის დიდად შინაარსიანი ძეგლი „ხელმწიფის კარის გარიგება“ ვრცელი გამოკვლევა-წინასიტყვაობითურთ, პალეოგრაფიული ალბომის II რვეული, „საქართველოს სიძველენი“-ს I ტომის I წიგნი (სიგელ-გუჯრები, ერეკლეს მორიგი ჯარის განჩიხება და მისივე „განწესებანი ძეთა თვისთაღმი სამეფოხსათვის“); 1926 წელს—„საქართველოს სიძველენი“-ს III ტომის დამატება; 1928 წელს—საქართველოს გონებრივი ცხოვრების ისტორიული მიმოხილვა (ფრანგულ ჟურნალში); 1933 წელს— პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და საიდუმლო დამწერლობა; 1935 წელს—ქართული ქართლარიცხვა და ბაგრატიონთა ზეობის დასაწყისი (ინგლისურ ჟურნალში); 1938 წელს—ჯვარის მონასტრის XI საუკუნის ტყავის ხელნაწერი; 1939 წელს—მეფე-კათალიკოსთა სულთა მატიაზე ნიკორწმინდის ხელნაწერში; 1948 წელს—„როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ“ და „საიდან გაჩნდა ქართლის მოქცევაში არიან-ქართლი?"; 1949 წელს—„სუმბატ დავითის ძის ქრონიკის“ მესამე შეგვებულ-შესწორებული გამოცემა; 1950 წელს—„ვატიკანის ბიბლიოთეკის ორი ქართული ხელნაწერი“ და „ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერილობა“.

ისტორიულ წყაროთა ამ სახეობასთან ძალიან ახლოს დგას კიდევ ერთი სახეობა—ეპიგრაფიკული ძეგლები, რომელთა შესწავლა ე. თაყაიშვილმა (ძალიან შემცველ ნაგებობებთან მოხატულობასა თუ ნივთებთან ერთად) ხელნაწერებთან შედარებით რამდენადმე დაგვიანებით დაიწყო, მაგრამ მერე ძალიან ნაყოფიერად წარმართა. მარტოოდენ წარწერათა ამოკითხვისა და ისტორიული ინტერპრეტაციისადმი მიძღვნილი მისი შემდეგი ნაშრომები: 1890 წელს—ვალეს ეკლესიის წარწერა (დაერთო „სამ ქრონიკას“); 1897 წელს—მცხეთის არმაზის მონასტრის წარწერის გარჩევა (რუსულად); 1900 წელს — ოქონის ხატის წარწერები; 1901 წელს— აბტალის ქართული წარწერები; 1905 წელს—სამცხის სოფლების სმადის, ურთხისუბნისა და ბალაჯურის ეკლესიათა წარწერები (რუსულად); წარწერები კავკასიის მუზეუმში დაცულ და სხვა ქართულ ნივთებზე (რუსულად); 1907 წელს—წარწერები ფოცხოვის მხარიდან ჩამოტანილ ქვებზე (რუსულად); 1913 წელს—იერუსალიმის ჯვარის მონასტრის წარწერათა ნიმუშები, ბელაქნის საფლავის ქვის წარწერა. ძველი შუამთის კარის წარწერა

(ჩუსულად); 1914 წელს — მცხეთის ჯვრის მონასტრის წარწერები, საზნაოს ზატის წარწერა; 1929 წელს—სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები. I ნაწ.; 1949 წ. — დავით აღმაშენებლის ერთი წარწერის წაკითხვისათვის; 1950 წ. — სომხით-საორბელოს წარწერები, ნაწ. II. (I ნაწ. 1935 წ.).

ბევრი ამთავანი ექვთიმეს აღმოჩენილი თუ არა. პირველად გამოქვეყნებული მანც არის, ხოლო ბევრი—ხელახლა გამოცემული, დაზუსტებული ან სულ ახლებურ წაკითხული, და ყველა შემთხვევაში მისეული წაკითხვა მეტი თუ ნაკლები შენამატია ისტორიული წყაროების თანდათან მზარდი ფონდისა. აქ აღარას ვამბობთ იმ მრავალრიცხოვანსა და უფრო ვრცელ, შინაარსიან ლაპიდარულ თუ ფრესკულ წარწერებზე, როჰელთა ხელახლა ამოკითხვა, ზოგჯერ პირველად აღმოჩენა და ყოველთვის დამაჩერებელი ახსნა-განმარტებაც მოხდომია ექვთიმეს საქართველოს სულ სხვადასხვა მხარეში მოგზაურობისას შესწავილ საკულტო თუ სხვა ნაგებობებთან დაკავშირებით (რომლებზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი)—თვით ამ ძეგლთა ისტორიისა თუ საერთოდ საქართველოს ისტორიის ფრიად ღირებულ წყაროთა სახით.

ხელნაწერთა კოლექციებზე სისტემური მუშაობისას ე. თაყაიშვილს, ბუნებრივად, მოუხდა ძველი თუ შედარებით ახალი ქართული მხატვრული თუ ფილოსოფიური ლიტერატურის ძეგლების გამოკვლევა და გზადაგზა ზოგიერთის — მის მიერ განსაკუთრებით მნიშვნელოვანად მიჩნეულის ან სრულიად გასოუქვეყნებლის—გამოცემა, სათანადო გამოკვლევა-კომენტარის თანხლებით. ბევრმა მათგანმა გამოქვეყნება ჰპოვა ცნობილ ორტომიან „Описание“-ში, ზოგი რამ კი გამოიცა სხვაგანაც, ან სულ ცალკე.

როგორც ნ. მარისადმი 1888 წელს მინაწერიდან ჩანს<sup>12</sup>, ექვთიმეს ასე ესმოდა ძველი ლიტერატურის ძეგლთა შესწავლა-გამოქვეყნების მნიშვნელობა: ქართული ენის გამოკვლევა კარგად ვერ წავა. ვიდრე არ აღდგება და დაიბეჭდება ძველი ტექსტები, მათ შორის სახარებებიცა და „ქართლის ცხოვრებაც“, რომელიც „ერთი უძველესი მწერლობის ნაშთია“ და რომლის ნამდვილი „ტექსტის აღდგენა მიუცილებელი საჭიროა როგორც ისტორიისათვის, ეგრე ლინგვისტური გამოკვლევისათვის“. ამ უკანასკნელის ხელნაწერთა დაბეჭდილთან შედარების პარალელურად ექვთიმე, სათანადო კომისიის სხვა წევრებთან ერთად, გამოსაცემად ამზადებს თეიმურაზის „სარკე თქმულთა“-ს და სთხოვს მარს, პეტერბურგში მყოფი ხელნაწერების ვითარება აცნობოს; თან უკმაყოფილოა, ისე ვბეჭდავთ, რომ „ჩვეულობრივი აქაური გამოცემა იქნებაო“. აქ იგი აშკარად იმას გულისხმობს, რომ კომისია ყველა ხელნაწერს არ ითვალისწინებს, არ აჯელებს მათ ერთიმეორესთან და საერთოდ, არაკრიტიკულად სცემს თხზულებას. იმასაც აღნიშნავს, რომ „სარკე თქმულთა“-ს I ნაწილი ნაკლებ საინტერესოა. მაგრამ II — მრავალ ეთნოგრაფიულ მასალას შეიცავს და სჯობია.

ჩამოვთვლით ე. თაყაიშვილის მიერ ცალკე გამოქვეყნებულ ძეგლებს: 1895 წელს—„სიბრძნე ბალავარისი“ (5 დანამატიურთ) და „იესე ტლაშაშის კათალიკოზ-ბაქარიანი“ (საკუთარი გამოცემა); 1899 წელს—„მელის წიგნი—ვარდა-

<sup>12</sup> ე. თაყაიშვილისა და ნ. მარის სისტემური მუშაობა (წერილები და მათი ფოტოკოპიები დიულო ჩვენს ხელნაწერთა ინსტიტუტში და ლენინგრადს, მარის კაბინეტში) შეიცავს უამრავ ყურადსაღებსა და საგანგებოდ შესასწავლ მასალას, რომელიც უხვად ჰქონს შუქს არა მარტო ამ ორი, სიყამოთვე თანშეზრდილი მეცნიერის ცხოვრება-შემოქმედებას და მუდმივ ურთიერთ-კონსულტაციას, არამედ საერთოდ ქართველმცოდნეობისა და ქართული მეცნიერულ-საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის სათანადო ს.უხუბერის ვითარებასაც.

ნის იგავ-არაკთა თარგმანი სომხურით“ (საკუთარი გამოცემა); 1902 წელს— „თიმსარიანი“, თეიმურაზის თარგმანი; 1904 წელს— „სახისმეტყველი ანუ ფიზიოლოგი“—X საუკუნის ნაწარმოები „შატბერდის კრებულიდან“ (საკუთარი გამოცემა); 1914 წელს— ეფრემ მციერის „ფსალმუნთა წიგნის თარგმანების“ შესავალი 1935 წელს — ელ. თარხან-მოურავისეული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი და სხვ.

მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ძველი ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლების კვლევითი პუბლიკაცია მოქცეულია ე. თაყაიშვილის სახელგანთქმული „Описание“-ს ორივე ტომში. რომლებშიც მრავალი ათეული, ამჟამად მეტწილად გამოუქვეყნებელი თხზულებაა გარჩეული, გაანალიზებული და ა. შ. — „ვეფხისტყაოსნით“ დაწყებული და XIX საუკუნის I ნახევრის უცნობ შინამგოსანთა ლექსებით გათავებული. თანაც ამ შესანიშნავ კრებულში განხილულია ზოგ სხვა სიძველეთსაცავში მყოფი და ავტორისათვის ხელმისაწვდომი ზენაწერიც (მაგ., საეკლესიო მუზეუმში, რომელსაც ექვთიმე დ. ბაქრაძის სიკვდილის შემდეგ კარგა ხნით ჩამოშორდა). ისევე, როგორც ზემოაღნიშნული, წმინდა საისტორიო წყაროების მიმართ, აქაც ექვთიმეს მახვილი. მოუსვენრად მაძიებელი აზრი სცილდება მარტოოდენ აღწერილობის ფარგლებს და ნამდვილ გამოკვლევას წარმოქმნის, თუმცა კი ავტორი აფრთხილებს მკითხველს, შესწავლილ ნაწარმოებთა ისტორიულ-კულტურულ-ლიტერატურული არსის საგნებით ამოწურვას არც ვჩემულობ, მხოლოდ პირველადს ცნობებს ვაწვდი სპეციალისტებსო. იმას, თუ ნამდვილად რამდენად მეტს შეიცავს ეს. უდიდესი კეთილსინდისიერი შრომის შედეგად წარმოქმნილი კრებული, თვალნათლივ მოწმობს ოქროს მედალა, მისი I ტომისათვის 1907 წელს რუსეთის სამეცნიერო აკადემიის მიერ მინიჭებული—რაკი ეს ნაშრომი აღიარებულ იქნა „იშვითა და ძვირფას შენამატად რუსული ორიენტალისტიკისა“.

ცალკე აღსანიშნავია, სახელდობრ, ექვთიმეს ნამუშევარი „ვეფხისტყაოსნის“ ორმოცდაათიოდე მთელსა თუ ნაკლებ ხელნაწერზე (რომელთაგან ზოგი იმხანად კერძო პირებს ეკუთვნოდა) და ამის შედეგად დადგენა, რომ XVII საუკუნეზე უფრო ადრინდელი ჩვენ ჯერ არ მოგვეპოვება<sup>14</sup>; რომ ვახტანგ მეექვსეს კრიტიკული გამოცემა დაუბეჭდავს; რომ სხვადასხვა პირთ ბევრი რამ ჩაუწებთათ ხელნაწერში და ა. შ. ასევე ნაყოფიერადა აქვს ექვთიმეს გამოკვლევული „აბდულმესიანის“, „თამარიანის“, „ვისრამიანის“, „ამირან-დარეჯანიანის“, „როსტომიანის“, „ბეჟანიანის“, „ქილილა და დამანას“, „რუსუდანიანის“, „ომანინიანის“, თეიმურაზ პირველის თხზულებათა, თეიმურაზ ბატონიშვილის რუსთაველოლოგიური შენიშვნებისა და სხვათა მრავალთა ხელნაწერები. იგი ამ მხრივაც მტკიცე საძირკვლის ჩამყრელი მუშაკია ჩვენი კულტურის ისტორიაში, მის ამ სანიშნულ ნაშრომს გულდანდობით ემყარებიან სპეციალისტების მომდევნო თაობანი.

ექვთიმე თაყაიშვილმა 1889 წლიდან მოყოლებული 1921 წლამდე სისტემატურად, ზოგჯერ მეტი და ზოგჯერ ნაკლები გაქანებით, შეძლებისამებრ იმუშავა ძველი ქართული კულტურული მემკვიდრეობის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი და ფრიად მრავალრიცხოვანი ჯგუფის, ხუროთმოძღვრების ძეგლების—

<sup>14</sup> ამასთან დაკავშირებით უნდა დავძინოთ, რომ ე. თაყაიშვილი უცხოეთიდან ჩამობრუნების შემდეგ დიდი კმაყოფილებით შეეგება ვ. ცისკარიშვილის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტების, ვანისქვალების კვლევის წინაწერის, გამოცემას: აი, ახლა უკვე XV საუკუნის „ხელნაწერიცა“ გვაქვს! (იხ. ჩვენი მიერ ჩაწერილ მოგონებათა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ნაწილი).

ჟმთავრესად ეკლესია-მონასტრების და მათთან დაკავშირებული მონატურ-ლობა-წარწერებისა თუ ინვენტარისა და ხშირად აგრეთვე ჯერ კიდევ იქ დაუბრუნებული ხელნაწერების შესწავლაზე. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი იყო სურამში გატარებული ზაფხულის განმავლობაში მისი მიდამოების დავლა-დათვალიერება, მაგრამ მერე და მერე ასეთი მუშაობა თანდათან გაძლიერდა და გაღრმავდა—შეტადრე დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ექვთიმე დარწმუნდა, რომ ასეთ ძეგლებს გულშემატკივარი და მცოდნე მკვლევარი აღარ გააჩნია, ისინი კი ბევრგან განადგურება-დაკარგვის საფრთხის წინაშე დგანან და ამრიგად აუნაზღაურებელი დანაკლისი მოელის ქართული კულტურის ისტორიას. თან, იმთავითვე შემუშავებული კარგი წესისამებრ. იგი ოპერატიულად, ქართულ-რუსულად აქვეყნებს ამ ე. წ. „არქეოლოგიური მოგზაურობის“ (ჯერ მარტოხელა ექსკურსიების და ბოლოს უკვე მრავალწევრიანი ექსპედიციების) ანგარიშებს. რაც არ უნდა წინასწარული იყვნენ ეს უქანასკნელნი—და ზოგი, განსაკუთრებით ბოლოდროინდელი კი უკვე გულზოდგინედ მოფიქრებული და დამუშავებულია—, მეცნიერულად ყოველთვის სანდო და თუნდაც თითო ახალი, გონებამახვილი დაკვირვებისა თუ დებულების შემცველი არიან. ხაზგასასმელია მათი ავტორის ნამდვილი, იმ დროისათვის საესებით კვალიფიციური მომზადება ამ თავისებურ დარგში სამუშაოდაც. თუ ძველი პირველად მის მიერ არის მიკვლეული და შესწავლილი (ასეთები კი ათეულობით შემატა მან მეცნიერებას), მას უფრო დაწვრილებით ახასიათებს, ადგილს უძებნის წინამორბედთა მიერ ზოგადად მოხაზულ კლასიფიკაციის სქემაში; ათარიღებს, ხშირად წარმატებით ცდილობს მშენებელთა ვინაობის დადგენას და ა. შ. თუ ძველი უკვე შესწავლილი და გამოქვეყნებულია, ფხიზლად აჯერებს და ამოწმებს აღწერილობას. წარწერათა ამოკთვას; როცა საჭიროა. დაუბრუნებლად უსწორებს ძველ ავტორებს და ამრიგად ახალ სინალღეზე აპყავს ძველთა შესწავლის მეცნიერული დონე, განსაკუთრებით 1900-იანი წლებს შემდგომ. მოვა დრო, ქართული მეცნიერება კიდევ უფრო — წინაურდება და ეს დონეც უქმარისად გამოჩნდება, მომდევნო მკვლევარები თვით ექვთიმესაც შეუსწორებენ ბევრს რასმე, მაგრამ მისი მრავალრიცხოვანი ანგარიშები—ისევე, როგორც ზემოთ განხილული ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი ნაშრომები—დღემდე რჩება ძირითად გზამკვლევად საქართველოს ისტორიული არქიტექტურისა და ეპიგრაფიკის ძველთა შემსწავლელებისათვის. განსაკუთრებით იმ კუთხეებში, სადაც ამათუიმ გარემოების გამო მუშაობა გაძნელებულია ან (პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთის საზღვრის ძლიერ შეცვლის გამო) სრულიადაც აღკვეთილი<sup>15</sup>.

ამ საკითხებისადმი მიძღვნილი ნაშრომები—კვლევითი ანგარიშები ე. თაყაიშვილის ნაბეჭდი მემკვიდრეობის ნახევარს მაინც შეადგენენ, მეტს თუ არა. აქ ჩვენ მხოლოდ მათ თანმიდევნებით ჩამოთვლას თუ მოვახერხებთ: 1890 წელს—იტრიისა და ზემოჭალის ეკლესიათა და ნივთების აღწერილობა („სამ ხრონიკას“ ერთგის); 1897 წელს—თბილისის მეტეხის საყდრის ხის ოღკი; 1893 წელს—რეცენზია ივ. როსტომაშვილის ნაშრომზე ჯავახეთის ხუროთმოძღვრების

<sup>15</sup> ჩვენ პირადად დავრწმუნებულვართ, თანამგზავრ კოლეგებთან ერთად, თუ რაოდენ საიმედო და წამაქნებელი დსაყრდენია ე. თაყაიშვილის ამგვარი ანგარიშები—რა თქმა უნდა, ვახუშტისთან ერთად—ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციებისათვის. როდესაც (1948/49 წწ., აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით) გვიმუშავნია ქვემო ქართლს, თეორიულად რაიონში. მეორე მხრივ კი გვიგარანია ნამდვილი ნაკლულევანება ივრის ხეობაში მომუშავე ისეთვე ექსპედიციაში მონაწილეობისას. რაკი ე. თაყაიშვილს იქ მუშაობა არ მოუხდა.

ძეგლთა შესახებ (რუსულად); 1900 წელს—ოქონის ხატი და მისი წარწერები; საჩინო-ვანის ძეგლთა აღწერა; 1901 წელს—გურიის ზოგი ძეგლი—აკი, ლესი-ური, მაკვანეთი, გურიანთა, გორისფერდი და შემოქმედი; ქართლის ზოგი ძეგლი—ურბნისი, სკრა, რუისი და გარშემო სოფლები; 1902 წელს—ქართლის ახალქალაქი, თელავი, იყალთო, შუამთა, ქისტაური; 1904 წელს—თეთრიწყარო და მისი მიდამოები: აძლივი, მაწევანი, ჩხიკვათა. აბელია. პირღებული, გულდარები, სამშვილდე (რუსულად); 1905 წელს—ზარზმის, საფარისა და ჭულების მონასტრები და მათი მოხატულობა, ოქროს ციხე და სამცხის ზოგი სხვა მცირე ძეგლი, აგრეთვე მახვილი პოლემიკური შენიშვნა დ. დევიტსკის წერილზე ფოცხოვის უბნის ძეგლთა შესახებ (რუსულად); 1907 წელს — გურიის ზოგი ძეგლი (რუსულად); კონსტანტინე ძუხრანბატონის ვერცხლის ალამი; 1909 წელს—სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რამდენიმე მხარის (სამცხის, ჭავჭავთის, არტაანისა და ოლთისის) ქრისტიანული ძეგლები და ზოგიც სხვა ძეგლი, 1902 წელს დაეღილი (მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კრებულის *Материалы по археологии Кавказа-ს XII* ნაკვეთში, რომელსაც აღნიშნულმა საზოგადოებამ ოქროს დიდი მედალი მიანიჭა 1910 წელს); 1913 წელს—ქვემო ქართლის ძეგლები, ადრინდელი მოგზაურობისას შესწავლილი (დღევანდელი წალკის რაიონის 40-ზე მეტი პუნქტი, გომარეთის უბნისა და ქციის ხეობის 16 პუნქტი, მანგლისის უბნის 6 პუნქტი) და იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია თბილისში; 1914 წელს—სამეგრელოს 19 ძეგლი (მათ შორის მარტვილი, ცაიში და სხვ.). ხონის ეკლესია, საზანოს ეკლესიის ხატი; 1915 წელს—უბისი. ხონი. საზანო, დუშეთის მაზრის (არაგვისა და ქანის ხეობათა) 10 ძეგლი, მათ შორის ბოდორნა, ლარგვისი და სხვ. და ტყვირის ეკლესია სამეგრელოში (რუსულად); 1916 წელს—სუჯუნის ეკლესია სამეგრელოში (რუსულად); 1918 წელს—ოყურეთის ეკლესია და ნიეთები; 1919 წელს — შენიშვნები ზარზმის ტაძრის შესახებ; 1920 წელს—ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენის კატალოგი; 1922 წელს—გულუჯარის ეკლესიის სიძველენი (რუსულად); 1924 წელს—ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი (ე. თაყაიშვილის მიერ შესწავლილ ძეგლთა ანაზომები და ნახაზები); 1927 წელს—სამეგრელოსა და ვანის ძეგლები (რუსულად); 1929 წელს—ქართული სიძველენი ევროპელ ანტიკვარებთან (ვახ. „საქართველო“); 1935 წელს—ვანის სახარება (ფრანგულად); 1936 წელს—წალეხჯიხის ჯვარცმის ხატი და ყვირილის ხეობის ოთხი ბაზილიკა (ინგლისურად); 1937 წელს ცალკე ვრცელ წიგნად, ოღონდ დაუსურათებლივ—„არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“ (ლეჩხუმის 13 ძეგლი, ქვემო სვანეთის 21 ძეგლი, თავისუფალი სვანეთის 39 ძეგლი და სადადეშკელიანო სვანეთის 11 ძეგლი, აგრეთვე მრავალი მცირე საგანი და ზოგი სხვა სიძველე); რამდენიმე წერილი (მათ შორის კანკელების, იერუსალიმის დაფარისა და ენჭერის. ლაბუქინისა და მესტიის ხატებისა და სხვ. შესახებ) ინგლისურად; 1938 წელს—ცალკე, დაუსურათებელ წიგნად, „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს“ (7 ძეგლი კოლაში, 38 ძეგლი—მათ შორის ბანა—ოლთის-მანიაველად“ იყო ზეერი თელსაჩინო პიროვნებაც კი განწყობილი ერის სანუკვარი რელიეზულ მხარეთა ძეგლების შესახებ; 1948 წელს—სადგერ-ჩხარის ჯვარი და ნაქარგი გარდამოხსნა; და გორისჯვრის ჯვარი; 1949 წელს—იკორთის მხატვრული ნაქარგობანი, მამნე ოქრომჭედლის ნახელავი ჯვარი; 1950 წელს—პერევიის ძეგლი ეკლესია და ჩხარის ეკლესიის სიძველენი; 1952 წელს—დიდი, სა-

უცხოოდ დასურათებულა წიგნი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამგვარი ანგარიში, „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“, რუსულად (ქართულად იგივე წიგნი გამოიცა 1960 წელს). ეს იყო უკანასკნელი ნაშრომი, რომლის ბეჭდვასაც ავტორი ბოლომდე აღევნებდა თვალყურს, თუმცა მის გამოსვლას მაინც ვეღარ მოესწრო; „არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში“. გამოცემული 1963 წელს, ავტორის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

როგორც ვხედავთ, ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობას ქართული ხელოვნების ძეგლების გამოსავლინებლად და შესასწავლად მეტ-ნაკლები სისავსით მოუტაცავს ისტორიული საქართველოს შემდეგი მხარეები: გურია, სამეგრელო, ქვემო და ზემო იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ქვემო და ზემო სვანეთი, შიდა ქართლი, შიდა კახეთი, ქვემო ქართლი (თეთრიწყარო, დმანისი, წალკა, მანგლისი), სამცხე, ჭავჭავეთი, ტაო. თორთუმში. ისპირი, კოლა. ოლთისი.

ამასთანავე, იგი ჩვეულებისამებრ, რაციონალურად არჩევდა სავლელ კუთხეებს და არ იმეორებდა იმ მარშრუტებს, რომლებიც მის სანდო წინამორბედებს უკვე გაეთვალათ (მაგალითად, აღარ სწევვია შავშეთ-კლარჯეთს, ნ. მარის მიერ შესანიშნავად შესწავლილს). რა თქმა უნდა დასანანია, რომ მან სრულიად ვეღარ მოასწრო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, გარე კახეთის, აჭარის, აფხაზეთისა და ახლანდელი სამხრეთ ოსეთის დავლა, და ზოგი კუთხის უფრო დაწვრილებით შესწავლა, მაგრამ რაც მოასწრო, ისიც ნამდვილად გასაკვირველია: საამისოდ ხომ იგი, როგორც ვიცით, თავის არდადეგებს იყენებდა, ისე რომ თითქმის სულ აღარ ფიქრობდა ხოლმე დამსახურებულ დასვენებაზე; არაფრად აგდებდა არც მეტივან ფეხსა და არც ხშირად ძნელსავალ კლდე-ღრესა თუ უდაბურ ტყეს, არც უამინდობას; სადაც შეიძლებოდა, ეტლს ან ცხენს იყენებდა; თუ ძალიან გაუჭირდებოდა, მსალებლებს ააყვანიებდა თავს ძეგლზე. უკან კი არასოდეს დაიხევდა. მართალია, მას ბევრგან უწყობდა ხელს ადგილობრივი ქართველი ინტელიგენცია, მემამულენი თუ თანამდებობის პირნი (რომელთა შორისაც თანდათან მატულობდა მის ნამოწაფართა რიცხვი), მასპინძლობდნენ და ტექნიკურად უადვილებენ სავლელ მუშაობას. მაგრამ მთავარი და გადამწყვეტი მაინც იყო მისი შეუწინაღებელი თავგამოდება, საქმიანი, ფხიზელი ენთუზიაზმი, რასაც ნიადაგ ალვივებდა იმის შეგნება, რომ თუ მან ახლავე არ შეისწავლა ეს ძეგლები, ბევრი მათგანი შეიძლება დაეკარგოს მეცნიერებას. ყოველი ექსპედიციიდან ჩამოჰქონდა ჩანაწერებით სავსე წიგნაკები და რვეულები; მერე და მერე აგრეთვე თანმხლებ არქიტექტორთა და ფოტოგრაფთა ანაზომები და სურათები, ხოლო ზოგჯერ—სამუზეუმოდ განკუთვნილი, გადასარჩენი არქიტექტურული დეტალები თუ ცალკეული საგნებიც.

განსაკუთრებით უმადლის ქართული სიძველეთმცოდნეობა ე. თაყაიშვილს, ჯერ ერთი, ქვემო ქართლისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აწ საზღვარგარეთ მოქცეულის) ძეგლთა ჭიროვან ფიქსაცია-გამოქვეყნებას, რამაც წარმოაჩინა ერთი მჭევრმეტყველი მოწმობა შუა საუკუნეებში იმ მხარეთა მკიდროდ დასახლებულობისა და კულტურული სიძლიერისა და მეორე—ზოგი ისეთი ნაგებობისა თუ ნივთის მეცნიერულ უკვდავყოფას. რომლებიც მას შემდგომ სხვადასხვა უკუღმართობამ იმსხვერპლა (თუნდაც იმავე სვანეთსა და რაჭაში). გარდა საკულტო არქიტექტურა-მხატვრობის ისტორიისა. მისმა ამ დაუღალავ-მ. შრომამ უამრავი ძვირფასი მასალა შესძინა შუა საუკუნეთა ქართული ოქრო-მკვდლობის ისტორიასაც. არ შეიძლება არ აღინიშნოს მის მიერ მართებულად

უკუგდებული აზრი, თითქოს სვანეთში მხოლოდ ბარიდან განიზნული ვერცხლის ნივთები იყო შემორჩენილი: მან დაამტკიცა, რომ იქაური ნივთების დიდი უმეტესობა იქაურივე ოსტატების ნახელავია, ე. ი. სვანეთში ოქრომჭედლობა ძალიან ყოფილა განვითარებული. დიდი ღირებულება აქვს მის მიერ შესწავლილ ინსიგნიებს სვანეთის ერისთავებისა—მით უმეტეს, რომ საქართველოს მეფეებმა ასეთი აღარა შემოგვრჩენია-რა.

მისცა, უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად ჩვენს დაუდგრომელ მკვლევარს უნდა ჩაეთვალოს ტაო-თორთუმ-ისპირის ექსპედიცია, რომელიც მან მოაწყო პირველი მსოფლიო ომის მიწურულს, 1917 წლის ზაფხულში: ისარგებლა იმით, რომ თურქეთის ფრონტზე რუსის ჯარის ძლევამოსილი წინსვლის შედეგად მტკვრისა და კოროხის სათავეები—ძველისძველი ქართული მიწა-წყალი და კულტურის ერთი უღონიერესი კერა, ბაგრატიონთა თავდაპირველი სამფლობელო და მამული არა თუ გათავისუფლდა, არამედ საომარი მოქმედების ზურგშიც კი მოექცა. ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავდა არც უსაფრთხოებასა და არც მგზავრობის სიადვილეს: პირიქით. მძვინვარე ომისაგან განადგურებულსა, არეულსა და დამშეულ მხარეში უხდებოდათ წასვლა. ყოველივე ეს რომ გაუთვალისწინებია, ექვთიმე თაყაიშვილს ანდერძიც კი დაუტოვებია მეუღლისათვის, თუ ცოცხალი ვერ ჩამოვბრუნდებოდა, მოკრძალებით დამმარხვით, არავინ შეაწუხებთ და ჩემი ქონება კი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას დარჩესო. იმეამდ თვით ექვთიმესაც, აღნიშნულ საზოგადოებასაცა და მათი მუშაობის მიზნებსაც უკვე საყოველთაო აღიარება ჰქონდა მოპოვებული ქართველობაში და ამ ექსპედიციისათვის საჭირო სახსარი, საერთო გაჭირვების მიუხედავად, სწორედ ჩვენი საზოგადოების მოწინავე წრეებს გამოუღიათ. ხოლო ადგილობრივ ძალიან დიდი დახმარება აღმოუჩენიათ ქართველ ოფიცრებს. ექსპედიცია ყველა უწინდელზე უფრო მრავალრიცხოვანი ყოფილა (მონაწილეობდნენ ა. კალგინი, დ. შვეარდნაძე, ლ. გუდიაშვილი, მ. ჭიაურელი და სხვ.). ხოლო ძეგლების ფიქსაცია — მაქსიმალურად სრული. ექსპედიციამ, რომ იტყვიან, „სულზე მიუსწრო“ იქაურ ძეგლებს. ვინაიდან რამდენიმე თვის შემდეგ ის მხარეები კვლავ თურქეთმა ჩაიგდო ხელში და დღემდე ფლობს მათ.

ექსპედიციის მიერ ჩამოტანილი მასალები, სხვა აღრიხდელ მასალებთან ერთად (ანაზომები, გეგმა-პირლები, მოხატულობის ასლები, რელიეფთა მულაჟები და სხვ.) საფუძვლად დაედო ძველი ქართული ხელოვნების მემკვიდრეების იმ შესანიშნავ გამოფენას, სათანადო კატალოგიტურთ. რომელიც 1920 წელს მოეწყო და რომელმაც თან დიდად ასიაშოვნა, თან კი გააოცა ჩვენი ინტელიგენცია: უმეტესობისათვის სრულად მოულოდნელი იყო ესოდენ ბრწყინვალე კულტურული მემკვიდრეობა, რომლის ნამდვილი ფასი მანამდე მხოლოდ თითო-ორთა ენთუზიასტმა სპეციალისტმა იცოდა. ეს გამოფენა, გარკვეული თვალსაზრისით, მისი მომწყობის ე. თაყაიშვილის ოცნებეტი წლის დაუცხრომელი მოგზაურობა-კვლევის ანგარიშიც იყო და მის მიერ გაკეთებულ მრავალ საქმეთა შორის ერთ-ერთი უთვალსაზრისოც.

ე. თაყაიშვილის მთელი ეს კვლევითი მოგზაურობა იმავე დროს არის ძეგლთა დაცვა-შემონახვის მუდმივი. შეუწელებელი ღონისძიებაც—თუნდაც იმის გამო, რომ მან მეცნიერებაში შემოიყვანა და პირველადი ფიქსაციით მაინც სამუდამოდ უკვდავყო მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლი. რომლებიც მისი მეცნიერი წინამორბედებისათვის უცნობი დარჩენილა: გაუდაბურებული ქვემო ქართლის უძრან ტყეებში შემალული თუ კლარჯეთის მიუვალ კლდეებში მიკარ-

წელი ეკლესია-ნამონასტრები, ან უბატონოდ დარჩენილი თუ ჩარჩობის საგნად ქცეული ნივთები, ან სანაგვედ განწირული ხელნაწერები. მაგრამ, გარდა ჭოგელივე ამისა, ექვთიმე საჭიროებისამებრ აქტიურად მონაწილეობდა ბექდურის სიტყვით, ფულადი შემწვობითა თუ თავისი ცნობილი ორგანიზატორული სიმარჯვით—ცალკეულ, განსაკუთრებით ძვირფას ნაგებობათა დაცვაში ბუნების სტიქიონისა თუ უკუღმურთა მიერ დაზიანება-განადგურებისაგან. მაგალითისათვის საკმარისი იქნება გავიხსენოთ: უცხო ბერების მიერ საფარის მონასტრის ფრესკების შელესვა-წახდენის წინააღმდეგ ხმის ამაღლება (მოსკ. არქეოლ. საზ-ბის კავკასიის განყოფილებაში, 1903 წელს); მცხეთის ჯვარის საყდრის შევლისადმი ავტორიტეტული მოწოდება 1910-იანი წლების ქართულ პრესაში; ნაყოფიერი მონაწილეობა (თავის მეგობართან, მუღმივ თანაშემწესთან და თანამგზავართან, ამ საქმის მოთავესთან, არისტო ქუთათელაძესთან ერთად) ბეთანის შესანიშნავი ტაძრის შეკეთებასა, მისთვის მუღმივი მეთვალყურის მიჩენაში და ნორვეგიელი მხატვრის კრონის გამოყენება იქაური მოხატულობის ასლის გადმოსაღებად; ქვემო ქართლის (ბოლნისის მხარეს) დაბურულ ტყეში მიგნებული სათხის საყდრის ნანგრევებიდან სათავადაზნაურო გიმნაზიის მნის მეტრეველის დახმარებით ქვის კანკელის ნაწილების ჩამოტანა თბილისში (ახლა ხელოვნების მუზეუმშია).

სავსებით ასეთივე, ჩვენი კულტურის ისტორიისათვის ფასდაუდებელ, ბედნიერ ღონისძიებად უნდა მცვიჩნით მუსიკოს ფილიმონ ქორიძის მივლინება გურიაში იქ უნიკალურად შემორჩენილ მოხუც მომღერალთაგან ძველისძველი ქართული საეკლესიო საგალობლების ჩასაწერად, რაშიც ე. თაყაიშვილი აგრეთვე აქტიურად (პირადი სახსრებითაც) მონაწილეობდა, იმავე ა. ქუთათელაძესთან და სხვებთან ერთად და რამაც შთამომავლობას შემოუნახა ბრწყინვალე საუნჯე—ნოტური ჩანაწერების 12 რეეული, რომელნიც იმხანად საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კუთვნილებად იქნენ.

არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურება იმ გარემოებაში, რომ ბურჟუაზიულ თბილისში აგებულ იქნა ერთადერთი ქართული საერო შენობა—სათავადაზნაურო ბანკი (ამჟამად კ. მარქის სახელობის, საჯარო ბიბლიოთეკა ეცხოველის ქუჩაზე), რომელიც საბჭოთა თბილისისაც ერთ-ერთი ნამდვილად დამამშვენიებელია. საადგილ-მამულო ბანკი რომ მოღონიერებულა, გამგეობას გადაუწყვეტია თავისთვის სახლის აგება, ექვთიმეს უსარგებლია ამ შემთხვევით და, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, დაურწმუნებია გამგეობა, ეროვნული ხუროთმოძღვრების ნიმუშების მიხედვით შეედგინათ ამ შენობის პროექტი: გამოუღებინებია საამისოდ თანხა და მიუვლინებინებია მხატვრითურთ საქართველოს ძეგლთა ამ თვალსაზრისით შესასწავლად და გადმოსაღებად იმავედ საქართველოში ახლად ჩამოსული ნიჭიერი არქიტექტორი ა. კალგინი, რომელმაც შემდეგ შეადგინა ბანკის შენობის პროექტი და მართლაც ძალიან დიდი გემოვნებით, მოხდენილად გამოიყენა ქართული ისტორიული ხუროთმოძღვრების მემკვიდრეობა.

ყოველივე ეს, ძალზე მოკლედ თქმული, გვაძლევს სრულ საფუძველს იმის განსაცხადებლად, რომ ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურება ქართული კულტურის „მიწისზედა“ ძეგლებისა და მათი თანმხლები წერილობითი წყაროების აღმოჩენა-შესწავლაში, მეცნიერებისათვის შემონახვაში, ე. ი. ფართოდ გაგებული წყაროთმცოდნეობის კიდევ ერთ დარგში, აგრეთვე დიდზე დიდია: მიუხედავად იმისა, რომ იგი თავიდანვე არ ყოფილა ამ საქმისათვის მომზადებულ-



ლი და მხოლოდ მას შემდეგ ჩაუჭდა სათანადო განსწავლას, როდესაც დარწმუნდა, რომ ამგვარი ძეგლები სრულიად მიუხედავად რჩებოდნენ, მოემზადა და იმ უბანს მოჰკიდა ხელი, რომელზედაც განსაკუთრებით მწვავე გასაჭირი სუფევდა. თანაც სავსებით ჭეროვანად მოემზადა ამისათვის და არა სასხვათაშორისოდ.

ე. თაყაიშვილს მნიშვნელოვანი, მუდამ დასაფასებელი წვლილი აქვს შეტანილი აგრეთვე საქართველოს წიაღისეულ არქეოლოგიაში, მაგრამ ამ საკითხს ეძღვნება ჩვენი საგანგებო წერილი, წინამდებარე კრებულშივე, და აქ სიტყვას აღარ განვაერთობთ. გავიხსენებთ მხოლოდ, რომ მისი საქმიანობის ერთ-ერთმა ღირსეულმა გამგრძელებელმა და ჩვენში ხელოვნების ისტორიკოსთა შესანიშნავი სკოლის შემქმნელმა აკად. გ. ჩუბინაშვილმა ძალიან მართებულად და მოხდენილად უწოდა ე. თაყაიშვილს „ქართველ არქეოლოგთა ნესტორი“<sup>16</sup>.

ე. თაყაიშვილის მეცნიერული მუშაობის მიმოხილვის დასასრულს უნდა აღვნიშნოთ მის მიერ ხანდაზმულობაში გამოთქმული ერთგვარი გულისტკივილიც იმის გამო, რომ იგი თითქმის მოკლებული იყო ნამდვილი კვლევის საშუალებას, რადგან მოსავლელ-დასაცავ-გამოსაქვეყნებელი ძეგლების მოზღვავებული სიმრავლე დღენიდაც სთრგუნავდა და ამძიმებდა მის, დიდხანს არსებითად მარტოკაცის, შეგნებას: „აი, ეს არ გამომჩჩეს, აი, ის არ დაგვეკარგოს!“<sup>17</sup>. ისიც უნდა ითქვას, რომ ექვთიმეს პატივისმცემელ თანამოსაქმეველსაც დასანანად მიუჩნევიათ ხოლმე მისი მოუცლევობა. ასე მაგ., მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრი ნ. დვრჯაიანი ერთ-ერთ სხდომაზე აცხადებს: „სამწუხაროა, რომ ე. თაყაიშვილს არ შეუძლია მთელი თავისი დრო მეცნიერულ მუშაობას მოახმაროს“<sup>17</sup>.

მეორე მხრივ, ყველამ კარგად ვიცით, თუ რაოდენ მაღლიერი და კმაყოფილი რჩებოდნენ ე. თაყაიშვილის „არა ნამდვილი კვლევითი“, საუბუბლიკაციო მუშაობისა ისეთი დიდი მეცნიერები, როგორც იყვნენ ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე და სხვანი. კერძოდ, ივ. ჯავახიშვილი ხომ გადაჭრით აცხადებდა შემდეგს, ჯერ კიდევ 1916 წელს: „სამოქალაქო საისტორიო ძეგლების გამოცემა შედარებით უკეთესს მდგომარეობაშია. წინათ მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის და ახლა თაყაიშვილის გამოცემათა წყალობით განსაკუთრებით მშდფლქცისა, შატბერდისეულ და კელიშისეულ წ-ა ნინოს ცხოვრებათა, სუმბატის თხზულებისა, მესხურ დავითნის მატიანისა და ქცის გადაკეთებულ გავრძელების გამოცემით ე. თაყაიშვილმა ქართულ საისტორიო მეცნიერებას დიდი სამსახური გაუწია და ყოველს მკითხველს და მკვლევარს საშუალება მისცა ქართულ საისტორიო წყაროების შესწავლას შესდგომოდა“<sup>18</sup>. ისიც აღსანიშნავია, მაგალითად, რომ ივ. ჯავახიშვილმა სავსებით გაიზიარა ექვთიმესეული განსახილვერა ერთი ზემოთ ჩამოთვლილთაგანი ძეგლის, სუმბატის ქრონიკის ხნოვანებისა XI საუკუნით<sup>19</sup>. არ შეიძლება არ გავიხსენოთ მისი ნამდვილი აღტაცება ე. თაყაიშვილის მიერ „ხელმწიფის კარის გარიგების“ უნიკალური, მართლაც ფასდაუდებელი ხელნაწერის აღმოჩენის გამო. 1908 წელს იგი პეტერბურგიდან სწერდა ექვთიმეს: „გიორგი ბრწყინვალის „კარის გარიგების“ პოვნამ ძალიან გამახარა, გულწრფელად მომილოცავს და გთხოვთ, რაც შეიძლება მალე გამოაქვეყნოთ, მოუთმენლად ველი მის დაბეჭდვასაო“. ეს სათხოვარი ექვთიმეს

<sup>16</sup> იხ. მისი რეცენზია ე. თაყაიშვილის ნაშრომზე ლეჩხუმ-სვანეთის ექსპედიციის შესახებ, *Ars Georgica*, 5, 1958.

<sup>17</sup> ИКОМАО, вып. III, 1913, протокол № 29.

<sup>18</sup> „ქველი ქართული საისტორიო მწერლობა“, 1945, გვ. 28.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 192.

მთლად ვერ აუსრულა (ძველი მხოლოდ 12 წლის შემდეგ, 1920 წელს გამოსცა, უკვე თბილისის უნივერსიტეტში), მაგრამ გადანაწერი კი აღრევე მიაწოდა ივ. ჯავახიშვილს (ისევე, როგორც ქსნის ხეობისა და ქ. გორის მოსახლეობის აღწერის დავთარი), რომელმაც ნაყოფიერად გამოიყენა ეს მასალები თავის ცნობილ ხაკვლევებში.

რუსეთს დაბეჭდილ რეცენზიაში ივ. ჯავახიშვილი ხაზს უსვამდა იმას, რომ თაყაიშვილის ხელნაწერთა აღწერა შედგენილია „მშვენიერად, გულდასმით, დაწვრილებით“ და შეიცავს „ბევრს ახალ რასმე“.

ნ. მარიც დაუფარავი კმაყოფილებით ეგებებოდა „აღწერის“ პირველსავე ნაკვეთებს და წერდა, რომ ისინი „წარმოადგენენ დიდი ხნის ნანატრ სიახლეს“ და რომ უეჭველია ავტორის „მუშაობის გულმოდგინება და წესიერება“.

ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი კ. კეკელიძე პირდაპირ აცხადებდა, ხელნაწერთა აღწერა „ასე კარგად რომ არ გაიკეთებინა ე. თაყაიშვილს, შეუძლებელი იქნებოდა ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსის მეტ-ნაკლებ მცენიერულად შედგენა“.

მკითხველის საყურადღებოდ აქვე უნდა დავძინოთ, რომ ექვთიმე თაყაიშვილი 1921 წლამდე თავის დიდ-პატარა ნაკვლევებს, ანგარიშებს, პუბლიკაციებსა თუ წერილებს ბეჭდავდა ხოლმე შემდეგ ორგანოებში: გაზ. „ივერია“, ჟურნ. „მოამბე“, ჟურნ. „კვალი“, გაზ. „ცნობის ფურცელი“, კრებ. „ძველი საქართველო“, კრებ. „საქართველოს სიძველენი“, გაზ. „სახალხო გაზეთი“, გაზ. „საქართველო“, ჟურნ. „პრომეთე“, „ტიფლისის უნივერსიტეტის მოამბე“,

„Записки Восточного Отделения Имп. Русского Археологического Общества“ (პეტერბ.) „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, „Материалы по археологии Кавказа“ (მოსკ.), „Известия Кавказского отделения Имп. Московского Археологического общества“, „Христианский Восток“ (პეტროგრ.), „Известия Кавказского Историко-археологического Института в Тифлисе“ (II ტ., გამოვიდა 1925 წ.) და რუსულად ჟურნ. „Аrs“ (თბ.). ამასთანავე იგი ზოგი აღნიშნული ჟურნალიდან გამოკრებილ ნაშრომებს ათავსებდა საკუთარ სერიებში: „არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“ (ორი ნაკვ.) და „Археологические экскурсии, разыскания и заметки“ (ხუთი ნაკვ.). ასევე გამოკრებილი „Описание рукописей...“ (რვა ნაკვეთი, ორ ტომად). საზღვარგარეთ ყოფნისას ექვთიმეს ნაშრომები და წერილები უბეჭდავს შემდეგ ჟურნალ-გაზეთებში: „დ. საქართველო“, „საქართველო“, „კავკასიონი“, „Promethe“ (ფრანგ.), „Journal Asiatique“ (ფრანგ.), „Bysantion“ (ფრანგ.-ბელგ.), „Georgica“ (ინგლ.), „Revue de l'Orient Chrétien“ (ფრანგ.). სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1946—1962 წწ. გაზ. „კომუნისტი“, გაზ. „Заря Востока“, ჟურნ. „მნათობი“, „საქართველოს მცენიერებათა აკადემიის მოამბე“ (ქართულ-რუსულად), „ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“ (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სერია), „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“ და „ლიტერატურის მატინანე“ (სახელმწ. ლიტერატურული მუზეუმის ორგანო).

\* \* \*

ექვთიმე თაყაიშვილი ისეთი მცენიერებისა და მოქალაქეების რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთათვისაც ეროვნული ჩაგვრის პირობებში პედაგოგიური, კვლევითი და საზოგადოებრივი მუშაობა განუყოფელი იყო—მით უმეტეს, რომ

ერთსაც, მეორესაც და მესამესაც თანაბრივ მწვავედ ესაჭიროებოდა მასავით განათლებული, თაოსანი და მხნე მუშაკები.

როგორც უკვე ვთქვით, საზოგადოებრივი ფხა ექვთიმემ და მისმა უახლოესმა თანამოწაფე-მეგობრებმა ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში გამოიჩინეს, როდესაც ერთგვარი ფიციც კი დასდეს, უმაღლესი სწავლა მივიღოთ და მტრე სამშობლოს ვემსახუროთო. კერძოდ, ექვთიმესა და გურიიდან, ბუშობიდანვე მის უახლოესსა და უჩვეულო ნიჭიერების გამო განსაკუთრებით დაფასებულ ამხანაგს ნიკო მარს პეტერბურგში სწავლისას გადაუწყვეტიათ, უსათუოდ თბილისში დამკვიდრებულიყვნენ და აქ, გარდა თავსარჩენი სამსახურისა, გაეჩაღებინათ განმანათლებელი საქმიანობაც. მათი 1888-89 წლების ზემოხსენებული მიმოწერიდან ჩანს, რომ კონკრეტული გეგმაც ჰქონიათ: ქართული წიგნების (ჩანს, უპირატესად ძველი ტექსტებისა და მათი მეცნიერული კომენტარის) გამოცემა, ამ გზით ნივთიერი საყრდენის შექმნა და შემდეგ საკუთარი გაზეთისათუ უურნალის დაარსება. მაგრამ როდესაც გაირკვა, რომ ნ. მარს პეტერბურგის უნივერსიტეტში ასპირანტად სტოვებენ, ექვთიმემ უყოყმანოდ ურჩია დარჩენა: შენთვისაც და საქმისათვისაც ეგრე სჯობია, რა ვუყოთ, რომ აქ შენისთანა დამხმარე და გულშემატკივარი არ მეყოლება, ისევ პედაგოგად ვიმსახურობ და თან ტექსტების შესწავლა-გამოცემაზედაც ვიმუშავებო<sup>20</sup>.

როდესაც ექვთიმე თბილისში ჩამოვიდა, აქ ისეთი ვითარება, ისეთი „კაც-ნაკლულობა“ სუფევდა, რომ, თითონაც არ მოეწადინებინა, მას მაინც ჩააბაძლენ საზოგადოებრივ მუშაობაში შოთავეები.

1888 წლის მაისში იგი, დაუსწრებლადაც კი, აურჩევია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას თავის წევრად, ხოლო 1889 წლის თებერვალში, დიშ. ბაქრაძის წინადადებით—საეკლესიო მუზეუმის კომიტეტს, ბაქრაძის თაოსნობით რომ დაარსდა საქართველოს საეგზარქოსოსთან. 1888 წელსვე ექვთიმე გამხდარა წევრი ქართული დრამატული საზოგადოებისა, რომელსაც, ჩვეულებისამებრ, ძალიან უჭირდა თურმე. 1892 წელს იგი საქმოდ ცნობილი და ნაყოფიერად მომუშავე „წიგნების გამომცემელი ამხანაგობის“ წევრია და მას სარევიზიო კომისიაში ირჩევენ. მომდევნო წლებში აქტიურად მონაწილეობს თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკთა მუშაობაში, წევრია თბილისის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებისა და ა. შ. რაც უფრო ფართოდ ხდებდა ცნობილი, წლითი წლამდე, ექვთიმეს როგორც პედაგოგის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სახელი, მით უფრო მეტი საზოგადოების, საქველმოქმედო ორგანიზაციისა, კომიტეტისა თუ კლუბის წევრად ირჩევენ მას: 1902 წელს—კავკასიის სტუდენტთა საზოგადოების გამგეობისა; 1903 წელს—თბილისის სამეურნეო საზოგადოების გამგეობისა და სამეურნეო ბანკისა, სათავადაზნაურო გიმნაზიის გამგე-კომიტეტისა; წმ. ვლადიმერის სახ. უნივერსიტეტის ქართული სათვისტომოსი (საპატიო წევრი); 1913 წელს—ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებისა (საპატიო წევრი) და მცხეთის ჯვარის სარესტავრაციო კომიტეტისა; 1916 წელს—მიწათმოქმედების სამინისტროს კავკასიის კუსტარული კომიტეტისა; 1915 წელს კავკასიაშია ჭაქიზი ხელოვნების წამქეზებელი საზოგადოებისა (წევრი-თანამშრომელი), ახალი კლუბისა და თბილისის „კრუჟოკისა“. მე-3 გიმნაზიის ხელმოკლე მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებისა და ა. შ.

<sup>20</sup> იხ. აგრეთვე ე. თაყაიშვილის „მოგონებები“, ეურნ. „მნათობი“, 1958, №4, გვ. 186 და 1959, № 5, გვ. 178.

რაც შეეხება წმინდა სამეცნიერო ორგანიზაციებს, ე. თაყაიშვილი არჩეული იყო რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის წევრ-თანამშრომლად (1894 წელს), პეტერბურგის რუსული არქეოლოგიური საზოგადოების წევრად, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების წევრად (1901 წელს); ჯერ მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად და შემდეგ მისი კავკასიური განყოფილების წევრად (1901 წელს, როდესაც ეს განყოფილება მისი აქტიური მონაწილეობით დაარსდა, ხოლო 1905-იდან 1918 წლამდე იგი საზოგადოების მდივანი და მისი ორგანოს თანარედაქტორი იყო); აღმოსავლეთმცოდნეთა საზოგადოების თბილისის განყოფილების წევრად (1901 წელს). 1917 წელს იგი აირჩიეს ნ. მარის თაოსნობით თბილისში დაარსებული კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის (აქ არ მყოფის) ნ. მარის მოადგილედ და 1921 წლამდე უძღვებოდა მას<sup>21</sup>. საფრანგეთში ყოფნისას ე. თაყაიშვილი გახდა საფრანგეთის ნუმისმატიკა საზოგადოებისა (1922 წელს) და პარიზის ძველისძველი, აზიური საზოგადოების წევრი (შემონახული არის მის მიერ ამ უკანასკნელში 1926 წელს ფრანგულად წაკითხული მოხსენების შესავალი, რომელშიაც საუბარია სააზიო საზოგადოებაში ქართველმცოდნეობითი კვლევა-ძიების დამწყების, მ. ბროსეს დიდი დამსახურების შესახებ.)<sup>22</sup>.

საზღვარგარეთ გამგზავრებამდე კი ექვთიმეს საზოგადოებრივ-მეცნიერული მოღვაწეობა უმთავრესად მიმდინარეობდა ჯერ—დ. ბაქრაძის გარდაცვალებამდე—საეკლესიო მუზეუმის კომიტეტში (იგი ერთ-ერთი ფუძემდებელია ამ მუზეუმის ხელნაწერთა საცავისა), შემდეგ, 1888-დან 1904 წლამდე—ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში (მას დიდი დამსახურება მიუძღვის, გარდა მიმდინარე საქმეებში მონაწილეობისა და ზოგ ჩამორჩენილ ქართულ სოფელში—მაგ., თონეთში, რეზაში და სხვ.—ქართული სკოლების გახსნის ორგანიზაციისა, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების წიგნსაცავში თავმოყრილი ძველი ქართული ხელნაწერების მომრავლებაში, მეტადრე კერძო პირთაგან შემოწირვის პროპაგანდისა თუ შეძენის გაძლიერებით, და სისტემატიზაცია-კატალოგიზაციაში, რასაც მისი შესანიშნავი ორტომიანი „Описание“ მოჰყვა), ხოლო 1901 წლიდან—მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიურ განყოფილებაში, რომლის მუშაობაში მისი დიდი თაოსნობა, ორგანიზაციული თუ ლიტერატურული აქტივობა და მეცნიერულ-მეთოდოლოგიურად წამმართველი როლი სრულიად თვალნათლივა ჩანს მთელი 17 წლის მანძილზე.

მაგრამ, მიუხედავად ამ საოცრად მრავალმხრივი და ყველგან ნაყოფიერი, დიდი სიმახვილით მიმდინარე მოღვაწეობისა, ექვთიმე თაყაიშვილი მაინც არ არის კმაყოფილი. მას თანდათან უმტკიცდება რწმენა, რომ აუცილებელია შექმნა ქართული ეროვნული საზოგადოებისა, რომლის მთავარი მიზანი სწორედ იმგვარი საქმიანობისთვის ხელს შეწყობა იქნება, რომელსაც პირადად იგი უკვე კარგა ხანია, თავისი დროისა და დიდი ძალ-ღონის უმეტეს ნაწილს ახმარს, მაგ-

<sup>21</sup> ყურადღასღებია აკად. ნ. მარის მიერ ე. თაყაიშვილის ამ თანამდებობაზე წარდგინების დასაბუთება და დახასიათება მისი, როგორც „საქართველოს ისტორიის ცნობილი წარმომცოდნისა“, რომელსაც ჩატარებული აქვს „მრავალმხრივი მოღვაწეობა ამ წყაროების თეორიული დამუშავებისათვის და მოეპოვება დიდძალი ნაშრომები საქართველოს ქრისტიანულ სიძველეთა შესახებ“. (იხ. რუსეთის მეცნ. აკადემიის სათანადო განყოფილებათა ანგარიში და სხდომის ოქმი, 1917 წ.).

<sup>22</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე. თაყაიშვილის არქივი, № 1162.

რამ რომლისათვის ერთეული მუშაკების ძალ-ღონე მაინც არ კმარა და არც სათანადო ნივთიერი საფუძველი მოიპოვება. ეს არის საქართველოსა და მისი კულტურის ყოველმხრივი ისტორიის კვლევა, სათანადო ძეგლების კიდევ უფრო დაუღალავად გროვება. შესწავლა, გამოქვეყნება და, საბოლოოდ—ეროვნულ მუზეუმში თავმოყრა. ამ ამოცანას წერა-კითხვის საზოგადოება და საეკლესიო მუზეუმში მხოლოდ ნაწილობრივ თუ ემსახურება (პირველი—თანდათან უფრო ნაკლებ, სხვა საკითხებით გართული), ხოლო სრულიად რუსეთის საზოგადოებათა აქაური განყოფილებანი და დიდმპყრობელურად მომართული კავკასიის მუზეუმში—მით უფრო ნაკლებ: მათი, მხოლოდ როგორც ორგანიზაციული და საკულტურული საფუძვლის გამოყენება შეიძლება ამ მიზნით და ისიც ნაწილობრივ (ამას კი ექვთიმე მაქსიმალურად აკეთებს).

ამ მიმართულებით ექვთიმე თაყაიშვილის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს 1900 წელს შემოკრება „საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარულთა წრისა“, რასაც კმაყოფილებით გამოხმობურებიან ვაზ. „ივერია“ (№ 25) და ჟურ. „მოგზაური“ (1901 № 3). ეს მცირე წრე ბევრს ვეჯაფერს აკეთებს, მით უმეტეს, რომ რუსეთის მთავრობის მიერ აკრძალულია ასეთი საზოგადოების ოფიციალურად შექმნა. მაგრამ 1903 წელს იგი ერთ წაგნს მანც უშვებს: ეს არის „თიმსარიანი“, თეიმურაზ მეფის მიერ თარგმნილი, ე. თაყაიშვილის რედაქცია-წინასიტყვაობით.

ოფიციალურად გაერთიანების დროც მალე მოდის: 1905 წლის რევოლუციით შემდრკალი ცარიზმი იძულებულია ზოგიერთი არა-არსებითი აკრძალვა შეარბილოს და სახელმწიფო სათათბირო მოიწვიოს. ამ უკანასკნელის დადგენილებით, ეროვნულ სამეცნიერო საზოგადოებათა დაარება ნებადართულია და ექვთიმე თაყაიშვილიც დაუყოვნებლივ სარკებლობს ამ გარემოებით. იგი გარშემო იკრებს წლობით ნაცად თანამოაზრეებსა და თანამოაქმეებს. თუნდაც იმავე წერა-კითხვის საზოგადოების წიაღში. რომლის ნაყარ შტოზე უნდა აღმოცენდეს ახალი საზოგადოება<sup>22</sup> (ალექსანდრე სარაჯიშვილს, დავით კარიჭაშვილს, გრიგოლ ყიფშიძეს, სერგი გორგაძეს, კორნელი კეკელიძეს, კალისტრატე ცინკაძეს, კოტე მაყაშვილს და სხვებს). იგი ამ საქმეში აბამს თავდაზნაურობის წინამძღოლს გ. ბაგრატიონ-დავითიშვილს. ვლადიმერ მიქელაძეს. ოფიციალური ისტორიკოსს ბორის ესაძეს და ექიმ გრიგოლ გაბაშვილს. რომლებიც მასთან ერთად აწერენ ხელს დასაარსებელი საზოგადოების წესდებას. შედგენილს ექვთიმეს მიერ (ცალკე წიგნაკად გამოვიდა, ქართულ-რუსულად. 1907 წელს) და დამტკიცებულს მთავრობის მიერ. გარდა მოწინავე, პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენტებისა და ისტორიული კვლევის მონაწილე სპეციალისტებისა, ექვთიმე საზოგადოებაში იზიდავს ცალკეულ ქართველ კომერსანტებს, რომელნიც მისი და მისი თანამოაქმეების მუდმივი პროპაგანდის შედეგად უკვე მეცენატებად არიან ქცეული (მაგ. დავით სარაჯიშვილს) და შეძლებულ არისტოკრატებს (მაგ., პავლე თუმანიშვილს, მარიამ ჭამბაკურ-ორბელიანს), სპლვდელთ თუ სამხედრო პირებს და სხვათ—ყველას, ვისაც ნივთიერი შემწეობით, მარტოოდენ

<sup>22</sup> სხვათა შორის, „დედა“-საზოგადოების მესვეურთა ერთი წყება (კერძოდ, ი. გოგებაშვილიც კი) თავდაპირველად წინააღმდეგობა ახალის დაარსებას, მაგრამ როდესაც ე. თაყაიშვილის მიზანშეწინააღმდეგობას თავისი გაუტანია, ისინიც ჩაბმულან საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობაში (უცნაურია საწინააღმდეგო „საბუთი“: ე. თაყაიშვილი მხნე კაცია, ახალ საზოგადოებას მალე დააწინაურებს და ძველი ჩამოგვირგნება!).

ნაწევრო გადასახადით თუ საქმით (ძველების მოგროვებით, მეცნიერული მუშაობით) შეუძლია გამოადგეს ახალდაარსებულ საზოგადოებას.

საზოგადოების წესდება ითვალისწინებს შემდეგ საქმიანობას: საჯარო კრებების გამართვას, მეცნიერული მოხსენებებისა თუ რეფერატების მოსმენასა და განხილვას; სპეციალისტების მოწვევას ლექციების წასაკითხავად; გამოფენების გამართვას; ექსკურსიების და ექსპედიციების მოწყობას; საგამომცემლო მუშაობას; მუზეუმისა და წიგნთსაცავის დაარსებას; ფრესკების პირთა გადმოღებას; მცდელობას სახსრების მოპოვებისა მუზეუმის ასაშენებლად და თვით საზოგადოების უზრუნველსაყოფად.

ეს წესდება მთავრობამ დაამტკიცა 1907 წლის 30 ივნისს, ხოლო იმავე წლის 20 სექტემბერს, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სადემუტატო საკრებულოს დარბაზში შედგა, ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით, საზოგადოების პირველი ჩვეულებრივი საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო, ყველა შემოჩამოთვლილ პირს გარდა, კიდეც 8 კაცი. ისინი, თავმჯდომარის წინადადებით, ხუთმა დამფუძნებელმა წევრმა ჩარიცხა საზოგადოების ნამდვილ და დამფუძნებელ წევრად, კიდეც 14 კაცთან ერთად, რომელნიც ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ დაესწრნენ (მათ შორის იყვნენ პროფ. ალ. ცაგარელი, მ. ჯანაშვილი, ალ. ფრონელი, იაკ. გოგებაშვილი, ი. აბულაძე, ძმები კარბელაშვილები და სხვ.). ამრიგად სულ 38 წევრი შეგროვდა. ადრე არსებულმა „ისტორია-მწერლობის მოყვარულთა“ წრემ— ე. თაყაიშვილისავე სახით—თავის მიერ გამოცემული „თმისარიანი“ და 70-იოდე მანეთი შესწირა ახალ საზოგადოებას და თან აანაზღაურა მისი წესდების გამოცემა-დამტკიცების ხარჯი. კრებამ ფარული კენჭისყრით აირჩია საზოგადოების საბჭო (9 კაცი), სამი კანდიდატი და სარევიზიო კომისია. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ე. თაყაიშვილი, მის ამხანაგად—დ. კარიჭაშვილი, ხაზინადრად—ა. სარაჯიშვილი. მუზეუმ-ბიბლიოთეკას მცველად— ი. ფერაძე, მდივანად—ს. გორგაძე.

საზოგადოება შეუდგა ერთგულსა და ნაყოფიერ მუშაობას. თვე-ნახევრის შემდეგ მეორე „ჩვეულებრივმა კრებამ“ უკვე მოისმინა და განსაჯა ს. გორგაძის წინაარსიანი ისტორიული მოხსენება „მეფე ადერკისა და ივერიაში ე. წ. ორბეგობის შესახებ“. კამათში წამოჭრილა ერთი პრინციპულად ყურადსაღები საკითხიც: ზოგ წევრს უთქვამს, რაკი გარეშე საზოგადოებაც ესწრება, მოხსენებები უფრო პოპულარული უნდა იყოსო, ზოგს კი საჭიროდ მიუჩნევია წინასწარ პრესაში თეზისებისა და წყაროების გამოქვეყნება და რჩეულ მოხსენებათა ქართულ-რუსულად დაბეჭდვაც. ე. თაყაიშვილს უკუუგდია პირველი მოსაზრება და ნაწილობრივ—მეორეც. შემდგომი მუშაობაც უმთავრესად წმინდა მეცნიერული. კვლევითი მოხსენებების მოსმენა-განხილვაში გამოიხატებოდა და ზედნეტი პოპულარიზაციის გეზი უარყოფილ იქნა. მესამე კრებას მოუწონებია საბჭოს დადგენილება კრებულ „ძველი საქართველოს“ გამოცემისა და მისი აღსავლობის. კერძოდ, მასში საზოგადო კრებათა ოქმების გამოქვეყნების თაობაზე.

ამ კრებულებისა და ოქმების გულდასმით გადაკითხვა გვარწმუნებს. რომ საზოგადოების ორგანიზაციული საქმიანობაც, კვლევითიცა და შემკრებლობითიც, ნამდვილად მაღალ დონეზე, განუხრელად მიმდინარეობს და რომ, კერძოდ, მისი მეცნიერული პროდუქცია, ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ მასალებთან ერთად, საესებით შეესატყვისება საერთოდ იმდროინდელი მეცნიერების მოთხოვნილებას და არა მარტო შინაურ „წრეობრივ“ მუშაობას. რა თქმა უნდა, ეს, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების სულის ჩამდგმელისა და მესაჰის ე.

თაყაიშვილის დამსახურება და აგრეთვე მასში თანდათან უფრო ფართოდ ჩაბმული ისეთი მოწინავე, რუსეთში უკვე სახელგანთქმული ქართველი მეცნიერებისა, როგორც იყვნენ ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი და სხვანი. კერძოდ, ამ უკანასკნელის დიდ მოხსენებას—„ქართველ ისტორიკოსთა ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიურ შეხედულებათა განვითარება VIII—IX ს. ს.“ (1908 წელს)—ძლიერ დაუინტერესებია საზოგადოების წევრები და გარეშე მსმენელები, თუმცა კი მომხსენებელს არსებითადაც გამოკამათებიან ზოგ საკითხში (ე. თაყაიშვილიცა და სხვებაც).

საზოგადოების პოპულარობა და მისი წევრობისადმი ლტოლვა ძალზე სწრაფად მატულობს ამგვარ საგანმანათლებლო და ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებას უკვე ძალზე მოწყურებულ ქართველ ინტელიგენციასა და მშრომელეზში. 1909 წლის 1 იანვრისათვის მას უკვე 436 ნამდვილი წევრი (მათ შორის 36 დამფუძნებელი), 20 დამხმარე წევრი და 1 საპატიო წევრი (აკაკი წერეთელი) ჰყავს. ეს წევრები უკვე მთელ საქართველოში არიან მიმოძნეული, ისე რომ საზოგადოება ნამდვილად საერთო-ეროვნული, მასობრივი ხდება.

1917 წლის მიწურულში, საზოგადოების ათი წლის თავზე დაწერილ და ჯერ გამოუქვეყნებელ საანგარიშო მოხსენებაში<sup>24</sup> ე. თაყაიშვილი აღნიშნავს. რომ ამ ხნის განმავლობაში სულ გაიმართა საბჭოს 158 სხდომა და 124 საზოგადო კრება, წელიწადში საშუალოდ 12-ზე მეტი. წაკითხულ იქნა 88 მოხსენება: ივ. ჯავახიშვილისა—4, ა. ხახანაშვილისა—1, ი. ყიფშიძისა—3, ა. შანიძისა—2, დ. კარიჭაშვილისა—3, კ. კეკელიძისა—3, ს. გორგაძისა—13, პ. ინგოროყვასი—4, ი. აბულაძისა—7, გ. ჩუბინაშვილისა—1, ს. კაკაბაძისა—3, ლ. მელიქსეთ-ბეგისა—1, ალ. სვანიძისა—3, მ. ჯანაშვილისა—5, ე. თაყაიშვილისა—13 და ა. შ. უნდა დავძინოთ, რომ საზოგადოების ესოდენ აქტიურ წევართა დიდი ნაწილი შემდეგ ქართული უნივერსიტეტის პირველ პროფესორებად მოგვევლინა. საჯარო ლექციები, საზოგადოების სასარგებლოდ, წაკითხეს: ივანე ჯავახიშვილმა, ალ. ჯავახიშვილმა (ქართული ანთროპოლოგიაზე) და ე. თაყაიშვილმა (ქართული ცვრესკების შესახებ). ლექციების მოწყობას აფერხებდა სიძვირე, უბინობა და ცენზურა.

გამოფენა სულ ორჯერ მოეწყო: ა) გურია-სამეგრელოს ექსპედიციის ფოტოებისა და ანაზომებისა და ბ) ფრესკებისა (1917 წელს). რომელმაც დიდი ყურადღება მიიქცია, რუსეთშიც კი.

საზოგადოების საბჭო, იმ რწმენით, რომ საქართველოს წარსულისა და აწმყოს ჯეროვანად შესწავლისათვის აუცილებელია ექსკურსიები, დიდ ყურადღებას აქცევდა მათ და 35 მეტ-ნაკლები ხანგრძლივობისა და მნიშვნელობის მოგზაურობა ჩაატარა ქართლში, კახეთში, ქიზიყში, იმერეთში, გურიაში. სამეგრელოში, რაჭაში, ლეჩხუმში, სვანეთში, თორთუმისა და ისპირის ხეობებში (იგულისხმება ე. თაყაიშვილის დიდი ექსპედიცია თურქეთის საქართველოში, საიდა-

<sup>24</sup> პირველად იბეჭდება წინამდებარე კრებულში. ჩვენი ნარკვევის ეს ნაწილი უმთავრესად იმ მოხსენების მიხედვითა გააქვს დაწერილი. უნდა ითქვას, რომ ე. თაყაიშვილს მანამდე ბევრად ადრეც (1913 წელს) მისცემია შემთხვევა, რომ საზოგადოების ნამუშევარი საჯაროდ გამოეტანა. ეს იყო რუსი ბუნებისმეტყველებისა და მკურნალების ყრილობაზე (თბილისში), ეთნოგრაფია-ლინგვისტიკის სექციის სხდომაზე. აღნიშნული მოხსენება დაიბეჭდა 1916 წელს, თბილისშივე (Труды XIII съезда Русских Естественныхиспытателей и Врачей в Тифлисе, том VI, გვ. 433—437: „О деятельности Грузинского общества Истории и Этнографии“). მასაც ვათავებთ ჩვენს კრებულში, რუსულადვე.

იგი ამ მოხსენების წაკითხვამდე სულ ოთხი თვის წინ იყო დაბრუნებული). ექსკურსია-ექსპედიციებში მონაწილეობდნენ საბჭოს წევრები და საჭიროებისამებრ, მოწვეული საპეცილისტები. უმთავრესად მოგზაურობის შედეგად მის თავმოყრილი საზოგადოების მუზეუმ-ბიბლიოთეკის მასალები. მომხსენებელი ხაზს უსვამს ამგვარი მუშაობის განვითარების აუცილებლობას, ძეგლებს თანდათან დაზიანება-დაღუპვის გამო.

საგამომცემლო მუშაობა გამოიხატა ორი სერიის—ძველი „საქართველოს“ და „საქართველოს სიძველენი“-ს დაარსებასა და ენერგიულად ბეჭდვაში (4 და დიდი ტომი). პირველში თავსდებოდა მოსმენილი მოხსენებანი, ნაკვლევი, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალები (სულ 40-ოდე ნაშრომი), წიგნი მეორეში—სიგელ-გუჯრები, ისტორიული მიმოწერა და სხვა ძეგლები. წამა აღარ უნდა, ერთიცა და მეორეც შესანიშნავი გამოცემა და ნამდვილად სასახლო საზოგადოებისათვისაც და იმდროინდელი ჩვენი მოწინავე მეცნიერებისათვისაც. მასალების მომრავლების გამო საბჭოს დაუარსებია კიდევ ორი სერი: „ძველი ქართული მწერლობა“ (გამოვიდა კიდევაც „შაპ-ნამეს“ ქართული ტრსიები) და „ქართული ხალხური სიტყვიერება“. მსოფლიო ომის მძიმე წლებში ძალიან შეაფერხეს საზოგადოების მუშაობა და, კერძოდ, გამომცემლობაც. სულ 10 წიგნის გამოშვება მოხერხდა. ე. თაყაიშვილი სვამს საკითხს რამდენიმე საზოგადოების მიერ საერთო ტკამბის მოწყობის შესახებ.

საზოგადოების საბოლოო მთავარ მიზნად ე. თაყაიშვილს ადრინდევ მიზნდა მუზეუმისა და წიგნსაცაის დაარსება, მაგრამ უბინაობა კარგა ხანს უშლიდა ხელს საამისო მასალის გროვებასაც კი. 1908 წელს უკვე თითქმის აგებულ საზოგადოებრივ გიმნაზიაში მისმა შესვეურებმა დაუთმეს საზოგადოების მუზეუმს ჯერ ერთი ოთახი და შემდეგ კი, ექვთიმეს გულმოდგინე ცდით, მესამე სართულს მთელი მარჯვენა ფრთა, რომელშიც, იმავე ექვთიმეს გონივრული რჩევით, დიდი ყოყმანის შემდეგ (ბევრნი შემფოთებულან, „წყნეთში მიაქვთ მუზეუმო“) გადმოვიდა აგრეთვე წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმ-ბიბლიოთეკა (რომელიც ამრიგად გადაურჩა ძველ ბინაში მალე გაჩენილ გამანადგურებელ ცეცხლს!). შემდეგ ექვთიმემ საეკლესიო მუზეუმის ხელმძღვანელებიც დაყოლია გიმნაზიის შენობაში გადაბარებაზე და ამრიგად სამ მუზობლად მდებარე დარბაზში მოთავსდა სამი სხვადასხვა ქართული მუზეუმი, რომელთა დათმალეობაც ერთბაშად შეიძლებოდა და მრავალი საზიარო საკითხის ერთად აღაწყვეტაც აღვილდებოდა.

საზოგადოებას ბიბლიოთეკის დაარსების ნებართვა 1911 წლის ბოლოს მიიღია; ბოლო მუზეუმისა—1912 წლის დამდეგს. მანამდე მხოლოდ გროვდებოდა სათანადო—მეტწილ ქართველთმცოდნეობითი და კავკასიათმცოდნეობით—ლიტერატურა და ძეგლები. 1907 წელს სულ 52 წიგნი ჰქონიათ, 1917 წლის ი—9.875 (ამათში 1495 ქართული) წიგნი, 160 ალბომი (მათ შორის მრავალი შვიათი და ძვირფასი გამოცემა), 1427 ხელნაწერი და 8.000-ზედ მეტი სიგელ-უჯარა. ხელნაწერთა შორის ბევრი იყო ეტრატისა. საქმარად—დასურათებული, ოგი კი ახლად აღმოჩენილ, მანამდე უცნობ წყაროს წარმოადგენდა. უძველესი X საუკუნეს ეკუთვნოდა, უახლესი—XX ს. სიგელ-გუჯართა შორის უძველესი XII საუკუნისა იყო, უახლესი—XIX ს. დამდეგისა.

მუზეუმის ზრდას შემდეგი ციფრები გამოხატავენ: 1907 წელს სამუზეუმო ივთები სულ არ ჰქონია საზოგადოებას, 1909 წლის ბოლოს უკვე 79 ჰქონდა, 917 წლის ბოლოს კი—2.432 არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთი, 550



ნაქსოვ-ნაყერი, 62 ქანდაკება, 585 ნახატი (ისტორიულ პირთა პორტრეტები, ტიპები და სხვ.). ცალკე განყოფილებას შეადგენდა ფრესკათა პირები (73), რომელთა გადმოღებას საზოგადოება ძალზე საშურ, აუცილებელ საქმედ მიიჩნევდა, არც თუ დიდი სახსრის მნიშვნელოვან ნაწილს ამაზე ხარჯავდა და თანდათან, უცხოელთა გარდა, ახალგაზრდა ქართველ მხატვრებსაც აბამდა აქ საქმეში. 1917 წლისათვის უკვე გადმოღებული ჰქონიათ ფრესკები 17 ისეთი პირველხარისხოვანი ძეგლიდან, როგორც არის ბეთანია, საფარა, მცხეთის ტაძრები, ყინციისი, ქულევი; ტიმოთესუბანი, ნაბახტევი, გარესჯა, ბერთუბანი, ნეკრესი, ხახული, ოშკი, იშხანი და სხვ.

საზოგადოების მუზეუმში საქმაოდ მდიდარი ნუმიზმატიკური კოლექციაც შეიქმნა. მესვეურებს კარგად ჰქონდათ წარმოდგენილი მსოფლიო ნუმიზმატიკის ამოუწურველობა და მიზნად დაისახეს საგანგებოდ შეგროვება ქართული და საქართველოში მოჭრილი ფულისა, რომელიც დაასურათებდა ჩვენი ქვეყნის ისტორიის მიმდინარეობას. სამი კერძო კოლექციის (მათ შორის ერთი თვით ე. თაყაიშვილისა იყო) შეერთებით მართლაც კარგი მასალა დაგროვდა (უეარგისი და ყალბი ცალეები გამოირიცხა) და ე. პახომოვის დახმარებით დალაგდა კიდევაც ასე მოწესრიგებულმა ქართულმა კოლექციამ მოიცვა 3.883 ცალი: 1081 ვერცხლისა, 2.794—საბილენძისა და 4—ბრინჯაოსი. უძველესი იყო კოლხური თეთრი, ყახლესი—რუსულ-ქართული თეთრი, რომელიც 1833 წლამდე იჭრებოდა თბილისს. კოლექცია ბევრ უნიკუმს შეიცავდა, ბევრსაც—გაუტრკვეველს, მაგრამ თან მოისაკლისებდა მრავალ ისეთ საინტერესო მონეტას, რომლებიც რუსეთისა და ევროპის ზოგ მუზეუმს ჰქონდა.

ეროვნული მუზეუმისათვის საკუთარი შენობის მოპოვებისა თუ აშენების აზრი აღრიდანვე ჰქონდათ ამოჭრილი გულში ჯერ წერა-კითხვის საზოგადოებისა და ახლა აგრეთვე საისტორიო-საეთნოგრაფიოს მესვეურებს, მაგრამ მათ შორის ექვთიმე თაყაიშვილი იყო ყველაზე უფრო მიზანმსწრაფვილი და ამგვარ ნატვრათა განხორციელებისათვის პრაქტიკულად, ფხიანად მეტროლი პიროვნება. არც ერთ საზოგადოებას სამისოდ საჭირო თანხის ნაწილიც კი არ გააჩნდა და ამიტომ დარჩენილი იყო ერთადერთი გზა, ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი: ქართველი მეცენატის მოძებნა. ზუბალაშვილმა ეს სათხოვარი შორს დაიჭირა, სარაჯიშვილმა კი, ბოლოს, იკისრა თავისი ხარჯით მუზეუმის შენობის აგება. თვით მას ეს აღარ დასცალდა, მაგრამ ანდერძით დაუტოვა სათანადო თანხა წერა-კითხვის საზოგადოებას, რომლის წლიურ კრებაზედაც არჩეულ იქნა ე. წ. სამუზეუმო კომისია, ორივე საზოგადოების წევრთაგან შემდგარი, ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. ბევრი სხვადასხვა ცდისა და ვარიანტის საზოგადოებრივი განსჯის შემდეგ (ვინმე სვიმონიშვილს წერილობით ისიც კი შეუთავაზებია კომისიისათვის. რომ მუზეუმისათვის შეეძინათ გიორგი XIII-ის ყოფილი სასახლე ანჩისხატის მახლობლად) თბილისის თავადაზნაურობის კრებამ სამუზეუმო კომისიის თხოვნით გამოუყო მას 50.000 მანეთი, მაგრამ აქედან რევოლუციამდე მხოლოდ 15.000 მისცა. იმ ფულითა და წ/კ. საზოგადოების თანხით შეძენილ იქნა „ფიქრის გორა“, სათავადაზნაურო გიმნაზიის პირდაპირ, ვარაზის ხევს გამოღმა—ჩანს, იმ სანუკვარი აზრით, რომ სულ მალე ქართული უნივერსიტეტის მშვენიერი შენობის პირისპირ აღიმართებოდა ქართული მუზეუმის ასეთივე შენობა. შემდეგ წყნეთის ქუჩაზედაც შეიძინეს ადგილი. მაგრამ მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის შემდეგ ფულის გაუფასურებამ არარად აქცია სარაჯიშვილის ნაანდერძევი თანხაცა და სათავადაზნა-

ტრო ბანკის სახსრებიც, ხოლო მენშევიკურ ხელისუფლებას აღარავითარი საშუალება აღარ აღმოაჩნდა კულტურული საქმიანობის დაფინანსებისა.

ასე ჩაიშალა ეს ერთი დიდი ეროვნულ-კულტურული გეგმა. შეიძლება ითქვას, რომ მისი ჩაშლა ერთადერთი მწვავე მარცხი იყო. თაყაიშვილის მიერ წამოწყებული მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა. მაგრამ. მეორე მხრივ, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სულ სხვაგვარად და უმტკივნეულოდ გადაწყდა ეს საკითხი: ყოფ. კავკასიის მუზეუმი იქცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმად და მისი დებულებების შედგენაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ე. თაყაიშვილმა. ქართული სამუზეუმო საქმის ფუძემდებელმა თავის უღარესად საქმიან შენიშვნებში ჩააქსოვა ბევრი რამ ისეთი, რაც თავის დროზე დაგეგმილი ეროვნული სიძველეთსაცავისათვის მოეფიქრებინა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოს მუზეუმს მშვენიერი შენობა აეგო და შემდეგ მას ხელოვნების დიდი მუზეუმიც შეემატა. საბოლოოდ. სწორედ ამ ორმა ჩვენმა უმნიშვნელოვანესმა საგანძურმა და პირველისაგან ახლახან გამოყოფილმა ხელნაწერების ინსტიტუტმა მიიღეს მემკვიდრეობით, სხვა სიძველეთსაცავების ფონდებთან ერთად, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ზემოაღწერილი ფონდებიც. ამგვარად, ქართული მუზეუმის შექმნის იდეამ, რომლის განსახორციელებლადაც ათეული წლობით იბრძოდნენ ჩვენი მოწინავე მოღვაწეები და, უპირველეს ყოვლისა, ე. თაყაიშვილი, სავსებით კანონზოძიერი, საუკეთესო დაგვირგვინება ჰპოვა საბჭოთა საქართველოში. არ შეიძლება აქვე არ გავიხსენოთ საზღვარგარეთიდან ჩამობრუნებული ე. თაყაიშვილის, გულწრფელი ზნეობრივი კმაყოფილება იმის გამო, რომ ჩვენი ერის კულტურული საუნჯის—მათ შორის მის მიერ საფრანგეთიდან უკანვე ჩამოტანილი კოლექციების — დაცვა-შესწავლა ახლა კი საიმედო დაწესებულებათა და მუშაკთა ხელთ არის...

რაც შეეხება თვით საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას, იგი 1917-იდან 1921 წლამდეც განაგრძობდა მოქმედებას. ოღონდ, საერთო დუხჭირი პირობების შესაბამისად, ძლიერ შეფერხებითა და შენელებით. იმდროინდელი საექსპედიციო მუშაობიდან აღსანიშნავია ე. თაყაიშვილის მოგზაურობა რაჭაში 1919 და 1920 წლებში, ხოლო საექსპოზიციო მუშაობიდან—უკვე აღნიშნული გამოფენა ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა. მეტწილად ე. თაყაიშვილის ექსპედიციათა შედეგების მიხედვით მოწყობილი 1920 წელს. საზოგადოება არსებობდა მას შემდეგაც, რაც ე. თაყაიშვილი საზღვარგარეთ გაჰყვა იქ წაღებულ სამუზეუმო ქონებას (უმთავრესად სწორედ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების, წერა-კითხვის საზოგადოებისა და საეკლესიო მუზეუმთა ფონდებიდან შერჩეულს) და შეოთხედი საუკუნით მოსწყდა სამშობლოს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საზოგადოებამ, რომელსაც მრავლად შეემატა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და პირველი სტუდენტებიც, განახლებული სიცხოველით განაგრძო მუშაობა—ასეა უკვე ივ. ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით—და ათიოდე წლის განმავლობაში წარმოადგენდა ქართული საისტორიო მეცნიერების ზრდა-განვითარების მნიშვნელოვან კერას, უნივერსიტეტისა და საქართველოს მუზეუმის მხარდამხარ. მის განშტოებად უნდა ჩაითვალოს ორი წლის შემდეგ დაარსებული ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება. ამ ორმა საზოგადოებამ თითო კრებული გამოსცა, მაგრამ ეს უკანასკნელნი ნაწილობრივ თუ იტყვენ და ასახვევენ მათ წიაღში მიჩქვარე კვლევითსა და ორგანიზაციულ მუშაობას. სამაგიეროდ იმ წლებში

უნივერსიტეტი უკვე მრავლად ბეჭდავდა ნაკვლევებსაც, კრებულებსაცა და სახელმძღვანელოებსაც.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ე. თაყაიშვილის მედგარი მეცადინეობით შექმნილი და ამდენი საქმის გამკეთებელი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების რამდენადმე შორეული მემკვიდრეა ამას წინათ დაარსებული ჩვენი საზოგადოება, რომლის ერთ-ერთი, ე. თაყაიშვილის 100 წლისთავსადმი მიძღვნილი სესიის მოხსენებებიც იბეჭდება ამ კრებულში. პართალია, კოლონი-ყრი და ბურჯუაზიული საქარველოს წიაღში წარმოქმნილი საზოგადოების საპირისპიროდ, ამ საზოგადოებას კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ხანაში, საქართველოს ეროვნული კულტურის მძლავრი გაფუჩჩქენის პირობებში, უკვე სავესებით მოწიფული უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის გვერდით უხდება მოქმედება და აღარსად ევალება მათი მაგიერობის გაწევა, მაგრამ სამუშაო მას მინც ძალიან ბევრი აქვს და, რა თქმა უნდა, იგი ღირსეულადაც გაუძღვება საქმეს.

\* \* \*

როდესაც რევოლუციამდელი ხანის მიწურულში ე. თაყაიშვილისა და მისი თანამედროვე-თანამებრძოლი მოწინავე პირების საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე ვსაუბრობთ, რასაკვირველია წარმოუდგენელი იქნება, რომ ქართული უნივერსიტეტის დაარსებასაც არ შევეხოთ. ამ საკითხის ისტორია შედარებით კარვად არის ჩვენს ლიტერატურაში გაწუქებული—თავისთავადაც და ივ. ჯავახიშვილის ცხოვრება-ღვაწლთან დაკავშირებითაც. როგორც მოსალოდნელი იყო, ე. თაყაიშვილიც ამ დიდი საქმის ყველაზე უფრო მოქმედ მოთავეთა შორის აღმოჩნდა, ჯერ კიდევ მოსამზადებელ ხანაში.

ადრიდანვე იპყრობს ყურადღებას მისი და ივ. ჯავახიშვილის საქმიანი ურთიერთობა და მიმოწერა. მას შემდეგ, რაც სახელგანთქმული ივ. ჯავახიშვილი არ აირჩიეს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორად (და ამის გამო თვით მასეც მოუხდა აღმშობებულ თანამემამულეთათვის „საქმის ნამდვილი ვითარების განმარტება“ ქართულ პრესაში)<sup>25</sup>, ე. თაყაიშვილი, დარწმუნებულმა, რომ ივანეს საბოლოო სამოღვაწეო ასპარეზი საქართველო უნდა ყოფილიყო, მიმართა მას წერილით, ჩამოსულიყო და ჩადგომოდა სათავეში ახალშექმნილ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას, მასში გაეშალა თავისი მეცნიერული, მუშაობა; აღუთქვა ღბროდადრო მივლინების მოწყობა და საჭირო ლიტერატურის გამოწერა. ივ. ჯავახიშვილი დაეთანხმა, ოღონდ გადაჭრით შემოუთვალა უარი საზოგადოების თავმჯდომარეობაზე, ხელმძღვანელად თქვენ უნდა დარჩეთო.

ამასობაში რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობა თანდათან გამწვავდა, ხოლო 1917 წლის თებერვალში ცარიზმი დაემხო კიდევაც. ამის შემდეგ ზემოაღნიშნული საკითხი სულ სხვანაირად შეტრიალდა. როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილი დაუყოვნებლივ შეუდგა დიდი ხნის მოფიქრებული გეგმის განხორციელებას და თებერვალშივე პეტერბურგს მოიწვია უნივერსიტეტის გახსნის საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც ეს საკითხი გაიტანა განსახილველად ეროვნული კომიტეტის მიერ მოწვეულ კრებაზე. იმ კრებაზევე შეირჩა საბოლოოდ მომავალი სასწავლებლის ტიპი, პროფილი. შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა თბილისში ჩამოიტანა ქართული კერძო უნივერსიტეტის მზა წესდება; ინახულა ე. თაყა-

<sup>25</sup> ვაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, 26. X.

იშვილი, დაწერილებით გააცნო გვემა და სხვოვა დახმარება, „როგორც იმ უნივერსიტეტის მომავალ პროფესორს“.

იმავე წლის მაისში შეიკრიბნენ თბილისში არსებულ საზოგადოებათა წარმომადგენლები, ე. თაყაიშვილის აქტიური მონაწილეობით. კრებამ დაადგინა 1918 წლის პირველ ნახევარშივე გახსნილიყო უნივერსიტეტი და შეიქმნა ახალი, „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“, რომლის წევრებმაც დაიწყეს ზრუნვა საჭირო თანხის მოგროვებაზე. წესდების შესადგენად და საორგანიზაციო საქმიანობის გასაძლელად არჩეულ კომისიაში შევიდნენ: ი. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი და სხვ. საზოგადოებამ გამოკყო ორი, ფინანსური და აკადემიური კომისია. ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა, თავდაპირველად უნივერსიტეტს ჰქონოდა ერთი—სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომელზედაც იქნებოდა ისტორიული დარგიც. ამ უკანასკნელის მომავალი სტრუქტურისათვის არქეოლოგიის კურსის წაკითხვაც დაიგეგმა.

უნივერსიტეტი გაიხსნა 1918 წლის 26 იანვარს და ის დღე იქცა ქართული კულტურის ახალი ისტორიის ერთ-ერთ უნიშვნელოვანეს თარიღად, რომელსაც ერთნაირი ენთუზიაზმით შეეგება როგორც დედანაზე უმაღლესი სწავლის მიღებას მოწყურებული ყმაწვილკაცობა, ისე უნივერსიტეტის დამაარსებელნი და პირველი გამგებლები თუ ლექტორები. მათ შორის ე. თაყაიშვილიც. მას, პროფესორად თავიდანვე არჩეულს, 1918 წლის მაისში უნივერსიტეტის საბჭომ მიანიჭა დოქტორის ხარისხი, honoris causa. უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ-ღა მიატოვა მან გიმნაზიებში მასწავლებლობა. 1920 წელს იგი კვირაში უკვე სამ-სამ ლექციას კითხულობდა: ახალშემოსულთათვის—შესავალ კურსს (წინარეისტორიული ხანის ნაშთები, ისტორიული ხანის ნაშთების მიმოხილვა), უფროსებისათვის—ეპიგრაფიკასა და ეკლესია-მონასტერთა ისტორიას.

მის პირად არქივში შემორჩენილი კონსპექტები, ამონაწერები, ტერმინოლოგიური ძიება, გამოცდის პროგრამა და სხვა სათანადო მასალები მოწმობენ, თუ რა დიდი სიყვარულით, გულმოდგინებითა და ნოვატორული შემართებით მოჰკიდებია იგი პირველი ქართული არქეოლოგიური სალექციო კურსის შექმნას, „ახოს“ სათანადო უბნის „გატეხას“. განსაკუთრებით დასაფასებელია მისი მუდმივი მცდელობა, რაც შეიძლება თვალნათლივ დაანახვოს მსმენელებს ყოველი ახალი აღმოჩენი და დასკვნა, რომელიც კი უკუგვაგდებინებს რევოლუციამდელი, კოლონიური არქეოლოგიის მიერ დანერგილ ცალმხრივობას, დიდ-მპყრობელურ მიდგომას ჩვენი წინაპრების ძველი კულტურული ვითარების გაშუქებისადმი. იმავე დროს ყურადღებას იქცევს ლექციების შემზადებისას ამომწურავად გამოყენება იმდროინდელი საუკეთესო რუსი თუ დასავლეთ-ევროპელი არქეოლოგების, მეტადრე წინარეისტორიული ხანის სპეციალისტების ნამუშევრისა და ნაზრებისა. რაც შეეხება არქეოლოგიურ ტერმინებს, რომელთა პირველ შემქმნელად სწორედ ა. თაყაიშვილი გვევლინება, არ შეიძლება არ აღინიშნოს ბევრი მათგანის მოხდენილობა. სიმარჯვე. ქართულობა და ხალხურობა.

ქართულ უმაღლეს სასწავლებელში არქეოლოგიური მეცნიერების ე. დაწყებითი და წარმატებული ნაბიჯები ყოველთვის უნდა გვექონდეს თვალწინ.

საერთო გაკირვების წლებში ე. თაყაიშვილი ცდილობს უნივერსიტეტისგანაც მიიღოს თუნდაც მცირეოდენი ნივთიერი დახმარება თავისი საექსპედიციო მუშაობისათვის, რომელსაც იგი, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, საზღვარგარეთ წასვლამდე, ინტენსიურად განაგრძობს.

ამრიგად, ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ ე. თაყაიშვილი თავის სკ მენციერო-პედაგოგიურსა და საზოგადოებრივ მუშაობას აწარმოებს უკვე როგორც უნივერსიტეტის პროფესორი. იგი აღარ ხელმძღვანელობს, ერთხანს ჯერ კიდევ არსებულს, კავკასიურ განყოფილებას მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოებისა (იქ ლ. შელიქსეთ-ბეგი ენაცვლება), მაგრამ 1921 წლამდე კვლავ განაგებს კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტს.

\* \* \*

დგება 1921 წელი და მენშევიკური ხელისუფლების დასასრულიც ისტორიული გარდაუვალობით ახლოვდება. თებერვლის მეორე ნახევარში უკვე სრული დაბნეულობა მოიცავს მთავრობას და თბილისის დაცლა დღეების საკითხად-ღა იქცევა. 24 თებერვალს მთავრობა სტოკებს დედაქალაქს და, თითქმის დროებით, ქუთაისში გადადის. თან მიაქვს ხაზინის ქონება და თბილისის სიძველეთსაცავების უძვირფასესი, ისტორიულად განსაკუთრებით ღირებული ნაწილი.

ამ უკანასკნელის გამზადება-გაგზავნას ე. თაყაიშვილს ავალებენ, მაგრამ თვით მისი თან გაყოლება საყოველთაო პანიკაში აღარავის ახსენდება. სამოწველს მიღწეული მეცნიერი და მუზეუმთა მესვეური იძულებულია, სანაგვე ცხენ-ურმით გავიდეს სადგურში, მეუღლის თანხლებით, და დიდი გაკირვებით თავსდება უკანასკნელ მატარებელში. ქუთაისიდან მთავრობა მალე ბათუმს გადანიაცვლებს და თან მიაქვს მთელი წაღებული ქონება. ექვთიმე ვერ შორდება ერის საგანძურს, რომლის ჯეროვანად დაცვა-შენახვა ახლა მხოლოდ მას, საგანძურის ერთ-ერთ მომკრებსა და დიდ მოამაგეს შეუძლია და იმჟამად ამოწმ უფრო მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე აღარა ეგულება რა: ეს მისი ნამდვილი დიდი მისიაა. ლტოლვილი მთავრობა ბათუმშიც ვეღარ იციდებს ფეხს და ახლამის წინ რჩება ერთადერთი გზა—საფრანგეთში ემიგრაცია. იქვე მიღის სამუზეუმო ქონებაც და, მამსადაძმე, მისი განუყრელი გუშაგიც, რომელსაც ჰირივი უმძიმს სამშობლოს, ნათესავეების, თანამოსაქმე-მეგობრების, საისტორიო-ეთნოგრაფიო საზოგადოების, ახალშექმნილი უნივერსიტეტის, დაძაბული შემოქმედებითი შრომის მიტოვება და რომელსაც, მისივე სიტყვით, მუდამ აღწერილებას გვრიდა იმ მმართველი პარტიის უპასუხისმგებლობა, ახლა რომ ერის საუნჯე თან მიაქვს. მაგრამ არჩევანი აღარ აქვს და ისიც თან მისდევს ამ სუნჯეს, რათა, კვლავაც მისი სიტყვით რომ ვთქვათ: „დაიცვას იგი ყოველგვარ მოულოდნელი და მოსალოდნელი საშიშროებისაგან“. როგორც მომდევნო ვთარებამ თვალნათლივ დაამტკიცა, ის მართლაც ასე უნდა მოქცეულიყო.

ამგვარად იწყება, 1921 წლის 11 მარტს, ექვთიმე თაყაიშვილის მეოთხედი საუკუნოვანი ოდისეა, რომელიც მას მრავალ სიმწარეს ასმევს გადაძთიეთში ბიძკველი სიმწარე გამგზავრების დილასვე სცემს ელდას: ფრანგული კრეისერო რომეჭლსაც ისინი უნდა გაჰყოლოდნენ. (თანამხმელ საფრანგეთის კომისრად ივალთმაქციური შეპირებისა), დათქმულ დროზე ადრე გადის თურქეთისაკენ. ექვთიმე და მისი თანამგზავრები იძულებული ხდებიან პატარა კერძო გემში ჩაბნდნენ და მიენდონ აზვირთებულ ზღვას, რომელიც რამდენჯერმე შთანთქმს უპირებს. ბეწვზე გადაჩრჩინილი, გაოგნებულნი ჩადიან სტამბოლს. იქიდან, გაძეულთან ერთად, ძველი, ტატიო მიმომცურავი სატრანსპორტო გემით მიდის მარსელისაკენ, რომელსაც მხოლოდ 10 აპრილს აღწევენ. ქონებას აბარებ

საფრანგეთის სახელმწიფო ბანკის იქაურ განყოფილებას, ხოლო თითონ პარიზს მიემგზავრებიან. საბოლოოდ ექვთიმე პარიზის მახლობლად, შატო ლევილში სახლდება და იქ ატარებს ოცდაოთხ წელწანს.

აქ სიტყვას აღარ განვაგრძობთ ემიგრაციაში ნება-უნებურად მოხვედრილი მოღვაწის ყოველმხრივ შევიწროებულსა და უსიხარულო ყოფაზე. ექვთიმეს განსაკუთრებით ამძიებს იმის შეგნება, რომ თუ არ ეს საუბედურო გაღმობეწვა, იგი სწორედ ახლა შეაჯამებდა მშობლიურ უნივერსიტეტში თავისი საკვირველად დაძაბული შრომით მოპოვებულ უამრავ მასალას, მისი კვლევის შედეგებს. განმაზოგადებელ ნაშრომთა სახით და ნაყოფიერ მონაწილეობას მიიღებდა ახალ თაობათა გამოზრდაში, ახალი კულტურის შენებაში.

მაგრამ ექვთიმე, გამოზრდელი მოქალაქე და პატრიოტი მოღვაწე, ისეთი ადამიანების რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც ბედ-უკუღმართობა სამოქმედო ფხას კი არ უჩილუნგებს, არამედ უღესავს. რამდენადაც უხერხდება, ნელ-ნელა აწყარებს კონტაქტს ევროპის პროგრესულ მეცნიერებთან, რომლებიც პატივისცემით იღებენ მას, როგორც ცნობილსა და დამსახურებულ მკვლევარს. იგი მოხსენებებით გამოდის, ეცნობა ევროპელ ანტიკვარებთან მოხვედრილ ქართულ ძეგლებს და ზრუნავს მათ შექნაზე; დროგამოშვებით ბეჭდავს წერილებს საქართველოს ისტორია-არქეოლოგიიდან ისეთ ყურნალებში, როგორცაა *Byzantion, Journal Asiatique, Georgica* და სხვ.; ბეჭდავს ფრანგულად, ინგლისურად და ქართულად. 1937—1938 წლებში ახერხებს ორი წიგნის გამოცემას, ოღონდ, მისდა სამწუხაროდ, სურათებს ვერ ურთავს ხელმოკლეობისა გამო. ეს არის „1910 წლის ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში“ და „1902 წლის ექსპედიცია კოლა-ოლთისში“. დასამუშავებელი და გამოსაცემი ვაცილებით უფრო მეტი აქვს, მაგრამ, რაც გამოსცა, ისიც ღიდი სიმარჯვეა. 1939 წელს ატეხილი მეროვ მსოფლიო ომი კი ხელს აღებინებს ყოველგვარ ასეთ მუშაობაზე: ფაშისტების მიერ საფრანგეთის ოკუპაცია არსებობასაც კი საქნელოდ და გულს ამამღვრელად ზღის, არა თუ რისამე ბეჭდვას.

როდესაც გამოუქვეყნებელ ნაშრომებს ვამბობთ. არ შეიძლება უგულვებელყოფა იმ რამდენიმე ლექციისა, რომლებიც ექვთიმეს საფრანგეთში დაუწერია და წაუკითხავს კიდეცაც. წმინდა საგანმანათლებლო მიზნით. ეს უთუოდ საინტერესო ცდაა ყოველივე იმის შექმნისამებრ განზოგადებისა, რაც იქ ავტორისათვის ხელმისაწვდომი ყოფილა, ან მისივე ნამუშევრიდან მომდინარეობდა. ისეთი საკვანძო საკითხების ირგვლივ. როგორცაა: „საქართველო რომაელთა დროს“, „ქართული წარმართობა“, „საქართველოს გაქრისტიანება“, „აფხაზეთის ისტორია“, „ქართული ისტორიოგრაფია“, „განათლების ცენტრები საქართველოში და მის გარეთ“. „ქართული სტამბის ისტორია“, „XIX-XX ს. ს. ისტორიკოსები“, „ქართული ენის ადგილი მსოფლიოს ენათა შორის და მისი კილოკავები“ და — განსაკუთრებით ყურადსაღები — „შემდგომი კვლევა-ძიების პროგრამა“. ამ ნაწერთა საერთო მოცულობა 10 თაბახს უახლოვდება.

ზედმეტი არ იქნება აქ მოტანა მისი ერთ-ერთი, ისტორიოგრაფიული ნარკვევის შემდეგი ადგილისა, რომელიც იმასაც ცხადყოფს, თუ როგორი გულწრფელი სიამაყით შემოხაროდა იგი შორეთიდან საბჭოთა ქართული მეცნიერების არნახულ დაწინაურებას და როგორ სულდგმულობდა მისი ახალ-ახალი მინაღწევართ:

„ეხლა შეუძლებელია ბარონ ბრამბეუსის მოაზრე კაცის პოვნა. ეს ბატონი ამტიციებდა, რომ XIII საუკუნემდე არა ყოფილა რა ქართველი ერისათ.

ალარც პატრიარქის მიმყოლი კაცი გამოჩნდება, რომელიც დიდის რიხით ამტკიცებდა. რომ XII საუკუნემდე ქართველებს არა ჰქონიათ შეგნება თავის ისტორიის ქონებისა და მაშინაც უფიც ბერს შეადგენინეს ისტორიამ.

„ეხლა გვაქვს მათიანენი VII, X, IX, XII საუკუნეებისა, წყაროები V, VI, VII საუკუნეებისა და ბიბლიის ფრაგმენტები V-VI საუკუნეებისა.

„ერთი საუკუნის წინ გვყავდა დავით რექტორი, ეხლა გვყავს ევროპულ მცენიერების მეთოდებით აღჭურვილი რექტორი უნივერსიტეტისა ივანე ჯავახიშვილი და მთელი რიგი ნიჭიერ პროფესორთა. ეხლა თავის ისტორიის შესწავლას სხვას კი, აღარ ანდობენ ქართველები, არამედ თვით ავიღეთ ხელში სადავე და ინიციატივა ამ საქმისა და ეს არის მომასწავებელი ეროვნული შეგნებისა ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ ამ ბოლო დროს უკვე ბევრია გაკეთებული... ბევრია დაღუპული, მაგრამ ბევრია გადარჩენილი და მისი შესწავლა, გამოცემა და გაშუქება მოგვეცემს სრულს სურათს ჩვენი კულტურისა, მის წვლილს მსოფლიო კულტურაში შეტანილს; მოგვეცემს ნამდვილ ისტორიას ჩვენი ერისას და გააშუქებს არა ერთს ფურცელს მსოფლიო ისტორიისას. მომავალი ქართველთა ხალხის და მისი ინტელიგენციის შეგნებაზე და მუშაობაზეა დამყარებული“.

უსათუოდ უნდა გავცნოთ ექვთიმეს მიერ იქ შედგენილი პროგრამის პირველ მუხლსაც:

„რა არის გასაკეთებელი დღეს:

I. ბიზანტიელ მწერალთა საქართველოს შესახებ ყველა ცნობის თარგმნა-გამოცემა.

II. ყველა მუსლიმანი მწერლის ასეთივე ცნობების თარგმნა-გამოცემა.

III. მოსკოვ-ლენინგრადის არქივებში დაცული მიმოწერა-საბუთების გამოქვეყნების ბოლომდე მიყვანა.

IV. სიგელ-გუჯართა გამოცემის ბოლომდე მიყვანა.

V. მუზეუმებში შეკრებილ ხელნაწერთა დაწვრილებითი აღწერის დასრულება.

VI. ფოტოგრაფიულად ვადმოღება სინას მთაზე. იერუსალიმში და ათონზე დაცული ყველა ქართული ხელნაწერისა.

VII. საქართველოში ნამოგზაურევი ყველა ევროპელის ნაწარმოებისა თუ აღწერილობის შეკრება და ქართულად გამოცემა.

VIII. შეკრება და ქართულად გამოცემა ყველა სომეხი ისტორიკოსის ცნობებისა საქართველოს შესახებ.

IX. გათხრა ძველი ქალაქებისა. ციხეებისა და სასაფლაოებისა.

X. ეპიგრაფიკული მასალების შეკრების დამთავრება“.

როგორც ვიცი, დღესდღეობით ეს ამოცანები მეტწილად გადაჭარბებითაც არის განხორციელებული საბჭოთა ქართველთმცოდნეობის მიერ, მის მესვეურთა გეგმა-ხელმძღვანელობით, ხოლო ზოგ მუხლზე მუშაობა ნაყოფიერად გრძელდება მეცნიერებათა აკადემიის, უნივერსიტეტისა და ზოგი სხვა დაწესებულების ძალებით. ე. თაყაიშვილის ნანატრი უკვე „პროგრამა-მინიმუმად“ გამოიყურება, იმდენი ახალი ამოცანა და პრობლემა წამოიჭრა ჩვენს წინაშე და ბევრი კიდევაც გადაიჭრა ჯერ კიდევ სახელოვანი ივ. ჯავახიშვილის დროს<sup>26</sup> და მერე — მისი საქმის განმგრძობთა ხელში. სწორედ ეს ვარემოება იწვევდა ე. თაყაიშვილის უკიდევანო აღტაცებას აქ ჩამობრუნების შემდეგ, როცა დარწმუნდა,

<sup>26</sup> გვიხსენით მისი წერილი: „ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში“ („ენიმის მოამბე“, X, 1937).

რომ სინამდვილეს ბევრად გადაეშეტებინა მისი თითქოს არც თუ ადვილად და ისე მალე შესასრულებელი გეგმისათვის, რომლის განმახორციელებლად იგი, რა თქმა უნდა, სწორედ საბჭოთა ქართველთმცოდნეობას გულისხმობდა და არა სამშობლოს მოწყვეტილ თითო-ორილა მუშაკს.

საფიქრებელია, რომ ექვთიმეც ადრევე მოაშურებდა სამშობლოს და ჩადგებოდა მისი მეცნიერების ამლორძინებელთა რიგებში, თუ არა ყოვლად სამძიმო და თანდათანობით საშიშრად გამწვავებული ბედი საფრანგეთის ბანკში შენახული საუნჯისა. თვით ექვთიმე რამდენიმე ვზის, მაგრამ სიტყვამოპირნედ მოგვიოხრობს (ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში) ამ საკითხზე და ერთგან დასძენს: „იგი გრძელი და რთული ისტორიაა, დაწერილებით არ გამოვეცილებიო“. ამ „ისტორიის“ ძირითადი ეტაპები კი ასე გამოიყურება: საფრანგეთის მთავრობა აუქმებს მენშევიკურ ლეგაციას, ამ უქანასკნელის სახელით მიზარებული ქონების საკითხი პაერში გადმოეცილება და ე. თაყაიშვილის გადაჭრით მოთხოვნის პასუხად ემიგრაციის მეთაურები აკისრებენ—წერილობითი საბუთით—პირადად მას სამუზეუმო ქონების მეთვალყურეობის სრულ პასუხისმგებლობას, მოქმედების თავისუფლებას და საფრანგეთის მთავრობის წინაშე განძეულობის ზღაპრებულობის დაცვას. მაგრამ ყველაზე უსიამოვნო რამ უკვე მომხდარია. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ის ავანტურისტული საჩივარი, რომელიც ასტენა ემიგრანტმა ქალმა, დადიანის ასულმა და ობოლენსკის ქვრივმა. საქართველოდან გამოტანილი ნივთების დიდი ნაწილი მამაჩემისეულია და მე უნდა დამიბრუნდესო. ამ სამარცხვინო საქმემ 7 წელიწადს გაატანა და ეროვნული საგანძურის გუშაგის სრული გამარჯვებით დასრულდა. თუმცა კი მისი ძალღონისა და ღრობის დიდი ნაწილი იმსხვერპლა, რომ აღარაფერი ითქვას მომჩივნის დამქაშთა მხრივ მოკვლის ქაღიღზე, რასაც იგი, რასაკვირველია, არ შედარკობია. საფრანგეთის სასამართლომ ობოლენსკის ქვრივს კი უთხრა, საბოლოოდ. უარი, მაგრამ სამაგიეროდ განძეული უპატრონოდ გამოაცხადა და დაადგინა შესანახად ჩაბარებოდა იგი სათანადო მოხელეს. გვირად დოჟონს. რომელსაც უკვე უბარა ძველი „რუსეთის მიერ საფრანგეთში დატოვებული ქონება“. ექვთიმეს მიერ აყვანილ ფრანგ ვეიკოს მისთვის შთაუგონებ ა. ჩვენი მთავრობა მაგ ნივთებს ვერ მიითვისებს, თუ კი დავუმტკიცებთ, რომ ისინი კერძო სამეცნიერო საზოგადოების საკუთრებაა და არა სახელმწიფო. ექვთიმეს საჩქაროდ წარუდგენია საფრანგეთის მთავრობისათვის სათანადო მოხსენებითი ბარათი. მაგრამ ამაოდ. მაშინ მას, განძეულის ბედით უაღრესად შეშფოთებულს, გადაუდგამს ერთადერთი სწორი ნაბიჯი, რომლისთვისაც იგი არსებითად კარგა ხანს ემზადებოდა: ჭერ კიდევ 1935 წელს მოუწერია საბჭოთა საქართველოს მთავრობისათვის, გამოგზავნეთ დეპუტაცია, გამოატანეთ საბუთი, რომ განძეული ეკუთვნის სამეცნიერო საზოგადოებებს და მოსთხოვეთ აქაურ ხელისუფლებას მისი კუთვნილებისამებრ, საქართველოში დაბრუნებაო. აქედან მართლაც გაგზავნილა ერთი დიპლომატი, რომელსაც თითქმის მთელ თვეს უბუშენია პარიზში ამ საკითხზე, საბჭოთა ელჩისა და თვით ექვთიმეს დახმარებით, მაგრამ უშედეგოდ: საფრანგეთის მესვეურებს, ჩანს, არ ეთმობოდათ ასე იოლად „ნაშოვნის“ საუნჯე.

ექვთიმეს ვერც ეს მარცხი აყრევინებს ფარ-ხმალს და იგი უკვე პირადად აპირებს სასამართლოში ჩივილს, ოღონდ მანამდე სცდის „სოციალისტი“ პრემიერ-მინისტრის ბლიუმისაგან დახმარების მიღებას. ბლიუმი პირდება საკითხის განხილვას, მაგრამ ეს აღთქმაც ფუჭად რჩება.



იმავე 1935 წელს ექვთიმე თბილისის უნივერსიტეტს უგზავნის, საამისოდ დაბარებული მუშაკის ხელით, დიდი მთავრების ბორჯომის სასახლიდან. განძეულთან ერთად, გატანილ უნიკალურ ბიბლიოთეკას, რომელიც ფრიალ აძლიერებს უნივერსიტეტის წიგნსაცავს.

გერმანელთა მიერ საფრანგეთის დაპყრობის შემდეგ ექვთიმეს ნებისყოფისა და გამოძგონებლობის უკიდურესი დაძაბვით (და დოჟონის დანაშაულებითაც) უხერხდება განძეულის გადარჩენა ყაჩაღურად ბერლინში გატაცებისაგან. თან იგი გადაჭრით უარყოფს ოკუპანტების წინადადებას სამუშაოდ გერმანიაში გადასვლის შესახებ.

გარდა ამ დიდი საშიშროებისა, განძეულს უფრო ადრეც ეპარება ზოგი თითქოს უფრო მცირე, „მტერ-მოყვრული“ საფრთხე: ნიუ-იორკის ხელოვნების მუზეუმის ცდა მინანქრების შესყიდვისა და ბრიტანეთის მუზეუმის ცდა ახალგორის განძის რომელიმე ნივთის შეძენისა. შეუღრეკელი ბერიკაცო მრისხანედ კიცხავს ზოგიერთი, ხელის მოთბობის მოსურნე თანამემამულის სულმდაბლობას და გაახსენებს მათ, რომ მას ერის საუნჯე აბარია და არა გაჭირვების ქამს მიმოსაყიდი ნივთების გროვა.

7 განძეულის საჭირბოროტო პრობლემა საბოლოოდ, ექვთიმესავე თქმით, ერთი დაკვრით და საკეთილად გადასჭრა საბჭოთა კავშირის გმირულმა, უმაგალითო გამარჯვებამ მეორე მსოფლიო ომში, მის მიერ ფაშისმის დამსხვრევამ და უდიდესი ავტორიტეტის მოთხოვნამ ვათავისუფლებული ევროპის ქვეყნებში. საფრანგეთის მთავრობის დროებითი მეთაური, ადრე მოსკოვში მიღწეული შეთანხმების შესატყვისად და საბჭოთა საელჩოს აქტიური მოქმედების შედეგად. უბრძანებს დოჟონს, დაუყოვნებლივ დაუბრუნოს განძეული ნამდვილ პატრონს. ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის დასაწყისის შემდგომ ვერსალის სასახლეში შენახული ოცდაცხრამეტივე ყუთი საბჭოთა საელჩოში გადააქვთ.

ადვილი წარმოსადგენია ექვთიმეს აღტაცება საქმის ასე დაკვირვებების გამო: ის ხომ „გადარჩა ზნეობრივ სიკვდილს“; საუნჯე, მისი ზეადამიანური მხნეობის წყალობით ნიავემიუკარებელი და. პირიქით. რამდენადმე შემატებულცი კი უბრუნდება საქართველოს, რომლისთვისაც მისი დაკარგვა ისეთივე მძიმე დანაკლისი იქნებოდა. როგორც მრავალჯგის უგემნია შავხნელ წარსულში, უთვალავი მტრებისაგან აღჩრებულსა და სისხლისაგან დაცილილს. ბერიკაცმა პირნათლად მოიხადა მეტისმეტად საქნელო ვალი სამშობლოს წინაშე და ახლა თითონაც აქეთ იბრუნა პირა. ევროპაში აღარა დარჩენია რა, ოლონდ იქ დაკრძალული მეუღლის საფლავის მიტოვება უკლავს გულს...

ნივთების ჩალაგებისას ავად ხდება (ფილტვების ანთებით) და ამ საქმეს აქედან გაგზავნილი დელეგაციის წევრი, პროფ. შ. ამირანაშვილი ასრულებს. გულისხმიერი მოვლა-მკურნალობა და ახლად გამოგონილი პენიცილინი მალე იყენებს ფეხზე ავადმყოფს და იგი საქართველოსაკენ მოეშურება ფრთაშესხმული—ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით: ორ საბჭოთა თვითმფრინავს მოაქვს განძეული და მოჰყავს მისი ერთგული, დეაწლმოსილი მეტვალყურე, რომლის მისი უკვე ამოწურულია.

ომის ცეცხლი ჯერაც ვიზგიჟებს. ამიტომ გზავრობა საკმაოდ განზე შემოვლით. მარსელი-რომი-ბენგაზი-ქაირო-თეირანის გზით უხდებათ და უამინდობის გამო უხანგრძლივდება. პარიზიდან 5 აპრილს გამოფრენილნი მხოლოდ 11 აპრილს (მარსელში ჩასვლის სრული 24 წლის თავზე) სხდებთან თბილისის აეროპორტში, ძველი კუხეთის მიწაზე. მოხუცი სახეგაბრწყინებული,

თვალცრემლიანი იმეორებს გუნებაში, მოწაფეობიდანვე საყვარელი მგოსნის ცნობილ სიტყვებს: „ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეთ... დედაშვილობას, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმბაბარო“.

ასე თავდება ექვთიმე თაყაიშვილის ოდისეა, რომელიც იმავე დროს ქართული კულტურის ძეგლების დაცვა-პატრონობის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო დრამატულ ფურცელს წარმოადგენს.

გაზრდილ-განახლებულ და დამშვენებულ დედაქალაქს ველარა ცნობს ექვთიმე. რომელმაც სრული ოცდაოთხი წლის წინ დასტოვა იგი, მოუვლელი და აშლილი. 82 წლის მოხუცი ყმაწვილივით შეჰხარის ირგვლივ ყველაფერსა და ყველას, წელთა სიმძიმე და გადატანილი ჭირ-ვარამი ვითომც სიზმარი ყოფილა და მას ახლა ისე სწყურია საწერ მაგიდასთან მიჯდომა და განუწყვეტელი, თავდაუზოგავი შრომის განახლება, როგორც ალბათ არასოდეს სწყურებია. სხვა საზრუნავი და საქმე უკვე აღარ გააჩნია: განძეული მთავრობის კომისიის საიმედო ხელს ჩაბარდა, ხოლო სარჩოს ძებნაზე ფიქრი არ უხდება. საბჭოთა მთავრობისა და სამეცნიერო დაწესებულებათა ყოველმხრივი ხელშეწყობით უზრუნველყოფილს. სიხარული, ხალისი, უდიდესი ზნეობრივი კმაყოფილება და დაუშრეტელი შემოქმედებითი წვა—აი, რა წარმოადგენს მის ყველაზე უფრო დამახასიათებელ თვისებებს იმხანად. მის მრავალ ძველ თანამოსაქმესა თუ ნამოწაფარს გულს უამებს ეს გარემოება, ხოლო ქართველ მეცნიერთა იმ თაობებს, რომელთაც იგი ახლა პირველად დაინახეს და რომელნიც წას მხოლოდ ნაშრომებით იცნობდნენ, წრფელ სიყვარულსა და მამა-შვილური მოწიწების გრძნობის უნერგავს მისი ნაჭირნახულები და ნათელი სახე, მისი ახალგაზრდული დაუდგრომლობა.

მიუხედავად დიდი ხანდაზმულობისა, ექვთიმე ერთხანს, ვიდრე ტანმრთელობა უღალატებდა, კაბინეტში კი არ გამოეკეტლა, არამედ აქტიურად ჩაება მჩქეფარე მეცნიერულსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში: ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი გახდა და საჯარო ლექციებს კითხულობდა; სამეცნიერო სესიებზე მოხსენებებით გამოდიოდა; ჟურნალ-გაზეთებში წერილებს ბეჭუდავდა; კეთილმოსურნე, მაგრამ ფხიზელ თვალს ადევნებდა მრავალრიცხოვან კოლეგათა მუშაობას, უხვად აძლევდა რჩევა-დარიგებას, ვინც კი სთხოვდა და ა. შ. მერე და მერე კი მისი საჩუქელი მართლაც მხოლოდ ბინითა და იქ გაჩაღებული ინტენსიური მუშაობით შემოიფარგლა, მაგრამ ჩვენს მეცნიერებასთან ცოცხალი კავშირი მას საბოლოო ავადობამდე არ შეუწყვეტია.

1945 წლის 15 აპრილს ე. თაყაიშვილი საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანებით დაინიშნა უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორად. მალე მას დამსახურებული პროფესორის წოდება მიეცა, ხოლო 1949 წლის 17 სექტემბერს სსრკ უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაუმტკიცა დოქტორის ხარისხი (ჯერ კიდევ 1918 წელს უდისერტაციოდ მინიჭებული) და პროფესორის წოდება. 1946 წლის 28 დეკემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საგანგებო კრებამ ერთხმად აირჩია ნამდვილ წევრად.

ასეთი იყო მისი უდიდესი და მრავალმხრივი ღვაწლის საზოგადოებრივი და ოფიციალური აღიარება. იმ დამსახურებისა, რომელსაც იგი სამშობლოში ჩამობრუნების შემდეგაც ასე თავდაზლად ახასიათებდა: „თუმცა ჩემი მთავარი მოღვაწეობა პედაგოგობა იყო და ამას შევსწირე ჩემი ცხოვრების 30 წელიწადი, იმავე დროს შეძლებისამებრ ემუშაობდი საქართველოს ისტორია-არქეოლოგიაში, საზოგადოდ ქართული კულტურის ისტორიაში. აქ მიზნად დავისახე

საბუთების და ძეგლების შეკრება, მათი მოწესრიგება, აღწერა, გამოქვეყნება და—რაც მთავარია—დაცვა“. საბჭოთა ხალხმა და სახელმწიფომ კი უტყუარად, ღირსეულად შეათასა ეს „შედლებისამებრი“,—ნამდვილად კი გმირული—შრომა...

ჩამოსვლის შემდეგ ორი წელი რომ გავიდა, ექვთიმემ გულისყური მიაპყრო უნთავრესად მრავლად უკანვე ჩამოყოლილი ჩანაწერების ლიტერატურულ და—ნუ შევებასა და დასაბეჭდად გამზადებას. გამოქვეყნების საშუალება ახლა უკვე შეუზღუდავი ჰქონდა—უნივერსიტეტშიც, ისტორიის ინსტიტუტშიც, საქართველოს მუზეუმშიცა და საყოველთაო ჟურნალ-გაზეთებშიც. ეს მალე დაეტყო მის ისედაც მდიდარ ბიბლიოგრაფიულ სიას: 1946 წლიდან 1953 წლამდე მან მოასწრო დაბეჭდვა 16 წერილისა თუ ნაკვლევისა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: „იბერთა და ქართველთა სახელმწიფო“ („მნათობში“), „ჩხარის ეკლესიის სიძველენი“, ორ ნაწილად (საქართველოს მუზეუმის ნოამბეში), „სუმბატ დავითის ძის ქრონიკის“ მესამე შევსებულ-შესწორებული გამოცემა (ისტორიის ინსტიტუტის სერიაში). „ეპიკანის ქართული ხელნაწერები“ (უნივერსიტეტის შრომებში), „მოგონებანი ქართველ მწერლებზე“ (ლიტერატურის მატრიანეში) და კაპიტალური, უხვად დასურათებული წიგნი „Археологическая экспедиция 1917 г. в южные провинции Грузии. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამ უკანასკნელის გამოსვლას ავტორი ვეღარ მოესწრო. მისი გარდაცვალების შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ წიგნს ს. ჭანაშიას სახელობის პრემია მიანიჭა. ავტორის გარდაცვალებასვე შემდეგ დაიბეჭდა: „აპოკრიფული მოთხრობა ქართლის ცხოვრებაში“, „1917 წლის ექსპედიცია“ ქართულად, უორდროპისეულ ქართულ ხელნაწერთა და თარგან-მოურავისეული „ვეფხისტყაოსნის“ აღწერა, ვრცელი მოგონებანი („მნათობში“, 1958-59 წ. წ.) და „არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში“. თავის ღრობე ამზადებდა, მაგრამ გამოუქვეყნებელი დარჩა<sup>27</sup>: „სუმბატის ქრონიკისა“ და „ეპიკანის“ რუსული თარგმანები; ჭრუჭის, მღვიმევის, ჭყონდიდის, გელათისა და ზუგდიდის კარის ეკლესიათა სიძველეები; ზუგდიდის სასახლის ვერცხლის ნივთთა წარწერები; „როგორ იწყებოდა ვეფხისტყაოსანი“, „განძეულობის საზღვარგარეთ წაღებისა და დაბრუნების ისტორია“; „ევროპაში ნახული ქართული სიძველენი“; „ოსმალეთის საქართველოს მიმოხილვა“; „ბოცო-ბასილი“; „ერან-გულ-ქართული ლექსიკონის მასალები“; სხვადასხვა მოგონებანი.



უკანასკნელი, საბედისწერო ავადობა მოხუცს 1952 წლის ბოლოს უკვე იზღენად მოერიდა, რომ ყოველგვარ მუშაობაზე ხელი ააღებინა, საანდერძო გუნებაზე დააყენა და გაახვია მძიმე ფიქრებში მოახლოვებული აღსასრულის, საშუაოს ბოლომდე მიიწე ვერ მიყვანის შესახებ... ეს აღსასრული დაუდგა 1953 წლის 21 თებერვალს (დილის 6 საათზე), თავისი ღრმად შინაარსიანი სიცოცხლის 91-ე წლის მეორე თვეში გადამდგარს. 24 თებერვალს ექვთიმე თაყაიშვილი მიწას მიაბარეს ვაკის სასაფლაოზე, ქართველ მეცნიერთა განსასვენებელში.

1963 წლის 10 მარტს, დაბადებიდან 100 წლის თავთან დაკავშირებით, ექვთიმეს ნეშტი გადასვენებულ იქნა დიდუბის, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში,

<sup>27</sup> ახლა უკვე შეგვიძლია კვალივით განვაცხადოთ, რომ აქ ჩამოთვლილ ნაშრომთა უმეტესობა (მეტ-ნაკლებ დასრულებული) შევა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ დაგეგმილ ორტომეულში ე. თაყაიშვილის ნაწერებისა.

სადაც მარხიან მისი ძველი მეგობრები და მასავით ამაგდარი თანამოსაქმეები, რომელთა ღირსეულად დაკრძალვაზედაც მას ოდესღაც ბევრი უზრუნავს.

25 მარტს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და თბილისის უნივერსიტეტმა, ამ უკანასკნელის დარბაზში გამართეს სხდომა, მიძღვნილი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის, უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლისა და პირველ პროფესორთაგანის, აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნისადმი, აკად. ნ. მუსხელიშვილის თავმჯდომარეობით. სხდომაზე მოსმენილ იქნა სამი მოხსენება: პროფ. შ. მესხიასი („ე. თაყაიშვილის ცხოვრება და მეცნიერული მოღვაწეობა“), აკად. გ. ჩუბინაშვილისა („ე. თაყაიშვილი და ქართული ხელოვნების ძეგლები“) და აკად. ა. ბარამიძისა („ე. თაყაიშვილი — ქართული ლიტერატურის მკვლევარი“). მოსმენილ იქნა აგრეთვე აკად. შ. ამირანშვილის, აკად. ა. შანიძისა და მწერალ-აკადემიკოს კ. გამსახურდიას მოგონებანი ე. თაყაიშვილის შესახებ.

24 აპრილს საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოებამ, მისი თავმჯდომარის აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით გამართა (თბილისის მასწავლებელთა სახლის დარბაზში) დიდი სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ე. თაყაიშვილის 100 წლის თავისადმი. სესიამ მოისმინა 11 მოხსენება (აკად. ნ. ბერძენიშვილისა; პროფ. გ. ჩიტაიასი, ს. ყაუხჩიშვილისა, ვ. დონდუასი, კ. გრიგოლიასი, ს. ჩიქოვანისა, ი. სურგულაძისა; დ. მუსხელიშვილისა, დ. ხახუტაიშვილისა და გ. ლომთათიძისა — ორი ერთად) და აკად. შ. ამირანაშვილის მოგონება, განმეორებით<sup>28</sup>.

სესიის პირველ რიცხვებში საზოგადოებამ მოაწყო ორი გასვლითი სესია — ქუთაისსა და ბათუმში —, სადაც წაკითხულ იქნა აღნიშნულ მოხსენებათაგან მერჩეული რამდენიმე.

ყველა ამ სესიამ და სხდომამ მრავლად მიიზიდა მსმენელები.

საიუბილეო თარიღისათვის. 1963 წელს მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა: ე. თაყაიშვილის ნაშრომათა ბიბლიოგრაფია (შედგენილი ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლის ე. კელეწკარიძის მიერ, რომელსაც ამასთანავე გამზადებული აქვს დაწერილებითი აღწერა თაყაიშვილის, ინსტიტუტში დაცული არქივისა) და ე. თაყაიშვილის „არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში“ (გამზადებული ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. თ. ბარნაველის მიერ). ფართოდ გამოეხმაურა აღნიშნულ თარიღს პრესა. წერილები დაიბეჭდა: „კომუნისტ“-ში (№ 25, „დიდი მოჭირანახელე“. გ. ლომთათიძისა), „Заря Востока“-ში № 70, „Неутомимый труженик науки“, პროფ. ვ. დონდუასი), „თბილის“-ში (№ 22, „ღვაწლმოსილი მეცნიერი“, მ. ხერხეულიძისა), „ლიტერატურულ გაზეთ“-ში (№ 3, „ექვთიმე თაყაიშვილი“, შ. გოზალიშვილისა<sup>29</sup>), „ახალგაზრდა კომუნისტ“-ში (5.XII.62, „ე. თაყაიშვილი და ქართული უნივერსიტეტი“, რ. მეტრეველისა), „Молодежь Грузии“-ში (27.XII.62, „Е. Такашвили и Историко-этнографическое общество“, რ. მეტრეველისა) და „Вечерний Тбилиси“-ში (№ 11, „Ученый энтузиаст“, რ. მეტრეველისა). შ. ბაღრიძის წე-

<sup>28</sup> უნივერსიტეტში გ. ჩუბინაშვილისა და ა. ბარამიძის მიერ წაკითხული მოხსენებანი და აგრეთვე მასწავლებლის სახლში წაკითხული ყველა მოხსენება იბეჭდება წინამდებარე კრებულში. კ. გამსახურდიას მოგონება (ხათაურთი „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“) დაიბეჭდა 1964 წელს „ლიტერატურულ საქართველო“-ში (№ 21).

<sup>29</sup> მისივე წერილი „ქართული კულტურის დიდი მოამბე“ დაიბეჭდა ცხინვალის გაზეთში „საბჭოთა ოსეთი“, (5. II. 63).

რილი „დიდი მეცნიერი და მოღვაწე“ გამოაქვეყნა ჟურნ. „მნათობმა“ (1963 წ. № 1), ხოლო რ. მეტრეველისა—„ე. თაყაიშვილის არქეოლოგიური ექსპედიციები“—ჟურნ. „ცისკარმა“ (1963 წ. № 10). გამომცემლობა „ნაკადულმა“ დაბეჭდა ამ ორი ახალგაზრდა ისტორიკოსის მიერ ძალიან კარგად დაწერილი ბიოგრაფიული ნარკვევი „ექვთიმე თაყაიშვილი“, პროფ. შ. მესხიას რედაქციითა და ბოლოსიტყვაობით. მოგვიანებით დაიბეჭდა ჩვენი წერილები: „ექვთიმე თაყაიშვილი როგორც მთხრელი არქეოლოგი“ („მნათობი“, 1964, № 5) და „Евфимий Семенович Такайшвили“ (ჟურნ. „Советская Археология“, 1964, № 3). ბევრად უფრო ადრე, 1960 წელს კი რუსეთში გამოშვებული ორგანოს „Эпиграфика Востока“-ს XIII ტომში დაიბეჭდა პროფ. ი. მეგრელიძის წერილი: „О жизни и эпиграфических работах Е. С. Такайшвили“.

1963 წელს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ე. თაყაიშვილის სახელი დაარქვა ვაკის ერთ-ერთ ქუჩას, რომელიც უნივერსიტეტს პირდაპირ, ილია ჭავჭავაძის გამზირის მართობ ადის მთის კალთისაკენ.



მადლიერი სამშობლო არ ივიწყებს და არც ოდესმე დაივიწყებს თავის სახელოვან მოჭირნახულეს—ექვთიმე თაყაიშვილს. ქართველობის შემეცნებაში იგი თვალნათლივ უტოლდება ეროვნული კულტურის მრავალსაუკუნოვან მატრიანეში მკაფიოდ წარმოჩენილ, შინ თუ „ცხრა მთას იქით“ თავდადებით. ხშირად პოწამებრივ მოღვაწე ცალკეულ დიდ მამულიშვილებს, რომელთა უღრვე მზრებზედაც გადადიოდა ხოლმე ავბეჯობის ვითარებაში ამ კულტურის შესწავლის, შემოქმედებრივი გამდიდრების, საიმედოდ დაცვისა და შთამომავლობისათვის მზრუნველობით. გადმოცემის უკეთილშობილესი საქმე...

### ეკთიქე თაქაიზვილი როგორც წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი

წყაროთმცოდნეობას, როგორც საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთ დისციპლინას, თავისი დიდი საგანი აქვს: იგი მოწოდებულია შეიმუშაოს ისტორიის წყაროთა (სპეციალურად ივულისხმება—წერილობით ძეგლთა და მათთან ერთად—წარწერათა) კრიტიკული შესწავლისა და მოხმარების ხერხები და მეთოდები. სპეციალისტისთვის ამ კარგად ცნობილ განმარტებაში მახვილის დასმით იკითხება სიტყვები „წყაროთა კრიტიკული შესწავლა“. ზოლო კრიტიკული შესწავლა ჩვენს სინამდვილეში, საისტორიო მეცნიერების განვითარების თანამედროვე პირობებში, ცხადია, სხვა თვისებისა და წონისაა, ვიდრე ის წინათ ყოფილა. დღევანდელი საისტორიო კვლევისათვის, საბჭოური ისტორიოგრაფიისათვის წყაროთა „შინაგანი კრიტიკა“ ისევე აუცილებელია, როგორც მათი „გარეგანი კრიტიკა“ (წყაროს დათარიღების, მისი აუტენტიკურობისა და მსგავსი საკითხების შესწავლა). ამასთან პირდაპირ კავშირში ჩანს სპეციალისტის სწორი შენიშვნა, რომ „მარქსისტულ-ლენინური წყაროთმცოდნეობა—ყველაზე უფართოესია საისტორიო დამხმარე დისციპლინათაგან“—ო (ლ. ვ. ჩერეპნინი). მართლაც იგი უვრცელესიც არის და უძნელესიც—დასაძლევად. ის მოითხოვს, გარეგანი კრიტიკის გარდა, წყაროთა სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ გააზრებას, ძეგლის საზოგადოებრიულ-კლასობრივი არსის გამოვლინებას, სოციალურ-პოლიტიკური, ჩვეულებრივ „მიფარვით“ ჩარჩენილი ტენდენციურობის გამომჟღავნებას. სწორედ ეს არის „შინაგანი კრიტიკის“ ძირი.

ნათელია, თუ რა მნიშვნელოვანი დასკვნა გამომდინარეობს აქედან. ვინც მეტურეილი არ არის აღნიშნული ხერხებითა და მეთოდებით, იგი ვერ შეისწავლის ისტორიის წყაროებს, ვერ მოიხმარს, ვერ გამოიყენებს ამ წყაროებს. ამავე დროს, როგორც ეს აღნიშნა ჩვენმა თანამედროვე მეცნიერმა, „მართებული შეხედულება ისტორიულ წყაროს შესახებ აუცილებელი პირობაა მართებული შეხედულების შედგენისათვის თვით ისტორიულ პროცესის შესახებ“ (ს. ჯანაშია).

რა უბრალო ჭეშმარიტებაა ეს, და ამავე დროს რა ხშირად ითვლება ეს ჭეშმარიტება, რაოდენ ხშირად განუსჯელი მკითხველი, კითხულობს რა ამა თუ იმ წერილობით წყაროს, გულდაჩერებულს გამოჰყავს წაკითხულიდან ზედპირული დასკვნები; მას, სპეციალურ ცოდნას მოკლებულს, საკუთარ მოსაზრებათა, საკუთარი ბუნებრივი გამჭირაობის მიმყოფს, ეჭვიც არ ებადება, რომ იგი წყაროთმცოდნეობის გარკვეული მონაპოვრების უცნობელი, სამეცნიერო წაკითხვის გარკვეული წესების, მეთოდების უქონელი, ეცნობა რა მოცემულ წერილობით წყაროს, კითხულობს რა რომელიმე ტექსტს, ავტორს, არსებობად

იძყოფება ისეთი მკითხველის მდგომარეობაში, რომელმაც დასაბამი მისცა უკვდავი გოგოლის სატირულ შენიშვნებს მისი დროის პეტრუშკების შესახებ.

ცნობილია, თუ რა დიდი ტრადიცია აქვს წყაროთმცოდნეობითს დისციპლინას საერთოდ საკატორიო-სამეცნიერო მიღწევათა მქონე ხალხების კულტურულ ისტორიაში. შიანი და შიანი, მსგავსად ძველი რუსეთისა (ტატიშჩევი და მისთანანი), ჩვენშიც (ვახუშტი და სხვანი) უკვე XVIII საუკუნეში წყაროთმცოდნეობას საკმაოდ საპატიო ადგილი ეჭირა: იგი ძალისაებრ პასუხობდა თანამედროვე მეცნიერების სათანადო მოთხოვნებს. მაგრამ ვიდრე საბჭოური კულტურული მშენებლობის გაშლამდე, ერთკერძო წარმატება, და ზოგჯერ დიდი წარმატებაც, ჰქონდა გარეგან კრიტიკას. საზრუნავად მაშინ რჩებოდათ ტექსტის აღდგენა („რეცენზია“) და წესიერი მისი დაბეჭდვა (პუბლიკაცია). ამ დარგში კი— „ყველაზე უფრო დაწინაურდა ფილოლოგია“<sup>2</sup>.

აკად. ექვთიმე თაყაიშვილის ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ მისი ზრდა-განვითარების და საისტორიო-საარქეოლოგიო ხასიათის შემოქმედებითი მუშაობის მთავარი ხანა ხასიათდებოდა ქართული ისტორიოგრაფიის სფეროში სწორედ ფილოლოგიის ბატონობით. ეს იყო ქართული ფილოლოგიის აღმავლობისა და უდადეგი წარმატების დასაწყისი დრო (აკად. ნ. მარი და მისი შემდგომნი). ამ ერთობამ ღრმა კვალი გააველო კერძოდ ჩვენი დიდი ისტორიკოსის აკად. ივ. ჯავახიშვილის სათანადო შრომებშიც. ადვილი გასაგებია, მაშასადამე, თუ ექვთიმე თაყაიშვილის წყაროთმცოდნეობითს, ფუძემდებლური მნიშვნელობის ნაშრომებსაც იმთავითვე ახასიათებდა ფილოლოგიური მეთოდებით კვლევის სწრაფვა.

ასეთი იარაღით შეჭურვილი, სიბრძნისმეტყველური მომზადებით კარგად ფზრუნველყოფილი. ამავე დროს გოლიათური სულიერი და ფიზიკური ძალღონით მაშინ სავსე ექვთიმე. თავის უფროს და უმცროს თანამედროვე სპეციალისტებთან ერთად, მთელი თავისი სიღინჯით და ამტანობით შეუდგა ქართულ ხელნაწერთა მდიდარ ფონდებზე მუშაობას, იმ სამწერლობო მემკვიდრეობის კვლევა-ათვისებას, „რომელსა შინა.— ასე შეეძლო ექვთიმეს. დაუეაწყარი იონა ხელაშვილის სტილით. გამოეთქვა საკუთარი შეფასება იმ მემკვიდრეობისა.— ტუშლი და ახალი ენა არს. და მათ ზედა აღშენებულ ტულნი და ტუნნი და ძარღნი სიბრძნისანი. რომელი კნინლა-და გასაღები არს ფილასოფიისა“<sup>3</sup>, ესე იგი. ეიგულისხმით ჩვენ, საისტორიო მეცნიერებისა.

შუნებრივია, რომ ჩვენ ჩვენთვის სასუკვარი ტრადიცია მოვიხსენიეთ, მაგრამ. ქეშპარტად, ყველაფერი, როგორც იტყვიან. შედარებითა ამ ქვეყანაზე. და იმ ტრადიციაზეც, ცხადია. პირობით შეიძლება ლაპარაკი. სიმოკლისათვის, ჩვენი განზრახვის შესაბამისად, მიზანშეწონილად მივიჩნევთ მოვიგონოთ თუნდაც ის თვალუხვამი კრიტიკული შენიშვნები, რომელიც თავის დროზე აკადემიკოსმა ი. ჯავახიშვილმა მიუძღვნა მისგან სამართლიანად მაღალი საფასით დაფასებულს დიდი ქართველი მეცნიერის ვასუშტის მიღწევას წყაროთმცოდნეობის დარგში. ჩვენ, კერძოდ, ვგულისხმობთ პატივცემული მკვლევარის შემდეგ სტრიქონებს, ყოველი ისტორიკოსისათვის გასათვალისწინებელს: ის გარემოება, რომ XVIII საუკუნის ქართველ მეცნიერთა ჯგუფის მიერ საგანგებოდ შერჩეული

<sup>2</sup> Проф. Бернгейм, Введение в историческую науку. გერმანული თარგმნილი, პროფ. საბინინის რედ., პბ., 1908, გვ. 108.

<sup>3</sup> იონა ხელაშვილის კერძო წერილიდან (14. VIII. 1826) სოლ. დოდაშვილის მისამართათ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხწ., № 2226, გვ. 133, ჩვენ მიერ შესრულებული პირი, რკ. 1, გვ. 54.

„გზებით“ და „მასალებით აღდგენილი (მათგანვე აღდგენილი.—ვ. დ.) სურათი“ ქართველი ერის XIV—XVII სს. ცხოვრებისა „დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა“.—წერს ი. ჭავჭავაძე.—„ეს გარემოება ბატონიშვილმა ვახუშტმა განააზღვრა სრული სიცხადით. თავისი ბასრი კრიტიკით,—განაგრძობს მეკლდე-ვარი,—ვისტანგისეული კომისიის ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ბევრი შეცდო-ნა გამოამქლადნა და ცნობების კრიტიკული განხილვის აუცილებლობის ცხადყოფით ქართულ საისტორიო მწერლობას საუკეთესო მავალით და სახელმძღვანელო აზრი მისცა. მაგრამ.—ასე ავითარებს ი. ჯ. თავის აზრს,—არც მისი ცდა, მისი შედგენილი საქართველოს ისტორია აღმოჩნდა მთლად დამაკმაყოფილებელი. მ. ბროსემ, თ. უორდანიამ, ე. თაყაიშვილმა და ს. კაკაბაძემ გამოარკვეეს ის მრავალი შეცდომები, რომელნიც ვერც დიდებულმა ქართველმა მეცნიერმა აიცილინა თავითან“. ამას მოსდევს ჩვენთვის კიდევ უფრო მანიშნებელი დასკვნა ი. ჭავჭავაძისა: „ამის მთავარი მიზეზი ის გარემოება იყო, რომ ეგნატაშვილი ბერის მეთაურობით შედგენილი ქართლის ცხოვრების გაგ რ ძ ე ლ ე ბ ი ს ასე უღმობელად, მაგრამ სამართლიანად კრიტიკულად განმსჯელი, თვითვე ბატონიშვილი ვახუშტი სრულისა და გულბრყვილო ნდობით ეპყრობოდა ყველაფერს. რასაც საბუთის სახელი ეწოდება. სწორედ ამან ჩაადენინა მას მრავალი შეცდომები“<sup>4</sup>.

საქმის ვითარების ჭავჭავაძისეული ამ შეფასებაში არა ერთი რამეა საინტერესო. აქ ჩანს ჩვენში ადრევე გაღვიძებული წყარომცოდნეობითი კრიტიკული ძიების დიდი წყურვილიც და კრიტიკის საერთო სისუსტით გამოწვეული ფკმაყოფილების გრძობაც. რომელიც. ბუნებრივია, თან სდევდა ქართველთმცოდნეთა ერთიმეორის შემცველ. პროგრესისათვის მეტბოლო შემდეგ თაობებს.

ძველი ტრადიციების ისტორიიდან. ჩვენთვის საინტერესო სპეციალური დარგის თვალსაზრისით. სხვა მომენტებიც იქცევა ყურადღებას. იმისდა მიხედვით, თუ რა კულტურულ-საზოგადოებრივ წრეში (ფეოდალურ, ბურჟუაზიულ-მეცამულურსა თუ სხვაში) ხორციელდებოდა ქართველთმცოდნეობითი მუშაობა. ისტორიოგრაფიისა თუ წყარომცოდნეობის დარგშიც უთუოდ იჩენდა თავს „მოიხივნა-მიწოდების“ თვისობრივ-რაოდენობრივი სხვადასხვაობა.

საკითხის ისტორიაში თავისი წვლილი შეაქვს ზემოთ მოხსენიებულ იონა ხელაშვილსაც, რომელიც წარსული საუკუნის მე-10-20-30 წლებში მოღვაწეობდა პეტერბურგის ქართული კოლონიის სპეციალური პირობებში. მას მწვავედ განუტღია ის შეუსაბამობა. რომ ერთის მხრივ. დიდი და ბრწყინვალე ჩანდა სამწერლობო შემკვიდრება ქართველი ხალხისა, ხოლო არ ჩანდა მისი პატრონი. დამფასებელი, მომვლელი. „ვიდრე აქამომდე.—ჩივის იგი,—ყოველთა ჩუშნისა შრომილნი ღვაწლნი. დღე და ღამე რუღუნებულნი, მდებარებენ კვმირსა ქუშშე. საზოგადოთა ერთაგან განუხილველად!“ ამ შემკვიდრების მოვლა-გამოყენება. გვაუწყებს ხელაშვილი. ვერ შეძლო გვიანდელ ბაგრატიონ მეფეთა საქართველომ. ამისი მიზეზი კი არა ერთი იყო: პოლიტიკური „განუწალების“, დაშლილობის შედეგად წარმომდგარი „დასუსტება და შემცირება ერისა რიცხვისა და უმეტრება და სიგლახაე (ნივთიერი—ვ. დ.)“; გაძვირდა „ქარტანი“, ე. ი. ქალაღი, დაიხურა „ტეპოლრაფია“; სწავლულებმა დაკარგეს „ადგილნი და

<sup>4</sup> ი. ჭავჭავაძისეული, ქართული ერის ისტორია. წ. 4, ნაწ. I (XV ს.), გვ. 2—3, ტ. 1924; იხ. აგრეთვე ამავე წ. 4-ის სრული გამოცემა (XV—XVI სს-ის შემცველი), გვ. 12; თ., 1948.

<sup>5</sup> ხელნაწ. ინსტ., ხწ., № 2226; გვ. 25; ჩემი რეეული, I, გვ. 43.



პატენი და მცირედნიცა ნუგეშნი (სარჩო.—ვ. დ.)“; თანვე დაიკარგა „გარემოთა ბოროტ ბარბაროზთა უწიგნოთა მეზობელთაგან განსვენება“—ო.

ეს არ იყო პასიური იერემიადა. ავტორი თავის ჩივილში თანამედროვეთ თუ მომავალთ მკაფიოდ ანიშნებდა, ამოცანას უსახავდა და გზას უჩვენებდა, როგორ უნდა გამოესწორებინათ საქმე. შაბებდობის პირობებში დარჩენილან— „არხივა (sic)-წიგნთსაცავეები ცალიერ და სახლნი სასწავლებელნი უმოწავო და ერნი—ულრამატო“. არქეოლოგები შეეძლო საგანგებოდ ჩაეფიქრებინა იმაზე მითითებას, რომ „თუთ აოსამმეტთა მამათაგანი მეოხნი ს ა მ ა რ ხ ო ნ ი რომელნიმე გზაუ(ვ)ალად არიან და წმიდანი ჭუარნი და ხატნი (ჩვეულებრივ ძვირფასი ძეგლები ხელოვნებისა—ვ. დ.) კავკასიისა ქუაბთა შინა თვნიერ მქმილავთა (მცველთა უქონელნი.—ვ. დ.) დაფარულ არიან“<sup>6</sup>. დაუვიწყარი ექვთიმე თაყაი-შვილი რამდენი საკუთარი ძიების მაგალითით ამაგრებს ხელაშვილის პირად დაკვირვებას იმის შესახებაც, რომ უბედობის ხანებში გაბნეულ სიძველეთაგან— „თუ იპოვებთან,—წერს ხელაშვილი.—ჩინებულთა (დიდაცათა.—ვ. დ.) სახლებთა შინა რაოდენნიმე წიგნნი საკლასონი, კელითწერილნი. იშიშვიან (მათი პატრონები.—ვ. დ.) წარკითხულად, რათა არა მიეცეს ხრწნილებასა, ანუ (შიშობენ.—ვ. დ.) არავინ ინათხოვროს და (არ—ვ. დ.) იქმნას დავიწყებული“—ო<sup>7</sup>.

იონა ხელაშვილის გონების თვალი ამავე დროს ტრიალებს „ეღნთა წიგნებთა საცავებსა შინა და როსთა არხივაებთა შინაგან“ და რომელთა და სომეხებთა აქამდე „დაცულ წიგნებთა შინარე“, და იონა ლაღადყოფს, რომ საჭიროა „ზრუნუა“ ეზრასი და ნემიასი ჩუშნისა (ეროვნული.—ვ. დ.) არხივისათვს<sup>8</sup>.

მაგრამ, ამას გარდა, ისმის იდეოლოგიური ბასიათის საჩივრებიც. ქართულ საზოგადოებაში უმეცრებამ სარბიელი მისცა ნიპოლისტურ დამოკიდებულებას მშობლიური კულტურისადმი, „რომელნიმე თხემნი (წაიკითხე: ცარიელი თავები.—ვ. დ.) თვისისა ენისა უკეთილესსა თხზულებასა გაკილვენ“—ო<sup>9</sup>.

მაინც მიუხედავად ყველაფრისა, ძველი ქართული დიდი მემკვიდრეობა სულიერ ძალას და იმედს ჰკვრიდათ ჯანსად პატრიოტებს. რომ ეროვნული შემოქმედების ძეგლები, „თხზულნი—ოღესმე გამომხვედებიან, ოქროვანსა საუკუნესა შინა“—ო<sup>10</sup>.

რადგან ჩვენ ამ მოკლე ექსკურსში მცირედიც იყოს ხარკი მივუტანეთ ქართული არქეოგრაფიის ძველ მესვეურთ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ ზრუნვას „არხივა-წიგნთსაცავეების“ შექმნის შესახებ დიად არ აკლდა აზრი და მოზანდასახულება. სიმოკლისათვის ჩვენ პირდაპირ მოიყვანთ შესანიშნავი მწიგნობრის, მანინ პეტერბურგელი სტუდენტის. სოლომონ დოდაშვილის მანიშნებელ შემდეგ სიტყვებს: „არა თავისა თვისისათვს მხოლოდ. გინა ბედნიერებისათვს ვჰმუშაობ, არამედ სიყვარულისათვს მამულისა, რათა ევროპამან ჰსცნა. ივერია ს ა შ უ ა ლ ო ბ ი თ ა წ ე რ ი ლ თ ა ს ა რ წ მ უ ნ ო თ ა“<sup>11</sup>.

ჩვენს ყურადღებას აქ იპყრობენ ეს „წერილნი სარწმუნონი“. საბუთი ეკაქვს ვაფიქრთ, რომ დოდაშვილს ესმოდა, რა სერიოზული სპეციალური წყარო-

<sup>6</sup> ხწ-ის იგივე, №, გვ. 26; ჩემი რკ., I, გვ. 43.

<sup>7</sup> იგივე, გვ. 27; ჩ. რკ., I, გვ. 45.

<sup>8</sup> იგივე, გვ. 27 და 28; ჩ. რკ., I, გვ. 44 და 45.

<sup>9</sup> იგივე, გვ. 138; ჩ. რკ., I, გვ. 53.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> ს ო ლ . დ ო დ ა შ ვ ი ლ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ ი . ს . ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი ს შ ე ს ა ვ ა ლ ი წ ე რ ი ლ თ ა და შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი თ , გვ. 75. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. 1944. ნაკვ. 2, თ. 1945.

მცოდნეობითი, არქეოგრაფიული დამუშავება, შეფასება-კრიტიკა უნდა გაიაროს წერილობითმა ძეგლმა, რომ ის სარწმუნო გახდეს, რომ „წერილი“, წიგნი, ხელნაწერი „გამდიდრდეს“, როგორც რამე მადანი, შეიმატოს დამაჯერებლობა.

ოლონდ ყველაფერი ეს ქართული მეცნიერების ინტერესების თვალსაზრისით, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, პირობითი მოვლენები იყო, მაშინაც კი, როდესაც ექვთიმე თაყაიშვილი და მისი თანამოასაკე თუ თანამედროვენი (ალ. ცაგარელი, თ. ყორღანია, მ. ჯანაშვილი და სხვ.) უკვე ჩაბმული იყვნენ დიდს წყაროთმცოდნეობითს, არქეოგრაფიულ მუშაობაში, როდესაც მარი ბროსესი და დიმი. ბაქრაძის საკვირვლად დიდი არქეოგრაფიული საქმიანობაც განვლილი ეტაპი იყო.

ნათქვამიდან მკითხველი დაასკვნის, რომ თაყაიშვილის და მისი თაობის წინაშე დასახული ამოცანა ახალ შინაგან სიართულეს შეიცავდა, შემოქმედებითი მუშაობის თვისობრივად და რაოდენობრივადაც უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა სულ ახალ, საზოგადოებრივი ცხოვრების დიდი აღმავლობის ვითარებაში ზღვებოდა. ბაქრაძემ 80-ე წლებში დაასრულა თავისი მოღვაწეობა, ხოლო ექვთიმე მაშინდა იწყებდა შემოქმედებით ცხოვრებას, რომლის დაბედებული ხანგრძლივობა ბედნიერად გასწვდა სოციალისტური კულტურული მშენებლობის 50-ე წლებსაც.

თავის დროზე დიმიტრი ბაქრაძე სახავდა წყაროთმცოდნეობითი, არქეოგრაფიული საქმის საერთო გეზსა და პროგრამას<sup>12</sup>. რადგან ასეთ სამუშაოს ყოველთვის გარკვეული მათრგანიზებული მნიშვნელობა აქვს, გაკურით აღვნიშნავთ, რომ თაყაიშვილს იმთავითვე არა ერთი გეგმა და პროგრამა დამუშავებია<sup>13</sup>. მაგრამ მკითხველის თვალში აქ უნდა შევაჩეროთ იმ გეგმის ხასიათზე, რომლის შინაგანი აზრი და მრავალმხრიობა განაპირობებდა თაყაიშვილის ცალკეული ნაშრომების ჩვეულებრივს წყაროთმცოდნეობითს თუ არქეოგრაფიულ არსსა და დანიშნულებას.

ჩვენი თემის ხასიათის შესაბამისად გვაინტერესებს. თუ ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც წყაროთმცოდნე და პუბლიკატორი, რაოდენ რთულ საძიებელ კითხვებს აყენებდა ძეგლის შესასწავლად და ვაპოხსაცემად, რა სიღრმის და სიგანის გეგმას მიჰყვებოდა გონების თვლით. რა წონის და ფასისა იყო მისგან ამა თუ იმ შემთხვევაში დასახულ სარკვევ კითხვათა რიგი, ის სპეციალური პროგრამა, რომლის აღსანიშნავად სენიობოსმა გამოიყენა იურიდიული ტერმინი questionnaire („გაპოხსაკითხავი პუნქტები“)<sup>14</sup>.

ექვთიმე თაყაიშვილის „შრომათა ბიბლიოგრაფია“ (გამოსაცემად მოამზადა და ბიოგრაფიული ნარკვევი დაურთო ე. კელენჯერიძემ)<sup>15</sup> შეიცავს 278 დასახულებას. ასე რომ, ჩვენთვის საჭირო მასალა უღლევია. მაშასადამე, ჩვენ აქ შეგვიძლია მხოლოდ ცალკეული სანიმუშოდ გამოსადეგი ბავალითები მოვიყვანოთ.

ამ მიზნისათვის საკმარისი იქნებოდა თუნდა მარტო იმ ნაშრომების მიმოხილვა, რომელნიც ჩვენმა მეცნიერმა უძღვნა „ქართლის ცხოვრების“ ვრცელ ტექსტებს.—მის მრავალრიცხოვან ვარიანტებს, ნუსხებს; მათ შესწავლას შედა-

<sup>12</sup> კერძოდ, იხ. მისი „პროფ. პატკანოვი და ქართ. ისტორიის წყაროები“, გვ. 33 და შდგ.

<sup>13</sup> მაგალ., იხ. მისი წერილი სიძველეთა სამეცნიერო კატალოგოზიაციის შესახებ; (ვაზ. ივერია, 1891, № 134. იხ. აგრეთვე რ. მეტრეველი, შ. ბაღრაძე, „ექვთიმე თაყაიშვილი“, გვ. 16 — 17; პროფ. შ. შესხიას რედაქციით, თ., 1962.

<sup>14</sup> იხ. Ланглюа и Сеньобос, Введение в изучение истории, გვ. 186, სპბ., 1899.

<sup>15</sup> ე. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოცემა, თბ., 1953.

რებითი მეთოდით; მათ აღწერილობას და ა. შ. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რომ ამ ტექსტებიდან ზოგი დამოუკიდებელი მნიშვნელობის ნაწილები („სუმბატის ქრონიკა“. XI ს., და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“) მისი ხანგრძლივი ზრუნვისა და კვლევის საგანი გახდა. ქვემოთ ისიც მოხსენდება მკითხველს, რომ არსებითად ამით დაიწყო თავაიშვილმა თავისი მრავალწლოვანი სამეცნიერო სარბიელი და ამითვე დაასრულა: ეს იქდენად, რამდენადაც პირველი ფუძემდებლური ხასიათის მისი ნაშრომი მიეძღვნა სუმბატს და ამასთან დაკავშირებულ „ქართლის ცხოვრების“ კვლევას, ხოლო მისი ერთ-ერთი უკანასკნელ ნაშრომთაგანიც (1949 წ.)—იმავე საგანს.

უკვე პირველი ცდა მისი ბეჭდვითი გამოსვლისა („სამი ისტორიული ხრონიკა“, თ., 1890; მის შედგენილობაში, როგორც ვიცით, შევიდა სუმბატის შრომა და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ც) მთელი თავისი სიავკარგით საინტერესო ჩანს და ერთგვარი სამანის დამდებია მისი შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე. ამ ნაშრომის უახლესი, მესამე გამოცემა (თ., 1949) მკითხველს წარმოუდგენს თავაიშვილის უკანასკნელი სამოღვაწეო წლების მონათვაარს. მაგრამ ის პირველი გამოცემა ჩვენ გვესახება, როგორც დამწყები მკვლევარის პირველადი სამეცნიერო განწყობა-დანიტერესების და ცოდნის საცდელი ქვა, მის წამოწყებათა მიზანდასახულობისა და პერსპექტიულობის გარკვეული მოწმობა.

თვით ის ფაქტი, რომ ასალაგზრდა მეცნიერის პირველი ცდები არქეოგრაფიას, წყაროთმცოდნეობითს ინტერესებს დაუკავშირდა, რომ ის იმთავითვე „ქართლის ცხოვრების“ კვლევის ძნელ საქმეში ჩაება; ობიექტურად მოწმობდა, თუ რა მიზანშეწონილად, საზოგადოებრიობის მოთხოვნათა ყურისკვებით პიკედება იგი საქმეს სელს. ცნობილია, რომ დაახლოებით იმ ხანებში, წინმაველ წლებში (1883—1886) პეტერბურგელმა პროფესორმა ქ. პატკანოვმა აღძრა თავისთავად მნიშვნელოვანი საკითხი წინა აზრის ისტორიის შესასწავლად გამოსადეგ (როგორც ეს მას ჰქონდა წარმოდგენილი) წყაროთა მნიშვნელობაზე და ამასთან დაკავშირებით საქმაოდ ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა საქართველოს ისტორიის ძირითად წყაროს. ძველ ქართველ მეისტორიეთა ძვირფას კრებულს— „ქართლის ცხოვრებას“ (Историческое министерства народного просвещения 1883. დეკემბ.). როგორც ვიცით, თანამედროვე სპეციალისტების წრეებში საკვირველად დაურჩათ. კერძოდ, ის სინაუტე და მოუშაღებლობა, ჩვენ ვიტყოდით, წყაროთმცოდნეობის დარგში. რომელმაც აფიქრებინა და ათქმევინა მას, თითქოსდა ქართული ისტორიოგრაფია მოკლებული ყოფილიყოს ტრადიციულობას. სიძველეს, თითქოსდა მას დასაბამო მიეცა აგერ მეთვრამეტე საუკუნეში და არა აღრეფეოდალური განვითარების პირობებში, როგორც ამას დაღადებდნენ ქართული და სხვა სიძველენი.

წყაროებისადმი უყურადღებობას შედეგად მას, აღიარებულ არმენისტს, მის ვარაუდებში გამორჩა სომეხთა უკვდავი ისტორიკოსის სტეფანოს ორბელიანის (XIII ს.) მანიშნებელი. გამჭვირვალე მითითებაც იმის შესახებ, რომ ორბელიანი ერთ-ერთ თავის წყაროდ სარგებლობდა ქართველთა „მატიანეთა წიგნს“ („ი ნოცინ ეამანაკაროცნ“). რომელსაც „ქართლის ცხოვრება“-ს უწოდებენ“-ო<sup>16</sup>. ამ მძიმე შეცდომაზე ავტორიტეტიანი მკვლევარი, ბუნებრივია, ქმნა,

<sup>16</sup> *Сибирская Ордена, Кавказская и т.д. Шиханян* („სისიანის, სივნიეთის სახლი ისტორიკი“). გვ. 372; 1910. ეს საყურადღებო ცნობა ქართულ ისტორიოგრაფიაში ძველს დროზე გამოიყენა აკად. ი. ჭავჭავაძემ, ძველი ქართული საისტორიო-მწერლობა, გვ. 264; ტ., 1916 პატრეცეპული მეცნიერი ეყარება ორბელიანის ისტორიის მოსკოვურ გამოცემას.

ზიბლიის ენით თუ ვიტყვოდით, „საბასარობელად, და იგავად, და მისათხრობელად ყოველთა შორის“ (2. სჯულთა. 28, 37). ეს, რა თქმა უნდა, არ იყო წერილი ინტრიგის გამოვლენება. ეს იყო სპეციალისტებისათვის დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის საკითხი, ამ შემთხვევაში. ქართველი ხალხის წიგნური მემკვიდრეობის წყარომცოდნეობითი ახალი და ახალი შეფასების საბაზი. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორია-ფალოლოგიას განყოფილების სხდომაზე (1886 წ., მაისის ოცს) დიმიტრი ბაქრაძემ, აღძრულ საკითხთან დაკავშირებით, დარბაზს წარუდგინა ვრცელი მიმოხილვა ქართული ისტორიოგრაფიისა და წყარომცოდნეობის შესახებ. ეს მოხსენება დაიბეჭდა დასახელებული აკადემიის „Записки“-ში<sup>17</sup>. იმავე საბაზით დაბეჭდა ქართულად დ. ბაქრაძემ ზემოთდასახელებული შრომაც (ზემოთ, გვ. 59, შენ. 1). დ. ბაქრაძის საპაექრო მნიშვნელობის ეს გამოსვლაც დაარწმუნებს მკითხველს, რომ ქართველოლოგიური მიღწევები 80-ე წლებისათვის ამ სპეციალურ დარგშიც არ იყო მცირე. ქართლის ცხოვრების შესწავლის და პუბლიკაციის მთელი ეტაპი, რა ხასიათისაც არ უნდა ყოფილიყო ის, უკან დარჩა, როგორც პეტერბურგელ მეცნიერთა—თეიმურაზ ბაგრატიონის, დ. ჩუბინაშვილის და მეტადრე მ. ბროსეს დიდი საკვლევ-საორგანიზაციო მუშაობის გრძელი გზა. მაგრამ რაოდენ დიდი ედოთ წინ სავალი გზა საქმის გამგრძელებლეს, რა ნაკლოვანად ჩანდა მოღვაწენი და მონაპოვარი კვლევითი მუშაობისა, არქეოგრაფიისა, პუბლიკაციისა. ეს, მიუხედავად ფერთა სიმუქისა, ჟეოგრაფი ობიექტურობითა ანაზული მამინ დამწყები მეცნიერის მოსე ჯანაშვილის „საქართველოს მოკლე ისტორიის“ (1884 წ.) წინასიტყვაობაში. ის იწუებს ასე: „სიბნელე. წყუდიადი. მასალების უქონლობა: პატიანთა, სიგელთა, გუჯართა, ზღაპარ-თქმულებათა გამოუკვლევლობა, კრტიკულად განუხილველობა“ და ა. შ.

ყველა ასეთ გამოსვლაში კარგად ჩანდა იმით გამოწვეული უემპათიურობა, იმის მიხედვით, რომ საისტორიო წყაროებს, ქართლის ცხოვრებასაც, ამ დიდებულ ძეგლს, აკლდათ ავტორიტეტული დაფასება. სპეციალური პატრონობა, რაც, დავსძენთ ჩვენ, დიდად ხელს უწყობდა იმ სექტაციზმისა და იმ ნიჰილიზმის (ივ. ჯაბადარი) დაბადებას. ასეთ პირობებში „ქართლის ცხოვრების“ ირველივ კიდევ შენივთდა ისეთივე ატმოსფერო, როგორშიც თავის დროზე. პროგრესული რუსეთის სინამდვილეში, შეიქმნა. როგორც ეპოქის ნიშანი, საგულისხმო წყარომცოდნეობითი ნაშრომი, თითქოს სალაშქრო ტონზე მკლერი სათაურით: „Оборона летописи русской, Исторической, от навета скептиков“ („დაცვა რუსული მათიანისა, ნესტორისეულისა, სექტაციოსთა ცილისაგან“)<sup>18</sup>. „ობორონა“-ში; კერძოდ, ისმის ჩივილი იმის გამო, რომ სხვადასხვა ჟღერის ნიჰილისტების უფიცი შეფასებით, უკვდავი ნესტორის „ვერემენიკი“ („Повести временных лет“, XI—XII ს). ვითომ წარმოადგენს (ვთარგმნოთ სიტყვაიტყვით) „ნამდვილისა და ტყუილის ჭრელ ნარეკს, თვითონ დაფუძნებული გადამახინჯებულ გადმოცემებზე, გამოწავიანებზე, ნაყალბეებზე, ჩანართებზე, უტბოეთში მომხდარი ამბების რუსეთისათვის მიწერაზე“ (გვ. III). ამ „ობორონისთანა“ კაპიტალური მონოგრაფიული ხასიათის „დაცვა“ ქართლის ცხოვრებისა ჩვენში

<sup>17</sup> იხ. ტ. IV, დამატება, № 1, სპ., 1887.

<sup>18</sup> П. Бутков, Оборона etc., СПб., 1840; I—VI+462 LXXV стр.

არ შექმნილა. მაგრამ ისე, მნიშვნელოვანია იმდროინდელი დაცვითი ლიტერატურა, ნარკვევები, სტატიები, ცალკეული შრომების თავები. აქა და მეტადრე ი. ჭავჭავაძის საიმისო წერილებში („ი ისტორია“, 1889 წ. და სხვ.) თითქოს პირდაპირ მეორდება საკითხის შესასწავლად გამომწვევი, ძველი სიტყვები: „სცთებით, რამეთუ არა იცინით წიგნი“ (სახარების მათეს თავი, 22. 29), სწორად ვერ მსჯელობთ, რადგან საკამათო საგანი საფუძვლიანად არ შეგისწავლიათ.

ქართველ ისტორიკოსთათვის, მაშასადამე, ეს ნიშნავდა საისტორიო წყაროების, „წიგნების“ შემდგომი, უფრო მეცნიერული გამოძიების აუცილებლობას და ამ გზით, კერძოდ, იმ ერთ-ერთი ფუძეული საკითხის გადაჭრას, რომელსაც წარმოადგენდა ქართლის ცხოვრების, როგორც ნარატიულ წყაროთა თითქმის ყოვლის მომცველი კრებულის, დამაჯერებლად დათარიღება. უნდა დასაბუთებულიყო და დაზუსტებულიყო ის ქრონოლოგიური დებულება, რომ დ. ბაქრაძის ზემოთ მოხსენებული მტკიცების თანახმად, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტები იქმნებოდნენ მე-XVIII ს-ის უადრეს. საკითხის ისტორიიდან ვიცით, რომ ასეთი მტკიცებისათვის ბაქრაძეს ყველასათვის ადვილდასანახი საფუძველი მისცა ქართლის ცხოვრების ერთ-ერთმა ხელნაწერმა, ე. წ. მარიამისეულმა ვარიანტმა (XVII ს.), რომელიც სამეცნიერო სამუშაოსათვის ცნობილი გახდა (1884 წ.) სწორედ აკადემიაში ბაქრაძის მიერ წაკითხული მოხსენებიდან („ამ ცოტა ხანში შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში“-ო).

ეკვთიმე თაყაიშვილი სხვებთან ერთად (მ. ჭაბაშვილი, თ. ყორღანია, ს. კაცაძე და სხვ.) თავისი სიცოცხლის მანძილზე არ ანელებდა იმ დიდ მეცადინეობას, რომელიც ერთხელვე მოითხოვა წყაროების შესწავლამ. ის თავდადებით ავრძელებდა ადრე ცნობილი ვარიანტების კვლევას, მათი შინაარსის, გადამწერელთა ხელის, მინაწერების, თარიღების ან დამათარიღებელი არაპირდაპირი მონაცემების, კითხვასხვაობათა ანალიზს, და არსებითად პირველად იკვლევდა მარიამისეულ ვარიანტს სხვა ვარიანტებთან თუ ნუსხებთან შედარებით. ამ უკანასკნელთა შორის პირველ რიგში დავასახელოთ თეიმურაზისეული (თეიმურაზ ბაგრატიონის ნაქონი) ნუსხა, რომელიც საფუძვლად („base“) დაედო ბროსეს მიერ პირველად დაბეჭდილ „ქართლის ცხოვრებას“ (სპბ., 1849<sup>19</sup>), ხოლო რუძიანცევისეული და ფალავანდიშვილისეული ხელნაწერები იმ პუბლიკაციაში გამოყენებულ იქნა შესადარებელ მასალად<sup>20</sup>. მიმოხილვა „ქართლის ცხოვრების“ ამა და სხვა, დღემდე მოპოვებული ნუსხებისა ერთობლივ, მათი შესწავლილობის ზოგადი ვითარება თუ მათი ადგილი მთელი კრებულის შესწავლის საქმეში მკითხველს შეუძლია მეტ-ნაკლები სისრულით და შემაჯამებელი სახით იპოვოს, ადრინდელ გამოკვლევათა შორის—თ. ყორღანიასთან<sup>21</sup>. საკითხის შესწავლის ახალ, მაღალ საფეხურს შეეფერება აკად. ი. ჭავჭავაძის ერთ-ერთი ადრინდელი შრომა „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“<sup>22</sup>, სადაც ქართლის ცხოვრებისა და ქართლის ცხოვრების „გაგრძელების“ დახასიათებას ეთმობა

<sup>19</sup> და არა 1848, როგორც ეს მკითხველს ხვდება სპეციალურ ლიტერატურაში. ბროსესეულმა გამოცემამ მისი სამეცნიერო აპარატი და ფრანგული თარგმანი მოინდომა შეიღობი in—4° (1849—1858).

<sup>20</sup> ბროსეს იგივე გამოცემა, გვ. 15, შენ. 1.

<sup>21</sup> მისი „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა“, წინასიტყვაობა, გვ. I—IX; ტ., 1892.

<sup>22</sup> გამოც. 1916, სპეც. გვ. გვ. 251—283, 310—320; მკითხველის განკარგულებაშია ნაშრომის მეორე, არასრული, და შესაბამე გამოცემებიც. (1921 და 1945 წ. წ.).

მნიშვნელოვანი ადგილი. უახლოეს სერიოზულ ცდებს ამ დარგში წარმოადგენს ნაშრომები პროფ. კ. გრიგოლიას<sup>23</sup> და პროფ. ს. ყაუხჩიშვილისა<sup>24</sup>.

თაყაიშვილის ხელში გავლილ ნუსხათაგან, მარიამისეული ვარიანტის გარდა, არა ერთი მისგანვე იქნა აღწერილი და აღწერითი სახით დაბეჭდილი მის კაპიტალურ, ორტომიან „აღწერა“-ში<sup>25</sup>. მათ შორის:

ბარათაშვილისეული ქართლის ცხოვრება (1761 წ.); აღწ., ტ. I, ნაკვ. II, ხელნაწერის № 24; ტ., 1903;

დადიანისეული ქ. ცხ. („სპისოკ მინგრელი“, XVIII ს. უკანასკნ. მეოთხ.). აღწ., ტ. I, ნაკვ. III, ხწ. № 74; ტ., 1904;

თეიმურაზისეული ქ. ცხ. (XVIII ს. პირვ. ნახევ.); აღწ., ტ. II, ნაკვ. I, ხწ. № 130; ტ. 1906;

რუმინანცეისეული ქ. ცხ. (1703 წლამდე გადაწერილი); აღწ., ტ. II, ნაკვ. I, ხწ. № 130;

მარიამისეული ქ. ცხ. (1633—1646<sup>26</sup>), აღწ., ტ. II, ნაკვ. I, ხწ. № 133;

ჯანაშვილისეული ქ. ცხ. (XVIII ს. პირვ. მეოთხ.); აღწ., ტ. II, ნაკვ. I.

ჩვენ აქ თაყაიშვილის აღწერათა რამდენიმე ნიმუში დავასახელებთ. ისე კი, რა თქმა უნდა, აღნიშნულ ორტომულში, სხვა უხვ მასალას თავი რომ დავანებოთ, მართო საქართველოს ისტორიის შემცველი ძეგლები დიდი მრავალფერობით არის წარმოდგენილი. კერძოდ, აღწერილია არა ერთი მანუსკრიპტი ვახუშტის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობიდან, მე-XVIII ს. სხვა ისტორიკოსთა ხელნაწერებიც (სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე და ა. შ.).

აღწერითი მუშაობა გინდ კრიტიკული მიმოხილვა. რომელიც ექვთიმე თაყაიშვილს განუხორციელებია ქართლის ცხოვრების შესასწავლად. დიად არ ამოიწურება აღნიშნული ნუსხებით. გზადაგზა თაყაიშვილს შესწავლის არეში შემოჰქონდა დამატებითი მასალები, მერმე და მერმე მეცნიერთაგან გამოვლენილი ნუსხები, მაგალ.: ქართლის ცხოვრების მანაბლისეული ნუსხა, ან იგი თვისგანვე ერთხელ შესწავლილ-აღწერილ კვლავ უბრუნდებოდა სხვა დროს და სხვა პირობებში. ეს ხორციელდებოდა, თუ დავეყრდნობით მისივე ხელით შედგენილ მის ნაშრომთა სიაში აღნიშნულ წლებს, მთელი 72 წლის ფარგლებში (1890—1962)<sup>27</sup>.

ცხადია, ის მრავალმხრივი გამომხაურება, რეცენზიები, მეტ-ნაკლებად გრცელი შენიშვნები, ბიბლიოგრაფიული თუ სხვა რიგისანი, რომელიც რგებია თაყაიშვილის შრომებს, თავისთავადაც საინტერესო მასალას შეიცავენ ჩვენი საგნის შესასწავლად. ეს რეცენზიები თუ შეფასებანი სხვადასხვა დანიშნულე-

<sup>23</sup> კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან. I. ახალი ქართლის ცხოვრება, თ., 1954.

<sup>24</sup> ქართლის ცხოვრება. ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I (თ. 1955, შესავალი, სპეც. გვ. გვ. 014—021 და შდგ. ტ. II (თ., 1959), შესავალი, სპეც. გვ. გვ. 031—034.

<sup>25</sup> Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения, т. I (თხონ ნაკვეთის შემცველი), ტფ., 1904., ტ. II, ნაკვ. 1—4, ტფ., 1906—1912 (ერთ წიგნადვე). ცალკეულ ნაკვეთებად აღწერები იბეჭდებოდა 1902—1912 წწ. კავკასიის სასწავლო ოლქის ორგანოში: Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа (=СМОМПК).

<sup>26</sup> თაყაიშვილთან მიღებული თარიღი 1638—1646 ამ სახით დააზუსტა კ. გრიგოლიამ.

<sup>27</sup> იხ. ზემოთ მითითებული ბიბლიოგრაფია ე. თაყაიშვილის შრომებისა.

ბის, ტონის, შექმენებითი ღირებულებისანი აიან. ჩვენ აქ გვაინტერესებს გან-  
მასოვადებელი ხასიათის გამოძახილები. კერძოდ, ი. ჯავახიშვილის შრომებში  
ექვთიმე თაყაიშვილის აღწერათა ორტომეული ჯეროვანად ყურადღებულნი და  
შეფასებულნი, როგორც „ვრცელი გამოკვლევა ქვის (=ქართლის ცხოვრების)  
ყველა ხელნაწერების შესახებ“<sup>28</sup>. აკად. ნ. შარის საამისო რეცენზიათა შორის  
აღვნიშნოთ თუნდ ის ერთი, რომელიც მიეძღვნა თაყაიშვილის „აღწერის“ პირ-  
ველ ტომს და დაიბეჭდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კრებულში<sup>29</sup>. რამდენ-  
ადაც. თაყაიშვილთან ერთად, ქართლის ცხოვრების ტექსტების კრიტიკულ შეს-  
წავლაში დიდი იყო მონაწილეობა კერძოდ თ. ყორდანიასი და მ. ჯანაშვილისა,  
ბუნებრივია, რომ ამათ ნაშრომებშიც საქმაოდ მოიპოვება საგულისხმო გამოძა-  
ხილები და შენიშვნები, არა ერთხელ მკვლევართათვის სწორი ორიენტაციის  
მიმცემი, თუმცა ბევრჯერ მწარე ტონით დაწერილი<sup>30</sup>.

მაგრამ რა ხასიათისა არ უნდა იყოს ეს გამოძახილები, ისინი მაინც იმას  
ბოწმობენ, რომ თაყაიშვილის პირველივე ნაშრომები იმსახურებდა სპეციალის-  
ტების ყურადღებას.

რამდენადაც ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ქართლის ცხოვ-  
რების ნუსხათა დათარიღება, მაშინადაც, ქართლის ცხოვრების, როგორც საინ-  
ტორიო შრომათა კრებულის, შემადგენელ ნაწილთა წილოვანება განსაზღვრაც,  
ექვთიმე თაყაიშვილსაც, მაშინ ჯერ კიდევ დაშვებ მეცნიერს, ამ საკითხისათვის  
ვაუტია ძალისაებრი პასუხები თავის სადებიუტო შრომაში—„სამი ისტორიული  
ხრონიკა... გამოცემული ვრცელის წინასიტყვაობით და შედარებით ქართლის  
ცხოვრებასთან და სხვა ხრონიკებთან ექვთიმე თაყაიშვილის მიერ“<sup>31</sup>. ამ წიგნმა  
ერთბაშად პოვა გამოხმაურება მ. ჯანაშვილის წიგნში „აღვადგინე“ და ნ. შარის  
რეცენზიის სახით—„რუსული არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლური  
განყოფილების წერილებში“<sup>32</sup>. მთავარი ის არის, რომ თაყაიშვილმა პირველმა  
გამოაჭყვეა ძვირფასი ძეგლები სათანადო მიმოხილვით. „სამი ხრონიკის“ სათა-  
ურში აღრიცხული „მოქცევა“ („მოქცევა ქართლისაჲ“), სუმბატ დავითის ძის  
ცხოვრება და უწყება ბავრატონიანთა“ და მესხური ქრონიკა.

დას. ხელვებულმა ძეგლებმა, ბუნებრივია, ერთბაშად მოიპოვეს პოპულარო-  
ბა. „მოქცევა ქართლისაჲ“ შეიცავს ანტიკური ხანის ქართველ მეფეთა უნიკა-  
ლური მნიშვნელობის სიას, ქრონოლოგიური მიდევნებით—ადრეფეოდალური  
ქართლის მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელების ამბავს და ბავრატოვა-  
ნების საღინასტიო სახლის გენეალოგიურ მონაცემებსაც (IX ს-მდე). ი. ჯავახი-  
შვილმა თავის ზემოთ დასახელებულ ისტორიოგრაფიულ შრომაში („ძველი  
ქართ. საისტორიო მწერლობა“. 1916, გვ. 38) ეს ძეგლი, მაშინ, 1916 წ. უკვე  
ორი ვარიანტის შეჯერების წესით გამოცემული (იხ. ქვემოთ) შეაფასა როგორც  
„უძველესი სამოქალაქო საისტორიო ნაწარმოები“, დღემდეც. დავძინოთ ჩვენ,

<sup>28</sup> ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 252; ტ., 1916.

<sup>29</sup> ნ. შარი, Критика на работу Е. С. Такайшвили; Описание рукописей, etc. т. I, вып. 1—4, Т., 1902—1904—Сборник отчетов о премиях и наградах, присужденных Академией Наук за 1907 (=მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1907 წლისათვის მინი-  
ჭებულ პრემიათა და ჯილდოთა შესახებ ანგარიშების კრებული). СПб, 1909.

<sup>30</sup> თ. ყორდანი, ქრონიკები, წ. I, გვ. XVII, XX, XXII და სხვ. მ. ჯანაშვილი, აღვად-  
გინე... წიგნის სრული სათაური იხ. ქვემოთ.

<sup>31</sup> ტფილისი, 1890.

<sup>32</sup> Записки восточн. отд. восточн. археологич. общества, т. VI, 1891. გვ. 357—362; სპბ., 1892.

უძველესობით გამორჩეული. ე. თაყაიშვილის ვარაუდით („ჩვენის აზრით“) ძეგლი „შედგენილი“ უნდა იყოს მე-XVII ს. რომელი თარიღიც, ძართალია, ყველასაგან არ იქნა გაზიარებული<sup>33</sup>. თაყაიშვილმა ამასთან ერთად საბუთიანად გაასწორა დ. ბაქრაძის მიერ წარმოდგენილი ქრონოლოგიური მახზღვრელი (226—876 წ. წ.) იმ ხელნაწერისა („შატბერდის კრებული“), სადაც აღმოჩნდა ქართლის მოქცევის აღნიშნული ტექსტი და რომელსაც თაყაიშვილი ათარიღებს დაახლოებითა 973 წლით. აკად. ს. ჭანაშიამ. საკმაოდ დაწვრილებით განიხილა რა ამ ძეგლის შესწავლის ისტორია, დაასკვნა, რომ თაყაიშვილის მიერ დადგენილი ეს უკანასკნელი თარიღი „მას შემდეგ ჩვენს სამეცნიერო მწერლობაში დიდად არ შეცვლილა“<sup>34</sup>. მაგრამ ქრონოლოგიური კვალიფიკაციის გარდაც თაყაიშვილს, ცხადია, არა ერთი სხვა საზრუნავი ჰქონდა ძეგლის არქეოგრაფიული შესწავლისათვის, წყარომცოდნეობითი მოთხოვნების დაკმაყოფილებასათვის.

ჩვენი საერთო ამოცანის შესაბამისად, ჩვენც. ქვემოთ მოყვანილი მაგალითების საფუძველზე, ვცადოთ, უფრო დავუახლოვდეთ თაყაიშვილის არქეოგრაფიული მუშაობის ხერხებს. მის წყარომცოდნეობით მოთხოვნებს, სათანადო ტექნიკას და ა. შ.

ჩერ ყურადღებას იქცევს მაშინ დამწყები მკვლევარის, თაყაიშვილის, მიზანდასახული სწრაფვა—ალიქვას მოცემული ძეგლის, ქართლის მოქცევის დამოკიდებულება მთელთან, ქართლის ცხოვრებასთან. რომელი კრებულაც, ზემოთ-ტექსტისამებრ. მისთვისაც ყოველთვის შეადგენდა ზრუნვის საგანს. ამასთან დაკავშირებულია ავტორის საგულისხმო შენიშვნა, რომ „ისტორიკოსმა ვახუშტიმ და თეიმურაზ ბატონიშვილმა სრულებით არ იციან ქართლის მოქცევა“. მსგავს შენიშვნას თაყაიშვილი აკეთებს იქვე დასახელებულ „ბროსეს, ჩუბნიოვის, ბაქრაძის და სხვების“ მიმართაც: ამათ „არა ერთხელ ჩამოუთვლიათ ქართლის ცხოვრების წყაროები. რომელიც თვით ამ მატრიანეში იხსენიებიან, მაგრამ არც ერთს მათგანს არ შეუნიშნავს, რომ ქართლის მოქცევა,—სწერს თაყაიშვილი.—განცალკევებული წყაროა ჩვენი ისტორიისა“<sup>35</sup>. ამ სიტყვების ავტორს ამ თვალსაზრისითაც განუხილავს რა ქართლის ცხოვრების ყველა მაშინ არსებული ვარიანტი, შეუძინებია, რომ „ცნობები მის შესახებ“, ჩვენი სიტყვით—მითითებანი ქართლის მოქცევაზე, „შეტანილია თვით ქართლის ცხოვრებაში, და არ მოიპოება ისეთი ვარიანტი,—განაგრძობს სანაქებოდ ერუდიოიული ახალგაზრდა მეცნიერი,—რომელიც ქართლის მოქცევას თავის წყაროდ არ უჩვენებდეს“<sup>36</sup>. ამას მოსდევს ავტორის აზრის დამადასტურებელი მითითებანი იმ ვარიანტებზე სათანადო სქოლიოებში.

ავტორი წლებს მანძილზე გულდასმით მუშაობს ქართლის ცხოვრების ტექსტებზე, ამ კრებულის, მისი ვარიანტების ქრონოლოგიაზე, აღებული მიმართულებით სხვათაგან წარმოდგენილი ცდებისა და დასკვნების შემოწმებაზე. ამ დარგში მისი წვლილის მნიშვნელობას არაპირდაპირ გვაძინობს ქართლის მოქცევის შემფასებელი თაყაიშვილის ასეთი სიტყვები: „აქამომდე ჩვენ არ გვქონია არც ერთი ძველი ხრონიკის ვარიანტი, რომლითაც შესაძლებელი ყოფილიყო

<sup>33</sup> შტრ. ი. ჭ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. საისტ. მწერლობა, გვ. 40.

<sup>34</sup> ს. ჭ ა ნ ა შ ი ა, უძე. ეროფ. ცნობა ქართველთა პირველსა ცხოვრების შესახებ, etc, შრომები. ტ. II, გვ. 28, თ., 1952.

<sup>35</sup> მისი „სამი ისტორიული ხრონიკა“, გვ. LXXXII და LXXX—LXXXI.

<sup>36</sup> იგივე, გვ. XXXI



შემოწმება ქართლის ცხოვრების ცნობებისა. ახლა კი, განაგრძობს ავტორი, ქართლის მოქცევის საშუალებით შეგვიძლია შევამოწმოთ უმთავრესი ცნობები ქართლის ცხოვრებისა და ვალიაროთ მათი სიძველე ანუ უარვეყოთ ზოგიერთი მათგანი<sup>37</sup>.

თაყაიშვილმა მართლაც განახორციელა შემოწმებითი სამუშაო. ქართლის მოქცევის აღნიშნულ გამოცემაში (მეორე, უფრო სრულყოფილი გამოცემის შესახებ იხ. ქვემოთ) სქოლიოებში „ძალად შევიტანეთ ის ადგილები ქართლის ცხოვრების ტექსტისა,—წერს ის,—რომელნიც სიტყვასიტყვით ემთხვევიან ქართლის მოქცევის ხრონიკას, და აღნიშნეთ განსხვავებანი“. ავტორის ერთი მიზანი ისიც იყო, რომ „თვალსაჩინოდ დაგვეჩვენებინა მკითხველისათვის“ განსხვავებაც<sup>38</sup>. საერთოდ, ასეთი „შედარებითი გამოცემა“ მას სამართლიანად მიაჩნდა „ძრიელ საჭიროთ“<sup>39</sup> და მან ამ წესის დაცვით კიდევ განახორციელა არა ერთი საისტორიო წყაროს პუბლიკაცია.

ამ პუბლიკაციათა შორის მოკლედ დავახასიათოთ, როგორც სანქტუო, იმავე „ქართლის მოქცევის“ მეორე<sup>40</sup> გამოცემა (1912 წ.). გამოცემის საბაზი უთუოდ იყო 1902—1903 წ.წ. ა. ხელაიას მიერ ქელიშის უდაბნოში (რაკა) „ქართლის მოქცევის“ ახალი ვარიანტის აღმოჩენა<sup>41</sup>. ახალ გამოცემაში ე. თაყაიშვილმა ორივე ვარიანტი, შატბერდისა და ქელიშისა, დაბეჭდა ერთად, მათი ტექსტების შეჯერების გასაადვილებლად. ეს ტექსტები მთლიანად არის მოთავსებული თაყაიშვილის „აღწერა“-ში, ტ. II (ნაკვ. IV). გვ. გვ. 708—813. ვარიანტების აღწერა—შეფასება პუბლიკატორს მოკლედ აქვს წარმოდგენილი (იგივე, გვ. 704—708 და 813—815, რადგან შატბერდის ვარიანტი, როგორც ვნახეთ, მის პირველ განოცემაშია დაწვრილებით აღწერილი; ხოლო ქელიშისა მისი აღმომჩენის მიერაა აღწერილ-შეფასებული).

ცხადია, ტექსტების შეჯერებაზე რთული მუშაობისას თაყაიშვილს წინ ედო ისეთი შედარებით იოლი, მაგრამ ფაქიზად შესასრულებელი საქმეც, როგორც არის, მაგალითად, ხარვეზების, კოხხეასხვაობათა, მართლწერის დარღვევის შემთხვევათა გამოვლინება.

თაყაიშვილის მიერ ორივე ვარიანტის ტექსტების შეჯერებამ ცხადყო, რომ შატბერდისა, მეორესთან შედარებით, „სანიმუშოდ“ იყო დაცული („превращается в оригинальный“). მეცნიერი გამომკეპელი იმასაც განმარტავს, თუ რატომ მოხდა ასე, იმიტომ, ბრძანებს სპეციალისტი, რომ შატბერდისეული ტექსტი ერთხელვე შეტანილი მე—X ს-ის ცნობილ კრებულში, სამარადამოდ ჩარჩა ხელნახლებელი, ვადარჩა დროთა ბრუნვას შეუბღალავი,—გამომკეპლის ლაკონიური სიტყვით—„შემოინახა X ს-ის ნუსხაში (список), რომელი საუკუნეც წარმოადგენდა ქართული მეწიგნეობის (книжного дела) საუკეთესო დროს“ (აღწ., II, ნაკვ. IV, 814), ხოლო ქელიშისეულმა კი „пережил период

<sup>37</sup> „სამი ისტორიული ხრონიკა“ გვ. LXXXIV.

<sup>38</sup> იგივე, LXXXVI და LXXXV

<sup>39</sup> იგივე, გვ. LXXIX

<sup>40</sup> თავისი ფასი აქვს თ. ეორდნაის მიერ („ქრონიკები“, წ. I, 1892), დაბეჭდილ „მოქცევა ქართლისაჲ“-ს ტექსტს (გრცელი შენიშვნებით). ტექსტი ამ გამოცემაში დანაწილებულია ნაწყვეტ-ნაწყვეტად, გვ. 11-ისა და 79-ის ფარგლებში.

<sup>41</sup> არხიმანდრიტი ამბროსი, ქელიშის ვარიანტი „ქართლის მოქცევისა“, „ძველი საქართველო“, ტ. I, გვ. 1—29, ტ. I, 1909; ცალკე ამონაბეჭდი, ტ. I, 1911. არხ. ამბროსი ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია შემდგომ (1921—1927 წწ) იყო „სრულიად საქართველოს კათალიკოს—პატრიარქი“.

падения культуры Грузии“, ესე იგი, ჩვენი სიტყვით რომ ვთქვათ, ჰელიოსიკური ვარიანტი, როგორც უწყვეტლივ ცოცხალი გამოყენების საგანი, არ გადაპყობია საქართველოს კულტურის დაცემის უბედურ ამბებს, ის გამძლე აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ხმარებაში დარჩენილი, იგი ისე გადამახინჯდა სხვადასხვა დროის ვადაწერათაგან, რომ თუ არა შატბერდის ტექსტის დახმარებით, აღნიშნავს მეცნიერი, ისე ჰელიოსიკურულში ბევრი რამე გაუგებარი იქნებოდა სპეციალისტისათვის (გვ. 814).

ამავე დროს ტექსტის საკუთარ კრიტიკას ექვთიმე, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მარცვლავს, მოსთვლის რა ტექნიკური, ტექსტოლოგიური თუ პალეოგრაფიული ხასიათის დაბრკოლებებს. მაგალითად, იმ ფაქტის ძალით, რომ შატბერდისა და ჰელიოსის ვარიანტების შემცველ ორივე ხელნაწერს აკლია ერთი საფურცლე ტექსტი (ТЕКСТ ОДНОГО ЛИСТА), თაყაიშვილს მსწრაფლ დაებადა აზრი, რომ ამის მიზეზი არ უნდა ყოფილიყო ფურცლების დანაკლისი (НЕ ПО ДЕФЕКТИВНОСТИ ЛИСТОВ), არამედ მიზეზი უნდა იყოს იმ დედნის დანაკლისი თუ დეფექტიანობა, რომლიდანაც ალბათ გადაწერილია მოცემული ხელნაწერის ტექსტი (იქვე). ეს იმასაც მოასწავებს, ცხადია, რომ მან შემოვლითი გზით დასახა იდეა იმ საძიებელი დედნის სიძველეთსაცავებში მოჩხრეკისა. „ხუტურში მსგავსი ასოების („СХОЖИХ БУКВ“, ე. ი. თანამსგავსი მოხაზულობის ასოთა) აღრევისაგან წარმოდგარი შეცდომები ხელნაწერის ტექსტში ჩვეულებრივი მოვლენა არისო“, შენიშნავს ის (გვ. 815). ამ რიგის შეცდომებს იქვე ერთვის მეორე რიგის შეცდომებიც ქარაგმათა ხმარების წესის დარღვევით გამოწვეული. თაყაიშვილის მუშაობის ამ მხარეს ქვემოთაც ექცევა ყურადღება. ჰელიოსის ტექსტში დატულ მართლწერაში მკვლევარმა შენიშნა ქართული ანბანის 22-ე და 3ე-8 ასოთა ნაერთი (უშ). რომელშიც უ ქარაგმანია. ამის მხახველმა თაყაიშვილმა აღნიშნული დაქარაგმებული ნაერთი მიიჩნია, როგორც წინამორბედი XVIII ს. ანტონისეული შენაერთისა (უშ). რომელშიც უ-ბრჯგუა გამოყენებულ (გვ. 815).

ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობაში წარმოდგენილია ცნობილი ძეგლიც აღნიშნული ფეოდალიზმის ხანისა.—ზემოთ მოხსენიებული სუმბატის ქრონიკა, უფრო ზუსტად, სუმბატ დავითის ძის ბაგრატიონანის (ბაგრატიონანს; XI ს.) „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონანთა“. მსგავსად „ქართლის მოქცევისა“, ამ ქრონიკამაც, თაყაიშვილის შემოქმედ ხელში არა ერთხელ გავლილმა და გადასინჯულმა, ახალი შუქი შეიტანა ქართლის ცხოვრების ტექსტების კრიტიკულ შესწავლაში,—ეს სრულიად დამოუკიდებელი იმისგან, თუ რა რჩებოდა ე. თაყაიშვილის ნაშრომებში, ადრე და მერმისში. გასასწორებელი, შესავსებელი. გადასასინჯი და ა. შ., ან კერძოდ, რა შენიშვნები გამოიწვია სუმბატის ქრონიკის პირველმა პუბლიკაციამ (1890 წ.) სამეცნიერო კრიტიკაში<sup>42</sup>.

სუმბატის ქრონიკის თაყაიშვილისეულ პირველ ორ გამოცემას (1890. 1906<sup>43</sup>) საფუძვლად დაედო მაშინ ცნობილი მარიამისეული ქ. ცხ-ის ერთადერთი ვარიანტი. მაგრამ რადგან იგივე ქრონიკა შესწორებული სახით მოპოვებულ იქნა ვახტანგის „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ ნარედაქციევ ქ. ცხ.-ის ტექსტში, თაყაიშვილმა პირველ თავის გამოცემაში, სქოლიოებში, აღნიშნა „შესწორებუ-

<sup>42</sup> იხ. უო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, წ. 1, წინასიტყვაობა, გვ. XXII—XXV; გვ. 138, ვარსკვლავიანი ვრცელი სქოლიო, და სხვ.

<sup>43</sup> 1906 წ. გამოცემული ტექსტი წარმოდგენილია ქართლის ცხოვრების მარიამისეულ ვარიანტში (იხ. ქვემოთ).

ლი ქ. ცხ-ის ვარიანტები“ (საქმის ასეთი ვითარების შესახებ იხ. სუმბატის ქრონიკის შესამე გამოცემის გვ. 3).

აღნიშნულ მეორე გამოცემის წლიდან (1906) შესამე გამოცემის წლამდე (1949) მთელმა ხანამ განვლო.

ამ უკანასკნელი გამოცემის განხორციელებისას თაყაიშვილი თავს მოვალედ თვლის გარკვეული წესის თანახმად გააცნოს მკითხველს ახალი მასალა, რომელიც დაგროვდა სუმბატის ქრონიკის საკითხის ირგვლივ განვლული დროის ნაწილზე. უკანასკნელ პუბლიკაციაში სათანადო სიზუსტით არის მოცემული მარიამისეული ქ. ცხ-ის გამოქვეყნების (1906) შემდეგ მოპოვებული ქ. ცხ-ის ხელნაწერების დახასიათება, მოკლე ტექსტოლოგიური შენიშვნები არსებულ საეცალური ლიტერატურის გათვალისწინებით (ჯავახიშვილი, ყაუხჩიშვილი. ვრცელად).

სუმბატის ნაშრომისადმი მიძღვნილ აღრინდელ გამოკვლევაში („სამი ისტორიული ხრონიკა“) მკითხველს ეუწყება, რომ მარიამის ვარიანტის აღმოჩენამდე „ჩვენ არა გვქონია წარმოდგენა სუმბატის (მიერ შედგენილ ვ. დ.) ისტორიისაზე, გარდა იმისა, რომ ცნობილი იყო მისი სათაური (გვ. CIII—CIV). აქ მოთხოვნილია ქართლის ცხოვრების ის ადგილი. სადაც, სქოლიოში. თეიმურაზისეული ნუსხის საფუძველზე, მოყვანილია ეს სათაური. (იხ. ქართლის ცხოვრება, გვ. 161, შენ. 3; ივლისხმება ბროსე. ქართლის ცხოვრება, ტ. I). ამ სათაურიდან, წერს მკვლევარი, ჩანდა, რომ ქართლის ცხოვრებაში გამოყენებული იყო სუმბატის ისტორია, მაგრამ სახელდობრ რა ნაწილები იყო ამ ისტორიიდან ნასესხები. ამის შესახებ „მარიამისეული ცნობა არ გვქონდა“ (გვ. CIV). ამას მოსდევს დახასიათება თაყაიშვილის მიერ ხელნაწერზე ჩატარებული მუშაობისა, მისი დაკვირვებანი, მისგან დასმული კითხვები და პასუხები. დაახლოებით ამ გზით მარიამის ვარიანტის შემადგენლობაში. მკვლევარის მუშაობის შედეგად, მთლიანად გამოვლინდა ძვირფასი ძეგლი, სუმბატის ქრონიკა, როგორც „გაცალკევებული“ (იქვე), დამოუკიდებელი თავი. თაყაიშვილი გულმოდგინედ ჩაუჭდა ქართლის ცხოვრების მამინ ცნობილ ნუსხებს და ახლად აღმოჩენილი სუმბატის ნაშრომის ტექსტობრივი შეჯერების წესით იმ ნუსხებთან დადგინდა ნათელი სურათი, კერძოდ, ის ფაქტი, რომ: 1. უმეტესი ნაწილი სუმბატის ისტორიისა ყოფილა შეტანილი აღნიშნულ ნუსხებში და თითქმის სრულად—მართო თეიმურაზისეულ ნუსხაში; 2. სუმბატის ისტორია „დაგლეჯილია ფრაზებად და მცირედენ ნაწილებად და ისე შექსოვილი და ჩაყვრებულია აქა-იქ ქართლის ცხოვრების ტექსტში“; 3. სუმბატის ცნობები უკრიტიკოდ, მექანიკურად არის ჩართული ქართლის ცხოვრების ტექსტებში, და აქედან წარმოდგა ხშირად ძნელად დასაძლევე წინააღმდეგობა მოწმობათა შორის. ფაქტობრივი შეუსაბამობა და ა. შ. 4. მკვლევარმა საჭირო აღდგენითი, ტექსტოლოგიური სამუშაო განახორციელა: „ჩვენ გამოვწვლილეთ და გამოვკრიბეთ ქართლის ცხოვრების ტექსტიდან ის ფრაზები და მოთხრობანი,—წერს ის,—რომელნიც სუმბატის ისტორიის ვარიანტი. რომელიც მარიამის ვარიანტის შესადარებლად ვინმარეთ“ და ა. შ. (გვ. CIV და CV).

მიუხედავად იმისა, მაშასადამე, რომ სუმბატის ქრონიკა ცალკეული მთლიანი ნაშრომის სახით აღმოჩნდა XVII ს-ის ქართლის ცხოვრების შედგენილობაში, მისმა მეცნიერმა მკვლევარმა საჭიროდ ჩათვალა არა მცირედი დრო და ენერგია შეეწირა და ამ ცხოვრებიდან გამოეჩინა ის საკითხავები, რომელსაც შესა-

სწავლი ქრონიკის კუთვნილებად იცნობოდნენ სპეციალისტის მიერ. ვარაუდი სწორი იყო. იმ მწიგნობრებს, რომელნიც, ვინ როდის, ქართლის ცხოვრების, თუ იქნება ასე ითქვას, უსუმბატო ტექსტების გასამდიდრებლად ესესხებოდნენ სუმბატის ცალკე წიგნად მდებარე ქრონიკას—ცალკეულ ცნობებს, ფრაზებს, პასაჟებსა და ა. შ., არ შეიძლებოდა საკუთარი გაგება, „ხელი“, იერი, არ დაეჩნიათ წასესხებისთვის მისი გამოყენების დროს. მაინც რაში გამოიხატა ესო, იკითხავს ჰეიზეველი. ექთიმე თაყაიშვილმა კითხვასხვაობა, საკითხავთა ვარიანტული თუ სხვა ხასიათის თავისებურებანი, ნაკი თუ ნამატი, შეჯერების გზით გამოვლენილი მის მიერ, სუმბატის ქრონიკის გამოცემული ტექსტის სქოლიოებში წარმოადგინა მკითხველისთვის მზამზარეულად, მისთვის ჩვეული სიბეჯითით. ეს სქოლოები ძალზე საინტერესო სამეცნიერო აპარატს ქმნიან აღნიშნულ პუბლიკაციაში.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. იმ აპარატში წარმოდგენილი მასალა ჯერ გვაკარნახებს დაეასკენათ, რომ XVIII—XIX ს. მიჯნაზე და შერძე ძველი ხელნაწერის გამოყენებულებს, იმათ, ვის ხელშიც მისცემია ჩვენთვის ცნობილი სახე ე. წ. ქართლის ცხოვრების თეიმურაზისეულ ნუსხას თუ რიგ სხვა ნუსხებს, ბუნებრივად მოუმარჯვნიათ თავისი დროის ქართული. ქრონიკის ძირითადი ტექსტის არქაული გამოთქმები: „ცხოვრება“, „სადათ“, „აბრაჰამ“, „სომხოსი“, „გუარანი“, „კაბეჩოანი“. „ძესა ნერსესსა“ და მრ. სხვ.—ზოგ ნუსხაში შეცვლილან. ფორმებით: ცხოვრებაჲ, საღით, აბრაჰამ, სომხეთს, გურამ, კამბეჩოანს, ძესა ნერსესისა. და ა. შ. ამავე დროს. აღნიშნულ პირებს, თავისი ხანის სპეციალისტებს. სუმბატის ქრონიკაში ერთხელ შერყენილი საკითხავები, სადაც შესძლებიათ, უსწორებიათ. მცდარი „საეანეთს (გვ. 44)“, „ასპორანგს“ (იქვე), „მოშალე“ (გვ. 45). „ვატ-ბოროტისანი“ და ა. შ. შესაბამისად შეცვლილია სწორით: სიგნეთს (სიგნიეთს), ასპურაგანს (ვასპურაკანს). მუშელ, ვატ-ბოტის(ანი) და სხვ.

თაყაიშვილისეული სქოლიოები. მკითხველის თვალწინ დალაგებული შესადარებელი მასალა ირიბი გზით სხვა პრინციპული მნიშვნელობის დასკვნებსაც გვიკარნახებს. სუმბატთან, კერძოდ. აღნიშნულია, რომ მას შემდეგ, რაც ვახტანგ გორგასალის მემკვიდრეებმა დაკარგეს მეფობა (VI ს.), ხელისუფლება ერგოთ „ქართლისა აზნაურთა“ და „ეპყრა“ მათ იგი „ვიდრე ამათმდე“ —ბაგრატიონთა დინასტიის დაწყებამდე, როდესაც „დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათგან“ (გვ. 44). სქოლიოში კი ნაჩვენებია, რომ ამ უკანასკნელ წინადადებას აკლია, თეიმურაზის ვარიანტში. სიტყვები: „დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა“. გამოდის, „ბოროტნი საქმენი“ მიეწერათ ვახტანგის მემკვიდრეებს. ყოველი ეს დამართეს ტექსტს იქნებ ცნობის სოციალურკლასობრივი გააზრების გამო.

ფეოდალურ-აზნაურული ქართული სახელმწიფოებრიობის იდეოლოგებში გარკვეულ რეაქციას იწვევდა აზნაურობის შემბლაღავი ლიტერატურული გამოცემები. ამავე დროს, როგორც ივ. ჯავახიშვილმა თავის დროზე აღნიშნა, სუმბატ დავითის ძე აზნაურთა მოძულე ყოფილა (ძველი ქართ. საისტ. მწერლობა, გვ. 435). აქვე მოვიგონოთ, რომ ქართველ დინასტთა გვარი სუმბატის (თვითონ ამ გვარის წარმომადგენლის) მართლწერით ისახელება. როგორც „ბაგრატიონანი“. „ბაგრატიონიანთა“ (გვ. 43 და 45). ამის თანახმად გიორგი მერჩული (X ს.) იცაღს მართლწერას „ბაგრატუნანი“: „ქელმწიფჳ დიდი ბაგრატუნანი აშოტ

კურაპალატი“ (აკად ნ. მარის გამოც. გვ. იბ=12<sup>44</sup>). ცნობილია ფორმაც „პანკ-რატონიანი“ (თამარის ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი“, გვ. 2 10<sup>45</sup>-10). რომლის პარალელურად მასთანვე ნახმარია, გვ. 47. 11-12. ბაგრატიანი. ამ უკანასკნელი ფორმის მაწარმოებელია-ო(ვ)ან სუფიქსი: ბაგრატიანი; თავისი მხრივ ბაგრატუნ/ონ-იანი-ი წარმოგვიდგენს სომხურისა (ბაგრატიუნი) და ქართულის (ბაგრატიანი; შტრ. „სასანიანი“. „გორგასლიანი“) კონტამინაციის მაგალითს. უგვიანეს წარმოებად ჩანს ბაგრატიონი. რომელშიც გამოყენებულია იონ-სუფიქსი (შტრ. მეფიონი, საყდრიონი, ღროშიონი, მაყრიონი, არიფიონი, დაფიონი, როშიონი და მისთანანი)—მონაპოვარი აღმოსავლურ-ქართული ენობრივი წრისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ბაგრატიონი“ პირველად კახეთის პოლიტიკურ ნიდაგზე გახდნენ „ბაგრატიონები“.

ზემოთ აღნიშნული მკითხველს აუწყებს იმასაც, რომ სუმბატის ქრონიკის პირველ გამოცემას მისი მესამე, უკანასკნელი გამოცემა შორავს მთელი 59 წლით. განა რამდენ მეცნიერს რგებია ბედი—თავისი ნაშრომი ამდენი ხნის შემდეგ თავისივე ხელით განეახლებია? ასეთი იშვიათი ბედი წილად ზედა ექვთიმეს. აღრინდელი ლიტერატურული სტილით თუ ვიტყვოდით, დიდ ექვთიმეს, და ეს პასაკობრივი მისი სიძველე, ხალხურ ენაზე რომ ითქვას, არმად არ წამხდარა. სიძველე მას დიდად შეველოდა სიახლის ძებნაში. როდესაც სუმბატის ქრონიკის მესამე გამოცემას ამზადებდა, აქ, როგორც ამას მოითხოვდა მისი წყაროთმცოდნეობითი და არქეოგრაფიული დიდი გამოცდილება. აღეძრა კითხვა, თუ ქართლის ცხოვრების არსებულ, 1949 წლისათვის გამოვლენილ ხელნაწერთაგან რომელს შეეძლო დამატება, გინა შესწორება. სასურველი შუქი შეეცანა სუმბატის ადრე ორგზის გამოცემულ ტექსტში. თაყაიშვილისათვის საგულისხმო მონაპოვარი იყო ჭერ კიდევ 1942 წ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ ძველ მანუსკრიპტებში გამოვლენილი არჩილისეული, იგივე მაჩაბლისეული. ნუსხა ქართლის ცხოვრებისა. უკვე პირველივე გამოცხანილები შეიცავდნენ სპეციალისტისათვის საგულისხმო ცნობას. ხელნაწერის პირველმა აღმწერმა აღნიშნა, ეს მანუსკრიპტი ძველი ქართლის ცხოვრების თხზულებათა ფარგლებში „ახლო ნათესაობას იჩენს“ მარიამისეულ ხელნაწერთან<sup>46</sup>. სუმბატის ქრონიკის გამომცემლისათვის უფრო საინტერესო იყო სწორედ ამ ქრონიკის აღმოჩენა მაჩაბლისეულ ნუსხაში. ამ უკანასკნელში სავარაუდებელი იყო დამხმარე მასალის მოპოვება. სუმბატის ქრონიკის ტექსტოლოგიურ სიძნელეთა დასაძლვეი მონაცემების პოვნა. ერთი სიტყვით, მეცნიერი გამომცემელი ელოდა სუმბატის ქრონიკის ადრინდელ გამოცემათა „თვალსაჩინო შესწორებას“. რამდენადაც მარიამისეულ ხელნაწერში, მისივე გამოთქმით, „ზოგი სიტყვა და ფრაზა დამახინჯებულად არის წარმოდგენილი“ (სუმბატის ქრონიკა, გამოც. 3. გვ. 10). ამავე დროს საგანია უახლესი განხილვა იძლეოდა საბუთს დასკვნისათვის. რომ საერთოდ მაჩაბლისეული ხელნაწერის ტექსტი, მთლიანად აღებული. „იბ ზომიანედ დამახინჯებული არ არისო“. როგორც მარიამისეულში (კ. გრიგოლია<sup>47</sup>). მაგრამ

<sup>44</sup> Георгий Мерчул, Житиѣ св. Григория Хандзтийского, Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра с Дневником поездки в Шавшию и Кларджию, СПб., 1911. —Тексты и размыскания по армяно-грузинской филологии, кн. VII.

<sup>45</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. 11, თ., 1959.

<sup>46</sup> ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. გვ. XXX. თ. 1942.

<sup>47</sup> „ახალი ქართლის ცხოვრება“, გვ. 120; თ., 1954.

ორივე ხელნაწერის შეჭერების გზით (სუმბატის ქრონიკის შემცველ ნაწილში) აკადემიკოსმა თაყაიშვილმა ცხადყო, რომ სუმბატის ქრონიკის ტექსტი, მისი შეცდომებიანად, იქაც და აქაც, „თითქმის იდენტურად არის წარმოდგენილი“, რომ მაჩაბლისეულში „იგივე შეცდომებია, იგივე დამახინჩება სიტყვებისა და იგივე ნაკლოვანება ფრაზებისა“. ისე რომ. „მოლოდინი არ გავგიმართლდა“ (იქვე).

რაც უნდა იყოს, მაჩაბლისეული ხელნაწერი. უგულვებელსაყოფი დიად არ იყო, და თაყაიშვილმა სუმბატის ქრონიკის ახალ გამოცემაში, სქოლიოებში, მთელი სისრულით გამოაჩინა იმ ხელნაწერის კითხვასხვაობანი, ოღონდ ამ სქოლიოებში მან განმეორების მორიდებით აღარ შეიტანა ის შესადაარებელი მასალა, რომელიც, ზემოთ აღნიშნულის თანახმად, მკითხველს ეხმარება ქრონიკის პირველ გამოცემაში. სუმბატის თხზულების ირგვლივ დასმული საკითხები თაყაიშვილის შრომაში ამით არ ამოიწურება. კერძოდ, მტკიცედ დადგენილად არის, მაინცდამაინც ბოლო დრომდე, მიჩნეული ძეგლის მისეული დათარიღება, XI ს.<sup>48</sup> მაგრამ ისიც მართალია. რომ ყველა მისგან აღძრული საკითხი კერძოდ, სუმბატის ქრონიკის ურთიერთობის შესახებ ე. წ. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ტექსტთან, მის მიერ არ გადაწყვეტილა<sup>49</sup>.

ამრიგად, ექვთიმე თაყაიშვილი თავის მუშაობაში საისტორიო წერილობით ნაშრომებზე დიდ ადგილს უთმობდა როგორც ქართლის ცხოვრების ვარიანტებს მათ მთლიანობაში. ისე ცალკეული ვარიანტის თუ ნუსხის შემადგენელ ნაწილებს, რომელთა შესწავლა თანაბრად აძლიერებდა მოპოვებულ ცოდნას ქართლის ცხოვრების შესახებაც და, საერთოდ, ქართველი ხალხის მთელი ისტორიის სფეროშიც. დიდია თაყაიშვილის წვლილი, ქართლის ცხოვრების სხვა ვარიანტთა შორის, ზემოთ მოხსენიებული ნუსხების—თეიმურაზისეულისა და რუმიანცეისეულის შესწავლა-შეფასებაში. კერძოდ. მყარი გამოდგა თაყაიშვილის მიერ კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნა იმ დებულების (დ. ბაქრაძე) მიუღებლობის შესახებ, რომ თითქოს თეიმურაზის ვარიანტი ყოფილიყოს ვახტანგ მეექვსის წინააღობინდელი წარმონაქმი.

მაგრამ უმეტეს ეფექტიანი აღმოჩნდა ის შრომა მკვლევარისა, რომელიც მან გაწია „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ ვარიანტზე (XVII ს.) და მასში დატულ „სუმბატის ხრონიკაზე“. ამ ქრონიკისა და მასთან დაკავშირებული საკითხების გამოკვლევა (მაგალ. „ქართლის ცხოვრების“ წარმოშობის ქრონოლოგიური თვალსაზრისით შემოწმება), ზემოთ თქმულისამებრ, აქტუალური საქმე იყო.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. რომ „მარიამისეული ქართლის ცხოვრება“ სამეცნიერო ბრუნვაში მოხვდა (1884 წ.) დ. ბაქრაძის მეშვეობით („ამ ცოტა ხანში შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში“). პირველი სერიოზული ცდა ამ „ცხოვრების“ ისტორიის შესწავლისა, ვანახორციელა ექვთიმე თაყაიშვილმა. მანვე პირველმა შეძლო მისი კრიტიკული გამოცემა (1906 წ.). ჯერ მას ამ ვარიანტის მოკლე დახასიათება დასჭირდა სუმბატის ქრონიკის პირველ კრიტიკულ გამოცემასთან დაკავშირებით (გვ. CXV და შდგ.). მერმე მეცნიერმა დაბეჭდა<sup>50</sup> ვარიან-

<sup>48</sup> ივ. ჯავახიშვილი, ძვ. ქართ. საისტორიო მწერლობა, გვ. 133—135. გამოც. 3, 1945, გვ. 192. შდრ. კ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ., გვ. 235.

<sup>49</sup> კ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ., გვ. 226—227.

<sup>50</sup> „აღწერა“—Описание. ტ. II, ნაკვ. I, აღსაწერი ხელნაწერის № 133 (30). გვ. 27 — 114. თ., 1906. იხ. აგრეთვე „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, კოლექცია „S“, ტ. I, სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თ., 1960.

ტის საკუთარი ვრცელი აღწერილობა. მკვლევარი დიდი სიფაქიზით აზუსტებს. ბაქრაძის შემდგომ, ძეგლის წარმოშობის გასარკვევად გამოსაღვე სინქრონიკულ მონაცემებს. ნაჩვენებია, რომ 1. დედოფალი მარიამის სახელი (ამის ბრძანებით გადაწერილ იქნა ვარიანტი) ხელნაწერში იხსენიება „ოცს სხვადასხვა ადგილას“ (სუმბატის ქრონიკა. გვ. CXV). 2. „სამს ადგილს იხსენიება, როგორც ცოცხალი, ჰირშო ძე მარიამისი, ოტია“; 3. ოტია იყო მარიამისა და სვიმონ გურიელის შვილი; 4. 1636 წ. მარიამი ცოლად გაჰყვა ქართლის მეფეს როსტომს, რომელიც ოტიას, ფარსადან გორგიჯანიძის (XVII ს.) სიტყვით, შეილსავით ზრდიდა; 5. ოტია მიიქცალა 1646 წ., დამარხეს მცხეთაში. სქოლიოში. მიღებული წესით. მითითებულია ამ ცნობების ლიტერატურული წყარო (ბროსეს გამოცემული ქართლის ცხოვრება<sup>81</sup>) და ა. შ. ეს მონაცემები საზღვრავენ ხელნაწერის გაჩენის დროს (1636—1646). ამ ფასდაუდებელი ძეგლის პუბლიკაციის საქმე ქვემოთ არის აღნიშნული.

ყველა ზემოთ ნათქვამიდან საქმაოდ მკაფიოდ ჩანს, რომ ე. თაყაიშვილი თავის კვლევა-ძიებაში არ იფარგლებოდა ტექსტების გარეგანი კრიტიკით. წყაროების შეფასებისას იგი, სადაც კი ამას ახერხებს, შინაგანი კრიტიკის მოთხოვნებსაც ყურს არ უყრუებს. ამ მხრივ საგულისხმო ჩანს შემდეგი მაგალითი, დაკავშირებული ქართლის ცხოვრების რუმინანტევისეულ ხელნაწერთან და თეიმურაზ ბატონიშვილის, გიორგის ძის, სახელთან. ე. თაყაიშვილმა ქართლის ცხოვრების იმ ნუსხათა შესწავლის შედეგად, რომელნიც თეიმურაზის ხელში ყოფილან გავლილი, ჯერ კიდევ 1906 წ. გამოქვეყნებულ „აღწერაში“ შენიშნა, რომ თეიმურაზს სიტოცხლეშივე ქართველთმცოდნე სპეციალისტად კარგად ცნობილს. რედაქტორული კვალი დაუჩნევია ზოგი ხელნაწერისათვისაც ანე. № 130 ხელნაწერში („აღწერა“, ტ. II, გვ. 5 და შდგ.), მის დასაწყის ნაწილში, რომელიც შეიცავს ოდესღაც გაჩენილ ლეგენდას—თითქოს ერთ დროს „ქართლოსიანთა ენა სომხური იყო“ და მხოლოდ შემდგომში, ენათა ბიბლიური არევის შედეგად, „შეიქმნა ენა ქართული“-ო, თეიმურაზს შეუტანია გარკვეული შესწორება, ამოუშლია რა სიტყვები, მართალია, უნაგოდ სომხურის წინ წაშომწვევი. ეს შესწორება, როგორც ჩანს, თეიმურაზს დიად შემთხვევით არ შეუტანია. მაგრამ მიუხედავად ამისა იგი იმეორებს ძიებას. აღნიშნულ „აღწერაში“ მან მოიხილა ქართლის ცხოვრების სხვა ნუსხა (№ 132). რომელშიც მკვლევარმა შეიცნო რუმინანტევისეული ნუსხის პირი (იგივე, გვ. 18). მოცემულ აღწერაში ხაზგაანულია თაყაიშვილის დაკვირვება, რომ დედანიც (რუმინანტევისეული ნუსხა) და მისი ეს პირიც, ორივე იწყებს სამატეიანე თხრობას, სრულიად განსხვავებულად ეგვლა არსებულ ხელნაწერებთან შედარებით: ორივე ნუსხაში ლეგენდარული თარგამოსის შეილთა შორის უპირატესობა ჰაოსის, სომეხთა ეპონიმის, წინაშე ეძლევა ქართველთა მამამთავარს ქართლოსს (გვ. 10 და შდგ.). ამასთანავე, ამ ორ ხელნაწერში ქართული ენის თავგადასავალი სწორედ ისევე ჩანს განთავისუფლებული აშკარა პრთარმენული ტენდენციისაგან, როგორც ზემოთ აღნიშნულ № 130 ხელნაწერში. მაშასადამე, რუმინანტევისეული ნუსხა და მისი პირი (ხწ. № 132) თაყაიშვილს ობიექტურად აძლევდა საბაბს დაესვა კითხვა—იქნებ აქაც იგივე, თეიმურაზის სწავლული ხელი ერია, რომელმაც № 130 ხელნაწერში შე-

<sup>81</sup> დამატებით ჩვენ ეუთითებთ: ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ტ., 1925, გვ. 43 (ამონაბეჭდი კრებულიდან „საისტორიო მოამბე“, წ. II, 1925, სსსრ. ცენტრარქივის გამოც.).

იტანა შესწორება. არ იქნება, ასეთი ფიქრი თაყაიშვილის არ დაბადებოდა, რაკი მან იცოდა. რომ ეს ორივე ნუსხაც თეიმურაზის ხელში იყო გავლილი; რაკი იცოდა და აღნიშნა ისიც, რომ თვითონ დედანი, რუმიანცევისეული ნუსხა თეიმურაზმა მიართვა ძღვნად რუმიანცევს 1821 წ., ხოლო პირი, თაყაიშვილისავე ვარაუდით, შეკვეთილი უნდა ყოფილიყო გასამზადებლად „სარწმუნოა, თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ დედნის 1821 წელს გრაფი რუმიანცევისათვის მირთმევის წინ“—ო (აღწ. ტ. II, გვ. 18)

საქითხის ისტორიიდან ვიცით აგრეთვე, რომ თაყაიშვილისათვის თანდათან ცნობილი გახდა ახალი მონაცემები. რომელთაც იგი უქანასკნელად გამოეხმაურა 1949 წ. და რომელიც მოწმობს, რომ რუმიანცევისეულ ხელნაწერს (გადაწერილს 1699—1703 წ.წ.) აკლია პირველი ორი რვეული ანუ 16 გვერდი, უკეთ, ის 2 რვეული გამოცვლილია ახლით, სხვა ხელით ნაწერი ტექსტით. ამას დაესძინოთ ცნობა, რომ ხელნაწერში ნაკლულის აღდგენა, შეესება (იგულისხმება, მაშინ ცნობილი ნუსხების მიხედვით) განუხორციელებია თეიმურაზს, გადაუწერინებია რა ცნობილი მწიგნობარი ტარასისათვის<sup>52</sup>. ამ ცნობებს დაერთო ახალიც (1944 წ.), როდესაც კ. გრიგოლიამ მიაგნო რუმიანცევისეული ხელნაწერის დაკარგულ ადრინდელ თავს<sup>53</sup>, და ასე დაისახა შესაძლებლობა შემოწმებულიყო ამ მიგნებული თავის რაობა. რაც შეეხება თაყაიშვილს, იგი 1949 წელს, როდესაც მან მესამედ გამოაქვეყნა სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, ეკლავ გამოეხმაურა საქითხს და საგულისხმოდ შენიშვნა გააკეთა.

მკითხველისათვის საქმის ნათელსაყოფად, ჩვენ თაყაიშვილის შენიშვნას, ნაშრომში ისე შეკუმშულად მოცემულს. აქ წარმოვადგენთ საქირო სისრულით, შემდეგი დებულებების სახით. რადგან შესაძლებელი გახდა ნაპოვნი, დედნისეული ორი რვეულის ტექსტის შეჩერება მერმინდელი ორი რვეულის ტექსტთან; რადგან ამ შეჩერების შედეგად გამოირკვა, რომ ადრინდელ ტექსტში დაცულია ძველად შემუშავებული „კონცეფცია“ ჰოსისა და სომხური ენის პრინციპის შესახებ საქართველოს პროტოისტორიაში; რადგან აღდგენილ ტექსტში ამის საწინააღმდეგოდ. უპირატესობა მინიჭებული აქვს ქართლოსსა და ქართულს; რადგან ეს ასეა, სწორედ ამიტომ თაყაიშვილს მიზეზი ეძლეოდა შემდეგნაირი მსჯელობისათვის. როდესაც თეიმურაზი გრაფ რუმიანცევს უძღვნიდა ქართლის ცხოვრების ხელნაწერს (გაცემის მომენტიდან—„რუმიანცევისეულს“), იგი, მიძღვნილი, იქნება იმ ორ რვეულს დაკარგულად სთვლიდა (და ამიტომ,— შეეკავსოთ ჩვენ მკვლევარის აქ დაუმთავრებელი აზრი,—მას უნდა გასჩენოდა ნაკლულის აღდგენის უბრალო წადილი. არსებული ნუსხის მიხედვით). მაგრამ წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით უმეტეს საყურადღებოდ სწორედ ის არის, რომ თაყაიშვილი უფრო სხვას ვარაუდობს. მისი სიტყვით, „ეს უფრო საფიქრებელია“, რომ თეიმურაზმა დასაწყისი ორი რვეული „განზრახ მოაშორა ძველ

<sup>52</sup> რუმიანცევისეულ ნუსხას თაყაიშვილი გაცნო პროფ. ა. ხახანაშვილის მეშვეობით, რომლის სათანადო „აღწერა“-ზე *Описание рукописей Румянцевского музея*, 14, 1897, თაყაიშვილი უთითებდა (თაყაიშვილის *Описание*, II, გვ. 9).

<sup>53</sup> კ. გრიგოლია, დასხ. ნაშრ., გვ. 123.

<sup>54</sup> იგივე, გვ. 125.



ხელნაწერს; იმიტომ რომ სწორედ იმ რეველების ტექსტში გაზიარებულია ის ვერსია ჰაოსისთვის და სომხურისთვის ხელოვნურად მიწერილი როლის შესახებ, რომელიც, წერს თაყაიშვილი, „არ შეესაბამებოდა მის (თეიმურაზის—ვ. დ.); რწმენას და პატრიოტულ სულისკვეთებას. ამითვე უნდა აიხსნებოდეს ყველაფერი ზემოჩამოთვლილის შეცვლა, ქართველთა სასარგებლოდ, დამატებულ ახალ რეველში“<sup>56</sup>.

აქ მკლავნდება ერთ-ერთი, თურმე შესაძლებელი, არგამორიცხელი საშუალება საისტორიო წყაროების ჭირისუფლობისა, რომელსაც, ჩანს, ყოველთვის თავს არ არიდებდნენ ასეთ წყაროთა დაცვისა გინა „ობორონის“. თუ შეიძლება ასე ითქვას, თავგამეტებული მონაწილენი. მინცადამანც, ეს ჩვენ უნდა გივანწერთ იმ დროებში არქეოგრაფიული თუ წყაროთმცოდნეობითი საქმის მოუწყვსრიგებლობას. რაც შეეხება საკითხის არსებით მხარეს, იმას. თუ საიდან გაინასკვა აზრი ჰაოსისა და მასთან დაკავშირებული სომხურის პრიორიტეტის შესახებ კავკასიისა და, მამასადამე, საქართველოს ხალხთა ძველ ისტორიაში. ამას საბჭოურ საისტორიო მეცნიერებაში, ვფიქრობთ. გაცა სწორი პასუხი პროფ. კ. გრიგოლიას ნაშრომში<sup>57</sup>. ჩვენთვის ცხადია. რომ ნუსხებში გამოყენებული საცილობელი ცნობები არის მარტო ქვეყნის ბრუნვის ბიბლიურ კალენდოსკოპში ჭკრეტის ნაყოფი. იმ აღმისდროინდელა საღვთო უბრალოების ბეჭდით დაბეჭდილი ქვაზიმეცნიერული მსოფლგაგების ნაკარნახევი, რომელმაც ჩვენს შემთხვევაში, ქართველი ერის პროტოისტორია დაუკავშირა ბიბლიურ გენეალოგიას. თარგამოს (თორღამა; დაბადება, 10,3), ქართველთა და სხვა კავკასიელთა „მამა“. თვითონ „იყო ძე თარშისი. ძის წული იაფეთისი, ნოეს ძისა“, და ა. შ<sup>58</sup>. რადგან ამავე დროს არარატი აღიქვეს როგორც ბიბლიური სამყაროს ნოეპატრიარქისდროინდელი ჭიბი, ხოლო არარატი კი ისტორიულად მოხვდა არმენიის მფლობელობაში, იმიტომ, გასაგებია, თუ კავკასიის ხალხთა გენეზისის ბიბლიური სქემის საფუძველზე გამართულ ლეგენდაში პრიმატი ერგო ჰაოსს (და არა, ვთქვათ, ქართლოსს, ლეკოსს, თუნდ კავკასს, ან სხვას) და მის ენას. კავკასიის ხალხების „მამათა“—„ამათ ყოველთა იყო ერთი ენაჲ „სომხური“-ო<sup>59</sup>. და ა. შ.

ასეთი ფაქტებიც ხალხის კულტურის ძეგლთა თავგადასავლიდან გვაგრძნობინებს ჩვენ, რა მაღალი აზრია დამარხული ამ ძეგლთა, მათ შორის ხელნაწერთა, მიზანდასახული მეცნიერული შესწავლის. მათი დიდი „ცხოვრების“ შესწავლის სპეციალურ საქმეში, რომელსაც ვეცნობით წყაროთმცოდნეობის კვალობაზე. მაღალპატრიოტული დაცვა-„ობორონა“ ჩვენი ქვეყნის მატანიენტთა, საისტორიო საბუთთა. ქართველი ხალხის ცხოვრების,—როგორც იტყოდა ვახტანგ ორბელიანი—„დიდი რეველისა“ არა მაცდური. ერთხელვე ყველგან გმობილი ყალბისმქნელობით. არამედ მეცნიერების აღმასი იარაღით, ცოდნის ნათელის მათზე მიფენით. ამ თვალსაზრისით ვფასებთ ჩვენ მაღალი საფასით, ჩვენს შემთხვევაში, ექვთიმე თაყაიშვილის გინა მის წინაპართა თუ თანანდროვეთა დაუღალავ შრომას, დახარჯულს საქართველოს მდიდარ სიძველეთსაცავთა საკეთილდღეოდ.

ხელნაწერებზე უშუალო მუშაობა. მათი შესწავლა-პუბლიკაცია მჭიდრო კავშირში იყო სათანადო ძეგლების გამოვლინებასთან სიძველეთსაცავებში. ვერ-

<sup>56</sup> ს უ მ ბ ა ტ ი, გვ. 7.

<sup>57</sup> იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 6 და შდგ.

<sup>58</sup> ქართლის ცხოვრება, ანასეული, ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 3,8.

<sup>59</sup> იქვე, გვ. 3.

ძო სახლებში. ექვთიმე თაყაიშვილს ბედნიერი ხელით არა ერთი ფასდაუდებელი ხელნაწერი შეუძენია, უპოვია, მართლაც რომ აღმოუჩენია ქართული მეცნიერების სასიკეთოდ, ამ მეცნიერების რაგინდარა ჰუმანიტარული დარგის გამამდიდრებელი. იმ ხელნაწერთაგან, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ ისტორიოგრაფიასთან, მაგალითისათვის დავასახელებთ ხელნაწერს, რომელშიც წარმოდგენილია (სულ მცირე მოცულობის) ე. წ. „აფხაზეთის ისტორია ბაგრატიისა“. ტექსტი აღმომჩენმა გამოაქვეყნა ვრცელი გამოკვლევის დართვით<sup>59</sup>. ამ უკანასკნელ ნაწილში გამორკვეულია ჯერ საკითხები იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის (1641—1707) სახელთან დაკავშირებით, რადგან პირველმა დოსითეოსმა გამოიყენა ხელნაწერი, რომელსაც მან საქვეყნოდ რეკომენდაცია გაუკეთა, როგორც „ბაგრატიის აფხაზეთის ისტორია“-ს, მისგან ემცნო ქვეყანას ამ ძეგლის არსებობის ამბავი. ნაშრომში გარკვეულია, რომ ბაგრატი არის ბაგრატ III (975—1014), რომ ძეგლი თავისი ხასიათით არის „აქტი. მანიფესტი“ (გვ. 48); აქვე თაყაიშვილის მიერ, ტექსტის საფუძველზე, შედგენილია „აფხაზეთა მეფეთა“ „ნუსხა“ (გვ. 52—53). ავტორი აღგენს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ დასახელებული წყარო აფხაზეთის ისტორიისა („ცხოვრება აფხაზეთა მეფეთა“), ვრცელი მოთხრობა,—სხვაა, დღესდღეობით გაბნეული წყაროა, ხოლო დოსითეოსის მიერ ნახულ—გამოყენებული (ბერძნულზე სრულად ნათარგმნი) და ახლა თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილი, მცირე ტექსტის შემცველი,—სულ სხვა (გვ. 49—50).

ისტორიოგრაფიული ხასიათის ძეგლთაგან თაყაიშვილის ნაპოვნია და მისგანვე დაბეჭდილი აგრეთვე „მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან“<sup>60</sup>. ამ ძეგლის გამოცემასთან დაკავშირებით გამომცემელს კვლევისთვის ნაწილში მოცემული აქვს ერთი ახალი ცდა ქართული წელთაღრიცხვის საკითხების გამოშუქებისა (გვ. 56—59). რამდენადაც წინამდებარე წერილის საგანია ე. თაყაიშვილის წყაროთმცოდნეობითი ღვაწლის შეფასება, აქ ხაზგასმით უნდა იქნეს აღნიშნული ჩვენი მეცნიერის ის დიდი შრომა, რომელიც მას შეუწირავს, საერთოდ. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიური შესწავლის საქმისათვის და რომლის მხოლოდ ზოგ-ზოგი ნაკვალევი აღვნიშნეთ ჩვენ ზემოთ.

ამავე დროს, რადგან აქ საგანგებოდ გვიანტერესებს თაყაიშვილის მიღწევა საერთოდ წერილობით წყაროთა გამოვლინება-შესწავლის და პუბლიკაციის ღარგში. ამიტომ სანიმუშოდ დავასახელოთ ისეთი წყაროებიც. მისი ნარედაქციები და გამოკვლევის დართვით მისგან გამოცემული, როგორც არის ე. წ. ქრონიკები. კვინკლოსების ისტორიული მინაწერები და მისთანანი<sup>61</sup>. გვიანფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის ფასდაუდებელი წყაროებია მისი უხვად დაბეჭდილი. ქართლ-კახეთის სხვადასხვა კუთხიდან წარმოიზობილი სტატისტიკური ცნობები<sup>62</sup>. საგანგებო შეუასებას შიკაბოვის თაყაიშვილის ის დიდი სამუშაო, რომლის შედეგს წარმოადგენს მისი რედაქტორო-

<sup>59</sup> „ძველი საქართველო“, ტ. III, განყ. III, გვ. 28—54 (გამოკლევა; სპეც. გვ. 47—54), 46—47 (ტექსტი).

<sup>60</sup> იგივე, გვ. 54—59 (გამოკლევა), 59—66 (ტექსტი ვრცელი შენიშვნებით).

<sup>61</sup> ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი, წ. 2, ტ., 1913; Е. Такайшвили,

**Материалы для истории Грузии. Т., 1895, და სხვა მრავალი.**

<sup>62</sup> „სტატისტიკური ცნობები საქართველოს შესახებ მე-XVIII ს., გამოც. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით და წინასიტყვაობით“, თბ., 1907, I—XX, 48 გვ.

ე. თაყაიშვილი, ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა, თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, გვ. 1—68; თ., 1951.

ბით გამოცემული სამტომეული—„საქართველოს სიძველენი“<sup>63</sup>, რომელიც ერთობლივ შეიცავს 1527 სიგელ-გუჯარს.

ე. თაყაიშვილის სანიმუშოდ შესრულებულ პუბლიკაციათა შორის მეტად მნიშვნელოვანია „კელმწიფის კარის გარიგება“ (XIV ს.)<sup>64</sup>. ქართული კულტურის, ქართული სამართლის კარგად ცნობილი ფასდაუდებელი ძეგლი, თვითონ თაყაიშვილის მიერ უეცრად პოვნილი, ძეგლი—სპეციალურად სამეფო კარის შინაწესების ამსახველი სხვადასხვა ხასიათის შემთხვევათათვის. როგორც ვიცით, აქ მოცემულია მეფეთა დარბაზობის, საზეიმო პურობის, ელჩთა მიღების და სხვა სააქტო გამოსვლებისთვის დანიშნული რიგის, დიდი სიფაქიზით შემუშავებულ წესთა მთელი სისტემა. პურობის, ელჩთა მიღების, სადღესასწაულო მილოცვების რიტუალში გამოთვლილი ჩანს ცერემონიალის მონაწილე ვაზირებისა და კარის სხვა მოხელეთა ყოველი მოძრაობა, ნაბიჯის გადადგმა, ადგომა და დაჯდომა თავისი ადგილის ცოდნით სუფრაზე და საერთოდ დარბაზობაზე. ძეგლში „გარიგებულია“ ყოველი ნივთი წვრილმანამდე. შეენება ეს დარბაზის ნორთულობას თუ პერსონათა ჩაცმა-დახურვას, სუფრის მოკაზმულობას, სერვისს და ა. შ.

ე. თაყაიშვილმა დიდი გამჭირაობით და სიბეჯითით კარგად დასძლია რედაქტირება-პუბლიკაციის სირთულე. თუმცა ძეგლი, მნიშვნელოვანი ხარვეზებითაც მოღწეულა ჩვენს დრომდე. იგი დაუთარილებელიც აღმოჩნდა და ამავე დროს უნიკალურ ხელნაწერშია დაცული. ექვთიმე თაყაიშვილმა ძეგლი დაათარცხა სინქრონიკული მეთოდის მომარჯვებით, შიგ დასახელებულ ისტორიულ პირთა ვინაობის დაზუსტებით. ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენასთან ერთად, პუბლიკატორმა განსაზღვრა ძეგლის დაწერის ადგილიც—იმერეთი (რომელიც ვახუშტისაც ასეთ ადგილად ესახებოდა), ვარაუდით—ქუთაისი თუ გელათი (გამოცემის გვ. XVI). როგორც აღნიშნულ საკითხებს (დრო, ადგილი კარის გარიგების დაწერისა), პუბლიკაციაში საგანგებო ქვეთავები აქვს დათმობილი კითხვებსაც: „ვის მიერ უნდა იყოს შედგენილი“ ძეგლი, „რა წყაროებით სარგებლობს ავტორი“. „ენა და ტექსტი კარის გარიგებისა“.—აქ ყურადღებას იპყრობს მთელი რიგი შესწორება: ტყის მცველი (დედანში: ტყვის მცველი), საკელოსი (სახლისა!), სამი სახელი (სამასი სახლი!) და სხვა. მომდევნო ქვეთავში რვევის საგანს წარმოდგენენ „სასულიერო პირნი კარის გარიგებაში მოხსენებულნი და მოძღვართ-მოძღვარნი“. რასაც მოსდევს ყველაფრის დამასკენელი „მნიშვნელობა კარის გარიგებისა საქართველოს ისტორიის და სამართლისათვის“. ტექსტს დართული აქვს საძიებელი-ლექსიკონი.

იმ დიდ სარედაქციო მუშაობას. იმ ნამდვილად შეუწელებელ მუშაობას, რომელსაც იგი ახმარდა წყაროთმცოდნეობას და პუბლიკაციას, რომლის შესახებ მცირედიც იყოს წარმოდგენას შეუქმნის ჩვენს მკითხველს ზემოთ აღნიშნული,—ერთოდა უთუოდ დიდი თარგმნითი მუშაობა. საქმარისი იქნება აღინიშნოს, კერძოდ, მის მიერ შესრულებული რუსული თარგმანი ზემოთ დასახელებულ

<sup>63</sup> ექ. თაყაიშვილი, ტ. 1, ტფილისი, 1899, 528 გვ., II. ტფილისი, 1909, VIII+600 გვ; ტ. III, ტფ. 1910, XXXII+612 გვ.

<sup>64</sup> პროფ. ექ. თაყაიშვილი, კელმწიფის კარის გარიგება, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტ. 1920, I—XXVII+32 გვ. სერია ქართული ძეგლები. IV, კანონმდებლობა. დედანი რუსული საქ. მეცნ. აკადემიის ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ბული სამი ძეგლისა, რომელნიც შევიდნენ მეცნიერის „სამ ისტორიულ ხრონიკაში“<sup>65</sup>. ზემოთ დასახელებულ ორტომიან „აღწერაში“ გამოტანილი ვრცელი ამონაწერები ტექსტებიდან რუსულ თარგმანშიც არის მოცემული. აქ საქმე ეხება თაყაიშვილის მთარგმნელობას ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. მაგრამ იგი ჩვენ გვეხატება როგორც მთარგმნელი—სიტყვის ძველი გაგებითაც, ე. ი. როგორც კომენტატორი. მთელი ის ცოდნა, რომელიც მან გადასცა მკითხველთა თაობებს, მეცნიერული გამოცდილება, მრავალმხრივი შენიშვნები და ახსნა-განმარტება, ქრონოლოგიური კალკულაციები, ისტორიულ-ფილოლოგიური, ისტორიულ-გეოგრაფიული ექსკურსები, რომელთაც ადგილი ჰპოვეს მის დიდ და პატარა ნაშრომებში, ერთობლივ შეადგენენ დიდი მნიშვნელობის თარგმანს, ს. ს. ორბელიანის განმარტებით—„იგავიანი სიტყვს გაცხადებას“. უსეთთარგმანოდ შესასწავლი წყაროები მიუწვდომელი დარჩებოდნენ მოსახმარად, როგორც ეს ძველადვე დაუდასტურებიათ ამ სიტყვით: „უკეთუ თარგმანი არა იყოს, მკითხველი დუმენ“ (პავლე=ათონის კრებული<sup>66</sup>).

ზემოთ. ვფიქრობთ, საკმაო ცნობები ეძლევა მკითხველს იმის დატურად, რომ ექვთიმეს არქეოგრაფიული მოღვაწეობა, რომელიც ასე მტკიცე კავშირშია მის წყარომცოდნეობითს მუშაობასთან, აგრეთვე მაღალ შეფასებას მოითხოვს. თვით სიტყვა „პუბლიკაცია“ საერთოდ გამოქვეყნებასაც ნიშნავს ღა იმასაც. რომ გამოსაქვეყნებელი მასალა—იბეჭდება გაზეთებში, ჟურნალებში, წიგნებში. განმარტებას პირდაპირ პასუხობს ე. თაყაიშვილის პუბლიკატორობა, მისი პუბლიკაციები. მისი პირველი ნაშრომი (1890 წ.) დაიბეჭდა ვან. „ივერიაში“. სხვა—„ეურ. მოამბეში“, „ეურ. კვალში“, ვან. „ცნობის ფურცელში“, სხვადასხვა სამეცნიერო კრებულებში და ა. შ. აქვე შევნიშნოთ. რომ ეს მაჩვენებელი არა მხოლოდ ავტორის შრომის პროდუქტიულობის, არამედ ირიბი გზით იმის მოწმობაცაა, თუ რა ძნელი იყო პოლიგრაფიული და ნივთიერი პირობები. რაც შეეხება პუბლიკაციების ხარისხს, დამაკმაყოფილებლობას მეცნიერული გამოცემის თვალსაზრისით, ჩვენ რამდენადმე ზემოთაც ვუჩვენეთ მათა დადებითი მხარეები. აქ კი მოვიგონოთ აკად. ი. ჯავახიშვილის კომპეტენტური აზრი ე. თაყაიშვილის მოღვაწეობის ამ თვისებაზედაც. „სამოქალაქო საისტორიო ძეგლების გამოცემა.—სწერს ი. ჯავახიშვილი 1916 წ.—შედარებით უკეთესს მდგომარეობაშია წინათ შ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის და ეხლა ე. თაყაიშვილის გამოცემათა წყალობით. განსაკუთრებით მშ დ'ფლ ქქისა (=მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრებისა.—ე. დ.), შატბერდისეულ და ჭელიშისეულ წა ნინოს ცხოვრებათა, სუმბატის თხზულებისა, მესხურ დავითნის მათიანის და ქქის გადაკეთებულ გაგრძელების ტექსტების გამოცემით.—განავრძობს ავტორი,—ე. თაყაიშვილმა თანამედროვე ქართულ საისტორიო მეცნიერებას დიდი სამსახური გაუწია და ყოველს მკითხველს და მკვლევარს საშუალება მისცა ქართულ საისტორიო წყაროების შესწავლას შესდგომოდა“<sup>67</sup>.

ჩვენ საკიროდ მიგვაჩნია ხაზი ვაუწყავთ ასეთ მაღალ შეფასებაში იმ ფაქტს რომ ჯავახიშვილის ეს „ეხლა“. ბროსეს (გარდ. 1880) და ჩუბინაშვილის (გარდ.

<sup>65</sup> სათაური რუსული თარგმანისა: „Источники грузинских летописей. Три хроники“. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, в XXVIII. Тб., 1900; გვ. 1—216 (ვრცელი შენიშვნებით).

<sup>66</sup> „ათონის ივერიის მონასტრის კრებული აღაპეიზა“. თ., 1901, გვ. 341.

<sup>67</sup> ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. გვ. XXX; იგივე. გამოც. 1945, გვ. 28.

1891) მოღვაწეობის დრო-ჟამის დაპირისპირებით, ივსება ღვაწლმოსილი თაყაიშვილის სახელით. თაყაიშვილის სამეცნიერო-საპუბლიკაციო მემკვიდრეობა საესეებით იმსახურებს იმ დახასიათებას, რომელიც ეძლევათ სპეციალურ მეთოდებში თანამედროვე მეცნიერების გარკვეულ მოთხოვნათა დამაკმაყოფილებელ პუბლიკაციებს; კერძოდ, ასეთი სიტყვებით გამოთქმულს დახასიათებას: „ახლა აღარავინ გამოსცემს წყაროს პირველსავე ნაპოვნ ცალს, რომელიც აგერ ხელში მოხვედრილა,—ასე სჩადიოდნენ წინათ,—ახლა მკვლევარი ცდილობს ფართოდ წარმოებულ ძიებათა გზით იპოვოს, თუკი ეს შესაძლებელია, დედანი საბუთისა, პირვანდელი ხელნაწერი ან პირველნაბეჭდი ცალი (editio princeps)“.<sup>68</sup>

ჩვენ შესაფერის პირობებში უფრო ვრცლად გვმართებს განვიხილოთ სათანადო კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული მასალები, კერძოდ, ე. თაყაიშვილის პირველი სამეცნიერო ცდებით გამოწვეული რეცენზიები და გამოძახილები. მაშინ ახალ ღონეზე აპყავდათ არქეოგრაფიული, ისტორიოგრაფიული საქმე, და შეგ ჩაბმული მუშაკნიც, რომელთაგან ზოგის სახელები ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ, თავიანთ საქმიან პაექრობაში საკმაოდ ამჟღავნებენ ჰირვეულობასაც, მღელვარებასაც, მოსამართლეობის ჰარბ სურვილსაც. ჩვენ გვესახება გარკვეული აღმზრდელი მნიშვნელობის ფაქტად შემდეგი შემთხვევა თაყაიშვილის მოღვაწეობის ისტორიიდან. მისმა 1890 წელს გამოქვეყნებულმა „სამმა ისტორიულმა ხრონიკამ“ (იხ. ზემოთ), როგორც ვიცით. გამოიწვია გამოძახილები, როგორც დადებითი (ნ. მარი). ისე უარყოფითიც. იმ კრიტიკის ნიმუშს, რომელიც მართალია, გადადიოდა ჰიპერკრიტიციზმში, მაგრამ მაინც ინარჩუნებდა გარკვეულ შემეცნებითს ინტერესს, წარმოადგენს პროფ. მ. ჯანაშვილის ზემოთ მითითებული „აღვადგინე“, სრული სათაურით: „აღვადგინე, ანუ სამი ისტორიული ხრონიკისა და წმ. ნინოს ცხოვრების გასაგებ-შესასწორებელი სახელმძღვანელო... დამატებით მე-IX—X საუკუნის სამეცნიერო ქრისტომატიიდან ამოღებულ სამკურნალო ტრაქტატისა და სასწავლო წიგნისა“<sup>69</sup>. ჯერ სათაურის შესახებ. ის ირონიით იმეორებს ე. თაყაიშვილის მიერ თავისი შრომის დახასიათებლად გამოყენებულ სიტყვას—„აღვადგინეთ“, ვითომ „ქართლის მოქცევაში“ დამახინჯებულ ადგილებს დაეუბრუნეთ წესიერი დაწერილობათ<sup>70</sup>. თუ რამ გამოიწვია ასეთი თავმეუკავებელი ირონია (ცალკე დაბეჭდილი წიგნის სათაურში!), ამის პასუხი მოცემულია „აღვადგინე“-ს ფურცლებზე მოთვლილი იმ შეცდომების სიებში. რომელნიც მ. ჯანაშვილმა გულდასმით გამოავლინა თაყაიშვილის გამოცემაში. შეცდომები უმთავრესად და უპირატესად გამოვლინდა თაყაიშვილის, მაშინ დამწყები მეცნიერის მიერ მიღებულ მართლწერის ნორმებში, ზოგჯერ არქაული ფორმების მოდერნიზაციის გაუმართლებელ ცდაში. რაც შეეხება მ. ჯანაშვილის ტონს, საპაექრო ხერხებს,—იგი თუ რამით განსხვავდებოდა ძველ პრესაში საკმაოდ გავრცელებული სათანადო ტონისა და ხერხებისაგან, მხოლოდ თავისი უჩვეულო უხამსობით, სწორედ კაცის შემაწუხებელი ზოგ-ზოგი კალამბურით<sup>71</sup>. მეცნიერის პაექრობაში „შეფარვით“ გამოყენებულაა ცარიზმის უდროობის ვითარებაში გაჩენილი და მაშინ სავალალო პოპულარო-

<sup>68</sup> ბერნჰეიმი, დასახ. ნაშრ., გვ. 108.

<sup>69</sup> ტ., 1891, გვ. I—III და 3—88.

<sup>70</sup> თაყაიშვილი, სამი ისტორ. ხრონიკა, გვ. LXXXIV და LXXXV.

<sup>71</sup> იხ. მთელი მისი გვ. 86.

ბით გამორჩეული „აკაკიები-ბაკაკიების“ ცნობილი მოტყუებებიც-კი. ექვთიმე თაყაიშვილი (შვენიშნოთ: მსგავსად ნ. მარისა), კარგად ვიცით, პრინციპულად იცავდა ცოცხალ, სასაუბრო, კუთხურ ენას სიცოცხლის დასასრულამდე, ჩვენ ღრომდე. აი რეცენზიაშიც „უყულეს“ დებიუტანტს, ქოქოლას სახით თავზე უხვად დააყარეს პროვინციალიზმები მისივე ნაშრომიდან: მხასვი (ხავსი); ნამეტარს; მაშინ, კიდნები და სხვ. რიგ შემთხვევაში არ დაზოგეს რაღაც „სამოსანსლო“ („ობივატელური“) ოხუნჯობაც. მაგალითად, „მანდა მაინც“ (ლიტ. მაინცადამაინც); ამ ფორმას წიგნში მოსდევს საოხუნჯო შეკითხვა: „მაინც, მანდა თუ აქა“. ე. თ.: „როგორ მოქცეულა (= მოხვედრილა... ვ. დ.) ზემო ქალაში ეს სახარება“. ეს წინადადება იწვევს საოხუნჯო რეპლიკას ფრჩხილებში: „ალბად ჭკვიანად იქცეოდა“. ე. თ.: ყავს (= ჰყავს); საამისო რეპლიკა: „ცოტა ნაკლებ ყვავსა ჰყავს“, და ა. შ.—მთავარი კი მოკამათეთათვის, ცხადია, ეს არ იყო.

მაგრამ მივუბრუნდეთ ისევ თაყაიშვილის საშვილიშვილო მონაპოვრებს პუბლიკაციის დარგში.

ერთგვარად არადასავიწყარი „აღვადგინე“-ს შუქზე მეტადრე საინტერესოა აღინიშნოს, რა სიფაქიზით და სიზუსტით სრულდებოდა თაყაიშვილის ყოველი მომდევნო პუბლიკაცია ძვირფასი ძეგლებისა. უკვე „სამი ისტორიული ხრონიკის“ ფურცლებზე გამოთქვა ექვთიმემ სახელმძღვანელო შეხედულება თავის როგორც პუბლიკატორის ვალდებულებაზე მეცნიერი მკითხველების წინაშე. სანიშნოდ მოვიყვანოთ, სიტყვასიტყვით, ერთი ადგილი, გვეხსოვება რა, რომ იმ დროს ახალგაზრდა სპეციალისტი მხოლოდღა ებმოდა (ანუ როგორც ალბათ იტყოდა მშობლიური დიალექტის მოყვარული ექვთიმე თაყაიშვილი,— „ემბოდა“<sup>72</sup>) საპუბლიკაციო საქმეში. „ჩვენი გამოცემის“<sup>73</sup> აზრი იყო,—წერს იგი,—პირველათ, აღგვედგინა ტექსტი ზოგიერთ ადგილას გაფუჭებული ხელნაწერისა და უცვლელად წარმოგვედგინა მკითხველისათვის. ამ საქმეს ჩვენ,—განაგრძობს ავტორი.—რაც შეგვეძლო, ძლიერ ყურადღებით მოგვეკიდეთ. რიგი და წესი ტექსტისა და მართლწერა დედნისა სასტიკათ დაიცევით; ვაფხსენით მხოლოდ პატივქვეშ მყოფი სიტყვები. მაგრამ სადაც ცოტადანათ საეჭვო იყო მათი მნიშვნელობა, ან შესაძლო იყო სხვა მართლწერა დაგვეცვა ვახსენო სიტყვისა, ამგვარ შემთხვევაში დედნის სიტყვები პატარა ფრჩხილებში ჩავსვით. საზოგადოთ კი მართლწერა პატივგახსნილ სიტყვებისა ისეთი დავიცევით, როგორც უმეტეს შემთხვევაში თვით ტექსტში არის გატარებული. ეს საჭიროთ მიგვაჩთა მისთვის, რომ ისტორიულ მნიშვნელობასთან ფილოლოგიური მნიშვნელობაც არ დაგვეკარგა ამ საყურადღებო წყაროსი. რადგანაც ზოგიერთი ადგილი ტექსტისა გაფუჭებული არის ჩვენს ხელნაწერში. ამისათვის ის ასოები და სიტყვები, რომელნიც კარგათ არ განირჩევიან და რომელნიც ჩვენ თითო-ორილი ანბნების ნაშთებით თუ აზრით აღვადგინეთ, ყველა ესენი, როგორც მიღებულია, დიდ ფრჩხილებში ჩავსვით. ამით მკითხველი დაინახავს, სად არის ტექსტი გაფუჭებული და საეჭვო,“—და ა. შ. ამას მოსდევს პუბლიკატორის მსჯელობა საპუბლიკაციო ტექსტების შედარებითი წესით გამოცემის შესახებ: „მეორედ, ჩვენი გამოცემის აზრი იყო. შეგვედარებია ქართლის მოქცევის ხრონიკის ცნობები

<sup>72</sup> შლრ. მისი: „ვერცხლის სამბულები ყდისა“ (ვითომ: ვერცხლის სამბულები). „სამი ისტ. ხრონიკა“, გვ. XLI.

<sup>73</sup> იფელისხმება „სამ ისტ. ხრონიკაში“ შეტანილი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“.

ქართლის ცხოვრების ცნობებთან და თვალსაჩინოთ დაგვეჩვენებინა მკითხველისათვის, რა მსგავსება და განსხვავება არის მათ შორის. ამგვარი შედარებითი გამოცემა ქართლის მოქცევის ხრონიკისა, — განაგრძობს ავტორი კუთხური ენობრივი ფორმების ჩართვით, — ძრიელ საჭიროთ მიგვაჩთა როგორც თვით ხრონიკის შესასწავლათ, ისე უმეტესად ქართლის ცხოვრების ცნობების შესამოწმებლათ და კრიტიკისათვის და აგრეთვე ამ ორი წყაროს ერთიერთმანეთის კავშირის და დამოკიდებულების გამოსარკვევად: ამისთვის ჩვენ შენიშვნებში მთლად შევიტანეთ ის ადგილები ქართლის ცხოვრების ტექსტისა. რომელიც სიტყვასიტყვით ემთხვებიან ქართლის მოქცევის ხრონიკის. და აღვნიშნეთ განსხვავებანი<sup>74</sup>.

ეს საკმაოდ გრძელი ამონაწერი მკითხველს აუწყებს, თუ რა მოთხოვნილებას უყენებდა დრო პუბლიკატორს. ამას გარდა და დამოუკიდებელი იმისგან, თუ „რა ნიშანზე“ შეასრულა დამწყებმა მეცნიერმა საკუთარი ხელით დასახული ასეთი პროგრამა იმ სამი ხრონიკის გამოცემისა. ჩვენ ჩვენი მიზნების შესაბამისად — აქ ვუყვრდებით საკითხის თეორიულ მხარეს და იმ გარემოებას, რომ ექვთიმეს საქმე მაშინაც, სამი ისტორიული ხრონიკის გამოცემის ხანა, დიდად არ იყო „ოლოლო“ — დასაძახებლად მიწურული. უკვე მოყვანილი პროგრამიდანაც ჩანს, რომ თაყაიშვილს მშვენივრად ჰქონდა გაცნობილი და შეგნებული ტექსტის ადგენისათვის მაშინ მიღებული წესები; ხელნაწერის დეფექტების უცვლელი სახით დემონსტრირების საჭიროება; საქმის შესასრულებლად ძლიერი ყურადღებით მოკიდების აუცილებლობა; ტექსტის რიგისა და წესის და დედნის მართლწერის „სასტიკად დაცვის“ მნიშვნელობა; ნაწერში პატივის (ქარაგმის) გახსნის შესაწყნარებელი საჭიროება; საისტორიო ძეგლის ისტორიულთან ერთად ფილოლოგიური მნიშვნელობის წარმოჩენის აუცილებლობა; ტექსტში ძნელად ამოსაყოთხავი ასოებისა და სიტყვების კვადრატულ („დიდ“) ფორმებში ჩანის წესი, მაშასადამე, საექვეო საკითხავის უუქველისაგან გარჩევის რიგი; შედარების ხერხით ძეგლების სხვაობა — მსგავსების დადგენისა და ამ გზით მათი ურთიერთ დამოკიდებულების გარკვევისა, აგრეთვე მათი ადგილნა-შეგების მეთოდი, და ა. შ.

ყველაფერი ეს, თაყაიშვილის მიერ სადა. სასაუბროსთან დაახლოებული ენით გადმოცემული დახასიათება არქეოგრაფის საპასუხისმგებლო მუშაობისა. კარვად გვიჩვენებს, რომ მის მუშაობაში ტექსტის „თითო-ოროლა ანბნების ნაშთებიც“ ცალკე ზრუნვის საგანს შეადგენდა და — მთელი ძეგლის რაობის სინთეზური აღქმით ნაკარნახევი განმაზოგადებელი აზრიც.

თაყაიშვილის ძვირფასი პუბლიკაციებიდან ჩვენ რამდენიმე დავასახელებთ, მათ შორის ქართლის ცხოვრების მარიამისეული ვარიანტიც. აქ კი მოკლედ დავახასიათებთ ამ უკანასკნელის, როგორც პუბლიკაციის ნიმუშის, თვისებებს, რადგან აღნიშნულ ძეგლში, შეიძლება ითქვას, უმეტესი სიმკაცრით ჩანს, თუ რას ნიშნავს ხშირად სპეციალისტის ენაზე თაყაიშვილის მიერ მოხსენიებული „თითო-ოროლა ანბნების ნაშთები“<sup>75</sup>. აი რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ რა ძნელად მოსავლელი დამახინჯება განუცდია მარიამისეული ქართლის ცხოვრების შემადგენლობაში შეტანილ იმ ნაშრომს, კერძოდ. რომელიც ანონიმური ავტორის მიერ (XIII ს. მეორე ათეული წ. წ.) მიძღვნილია თამარ მეფის დროინდელი

<sup>74</sup> სამი ისტ. ხრონიკ., გვ. LXXXIV—LXXXVI.

<sup>75</sup> მათე, 23—23.

საქართველოს ისტორიისადმი. თამარის მეფური წარმომავლობის შესამკობად გამართულ სიტყვებს ტექსტში ასეთი უცნაური სახე მიუღია: თამარი იყო შთან-  
 ცომავალიო—„და: ვითანთაგან; და: ხუასროთანგვიანთა: და: პანკრატონიანთა“<sup>76</sup> =  
 „დავითიანთა, და ხუასროიანთა“, და ა. შ. მერმე: „რომელთა: შემსხმელად:  
 კისა: ომი: როსა: მერაბამე: ივ: ილიდა: სიტყუა: ალექსანდრისადმი: პალატარა-  
 ხოს“<sup>77</sup> „რომელთა შესხმამე კამს ჰომიროსისა მიერ. რაბამ იგი ადღა სიტყუა  
 ალექსანდრესადმი პლუტარხოს“<sup>78</sup>... ომიანობის ვითარებაში თამარის მამამ გი-  
 ორგიმ „მიმართა: დიდად: ქალაქად: და: სახელ: განთქმულად: და: აწ: რომელ-  
 არს: არარატისა: ძირსა“<sup>79</sup> =...სახელგანთქმულად: დვინად, რომელ არს“... გიორ-  
 გიმ მერმე „მიმართა: დიდად: ქალაქ დანისად“<sup>80</sup> „...დიდად ქალაქად ანისად“. ტფი-  
 ლის გამართულ წვეულებაში მონაწილე ხელმწიფეთა—ბიზანტიის კეისრის  
 ანდრონიკე კომნენის და შირვანშაჰის აღსართანის შესახებ იკითხება: თამარმა,  
 ანდრონიკესთვის „მიმცემელმან: ქალაქთა: და: ციხეთამან: კაიაფათამან (უნდა:  
 კმასაყოფელთამან!): და: უდგან (უნდა: დაუდგან!): საჯდომი: სახლსა (უნდა:  
 სიახლესა, ახლოს): საყდრისა: თვისისასა“ და ა. შ. ასეთი გაუცნაურებული აპო-  
 საკითხავებით ძალზე დატვირთულია მთელი წიგნი, თაყაიშვილის გამოცემაში  
 შვიდას ოთხმოცდა ხუთი გვერდის შემცველი, მისი ვარიანტების უხვი დემონ-  
 სტრირებით სქოლიოებში.

მარიამისეული ვარიანტის ასეთი შეცდომებით გაკედილი ხელნაწერის ამო-  
 კოთხვა, დამუშავება, გადაწერა, დაბეჭდვა, კორექტირება უნდა ყოფილიყო  
 დაუფიქრარი მეცნიერისთვის უდიდესი და ხანგრძლივი ზრუნვის, თავდადებ-  
 ული მუშაობის დიდი საგანი. („მის<sup>81</sup> ისტორიის დიდი რვეული გრძელი და  
 ბნელი ხშირათ წინ უდევს“). თუ არ მოვერიდებოდით ლირიკულ შრიდსვლას,  
 ვიტყოდით. რომ გავგაოცა იმ პოლიგრაფიულ პირობებში ასეთი შრომატევადი  
 წიგნის წუნდაუდებელი სრულყოფით გამოქვეყნების ფაქტმა (1906 წ.). ვადავ-  
 წყვიტეთ საგანგებოდ შეგვეჩერებინა დაბეჭდილი ტექსტი ხელნაწერთან, დაუ-  
 მალავი სურვილით, რომ ორიოდვე ყოფილიყო აღმოგვეჩინა გამოცემაში წანა-  
 კითხის მცდრობის ფაქტი. მაგრამ ვერ შევძელით თვალდაუღალავი რედაქტო-  
 რის „დაჭერა“ რაიმე უზუსტობაში.

თუმცა, რა მაღალ შეფასებასაც არ უნდა იმსახურებდეს დასახელებული  
 ან სხვა მსგავსი ხასიათის ნაშრომები თაყაიშვილისა, ისინი მაინცა და მაინც  
 მხოლოდ ნაწილია მთელისა, ექვთიმე თაყაიშვილის ფასეული და მრავალმხრი-  
 ვი კვლევითი პროდუქციისა, იმ დიდი სამეცნიერო მემკვიდრეობისა, რომელთა  
 სპეციალურ შეფასებაში, ისტორიკოსებს გარდა, ადგილი ეთმობათ არქეოლო-  
 გებს, ეთნოგრაფებს და ა. შ.

ვეცნობით რა ჩვენ მიერ ასახული მიმართულებით თაყაიშვილის შემოქმე-  
 დებას, მისი დიდი სამეცნიერო გამოცდილების, მრავალმხრივი მეთოდოლოგიური თუ  
 „მეთოდოლოგიური“ დაკვირვებების ხასიათს, მის უამრავ სპეციალურ შენიშვნებს,  
 მითითებებს, ვასკვნით, რომ, მართალია, მას არ უქისრია—ერთი რამე სა-

<sup>76</sup> ქართ. ცხოვრება, მარიამის ვარ., გვ. 363, 10—11.

<sup>77</sup> ივ. 363, 14—15.

<sup>78</sup> კონიექტურა აკად. კ. კეკელიძის, ისტორიანი და აზმანი, გვ. 54; თ., 1941.

<sup>79</sup> ქართ. ცხოვრება, მარიამის ვარ. გვ. 366, 15—17.

<sup>80</sup> გვ. 367, 10.

<sup>81</sup> მის—ივლისსხმება საქართველო. ტაბები ეკუთვნის ვ. ორბელიანს, პოემა „განკითხვა“ (სერია „პოეტის ბიბლიოთეკა“, თ., 1949, გვ. 44 22—23).



თანადო დანიშნულების სახელმძღვანელო შეედგინა, არ უცდია—დაეწერა, როგორც ამას ჰქონდა ადგილი, კერძოდ, მის თანამედროვე რუსეთის საისტორიო მეცნიერების სფეროში, შემაჯამებელი „მეთოდოლოგია“, მაგრამ მის შემოქმედებას უთუოდ კარგად უდგება ის დახასიათება, რომელიც თავის დროზე პრესა-ნააკოვმა მისცა ცნობილ ლაპო-დანილევსკის შემდეგი სიტყვებით: რომ ეს მეცნიერი „იბრძოდა სრულყოფილი მეცნიერების მაღალი იდეალით ადრრული. არა იმდენად კონკრეტული საისტორიო კვლევის გზით, რამდენადაც მისი (მეცნიერების.—ვ. დ.) საფუძვლების და მისი—მეთოდოლოგიასა და წყაროთა კრიტიკაში მოსახმარი—ტექნიკის შესწავლის გზით“<sup>82</sup>

ყოველივე აღნიშნულის შემდგომ გვჩეხება ორიოდ სიტყვით გამოვხატოთ სურვილი.—ექვთიმე თაყაიშვილის შრომებში უხვად მოცემული წყაროთმცოდნეობითი ინტერესის შემცველი მასალა, კრიტიკულად ათვისებული, უთუოდ წარმოადგენს კარგ საფუძველს მეთოდოლოგიური და მეთოდოლოგიური სპეციალური სახელმძღვანელო კურსის შესაქმნელად. ჩვენი მკვლევარის დიდ სამეცნიერო გამოცდილებას ვანაციპროვებს მისგანვე თავის დროზე პროპაგანდირებული პროგრესული, საისტორიო კვლევისთვის სასარგებლო აზრები, დასკვნები, იდეები,—მისი დადებითი შეხედულებანი. მაგალითად, ქართველთმცოდნეების ევროპულ მოწინავე მეცნიერებთან კავშირის აუცილებლობის შესახებ<sup>83</sup>, ხალხური შემოქმედების ძეგლების მნიშვნელობაზე საისტორიო მწერლობაში<sup>84</sup>, მეზობელი ხალხების ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობასთან დამოკიდებულების შესახებ<sup>85</sup>, ანტიკური ხანის წარმონაქმნი წერილობითი წყაროების მნიშვნელობაზე<sup>86</sup>, და ა. შ.

ჩვენი დეზიდერატი შეეხება აღნიშნული სახის, სპეციალური კურსის შექმნას. იდეა რომ მომწიფებულად ჩაითვლება; ამის საწინდარია ის წყაროთმცოდნეობითი და არქეოგრაფიული შემოქმედებითი მუშაობა. რომელიც დღემდე უნახავი მასშტაბით არის ორგანიზებული ჩვენს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში და რომელიც აგრძელებს ქართველთმცოდნეობის სათანადო დარჯის კარგ ტრადიციებს. საილუსტრაციოდ შეიძლება მოხსენიებულ იქნეს საქ. მეცნ. აკადემიის სისტემაში წარმოდგენილი აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის (პროფ. ი. აბულაძე) მიერ გამოქვეყნებულ „ხელნაწერთა აღწერილობის“ 14 ტომი (1946—1963); აკად. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის (აკად. ნ. ბერძენიშვილი) კაპიტალური გამოცემები—„დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I—II (1940—1953), „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“, I—III და ცალკე: დანართი (1938—1955) და სხვ<sup>87</sup>.

<sup>82</sup> А. Е. Пресняков, Александр Сергеевич Лаппо-Данилевский. стр. 88; Пб, 1922.

<sup>83</sup> ძველი საქართველო, ტ. IV, ვანყ. 5, საქართვ. საისტ. და საეთნოგრ. საზი-ს კრებათა ოქმები, გვ. 8.

<sup>84</sup> იგივე, ოქმები, გვ. 224.

<sup>85</sup> იგივე, გვ. 45.

<sup>86</sup> იგივე, ტ. I, ვანყ. ოქმებისა, გვ. 7.

<sup>87</sup> „დოკუმენტები“ და „მასალები“—შეკრიბა და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა.

დასასრულ, იმ ტრადიციების გაგრძელებად, რომელთა ერთ-ერთი ავტორიტეტით მოსილი მცველი და ძალის მიმცემი იყო ექვთიმე თაყაიშვილი. ჩვენ გვესახება ფაქტი „ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების“ შექმნისა, რომლის ამოცანები, თეორიული თუ პრაქტიკული საქმიანობის მიზანდასახულობა ექვთიმე თაყაიშვილისა და მის თანამედროვეთა კვლევითი მუშაობის ახალ, მაღალ დონეზე აყვანას გულისხმობს.

---

### ეჭვთიმი თაყაიშვილი როგორც ისტორიკოსი

ეჭვთიმი თაყაიშვილის როგორც მეკლევარისა და საზოგადო მოღვაწის ფორმირება XIX საუკუნის 70—80-იანი წლებს ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ზემოქმედების ნიშნით მიმდინარეობდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს პროგრესულმა ინტელიგენციამ ნათლად დაინახა, რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლაში ქართველი ხალხის წარსულის მეცნიერული ცოდნა ბასრი იარაღი იქნებოდა.

თუ ფეოდალურ-მემამულური ისტორიოგრაფია წარსულის ცოდნას ძველსაკენ მიბრუნებისათვის ბრძოლაში იყენებდა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ქართული ისტორიოგრაფია, დროის შესაბამისად, წარსულის ცოდნას მომავლისათვის ბრძოლას სამსახურში აყენებდა და ისტორიის გამართვასაც სათანადოდ ცდილობდა. ამასთან, თუ რუსული ოფიციალური ისტორიოგრაფიის რეაქციული ფრთა „ინოროდცების“, მათ შორის ქართველებს, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოუშნადებლობას „ასაბუთებდა“, ხოლო საამისოდ ყოველივე ქართულში უცხოურს, მოტანილს ხედავდა<sup>1</sup> და ისტორიის წარმოდგენასაც ამდაგვარად ცდილობდა, ქართულ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, ბუნებრივია, მის წინააღმდეგ საპირისპირო იარაღი უნდა გამოეყენებინა. ასეთი იარაღი, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პროგრესული საზოგადოებრიობის აზრით, ქართველი ხალხის წარსული განვითარების, ამ განვითარების თავისთავადობის, დაწინაურება-დაქვეითებათა ობიექტური მიზეზების მეცნიერული ცოდნა და ამ ცოდნის ფართო მასებში პროპაგანდა იქნებოდა. საამისოდ მაგალითიც: 1888 წელს დ. ბაქრაძემ გამოაქვეყნა „საქართველოს ისტორიის“ I ნაწილის პროგრამა<sup>2</sup>. ილია ჭავჭავაძე მხურვალედ გამოეხმაურა მას და ბრწყინვალე შეფასება მისცა. აი, მისი სიტყვებიც: „დიდებუნიდან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით, ისტორია სწურთვნის ერსა. ზრდის და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევენ... ერთავისი გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა მსულდგმულობდეს... აღდგენა ისტორიისა—ერის გამოცოცხლება, გამომხნელება, აწმყოს გაგება და წარმართვა, მერმისის გამორკვევა სიბნელისაგან... მრავალგვარი მნიშვნელობა ისტორიისა ერის გამოცოცხლებისათვის კარგად იცოდნენ თავის ერის გულშემატყვიართა სხვა ქვეყნებში. იგი სახელოვანნი მამულიშვილნი, ყველაზე უწინარეს, ერის გამოკეთებისათვის დაეწყებულნი ისტორიის აღდგენას შეეცადნენ. გამოღვიძებამ ერისამ უგემურის ძილისაგან ყველგან აქედან დაიწყო თავისი

1 ნ. ბერძენიშვილი, ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ზოგიერთი პრინციპული საკითხისათვის, ისტორიის ინსტიტუტის „მომოხილველი“, ტ. II, 1951, გვ. 537.

2 „ივერია“, 1888 წ., № № 231—235.

დასაწყისი, და ამ გზით გამოფხიზლებულ ერის კეთილდღეობასა და ხელახლად აღორძინებას ღღეს ბევრგან ჩვენის თვალითა ეხედავთ“<sup>3</sup>...

ასე აფასებდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე ისტორიის მნიშვნელობას ერის გამოფხიზლებისა და დარაზმვის საქმეში. ასევე უსმოდა მისი მნიშვნელობა XIX საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე ინტელიგენციას. სწორედ ამ პერიოდში მომწიფდა და გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც პეტერბურგიდან დაბრუნებისთანავე მხარში ამოუდგა დ. ბაქრაძეს და აქტიურად ჩაება ქართველი ხალხის წარსულის შესწავლაში. სამწუხაროდ, მათი თანამშრომლობა დიდხანს არ გაგრძელეზულა. 1890 წლის თებერვალში დ. ბაქრაძე უღროოდ გარდაიცვალა.

დ. ბაქრაძის გარდაცვალეებისადმი საქართველოს მოსახლეობის უფართოესი ფენების გამომხაურებამ ცხადჰყო, რომ ი. ჰავჭავაძის მიერ 1888 წ. ნათქვამი სიტყვები კერძო აზრი კი არა, არამედ საერთო საზოგადოებრივი განწყობილების ასახვა იყო. დ. ბაქრაძის დაკრძალვა ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გრანდიოზულ დემონსტრაციად გადაიქცა<sup>4</sup>. მევლეყარი-ისტორიკოსის ღვაწლის ამგვარი დაფასება, დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, იმის უტყუარი მოწმობა იყო. რომ მისი ნაღვაწით „ერი მადლიერი, ზოლო ქვეყანა დავალებული“ დარჩა. ცარიზმის წარმომადგენლებმა მხოლოდ ახლა გაიგეს, რომ მათი „სავანგებო დავალეებათა მოხელე“ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დროშასთან მღგარა.

დ. ბაქრაძის გარდაცვალეების შემდეგ, ილია ჰავჭავაძის გამჰრიახმა თვალმა სწორად შენიშნა, რომ მოღვაწე, რომელიც დ. ბაქრაძეს შეენაცვლებოდა ექვთ. თაყაიშვილი იქნებოდა.

ე. თაყაიშვილი თავიდანვე სამეცნიერო მოღვაწეობისათვის არ ემზადებოდა. ჰავრამ მის მიერ გამოქვეყნებული ორასზე მეტი ნაშრომი იმის დასტურია, თუ როგორი მიმართულება ჰიილო მისმა საქმიანობამ პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ.

1890 წ. ე. თაყაიშვილს უკვე შემუშავებული აქვს სამუშაო პროგრამა, რომლისგანაც მას არასდროს გადაუხვევია. ე. თაყაიშვილის. როგორც ისტორიკოსის გაგებისათვის, მისი მოღვაწეობის ამ მხარის ობიექტური შეფასებისათვის აუცილებელია ვათვალისწინება იმისა, თუ როგორ ჰქონდა მას წარმოდგენილი თავისი ადგილი საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში.

„სამი ისტორიული ხრონიკის“ ერთ-ერთ წინასიტყვაობაში 1890 წ. თაყაიშვილი აღნიშნავდა: „ასეთი ხრონიკების გამოქვეყნება, მათი შედარება სხვა ხრონიკებთან და ისტორიულ ცნობებთან. სხვადასხვა მანუსკრიპტების ცნობაში მოყვანა და მათის ისტორიულის ცნობების განმარტება, გუჯრების შეგროვება და გამოქვეყნება, სხვადასხვა ისტორიული წარწერების გარჩევა, აგრეთვე განმარტება, თუ რა მნიშვნელობა აქვს და რა ახალ მასალას გვაძლევს თითოეული ამგვარი წყარო და საზოგადოდ ასეთი მასალეების შეძლებისამებრ კრიტიკულად შესწავლა—აი, რა მიგვაჩნია ჩვენ, ჯერ ხანად მაინც. ყველაზე უსაჰიროესად ჩვენი ისტორიისათვის. ჩვენი ისტორიოგრაფიის ახლანდელი მღგომარეობა ასეთ

<sup>3</sup> ილია ჰავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, თბ., 1941, გვ. 511—512.

<sup>4</sup> მამია დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, თბ., 1950, გვ. 83.

შრომას თხოულობს ჩვენგან<sup>5</sup>. გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე ე-თაყაიშვილი, თვალს ავლებდა რა მის მიერ გავლილ გზას, იგონებდა: „საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალა განწირული დაეწყვებისა და, ხშირად, დაღუპვისათვისაც... იმ ხანად უკვე გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი: რამდენადაც შეიძლებოდა და გარემოება ნებას მძლევედა, შემეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია—არქეოლოგიისათვის; ყოველი ძალღონე მეხმარა ძეგლთა დაღუპვისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად; რაც შეიძლება მეტი გამოიმუშეურებინა და მისაწვდომი გამეხადა მკვლევართათვის. ეს მიმაჩნდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ ამ პერიოდში იმ რწმენით, რომ როდესაც ასეთი მასალა საკმარისად დაკარგვებოდა, გამოჩნდებოდნენ ჩვენში მეცნიერები, რომლებიც ჭეროვნად შეგვიდგენდნენ საქართველოს ისტორიას, გაგვიშუქებდნენ იმ მართლაცდა დიდ კულტურას, რომელსაც ქართველმა ერმა მიიღწია ჭერ კიდევ შორეულ წარსულში“<sup>6</sup>.

ე. თაყაიშვილმა, როგორც აღვნიშნეთ, თავისი მოღვაწეობის ძირითად ამოცანად დაიასახა ქართველი ერის ისტორიის შესწავლისათვის მეცნიერულ—პატერიალური ბაზის გაფართოება—გამდიდრება. 60 წელზე მეტხანა მიყვებოდა იგი არჩეულ გზას და დასახული პროგრამის შესრულებას. ამ საქმეს შეაღია მან თავისი, საოცრად დაუსრეტელი ენერჯია და დიდი ცოდნა, ისედაც მცირე პირადი სახსრები და სუსტი ჯანმრთელობა. „ძალღონის ასეთი დაძაბვისა და ამგვარ იუშოობაში, თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში დღე—ღამე ჩაფლულობის გამო,—იგონებდა იგი:—რა თქმა უნდა, აღარც საშუალება აღარ მრჩებოდა იმისათვის, რომ ჩავჯდომოდი იმ მოხდევებულ მასალას და დინჯად მეწერა ნაპღვილი გამოკვლევები. ჩემი, როგორც მკვლევარის ნააზრვეი მხოლოდ ამა თუ იმ ძეგლის გამოკვამისას დართულ შესავალსა და კომენტარებში შეღავნდებოდა უმთავრესად. ნამღვილი თეორიული ნაშრომი თითქმის არც ერთი არ დამიწერია: ველარ ვიცლიდი სააჰოსოდ... თან იმ—ს შეგნება მიმგარებდა ვულსა და ბელავს. რომ... ბერე გამოვიჩინდებოდნენ მკვლევარები, რომლებიც დარკობლოვ. გულდაგულ დაადგებოდნენ მათ და გამართული. შევკებული ისტორიისა თუ მონოგრაფიული გამოკვლევების შესაქმნელად გამოიყენებდნენ. ბოლოს ხომ ეს მოლოდინიც გამიმართლდა და ესაა რომ უღიდეს ზნეობრივ კმაყოფილებას მგერის. ჩემი უმცროსი თანამედროვე თუ მომღვენო თაობის მკვლევარები. ივანე ჯავახიშვილით დაწყებული. ყველანი ხომ უხვად იყენებენ ჩემს გამოკვამებს“<sup>7</sup>.

ე. თაყაიშვილი ფიქრობდა, რომ XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის ცნობილი მასალების დიდმა ნაწილმა უკეთესი ასახვა ჰპოვა დ. ბაქრაძის შრომებში. განსაკუთრებით კი ცნობილ ნაშრომში: „ისტორია საქართველოსი“. მან საესებით სწორად განააჯა, რომ საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის წემდგომი დაწინაურება. მისი ახალ საფეხურზე აყვანა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც კრიტიკულად შეისწავლებოდა და გამოქვეყნდებოდა ახალი წყაროების ძირითადი ნაწილი მაინც. იმის მიხედვით, თუ როგორ ჰქონ-

<sup>5</sup> ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, ტფ., 1890, გვ. CXLVIII—CXLIX.

<sup>6</sup> ე. თაყაიშვილი, მოგონებები, თურნ. „მნათობი“, 1958, № 7, გვ. 162.

<sup>7</sup> ე. თაყაიშვილი, მოგონებები, თურნ. „მნათობი“, 1959, № 7, გვ. 171.

და ე. თაყაიშვილს წარმოდგენილი საქართველოს ისტორიის წყაროები, მკაფიოდ ჩანს მისი, როგორც ისტორიკოსის სახე.

საქართველოს ისტორიის მასალები, ე. თაყაიშვილის მიხედვით, წარმოდგენილია შემდეგ ჯგუფებად: 1. წერილობითი წყაროები—საისტორიო მწერლობა, სიტყვაკაზმული მწერლობა, სამართლის ძეგლები, ქრონიკები. კვინკლოსები, მინაწერები, სიგელ-გუჯრები, მოსახლეობის აღწერის დავთრები, წარწერები ნაგებობებზე, ხატებზე, ფრესკებზე, დროშებზე, საფლავის ქვებზე, ქურჭელზე, იარაღზე და ა. შ. აგრეთვე, ონომასტიკონი და ტოპონიმია.

2. ნივთიერი კულტურის ძეგლები—ძველი ნაქალაქარები და ნასოფლარები, ციხეები და კოშკები, სასახლეები და ფუნდუკები, ეკლესიები და მონასტრები, ხატები და ფრესკები, სამუშაო და საბრძოლო იარაღები, ტანსაცმელი და სამკაული, სახელოსნოები. ფულის ნიშნები და მრავალი სხვა.

3. ეთნოგრაფიული მონაცემები: დაბადებასთან, ქორწინებასთან, მოსავლის მოყვანასთან, გარდაცვალება-დატირებასთან თუ ადამიანის ცხოვრების სხვა მხარეებთან დაკავშირებული რიტუალები და ქცევის წესები, დღეობა-დღესასწაულები, საადათო სამართლის ნორმები და ა. შ.

4. ხალხური სიტყვიერება: ზღაპრები და ლეგენდები, გადმოცემები და თქმულებები. ლექსები და შაირობანი, ანდაზები და გამოცანები, შელოცვა-გამოლოცვანი და ა. შ.

ე. თაყაიშვილი ძირითადად წერილობითი წყაროებისა და ნივთიერი კულტურის ძეგლთა შესწავლა-გამოცემაზე მუშაობდა. მაგრამ, ამავე დროს, უყურადღებოდ არ ტოვებდა და აქტიურად მონაწილეობდა სხვა ჯგუფის წყაროების თავმოყრა-გამოცემის სამუშაოებშიც.

უკვე აღნიშნული იყო, რომ ე. თაყაიშვილის „როგორც მკვლევარის ნაზრები, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ. მხოლოდ ამა თუ იმ ძეგლის გამოცემისას დართულ შესავალსა და კომენტარებში მკვლავნდებოდა უმთავრესად“. მათ შორის დიდი ნაწილი მიძღვნილია საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ კონკრეტული საკითხისადმი. მკვლევარი. ძირითადად. შუა საუკუნეების ქრონოლოგიისა და ცალკეულ გვართა გენეალოგიის საკითხებს ეხება. ეს განაგებიცაა—იგი ორჯერ წყაროს შესწავლასთან დაკავშირებული საკითხების რიგს, მაგრამ მხოლოდ იმ სახარულით. როგორც ეს აუცილებელია ამა თუ იმ ძეგლის გამოცემისათვის. აქ ჩვენ ვხვდებით ძიებას „ქართლის ცხოვრებაზე“ და მის წყაროებზე, ქართული განათლების ცენტრებზე, ბაგრატიონთა გენეალოგია-ქრონოლოგიაზე, აფხაზთა მეფეებზე, ვარდანიძეთა, ათაბაგ-ჩაყელთა, დადიანთა, გურიელთა, ქანის ერისთავთა, კილაძეთა. ჭურციძეთა და სხვათა სახელებზე. ნარკვევება საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ამა თუ იმ საკითხზე. სამოხელეო წყობასა და სამართალზე, უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაზე. შინაბრძოლების კონკრეტულ გამოვლენებზე, ქალაქთა ცხოვრების ცალკეულ საკითხებზე და ა. შ. ე. თაყაიშვილი არ ერიდებოდა. როცა საჭიროებას ხედავდა, ეკვლია სოციალ-ეკონომიური ისტორიის ისეთი საკითხები. როგორცაა ტაო-კლარჯეთის ეკონომიური მდგომარეობა IX—X სს-ში. და ამ ხანის აღმავლობის მიზეზთა ამოხსნა ეცადა\*, შეესწავლა ისტორიული სევანეთის ეკონომიური მდგომარეობა

\* ე. თაყაიშვილი, სუბმათ დავითის ძის ქრონიკა... გვ. 51.

და ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველს მიეთითება შუა საუკუნეების სვანეთის კულტურის თვითმყოფლობაზე<sup>9</sup>.

თავისი დროისათვის უბრწყინვალესი იყო მისი გამოკვლევები საქართველოს არქეოლოგიაში. განთხარი მასალის გააზრებაში იგი ბრწყინვალე ისტორიკოსის როლში გვევლინება. ამ მასალების საფუძველზე მიუთითა მან ძველი ქართული კულტურის თვითმყოფად ბუნებაზე, დაადასტურა მისი ქართულობა და ამით საფუძველი გამოაცალა ე. წ. „თეორიას“ ქართული კულტურის მოტანალობა-უცხოურობა-ნასესხობაზე. რაზედაც დაყინებით ლაყბობდნენ „კოლონიური არქეოლოგიის“ დაქირავებული თუ მოხალისე წარმომადგენლები. საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის ამ ფაქტს იმ ხანაში უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა.

წყაროების მდიდარი არსენალი, დიდი ერუდიცია, ღრმა და ფართო მომზადება ე. თაყაიშვილს საშუალებას აძლევდა ვაესწორებია წინამორბედ თუ თანამედროვე მკვლევართა არა ერთი შეცდომა. მან იმთავითვე დაიმსახურა პრინციპული და ავტორიტეტული მეცნიერის სახელი: 1906 წ. 24 მაისს „მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ სხდომაზე ექ. თაყაიშვილმა წაიკითხა, როგორც თვითონ უწოდებდა, „რეფერატი“ „ქართლის ცხოვრებაზე“. სხდომას სხვებს შორის ესწრებოდნენ ნიკო მარი და ნ. ს. დერჟავინი. ნ. მარმა „რეფერატს“ „შესანიშნავი და ძვირფასი“ უწოდა, ხოლო ნ. ს. დერჟავინმა აღნიშნა: „ნაშრომი... შესანიშნავია თავისი მეთოდით, დახვეწილი ანალიზით და კრიტიკულობით. ვუსმენდი რა ამ რეფერატს, განვიცდიდი უდიდეს სიამოვნებას: ეს რეფერატი კი არა, შესანიშნავი გამოკვლევაა, რომელიც სავსებით ვარჯისია სადოქტორო დისერტაციისათვის. დასაანანია, რომ ავტორს, რომელსაც შეუძლია მოგვეცეს ასეთი გამოკვლევები, არ ძალუძს მთელი თავისი დრო სამეცნიერო მუშაობას მიუძღვნას“<sup>10</sup>. ექ. თაყაიშვილისათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო თავაზიანი პირუთვნელობა, პრინციპულობა, პატიოსნება, თავმდაბლობა და მაღლიერება; ერთი დეტალი: 1949 წ. მან გამოაქვეყნა სუბმათ დავითის ძის თხზულების შესახებ გამოცემა, რომელსაც დაურთო ბაგრატიონთა გენეალოგიური ნუსხაც; გზადაგზა კი გაასწორა მარი ბროსესა და ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ გენეალოგიურ ტაბულაში არსებული ხოცოვითი უზუსტობანი. ამასთან, იგი თითქოს და ბოდიშობს, რომ იძულებულია გააყეთოს ასეთი გასწორება და აღნიშნავს: „ხელახლა ვაქვეყნებთ რა ამ ტაბულას, ჩვენ არ გვავიწყდება. რომ პირველად მისი შედგენა უფრო ძნელი იყო. ვიდრე შემდეგ მასში შესწორების შეტანა“<sup>11</sup>.

ე. თაყაიშვილისათვის, როგორც წესი, კვლევის დაწყების აუცილებელ წინაპირობას შეადგენდა თავმოყრილი მასალის კრიტიკული დადგენა. ამ მხრივ იგი თავის თანამედროვეთა შორის, აკად. ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლამდე, ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენდა.

ე. თაყაიშვილი იმდენად გაიტაცა საქართველოს ისტორიის წყაროების გამოვლენა-გამოქვეყნების საქმემ, რომ როცა მომწიფდა უკვე დაგროვილი მასალების საქართველოს ისტორიის ახალი, უფრო სრულქმნილი კურსის გამარ-

<sup>9</sup> ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი. 1937, გვ. 435—436.

<sup>10</sup> ИКОМАО, вып. III, отд. II, 1913, გვ. 10—11.

<sup>11</sup> ე. თაყაიშვილი, სუბმათ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 27, თბ., 1949, გვ. 17.

თვისათვის გამოყენების საკითხი, მან შეგნებულად გვერდი აუარა მას, რადგან დაწვებული საქმე დამთავრებული არ ჰქონდა, ხოლო ქართველი ერის ისტორიის სპეციალურ კვლევას ხელი მოჰკიდა მთელი რიგი ქართველმცოდნეობითი დისციპლინების ფუძემდებელმა აკად. ივ. ჯავახიშვილმა.

ე. თაყაიშვილის დამსახურება ქართველი ხალხისა და ქართული ისტორიული მეცნიერების წინაშე შეუძლებელია რაღაც საზომით შეფასდეს. ქართველი ერის მეცნიერული ისტორიის იმ საფეხურის შექმნა, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში აკად. ივ. ჯავახიშვილისა და მისი მოწაფეების სახელს უკავშირდება, ძირითად ნაწილში ექ. თაყაიშვილის მიერ მომზადებულ საკვლევ ბაზაზე დაფუძნებული. წყაროების ასე გულმოდგინედ და მარჯვედ გამოვლენა, მათი მნიშვნელობის მეცნიერული შეფასება, მაღალ მეცნიერულ დონეზე გამოცემა მხოლოდ ისეთ მკვლევარს შეეძლო, რომელსაც ისტორიკოსის საფუძვლიანი მომზადება გააჩნდა და შეიარაღებული იყო ქართველმცოდნეობითი დარგების—ლინგვისტიკის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, წყაროცოდნეობის, ეპიგრაფიკის, სუმიზმატიკის, ფოლკლორისტიკის მონაცემთა ღრმა ცოდნით. სწორედ ასეთ მკვლევარ-ისტორიკოსად ფართო მასშტაბის ქართველოლოკად წარმოგვიდგება ჩვენ აკადემიკოსი ექ. თაყაიშვილი, რომლის ნაღვაწით ქართველი ერი მუდამ მადლიერი, ხოლო ქართული მეცნიერება მუდამ დავალებული იქნება.



**ეპითიმე თაყაიშვილი და ქართული ეპიგრაფიკა**

დიდი ქართველი მეცნიერის ეპითიმე თაყაიშვილის მრავალმხრივ და ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობაში, რასაც ის ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შესასწავლად ეწეოდა, განსაკუთრებული ადგილი ეპიგრაფიკას უჭირავს. მან ჩინებულად იცოდა ეპიგრაფიკული ძეგლების (წარწერების) განუზომელი სამეცნიერო მნიშვნელობა; იცოდა, რომ ზოგჯერ ერთ სიტყვაძვირ წარწერას უფრო მეტი შეუძლია გვითხრას ხალხის, ქვეყნის წარსულის შესახებ, ვიდრე სხვა რომელიმე ნარატიული წყაროს ათეულმა ფოლიანტებმა. რაც მთავარია, ასეთი ძეგლებით მოფენილი იყო (დღესაც ბევრია) საქართველოს მთა და ბარი. ქართველი ხალხი უხსოვარ დროიდან ზრუნავდა, რათა მისი გმირული წარსულის ღირსშესანიშნავი ამბები „ანდამატის ფრჩხილით“ ყოფილიყო ამოკვეთილი ისეთ მაგარ მასალაებზედ, როგორც ქვა და ლითონი (ქვის ფილებზე, შენობათა კედლებზე, სვეტებზე, ოქროსა და ვერცხლის ფირფიტებზე) და ამ სახით აღბეჭდილი დაეტოვებია ის მომავალი თაობებისათვის, გასათვალისწინებლად და გმირთა თუ დიდ მოღვაწე-შემოქმედთა სახელების უკვდავსაყოფად, ასეთია: სააღმშენებლო, საფლავის, ოფიციალური, მემორიალური და სხვა დანიშნულების წარწერები. მართალია, ბევრმა მათგანმა ვერ გაუძლო „უამთა სიაცეს“ და საუკუნეთა წყვილიდში დაეცა და განადგურდა, მაგრამ იმასაც, რაც ძნელბედობას გადაურჩა და ჩვენ საუკუნემდე მოაღწია, იგივე ბედრი ელოდა. ძველი ქართული კულტურის ძვირფას ძეგლებს არა მარტო წვიმის, ყინვის, ქარის და ბუნების სხვა მოვლენათა განმანადგურებელი მოქმედება ემუქრებოდა, არამედ ზოგ შემთხვევაში საფრთხეს უქმნიდა თვითონ ადამიანის ხელიც. XIX საუკუნის ბოლოსათვის, როდესაც ე. თაყაიშვილი სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა, ეპიგრაფიკული ძეგლები ჩვენში ჯეროვნად აღრიცხული და ფიქსირებულიც არ იყო. აღარავინ ზრუნავდა მათ დაცვა-შენახვაზე და მეცნიერულ შესწავლაზე. შეიძლება ითქვას, რომ მშინდელი ქართული ისტორიოგრაფია ნაკლებად იცნობდა ერის წარსულის ამ ძვირფას საუნჯეს და მეცნიერულ კვლევა-ძიებაში სათანადოდ თითქმის არავინ იყენებდა მას. აუცილებელი იყო ეპიგრაფიკული ძეგლების სისავსით. სასწრაფო წესით გამოვლინება, სწორად წაიკითხვა-გამოკვეყნება და მათ დაცვა-შენახვაზე ზრუნვა. ეს იყო ერთ-ერთი კეთილშობილური საქმე, რომელსაც შესწირა ექვთ. თაყაიშვილმა მთელი თავისი დაუშრეტელი ენერგია და დიდი ცოდნა. ეს იყო მის მიერ თავიდან დასახული ერთ-ერთი მთავარი მიზანი, მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება. დღიდან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისა, მას შტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი უნახავი და შეუსწავლელი არ დაეტოვებია საქართველოს მიწა-წყალზე ძველი კულტურის არც ერთი ძეგლი, თითოეული თავის თვალთ ენახა, ყველაფერს საკუთარი ხელით შეხებოდა: კერძოდ, აღენუსხა და

აღეწება მის დრომდე მოღწეული თითოეული ძეგლი, ზუსტად ჩაეწერა, ამო-  
კეთხა და განმარტა ღვაწლმოსილ წინაპართა ნამოქმედარი, თუ ქვაზე და ლი-  
თონზე ნაკეთი აზრები.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ე. თაყაიშვილს ამ საქმეში არა  
ერთი წინა კაციც ყავდა: მ. ბროსე, პლ. იოსელიანი, დიმ. ბაქრაძე და სხვა. მათი  
ნაღვაწი ამ მიმართულებით დღესაც ძვირფასია ჩვენთვის. მაგრამ ეპიგრაფიკულ  
ძეგლების გამოვლინება-შეკრებისა და შესწავლა-გამოქვეყნების საქმე სა-  
ქართველოში არავის დაუყენებია ისე ფართო და ნამდვილად მეცნიერულ ნია-  
დაგზე, როგორც ეს ე. თაყაიშვილმა გააკეთა. ვერც შესწავლილ ძეგლთა რაოდე-  
ნობით და ვერც შესწავლის მეთოდოლოგიურ ზედხეობის სისრულით წინა თა-  
ობის მკვლევართან ვერავინ შეედრება მას.

ცნობილია, რომ ძველად ჩვენში ასეთი საქმიანობა დიდ სიძნელეებთან იყო  
დაკავშირებული. სიძველეთა მეცნიერული შესწავლა, მათი შეკრება და დაცვა-  
შენახვაზე ზრუნვა დიდ ფულად სახსრებს მოითხოვდა. ზოლო მაშინდელ მთავ-  
რობას ასეთი რამ თავის საქმედ არ მიაჩნდა და ამ მიზნისათვის არ ხარჯავდა არც  
ერთ მანეთს.

ე. თაყაიშვილი, ეპიგრაფიკული ძეგლებისა და საერთოდ სიძველეთა შეს-  
წავლას ხშირად თავის საკუთარი თანხებით ეწეოდა. როგორც ცნობილია. ის  
გომნაზიის მასწავლებელი იყო და წლის განმავლობაში დანახვაც თანხას ზაფხუ-  
ლობით (სასკოლო არდადეგების დროს) მთლიანად. თავის საყვარელ საქმეს ახ-  
მარდა/...გარდა იმისა. რომ მე თვითონ დავდიოდი: ამ საქმისათვის საჭირო არ-  
ქიტექტორი და ფოტოგრაფიც ჩემი ფულით დამყავდა“-ო. უთქვამს ჩვენთან სა-  
ცხარში აწ განსვენებულ მეცნიერს<sup>1</sup>.

გარდა უსახსრობისა, ასეთ საქმიანობას დღეად აძნელებდა მაშინ ძეგლებ-  
თან მისასვლელი გზების უქონლობა და სატრანსპორტო საშუალებათა მეტის-  
მეტი განსაზღვრულობაც. მით უფრო. რომ ეს ძეგლები მდებარეობდნენ არა  
დიდი შარაგზის პირას. არამედ მათგან მოშორებით. ზოგჯერ. სრულიად უგზო-  
ყვალ ციციბო მთებსა და. საერთოდ. ძნელად მისასვლელ (უკაცურ) ადგილებში.  
აქ. რომ ძველი კულტურის ძეგლამდე მიღწევა და მათი ჭეროვანი შესწავლა  
დიდ ფიზიკურ ძალ-ღონესა და ამტანობას მოითხოვდა ამ საქმით დაინტერესე-  
ბული თითოეული პირისაგან. მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, ე. თაყაი-  
შვილმა. თავისი ნატყენი ფეხით მოიარა თითქმის მთელი საქართველო. ზოლო  
მისი ზოგიერთი კუთხე—არაერთხელ<sup>2</sup>.

დღიდან სამეცნიერო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსვლისა. ე. თაყაიშვილი  
გულმხრევალედ ჩაება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი  
საზოგადოების და რამდენიმე მსგავსი სხვა ორგანიზაციის საქმიანობაში. რომ-  
ლებიც ჩვენი კულტურის ძეგლების შეგროვება-შესწავლაზედაც მუშაობდნენ.  
მაგრამ ეს მან არ იკმარა და 1907 წელს დაარსებულ „საისტორიო-საეთნოგრა-  
ფიო საზოგადოებაში“ კიდევ უფრო ნაყოფიერად გაშალა მუშაობა ასეთ ძეგლ-  
თა კვლევა-ძიებისა და შეგროვება-გამოქვეყნების მიმართულებით.

<sup>1</sup> თავის ექსპედიციებში მონაწილეობის მისაღებად ექვ. თაყაიშვილი, როგორც ცნობი-  
ლია, საუკეთესო ხეროთომოდერებსა და ფოტოგრაფებს იწვევდა მის ექსპედიციებში, სხვა-  
დასხვა დროს, მონაწილეობა მიუღიათ ისეთ სპეციალისტებს, როგორიც იყვნენ: ლ. გუდიაშვი-  
ლი, ხ. კლიაშვილი, მ. ქიუთუნი, ა. კალინი, ნ. სვეეროვი, მ. კალაშნიკოვი, ა. მამუჩაშვილი,  
ბ. ებარაძე, თ. კაიუხე, ე. ლიონი და სხვ.

<sup>2</sup> И. В. Мегрелидзе. О жизни и эпиграфических работах Е. С. Такайшви-  
ли, Эпиграфика Востока, XIII, 1960, გვ. 4.

გარდა იმისა, რომ არქეოლოგიური ექსპედიციების დროს ე. თაყაიშვილი გულმოდგინედ იწერდა მის მიერ ნახულ ყოველგვარ წარწერას, ის არაჩვეულებრივი მონდომებით ეზიდებოდა მუზეუმში ეპიგრაფიკულ ძეგლებს, რომელნიც დაზიანებული, ადგილიდან დაძრული იყვნენ და სახიფათო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამგვარად ჩაუყარა საფუძველი მან ეპიგრაფიკულ ძეგლთა იმ ძვირფას კოლექციას, რომელიც აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს დღესაც ამშვენებს. ხოლო ხსენებულ ძეგლთა კოლექციის შეკრებით მან მტკიცე ნიადაგზე დააყენა ეპიგრაფიკულ ძეგლთა გეგმაშეწონილი, სისტემური შესწავლის საქმე თბილისში, რის დაწყებები და სულის ჩამდგმელიც თვითონ ის იყო.

უადრესად საგულისხმოა ის მეთოდი, რომლითაც ე. თაყაიშვილი ეპიგრაფიკულ ძეგლებს იკვლევდა. წარწერას ის არასოდეს ცალკე, იზოლირებულად არ განიხილავდა, არამედ ყოველთვის იმ ძეგლებთან ერთად სწავლობდა, რომელზედაც ამოკვეთილი იყო, ან რომელშიც ის საუკუნეთა განმავლობაში ინახებოდა. მისი რწმენით, წარწერის არსებობა ამა თუ იმ ძეგლზე, ან ამა თუ იმ საყდარში, თავისთავად უმნიშვნელო ან შემთხვევითი ხასიათის მოვლენა არ არის. პირიქით, ისინი (წარწერა და მისი მქონებელი ძეგლი) ურთიერთ მიზნობრივად დაკავშირებულნი და ერთი მეორის წარმოშობის ჰაუნუყებელნი არიან... ე. თაყაიშვილის სიტყვით: „Надписи на половецких терьяют свое значение и интерес, когда неизвестно к каким памятникам они принадлежат, а сами памятники с утратой надписей лишаются, так сказать, своей истории и не могут быть латированы“ ეს უენიშვნა ე. თაყაიშვილს ნათქვამი აქვს ფოტოვიდან ჩამოტანილი სამი წარწერიანი ქვის შესწავლასთან დაკავშირებით. საქმე ის იყო, რომ საეკლესიო მუზეუმს თავის დროზე ვერ გამოურთმევია საჭირო ცნობები ამ ქვების კონკრეტული კუთვნილების შესახებ თავად ხერხეულიძისათვის, რომელსაც ისინი თბილისში ჩამოუტანია. რადგანაც ამ ქვების ასომთავრული წარწერება დიდმნიშვნელოვან ჩანდა და ე. თაყაიშვილს მათი შესწავლა გადაწყვეტილი ჰქონდა. ის თვითონ წასულა ქ. ახალციხეს. დაუძებნია ისეთი პირები. რომელთაც აღნიშნული ქვები ადგილზე ჰქონიათ ნანახი და ცოდნით დანამდვილებით. თუ რომელი ქვა რომელ ეკლესიას ეკუთვნოდა. მხოლოდ ასეთი შეჯერებისა და ქვების ნამდვილი კუთვნილების დადგენის შემდეგ განუხორციელებია ე. თაყაიშვილს მათი მეცნიერული შესწავლაც.

ასე რომ, ე. თაყაიშვილის შეხედულებით, ყოველი ძეგლი, რომელზედაც წარწერა ამოკვეთილია, წარმოადგენს არა მარტო წარწერის ადგილსამყოფელს, არამედ მისი ისტორიის წყაროსაც. სწორედ ამ ძეგლის მეშვეობით ვლინდება ზოგჯერ წარწერის თარიღი, მისი ადგილი და მნიშვნელობაც ქვეყნის ისტორიაში. სწორედ ამიტომ ე. თაყაიშვილი წარწერის შესწავლას იმ არქიტექტურული ძეგლის შესწავლით იწყებდა ყოველთვის, რომელზედაც ის ამოკვეთილი იყო ამიტომაც ის, სათანადო ნაშრომს ძეგლის ადგილმდებარეობისა და მისი მოკლე,

<sup>3</sup> Е. Т а к а й ш в и л и. Разбор грузинских надписей на камнях, доставленных из Подховского участка в Церковный Музей Грузинского экзархата. Известия К авказского отделения императорского московского археологического общества, Вып. II, Тифлис, 1907, стр. 63.

შენიშვნა: ამ ნაშრომში ყველგან, სადაც კი მითითებულია „Известия“, სწორედ ეს გამოცემა იგულისხმება—ჯ. გ.

მაგრამ საფუძვლიანი აღწერილობით იწყებდა ხოლმე. ბევრ შემთხვევაში ის აღწერილობასთან ერთად წარმოგვიდგენს ძეგლის ზომებსა და გეგმასაც. ამის შემდეგ მკვლევარი ცდილობს შეისწავლოს ყველაფერი, რაც ამ ძეგლის შესახებ დაუწერიათ, ან ხალხს შეუთხზავს და ზეპირად თაობიდან თაობამდე გადაუცია. საბოლოოდ მკვლევარი ყურადღებას აჩერებს ძეგლის დათარიღებაზე და მისი ადგილის გარკვევაზე მხარის თუ ქვეყნის ისტორიაში. დამახასიათებელი გარემოებაა, რომ ე. თაყაიშვილს ძეგლის სრულყოფილი შეფასებისათვის მიუცილებელ პირობად მიაჩნია ცოდნა იმ ქვეყნის ისტორიისა, რომლის მიწაზედაც ესა თუ ის ძეგლი დგას. მისი აზრით, საჭიროა გათვალისწინება იმ ხალხის ისტორიისა, რომელმაც ეს ძეგლი ააგო და მასზე წარწერაც ამოკვეთა. ქვეყნის ისტორიის გათვალისწინებლად ვერც ერთი მკვლევარი წარსულის მატერიალური ძეგლებისა ვერ დააღწევს თავს მძიმე შეცდომებს. სწორედ ქვეყნის წარსულის (ისტორიის) უცოდინარობის გამო მოსვლია, ე. თაყაიშვილის აზრით, აკად. პავლინოვს გასაოცარი შეცდომები ოპიზის საყდრის დათარიღებასთან დაკავშირებით. მისი სიტყვათ: „Вообще, по нашему мнению, без знания истории народа, который возводил памятники, без изучения эпиграфики и привлечения к делу письменных памятников, отнесшихся до изучаемых церквей, мнения относительно датировки монументальных христианских памятников будут большей частью ошибочны. Павлинов, к сожалению, совершенно игнорирует надписи, мало справляется с историей страны, а потому на основании чисто теоретических предположений иногда приходит к таким выводам, которые ни один кавказовед разделить не может. Согласиться с выводами Павлинова значит признать что первоклассные христианские памятники Чорохского бассейна построены моголами и, пожалуй, еще турками, потому что эти отнесены Павлиновым к эпохе их господства и совершенного порабощения страны, когда христианские памятники разрушались, а не возводились.“<sup>4</sup>

ხუროთმოძღვრული ძეგლებისადმი ასეთი მიდგომის წყალობით, ე. თაყაიშვილი მათ აღწერა-შესწავლასთან დაკავშირებით, თითქმის ყოველთვის ქვეყნის წარსულის ვრცელსა და საკულისხმოდ სურათებს გადაგვიშლის თვალწინ. გავიხსენოთ, მაგალითად, მისი „შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მისი სიძველეთა შესახებ“. თბილისის ლურჯი მონასტრის, სამშვილდის, გუდარეხის, მანგლისის, ლარგეისის, ახალგორის, აჭის, უბისის, მარტვილის, იშხანის, ხახულის, ოშკის და სხვა ძეგლთა აღწერილობა. ამ გზით მკვლევარი მსჯელობის მაქსიმალურ სიცხადესა და დამაჯერებლობას აღწევს ყოველთვის.

არქიტექტურული ძეგლის მხოლოდ ასეთი, ყოველმხრივი შესწავლისა და შეფასების შემდეგ იწყებს დიდი მკვლევარი მასზე ამოკვეთილი წარწერის შესწავლას. აქაც ის, პირველ რიგში, წარწერის ვრცელ აღწერილობას გვთავაზობს: მისი ადგილი, განლაგება, ზომა, დამწერლობა, შესრულება, ხერხი, დაცულობა და სხვა თავისებურებანი. თუ ერთ შენობაზე რამდენიმე წარწერა იყო ამოკვეთილი, მაშინ თითოეულ წარწერას ცალ-ცალკე აღწერს. ამის შემდეგ ის გვაძლევს ეპიგრაფიკული ძეგლის გულდასმითს გადმონაწერს სწორედ იმ სახით, როგორც ეს უკანასკნელი სინამდვილეშია წარმოდგენილი (დამწერლობა, ხელი, ქარაგმები). ამას მოსდევს ქარაგმების გახსნის ცდა, რაც ჩვეულებრივ თავდება წარ-

<sup>4</sup> Е. Такайшвили, Грузинские надписи на археологических предметах, хранящихся в Кавказском Музее и в Тифлисе. „Известия“. Вып. I, Тифлис, 1904, стр. 58.

წერის წაკითხვითა და მისი ტექსტის დადგენით. ამას მკვლევარი ხშირად ურთავს წარწერის კარგად შესრულებულ ფოტოპირსაც, რითაც ის, მის მიერ შემოთავაზებულ წაკითხვის ობიექტური შეჯერების საიმედო საშუალებასაც აძლევს მკითხველს. ყველაფერ ამას იგი ამთავრებს კვლევა-ძიებით წარწერის შინაარსისა და მასსი მოხსენებულ პირთა თუ მოვლენების შესახებ.

ე. თაყაიშვილი ქართული პალეოგრაფიის უბადლო მცოდნე იყო. მას მაგარ მასალაზე (ქვა, ლითონი) ამოკვეთილი წარწერების წაკითხვის მდიდარი გამოცდილება ჰქონდა. რაც არ უნდა დამწერლობით (მთავრული, ნუსხური, მდივან-წიგნობრული) ან ხელით (საზოგადო, თხზული, შეწილებული და სხვ.) ყოფილიყო წარწერა შესრულებული, ის თანაბარი წარმატებით კითხულობდა ყველაფერს. ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ ხანდაზმული, დაზიანებული ეპიგრაფიკული ძეგლების გარჩევა-ამოკითხვა დიდ სიძნელეებთან არის ჩვეულებრივ დაკავშირებული. ამაზე ზოგჯერ მოქმედებს ისეთი გარდამავალი მიზეზიც კი, როგორცაა ამინდი, დღის დრო და სხვ. ამ მხრივ საგულისხმოა ერთი შემთხვევა: რომლის შესახებაც ე. თაყაიშვილი თრიალეთის სოფ. სანთის ეკლესიის წარწერის წაკითხვასთან დაკავშირებით მოგვითხრობს: „Надпись свильно пострадала, но я попал в Санту в то время, когда солнце своими косыми лучами освещало эту надпись, и ее сразу удалось прочесть. Когда же, два года спустя я снова проезжал это селение в облачную погоду и, не имея при себе прежней записи, пробовая снова читать надпись, то ничего не мог разобрать.“<sup>5</sup>.

ე. თაყაიშვილი ხშირად უსწორებდა სხვებს, წინარე ხანის მკვლევართ ძველი წარწერების წაკითხვას. განსაკუთრებით ბევრი უსწორებდა შეიტანა მან აკად. მ. ბროსეს წაკითხვაში, რომელმაც ჩვენი ქვეყნის სიძველეთა გაცნობის მიზნით პირველმა მოიარა საქართველო (1847—1848) და მათი საგულისხმო აღწერილობაც სამ წიგნად დაგვიტოვა. ე. თაყაიშვილის თითქმის ყველა უსწორება არსებითია და მართებულიც. ასე, მაგალითად, სამშვილდის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერაში: „ქკნსა ტნი“ (ქორონიკონსა 360—1672 წ.) აკად. მ. ბროსე კითხულობდა როგორც სომხურ დაქარაგმებულ სიტყვას: „შნსატანი“ „que le Diable“.

სამშვილდისავე მთავარი-საყდრის—სიონის დიდ სააღმშენებლო წარწერაზე მშენებლობის დამთავრების მართყვეთ სიტყვებს: „...წელსა გ. ლეონ მეფეთა დღესა...“ იგივე მეცნიერი კითხულობდა, როგორც: „ელიონ მეფა“. ხოლო მშენებელთა წოდებრივი ვინაობის აღმნიშვნელ სიტყვას „...პიტიახშნი...“ მ. ბროსე კითხულობდა, როგორც „...აფხაზთა“ და სხვა ამის მსგავსი<sup>6</sup>. ის არა ერთგან უსწორებდა წაკითხვას დიძ. ბაქრაძესაც. უთუოდ აღსანიშნავია ე. თაყაიშვილის თავდაბლობა და პატივისცემა, რომლითაც ის გამსჭვალული იყო იმ მკვლევარისადმი, რომელსაც წაკითხვას უსწორებდა. ასეთ შემთხვევაში ის არასოდეს არ ცდილობდა თავისი წანაკითხის უპირატესობის ვახაზვას. პირიქით, მას ხშირად თავისი საკუთარი წაკითხვაც არ აკმაყოფილებდა და არც მას თვლიდა საბოლოოდ დადგენილად. ამ მხრივ უთუოდ მნიშვნელოვანია ის შენიშვნა, რო-

<sup>5</sup> И. Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, „Известия“, Вып. III, Тифлис, 1913, стр. 53.

<sup>6</sup> Е. Такайшвили, Грузинские памятники окрестностей Белого Ключа, „Известия“, вып. I, стр. 41, 43.

მელიც ე. თაყაიშვილს თავისი მშობლიური სოფლის ლეხაურის ღვთისმშობლის ხატის (XIV ს.) ერთ წარწერასთან დაკავშირებით აქვს გამოთქმული: „თუმცა ამ წარწერის ყველა ასო მთელია, მისი ზუსტად წაკითხვა მაინც ვერ ხერხდება“. ეს, ცოტა არ იყოს, უცნაური წარწერა წაკითხული ჰქონდა დ. ბაქრაძესაც. ე. თაყაიშვილი აღნიშნავს თუ რა გამორჩენოდა ხსენებულ მეცნიერს, ან რაში არ ეთანხმებოდა ის მას, გვაძლევს წარწერის საკუთარ წაკითხვასაც, მაგრამ დასძენს: „Предлагая свой опыт разбора надписи, мы однако не считаем чтение окончательно установленным“.<sup>7</sup> კიდევ უფრო საგულისხმოა მისი შენიშვნა ზარზმის ღვთისმშობლის ხატის დაზიანებულ წარწერასთან დაკავშირებით, რომელიც თავდაპირველად აგრეთვე დიდ. ბაქრაძეს ჰქონდა წაკითხული. მისი წაკითხვა ე. თაყაიშვილს ორჯერ უტეია, მაგრამ ტექსტი საბოლოოდ ვერც მას დაუდგენია. ამის გამო ე. თაყაიშვილი ამბობდა: „ვერც მე შევძელი წინეთ ამ წარწერის აღდგენა, თუმცა ზოგი რამ მაშინაც შევასწორე. სრულიად და უშეშველად წაკითხვას ამ წარწერისას ჩვენ არც ახლა ვკისრულობთ, მხოლოდ ეხლა უფრო მეტი შესწორება შეგვაქვს არსებულ კითხვაში, ხოლო სრული მისი აღდგენა მომავალს ეკუთვნის“<sup>8</sup>. როგორც ვხედავთ, ამ შენიშვნაშიც დიდი მეცნიერის სიფრთხილე და ერთგვარი სიფაქიზეც გარკვეულად მოჩანს. დამახასიათებელია ისიც, რომ ე. თაყაიშვილი „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ აღმოჩენასთან დაკავშირებით (1909 წ.) მესამეხელ დაუბრუნდა ზარზმის ხსენებულ წარწერას და მისი წაკითხვა კიდევ ერთხელ სცადა. როგორც ცნობილია, მან 1920 წელს გამოაქვეყნა წერილი ზარზმის ეკლესიის სიძველეთა შესახებ, რომელიც იწყება სიტყვებით: „საქითხი ახლანდელი ზარზმის ეკლესიის წარმოშობისა და საზოგადოდ ამ ეკლესიის გამო არსებული ლიტერატურისა გადამიწვას თხოულობს. ეხლა ჩვენ გვაქვს სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ამ ცხოვრების გადამეტარებასტებული რედაქცია, რომელიც მრავალმხრით აშუქებს ზარზმის საკითხს“<sup>9</sup>. ამას უმეშვეოდ მისდევს კონკრეტული დასახელება იმ დებულებებისა, რომლის შეცვლასაც ის აპირებს და ამბობს: „გერჯერობით ჩვენ გვინდა შესწორება შევიტანოთ ჩვენ მიერ გარჩეულის ორი უძველესის ზარზმის ეკლესიის ხატის წარწერების კითხვაში“.

ამგვარად, ე. თაყაიშვილი ზარზმის ეკლესიის შესახებ ადრე გამოთქმულ მოსაზრებათა შეცვლას მისი წარწერების ხელახალი (მესამეხელ) წაკითხვით იწყებდა.

ასე რომ, ე. თაყაიშვილს არ ეუხერხულებოდა ორ-სამხელ მიბრუნებოდა ერთსა და იმავე ეპიგრაფიკულ ძეგლს და მისი უფრო სრულყოფილი წაკითხვა ეცადა. ის არც იმას თაკილობდა, რომ ზოგჯერ თავისი საკუთარი წაკითხვა თვითონვე არადამაკმაყოფილებლად გამოეცხადებია. ხოლო ასეთი კრიტიკული მიდგომა თავის ნაკვლევისადმი ყველას, რასაკვირველია, არ ეხერხება. ასეთი რამ დიდ მეცნიერთა თვისებაა მხოლოდ.

კრიტიკული მიდგომის წყალობით ე. თაყაიშვილი ძველ ქართულ წარწერებს მაქსიმალური სიზუსტით კითხულობდა. რასაკვირველია, შეცდომები მის წაკითხვაშიც მოიძებნება. მაგრამ, ჯერ ერთი, ისინი საკმაოდ იშვიათია, მე-

<sup>7</sup> Е. Такайшвили, Из археологических экскурсий по гурийским церквям „Известия“, Вып. II, 1907, стр. 81.

<sup>8</sup> ე. თაყაიშვილი, შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1, თბილისი, 1920, გვ. 115.

<sup>9</sup> ე. თაყაიშვილი, დამოწმ. ნაშრ., გვ. 105.

რეც—ასეთი რამ გამოწვეულია ზოგიერთი ისეთი ობიექტური პირობით, —რომელიც ძნელად თუ ვინმე დააღწევდა თავს, მით უფრო მაშინდელ პირობებში, ხშირად საკუთარი და, რაც მთავარია, მეტისმეტად განსაზღვრული სახსრებით ზოგაურობის დროს.

ე. თაყაიშვილი დიდი ოპტიმისტიც იყო. მას სჯეროდა მომავლისა და ხმა-მალა აცხადებდა: „ჩვენ გვწამს, რომ ყოველი წარწერა სხვების წასაკითხავად არის დაწერილი და ოდესმე წაუკითხავი და გაუგებარი არაფერი არ დაჩება“.

უნდა გავიხსენოთ, რომ მაშინ, როდესაც ე. თაყაიშვილი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა და კარგა ხანს მის შემდეგაც საქართველოს ისტორია, როგორც მეცნიერება, რომელიც დასაყრდენი უნდა ყოფილიყო ეპოგრაფიკული ძეგლების კვლევა-ძიების საქმეში, დამაკმაყოფილებლად დამუშავებული არ იყო.

ივ. ჭავჭავაძის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი და მეორე წიგნები 1908—1914 წლებში გამოვიდა მხოლოდ (მისა სხვა წიგნები—კიდევ უფრო გვიან). არ არსებობდა საქართველოს ისტორიის არც ერთი დამზარე დისციპლინა. არქეოლოგია და, კერძოდ, გათხრითი არქეოლოგია ახლად იღვამდა ფეხს. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ე. თაყაიშვილს ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და სხვა სიძველეებში გასარკვევად თვითონ უხდებოდა, გზა და გზა. საქართველოს ისტორიის მრავალი პრობლემის გაშუქებაც. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს. რომ ე. თაყაიშვილის დაკვირვებანი ამ მხრითაც თავისი მეთოდოლოგიითა და ფაქტობრივი საფუძვლებით უაღრესად მნიშვნელოვანია. მრავალი მათგანი ანგარიშგასაწვევი და ძვირფასია დღესაც. მაგალითისათვის შეიძლება დასახელებულ იქნას პიტიახშოთა ინსტიტუტის რაობის საკითხი ძველ საქართველოში. როგორც ცნობილია. პიტიახშნი მოხსენებულნი არიან სამშვილდის სიონის სააღმშენებლო წარწერაში, აგრეთვე უძველესი ხანის აგოგრაფიულ ძეგლებში და სხვაგანაც. მაგრამ რას ნიშნავდა ხსენებული ინსტიტუტი. ან. რაც იგივეა, ღინ იყვნენ პიტიახშები და რა ადგილი ეჭირათ მათ ქართველთა უძველეს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. სათანადოდ ვარკვეული არ იყო. ამ საკითხს მეცნიერების შუქი პირველად ე. თაყაიშვილმა მოჰფინა. სწორედ სამშვილდის სიონის სააღმშენებლო წარწერასთან დაკავშირებით, პიტიახშთა ინსტიტუტის შესახებ ის, თავის დროზე ამბობდა: „Питиакши значит защитник границы, правитель пограничной области, маркграф. Этот титул носили правители Гугарка, или грузинской Сомхетии, в которой находится и Самшвилде“<sup>10</sup>. აქ, როგორც ვხედავთ, მოცემულია პიტიახშთა ინსტიტუტის საქმოდ ნიშანდობლივი დახასიათება. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ისიც, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში დებულება პიტიახშისა და ერისთავის იგივეობის შესახებ პირველად ე. თაყაიშვილმა წამოაყენა<sup>11</sup>. ასე რომ მან, კარგა ხანია, მოგვცა პიტიახშთა სახელის საქმოდ სრული ფუნქციონალური დახასიათება. ყოველ შემთხვევაში, ამაზე მეტი ამ ინსტიტუტის შესახებ დღესაც ბევრი არაფერია ცნობილი. ანალოგიური მოვლენები ე. თაყაიშვილის ნაშრომებში იშვიათი რო-

<sup>10</sup> Е. Такайшвили, Грузинские памятники окрестностей Белоого-Ключа, „Известия“, Вып. I, стр. 47.

<sup>11</sup> ე. თაყაიშვილი, ჯერ კიდევ, წარსული საუკუნის ბოლოსათვის ამბობდა: „პიტიახშის და ერისთავის ხარისხი ერთი და იგივეა“ (ხაზი ჩვენა—ე. გ.). სამე ისტორიული ხრონიკა, გამოცემული ე. თაყაიშვილის მიერ, ტფილისი, 1890, გვ. 38, (სქოლიო).

დია. ასე რომ მისი დეაწლი საქართველოს ისტორიის ცალკეული პრობლემების გარკვევა—გაშუქების საქმეშიც, რასაკვირველია. მცირე არ არის.

ე. თაყაიშვილი წარწერებს დაეძებდა არა მარტო მონუმენტურ ძეგლებზე, ათამედყველაფერზე, რაც მას ხელში ჩაუვარდებოდა (გაცილებით უფრო მცირე მოცულობისა და მოძრავ საგნებზედაც) და რასაც ქართველი კაცის კალმისა თუ „აყდამატის ფრჩხილის“ ნაკვალევი აღმოაჩნდებოდა. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ მას წაუკითხავი არ დაუტოვებია კავკასიის მუზეუმში სხვა და სხვა დროს შემოსულ სიძველეთა წარწერებიც. ასეთია, მაგალითად, წარწერები: თბილისიდან ჩამოტანილი ბარელიეფისა, ხუნამისიდან ჩამოტანილი ქვის ემბაზისა, არმაზიდან. ფოცხოვიდან, ხუნძახიდან ჩამოტანილი ქვების. ბევსურული სპილენძის ლომისა. ახალციხური ბეჭდისა და სხვა მრავალი<sup>12</sup>. ე. თაყაიშვილის სასახლეოდ ისიც უნდა ითქვას, რომ იგი ქართულ წარწერებს წვდებოდა ისეთ შორეულ ადგილებშიც, როგორც თავრიზი და იერუსალიმი. თავის მეგობართა ფართო წრის შემწეობით მეცნიერი ადვილად ახერხებდა იქიდან ქართულ წარწერათა ფოტოპირების მიღებას, ხოლო ამ უკანასკნელთა მიხედვით, ცხადია, კითხულობდა და აქვეყნებდა მათ ტექსტებს. ამ გზით აქვს გამოცემული ე. თაყაიშვილს იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის წარწერები და მონასტრობის ნიმუშები, რომელთა ფოტოპირები მისთვის მის პირად მეგობარს, სომეხ მეცნიერს არქ. ვარგინ ოვსტფიანს ჩამოუტანია<sup>13</sup>. ასევე გამოუქვეყნებია მას თავრიზის სომხურ ეკლესიაში დაცული ენქერის ქართული წარწერაც, რომლის ფოტოპირი მისთვის დ. ვ. ქუთათელაძეს გადაუცია<sup>14</sup>. ხოლო კარ-ბელაქანში არსებული ერთი ძველი საფლავის ქვის ქართული წარწერა გამოქვეყნებული აქვს თავისი კოლეგისა და თანამშრომლის ედ. კ. ლითონის მიერ ჩამოტანილი ფოტოპირის მიხედვით და სხვ.<sup>15</sup> კიდევ უფრო დასაფასებელი ის გარემოებაა, რომ ე. თაყაიშვილი ფხიზელ დარაჯად ედგა სიძველეებს თბილისში და მთელ საქართველოშიც. თუ კი ასეთი რამ სადმე გადაწყვიტვლათ ხელში აღმოჩნდებოდა, მას არ გამოეპარებოდა, დაუყოვნებლივ დააცხრებოდა თავზე და უთუოდ შეიქენდა მას, უკიდურეს შემთხვევაში (თუ კი შეძენა ვერ მოხერხდებოდა) დაწვერილებით აღწერდა ძეგლს და მის წარწერას თუ ანდერძ-მინაწერებს ზუსტად აღმოიღებდა<sup>16</sup>. ე. თაყაიშვილმა ამ გზითაც არა ერთი მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკული ძეგლი გადაურჩინა შთამომავლობას.

ასე და ამგვარად, ე. თაყაიშვილმა გასაოცარი სიყვარულითა და სრულყოფილი მეთოდოლოგიური ხერხით მოინახულა ქართველი ხალხის ოდინდელი კულტურის ძვირფასი ძეგლები, მისი სიძველენი. მან მოკრძალებით შეახო მათ თავისი ხელი, აღრიცხა, აღწერა და შეისწავლა ისინი და უკლებლივ ყველა ჩააყენა მშობლიური მეცნიერების სამსახურში. მან ფუტკარივით „წვეთ-წვეთად“ შეკრიბა საქართველოს მიწა-წყალზე გაბნეული ძველი ქართული წარწერები და შეიძლება ითქვას პირველმა წარმოაჩინა ქართველთა მიერ ქვაზე და ლითონზე

<sup>12</sup> Е. Такайшвили, Грузинские надписи на археологических предметах, хранящихся в Кааказском Музее в Тбилиси, „Известия“ вып. I, 1904, стр. 56—73.

<sup>13</sup> Е. Такайшвили, Образцы надписей и стеной росписи монастыря св. Креста близ Иерусалима, „Известия“, вып. III, 1913, стр. 154.

<sup>14</sup> მისივე, Паллица с грузинскою надписью, найденная в Тавризе. в армянской церкви.

<sup>15</sup> მისივე, Надгробная надпись из Белокан, „Известия“, Вып. III, стр. 163.

<sup>16</sup> Е. Такайшвили. Вещи виденные мною в продаже в Тифлисе, „Известия“ вып. IV, стр. 76.



აღბეჭდილი მწერლობის სრული სიმდიდრე და სიღიადეც. სახელოვან-მა მკვლევარმა ამით საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ისტორიის დამ-ხმარე სამეცნიერო დისციპლინას— ქართულ ეპიგრაფიკას და საქართველოს ისტორიის მკვლევართ ახალი, ძვირფასი წყარო გაუჩინა. მისი სურვილი იყო. მის შიერ წაკითხული და დადგენილი ყოველი ახალი წარწერა დაუყოვნებლივ მიე-წოდებინა მკვლევართათვის გამოსაყენებლად და გასათვალისწინებლად. სწო-რედ ამიტომ მისი ექსპედიციებისა და კვლევა-ძიების შედეგები სისტემურად იბეჭდებოდა ქართულ-რუსულ პერიოდულ ჰ-ესისაში და ქვეყნდებოდა ცალკე წაგებადაც. მათ შორის აღსანიშნავია: არქეოლოგიური მოგზაურობანი და შე-ნიშვნანი (ორ წიგნად).

„Археологические экскурсии, разведки и заметки“ (ხუთ წიგნად).

„Материалы по археологии Кавказа. вып. XII, христианские памят-ники. Экскурсия Е. Такайшвили 1902 г.“.

„არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წ.“

„არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში“.

„კახეთში მოგზაურობა არქეოლოგიურის მიზნით“.

„სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები“ (2 წიგნად).

„არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს“.

„Археологическая экспедиция 1917 года в южные провинции Грү-зии“ (რუსულად და ქართულად).

„არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში“ და სხვ.

მცირე არ არის ე. თაყაიშვილის ნაშრომები, მიძღვნილი ცალკეული ეპიგ-რაფიკული ძეგლებისადმი. მაგალითად:

„დავით აღმაშენებლის ერთი წარწერის წაკითხვისათვის“,

„ჯვარის მონასტრის წარწერები“,

„ვალის ეკლესიის წარწერა“,

„ოქონის ხატი და მისი წარწერები“,

„საფარის მონასტერი. მისი წარწერები და მხატვრობა“.

„Разбор Армазской надписи по фотографическому снимку“.

„Деревянный антипис Метехской церкви“.

ე. თაყაიშვილის აქ დასახელებულ და სხვა ნაშრომებშიც წარმოდგენილია მრავალი ძველი ქართული წარწერა, VII საუკუნიდან მოკიდებული XVIII საუ-კუნემდე (ჩათვლით), მათი დადგენილი ტექსტი, დათარიღება და სამეცნიერო მნიშვნელობის განხილვა-გაშუქება.

აქ აღარაფერს ვამბობთ ძველ ხელნაწერ წიგნთა მინაწერებზე, რომელთაც ე. თაყაიშვილი არა ნაკლები მონდომებითა და სიყვარულით დაეძებდა და იკვ-ლედა. მხოლოდ ეპიგრაფიკულ ძეგლებს ვეხებით და აღვნიშნავთ. რომ ე. თა-ყაიშვილმა პირველმა ჩააყენა ისტორიული მეცნიერების სამსახურში ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლთა მაქსიმალური რაოდენობა. თუ მანამდე ამ ძვირფას და უტყუარ მასალას ქართველ ისტორიკოსთაგან ცოტა თუ ვინმე იყენებდა. მისი წყალობით იგი ხელიდან მოუცილებელ წყაროდ იქცა საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოს, რომ ე. თაყაიშვილი ქართული ეპიგრაფიკის თეორიულ საკითხებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა (ამის დრო და შესაძლებლობა მაშინ, რასაკვირველია, არ იყო) მიუხედავად ამისა, ქართული ეპიგრაფიკის წინაშე ე. თაყაიშვილის ღვაწლი და დამსახურება

დიდი და განსაკუთრებულია. ეს იყო საშვილიშვილო, კეთილშობილური საქმე, რომელსაც ე. თაყაიშვილი სამოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში სიყვარულით და ნაყოფიერად ემსახურებოდა. ბევრ სხვა საქმესთან ერთად. ამის მეტი რომ არაფერი გაეკეთებინა, ესეც სრულიად საკმარისი იქნებოდა მისი სახელის უკვ-  
დავსაყოფად.

დიდი ექვთიმეს უანგარო ღვაწლს არასოდეს არ დაივიწყებს მაღლიერი წთამომავლობა.

---

**აქვთიზე თაყაიშვილი როგორც მთხრალი არქეოლოგი**

აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის უდიდესი, მრავალმხრივი დამსახურება საქართველოს და მისი კულტურის ისტორიის წინაშე საყოველთაოდ არის ცნობილი, ოღონდ დარგობლივ, დაწვრილებით დღემდე არაა შესწავლილი და ჩეროვანად შეფასებული<sup>1</sup>. ჩვენი წერილის მიზანია, გააცნოს მკითხველს ქართული მეცნიერების ამ სასიქადულო მოღვაწის არც თუ მცირე მემკვიდრეობა „წიადისეულ“ არქეოლოგიაში<sup>2</sup>. მართალია, ამგვარ კვლევას მის საქმიანობაში შედარებით დაქვემდებარებული ადგილი ეკირა, მაგრამ იგი აქაც ფუძემდებლად გვევლინება და გადაჭრით უნდა მივიჩნიოთ ჩვენი არქეოლოგიის პირველ ნამდვილ სპეციალისტად იმ ქართველთა შორის, რომელთაც სისტემატურად უმუშევანიათ სამშობლოში (აქეთად ვერ ჩათვლება აკად. მ ბროსეს ერთ-ერთი თანაშემწე, პატრიოტი მოხელე დ. მეღვინეთხუცესიშვილი, რომელმაც 1852 წელს გაწმინდა უფლისციხის ზოგიერთი ქვაბი; ვერც ოფიცერი ნ. წილოსანი, რომელიც კავკასიის სხვა ქვეყნებში თხრიდა; ვერც ნ. მარი. რომელიც უმთავრესად სომხეთში თხრიდა და სულ ცოტა წაიმუშავა ქვემო ქართლში—თუმცა კი ავით ე. თაყაიშვილი მას მიიჩნევდა „პირველ ქართველ არქეოლოგად, რომელსაც მისზე ადრე უწარმოებია თხრა საქართველოში“)<sup>3</sup>.

მცხეთა-სამთავროში, ყაზბეგში და ზოგ სხვა ადგილას 1870-იანსა და მომდევნო წლებში წარმოებული თხრა (როდესაც ე. თაყაიშვილი საშუალო სასწავლებლის მოწაფე იყო) დაკავშირებულია „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებისა“, მისი ერთ-ერთი ყველაზე უფრო სწავლული მესვეურის, გამოჩენილი ქართველი მეცნიერის დიმიტრი ბაქრაძისა და თხრის უშუალო გამ-

<sup>1</sup> ე. თაყაიშვილის 100 წლისთავის გამო 1962/63 წლებში დაიბეჭდა რამდენიმე სიგაზე-თო და საეურნალო წერილი, ზოლო „ნაქადელმა“ გამოსცა რ. მეტრეველისა და შ. ბაღრი-ძის წიგნაკი „ექვთიმე თაყაიშვილი“, მაგრამ ყოველი ამათანა განსვენებული მეცნიერის ცხოვრება-ღვაწის ზოგად მიმოხილვასა და დახასიათებას წარმოადგენს, დარგობლივ დახასიათებას კი მხოლოდ წინამდებარე კრებულში თავმოყრილი მოხსენება-წერილები უყრიან საფუძველს.

<sup>2</sup> საამსოდ ეყენებთ, გარდა ე. თაყაიშვილის ნაბეჭდი ანგარიშებისა და ორჯის გამოკვეყნებული მოგონებების („ლიტერატურის მატრიანში“, 1952, № 6 და ეურნ. „მნათობში“, 1958 და 1959 წწ., ჩვენი ჩაწერილი), ერთ წყება გამოუქვეყნებელ მსალეზსაც, რომლებიც ე. თაყაიშვილმა თავისი პირადი არქივიდან გაღმოკვეცა მასთან მუშაობისას (1948 -- 1952 წწ.), როგორც საქართველოს არქეოლოგიის ისტორიით დაინტერესებულს. მათ შორის არის: ზელნაწერი ანგარიშები, არქეოლოგიური კომისიის რამდენიმე წერილი, ფოტოები, ჭაბულათა აღწერა და სხვ. სამწუხაროდ, ადგილის შეზღუდულობა გვიკვეთავს საშუალებას, რომ ისინი დაეურთოთ ამ წერილს, მაგრამ ახლანად გადაწყდა ე. თაყაიშვილის არქივიდან ამოკრებილი უმნიშვნელოვანესი ზელნაწერი ნაშრომებისა და მსალეზის შეტანა მის ორგოშეულში, რომელიც მალე უნდა გამოსცეს მეცნიერებათა აკადემიამ.

<sup>3</sup> მოგონებები, ეურნ. „მნათობი“, 1959, № 7, გვ. 166.

ძლოლის, ავსტრიელი ბუნებისმეტყველის ფ. ბაიერნის სახელებთან. „არქეოლოგიური ნათლობა“ ე. თაყაიშვილს ჯერ კიდევ გიმნაზიელს მიუღია, დირექტორის ა. სტოიანოვის ხელმძღვანელობით ქუთაისის ბაგრატიის ტაძრის ნანგრევს გაწმენდაში რომ მონაწილეობდა, ამხანაგებთან და მასწავლებლებთან ერთად—თბილისის 1881 წლის არქეოლოგიური ყრილობისათვის სამშაბლისს დროს. ამ ყრილობის მიმდინარეობას კი იგი შორიდან ადევნებდა თვალ-ყურს.

1887 წელს, პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ე. თაყაიშვილი შეუდგა პედაგოგიურ მუშაობას თბილისში და თან სულ მალე ჩაება საზოგადოებრივსა და სამეცნიერო მუშაობაში, ილია ჭავჭავაძის ირგვლივ შემკიდრბოებულ მოღვაწეთა მხარდამხარ. უპირველეს ყოვლისა. სწორედ დ. ბაქრაძის წაქეზებითა და ხელმძღვანელობით. ამ ორი შესანიშნავი ისტორიკოსის ხელში ეწყობა პირველი არქეოლოგიური გათხრა ძველი მცხეთის მტკვარძარჯვენა უბანში—ბაგინეთში, რომელსაც ახლა უკვე გადაჭრით ვუიგივებთ ანტიკური ხანის „არმაზიხეს“ (იმ უღარესად შინაარსიან აღმოჩენათა მიხედვით, რომლებითაც დავეირვეინდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სათანადო რაზმის მუშაობა 1943—1948 წლებში). ე. თაყაიშვილის მოგონებებში<sup>4</sup> საკმაოდ დაწვრილებით აძის მოთხრობილი ამ საინტერესო წამოწყების ვითარება.

1888 ან, უფრო, 1889 წელს ვინმე განძისამაძიებელი ბერძენი მისულა „ივერიის“ რედაქციაში, ილია ჭავჭავაძესთან—როგორც იმეამად ყველა ქართული საზოგადოებრივი თუ კულტურული საქმიანობის მესვეურთან—და უთქვამს მისთვის, რომ საუნჯე ეგულებოდა ბაგინეთში შემორჩენილ „კოშკის“ ნანგრევში; კიდევაც დაუწყია თხრა. უპოვნია ძველებური თლილი და გადასაბმელად ამოღრუებული ქვები. მაგრამ შემდეგ ვეღარ განუგრძია მუშაობა უსახსრობისა გამო. ი. ჭავჭავაძეს ეს ამბავი უცნობებია დ. ბაქრაძისათვის, რომელსაც, როგორც რუსეთის სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, არავინ დაუკავებდა თხრის ნებართვას (ე. წ. „ღია ფურცელს“). ბაქრაძეს, უკვე ხანშესულს, ველად მუშაობა გაუძნელდებოდა და ის ღია ფურცელი ახალშეძენილი საიმედო და მხნე თანამემწისათვის, ე. თაყაიშვილისათვის გადაულოცავს, მაგრამ ამ უკანასკნელსაც გიმნაზიაში გაკვეთილები უკვე დასწყებოდა და დღეგამოშვებით-და მოუხერხებია ველზე სიარული, ხოლო გათხრა-გაწმენდის უშუალო მეთვალყურეობა დაუკისრებია ახალგაზრდა დავით ქუთათელაძისათვის, რომელსაც პეტერბურგის უნივერსიტეტი დავითავრებინა და თან ნ. მარისაგან მიეღო შინაური, მაგრამ საკმაო მომზადება ქართველთმცოდნეობაში. მიწის მუშათა გასამარჯლოსათვის ფული, სულ 100 მანეთი, ი. ჭავჭავაძეს მოუგროვებია რამდენსამე კაცში (თვითონ, დ. ბაქრაძე, ე. თაყაიშვილი, პროფ. ილ. ოქრომჭედლი-შვილი); მუშაობა ორ-სამ კვირას გაგრძელებულა და შემდეგ, წინააღმდეგ სურვილისა, ვეღარც განახლებულა—ე. თაყაიშვილის სიტყვით, იმის გამო, რომ მის წამოწყებთ არა ჰქონიათ ჯეროვნად გაგებული ამგვარი მუშაობის „გემო“ და არც გაბედულება მოეკრიბათ, ჯერ კიდევ. მთავარი მიანიც პირადად მისი მოუცლულობა იყო, როგორც ჩანს.

<sup>4</sup> „ლიტერატურის მატრიანე“, 6, ნაკვეთი პირველი, 1962, გვ. 42—43; „მნათობი“, 1959, № 5, გვ. 180—181. იძულებული ვართ აქვე დავმინოთ, რომ „მნათობის“ რედაქციამ ე. თაყაიშვილის მოგონებანი ხშირი და ზოგჯერ გაუგებარი შემოკლებით დაბეჭდა. კერძოდ, სწორედ ბაგინეთის თხრის ამბავია, სამწუხაროდ, ბოლოშევეცილი.

ორსენაკიანი ნაგებობის თხრისას გამოვლენილა სამი სხვადასხვა ფენა და აღმოჩენილა: გადასაბმელი ქვათილები, ჩუქურთმიანი ქვა, ალიზი, მარმარილოს ნატეხები, ლამაზი მინის ჭურჭელი, რიტუალური მიზნით ქოთანში დაფლული ქათმის ძვლები (ეს ხშირად გვხვდება სხვა განაჯარებშიც: არმაზიანეში, რუსთავში, ურბნისში, უჯარამში... გ. ლ.), ვერცხლის ფული, თიხის ჭურჭლის ნატეხები, სპილენძის ცული (ქვედა ფენაში) და სხვ. შენობა შიგნით შეღესილი და მოხატულიც ყოფილა: შემონახულა ქალის თავი, საკმაოდ კარგად გამოყვანილი. კედლები ძლიერ ცეცხლში ნაყოფი ჩანდაო, დასძენს თხრის მეთაურურე<sup>2</sup>.

მუშაობის შედეგი საყურადღებოდ მიუჩნევით მის ჩამტარებლებს: „ას მანეთად მარტო იმ ქალ-ღმერთის თავი ღირსო“, უთქვამს ი. ჭავჭავაძეს (ე. თაყაიშვილს ის ნახატი ანტიკური პანთეონის ღვთაებისათვის მიუძღვასეხება). დამწეები არქეოლოგი ცდილა, ეს აღმოჩენილი დაეკავშირებინა აღრევე ცნობილი წყაროებისათვის და უვარაუდებია, რომ ბაგინეთის „კოშკი“ ეკუთვნის იმ ციხე-დარბაზს. რომელიც რომაელებს თითქოს აუშენებიათ მცხეთას ახ. წ. I საუკუნეში, თანახმად ბაგინეთის მახლობლად 1867 წელს აღმოჩენილი დიდი ქვის წარწერისა, რომელშიც საუბარია ვესპასიანე იმპერატორის დროს რომის „მეგობარი იბერებისა და მათი მეფე მითრიდატესათვის“ გარკვეული მშენებლობის ჩატარების შესახებ. ამჟამად ეს ვარაუდი გამართლებულად ვერ ჩაითვლება, მით უმეტეს, რომ 1938 და 1948 წლებში მცხეთის ექსპედიციამ შეისწავლა იმ ზღუდის დანაშორი ქვათილების წყობა, რომელიც სწორედ წარწერის აღმოჩენის ადგილას ყოფილა მტკვრის გარდღივად მოხდებული და უნდა იგულისხმებოდეს წარწერაში—თანაც როგორც რომაელთა მიერ შეკეთებული, და არა აგებული, წარწერის პირველ ინტერპრეტატორებს რომ ეგონათ (წარწერის საბოლოოდ და საგრძობლად დაზუსტებული თარგმანი, ნაკვეთივით, ცალკე წიგნაკად გამოსცა აკად. გ. წერეთელმა, 1938 წელს). არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ერთ მცირე ჩანაწერში ე. თაყაიშვილი „ბაგინეთის“ მაგიერ ხმა-რობს „მცხეთის ბაგინს“: ჩანს, იგი მაშინვე ცდილობდა იმ ადგილის ხალხურ სახელწოდებაში ამოეკითხა სიტყვა „ბაგინი“, რომელიც ძველ ქართულშიც გავრცელებულია და. მაგ., საბა-სულხანის განმარტებით. ბომონს ანუ კერპის სადგენელ სვეტსა ნიშნავს. მართლაც, მცხეთელთა შეგნებაში უნდა ჩანდეს მამა-პაპათაგან ნაანდერძევი წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც იმ ადგილას, არმაზის ციხეში, წარმართული პანთეონის კერპები ყოფილან აღმართული. ძველი მცხეთის ტოპოგრაფიაზე დადგობა გამოსკვივის ე. თაყაიშვილის სხვა ნაწყვეტ ჩანაწერშიც, სადაც ნათქვამია შემდეგი: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში დაცული თბრობა აღ. მაკედონელის ქართლში ლაშქრობის შესახებ. რა თქმა უნდა, ლეგენდაა. მაგრამ ის კი ცხადია, რომ ალექსანდრეს სანაში არსებობდა ძველი ქალაქი მცხეთა, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. არმაზის (ბაგინეთის) რაიონში მდებარეობდა, ხოლო ახალი მცხეთა კი მერე გაშენებულა—მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სადაც ახლა დაბა“. აქ მხოლოდ მოკლეა დავძენდით. რომ მცხეთის ექსპედიციის მიერ შემოღობილი „კოშკის“ მახლობლად გამოჩენილ ურბნისში ნანგრევი დიდი, სასახლის მაგვარი „სვეტებიანი დარბაზისა“, გამთხრელთა აზრით, მიეკუთვნება, სწორედ ძვ. წ. IV—III საუკუნეებს. ე. ი. ალექ-

<sup>2</sup> დ. ქუთათელაძის ხელნაწერი „რაპორტი“, დღემდე გამოუქვეყნებელი. იხილეთ აქვე, როგორც ჩვენი წერილის დანაშატი (გვ. გვ. 118—120).

სანდრეს ხანას“, ხოლო გაღმა მცხეთაში იმდროინდელი ამგვარი ნაგებობა ჯერ არსადა ჩანს.

მცხეთის—„საქართველოს პომპეის“—მდიდარი, მრავალფეროვანი არქეოლოგიური კომპლექსის გათხრა-შესწავლას ე. თაყაიშვილი უბრუნდება თორმეტი წლის შემდეგ, როგორც უკვე გამოცდილი, აღიარებული მთხრელი არქეოლოგი და უკვე პირადად უძღვება მუშაობას. მაგრამ მანამდე მას—ცირითადად მიწისზედა ძეგლების შესასწავლ მოგზაურობასთან დაკავშირებით—საქართველოს რამდენსამე სხვა კუთხეში უხდება თხრის ჩატარება. მიუხედავად იმისა, რომ სთავაზობენ, სამთავროში განაგრძოს ზაიერნის მიერ დაწყებული მუშაობა და თან შეამოწმოს მისი ნათხარობის სიზუსტე. ამ წინადადების ავტორია რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე გრაფი ზობრინსკი, რომელიც 1894 წლის დამდეგს სწერს ახალგაზრდა თბილისელ პედაგოგს: რაკი ნ. მარმა განაცხადა, რომ თქვენ ქართული ძეგლების შესწავლაზე მუშაობთ, მოვალეობად მიგვაჩნია გათხოვით, თუ ინებებთ, თბილისის გუბერნიაში სადმე თხართ, ხოლო თუ არსად გეგულებათ საამისო ადგილი, დასაწყისისათვის სამთავროში სცადოთო. თანხმობის შეთვლის შემდეგ ე. თაყაიშვილი, კომისიის მიერ თავის „წევრ-თანამშრომლად“ არჩეული, იღებს „ლია ფურცელს“ გურია-იმერეთში, ქართლში, ბორჩალოს მაზრაში და მცხეთაში თხრის ნებართვითა და 200 მანეთის თანხლებით. სამთავროში მუშაობა ვერ მოხერხებულა და ე. თაყაიშვილს უმჯობინებია თხრის წარმოება თბილისის კუბერნიაშივე შემავალ სოფ. ვორნაქთან, რომელიც ქვემო ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირას. მდ. ცცია-ჩრამის შენაკადის დებედის ხეობაში ძღებარეობს (ახლან. ს. აკნერი, სომხეთის სსრ ალავერდის რაიონი). იქ მანამდე ეთხარათ თბილისელ ა. კრიწოვს (1871 წ.) და იმასადა უკვე პეტერბურგელ ნ. მარს (1893 წ.). რომელთაც ნაწილობრივ გამოევიდნათ ძველი ვრცელი სამაროვანი. ის ადგილი, ისევე როგორც ისტორიული ქვემო ქართლის ბევრი სხვა მხარე (კერძოდ. დებედისავე ხეობაში მდებარე ახტალა-ალავერდის მიდამოები- ფრანგი სამთო ინჟინრისა და არქეოლოგის დე-მორგანის განათხარის მიხედვით, XIX საუკუნის ბოლო ათეულ წლებში; წალკა-თრიალეთი—საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის გააყოფილებისა და ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციათა განათხარის მიხედვით 1930-იანსა და შემდგომ წლებში და სხვა.) ძალიან მდიდარია ძველი ლითონის ხანის კულტურული ნაშთებით, რომლებიც ჩვეულებრივად წარმართულ სამაროვნებშია უხვად დაცული.

ე. თაყაიშვილსაც გაუმართლა არჩევანმა. მან გათხარა 40 სამარხი, რომლებიც ორ სხვადასხვა ფენას მიეკუთვნა. უფრო ძველი შეესაბამებოდა სამთავროს კარგად ცნობილი სამაროვნის იმ ფენას, რომელიც ბრინჯაოს ხანის დასასრულით თარიღდება და ხასიათდება აღმოსავლეთ საქართველოსათვის ფრიალ ტიპის სელსაწყო-იარაღებით: ბრინჯაოს მაღლიზადნობული წვერკვეთი ე. ორპუნტიანი მახვილით; ბრინჯაოს საომარი პირმოჭრველებული („აპოტელერი“, „აბერული“. „აღმოსავლურ-ამიერკავკასიური“) ცულით, ბრინჯაოს ჭავჭავის ნაშთებით; ბრინჯაოს ეჩოთი; რკინის უძველესი შუბისპირებით და სხვ. ამ ფენის სამარხთა გათხრით ე. თაყაიშვილმა ცხადყო უძველესი შიდა-ქართლური, მცხეთური თუ კახური ბრინჯაოს კულტურის კლასიკურ ფორმათა გავრცელება ქვემო ქართლის პერიფერიაზედაც, ძველი სომხეთის მეზობელ კუთხეში, რამაც უმჭიდროესი ეთნიკურ-კულტურული ურთიერთობა დაამყარა ყველა ჩამოთვლილ მხარეში ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს მსახლობელ ქართველურ ტომ-

თა შორის; დავგანახვა, რომ მტკვარს ჩრდილოეთით წარმოქმნილ წვერკვეთილ მახვილებს სამხრეთითაც შორს გაუდგამთ. ფენი; რომ არაა სწორი დე-მორგანის აზრი, დებედის ხეობაში მახვილები არა სცოდნიათო და ა. შ. განსაკუთრებით ღირებული კი არის გამთხრელის სავსებით სწორი დებულება იმის შესახებ, რომ ამდენი ძვირფასი საკურეელის შემცველ სამარხში გამორჩეული შეძლების მქონე კაცი. ტომის ბელადი უნდა იყოს დაკრძალული. ამით ახალგაზრდა არქეოლოგი სავსებით სწორად უსვამს ხაზს თვალსაჩინო სოციალურ დიფერენციაციას ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულში, რაც ახლა ჩვენს არქეოლოგიაში სავსებით აღიარებული დებულებაა, უფრო ადრე ხანისთვისაც კი. ვორნაკი-სამარხების ზედა ფენა უაბლოვდებია, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ბ-ლდურ-ურარტულ ხანას. რაც რკინის ფართოდ გავრცელების პირველ საუკუნეებს (ძვ. წ. VIII—VII) თანხვდება. მის ერთ ტიპურ სამარხში აღმოჩნდა უკვე რკინის საჭურველი: სატევრები (ერთის ბრინჯაოს ქარქაშზე საინტერესო გამოსახულება), დანები, შუბისპირი და ბრინჯაოს სამკაული (შვილდსაქონი, საყელური, აბაჯური და სხვა). ამ ნივთებაც ეძებნებათ სრული შესატყვისი საქართველოს ჩრდილო მხარეებში და, კერძოდ, მცხეთა-სამთავროში გათხრილ სამარხთა ინვენტარს შორის.

ნახევარი საუკუნის თავზე. მოხუცებული ე. თაყაიშვილი იგონებდა: „მას შემდეგ უკვე აზარ იყო მართებული ცნობილი რუსი „ნივთმცოდნე-არქეოლოგი“ ი. სმირნოვის განცხადება, თითქოს კავკასიის უმდიდრეს წიაღისეულ ძეგლებს გრაფინია უვაროვას მეტი არაფერია პატრონობს და სწავლობს... ვორნაკის გათხრაზე მუშაობამ გარკვეული გამოცდილება შემძინა. წამახლისა, დამინტერესა და შემდეგ უკვე თამამად მივყავი ხელი თხრის წარმოებას, მითუმეტეს, რომ ...1917 წლამდე მე ვიყავი თითქმის ერთადერთი ქართველი არქეოლოგი. რომელიც არქეოლოგიური კომისიის დავალება-ნებართვით ვთხრიდი საქართველოში“.

ამ გათხრის ანგარიში გამოქვეყნებულია მხოლოდ რუსულად, არქეოლოგიური კომისიის სათანადო შელოწოდულში<sup>1</sup>. მუშაობის შედეგმა ბევრად გადაამეტა წინამორბედთა მიერ ვორნაკშივე წარმოებული თხრის შედეგებს. ამით კმაყოფილი და მადლიერი მესვეურები არქეოლოგიური კომისიისა სთხოვენ ექვთიმეს, კვლავაც აწარმოოს თხრა საქართველოში.

ახლა უკვე სთავაზობენ ქუთაისის გუბერნიას, როგორც ამ მხრივ ნაკლებ შესწავლილს. 1896 წელს ე. თაყაიშვილი მცირე საცდელ თხრას ატარებს, ჩვეულებისამებრ, საზაფხულო არდადეგების დროს, რადგან სხვა თვეებში არ სცალია—მით უმეტეს, რომ იგი ახლა უკვე განაგებს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიას. თხრის სამ ადგილას, სადაც შემთხვევითი აღმონაჩენები ეგულება: აზარის სოფ. ხუცუბანში, მდ. კენტრიშის პირას (კრემაციის ნაშთი, გამლღვარი ბრინჯაოს ნატეხები, რკინის სატევრის ტარი და კერამიკის ნატეხები—საფიქრებელია, ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისისა); სადგ. საჯავახოსთან. დრანდა-ღელის პირას (ადრე ნაპოვნი განძის ნაშთი—კიდევ ორი კოლხური ვერცხლის ფული, რკინის დანა და კერამიკის დიდძალი ნამტვრევი. რის მიხედვითაც ე.

<sup>1</sup> მოგონებები, დამოწმ. გვ.

<sup>2</sup> Отчеты имп. Археологической комиссии за 1894 г., გვ. 14. ვორნაკი ე. თაყაიშვილის განათხარს რამდენიმეჯერს განიხილავს და ეყრდნობა თავის ლექციათა კურსში პროფ. ბ. პიოტოვისკი: Археология Закавказья. Липр., 1949, გვ. გვ. 8, 64, 117—118 და შმდ.

თაყაიშვილი დაასკვნის თავის ანგარიშში. რომ იმ ადგილას ძველად თიხის ქურჭლის სახელოსნო უნდა ყოფილიყო და, უნდა ითქვას, ასეთი განცხადება პირველია საქართველოს არქეოლოგიაში); სოფ. ვანში ანუ საჩინოში. აქ ნაქალაქარ სერზე გავრცელებული თხრილებით გამოუვლენია კამაროვანი შენობის, ჩანს, ეკლესიის ნაშთი, სვეტისთავი. თიხის დიდ-პატარა ქურჭელი, რკინის ისრისპირა, სამი კოლხური თეთრი და სხვ. საქვებაი ლელის ქვიშიდან ამოუთხრია ცხრა მონეტა—კოლხური და ლიხიმაქეს ვერცხლი, რომაული და სხვ.,—ოქროს კარდული, ბრინჯაოს არწივის ქანდაკება. ბრინჯაოს ზოგიერთი სამკაული. ტყვიან. საწონები და ა. შ.<sup>8</sup>

იმავე წელს მას. ადრევე მიცემული და უზრკლას ძალით, უმუშავნია თბილისის გუბერნიაშიც: მდ. სურის ხეობაში, გორის მახლობლად (გაუთხრია 2 წყვილი თიხის კუბო. გაძარცვული—ჩენი აზრით. ახ. წ. IV—V საუკუნეებისა, ვ. ლ.), ბორჩალოს მაზრის თრიალეთის საზოქაულოს (კერძოდ, ანატოლიელი „პერძებით“ დასახლებული წალკის) რამდენსამე სოფელში, სადაც უთხრია ქვისსამარხები, რომელთა ნაწილი შეიცავდა ინვენტარს (კერამიკას, ლითონისა და ქვის სამკაულს—მცხეთის სამაროვნებთან შედარების მიხედვით, ჩანს, ადრეული შუა საუკუნეებისა. ვ. ლ.); გერიაქში 28 (გაპოირჩეოდა ერთი. რომელიც ბრინჯაოსა და რკინის შუბისპირის შეიცავდა და ეგებ ძვ. წ. I ათასწლეულს ეკუთვნოდა). ჩაქქევი—3, ბაიბურთში—3. საფარ-ხარაბაში—16, ბეშთაშენში ანუ ბეშქენაშენში—7.

გარდა ამისა, ექვთიმეს მოუკრებია თუ აღურიცხავს შემთხვევითი მონაპოვრებიც. მათ შორის ობსიდიანის დანები და ხელშუბისპირები. ამასთან დაკავშირებით მას გამოთქმული აქვს ერთი ფრიად ყურადსაღები მოსაზრება: რაკი წალკის ზეგანი ერთიანად მოფენილია ობსიდიანის ნატეხებით, ხოლო ამ ქვისაგან ნაქეთობი იარაღი კავკასიაში ყველაზე მეტი სწორედ ამ მხარეშია ნაპოვნი, ეტყობა. აქ ყოფილა მათი მთავარი სახელოსნოები, რომელნიც მთელ კავკასიას ამარაგებდნენ ობსიდიანის იარაღებითაო.<sup>9</sup> ჩვენს დროში ეს მოსაზრება გაიმეორა, როგორც საკუთარი დაკვირვების ნაყოფი. ბ. კუფტინმა, ოლონდ მან უფრო ფართოდ მოხაზა თრიალეთური ობსიდიანის ნაწარმის გავრცელების არე—წინა აზიის არაველკანური მხარეებით—და ამას დაუკავშირა თრიალეთის ძველ სამარხებში სწორედ იმ მხარეებიდან, (ჩანს, სანაცვლოდ) მომდინარე ზოგი რამის არსებობა<sup>10</sup>. ე. თაყაიშვილს ყურადღება გამახვილებული აქვს აგრეთვე წალკაში—ანდგიტ-ბაზალტური ლავების სამფლობელოებში—ე. წ. „ციკლოპურ ნაგებობათა“ სიხშირეზე, რამაც თითქმის ნახევარი საუკუნის შემდგომ აგრეთვე მიიპყრო ბ. კუფტინის ყურადღება, რომელიც წალკისაკენ, გარკვეული თვალსაზრისით, სწორედ ე. თაყაიშვილის ნამუშევარმა და ნაზრევამც მიიზიდა. აღსანიშნავი გვგონია აგრეთვე ე. თაყაიშვილის მოსაზრება ქვემო ქართლში გავრცელებული, საფლავის რელიეფებიანი ქვების შესახებ—კერძოდ, მათი გვიანდელიაზის ხაზგასმა ზედ თოფის გამოხატვის მიხედვით<sup>11</sup>.

თვით ე. თაყაიშვილი ერთგვარ მობოლიშებასავით სწერს არქეოლოგიურ კომისიას. წლევანდელი თხრა ნიეთიერი მონაპოვრის მხრივ ისეთივე ნაყოფი-

<sup>8</sup> ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, 1907. გვ. 1, შშდ.

ОАК за 1896 г., гв. 109—110.

<sup>9</sup> Е. Такайшвили. Археологические экскурсии, разыскания и заметки, IV, Тифл., 1913.

<sup>10</sup> Б. А. Купфин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, гв. 123.

<sup>11</sup> Е. С. Такайшвили, დამოწმ. ნაშრ.



ერი ვედარ გამოივიცა, როგორც ვორნაკშიო (ცნობილია, რომ საიმპერატორო კომისიას, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ნივთები აინტერესებდა, იმპერატორისა თუ დიდკაცობის საამებლად და ერმიტაჟის დასამშვენებლად). ჩვენი აზრით კი მას რამდენიმე უხმაურო, მაგრამ უთუოდ შინაარსიანი დაკვირვება გამოუტანია ამ ნაშუქვერიდან.

განსაკუთრებით უნდა შეეჩერდეთ ვანის შესახებ, სადაც ე. თაყაიშვილს აგრეთვე ცოტა უთხრია და უპოვნია, მაგრამ ბევრი გამჭირახი მოსაზრება შეუმუშავებია. შედეგები მას რამდენიმე გზისა აქვს გამოქვეყნებული ქართულ-რუსულად<sup>12</sup>, (ხოლო უკანასკნელად ისინი რუსულად დაიბეჭდა უკვე რევოლუციის შემდეგ)<sup>13</sup>. მოკლედ გადმოვცემთ მისი ამ ანგარიშების შინაარსს: ვანის „ახელდინთ გორა“ უძველად წარმოადგენს ძველი ქალაქის ნაშთს. იქ შემთხვევით მრავლად მოპოვებულ ნივთებში გამოიკნობა, ადგილობრივს გარდა, სხვადასხვა ჯცხო (ეგვიპტური, ბერძნული, რომაული) დანაშრევიც. ბევრი ჩნდება პონტოს ნივთთა მიერ მოჭრილი ფულიც. საერთოდ კი, მოჩიჩქნი თუ არა, კულტურული ღენები გამოჩნდება, ხოლო ავდრის შემდეგ ღვარი მრავლად რეცხავს ხოლმე სამკაულსა და სხვა ნივთებს და მოსახლეობა მათი ძებნით ხელს ითბობს—ისევე, როგორც ქერის „მითრიდატეს გორაზე“. ვანის ნაქალაქარი არის სამი მხრივ ხრამებით დაცული მადლობი, რომელზედაც თავს იჩენს ხოლმე ძველი, უდუღაბოდ ნაწყობ ქვათლითა კედლები. თიხის დიდ-პატარა ჭურჭელი და აგრეთვე ძვირფასი ანტიკური ნივთები: ბრინჯაოს კაცის ქანდაკის თავი (1852 წ.); ნაირნაირი მონეტები; დაახლ. 1880 წელს აღმოჩენილი მდიდრული სამარხის ინვენტარი (ოქროს დიადემები, სამაჯურები, ბეჭდები. საყურეები. ცანის სამკაული, კვერთხი, მონეტები და სხვ.), რომელიც უკვალოდ გამქარაა. ოქრომწვედლებს უყიდნიათ და გადაუღნიათ. ვანზე ჩამომდინარე სულორის ქვიშაში, იქაურთა თქმით, ბუნებრივი ოქრო მოიპოვება და ამიტომ ნაქალაქარში აღმოჩენილი გულსაკიდები, სამაჯურები, საყურეები. ბეჭდები და სხვა სამკაული ადგილობრივ უნდა იყოს ნაკეთები (კიდევ ერთი ფხიზელი. მანამდე უშაგალითო დებულების წყაოყენება ავტორის მიერ, პირველი გაბედავა იმდროინდელი რუსეთის არქეოლოგიაში, რომელსაც ჩვენში ამონათხარი ყოველი ნატიფი ნივთი უსათუოდ შემოტანილად მიანდა: გ. ლ.). მეორე მხრივ, აშკარად შემოზიდული ნივთებისა და ფულის მიხედვით, საფიქრებელია, რომ ანდოეთს მიმავალი ძველი დიდი სავაჭრო გზა ვანზე გამოვივლიდა, რიონის მარცხენა ნაპირს შემოუყვებოდა, ბაღდათ-შორაპანზე და ლახის მთაზე გადმოვივლიდა და მტკვრის აუზში ჩამოეშებოდა. საქართველოს სამეფოს საუკეთესო ხანაში (ჩანს, შუა საუკუნეები იგულისხმება.—გ. ლ.) კი ვანს მნიშვნელობა დაუკარგავს: იგი აღარ წარმოადგენდა ცოცხალ სავაჭრო პუნქტს, რაკი იქ თითქმის სულ არ გვხვდება იმდროინდელი ქართული მონეტები და არც იმ დროისათვის დამახასიათებელი ქართული ციხე ჩანს სადმე (ზედმიწვენით გამჭირახი. „წყალაუვალი“ დებულება. დღესაც შეუტრყველი. გ. ლ.). არის მხოლოდ ეკლესიის ნანგრევი, რომელიც იმერეთის ერთ-ერთ უძველეს საყდარს უნდა წარმოადგენდეს (იგი ეთხრია ა. სტოიანოვს 1889 წელს და იატაკს ქვეშ სამონასტრო საძვალე აღმოუჩენია).

<sup>12</sup> აზ. მოზ. და შენ.: ОАК 1894.

<sup>13</sup> Известия Кавказского историко-археологического Института в Тифлисе, т. II, 1917—1925, გვ. 108—110.

როგორც ვხედავთ, ე. თაყაიშვილის მახვილ მზერას არ გამოპარვია ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც უნდა მინიჭებოდა ვანის ნაქალაქარს აღრეანტიკური საქართველოს არქეოლოგიისათვის, როცა კი მის გულდაგულ შესწავლას შეეუდგებოდი. მართლაც, ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ, იქ 1940-იანი წლებიდან დღემდე დროდადრო მომუშავემ, მრავალი ბრწყინვალე ძეგლი ამოაშენურა. ნაქალაქარში (განსაკუთრებით გაითქვა სახელი 1961 წელს გათხრილმა უმდიდრესი და უწარჩინებულესი ქალის სამარხმა) და კიდევ ერთხელ ღირსეულად დააყენა ჩვენი მეცნიერება ე. თაყაიშვილის მიერ მინიშნებულ ვაზაზე; სავსებით, გადაჭარბებითაც კი დაემოწმა მის ყველა მოსაზრებას, მცირე წინასწარული ნამუშევრის შედეგად გამოთქმულს. ის კი არა და უკვე წარმოიქმნა ვარაუდი, რომ აღრეანტიკურ ხანაში ეგებ სწორედ ვანში ყოფილიყო კოლხეთის ცენტრი, რომელიც თავისი მნიშვნელობით იმავდროული იბერია-ქართლის ცენტრს, მცხეთა-არმაზს გაუტოლდებოდა.

თბილისში 1901 წელს დაარსდა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიური განყოფილება, რომლის დამფუძნებელ წევრთა შორის ყველაზე უფრო აქტიური (ხოლო 1905 წლიდან 1918 წლამდე მდივანიც) იყო ე. თაყაიშვილი—იმ დროს უკვე მთელ რუსეთში სახელმძღვანელო, ფრიად ნაყოფიერი მკვლევარი, ისტორიკოსი და არქეოლოგი. განყოფილებას არქეოლოგიური თხრა-კვლევის დიდი გეგმა ჰქონდა შედგენილი. მაგრამ უსახსრობის გამობეჭერი ვერაფერი განახორციელა. მას დაარსების შემდეგ მალე მოუხდა მეთვალყურეობა აქ. რკინიგზაზე ნავთსადენის მშენებლობისა, რასაც 1902 წელს მოჰყვა ე. თაყაიშვილის მიერ საზაფხულო არადაღეგებზე, 18 დღის განმავლობაში ჩატარებული საკმაოდ სერიოზული გათხრა სადგურ მცხეთის დასავლეთით, 3 კილომეტრზე (ჩვენს დროში ესოდენ ვანთქმული არმაზისსხევის მასლობლად, მის დასავლეთით, 1 კილომეტრზე)<sup>1</sup>. ვარდა შეუქმნა მიერ აღმოჩენილი და ამოცლილი 25-სა. მას 53 ქვისსამარხი კიდევ გაუთხრია. ორ ადგილას სამარხებს გარდა გამოვლენილა ქვიტიკრის შენობის ნაშთი. საღვინე ქვევრები და რამდენიმე ფული. ოქრო-ვერცხლისა. სამარხები ყველა სოფაზო ყოფილა. ფლაქვით, ხოლო ერთი—კერამიკული ფილებით ნაგები. მათ ერთგვაროვან ინვენტარს შეადგენდა უმთავრესად საღიაოცო სამკაული (სხვადასხვა მასალის საკინძები, სათმეულები, მძივის ყელსაბამები, ბეჭდები, საყურეები და სხვ.) და აგრეთვე შინის საწინასაღებლები ანუ „საცრემლები“. მხოლოდ ერთში (კერამიკული ფილებით ნაშენში, უძველესში) იყო თიხის ჭურჭელი. სრულიად არ აღმოჩენილა საჭურველი და ეს, ე. თაყაიშვილის მართებული დასკვნით, იმის ნიშანია, რომ სამაროვანი ვერ მიეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის ხანას. სამკაულში განსაკუთრებით საყურადღებოა ოქრო-მარგალიტოანი საკინძები, რომლებიც გამოთხრელს სრულიად სწორად მიაჩნია ქართული თავსაკრავის შესაბნელებად და იგი ამოკად ატარებს (ისევ პირველად ჩვენს არქეოლოგიაში!) მკვერმეტყველ პარალელს საქართველოში ამონათხარ ნივთებსა და ქართულ ეთნოგრაფიულ ფაქტს შორის. რაც მანამდე ალბათ მკრეხელობად ჩაითვლებოდა ყოველივეს უცხოეთიდან შემოტანილობის აზრით გამსჭვალულ მკვლევართა შორის. ახლა კი ქართულად შემოსილ მანდილოსანთა „შუბლის ქინძისთავეს“<sup>2</sup> არქეოლოგი-

<sup>1</sup> Е. Тақайшви́ли, Краткий отчет о раскопках, проведенных по поручению Археологической комиссии летом 1902 г. близ ст. Мцхета. „Изв. Мѡвк. археол. общества“. Тиф., 1904. გვ. 79—89; ОАК за 1902 г.

ური წინაპარი მოენახა (აღსანიშნავია, რომ ორმოციოდე წლის შემდეგ ასეთი პარალელი გაატარა, ოღონდ პირველმოქმედის დაუსახელებლად, ბ. კუფტინმაც, თრიალეთის სამარხებში მოპოვებულ საკინძებთან დაკავშირებით რომელთა მსგავსი. მისი განცხადებით. საქართველოს გარეშე არაად უფილა)<sup>15</sup>. ე. თაყაიშვილი ნავთსადენის სამარხთა ინვენტარს ერთისადიამვე კულტურის ნაყოფად მიიჩნევს. ოღონდ დასძენს, რომ შესაძლოა მათი ხნოვანება გრძელ ხანას, I—VIII საუკუნეებს მოიცავდეს: კერამიკული ფილებით ნაგები სამარხი, მუშების მიერ ნაპოვნი ოქროს ფული და გემშიანი ოქროს ბეჭედი ახ. წ. დასაწყისისა. კენ მიიღტვის, მონაპოვრის უმეტესობა კი—ადრეული შუა საუკუნეებისა. კენ, ით უნეტეს, რომ ერთ ქვისსამარხში VII საუკუნის ბიზანტიური ვერცხლის ფული აღმოჩენილა. აქ შევნიშნავთ, რომ ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ „დიდი მცხეთის“ რამდენსამე სამაროვანზე (სამთავროში, არმაზისხევთან, იმავე ნავთსადენში. კარსანთან) წლობით წარმოებული თხრისა და აგრეთვე გ. ნიორაძის მიერ კარსისხევთან ჩატარებული მცირე თხრის შედეგების მიხედვით, ამგვარი ინვენტარის შემცველი ქვისსამარხები მართლაც ზოგადად IV—VIII საუკუნეებს მიეკუთვნებიან. ისე რომ ე. თაყაიშვილი არც აქ შემცდარა არაფერში.

მას, გარდა ნავთსადენისა. სამთავროშიც მოუწადინებია მუშაობა, ბაიერნის ნათხარისა და ნახრევის შეპამოწმებლად (რაც აღჩევე დაევადა არქ. კომისიის მიერ). მაგრამ მიწის დიდ სიძვირეს შეუშლია ამაში ხელი. ამის შემდეგ თვით მას მცხეთაში აღარ უთხრია, მაგრამ, როგორც დავინახეთ, საქართველოს ძველი დედაქალაქის არქეოლოგიაში მის ორგზის ნამუშევრობას წარუშლელი კვალი აქვს დატოვებული.

იმავე 1902 წელს ზემო იმერეთის სოფ. ბორში (ძველი ქალაქის შორაპნის შორიახლოს) დაიწყო და დროგამოშვებით რამდენსამე წელს გრძელდებოდა გვიანანტიკური დროის მდიდრულ სამარხთა აღმოჩენა, თ. მაჭვარიანისა და მის მეზობელთა მიერ საევენახე მიწების გადაბრუნებისას. ამ შემთხვევითმა აღმონაჩენებმა ძველი ხელოვნების ათეულობით პირველხარისხოვანი ნაწარმოები—ოქროს თუ ვერცხლის სამკაული, ჭურჭელი, სარეცლის ფეხები, მონეტები და სხვ. ამომხეურეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ძეგლები მიმოიფანტა და. რაც ვადარჩა. ისიც თითქმის სულ დაეკარგა საქართველოს მუზეუმებს, ე. თაყაიშვილს ეს ამბავი. რა თქმა უნდა, ყურადღება-მიუქცეველი არ დარჩებოდა და იგი ძალიანაც ცდილობდა, რომ თბილისის რომელიმე საცავში მოეყარა თავი აღმონაჩენისათვის, მაგრამ მოკუნელებმა ამ მიზნის გაგება ვერ გამოიჩინეს, მეტი სასყიდელი მოინდომეს და საბოლოოდ შესანიშნავმა საუნჯემ ერთიკეში ამოყო თავი, ისიც ნაკლულად. ე. თაყაიშვილმა ის მაინც მოახერხა, რომ გამოარჩია და წინასწარულად გაათსცა ბორში აღმოჩენილთა შორის ნამდვილად ყველაზე უფრო საყურადღებო ნივთი. ეს არის ვერცხლის პინაკი. რომელზედაც გამოხატულია სამხსვერპლოს წინაშე მდგარი ცხენი და ამოჩხვეტილია წარწერა. გამომქვეანების თქმით. „მისთვის უცნობი“<sup>16</sup>. ორმოციოდე წლის შემდეგ არმაზისხევის ერისთავ-პიტიახშთა სამაროვანში (II—III სს) მცხეთის ექსპედიციამ აღმოაჩინა ორი ასეთივე პინაკი, ოღონდ უწარწერო. სამაგვიროდ იქ სხვა უფრო ვრცელი წარწერებიც ამომხეურდა და მათა ამოკითხვისა და „არმაზუ-

<sup>15</sup> Арх. раскопки в Триалети. გვ. 23—24.

<sup>16</sup> Е. Такайшвили, Серебряная чаша из сел. Бори, Изв. Кавк. отд. Моск. арх. общ., I, გვ. 90—91., ფოტოსურ.

ლი დამწერლობის“ გამოყოფისა და შესწავლის შემდეგ შესაძლო შეიქნა ბორის თასის წარწერის ამოკითხვაც, შ. ამირანაშვილისა და ა. ბორისოვის მიერ („ბუზ-მირ კეთილი პიტიახში“), რის წყალობითაც კიდევ უფრო გასაგები შეიქნა, თუ რატომ ჰგავდნენ ასე საოცრად ბორში აღმოჩენილი ოქრო-ვერცხლის ნივთები არმაზისხევში აღმოჩენილთ: იქაც ერისთავ-პიტიახშთა ნაბუღარი ყოფილა, ახ. წ. პირველ საუკუნეებისა<sup>17</sup>.

1908 წელს „კავკასიის განყოფილებას“ ე. თაყაიშვილი მიუძღვნია ბორში თხრის წამოწყებისათვის ნიადაგის შესამზადებლად, მაგრამ ეს ვერ მოხერხებულა—ეტყობა, იქაც მიწის მფლობელთა გამოსობით. მისი მოხსენება იქაურ ახალ აღმონაჩენთა შესახებ დაბეჭდილია განყოფილების ოქმშიც<sup>18</sup> და 1907 წელს მის მიერ დაარსებული ქართული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ოქმშიც, უფრო ვრცლად<sup>19</sup>. ამ უკანასკნელში იგი აღწერს თ. მაჭავარიანის მიერ ჩამოტანილსა და მის მიერ ფოტო-გადაღებულ ნივთებს (19 სახელწოდება ოქროსი, 15 ვერცხლისა, 12 ბრინჯაოსი, 3 მინისა და ა. შ.) და შემდეგ მოახსენებს საზოგადოებას ბორში მგზავრობისას შემუშავებულ დავიერებას: სულ ათთოღე ორმოსამარხი გაუთხრიათ და თითოში რამდენიმე ნივთი აღმოუჩენიათ, ცხოველთა ძვლების თანხლებით. მათში ნაპოვნი 15 რომაული და პართული ვერცხლის ფულის მიხედვით ეს სამარხები ახ. წ. I საუკუნეს მიეკუთვნება (არმაზისხევურმა პარალელებმა გადაჭრით დააზუსტა ხნოვანება: II და ნაწილობრივ III საუკუნეა! გ. ლ.). ნივთების ნაწილი ბერძნულ-რომაულ ნახელავსა ჰგავს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იქ ადგილობრივი მკვიდრნი არ იყვნენ დაარსებულნი: უფრო სავარაუდო აღებ-მიცემობის შედეგთან გვაქვს საქმე. აღმონაჩენი გვატყობინებს, თუ რა შეადგენდა მაშინდელი ქართველების (უპირატესად ქალების) სამკაულსა და მორთულობას. კურკულს, იარაღს; თუ ვისი ყულები ტრიალებდა საქართველოში და სხვა (თითქმის დღესაც ვასაზიარებელი დასკვნაა, ოღონდ მცხეთის და სხვა ბოლოდროინდელი ექსპედიციების მრავალი აღმონაჩენის შემდეგ ოქროს სამკაულთა დიდი უმეტესობის ადგილობრივად წარმოების შესახებ არის ახლა უკვე მსჯელობა! გ. ლ.). ბორში ნაპოვნი ნივთებს—დასძენს ბოლოს მომხსენებელი—მნიშვნელობა აქვთ საქართველოს და საზოგადოდ კავკასიის ისტორიისათვის; ისინი რეალურად ამტკიცებენ იმ დროის კულტურისა და ისტორიის შესახებ ცნობებს. რომელიც კანტი-კუნტად მოუღწევიათ ჩვენამდე. ამიტომაც საჭირო მათი ჩვენში დაცვა. თორემ დასაყვით ევროპის მუზეუმებში ამგვარი ნივთები ხშირიაო.

1908 წელსავე ეკუთვნის ე. თაყაიშვილის შეუბოვარი მეცადინეობა იმ ბრწყინვალე კოლექციის გადასარჩენად, რომელსაც ახლა მსოფლიო არქეოლოგია იცნობს „ახალგორის განძის“ სახელით, სმირნოვ-ჩუბინაშვილის გამოცემის წყალობით<sup>20</sup>. ქსნის ხეობაში. სოფ. საძვეურთან გლეხებს ამოუთხრიათ აღრეანტიკური დროის ზღაპრულად მდიდრული. ჩანს. ქალის სამარხი და უპოვინათ

<sup>17</sup> სულ ახლახან თავი იჩინა ქართლ-იბერიის იმპეროული კრისთაეების კიდევ ერთმა, არა ნაკლებ ბრწყინვალე ნაბუღარმა ქამის ხეობაში. სოფ. ზღუდერთან. იქაურ მონაპოვარშიც შედის „საველდებულო“ ვერცხლის პინაკი, რომელზეც ცხენი და სამხსებარბლა გამოხატული.

<sup>18</sup> Изв. Кавк. отд. Моск. арх. общ., III, 1913, გვ. 29, ოქმი № 40.

<sup>19</sup> „ძველი საქართველო“, I, 1909, ოქმი № 40.

<sup>20</sup> Я. Смирнов, Ахалгорийский клад, под ред. Г. Н. Чубинашвили Тифл., 1934.

ოქროს ბრწყინვალე სამკაული თუ სხვა ნივთები, ვერცხლის ჭურჭელი და ა. შ. ჰონაპოვარი ხელიდან ხელში წასულა, ჩარჩებს ჩავარდნია და მათ მოკრებას, ჩაქორთმევასა თუ შეძენას (კავკასიის მუზეუმისათვის) ე. თაყაიშვილის ორგზის ზოგზაურობა დასჭირებია, 1908 და 1909 წელს. საბოლოოდ მას მონაპოვრის ჯიდი უმეტესობა მოუგროვებია (ოქროს საყელური, საყურეები, ყელსაბამი, ჰლიდრულად შეკაზმულ ცხენთა მცირე ქანდაკებანი, სარტყელი, ფასკუნჯიანი ბალთები, კილიტები, საკიდები, ვერცხლის ჯამები, სურა და სხვა მრავალი). განყოფილებაში წაითხულ მოხსენებაში ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, ოქროს ნივთების ნაწილი კარგი მხატვრული ნამუშევარია და აღმოსავლური ჩანსო<sup>21</sup> (შემდგომ ა. სმირნოვმა თავის მონოგრაფიაში უფრო კონკრეტულად, აქემენიდურ ირანს დაუკავშირა ის ნივთები და, როგორც დღესდღეობით ჩანს, რამდენადმე გააზვიადა ეს გარემოება. გ. ლ.). ამრიგად, ბორის შესანიშნავს ნივთებს გამოუჩნდა წინამორბედი—ადრინდელი, კიდევ უფრო შესანიშნავი ნივთები, რომელნიც ვანის ძეგლებს უტოლდებოდნენ ხნოვანებით და ადრეანტიკურ ეპოქას წარმოგვიდგენდნენ გასაოცარი ბრწყინვალეობით, ოღონდ უკვე აღმოსავლეთ საქართველოში. „ახალგორის განძზე“ ზრუნვა ე. თაყაიშვილს საფრანგეთში ყოფნის დროსაც მოუხდა, ვინაიდან გამოჩნდა მისი „ნაწილობრივ მაინც შეძენის“ მოსურნე მუზეუმიც (ბრიტანეთისა). მაგრამ უცხოელებმა ვერა წაიღეს რა და ის კოლექცია კვლავ ამშვენებს საქართველოს მუზეუმს.

1908 წელი საერთოდ ძალიან „ხეაგრიელი“ გამოდგა: მაშინვე აცნობეს ე. თაყაიშვილს, რომ ქართლის ახალქალაქის შორი-ახლოს გლეხებს აღმოეჩინათ სპილენძის ძველი იარაღები. იგი დაუყოვნებლივ გაემართა იქ და შეიძინა ათთქმის მთელი განძი—ბრინჯაოს 17 ცული და რ ფუთზე მეტი სპილენძის ზოდები, რომლებიც თიხის დიდი ჭურჭლით ყოფილიყო დაფლული მთაში, ძველ ნამოსახლარ ადგილას. სათანადო მოკლე ანგარიში ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ 14 ცული „ბრტყელია“ (ახლანდელი ტერმინოლოგიით, აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ტიპისა ანუ „იბერული“. გ. ლ.), ხოლო 3—„კელტის“ ტიპისა (ახლა „კოლხური“. გ. ლ.) და რომ რაკი ერთ ადგილას ამდენი ცული და თან დიდძალი დაუმუშავებელი ლითონი დაუფლავთ, იქ ძველად, „კავკასიური სპილენძის ხანაში“ (ამ შემთხვევაში იგივეა. რაც „ბრინჯაოს ხანა“. გ. ლ.) უნდა ყოფილიყო ცულების ჩამოსასხმელი სახელოსნო, მით უმეტეს, რომ მათში ორი წუნდებულნიც ურევია. ხოლო თუ ეს სწორიაო, დასძენს იგი, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ამგვარი ცულები კავკასია-საქართველოში უცხოეთიდან კი არ უზიდავთ (როგორც ფიქრობდნენ, თითქმის უკლებლივ. მაშინდელი რუსი და დასავლეთ-ევროპელი არქეოლოგები, გ. ლ.), არამედ აქვე უმზადდებოთ და მათი ერთ-ერთი ფაბრიკა ანუ სახელოსნო სწორედ დღევანდელი დაბა ახალქალაქის მიდამოებში ყოფილაო<sup>22</sup>.

აი, კიდევ ერთი ნამდვილად გაბედული და იმხანად „ნოვატორული“ აზრი, რომელიც ახლა მოწაფესაც კი აღარ გაუეკირდება ჩვენში, ვინაიდან საქართველოს არქეოლოგიამ საბოლოოდ ცხადყო, რომ საქართველოს ძველი ლითონის

<sup>21</sup> Изв. Кавк. отд. Моск. арх. общ. III 1913, წლიური ანგარიში და ოქმი № 45. Е. Такайшвили. Ксанский или Садзегурский клад. Изв. КОМАО, IV, 1915, გვ. 139—144.

<sup>22</sup> Е. Такайшвили, Мастерская медных топоров около Ахалкалаки Горийского уезда, Археологические экскурсии, розыскания и заметки, IV, 1913, გვ. 172—173.

კულტურა სსკუთარი მძლავრი და დიფერენცირებული წარმოების ნიადაგზე ყოფილა აღმოცენებულ-გაფურჩქნელი. ე. თაყაიშვილის დამოწმებული მოხსენების შემდეგ ოთხმა წელმა განვლო, როცა ცნობილმა რუსმა არქეოლოგმა ვ. გოროდციომა წაღვერის მახლობლად გათხარა ბრინჯაოს საღობ-სასხმელი სახელოსნოს ნაშთი, ხოლო მას შემდეგ საქართველოს რამდენსამე კუთხეში იჩინა თავი სასხმელმა ყალიბებმა და წარმოების სხვა ნაშთებმა<sup>23</sup>.

1909 წელს ახლადარსებული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისათვის („ქართული მუზეუმისათვის“) შემოუწირავთ საჩხერეში ნაპოვნი სპილენძის ძეგლებური, უჩვეულო მოყვანილობის ცული, ხოლო შემდეგ წელს ჰმა დარხელა, საჩხერეში მიწის თხრისას დიდძალი სიმდიდრე აღმოაჩინეს და მალავენო. შეუძლებელი იყო, ამ ხმების შემოწმება არ მოეწადინებინა ე. თაყაიშვილს, რომელიც, მისივე სიტყვით, იმ ხანებში უკვე „არქეოლოგიური გათხრის საქმესაც ეპატრონებოდა“ და 1910 წელს იგი ჩასულა საჩხერეში. ნივთების აღმომჩენს გ. გამყრელიძეს დაუზარებლივ უჩვენებია მისთვის ისინიცა და მათი პოვნის ადგილიც, რომელიც ყორღანს მიაგავდა. ე. თაყაიშვილს გაუჭრია თხრილი უკვე ძალზე აჩიჩნილ ბორცვზე და უპოვნია ცხოველთა ძვლები, სპილენძის წვრილი საგნები და ორგვარი თიხის ჭურჭლის ნამტვრევი. აღდრ ნაპოვნიცა და თავისი ამონათხარიც თბილისში წამოუღია. მოკლე ანგარიშში<sup>24</sup> აღწინშულია, რომ მონაპოვართა შორის მრავლად არის „წალდ-ცულები“ ანუ „ცულ-აფთები“ (ჩრდილო კავკასიის რამდენსამე ადგილას აღმოჩენილთა მსგავსი არქაული ტიპის ორმაგი იარაღები), უჩვეულოდ ნაირნაირი; არის აგრეთვე სამკლაურები, სამაყრები. დანები, მშვილდსაქინძი, უზარმაზარი საკინძები და სხვ. და სხვ. ბოლოს აეტორი დასაკვნის, რომ ყველა ნივთი სპილენძისაა, რკინა, გერცხლი თუ ოქრო სრულიად არ ურევია და რომ საჩხერის ყორღანი უნდა მიეკუთვნოს კავკასიის სპილენძის საუკუნეს, რომელიც ეგებ წინ უძღოდა ყობანურ კულტურას (გვიანი ბრინჯაოს ხანისა ვ. ლ.). იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეს პირველი შემთხვევაა ყვირის ხეობაში სამარხიანი ყორღანის აღმოჩენისა და დასძენს, შემდგომი კვლევა-ძიება იქ ალბათ სხვა ამგვარ სამარხებსაც აღმოაჩენსო.

ეს წინასწარმეტყველებაც სავსებით ახდა ჩვენს დროში: ე. თაყაიშვილის მიერ სწორად განჭკვრეტილმა მეცნიერულმა ღირებულებამ საჩხერული ნივთებისა, იქითკენ წაიყვანა ჯერ ბ. კუტინი და მერე ახალგაზრდა ქართველი არქეოლოგები. პირველის მიერ საქართველოში ლითონის კულტურის უძველეს საფეხურთა (ენეოლითის, ადრეული ბრინჯაოს ხანისა და ა. შ.) ძიებაც ე. თაყაიშვილის მიერ გაკერით, მაგრამ გამჭრიახად მოცემულ დახასიათებასა და დათარიღებას დაეყრდნო, ხოლო ამ საფეხურთა გამოვლენა ხომ ერთ-ერთ მთავარ დამსახურებად ეთვლება ხსენებულ მკვლევარს.

დაახლოებით იგივე შეგვიძლია ეთქვათ შესანიშნავი და თავისებური ძეგლების, ბრინჯაოს დიდრონი, ჭვირული ბალთების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა არსებათა გამოსახულებით არის დამშვენებული და ზოგადად ანტიკური ხა-

<sup>23</sup> გოროდციოს იმ გათხრის ანგარიში არ გამოქვეყნებულა, მაგრამ საქმოდ დაწერილებით არის ვაღმოცემული ახლახან ვარდაცელი ა. იესენის შესანიშნავ ნაშრომში: К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, „Изв. ГАИМК“, вып. 120, М.—Л., 1935, გვ. 140—141, შ:6.

<sup>24</sup> Е. Тақайшвили. О Сачхерском кургане Шоропанского уезда Кутаисской губернии, „Арх. экск. разыск. и зам.“, IV, 1913 (1910 წლის მოხსენება), გვ. 167—172.

ნის სამარხებშია ჩვენში გავრცელებული. ე. თაყაიშვილს მოუხსენებია კავკასიური განყოფილებისათვის ამ ბალთების შესახებ, რომელთაგან 16-დან 12 ქუთაისის გუბერნიაში ყოფილა ნაპოვნი და დაუსკვნია, რომ მათი წარმოების ადგილადაც ეს მხარე— განსაკუთრებით კი ყვირილის ხეობა და ზემო რაჭა უნდა მივიჩნიოთ<sup>25</sup>. კერძოდ. ზემო რაჭაში ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ განსაკუთრებით მრავლად მოიპოვა ისინი სამარხებში და აშან სავსებით განამტკიცა, კიდევ ერთხელ, ე. თაყაიშვილის ვარაუდი.

1908 წელს ე. თაყაიშვილს დაუთვალა იერებია თავისი მეგობრისა და კოლეგის ნ. მარის განათხარი ანისის ნაქალაქარში.

ლენინ-სვანეთში 1910 წელს მოგზაურობისას ე. თაყაიშვილი, როგორც ცნობილია, უმთავრესად «ქრისტიანული კულტურის ნაშთებს» იკვლევდა. მაგრამ იგი, წიაღისეულ არქეოლოგიაშიც უკვე ესოდენ ნაყოფიერად ნამუშევარი, რა თქმა უნდა, ვერ უგულვებელყოფდა სვანების მიერ მიწაში შემთხვევით აღმოჩენილსა და ამა თუ იმ საყდარში შესანახავად მოწიწებით მიზიდულ ნივთებსაც. მოგზაურობის ანგარიშში იგი გზადაგზა აღნიშნავს აგრეთვე ამ ძეგლებს, ხოლო წიგნის ბოლოს, დასკვნითს შენიშვნაში შემდეგს აცხადებს: „სვანეთში, რამდენადაც ცნობილია, არქეოლოგიურ გათხრებს ჯერ ადგილი არა ჰქონია და არაფერი ვიცით, თუ რა დონეზე იყო აქ ქრისტიანობის წინა დროის კულტურა. მაგრამ რამდენადაც ეს სჩანს იმ მცირე ნაშთებისაგან, რომელნიც ეკლესიებშია დაცული და რომელნიც ეპეს გარეშე ძველი სასაფლაოებიდან არიან ამოღებულნი, ეს კულტურა იგივეა, რაც კობანის კულტურა ოსეთში (დასავლურ ქართულ ბრინჯაოს კულტურის უმჭიდროესი ნათესაობა ჩრდილო-კავკასიურ „ყოზანურთან“ და აქედან გამომდინარე ეთნოგენეტური დასკვნები, ცნება „კოლხურ-ყოზანური კულტურა“ ახლა სავსებით დამკვიდრებულია ჩვენს არქეოლოგიაში, ოღონდ ე. თაყაიშვილი უნდა ჩაითვალოს პირველ მეცნიერად, რომელსაც ეს გაეკრით. მაგრამ უცდომლად შეუნიშნავს ამ ნახევარი საუკუნის წინ. გ. ლ.). ამას გარდა, სვანეთში დიდძალ ოქროს ფულებს პოულობენ, რაც მოწმობს მის მჭიდრო სააღებ-მიცემო კავშირს წინა აზიის და საბერძნეთის ხალხებთან. სხვათა შორის, 1906 წელს ტფილისის ბუნებულმეცნიერებათა მუზეუმში გასაყიდად მოიტანეს 18 ოქროს ფული, რომელნიც ენახათ სოფელ ჩობერში (ჭვიბერში? გ. ლ.). რკინის წაქატებთან (ყვერებთან თუ ქვისათლელ წერაქვებთან. გ. ლ.) და ფერადოვან მძივებთან... ერთად ამათში სამი ლიზიმახოსის იყო. დანარჩენი ალექსანდრე შაკელონელის, მაგრამ სხვადასხვა დროს მოჭრილი. ადვილად შესაძლებელია, ის ოქროს ფულები. რომელნიც ხშირად გვხვდება საქართველოს სასაფლაოებში და რომელნიც ლიზიმახოსის ოქროს ფულის მიზაძვით არის დამზადებული, სვანეთში იჭრებოდა სვანეთშივე ნაპოვნი და ღამუშავებული ოქროთი. არქეოლოგიურმა გათხრამ სვანეთში დიდი შედეგები უნდა მოგვეცეს“.

შიკ ტექსტში კი რამდენიმე არქეოლოგიური მონაპოვარის მოკლე აღწერა-განსაზღვრას ვხვდებით. უშუალოდ თემის სოფ. ყიბიანის საყდარში „...ცული-საომარი ბრინჯაოსი. კელტური რიგისა (ე. ი. ისეთი, ახლა რომ კოლხურს ვუწოდებთ. გ. ლ.); საფლავიდან უნდა იყოს ამოღებული; ასეთი ცულები ჩვეულებრივია კობანის სასაფლაოებში. ოსეთში; ცული საომარი. რკინისა, რკინისვე ტა-

<sup>25</sup> Изв. Кавк. отд. Моск. зрх. общ., III, 1913, № 95.

<sup>26</sup> ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლენინ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 435—436.

რით, საფლავიდან უნდა იყოს ამოღებული“<sup>27</sup>. იმავე თემის სოფ. მურყმერის საყდარში, სკივრში: „...სხვადასხვა ზომა-მასალის მძივები; რკინის მოღუნული დანა (როგორც ეტყობა, ძველი სასაფლაოდან ამოღებული); „ვერცხლის რგოლი, სამაჯურის მსგავსი, ტრედის ქანდაკებით ოვალურ წრეში, ერთობ ლამაზი; ქინძისთავი, ცხენის გამოხატულებით ზემოთ; სპილენძის ჩანჩხურები, შველის, ფრინველების და სხვა სახეებით“<sup>28</sup>. კალის თემის: ივლიტა-კვირიკეს საყდარში: სპილენძის მასიური როდინი, რვაწახნაგოვანი, ბურცოვებითა და ორი ლომის (?) თავის „გამოსახულებით შემკული“; „შესაძლოა, აქემენიდთა დროის საღრწოლებელი ყოფილიყო“<sup>29</sup>. იფარის თემის იელის კვირიკეს საყდარში: „ბრინჯაოს ცული, კელტის ტიპისა“. დიდი. უთუოდ ძველი საფლავიდან ამოღებული“<sup>30</sup>. ლატალის თემის სოფ. ლაძილის საყდარში: მწვანე მინის სამაჯური. „რომელ გვირიც ზშირად იბოება ძველ (შუა საუკუნეთა. გ. ლ.) სასაფლაოებში. ალბათ იქიდან არის ამოღებული“; სპილენძის სამაჯური, „აგრეთვე ძველი სასაფლაოდან უნდა იყოს ამოღებული“<sup>31</sup>

საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისათვის ე. თაყაიშვილის მიერ სვანეთში შექმნილ ნივთთა შორის არქეოლოგიის ყურადღებას განსაკუთრებით მიიქცევს „სპილენძის სამფეხი. ფრიალ უცხო და ძვირფასი“ მინანქარი შემკული, სასანიდების დროისა, რაც ასე იშვიათია“ და წარმოადგენს მომრგვალო, სამ ფეხზე მდგარ ძირს, კვარცხლბეკს საღრწოლებლისა ანუ ლამპრისა“, რომლის „მთელი არე მოცულია მინანქრიანი ჩუქურთმებით“ და საქ დიდ მედალიონში მინანქრითვე წარმოდგენილი. ფრთოსანი ლომების გამოსახულებით“<sup>32</sup>.

ამ უცილობლად ღირებულ წინასწარ ცნობებსა და ზემოთ მოტანილ დასკვნათს შენიშვნას კომენტარი ალბათ აღარ დასჭირდება. იმასლა დავსძენთ, რომ ე. თაყაიშვილის კიდევ ერთი სავესებით საფუძვლიანი მინიშნება, სვანეთში არქეოლოგიური თხრის მოსალოდნელი დიდი შედეგის თაობაზე, ისტორიის ინსტიტუტის მიერ დიდი დაგვიანებით, სულ ახლახან წამოწყებულმა მუშაობამ უკვე დაადასტურა და ამიერიდან, რა თქმა უნდა, უფრო და უფრო ცხადყოფს. ამას თუნდაც 1948 წელს სოფ. ხაიში შემთხვევით აღმოჩენილი, გვიანანტიკური ხანის მდიდრული, ყურადსაღები ოქრო-ვერცხლეულის შემცველი სამარხის ინვენტარი გვაფიქრებინებს, სხვა რომ არა იყოს რა.

1912 წლის ზაფხულში ე. თაყაიშვილს მცირე არქეოლოგიური ძიება ჩაუტარებია ბორჯომის მახლობლად და „კავკასიის განყოფილების“ სხლომაზე წაკითხულ საანგარიშო მოხსენებაში აღუნიშნავს. რომ ბანისხევის მტკვართან შერთვის ადგილას საცდელი თხრისას აღმოჩენია ბრინჯაოს საუკუნის ქალის სამარხი, ხოლო შიგ-სამაჯური, საკინძები და სარდიონის მძივები, რომლებსაც მისთვის ყობანური (კოლხურ-ყობანური! გ. ლ.) კულტურის დამახასიათებელი ნივთები გაუხსენებიათ“<sup>33</sup>. ბორჯომიდანვე წამოუღია. საისტორიო-საეთნოგრაფიო

<sup>27</sup> ე. თაყაიშვილი, დამოწმ. ნაშრ., გვ. 142.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 177.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 200.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 234.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 366.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 432.

<sup>33</sup> ИКОМАО, Вып III. 1913, № 63.



საზოგადოების მუზეუმში, დიდი მთავრის მოურავის მიერ ამონათხარ სამარხეულ ნივთთაგან საუკეთესო—„ნამდვილად მშვენიერი ბრინჯაოს შუბისპირა“<sup>34</sup>.

აქ ველარ გამოვეყიდეებით ყველა მცირე აღმონაჩენის აღნუსხვას და იმასაღა დაეძენთ, რომ ისინი ე. თაყაიშვილს, თუკი მის ხელთ გაუვლიათ, მუღამ სხარტულად და სწორად შეუფასებია ჩვენი კულტურის ისტორიის თვალთახედვით. მისი მეთოდოლოგიური სიმკაცრისა და მეცნიერული პირუთვნელობის დასახასიათებლად კი უნდა გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი „კავკასიის განყოფილების“ მუშაობიდან: 1908 წელს მის ერთ-ერთ სხდომაზე ე. ლალიანცს წაუკითხავს მოხსენება 1906 წლის ზაფხულში სევანის ტბის პირას 153 დიდი ყორანის გათხრის შესახებ, რასაც ბრინჯაო-რკინისა და სხვა მასალის დიდი რაოდენობის აღმოჩენებია. ცხოველ კამათში გამოსულს ე. თაყაიშვილს ჯეროვანი პატივისცემა მიუზღავს მომხსენებლის შრომისა და ენერგიისათვის, კავკასიის მუზეუმის ესოდენ გამდიდრებისათვის, მაგრამ თან მწვავე ეჭვი გამოუთქვამს უადრესად ნაჩქარავი გათხრა-კვლევის მეთოდებისა და განათხარის ჩახატვის მეცნიერული დონის მიმართ: ჩანს, რომ მთავარი მიზანი ნივთების ამოთხრა ყოფილა და არა თვით ყორანის, როგორც არქეოლოგიური ძეგლის კვლევაო. ოპონენტს ურჩევია მომხსენებლისათვის, სხვა დროს უფრო დინჯად ემუშავნა<sup>35</sup>.

აგრეთვე აღსანიშნავი გეგონია ის დახმარება, რომელიც გაუწევია ე. თაყაიშვილს ახალგაზრდა პოლონელი მეპალეოლითე არქეოლოგის ს. კრუკოვსკისათვის პირველი მათელი ომის დროს სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებისა და ზემო იმერეთის ერთ-ერთი პალეოლითური მღვიმის, გვარჯილას კლდის მეცნიერულად გათხრის საქმეში, რამაც საგრძნობლად დააწინაურა ჩვენი ქვის ხანის კულტურის შესწავლა ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ხანაში. 1917 წელს „თურქეთის საქართველოში“ ექსპედიციას რომ აწყოზდა, ე. თაყაიშვილს განზრახული ჰქონია (მაგრამ ვერ განუხორციელებია) თან წაყვანა იმავე კრუკოვსკისა, რომლისათვის აღნიშნულ მხარეში პალეოლითური ნაშთების ძიების გეგმაც კი შეუდგენინებია—გეოლოგიური რუკის მიხედვით.

დასასრულ უნდა შეეჩერდეთ ე. თაყაიშვილის საქმიანობის კიდევ ერთ. ხანმოკლე. მაგრამ უთუოდ მნიშვნელოვან საფეხურზე, რომელსაც უმჭიდროვსი აკვირი აქვს სწორედ წიაღისეულ არქეოლოგიასთან.

1918 წელს თბილისში რომ ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა, მისი ერთ-ერთი შემქმნელი ე. თაყაიშვილი იქ პროფესორად იქნა არჩეული. მას დისერტაციის დაუცველად მიენიჭა დოქტორის ხარისხი, მიენდო ზოგადი და საქართველოს არქეოლოგიის („სიძველეთმცოდნეობის“) ლექციების კითხვა, სათანადო კათედრის შექმნა და გამგეობა. ამ საქმეს იგი ორ წელიწადზე მეტ ხანს უძღვებოდა და შეუდგენია წასაკითხავ ლექციათა ვრცელი კონსპექტები, გამოცდის პროგრამითურთ<sup>36</sup>. კონსპექტებში შედარებით ვრცლად სწორედ წიაღისეული

<sup>34</sup> მოგონებები, „მნათობი“, 1959, № 7. გვ. 167. (აქ ავტორი გულმავიწყობით წერს, ბორკოში თითონ არ მითხრიაო).

<sup>35</sup> ИКОМАО. ВИП. III., 1913, გვ. 32—33, ოქმი № 41. იხ. აგრეთვე: გ. ლომთათიძე, ივანე ჯავახიშვილი და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში, ისტ. ინსტიტუტის „მიმოხილველი“, II, 1951, გვ. 12 (ივ. ჯავახიშვილის უარყოფითი აზრი იმავე გამოთხარის შესახებ).

<sup>36</sup> ეს ნაწერები ინახება ე. თაყაიშვილის პირად არქივში. (ხელნაწერთა ინსტიტუტში) და აღბათ გამოქვეყნდება მის ორტომულში.

არქეოლოგია არის წარმოდგენილი. მათში ვხედავთ პირველს, უთუოდ ყურადსაღებ ცდებს ჩვენს უნივერსიტეტში არქეოლოგიის კურსისა და ქართული არქეოლოგიური ტერმინოლოგიის შექმნისა, რის დავიწყებაც არაფრით არ შეიძლება, რაც უნდა დაწინაურებული გვექონდეს ახლა ერთიცა და მეორეც.

აღნიშნული კონსექტები შეიცავს, სხვათა შორის, თვით ავტორის მრავალ მნიშვნელოვან დაკვირვებას, დასკვნას, განზოგადებასა და ვარაუდს, რომლებიც მის ნაშრომებში არსად გამოქვეყნებულა და თან დღემდე არ მოძველებულა. ავტორი, სადაც კი ჭერ არს, ხაზგასმით აღნიშნავს, რაც რამ ახალი ამოწმებულა მიწის წიაღიდან; რაც აუქმებს და ამტყუნებს დასავლეთ ევროპელ და რუს მკვლევართა ცალმხრივსა თუ დიდმპყრობელ-ქედმაღლურ შეხედულებას საქართველო-კავკასიაში ძველისძველი კულტურულ-ისტორიული პერიოდების (ქვის ხანის, სპილენძ-ბრინჯაოს ხანის) არ-არსებობის, საკუთარი საწარმოო კვრებისა და ფაქიზი კულტურის უქონლობის შესახებ. დასაძანია, რომ ასეთს გონიერულად, ფხიზელი კრიტიკული მიდგომით გამართულ კურსს თავის დროზე არ ღიბსებია ჯეროვანი ლიტერატურული გაფორმება.

ესოდენ მოკლე მიმოხილვასაც კი უნდა ცხადეყო, რომ ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც მთხრელი არქეოლოგი, ე. ი. წიაღისეული ნივთიერი ძეგლების გამომავლენელი და შექსნაველი. ისეთივე კვალიფიციური და ნაყოფიერი მკვლევარი ყოფილა, როგორც მიწისზედა ძეგლთა თუ წერილობით საისტორიო წყაროთა შესწავლაში და გამოქვეყნებაში. იგი აქაც პირველხარისხოვანი და გზის გამწვალდავი წყაროთმცოდნეა და თან დაუღალავი საველი მუშავე, ამონათხარის ოპერატიული გამომცემელი, მისი საქართველოს მუზეუმებშივე დაცვისათვის მებრძოლი. მთავარი კი მაინც ის არის, რომ მას ყოველთვის ზუსტი ისტორიული ინტერპრეტაცია აქვს მოცემული თავისი ამონათხარისა თუ შემთხვევითი მონაპოვრისა—ისეთი, რომელსაც განვლილი ათეული წლების შემდეგაც კი თითქმის არავითარა შემწორება არა სჭირდება. პირიქით, მის მიერ დასახული გეზი მტკიცად საცხებით დასტურდება და ახალი საბუთებით მტკიცდება. ერთი შეხედვით თითქოს ბევრი არა აქვს გათხრილი. მაგრამ საქმე ისე წარმართულა, რომ მას ჩვენი უძველესი და ძველი კულტურის ისტორიის თითქმის ყველა პერიოდის, სხვადასხვა კუთხეში თავჩენილ ძეგლებზე მოსდომია გათხრითი თუ ინტერპრეტატორული მუშაობა, ქვის ხანიდან შუა საუკუნეებამდე. თანაც მას ყველა შემთხვევაში აქვს შემუშავებული მართებული, გზამკვლევი დაკვირვება-დებულებანი.

ჩვენი წიაღისეული ძეგლების ყველა ქართველი მკვლევარი, სხვა დარგთა მუშაებთან ერთად, ე. თაყაიშვილს უწოდებს თავიანთ გამჟრიახსა და მსნე წინამორბედს. რომელმაც ფრიად ძნელ ვითარებაში გაცვალა თითქმის უვალი გზები და წარმატებით დანერგა ყველას შემეცნებაში რამდენიმე ძირითადი დებულება. ეს უკანასკნელები შესულია ჩვენი არქეოლოგიის საძირკველშიც: ლითონის, კერამიკის და სხვათა ძველითხანვე ადგილობრივ წარმოების შესახებ; ობსიდანის ხელსაწყოების მძლავრ სახელონოთა არსებობის შესახებ; ლითონის წარმოების აღრიცხულ საფეხურთა არსებობის შესახებ; იმის შესახებ, რომ უცხოური წარმოშობის ნივთებზე პოვნა სრულიადაც არ ნიშნავს წათი მქონე-ბელ-მატარებლების უცხოელობას და რომ ამ მხრივ ბევრი რამ საერთაშორისო აღებ-მიცემობას მიეწერება; დასასრულ, იმის შესახებ, რომ აუცილებელია არქეოლოგიური ამონათხარის გააზრებებისას. უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ეთნოგრაფიული ფაქტების მოშველიება და ამრიგად გაპმა უწყვეტი ძაფისა

საუკუნეთა სიღრმეში. ბოლოს, ე. თაყაიშვილმა მიუთითა მომდევნო თაობათა არქეოლოგებს ისეთი უსათუოდ შესასწავლი ძეგლები (გარდა საყოველთაოდ ცნობილი მცხეთისა), როგორცაა ამჟამად უკვე საფუძვლიანად გამოკვლეული ვანის ნაქალაქარი, საჩხერის ყორღანები, წალკა-თრიალეთის ძველი სამარხები და სხვ.

მართალია, წიაღისეულ არქეოლოგიასთან მაშინ არავითარი კავშირი თითქოს არა ჰქონდა, მაგრამ აქ მინც აღსანიშნავი გვევლინა კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ახლახან პროფ. კ. გრიგოლიამ გავგახსენა ყველას, მართებულად ხაზგასმით (იხ. მისი წერილი წინამდებარე კრებულში), და რომელიც სადღეისოდ უკვე ფრიად ცოცხლად ეხმაურება ჩვენში მცხეთის, ბორისა და ზოგიც სხვა განათხარის ისტორიული ინტერპრეტაციისას ამოტივტივებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს—ანტიკური ხანის საქართველოს ერისთავ-პიტიახშთა ინსტიტუტისას, ამ ორი ტერმინის იგივეობისას. ე. თაყაიშვილს ჯერ „სამი ისტორიული ზრონიკის“ გამოცემაში, რომელიც სრული ნახევარი საუკუნით უსწრებს წინ არმაზისხევთან იბერიის პიტიახშების ეპიგრაფიკულ ძეგლთა აღმოჩენას (1890 წ., გვ. 37—38, შენ.) და შემდეგ კი სამშვილდის სიონის შესანიშნავი წარწერის გარჩევისას (HKOMAO, I, 1904, გვ.) გადაჭრითა (და, ახლა შეგვიძლია განვაცხადოთ. კიდევ ერთხელ გამჭრიახი სისწორით) აქვს განცხადებული, რომ „პიტიახში ნიშნავს საზღვრის მცველს, მონაპირე მხარის გამგებელს, მარკგრაფს“ და რომ „ეს წოდებულება ჰქონიან მმართველებს გუგარქის ანუ ქართული სომხეთისა, რომელშიც შედიოდა სამშვილდე“. ამ ინსტიტუტის საკითხს თაყაიშვილი დაუბრუნდა ბოლო დროსაც, თავის ერთ-ერთ ფრიად ყურადღასამცხად ნაკვლევში („როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ“? . ე. „მნათობი“, 1948, № 8), რომელშიც იგი უკვე უხვად და მარჯვდომი იყენებს იმ ხანებისათვის ამომზეურებულ მრავალ ახალ არქეოლოგიურ ფაქტს (კერძოდ, წარწერებს), ხოლო მათი შემსწავლელების სათანადო დებულებებს კრიტიკულად მიმოიხილავეს.

სამშობლოდან 1921 წელს ძალაუვნებურად გადახვეწილი. უკვე ხანში შესული ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც ცნობილია, იქაც განაგრძობდა, გარდა სამუზეუმო განძეულის მოვლა-პატრონობისა, მეცნიერულ მუშაობას. ამასთან იგი ფიზიკურად ადევნებდა თვალ-ყურს საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ყოველ ახალ მინალწევარს და პოპულარული ლექციების სახით აცნობდა მას საფრანგეთში მყოფ ქართველობას. ასეთი შენაჩამებელი ლექციების ხელნაწერ კონსპექტებს შორის მოიაზრება ავტორის მიერ შედგენილი პროგრამა ქართული ისტორიული მეცნიერების შემდგომი ამოცანებისა: „რა არის გასაკეთებელი დღეს“. ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებით ყურადღასამცხად იმ პროგრამის მეცხრე მუხლი: „გათხრა ძველი ქალაქებისა, ციხეებისა და სასაფლაოებისა“. როგორც ვიცით, საქართველოს საბჭოთა არქეოლოგიას სადღეისოდ ძალიან ბევრი რამა აქვს გასაკეთებელი სწორედ ნაციხვარ-ნაქალაქართა. ისევე როგორც სამაროვანთა გათხრა-შესწავლის მხრივ, ოღონდ ამ საქმიანობის პიონერს, ე. თაყაიშვილს ბედმა აღარ არგუნა მასში მონაწილეობა.

უტყობიდან რომ დაბრუნდა (1945 წელს), მსოფიანი მეცნიერი ალტაცებული იყო, საბჭოთა საქართველოს კულტურის მრავალ სხვა წარმატებასთან ერთად, არქეოლოგიის დიდ დაწინაურებითაც. მას არა ერთხელ გაუზიარებია ჩვენთვის ეს ალტაცება. როცა შემოგვანატროდა ხოლმე, ახალგაზრდები ხართ და

ჯერ კიდევ რამდენ საინტერესო აღმოჩენას მოესწრებით. თან იგი ანდერძავით გვეუბნებოდა ხოლმე: „ჩვენ სადა გვექონდა მაგდენი საშუალება, თქვენ რომ გაძლევთ ახლა სახელმწიფო?! უნდა გაამართლოთ ესოდენ შეუზღუდველი ხელშეწყობა, რაც შეიძლება მეტად გამოვიყენოთ იგი და არაფერი არ დასტოვოთ საქართველოში გაუთხრელ-გამოუკვლეველი“-ო.

ამ საქმეს ქართველ არქეოლოგთა უკვე რამდენიმე თაობა მისდევს ერთგულად და სწორედ იმ მიზნით, რომ საბოლოოდ მართლაც აღარაფერი დარჩეს ამოუზნეურებელი და შეუსწავლელი, თუმცა ჩვენი სამშობლოს მიწის წიალი ყოველ კუთხეში საოცრად არის დაყურსული ძველი კულტურის ნაშთებით.

ამასთანავე ისინი მადლიერებით იგონებენ ექვთიმე თაყაიშვილს. რომელმაც დღევრძელი და ფრიად შინაარსიანი სიცოცხლის ბოლო წუთამდე შეინარჩუნა შამულიშვილის, ენთუზიასტი მკვლევარის ყმაწვილურად დაუდგრომელი სულისკვეთება, მოუღუწებელი ყურადღება და სიხარული ყოველი ახალი აღმოჩენისადმი.

[დავით ჭუბათელაძე]

დ ა ნ ა მ ა ტ ი :

### რაკორტი

აღვილი ბავნითი (ან ბაგეხითი), რომელშიაც დგას სათხრელი ნანგრევი, მდებარეობს კარსნის მთის აღმოსავლეთ კალთაზედ<sup>1</sup>. აღმოსავლეთისაკენ, მტკვრის ვაღმა, პირდაპირ, სჩანს ჯვარი-მამის ეკლესია, ჩრდილოეთით--სვეტიცხოველის გუმბათი. დასავლეთით, ას საყენზედ, არის დიდად საყურადღებო ძველ-შენილი კიბის ზუთი თვალი, რომელიც ადის კარსანზედ. თვით შენობა, ორ ვერსზედ სტანციითგან, წადგმულია კოდმზედ, რომელს წინ ჩაუვლის რკინის გზის ლიანდაგი და მდ. მტკვარი და უკან--ტელეგრაფის ლიანდაგი.

ნანგრევის სიგრძეა--აღმოსავლეთით დასავლეთისაკენ 20 <sup>3</sup>/<sub>8</sub> ალაბი, სიგანე--19 <sup>3</sup>/<sub>8</sub> ალ. კედლები, თლილი ქვიცისა, ჩამორეცხილი და შეჭმულია წვიმისაგან; დასავლით კედლის ნაშთი მიწაშია ჩაფლული და დანარჩენი კედლები კი თანდათან ამოდან მიწითგან, რადგან აღმოსავლეთისაკენ მიწა დაუშვება. კედლის უმაღლესი ნაშთი არის--აღმოსავლეთისაკენ 1 <sup>3</sup>/<sub>4</sub> ალაბი; მათი სისქეა 2 <sup>3</sup>/<sub>8</sub> ალაბი. შენობა შესდგება ორი ოთახისაგან. ჩრდილოეთით უმცირესი სივრცისაა: მისი შიგნითი სიგრძეა 15 <sup>5</sup>/<sub>8</sub> ალ. და სიგანე--4 <sup>3</sup>/<sub>4</sub> ალ. აღმოსავლეთით ეს ოთახი გაონვრეულია. მაგრამ ჯერჯერობით კარობა აქ არ ატყვია.

ვიდრე მეორე ოთახი აიწერებოდეს, საჭიროა ვთქვათ, რომ ამ ოთახის სამხრით კიდევ ყოფილა ოთახი, რომლისა არ დარჩენილა ნატამალიც. მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის საჩინოდ გამოშვებული ქვები გვიჩვენებენ, რომ აღმოსავლეთი კედელი გრძელდებოდა სამხრეთისაკენ.

მეორე ოთახი, რომელიც ითხარა, არის შიგნით 15 <sup>5</sup>/<sub>8</sub> ალ. სიგრძისა და 7 <sup>3</sup>/<sub>8</sub> ალაბის სიგანისა. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას აღმოსავლეთით ქონია ვრცელი კარები.

<sup>1</sup> უნდა იყოს „ქვარის ეკლესია“. ვ. ლ.

პირველად მოითხარა კედლების შუა ალაგი, 4 ალაბის სივრცისა, დასავლეთის კედელთან 4  $\frac{1}{4}$  ალაბის სიღრმეზე და აღმოსავლეთისაკენ—2 ალაბზედ, შემდეგ უღრობის გამო მიტევებულ იქმნა დასავლეთი კედლითგან 6  $\frac{1}{4}$  ალაბი და მხოლოდ დანარჩენი ნაწილი ჩაითხარა კიდე 2  $\frac{1}{3}$  ალაბზედ. უკანასკნელად კედლებთან დარჩენილ მიწას გამოვუთხარეთ ძირი.

ამგვარად ამოთხრილს ცხადად ატყვია სამგვარი პლასტი:

ზევითური ნაწილი, სისქით 1  $\frac{1}{2}$  ალაბი არის მთით ჩამონარეცი მიწა კედლით ნაცვენი მრავალი ქვებით. ნამტკრევი თიხეული ჭურჭლებით და ცოტა კირით;

მეორე—1  $\frac{1}{4}$  ალაბის სისქისა—კირ-ქვიშა, სრულიად, რომელი დროთა გამო გაქვავებულა, და აგრეთვე კრამიტ-აგურების ნამტკრევები;

მესამე—2 ალაბის სისქისა—წითელი კირნარევი თიხა, რომელიც შესდგება დამტკრეული კირ-თიხის ოთხკუთხედი ფიცრებისაგან.  $\frac{1}{8}$  კვად. ალაბის სივრცისა.

პირველ ორ პლასტში შემდეგი ნივთებია ნაპოვნი: ჯამის ნამტკრევები, შიგნით ფერადად მოხატული, აქა-იქ გაბნეული; უკანა კედელთან შუაზედ დიდი წითელი ქვა, კედლით ჩამოვარდნილი უთუოდ, 1  $\frac{1}{2}$  ალაბის სიღრმეზედ მიწაში: ნახევარი ალაბის სიღრმეზედ და უკანითგან (დასავლეთი კედლითგან) ოთხ ალაბზედ ჩუქურთმიანი ქვა (მ), კედლის უთხრელ მიწასთან; შუშის ნატეხები; წითელი ქვა; გაუწმენდელი მარმარილო, სიღრმით 2  $\frac{1}{2}$  ალ., უკანითგან 1 ალ.; ვერცხლის ფოლი,  $\frac{3}{4}$  ალ. სიღრმეზედ, უკანითგან 9 ალაბზედ და ჩრდილოეთ კედლითგან 3-ზედ; სხვადასხვა ცხოველების ძელები. აქა-იქ გაბნეული და დამსხვრეული. მხოლოდ მოტანილ მიწაში. შუშის რგოლის (სამაჯური თუ ჭურჭლის ყური?) ნატეხი, სამხრეთ კედლის მიწასთან 2 ალაბის სიღრმეზედ და უკანითგან 8 ალაბზედ; კრამიტის პატარა კვირისთავებრი რგოლი, 2  $\frac{1}{4}$  ალ. სიღრმეზედ შუაში და უკანითგან 7  $\frac{1}{2}$  ალაბზედ; და კიდე რამდენიმე წითელი თუ სხვაგვარი ქვები, მარმარილოს გარდა. თუმცადა ნათალი. მაგრამ პირუწმენდელი.

წითელი პლასტი შესდგება, როგორც ზემოხსენებულა. წითელი, კირნარევი თიხის ფიცრებისაგან.  $\frac{1}{2}$  ალაბის სივრცისა,  $\frac{1}{4}$ -ის სივანისა და  $\frac{1}{8}$  ნაკლები სისქისა. და წარმოვიდგენს საარქეოლოგიო სომილდრეს.

ამ წითელ მიწაში არის გავლებული უკანითგან 8  $\frac{1}{4}$  ალაბზედ უკირო ორთა კედელი, რომლის დიდროვანი ქვების სიგრძეა—სამშუალო რიცხვით—1 ალაბი. სიგანე  $\frac{3}{4}$  და სიმაღლე  $\frac{1}{2}$ -ზედ მეტი. სიგრძეზედ ეს კედელი შესდგება ათი ქვისაგან და არ ამოდის წითელი მიწითგან. ქვები ერთმანეთზედ დაჰკარგებულია იმით, რომ მათ აქვთ ფოსოები, ერთი მეორის პირდაპირ. რომლებშიც შეჩრილი იყო ზოგან ქვის სოლი. რადგან ამგვარივე ფოსოები კედლის ზევითურ ქვებს ზემო პირზედ არა აქვთ, იმათზედ არ ყოფილა დალაგებული მეტი ქვა. სიმაღლეზედ სამი ქვა გამოვჩინეთ მიწითგან და მეოთხე კი ჩაფლულია ჯერ კიდევ მიწაში.

სატიხარის აღმოსავლით, ალაბნახევარზედ იყო ათიოდე „კირ-თიხის“ ფიცარი, ლამაზად მიჯრით მიწყობილი და შემდეგ ამათ და მსხვილი ქვების შუა—უამრავი, უმეტესი მათგან დაშლილი და ყველა წამოქანებული დასავლეთისაკენ. დასავლით სატიხარი კედლისა—აგრეთვე „კირ-თიხის“ ფიცრები, წინანდელზედ უმეტეს დაშლილი და არეული, მაგრამ აქაც შეეტყობა იგივე წყობილება და აქაც ყველა წამოქანებულია, მხოლოდ აღმოსავლეთისაკენ. ამაშია ნაპოვნი

ყველა თლილი ქვა და მარმარილო. გათლალა და პირგაწმენდილი. ყველა მარმარილოები ეყარა აქა-იქ, სამხრეთ კედლის მახლობლად, სატიხარი კედლითგან დასავლეთ, ერთიე ჩრდილო კედელთან და რამოდენიმე ნატები სატიხარითგან სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხისაკენ. კედლების შუა მხოლოდ პირწმენდილი ფიქალი ქვებია და სულ არაა მარმარილო. სიღრმე, რომლითგანაც ისინი ამოღებულა, არის  $2\frac{1}{4}$  ალაბითგან 5 ალაბამდე. ზოგი აქ ნაპოვნი ქვათაგან საყურადღებოა: ერთს ფიქალს უწმენდელ პირზედ აზის ნიშანი [რომელიც წარმოადგენს კვადრატს, შედგენილს ოთხი მკირე კვადრატისაგან. თითოს თითო წერტილი რომ აქვს შუაში გ. ლ. ეს ქვა გამოვიღეთ სამხრეთი კედლის ქვეშ შეთხრის პირზე (სიღრმით  $4\frac{1}{4}$  ალ; უკანითგან—8'). აქვე ნაპოვნი: რაღაც ნაფხაჭნი ქვა ( $4\frac{1}{2}$  სიღრმეზედ და უკანითგან  $7\frac{1}{2}$  ალ.); სამი რკინის კეტი.—ორი მთხრებლის პირში და ერთი შიგნით კედელთან, ერთ ალაბზედ პირველი ორითგან.

ყველა პოვნილი მარმარილო და ფიქალი წამოქცეულია აღმოსავლეთ ნაწილში დასავლეთისაკენ და დასავლეთ ნაწილში—აღმოსავლეთისაკენ და ნათალი პირი, ორის გარდა. ყველას ძირს აქვს მოქცეული, უთლელ-უწმენდელი, მისამაგრებელ-კორძებიანი ან ფოსოებიანი—ზევით; რაისაგან და საზოგადოდ ზემოსხენებულისაგან სჩანს, რომ ჩვენი ნაპოვნი ქვები არ ეკუთვნის იატაკს, არამედ თავანს თუ თაღს.

შენობა შიგნით შეღებისი და მოხატული ყოფილა. ვიპოვეთ რაჩდენიმე შენალესი კირის ნატები, შეფერადებული წითელ-თეთრ-მწვანედ და მათ შორის ქალის პატარა ნახატი, გულს ზევით, გვარიან ლამაზათ დანატული (უკანითგან  $6\frac{3}{4}$  ალაბზედ, წითელ მიწაში, სატიხარი კედლის დასავლეთ, სამხრეთ მთხრებლში, 4 ალაბის სიღრმეზედ). ყველა ესენი ჩამონგრევისას დამჩქვრეულა, ასე რომ შეუძლებელია დიდი ნატეხების გამოღება. ასეთი მხატვრობა სატიხარი კედლის აღმოსავლეთით არ შეგვიჩნევია, იმიტომ. რომ იქ ჩვენამდი თხარეს და უურადღება არ მიუქცევიათ.

ჩრდილოეთ კედლითგან ალაბნახევარზედ აღმოჩნდა კიდევ სატიხარი—თხელი ორთა კედელი. რომელიც ერთვის ზემოსხენებულ სქელ სატიხარს აღმოსავლეთით და დასავლეთისაკენ შედის უთხრელ წითელ პლასტში. ამ ქვებსაც ფოსოები აქვს ერთმანეთზედ დასამაგრებლად, მარჯვენა კუთხეში. სადაც თხელი კედელი ერთვის სქელს. პოვნილ იქმნა ახალი ქოთნის ნატები; აგრეთვე მარცხენა კუთხეში, სადაც თხელი კედელი შედის უთხრელ წითელ მიწაში. დგმულა გაშვებული (დიდი ხნის ხმარების გამო). ქოთანი, ქათმის ძვლებით შიგ. თხელი კედლის ჩრდილოეთით ეყარა: მრავალი რიყის ქვა მარჯვნივ და თხელულობის ნამტვრევები—მარცხნივ. გამოწმენდის შემდეგ აქ ვიპოვეთ მსხვილი-ჩხვილი ნახშირები. რომლებიც შედიან აგრეთვე ჩრდილო ოთახში. საზოგადოდ. აღმოსავლეთ ნახევარში ჩვენ მივაწიეთ იმ ალაგებამდის, სადაც მოყრილი იყო ნახშირის მტვერი თუ თვით ნახშირი, რომლის ქვევით. მგონი, იწყება ნიადაგი. აქ ნაპოვნია დიდად საყურადღებო ნივთები: სპილენძის ნაჯახი, ყურსაკიდი, შავი შუშის ნამახკრევი, რაღაც ლამაზი პოლიედრი შუაზედ გახვრეტილი, შავი რიყის ქვის კვირისთვი, რაღაც ელიპსოიდი, მძივი, სპილენძის პატარა კვადრატია და სხ.—სუყველა სამხრეთ მთხრებლში,  $4\frac{3}{4}$  ალაბის სიღრმეზედ.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ ცეცხლის გავლენა ეტყობა ქვებსაც: ზოგი გააღულ-გარუჭულია, ბევრი მათგანი შეღულებულა ერთმანეთში; კირის ქვა, საცა კი შეხებია ცეცხლი, დამწვარა და წმინდა კირად ქცეულა“.

**ამეთიმი თაყაიშვილი და ქართული ხელოვნების ძეგლები**

ექვთიმე თაყაიშვილი, მისი ტოლისა და სკოლის ამხანაგის აკად. ნიკო მარის თქმით, იყო „საქართველოს ისტორიის ცნობილი წყაროთმცოდნე“<sup>1</sup> მისი წყაროთმცოდნეობითი კვლევა-ძიება უმთავრესად ორი მიმართულებით მიედინებოდა: ა) წერილობითი ისტორიული ძეგლების შესწავლა; ბ) ნივთიერი კულტურის ძეგლთა, მეტადრე მათი ეპიგრაფიკული წყაროების შესწავლა.

ამ მეორე გვარის—ნივთიერი კულტურის, ე. ი. არქეოლოგიურ—ძეგლთა დიდი უმეტესობა თან ქართველი ერის მხატვრული შემოქმედების მემკვიდრეობასაც წარმოადგენს.

ე. თაყაიშვილმა მეცნიერული მუშაობა წარსული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო. აი, რას წერს იგი თავის თავზე ერთ-ერთ ობიექტურ ცნობაში (მესამე პიროთ): „1887 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ იგი გეგმაზომიერად შეუდგა და მრავალი წლის განმავლობაში სისტემატურად, ნაყოფიერად მისდევდა (პედაგოგიური მუშაობისაგან თავისუფალ დროს) საქართველოს ისტორიის პირველწყაროთა გამოვლენას, შესწავლას. ჯა გამოქვეყნებას. ამის შესაბამისად, თბილისში დაბრუნებისთანავე აქტიურად ჩაება ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სათანადო განყოფილებათა მუშაობაში; შემდეგ აგრეთვე თბილისში დაარსებულ მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიურ განყოფილებაში (რომლის უცვლელი სწავლულა: პლივანი იყო 1905—1918 წლებში და რომლის ყველა გამოცემას რედაქტორობდა) და, ბოლოს, 1907 წელს მის მიერ აღექსანდრე სარაჯიშვილთან ერთად დაარსებულ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში, რომელმაც მტკიცე ამოცანად დაიბაზა საქართველოს ისტორიის მასალების (ყოვლად ფართო გაგებით) შეკრება, დაცვა, შესწავლა და გამოცემა, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მოწყობა“; ე. თაყაიშვილი ამ საზოგადოებას თავმჯდომარეობდა მისი დაარსებიდან 1921 წლამდე.

ამ ცნობაში ე. თაყაიშვილს გამორჩენია იმის მოხსენიება, რომ იგი მონაწილეობდა ე. წ. საეკლესიო მუზეუმის მუშაობაში, რომელიც 1889 წელს დაარსა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ, თან კი მისი არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა და პუბლიკაციების არსს განსაზღვრავს სრულიად იგივე ინტერესები, გაგება და

<sup>1</sup> Отчет о деятельности Российской Академии Наук по отделениям физико-математических наук и исторических наук и филологии за 1917 год; ცალკე ამონაბეჭდი „О Кавказском историко-археологическом институте“ და „Приложение к протоколу X заседания отделения исторических наук 6 сентября 1917 года“. ცალკე ამონაბეჭდში ნ. მარი აღნიშნავს ე. თაყაიშვილის „მრავალმხრივ მოღვაწეობას საქართველოს ისტორიის წყაროთა თეორიული დამუშავების მხრივ და მრავალრიცხოვან ნაშრომებს საქართველოს ქრისტიანულ ძეგლთა შესახებ“.

ისეთივე მიდგომა ძეგლებისადმი, როგორც ახასიათებდა დ. ბაქრაძის მუშაობას უკანასკნელ ხანს, როდესაც თაყაიშვილი მასთან ერთად მოგზაურობდა აღნიშნული მუზეუმისათვის მასალების გამონახვა-შეკრების მიზნით. მხოლოდ ბაქრაძის ნაადრევმა გარდაცვალებამ შეწყვიტა ამ ორი მკვლევარის მეგობრული თანამშრომლობა, რომელმაც მკაფიო გეზი მისცა თაყაიშვილის შემდგომ მუშაობას. ამ უკანასკნელში სულ მცირე განსხვავება ოღე შეიმჩნევა ბაქრაძესთან შედარებისას (აღწერა არის უფრო დაწვრილებითი) და ისიც იმ ნაშრომებში, რომლებიც ამ ომის შემდგომ და თაყაიშვილის სიცოცხლის ბოლო წლებში გამოცემული. ე. თაყაიშვილის ყოველი ნაშრომი წარმოადგენს მასალების პუბლიკაციას, მეტ-ნაკლებ დეტალურ კომენტარითურთ ისტორიულ პირთა შესახებ. ამ მასალების უმეტესობა მანამდე უცნობია, ხოლო იმთ, რომლებიც ცნობილია, ავტორი ხელახლა სწავლობს, ზოგ რასმე უსწორებს წინამორბედებს და უფრო ვრცელ კომენტარს ურთავს.

ხუროთმოძღვრების ძეგლები—ტაძრები, მათი მოხატულობა, ხატები და საეკლესიო ჭურჭელი, აგრეთვე მორთული ხელნაწერები—მდიდარ ისტორიულ მასალას იძლეოდნენ თავიანთი წარწერების სახით. ე. თაყაიშვილის კვლევითი მუშაობა დაიწყო და ნაშრომების ხასიათი განისაზღვრა ამ წიგნებში მოხსენიებულ პირთა და მოვლენათა თავმოყრით. გამოქვლავნებითა და გარკვევით. რაც შეეხება თვით წარწერებს, როგორც ეპიგრაფიკის ძეგლთა, ე. ი. პალეოგრაფიულ შესწავლას, ამას მხოლოდ თითო-ორილა შემთხვევითი შენიშვნა ეკუთვნის ე. თაყაიშვილის ნაშრომებში.

მისი პირველი წიგნები შეიცავენ მასალებს. რომლებიც მოგროვილ იქნა მოგზაურობისას: იმერეთში (ვანი და საჩინოს სხვა ადგილები, უბისი), გურიაში (აჭო, ლიხაური, გურიათა, შემოქმედი), ქართლში (ურბნისი, რუისი, ერთაწმინდა; სკრის ხეობა, ქსნის ხეობა, ჩხიკვა, გუდარხი, სამშვილდე და სხვ. ადგილები თეთრი წყაროს მიდამოებში, წალკისა და ზურტაკეტის ზეგნის ძეგლები) და კახეთში (თელავი, იყალთო, შუამთა). შეიცავენ აგრეთვე ცალკეული საგნების აღწერილობასა და ცნობებს ავტორის მიერ აქა-იქ ჩატარებული მცირე თხრის შესახებ. ძეგლების აღწერა ძალიან მოკლეა. ავტორი მხოლოდ ავსებს ან ასწორებს დ. ბაქრაძის წარწერების ამოკითხვას. ზოგჯერ (მაგ., გურიაში) იგი თავის ადრინდელ ნამუშევარსაც უკატებს ახალ მასალას. ისე რომ ერთისადიამდე ძეგლის გამოცემა რუსულად და ქართულად კი არ იმეორებს, არამედ ავსებს ერთიმეორეს<sup>2</sup>. თითქმის არც ერთ აღწერას არ ახლავს თან სურათები. აღრე შეკრებილი მასალებს დაგვიანებით გამოცემისასაც კი—მაგ., „არქეოლოგიურ ექსკურსიათა“ IV ნაკვეთში (რუსულად. 1913 წელს) სურათები ცოტაა დაბეჭდილი. მომდევნო წლებში ე. თაყაიშვილი ზოგჯერ უბრუნდება უკვე გამოკვლეულ ძეგლებს და გაცილებით უფრო ვრცლად და საფუძვლიანად აშუქებს სათანადო მასალებს (მაგ., „კავკასიის არქეოლოგიის მასალების“ XII ნაკვეთში ზემო ჰალის ძეგლების აღწერა უხვადაა დასურათებული და სხვ.).

ხუროთმოძღვრების ძეგლებისა და მათი წარწერების გამოვლენა-კვლევის შემდეგი საფეხური უკავშირდება ე. თაყაიშვილის მიერ 1902 და 1907 წლებში ექსპედიციების მოსაწყობად საჭირო სახსრების მიღებას მოსკოვის არქეოლო-

<sup>2</sup> არქეოლოგიურა მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი I, ტფილისი, 1907; Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. I и II (1905), III (1907), IV (1913) и V (1915); ამ წიგნებში გამოქვეყნებულია მასალები, შეკრებილი 1890-იანი წლების ბოლოდან 1908 წლამდე, ჩათვლით.



გიური საზოგადოებისაგან. 1902, 1907 და აგრეთვე 1917 წლებში ჩატარებული ექსპედიციების ამოცანას წარმოადგენდა საქართველოს სამხრეთ მხარეებში შემორჩენილი ქართული ძეგლების შესწავლა. ამ ექსპედიციათა შედეგები გამოქვეყნდა დიდი გაჭირვებითა და დაცოვნებით. 1902 წელს შესწავლილი ძეგლები (აგრეთვე 1907 წელს შესწავლილი ბანა) შევიდა „კავკასიის არქეოლოგიის მასალების“ XII ტომში. ის ძეგლები აზომა ხუროთმოძღვარმა სიმონ კლდიაშვილმა, ხოლო ფოტოსურათები გადაუღო ა. მამუჩაშვილმა. დანარჩენი ძეგლები ფართო საზოგადოებამ იხილა 1920 წელს თბილისში, საგანგებოდ მოწყობილ ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენაზე. ამ უკანასკნელს თან ახლდა კატალოგი, რომელიც შეიცავდა მცირე ტექსტს (ქართულ-რუსულს, ურთიერთ შემავსებელს) ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მასალების შესახებ<sup>3</sup>.

ამის შემდეგ, 1924 წელს, თბილისის უნივერსიტეტმა ე. თაყაიშვილის წინადადებით გამოსცა ძეგლთა ანაზოუმები (მისი სხვა ექსკურსიების დროს შესწავლილი ძეგლების დამატებით)—სულ 80 ტაბულა, ქართულ-ფრანგული სიითურთ<sup>4</sup>. 1907 წლის ექსპედიციის აღწერილობითი ანგარიში კი დაიბეჭდა პარიზში. ქართულად. 1938 წელს<sup>5</sup>.

1907 წლის ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ხუროთმოძღვარი ინჟ. ანატოლი კალგინი და მოხალისე ფოტოგრაფი, ფრანგული ენის მასწავლებელი ლიოზენი. 1917 წლის ექსპედიციაში, რომელსაც ზელი გაუმართეს სხვადასხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და რომლის სარბიელსაც წარმოადგენდა რუსის ჯარის მიერ დროებით დაცავებული მხარე. შედიოდნენ: ე. თაყაიშვილი, იგივე ინჟ. ა. კალგინი, ალია ზდანევიჩი და მხატვრები დიმიტრი შევარდნაძე, ლადო გულიაშვილი და მიხეილ ჭიაურელი. ექსპედიციამ აზომა და ფოტოგრაფიულად გადაიღო ხახულის, ოშკის, იშხნის, პარხლისა და ოთხთა ეკლესიის დიდ ტაძართა ნაგებობანი, გადმოიღო მათი კედლის მოხატულობის პირები და რელიეფთა ესტამპაჟები. ასეთივე მუშაობა ჩატარა ექსპედიციამ ექქის, სოხთოროთის, ისისა და სუხბეჩის მცირე ეკლესიებში, სადაც (ისევე, როგორც პარხალსა და ოთხთა ეკლესიაში) იმუშავეს მხოლოდ შევარდნაძემ და ზდანევიჩმა. 1917 წლის ექსპედიციის მასალები გამოქვეყნდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ე. თაყაიშვილი სამშობლოს დაუბრუნდა, იგი გამოსცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ. რუსულად და ქართულად, ცალ-ცალკე<sup>6</sup>.

ამ სამმა ექსპედიციამ თავი მოუყარა უმდიდრეს ახალ-ახალ მნიშვნელოვან მასალებს, რომლებიც საკმაო სისრულით აშუქებენ გამოკვლეულ ისტორიულ ოემთა ხუროთმოძღვრული კულტურის დონეს.

<sup>3</sup> საქართველოს საისტორიო და საენოგრაფიო საზოგადოება. კატალოგი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენისა. ტფილისი, 1920, 28. გვ. შეადგინა ე. თაყაიშვილმა. რუსული ტექსტი. (Указатель выставки древне-груз. архитектуры) ეკუთვნის დ. გორდევას.

<sup>4</sup> ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი, შედგენილი ექ. თაყაიშვილის მიერ. ნახაზები წესრულებულია ხუროთმოძღვართა და მხატვართა ებრაჰიმისა, კალაშნიკოვისა, კალგინასა, კერისისა, კჟუნეს, რაბაოვისა და სევეროვის მიერ. ტფილისი, 1924, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა.

<sup>5</sup> არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938, 87 გვ. სათაური და სარჩევი ქართულად და ფრანგულად. ექსპედიციის ფოტოგრაფის ლიოზენის მიერ გადაღებული სურათები არ დართვია ამ წიგნს.

<sup>6</sup> Археологическая экспедиция 1917 года в южные провинции Грузии. Тбилиси, 1952 (101 გვ. 59 სურათით და 151 ტაბულა): 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბილისი, 1960, 95 გვ.

მას შემდეგ, რაც დ. ბაქრაძემ შეისწავლა აჰარა (1873 წ.), ხუროთმოძღვარ-მა ა. პავლინოვმა—შავშეთი (1888 წ.), პ. უეაროვამ აჰარა და მესხეთი, ხოლო ნ. მარმა—შავშეთი და კლარჯეთის ნაწილი (1904 წ.), სრულიად გამოუკვლეველი რჩებოდა საქართველოს ძველი მხარეების, კლარჯეთისა და ტაოს მნიშვნელოვანი ნაწილი. სწორედ ამ, სხვათა მიერ დაუძლეელი კუთხეების შესასწავლად ჩაატარა, გეგმაზომიერად, ე. თაყაიშვილმა ზემოაღნიშნული სამი ექსპედიცია.

ჩაპოთვილიწ ნაშრომებში ე. თაყაიშვილი უწინარეს ყოვლისა ხაზგასმით გამოჰყოფს გეოგრაფიულად შემოთარგლულ გარემოში ისტორიულად ჩამოყალიბებულ პატარ-პატარა კუთხეებს დიდი თემებისა. მეტ-ნაკლებ ახასიათებს მათ, მერე უფრო ზედმიწევნით აღნიშნავს ძეგლთა ადგილმდებარეობას და ამის შემდეგ გადადის თვით ძეგლების აღწერაზე. წარწერათა გარჩევაზე, პირველწყაროებიდან შესატყვისი ცნობების მოტანაზე და სათანადო ლიტერატურის მითითებაზე. ამგვარი თანაზომიერებით არის აგებული ხუროთმოძღვრების ძეგლთა აღწერა როგორც ამ, ისე ყველა სხვა ნაშრომში.

ეს წიგნები უმთავრესად იმითაა საინტერესო, რომ გვაძლევს ახალ მასალას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე ქართული ხუროთმოძღვრების—სახელდობრ, უწინარეს ყოვლისა გუმბათოვან ნაგებობათა—განვითარების შემეცნება-გაგებისათვის. ამასთანავე ისტორიული თვალსაზრისით დიდად საინტერესოა როგორც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ციხე-სიმაგრეთა გამოვლენა, ისე ყველა დანარჩენი ეკლესიისა თუ ფეოდალთა მცირე ციხეების აღრიცხვა. რაც მოასწავებს შესწავლილ მხარეებში ქართული კულტურის მთლიანსა და მჭიდრო გავრცელებას ფეოდალურ ხანაში. დასასრულ ყურადსაღებია გამაჰმადიანებული ქართული მოსახლეობის ხუროთმოძღვრების ნიმუშებში, რომელთა სხვადასხვა ელემენტში თავს იჩენს ხანგრძლივ შემუშავებული ქართული ორნამენტაციის ტრადიციები (მაგ., ასლან ფაშას მეჩეთი ოლთისში). ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არის მხოლოდ მასალა (ნაწილობრივ ნედლიც კი), რომლის აღწერისას ავტორი ზოგჯერ ვერაფერს გვეუბნება, მაგალითად, ამა თუ იმ ძეგლის აშენების დროის თაობაზე, ხოლო აღწერაში მოტანილი ცნობებიც ყოველთვის ვერ არის საკმარისად ასახული ანაზომებსა თუ ადგილობრივ გადაღებულ ფოტოსურათებში. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მოკლებული ვართ ჩვენი ძველი კულტურის ამ მოწმეთა შესწავლის საშუალებას. უსათუოდ სასიხარულოდ უნდა მივიჩნიოთ მასალების თუნდაც ამ მოცულობით გამოქვეყნება.

ძეგლის აღწერილობა მეტნაწილად შეიცავს აზომვის შედეგებსაც და აზომავის ცნობებსაც (ცაჩეძორი, ტაოსკარი, ჩანგლი, იშხანი, ოშკი, ექექი, ოთხთა ეკლესია, პარხალი), მაგრამ ზოგჯერ თაყაიშვილი აღნიშნავს ისეთ დეტალებსაც, რომლებიც გამორჩენილია სათანადო ნახაზებში.

აღწერილ ძეგლთა შორის არის დიდი სამონასტრო კომპლექსები, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა დანიშნულების შენობებს: წიგნთსაცავს, საოპტაუნეს, სავანძურს, სამრეკლოსა და სხვ. ასეთი ძეგლებია ვაჩეძორში, ლექსორში, კინეპოსში, რომ აღარა ითქვას რა განთქმულ ოშკზე ან ოთხთა ეკლესიაზე. მეტ-ნაკლებ აღრიცხულია აქა-იქ შემორჩენილი ნაგებობები (ოლთისი, იშხანი), კამაროვანი ხიდეები (ხახული, პარხალი), აბანო (ტაოსკარი) და სასახლეებიც კი (არსენიაკი, მზეჭაბუკ ათაბაგისა, ბექა ხიმშიაშვილისა კარნევაზში). დიდ ყურადღებას აქცევს თაყაიშვილი აგრეთვე ციხეებს: იგი მისდევს ისტორიულ გზებსა და შიდა ზეკარებს და თავის აღწერილობაში გვაწვდის ცნობებს ისეთი ძველი,

დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სიმაგრეების შესახებ, როგორცაა ყალაჯუხი, ნარიშანის ციხე, ოლთისის ციხე, კალმახის ციხე, ფანასკერტის ციხე, ანვაზი, თამრუთი და სხვ.

ე. თაყაიშვილის ამ პუბლიკაციებში მოქცეულია, როგორც უკვე ითქვა, არა მარტო არქეოლოგიურად საყურადღებო, არამედ ნაწილობრივ აგრეთვე ახალი მასალა, რომელსაც ფრიალ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ხელოვნობის განვითარების საკვანძო საკითხების გასაშუქებლად. ბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1952 წელს გამოცემული უკანასკნელი ნაშრომი გულმოდგინედ არის დასურათებულიცა და რედაქციამწილიც, რითაც იგი თვალნათლივ გამოირჩევა აღრინდელთაგან (მათ შორის „კავკასიის არქეოლოგიის მასალების“ XII ტომისაგანაც).

გამოცემულ ძეგლთა შორის არის ფეოდალური ხანის დასაწყისის ნაგებობანიც. იშხანს VII საუკუნის მეორე მეოთხედში აგებული ვეებურთელა, გარეგანე წრიული გარშემოსავლის მქონე ტეტრაკონქისაგან შემორჩენილად ე. თაყაიშვილი მიიჩნევს მხოლოდ საკურობევის სვეტნარს. მერმინდელ ანსაბლში ჩართულს. რაც შეეხება ამგვარსავე დიდ ტეტრაკონქს ბანაში, ე. თაყაიშვილს ბოლომდე არ აუღია ხელი მის მიკუთვნებაზე X საუკუნისადმი, ისტორიკოს სუმბატ დავითის ძის ცნობაზე დაყრდნობით, თუმცა კი აღიარა, რომ ბანის ტაძრის გეგმაც, მასეხიკა და ნაწილობრივ ორნამენტაციაც კი (გვ. 25, 27) ისეთივეა, როგორიც იმავე ტიპის სხვა ძეგლებსა, რომლებიც VII საუკუნეში არიან აგებულნი. რაკი მან ეს განაცხადა და სუხბეჩი V—VI საუკუნეებს მიაკუთვნა, ე. ი. ბზარი გაუჩინა ნ. მარისეულ ისტორიულ კონცეფციას ტაო-კლარჯეთის მოსახლეობაში ქართული და სომხური ტალღების მონაცვლეობის შესახებ, ბანას ძეგლის ინდივიდუალური თავისებურებაც უნდა გაეთვალისწინებინა და გადაეხიზა თავისი დებულება მისი გვიან აშენების შესახებ.

ე. თაყაიშვილმა მართებულად გამოიყენა „ქართლის ცხოვრების“ ცნობა და ხახულის მონასტრის მთავარი ნაგებობა მიაკუთვნა დავით კურაპალატის (+ 1001 წ.) ზეობის დროს. რა თქმა უნდა, მკვლევართა შემდგომ ამოცანას ამ თარიღის დანამდვილება წარმოადგენს. ისევე როგორც თორთუმისა და ისპირის სხვა ძეგლთა მიმართ, აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტას მეტად აძნელებს საილუსტრაციო მასალის უკმარისობა<sup>7</sup>.

იგივე ტაოს უფალი დავითი გვევლინება, თავის ძმა ბაგრატთან ერთად, იმ არქიტექტურული ანსაბლის მშენებლად. რომლის შუაგულშიც უშველებელი გუმბათოვანი ტაძარია აღმართული. ეს არის თორთუმის წყლის პირას მდგარი ოშკი. მისი ტაძრის სიდიდეს, ფრიალ გართულბული და ბოლომდე ვერ-გამართული გეგმაც, და ბოლოს მრავალფეროვანი და აგრეთვე არაერთგვაროვანი დეკორატიული მორთულობა ფასადზე თუ შიგნით, აქცევენ მას ერთ-ერთ გამორჩენილ ძეგლად, რომელიც ამასთანავე წამოჭრის ქართული ხელოვნების ისტორიის ჭრეჭრებით გაურკვეველ საკითხებს. ე. თაყაიშვილის მიერ გამოვლენილსა თუ წაკითხვა-შესწორებულ მრავალრიცხოვან წარწერებში არაერთგვის იხსენიებთან, როგორც ამ ტაძრის მშენებლები, ბაგრატ ერისთავთ ერისთავი (+ 966 წ.) და დავით მაგისტროსი (+ 1001 წ.), ძენი ადარნასე მესამისა (+ 961), რომელსაც კურაპალატის წოდება 958 წელს მიენიჭა. ამიტომ ე. თაყაიშვილი დაასკვნის,

<sup>7</sup> დაბეჭდილი ფოტოსურათები (მღრ. ტაბ. 100—101 და 95—96) არ იძლევიან იმის ნებას, რომ ისე ადვილად მივაკუთვნოთ სამხრეთის ღია ვალერეა XIV საუკუნეს, როგორც ე. თაყაიშვილი სჩადის (გვ. 73—6).

რომ ოშკის საკათედრო ტაძრის აგება დასრულებულა 958 და 961 წლებს შორის, ხოლო დაწყებულია X საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს“.

მაგრამ შესასვლელის ტიმპანზე ამოკვეთილ დიდ წარწერაში, რომელშიც არის ცნობა თვით სამშენებლო სამუშაოთა შესახებ (რაც თითქმის ერთადერთია ქართულ ხუროთმოძღვრებაში) ნათქვამია, რომ ბაგრატსა და დავითს დაუწყიათ ამ ტაძრის აგება: „ღმრფივ ღმერთ გოვირგოვინოსნთა მფთა ჩნთა შნბდ ამის წმინდისასა საყდრისა“. რაკი წარწერაში ცოცხლად და კუროპალატად იხსენიება მშენებელთა მამა აღარანსე. მშენებლობა დაწყებული უნდა იყოს არა უადრეს 958 წლისა, ხოლო მისი დასრულება:ს დრო სრულიადაც არა ჩანს, როგორც თაყაიშვილს ჰგონია. მის მიერ მოტანილი სურათების განხილვა (სარკმლის სამკაულის—საპირეებისა და ზედანის—ფორმათა სიჭრელე, მათი ორნამენტაციის რაგვარობა; ფიგურულ რელიეფთა სხვადასხვაობა) უფრო იმას მოასწავებს, რომ მშენებლობა ხანგრძლივი ყოფილა და ისიც კი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ იგი რამდენიმეჯგის შეუწყვეტიოთ.

დიდად საყურადღებოა—და ამ ძეგლს ოთხთა ეკლესიას, ოპიზასა და საქართველოს სხვა დიდ მონასტრებს ამოუყენებს მხარში—აღნიშნული ხანის, X—XI საუკ. სატრაპეზოსა თუ აკადემიისა და წიგნსაცავის ნანგრევთა აღმოჩენა ოშკში. მეტადრე შესანიშნავია კვადრატული შენობა. რომელსაც გუმბათოვანი თალი ადგას და ზემოდან ჩასდის სინათლე. ასეთი შენობა ოპიზაშიც და სხვაგანაც წიგნსაცავ-სამკითხველოდ არის მიჩნეული.

მესამე დიდი ტაძარი, გამოქვეყნებული ე. თაყაიშვილის უკანასკნელ ნაშრომში, არის იშხანი—ძეგლი, რომელსაც ხანგრძლივი და რთული თავგადასავალი აქვს. VII საუკუნის ნაგებობისა აქ, როგორც ითქვა, საკურთხევის სვეტნარის მეტი აღარა შემორჩენილა რა. წერილობით დამოწმებული ფაქტი IX საუკუნეში გრიგოლ ხანძთელის მოწაფის საბანის მიერ იშხნელ ეპისკოპოსთა საკაოიდრო ტაძრის მიტოვებული და დანგრეული შენობის აღდგენისა ნაშრომში ადაფრით არ არის გამოვლენილი. ავტორი მხოლოდ გვეუბნება. რომ ტაძრის ახლანდელი სახე, შიდა სივრცე და ფორმები საბანისაგან მომდინარეობენ და მარტო ფასადის მორთულობა ეკუთვნის—ორი წარწერის თანახმად—ანტონს, ჯერ იშხნელ ეპისკოპოსსა და მერე არქიეპისკოპოსს. რომელსაც ეს საქმე 1032 წელს მოუთავებია. მაგრამ საბანმა რომ ტაძარი აღადგინა, იგი არავითარ მხატვრულ ამოცანას არ ისახავდა, მას მხოლოდ სარწმუნოებრივი. ეგებ სულაც ფრიად ასეკტური მიზანი ამოძრავებდა: მღვდელთმსახურების განახლების შესაძლებელყოფა. გადახურვა დაბლა იყო, დაახლოებით 6 მეტრ სიმაღლეზე (შდრ. სვეტნარის „კოლოფი“ და მისი სიმაღლე ჩრდილო ნაგში). არავითარი ცნობა არა გვაქვს იმის თაობაზე, თუ როგორი იყო საყრდენები ან კედლები. იმათ გარდა, რომლებიც შემორჩენილია „კვადრატს“ შიგნით და მის მიმდებარე ნაწილებში. გუმბათქვეშა, ასეთი განივკვეთისა და სვეტის ძირს ზემოთ ფართო ორნამენტული სარტყლის და დაჭრელებული სვეტისთავების მქონე პილონების მოტივი კი ცნობილია მხოლოდ ოშკში, ქუთაისსა და ტბეთში, ე. ი. X საუკუნის მეორე ნახევარში. ამრიგად გაიბმის ქრონოლოგიური ძეწკვი ოშკიდან ქუთაისამდე (ბაგრატის ტაძარი, 1003 წ.). სხვანაირად რომ ითქვას, შიდა სივრცის გაფორმების მთელი ეს სისტემა. თაღების 15—16 მეტრამდე აწევა (საბანის მიერ აღმართული ნაწილებში 6 მეტრის სიმაღლე თაღებთან შეპირისპირებით) და სავსებით გარკვეული სტილის მქონე ჭრილი ორნამენტით დანაწევრება—ყოველივე ეს უფრო X საუკუნის ბოლო მეოთხედს გვაფიქრებინებს. ე. ი. მაშინ უნდა აღედ-

გინათ ტაძარი და თან ეს აღდგენა არავითარ წერილობით წყაროებში არ ასახულა. მაინცა და მაინც IX საუკუნის პირველ ნახევარში ასეთი რამ არაფრით არ შეიძლება გაკეთებულიყო. მაშასადამე, ანტონს წილად ზედომია მარტოოდენ შენობის ფასადების შემკობა. ხოლო რომ ეს ამოცანა, ჩვენამდე უეჭველად ნაკლებად მოღწეული მოცულობის მიხედვით, საბასუხისმგებლო ყოფილა, ამას, ჩანს, შემკეთებელიც გრძნობდა, რაკი ხუროთმოძღვარი ივანე მორჩაისძე მისი სახელისა და გვარის უკვდავყოფის ღირსად მიუჩნევია. ამ გარემოების გამოვლენა განსვენებული მკვლევრის კიდევ ერთი დამსახურებაა.

დასასრულ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემა ისტორიული სომხეთის ფარგლებში, ჩანგლში მდებარე ძეგლისა. ჩანგლის ტაძარი სრულიად განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს არქიტექტურის თვალსაზრისით: მასში, ასე ვთქვათ, შერწყმულია სომხური ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები და ქართულისათვის დამახასიათებელი დეტალები. ამით ეს ძეგლი უპირისპირდება ქვემო ქართლის საზღვარზე, ძველ ოძუნში (ახლა უზუნლარში) მდგარ ტაძარს. სადაც საწინააღმდეგო ვითარებას ვხედავთ.

სამხრეთ საქართველოში ჩატარებულ ამ დიდსა და რთულ ექსპედიციებს შორის ე. თაყაიშვილმა იმოგზაურა—ზოგჯერ განმეორებით—შედარებით ახლოს მდებარე ადგილებშიც. ასე მაგ., 1911, 1913 და 1914 წლებში მან ჩაატარა რამდენიმე მცირე ექსპურსია კახეთში, ადგილობრივ სიძველეთა მცოდნის ზაქარია ჩხაკიძის თანხლებით, ხოლო შემდეგ დააკისრა არქიტექტორ მ. კალაშნიკოვს იქაური დიდრონი ძეგლების აზომვა, და მასვე ააზომინა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები ბორჯომის ხეობაში. ეს მასალები წარმოდგენილ იქნა 1920 წლის გამოფენაზე და შევიდა უნივერსიტეტის მიერ 1924 წელს გამოცემულ ალბომშიც.

1910 წლის ზაფხულში ე. თაყაიშვილმა მოაწყო ექსპედიცია სვანეთში და თან ლეჩხუმის ზოგი ძეგლიც შეისწავლა. ამ ექსპედიციაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი, ფოტოგრაფი დიმიტრი ერმაკოვი და თბილისის I გიმნაზიის მასწავლებელი ივანე ნიყარაძე. საექსპედიციო სახსრები გამოიღო ცნობილმა მეცენატმა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრმა პავლე თუმანიშვილმა. ექსპედიციას მიზნად ჰქონდა დასახული შეძლებისამებრ სრულად აღერცხა და ფოტოგრაფიულად გადაეღო სვანეთში შემონახული ძველი ძეგლები და ხელოვნების ნაწარმოებნი: შეეგროვებინა არქეოლოგიური, ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალები საზოგადოების მუზეუმისათვის და გამოეკვლია ხუროთმოძღვრების ძეგლები—საყდრები, ციხე-კოშკები. სვანეთ-ლეჩხუმის ძეგლთა აღწერილობა ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა მხოლოდ 1937 წელს ქართულად, საზღვარგარეთ\*.

ამ ექსპედიციით იწყება ახალი, განსაკუთრებული ხანა ე. თაყაიშვილის მეცნიერულ მოღვაწეობაში, რომელსაც ახასიათებს ქართული ხელოვნებისა და სიძველის მცირე, მოძრავი ძეგლების ფართოდ აღრიცხვა და შეკრება, როგორც სათანადო ექსპედიციების ძირითადი ამოცანა. ამგვარ ფიქსაციას იგი გზადაგზა ადრეც აქცევდა ხოლმე ყურადღებას.

1913 წლის ზაფხულში ე. თაყაიშვილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ხარჯზედ მოგზაურობს სამეგრელოს ეკლესია-მონასტრების შესას-

\* არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, 440 გვ.

წავლად და თან დაჰყავს საზოგადოების ფოტოგრაფი თედო კიუნე. ამ ექსპედიციასაც იგივე მიზანი აქვს, რაც ლეჩხუმ-სვანეთისას: ტაძართა მხატვრული ქონების აღრიცხვა და ფოტო-გადაღება, ფრესკული მონატულობის, ქტიტორთა პორტრეტების ასევე გადაღება (რათა შემდგომ მათი პირები გაკეთდეს) და სამუზეუმო ნივთების შეგროვება<sup>9</sup>. 1914 წელს იგი იმავე მიზნით მოგზაურობს—ხონში, ვანსა და შემოქმედში.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, 1918 წელს, ე. თაყაიშვილმა კვლავ ინახულა; გურიის ზოგი ადგილი, იკორთა ქართლში, ჩხარი და პერევისა ზემო იმერეთში. 1919 და 1920 წლებში კი იხვევს სისტემატურად ირკვევდა რაჭის ძეგლებს, როგორც ადრე სამეგრელოსას, ხოლო მათ ფოტო-ფიქსაციას აწარმოებდა თ. კიუნე (რომელიც ომის განმავლობაში იატერნირებული იყო). მ. ცელევარის ჩანაწერები რაჭაში მოგზაურობის შესახებ მისი გარდაცვალების შემდგომ დაამუშავა და ახლახან გამოსცა თეიმურაზ ბარნაველმა<sup>10</sup>.

ლეჩხუმ-სვანეთში არქეოლოგიური მოგზაურობის ანგარიში შეიცავს ისტორიული საქართველოს, ვერცხლის ნაქედი ჯვარ-ხატებითა და აკრეთვე სხვა ძველი ნივთებით უაღრესად მდიდარი ერთ-ერთი მხარის, ძველი სვანეთის საერისთაოს ძვირფას აღწერილობას. ე. თაყაიშვილმა კარგად იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასურათებას ძველი ხელოსნების ნაწარმოებთა შესწავლის, შეფასებისა და გაგებისათვის და ამიტომ დიდი ყურადღება მიაქცია მათ ფოტო-ფიქსაციასა და არქიტექტურულ ნაგებობათა აზომვას. იგი საკვებით მართებულად მიიჩნევს თავისი გამოცემის ძირითად ნაკლად უსურათობას და დასძენს, „კარგი სურათის ერთი თვალის გადავლება უფრო მეტ წარმოდგენას გვაძლევს საგანზე, ვიდრე მისი დეტალური აღწერა“ (გვ. 6).

ეს წიგნი — სოფელ-სოფელ დავლილი მხარის ძირითადი ისტორიული დანაწერების შესატყვისად—შედგება ოთხი ნაწილისაგან, რომელთაც წინ უძღვის მცირე წინასიტყვაობა და აგვირგვინებს დასკვნას.

თავმოყრილი მასალის გადმოცემა ავტორს შემდეგნაირადა აქვს აგებული: ჯერ აგვიწერს ყოველი სოფლის პეიზაჟსა და არქიტექტურას, ხოლო თუ კი ეკლესია მოხატულია—მის ფრესკებსაც; შემდეგ კი, ცალ-ცალკე, შემონახულ ძველ საგნებს და წარწერებს (თავდაპირველად დაქარაიებულს, პუკარობლივ, ხოლო მერე—სრულ წაკითხვასა და ხარვეზების შეძლებისამებრ შევსებას), ისტორიული კომენტარითურთ. ყოველივე ეს არქეოლოგიის ჩვეულებრივი მეთოდითა და ხერხებით კეთდება. რა თქმა უნდა, გულმოდგინედ არის აღნუსხული

<sup>9</sup> სამეგრელოს ექსპედიციის ანგარიში დაიბეჭდა ქართულად, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულის „ძველი საქართველოს“ III ტომში და აკრეთვე ცალკე წიგნად (304 გვ.), როგორც II ტომი სერაიას „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“, ტფილისი, 1914. მისი ზოგი ნაწილი რუსულ ე. დაიბეჭდა ცალკე წერილებად: ეურნალ. „Христианский Восток“-ში და „Известия КИАИ“-ს II ტომში. ამ წერილებს ყოველი ფოტო ახლდა და თან მათში გაწერებული იყო ქართულ ჩვენების დ მხელი შეცდომები. ეს წერილებია: „Тквицкая церковь в Мингрелии и ее древности“ (ХВ, IV, 1916, გვ. 284—302, ტ.ბ. XI—XXIV), „Гужунская церковь и ее древности“ (ХВ, V, 1917, გვ. 40—50, ტ.ბ. XXIV—XXXVII), „Древности Гулекарской церкви“ (ХВ, VI, 1922, გვ. 299—302 და ტ.ბ. II—IX), „Церкви и церковные древности Мегрелии (Зугдиги, Сепнети, Калари, Банлаз, Абаша, Куливарки“ (Известия КИАИ, т. II, Лп. 1927, გვ. 69—85 ტ.ბ. I—VII), „Церковь в Ване, в Имерии и ее древности“ (იქვე გვ. 88—110, ტ.ბ. VI—I—XIII).

<sup>10</sup> არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში 1919 და 1920 წ., ოზილისი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963 (116 გვ., 14 სურ.).

არსებული ლიტერატურაც (რომელიც, გასაგები მიზეზისა გამო, არ არის მდიდარი); აღნიშნულია, თუ რაში თანხედება და რაში არა ავტორის აზრი წინამორბედებისას—წარწერების კითხვისას იქნება, თუ განმარტებისას. ჯერ დიდი საკურთხევლის წინ დასადგმელი ჯვრებია აღწერილი, მერე ხატები და ბოლოს—სხვა მცირე საგნები, ხოლო, თუ კი არის, აგრეთვე ხელნაწერები.

აღრიცხულ საგანთა სიაში თაყაიშვილს შეაქვს ის ნივთებიც, რომლებიც მას ველარ მიუკვლევი, მაგრამ წინამავალ მკვლევარებს (ბარტოლომეის; ბაქრაძეს, სტოიანოვს, უვაროვას) ნახული ჰქონიათ. ეს გარემოება ზოგადი ცნობარის მნიშვნელობასაც ანიჭებს ნაშრომს.

იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ უშველებელი, ძნელი და ფოიად დასაფასებელი შრომა აქვს ჩატარებული ე. თაყაიშვილს იმ ექსპედიციის დროს, საკვარისი იქნება თუ გავიხსენებთ, რომ ლეჩხუმში მას 95 საგანი აღუწერია, ქვემო სვანეთში—130, თავისუფალ სვანეთში—692. ხოლო სადაღეშქელიანოში—107, ე. ი. სულ 1000-ზე მეტი. ამას ისიც უნდა დავმატოს, რომ არა უმცირეს 800 საგნისა ფოტოგრაფიულად არის გადაღებული, ხოლო ყველა გადაწვები მხოლოდ თბილისშია გამოქვეყნებული, ასე რომ თითოეული სურათის გამოცნობა და აღწერილობასთან შეჯერება მოითხოვდა არა მარტო ადგილობრივ ამ საქმის ჯუღანად მოწყობას, არამედ აგრეთვე მკვლევარის კარგ მენსიერებას. ე. თაყაიშვილს კი, როგორც ვიცით, მართლაც გასაოცარი მეზაიერება სიცოცხლის ბოლო წლებამდე შემორჩა. დასასრულ, აღსანიშნავია კიდევ ერთი განსაკუთრებით დასაფასებელი მნიშვნელობა მის მიერ სვანეთის (და ნაწილობრივ აგრეთვე ლეჩხუმის) ძეგლების ფიქსაციისა: დღესდღეობით, მისი ექსპედიციიდან 50 წლის შემდგომ, ფონდი ერმაკოვის იმ ფოტოსურათებით, ე. თაყაიშვილის მიითთებოდა და შერჩევით რომ იყო გადაღებული, ხშირად წარმოადგენს ერთადერთ თვალსაჩინო საბუთს, ვინაიდან ისეთი განსაკუთრებული მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობის მქონე კოლექციები; როგორც იყო ფოტოტერში და მურყმერში, და აგრეთვე ქვემო სვანეთის კედლური ხელოვნების ძეგლთა დიდი ნაწილი სრულიად დაიღუპა მძარცველთა ხელით.

ე. თაყაიშვილი, ჩვეულებისამებრ, მოკლედ აგვიწერს ყოველ საგანს, გვაძლევს ძირითად საინფორმაციო ცნობებს ძეგლის მასალის, სიდიდის, შინაარსისა და დაცულობის შესახებ. შემდეგ იგი არჩევს წარწერებს და გვაძლევს ძეგლის ხსოვნებას (ხოლო თუ ეს დანამდვილებით არ უხერხდება, დაახლოებით მაინც) და ბოლოს გვაძლევს ძეგლის შეფასებას.

აქვე უნდა აღინიშნოს ავტორის ზოგიერთი არქეოლოგიურად მცდარი დებულება: ლაბეჰინის ხატის წარწერაში მოხსენიებული ჭინჭინისა და ვარდანის სახელთა ბოლო მთავრული ასო „ა“ მას მხედრული „ე“-ნად მიიჩნია; იენაშის ხატის (მაცხოვარი რომ არის წელამდე გამოხატული) წარწერას იგი ამსგავსებს ხვამლის ხატის წარწერას, იმერეთის მეფე ბაგრატ მესამისას (XVI ს.), ხოლო იენაშის ხატი კედლური ხელობითაცაა და წარწერის ასოთა მოხატულობის პალეოგრაფიული თავსებულებითაც XI საუკუნის პირველი მეოთხედისათვის დამახასიათებელი ნაწარმოებია.

მიუხედავად ზოგიერთი ამგვარი ნაკლისა, ეს წიგნი წარმოადგენს გონივრული, მარჯვედ მიზანშეწონილი შრომის მეტყველ დოკუმენტს და უებრო, გეზი-მიმცემ სახელმძღვანელოს შესასწავლად სვანეთში XX საუკუნის დამდეგამდე დაცული ძეგლებისა, რომლებიც, სულ მცირე გამოჩაყლის გარდა, ავტორის მკვლევრობით აღბეჭდილია ყველა ასათვის მისაწვდომ ფოტოსურათებზე.

მართალია, სვანეთის საყდრებში (და იშვიათად აგრეთვე კომკებში) შემონახული ძეგლების დიდ უმეტესობას შეადგენენ ვერცხლით მოჭედული, მეტწილად მოთქროვილი ხატები და სხვადასხვაგვარი ჭვრები; აგრეთვე ხელნაწერები, მაგრამ მათ გარდა საკმაოდ მრავლად არის სხვადასხვა ნივთები, რომლებსაც ქოსასლეობა აგრეთვე ეზიდებოდა ეკლესიებში და ინახავდა. როგორც რელიკვიებს. მათ შორის არის უცხოეთიდან შემოტანილი საგნებოც: აქემენიდურ, სასანიდურ და ადრე-ისლამურ ხანათა და აგრეთვე უფრო გვიანდელი მუსლიმური აღმოსავლეთიდან მომდინარე სურები; ადრე-ქრისტიანული. ე. წ. სირიულ-პალესტინური ბრინჯაოს საცეცხლურები, ბრინჯაოს სასანთლევი და სხვ; და-საელურ-ევროპული მდიდრული საზეიმო სასმისები (XVI საუკუნისა და მერმინდელიც), ვერცხლის მომცრო ლარნაკები, რენისპირული „ბარტმანვი“, ლათინურ-წარწერიანი მინიატურები, თითო-ორი კერამიკული ნაწარმი და ა. შ. ყოველგვ ე. ს. ისტორიული ურთიერთობის ვათვალისწინებით, ფრად მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს. მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ნაწილობრივ მარტოოდენ ისტორიული, მაგრამ ზოგჯერ აგრეთვე მხატვრული ღირებულების მქონეა ადგილობრივი, ქართული ხელობის სხვადასხვა ნიადაგსამარი საგნები. მათი მთავარი ნაწილი ფეოდალურ ხანას ეკუთვნის: ცოტაოდენი—შუაფეოდალურს. ხოლო უმეტესობა—გვიანფეოდალურს (XVI, XVII და XVIII საუკუნეებს). თან ბევრ მათგანს აქვს წარწერა. რომელშიც აღნიშნულია ზედმიწევნითი ხსოვნა. ე. თაყაიშვილი ჭეროვანი ყურადღებით მოეპყრო ყველა ამ საგანს და ფოტოგრაფიულად გადააღებინა ისინი, რითაც ფასდაუღებელი სამსახური გაუწია მეცნიერებს. ვერცხლის მრავალრიცხოვან ქურჭულურში გხვდავთ ფორმათა ნაირნაირობას. XVI-დან XVIII საუკუნემდე ვარდა სავსებით გლუვი, მხოლოდ მოყვანილობით შესანიშნავი სურები. ჯამბისა და სხვ. ვეაქვს აგრეთვე გულმოდგინედ გამოკვრილი, სვედიო და ზოჯერ—მაგ., ტაშტებზე—ქვირული, ფიფინურიანი და ფერად-თვლებიანი დასაძვრწითაც) შემკული ქურჭლები. ყურადღებას იქცევს რამდენიმე ლანგარი. რომელთაგან ერთი (მაცხვარიში) შეუწირავს ლევან II დადიანს, რასაც გვამცნობს წარწერა (თვით ლანგარს რომ „ბარქაშს“ უწოდებს) და აგრეთვე ლევანის ხელმოწერა—ავტოგრაფის პირი. მაგრამ სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება—როგორც თვით ე. თაყაიშვილიც აღნიშნავს ზაზგასმით—მის მიერ უშეგულში აღმოჩენილ საგნებს; სვანეთის ერისთავების ვერცხლის ლატებს; ანუ. ავტორის განსაზღვრით, „მათი ძალა-უფლების ემბლემას; სკიპტრას“. ცალ-ცალკე კარტუმეზად ამოკაწრული ორნამენტაცია, გვგონია, ნებას გვაძლევს ჭერ კიდევ მოწიფული ფეოდალიზმის ხანას მივაკუთვნოთ ისინი. საქართველოს მეფეთა სკიპტრის რავებობის წარმოდგენა მხოლოდ პირობით თუ შეგვიძლია, XII—XIII ს. ს. ჯრესკული პორტრეტების მიხედვით, ხოლო ერისთავის ძალა-უფლების ინსიგნიის შესახებ კი თაყაიშვილის მიერ სვანეთში აღმოჩენილი ლატებზე ხელშესახებ წარმოდგენას გვიქმნის; ვიცით მისი მასალა. წონა, სიღრმე, მოყვანილობა და შეკვლეობის ყოველი წერილობითი კი.

მოკლე დასკვნითს შენიშვნაში ე. თაყაიშვილი საესებით სწორად უკუაღდებს მანამდე გავრცელებულ აზრს. ვითომდა სვანეთში ფეოდალური ხანის ქედურ ნაწარმოებთა თავმოყრილობა იმის შედეგია, რომ ისინი საქართველოს სხვადასხვა მხარეებიდან აქმონდათ იქ დასაცავად და გადასარჩენად მტერთა შემოსევის დროსათ. იგი მართებულად აცხადებს; რომ სვანეთის ჯვარ-ხატების ცხრა



მეთადი იქვეა გაკეთებული, რომ საერთოდ სვანეთში ოქრომკვდლობა დიდად ყოფილა განვითარებული და რომ მან XVIII საუკუნეში და XIX-ის დამდეგს იქაც ისეთივე დაქვეითება განიცადა, აღნიშნული განვითარების შემდგომ, როგორც მთელ დანარჩენ საქართველოში. ამას ისიც შეიძლება დაემატოს, რომ სვანეთში შემონახული. ქრისტიანული აღმოსავლელიდან, ბიზანტიიდან და აღორძინების ხანის დასავლეთ ევროპიდან თუ სხვა ადგილებიდან შემოტანილი ნივთები მჭერმეტყველი მოწმობაა იმისა, რომ ფეოდალურ სვანეთს ჯერ კიდევ ჰქონია ცხოველი კულტურული ურთიერთობა მახლობელ თუ შორეულ ქვეყნებთანაც და არა მარტო საქართველოს სხვა კუთხეებთან. შემდეგ ე. თაყაიშვილი სწორად გვეუბნება, რომ იმ. ჯერჯერობით მცირერიცხოვანი ნივთიერი ძეგლების მიხედვით, რომლებიც სამარხებში უპოვნიათ და საყდრებში შეუენახავთ, წინარექრისტიანული სვანეთიც იმავე მაღალ კულტურულ დონეზე უნდა მდგარიყო. როგორზედაც დანარჩენი საქართველო იდგა<sup>11</sup>.

ამრიგად ე. თაყაიშვილის, ახალ-ახალი მასალების და მსახურებული და დაუღალავი მამიებლის უკანასკნელი წიგნები—ძველი, ფეოდალური და წინარე-ფეოდალური საქართველოს კულტურული მშენებლობის ვითარების ამსახველნი, ღირსეულად აგვირგვინებენ მის მიერ განვლილ გრძელ გზას მკვლევარი არქეოლოგისა. ისინი აწვდიან საბჭოთა მეცნიერებს სიყვარულით, გულმოდგინებითა და კეთილსინდისიერად თავმოყრილ მასალას, მის პირვანდელ დამუშავებასა და სისტემატიზაციას. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მხოლოდ არქეოლოგიურად არის დამუშავებული, თუმცა კი თითქმის მთლიანად წარმოადგენს მასალას ქართული ხელოვნების ისტორიისათვის. ე. თაყაიშვილს მოგროვებული აქვს სურათმოდერების ამსახველი ისეთი მასალა, რომელიც, დღევანდელი პოლიტიკური ვითარების გამო, ჩვენთვის მიუწვდომელია და რომელსაც ახლა აღარავინ იცავს. ისე რომ ძნელი სათქმელია, მომავალში. როდესაც მათ კვლავ ეწვევიან მკვლევარები, ისე მაინც კიდევ იქნებიან შენახული. როგორც ამ 50 წლის წინ იყვნენ, როდესაც ე. თაყაიშვილმა ინახულა ისინი? მეორე მხრივ მცირე ხელოვნების ის ძეგლებიც—კერძოდ, სამეგრელოში, რაქა-ლეჩხუმსა და სვანეთში—რომლებიც მან აღრიცხა, ნაწილობრივ უკვე სამარადისოდ დაიღუპა, მძარცველობისა და უყურადღებობის გამოისობით.

აი, რატომ არის, რომ ასე უსაზღვროდ მადლობელი ვართ ექვთიმე თაყაიშვილისა, რომელმაც დროულად მოუყარა თავი ამ ძეგლებს და ასევე დროულად გამოაქვეყნა ისინი.

<sup>11</sup> ამ ნაშრომისა და აგრეთვე საქართველოს სამხრეთ თემებში ექსპედიციითა ანგარიშების დახასიათება, სხვადასხვა მცირე დამატება-შესწორებითურთ, იხ. *Ars Georgica*, 5, 1958. კვ.

## ეკთიმე თაყაიშვილი და ქართული ეთნოგრაფია

ჩემი მოხსენება მიიღა მოგონებით დავიწყო.

პირველად ექვთიმე თაყაიშვილი ვინაჲ 1911 წლის შემოდგომაზე თბილისში. იმ ხანებში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო ექვ. თაყაიშვილის ბინაზე. წყნეთის ქუჩის დასაწყისში, იკრიბებოდა. სსდომის დაწყების წინ ჩემმა მასწავლებელმა სერგი გორგაძემ წარმადგინა ექვ. თაყაიშვილთან და უთხრა, ეს ახალგაზრდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ფაკულტეტზე ცოდნის მისაღებად მიდისო.

ამით დაინტერესდა ექვთიმე და მისთვის ჩვეული გულსახმიერებით იკითხა ჩემი მატერიალური მდგომარეობა და თქვა: იქ, პეტერბურგში. თქვენ კარგი მასწავლებლები გეყოლებათ (ნ. მარი, ივ. ჭავჭავაძე, ვლ. ბარტოლდი, ნ. ადონცი და სხვ.), რომლებიც არაფერს დაგაკლებენ იმისათვის, რომ ცოდნით აღიჭურვოთ; დანარჩენი თქვენს მონდომებასა და მუყაითობაზეა დამოკიდებულიო. ჩვენ შეტად მცირე მუშაები გვეყვანან და ყოველი ახალი ძალა ჩვენთვის დიდად საჭირო არისო.

სსდომამ მოიპინა ალ. სარაჯიშვილის მოხსენება „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ტაყების შესახებ და განიხილა საორგანიზაციო საკითხები „ქველი საქართველოს“ მორიგი ტომის შინაარსისა და მუზეუმში შესული ახალი კოლექციების შესახებ.

ამ სსდომამ ჩემზე ღრმა ზიარებულობა დატოვა, ხოლო ექვთიმე თაყაიშვილის დარჩებამ გზაზე დამაყენა და დღემდე მომიყვანა.

მეორედ მე დავესწარი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს სსდომას 1914 წელს, როდესაც საზოგადოება მისი უცვლელი პრეზიდენტის ექვთიმე თაყაიშვილის ზღვრულადანობით სახავდა ღონისძიებებს საზოგადოებრივ მივლინებების შესახებ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეთნოგრაფიული მასალების შესაგროვებლად. ამ სსდომაზე გადაწყდა მივლინება ეთნოგრაფიული მასალის შესაგროვებლად ზემო იმერეთში, ხოლო მიაი შესრულდება დაეკისრა სერგი გორგაძეს. სსდომაზე დაგროვდნდი თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდა და როგორ აფასებდა ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებას ექვთიმე თაყაიშვილი. მისი ინიციატივით დაარსებული საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო ხალხში გაბნეული „მარგალიტების“ ამოკრება და მუზეუმში მოთავსება.

ე. თაყაიშვილი „ქველი საქართველოს“ პირველი ტომის წინასიტყვაობაში წერდა: „ჩვენი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ჯერ ნორჩი საზოგადოება არის, ხოლო ყოველი საზოგადოების წარმატება ერის თანაგრძნობაზეა დამყარებული. ნუ ვინ იფიქრებს, რომ სპეციალურ საზოგადოებას მართო სპეციალისტების დახმარება ეკირებოდეს. ჩვენი საზოგადოების მიზანი ძლიერ ფართოა. მას საგნად აქვს შესწავლა საქართველოს წარსულისა და აწმყოსი, მაგ-

რამ საქართველოს ყოველგვარი შესწავლისათვის მასალაა საქირო და მასალის შეკრება ამჟამად უმთავრეს მიზანს შეადგენს ჩვენი საზოგადოებისათვის. ყოველს შეგნებულს ქართველს შეუძლია დიდი დახმარება ამოუჩინოს ჩვენს საზოგადოებას. ვის არ შეუძლია, მაგალითად, შეკრიბოს და მოგვაწოდოს ძველი ხელნაწერები. სიველ-გუჯრები; ძველი იარაღები. ძველი სამკაულები, ძველი კურჭლები; ძველი ტანისამოსები, ძველი ნაქაოვები, ძველი ფულები და სხვა მრავალი არქეოლოგიური ნივთები? ... ე. თაყაიშვილი იქვე განაგრძობს: „ვის არ შეუძლია აღწეროს და მოგვაწოდოს ყველა ქართველი მოდემის ხალხის ზნე-ჩვეულება დაბადებიდან დაწყებული სიკვდილამდე, ქორწილი, ტირილი, დღეობა, ხატობა, სხვადასხვა გართობა, მგლოვიარობა, მიცვალებულთა სამსახური და სხვა?—ყველა ეს მასალა აუცილებელს საქიროებას შეადგენს ჩვენი ერის, მისი ენის, ზნე-ჩვეულების და კულტურის შესასწავლად“. საზოგადოების სამოქმედო პროგრამას ექვთ. თაყაიშვილი ასე ასკვნის: „დაის, ყველა შეგნებულ ქართველს შეუძლია თვალსაჩინო დახმარება გაუწიოს ჩვენს საზოგადოებას, როგორც თავისი წვლილის მოწოდებით საზოგადოების ღონისძიების გასაძლიერებლად, ისე საისტორიო და საეთნოგრაფიო მასალის შეგროვებით და ნივთების მოწოდებით“.

უნდა აღინიშნოს, რომ ექვთიმე თაყაიშვილის მოწოდება არ დარჩენილა ხმად, მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. ხალხის ფართო წრეები ჩაებნენ შემგროვებლობით სამუშაოში და საზოგადოების არაგობის პირველი ხუთი წლის მანძილზე შემოწირულების გზით „საზოგადოების“ მუზეუმში დიდად მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული კოლექცია შეგროვდა. ამის საბუთი დაბეჭდილია „ძველი საქართველოს“ მესამე ტომში: გამოქვეყნებულია შემომწირველთა და შემოწირულებათა სიები, რომელთაც ანაწყობის 22 გვერდი უჭირავთ: ცხადია, ხალხმა ეს საქმე ეროვნულ საქმედ ჩათვალა და თავის წვლილის გაღება სავალდებულოდ მიიჩნია. ამ სიიდან ზოგიერთ პირს დავასახელებთ:—გულისაშვილი, ჯვარიშვილი, გარაყანიძე, ჩიტაიე, კახანაძე, ხუციშვილი, სანაძე, მდინარაძე, ციციშვილი, ქადაგიძე, ტატიშვილი, დავითაშვილი. ნივთებს შორის აღსანიშნავია: ოქრომკვდით ნაკერი თავსაყრავები, ხმლები, თოფები, დამბახები, საპირისწამლე, სასწრაფოები, ქათიბები და მრავალი სხვა.

ისაც უნდა ითქვას, რომ ექვთ. თაყაიშვილმა ცხოვრების მოთხოვნილებას აღდო კარვად აუღო და ამით იმთავითვე დიდ საქმეს ჩაუყარა საფუძველი.

ეს ის დროა, როდესაც ეთნოგრაფია მსოფლიო მანშტაბით აღმავლობის პერიოდში იმყოფება: არსდება ეთნოგრაფიის კათედრები უმაღლეს სასწავლებლებში, გარდა რუსეთისა, არსდება ეთნოგრაფიული საზოგადოებანი, ეწყობა ეთნოგრაფიული მუზეუმები, გამოფენები, კონგრესები. იბეჭდება დიდადი ლიტერატურა. საქართველოში ეროვნული ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსება აუცილებელი შეიქნა. თბილისში არსებული კავკასიის მუზეუმი მხოლოდ ეგზოტიკურ კოლექციებს აგროვებდა სვანეთსა და ხევსურეთში. მთელი ორმოცდაათი წლის მანძილზე თავისი არსებობისა ამ მუზეუმში აღვლობრავი წარმოშობის მუშაკებს არასოდეს არ უმუშავიათ: „ტუზემცებს“ სამსახურში ეს მუზეუმი არ ღებულა. მაშინაც კი, როდესაც კავკასიის მუზეუმი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დაუმორჩილდა (1903 წლიდან), აკადემიკოსი ნიკო მ-

<sup>1</sup> იმ დროსაა შექმნილი ეთნოგრაფიული საზოგადოებანი პოლონეთში, ჩეხეთში, ცენტრუმში და სხვა. რომლებიც დღესაც წარმატებით მუშაობენ.

რი ხეწნითა და მუდარით სთხოვდა მუზეუმის დირექტორს ნ. კაზნაკოვს ერთი მაინც მიეღო სამსახურში ადგილობრივი ერის წარმომადგენელი.

აი რას წერდა ნ. მარი ნ. კაზნაკოვს 1913 წ. 30 სექტემბერს პეტერბურგიდან: «А вот у меня другое предложение. Тут в смысле согласия никаких сомнений не может быть. Расписывать я его не буду. Утверждаю, что он Вам будет полезен и чрезвычайно предан (ხაზგასმულია ნ. მარის მიერ), скромен, безропотен, исполнительен, и в смысле научном, как я убедился, глубоко «денационализован»... Речь о Владимире (Ашхарбек) Андреевиче Лорис-Калантаре. Он окончил наш факультет, равнос Археологический институт, работает в Ани, имел самостоятельные поручения по моему предложению по Академии наук (поездка с раскопками в Имирзек, этнографические обследования Лори) и превосходно выполнил (может справиться и с грузицким и привез отличные грузинские надписи в великолепных снимках) и чудные эстампажи рельефов, которые теперь заливаются гипсом, 2-ой год работает в Этнографическом отделении музея Александра III, от которого также ездил и весьма успешно. Если он у Вас получит спокойное — материально обеспечивающее место, то, повторяю, найдете ценного сотрудника. Еще вспомнил, что знаком хорошо с библиотечным делом, и восточную часть он мог бы привести в порядок систематическим пополнением. Слабости его в языках. В русском он преуспел всетаки, по немецки лишь пользуется (одно лето прожил в Германии). Буду ждать с нетерпением Вашего по сему вопросу ответа».

როგორც ირკვევა, არ გაჭრა აკად. ნ მარის ზედმეტმა დაფიცებამ და მოქალაქე ლორის-ქალანთარი მაინც არ მიიღეს კავკასიის მუზეუმის შტატში.

ასეთ პირობებში ადგილობრივ ძალებზე დაყრდნობით მუზეუმის შექმნა დიდ ენერგიასა და ორგანიზატორულ მუშაობას მოითხოვდა. ამ საქმეში ექვ. თაყაიშვილს გვერდში ედგა ალექსანდრე სარაჯიშვილი. მკვლევარი და მეცნიერი, რომლის ინტერესები უკავშირდებოდა ხალხის ყოფის და კულტურის შესწავლის საკითხებს, რომელსაც მოვლილი ჰქონდა დალესტანი და აზერბაიჯანი. როგორც გამგე საზოგადოების მუზეუმისა ის დიდად ზრუნავდა მუზეუმის გასამდიდრებლად. მისი თანამედროვენი აღნიშნავენ, რომ ალ. სარაჯიშვილი მუზეუმში შემოსულ ყოველ ნივთს აღტაცებაში მოყავდა და თავისი თავდადებული საქმიანობით სხვასაც ჰზიზღავდა, ამხნეებდა, ახალისებდა და საქმის სიყვარულს უნერჯავდა გულში. გამოსათხოვარ სიტყვაში ექვთ. თაყაიშვილი ალ. სარაჯიშვილის შესახებ ამბობდა: „ჩვენს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას მოაკლდა ბურჯი, რომელზედაც დამყარებული იყო ამ საზოგადოების წარმატება. აწ შენ აღარავის უჩვენებ თავისებურის ალერსით შენ მიერ ხელოვნურად დაკიდულს სურათებს, აღარავის აუხსნი შენ მიერ დალაგებულის ნივთების მნიშვნელობას... მეერ რა დროს გვიმოხთლა ბედმა?... სწორედ იმ დროს, როდესაც მუზეუმში დღითი-დღე ზრდაშია, როდესაც მუზეუმის შენობის საკითხი კისერზე გვაწევს... როდესაც ყველაზე უფრო გვესაჭიროებოდა შენისთანა გამოცდილი, შენისთანა პრაქტიკის მქონე, მუყაითი და უანგარო მუშაკი... შენ მით განირჩე-

ოდი სხვებისაგან, რომ სახელისათვის არ შრომობდი... შენ მხოლოდ მოვალეობა გამუშავებდა; შენ კარგად გქონდა შეგნებული, რომ იქ სადაც ყველა ბელადობს და ჯარისკაცი არ არის, საქმე არ გაკეთდება... შენი სახელი და ხსოვნა უკვდავი იქნება, სანამდის არსებობს შენ მიერ სულჩადგმული ქართული მუზეუმი“.

ტიტანურმა შრომამ, დიდმა მონღომებამ და სიყვარულმა ექვთიმე თაყაიშვილის მეთაურობით, მოკლე ხნის მანძილზე შექმნა ქართული მუზეუმი. სადაც ეთნოგრაფიული განყოფილება მძლავრად იყო წარმოდგენილი. უკვე 1913 წელს ექვთიმე თაყაიშვილს თავის მოხსენებაში, რომელიც მან წარუდგინა ბუნებისმეტყველთა კონგრესის ეთნოგრაფიისა და ლინგვისტიკის ქვე-სექციასა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების და სომხური ეთნოგრაფიული საზოგადოების გაერთიანებულ სხდომას (22 ივნისი 1913 წ.) შეეძლო ეთქვა: Специально этнографическое общество -- „Грузинское общество истории и этнографии“ основано недавно, а именно в сентябре 1907 г. Стало быть оно функционирует без малого шесть лет. Деятельность общества за это время выразилась в двух направлениях: во-первых, в подготовке материалов для грузинского музея и библиотеки и, во-вторых, в издательской деятельности. Для своей библиотеки общество собрало уже более 4000 томов печатных книг по грузинологии и вообще по кавказоведению; более 1000 рукописей, в числе которых много пергаментных и свыше 7000 рукописных актов, сигелей и гуджаров. Некоторые пергаментные акты восходят к XI и XII векам. Для музея общество имеет более 1.200 предметов историко-этнографического характера... свыше 400 вышивок и рукодельных работ, более ста альбомов видов и типов Грузии и Кавказа, свыше 350 картин, типов и рисунков. В числе картин имеется редкое собрание типов всех кавказских народностей конца XVIII по началу XIX века, не мало портретов исторических деятелей и др.» (Е. С. Такайшвили. О деятельности Грузинского общества истории и этнографии. отд. оттиск из Трудов XIII съезда естествоиспытателей в Тбилиси в 1913 г., стр. 5)<sup>2</sup>.

ექვთ. თაყაიშვილმა გარშემოიკრიბა ეთნოგრაფიაში მომუშავე ძალები, როგორც ძველი თაობისა, ისევე ახალგაზრდები და საქმე წინ წასწია. ამ მუშაობაში ჩაბმული იყვნენ: მ. ჯანაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ა. იაშვილი, ს. გორგაძე, ირ. სონღულაშვილი, აკ. შანიძე, ალ. სვანიძე და სხვ. საზოგადოების გამოცემებში დაიბეჭდა დიდად საყურადღებო ეთნოგრაფიული ხასიათის წერილები, მაგალითად, მ. ჯანაშვილის—სანიგლო და ინგილოები, ვაჟა-ფშაველას—ფშაველის წუთისოფელი, დადგენილიანის—„ნასტავისი“, იაშვილის—ქართული კარაბადინეზი, მიშაკაძის—სვანეთი და სხვა. საზოგადოებას ჰქონდა გეგმა წლების მანძილზე ნაწარაუდგევი ექსპედიციებისა, რომელთაც იმ დროს ეძახდნენ „მოგზაურობას“. გეგმის შემდგენელნი განმარტავდნენ, რომ საზოგადოების მიერ მოწყობილ მოგზაურობას უნდა ეუწყვიროთ არა როგორც სრულსა და დამთავრებულ სამეცნიერო მოგზაურობას, არამედ როგორც წინასწარს (შავს—ჩვენ ეიტყოდით: დაზვერვითს) მუშაობას სრულისა და დამთავრებულის სამეცნიერო

<sup>2</sup> მოხსენება გადმობეჭდილია წინამდებარე კრებულის ბოლო ნაწილში.

მოგზაურობისათვის; ამ მუშაობამ უნდა დაამზადოს საიმედო მარშრუტი ამგვარი მოგზაურობისათვის, აღნიშნოს ადგილები, რომელიც ღირსი არიან მეცნიერულად შესწავლისა და თან იხსნას სამუდამო დაკარგვისა და განადგურებისაგან ის სამეცნიერო ხასიათის ნივთები, რომელიც ჯერ კიდევ მოიპოვებიან და არ დაკარგულან კერძო ოჯახებში და სალოცავეებზე (ძველი საქართველო, ტ. III, განყ. VI, გვ. 8).

აქ ჩვენ ველარ გამოვუდგებით განხილვას იმ ეთნოგრაფიული წერილებისას, რომლებიც ექვთ. თაყაიშვილის რედაქტორობითაა დასტამბულ-გამოცემული. აღნიშნავთ იმას, რომ ექვთ. თაყაიშვილმა კარგად იცოდა, თუ რა დაუფასებელ წყაროს წარმოადგენდა ქართველი ხალხის ისტორიისათვის ეთნოგრაფიული მასალა. ამიტომ ის არა მარტო ხელშემწყობ პირობებს ჰქმნიდა ამგვარი მასალის შესაგროვებლად და გამოსაქვეყნებლად, არამედ თვითონ იყო ამ მხრივაც საუკეთესო დამკვირვებელი და მასალის შენგროვებელი.

ერთ-ერთი დიდი ექსპედიცია, რომელიც ექვთ. თაყაიშვილმა მოაწყო 1910 წელს, ლეჩხუმ-სვანეთის ექსპედიცია იყო, რომელიც შესრულდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოჭირნახულე მეცენატის პავლე თუმანიშვილის ხარჯით. ექსპედიციის მიზანი იყო: „გვენახა ზოგიერთი ეკლესიები ლეჩხუმისა. შემდეგ შეძლებისამებრ დაგვევლო ყველა სვანეთის ეკლესიები, ცნობაში მოგვეყვანა და ფოტოგრაფიულად გადაგვეღო მათში დაცული სიტყვები, შეგვეკრიბა არქეოლოგიური, ისტორიული და ეთნოგრაფიული ნივთები და მასალები „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმისათვის“. დასახელებული მიზანი საერთოდ საკმაოდ შესრულებული იქმნა: ჩვენ ღავიარეთ უმეტესი ნაწილი ლეჩხუმის ეკლესიებისა; ვნახეთ თითქმის ყველა ეკლესია, როგორც ცხენისწყლის, ისე ენგურის სვანეთისა, არ ვყოფილვართ მხოლოდ ლახამულში (იქ მაშინ ზოლერა გაჩნდა), ჩუბის-ხევში და აღიშში (იმ დროს თოვლი მოვიდა), მაგრამ ცნობილი აღიშის სახარება იქიდან მოგატანიეთ და მესტიაში გადავიღეთ ფოტოგრაფიულად; საკმაოდ ბევრი და ძვირფასი სამუზეუმო ნივთები შევავაროვეთ; ზოგი მათგანი შემოწირულების სახით მივიღეთ, ზოგი ფასით შევიძინეთ. ჩვენი მუზეუმში გამდიდრდა საყურადღებო ტყავის ხელნაწერებით და საარქეოლოგიო, საეთნოგრაფიო ნივთებით“<sup>3</sup>.

იმ ნივთებს შორის, რომლებიც ჩამოტანილია სვანეთიდან, საგანგებოდ უნდა აღნიშნოს „ბედნიერი სვანეთის“ ერთობლივი კევის დროშა ლომითა და დროშის თავითა. ექვთ. თაყაიშვილი ასწორებს დროშის თავზე ამოტვიფრული წარწერების მცდარ წაკითხვას (ბროსე. ბართოლომეი. უვაროვა, დ. ბაქრაძე) და ადგილზე შეკრებილ ცნობებს ვვთავაზობს დროშის გამოყენებასთან დაკავშირებით.

სადღეისოდ გარკვეულია ლომის „ლეშის“ წარმომავლობა. მტკიცდება, რომ ეს დროშა იმ ტიპისაა, რომელიც ცნობილია ურჩხულიანი შტანდარტების სახით და რომლებიც დამოწმებულია პართიაში (II საუკ.), სკვითებსა, სარმატებსა და დაკებთან (III საუკ.), რომაელებთან (III საუკ.), სასანიდებთან (IV საუკ.), შემდეგ კი ბიზანტიასა და შუა ევროპაშიც<sup>4</sup>. ამ ექსპონატთან დაკავშირებით თაყაიშვილს ყურადღება გაუქმახვილებია ისეთ პატარა საგანზე, როგორიცაა ქისა და

<sup>3</sup> ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი 1937, გვ. 3-4.

<sup>4</sup> ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, იქვე.

ისიც მუზეუმში წამოუღია. ქისა ტილოსია, მასზე ამოქარგულია ლომის ფიგურა მხედრული წარწერით: „ქ. ვეფხე ლომგულმა... ვარდი ზადა“. თაყაიშვილი დარწმუნებულია, რომ თუმცა გრიგოლის (სეტის მონასტრის წინამძღვრის) კუთვნილი ლომის ქანდაკებას ჩვენამდე არ მოუღწევია, ასეთი ქანდაკება, ვერც-სლიდან ჩამოსხმული, ნამდვილად არსებობდა (შეადარე ცხვრის ქანდაკებას იკონის ეკლესიიდან).

ექვთ. თაყაიშვილის მიერ სვანეთიდან ჩამოტანილ ექსპონატებს შორის იყო საკურცხილიც. შემდეგში, ოციან წლებში, სვანური საკურცხილის შესახებ გამოკვლევა დაიბეჭდა „საქართველოს მუზეუმის მოამბეში“ (ტ. II, 1925 წ.). თაყაიშვილმა ეს ნაშრომი ინგლისურად ათარგმნინა და ყურნალ „Georgica“ გაბეჭდა საზღვარგარეთ.

საყურადღებოა, რომ ე. თაყაიშვილი ექსპედიციის დროს წარმოებული დოკუმენტებისა და მოპოვებული მასალის ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ „წინათ იქორწინენ, რომ სიმრავლე ჭვარ-ხატებისა და ხელნაწერებისა, რომელნიც ცვათში იყო და დღესაც არის (უმეტეს შემთხვევაში ძალზე დაზიანებული მოთველლობით და მტაცებლობით), აიხსნებოდა იმით, რომ სვანეთში ეზიდებოდნენ საქართველოს სვადანსხვა კუთხიდან ამ ნივთებს შესაწირაოდ და გადასარჩენად განადგურებისაგან მტერთა შემოსევის დროს. ეჭვი არ არის, ამასაც ადგილი ჰქონდა. მაგრამ, ჩვენი დაკვირვებით, ცხრა მეთათვი ჭვარ-ხატებისა ივით სვანეთში“ დამზადებულია. ამას მოწმობს სვანიზმები წარწერებისა, გვარები შექვეთალებისა და ოქრომჭედლებისა. საზოგადოდ ოქრომჭედლობა სვანეთში დიდად განვითარებული ყოფილა. არაფერი ისე არ ახასიათებს საზოგადო ულტურის აყვავებას თუ დაცემას, როგორც ოქრომჭედლობის ევოლუცია. ქლასიკური ხანის შემდეგ ეს ხელობა თანდათან ეცემა სვანეთში, ისე როგორც საქართველოში. მაგრამ უაღრესად მისი დაცემა ეკუთვნის მეოთხრამეტე საუკუნეს და მეცხრამეტის დასაწყისს. ეს ერთგვარად ახასიათებს როგორც სვანეთს, ისე ლეჩხუმსაც“.

საგულისხმოა, რომ ველზე, ექსპედიციაში ყოფნის დროს ექვთ. თაყაიშვილი არ კმაყოფილდება მატერიალური ძეგლების შესწავლით. არამედ ძეგლთან დაკავშირებულ სიტყვიერ მასალას აქცევს ყურადღებას და მათ აფიქსირებს. მაგ., საკულტო ძეგლის გაზომვა-აღწერისას თაყაიშვილი ყურადღებას აქცევს ხალხში ძეგლთან დაკავშირებულ გადმოცემებს და ლეგენდებს.

ჩიკვთის სამების გაღანის შესახებ თაყაიშვილი წერს: „Вахушти, вероятно, знал легенду о происхождении упомянутой ограды, которая и до сих пор держится в устах чхиквтских жителей. Смысл этой легенды таков: «самеба». т. е. Св. Троица и Дэви (великан, представитель злого духа, див) долго спорили между собою, кому из них владеть этой чудесной вершиной. Наконец Самеба согласилась оставить вершину в обладании Дэви, если только он сумеет в одну ночь, до пения петухов, окружить вершину оградой; в противном случае вершина должна была остаться в обладании Самебы. Не чувствуя возможности самолично выполнить такую работу в одну ночь, дэви пригласил на помощь себе сестру, не уступающую ему в силе. Сестра стала на противоположной высокой горе «Сагурбле», усеянной каменными глыбами (гора эта действительно усеяна большими вулканическими камнями), и стала перебрасывать камни своему брату. Дэви ловил на лету эти кам-

ნი и нагромождал друг на друга. Работа закипела, стены стали подниматься быстро, и скоро ограда была возведена с двух сторон. Самеба, видя, что работа дэви идет успешно и не желая потерять эту чарующую вершину, бросила вверх красный платок, который превратился в петуха. Петух тотчас запел и дэви, чувствуя себя побежденным, бросил работу и обратился в бегство. Самеба преследовала его. Дэви забрался на Биртвисскую крепость (она лежала на вершине скалистой горы в 7-ми верстах от Самебы), чтобы скрыться в его скалах, но стрела, пущенная Самебою, пронзила насквозь дэви и осталась, следы ее, по словам легенды, и до сих пор видны в Биртвиси». Один вариант легенды этим и кончается, но другой прибавляет: «раненный Дэви из Биртвиси бежал по направлению р. Куры и близ села Дигоми спустился к реке, чтобы утолить жажду. Там он стал на колени и начал пить воду. Вода, однако, не могла исцелить смертельную рану, и дэви умер...».

ავტორი არ არის პასიური გადმომცემი ზემომოყვანილი ლეგენდისა, არამედ სათანადო განმარტებას აძლევს მას. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ ლეგენდის შექმნის საბაზი არ არის ლოდების სიდიდე. არამედ ის გაარკობდა. რომ სამების წვერი ქრისტიანობის გავრცელებამდე იყო ზოროასტრიზმის საკულტო ადგილი. სამების მოედნის შუაში ამოზიდულია ბუნებრივი ბრტყელი ქვა, რომელიც უთუოდ ბომონი უნდა ყოფილიყო, სადაც ორმუზს მსხვერპლს სწირაიდნენ. თაყაიშვილი დასძენს, რომ ლეგენდას ემჩნევა აშკარა დუალიზმი: მასში შერეულია ზოროასტრიზმის ელემენტები ქრისტიანულ ცნებებთან. აპურამაზდის როლი სამებაზეა გადატანილი, მამალი—ზოროასტრიზმის წმინდა ფრინველია. ის წარმოშობილია აპურამაზდის მიერ და მისი მსახურია. ის ღამით ადამიანებს ყარაულობს და თავისი ყიცილიყოთი ავ სულებს და მოჩვენებებს, დევებსა და არიმანის მსახურებს აფრთხობს ზოლმე.

ავტორი ასევე იქცევა ბევრ სხვა შემთხვევაში. ძეგლის აღწერის და გაზომვის შემდეგ მას მოყავს ხალხში შემონახული ლეგენდა ძეგლის შესახებ და ვრცელ განმარტებას იძლევა იმისას, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული ლეგენდის შინაარსი. შეიძლება. ყოველთვის არ დავეთანხმეთ ავტორს მის მიერ მოწოდებულ განმარტებაში, მაგრამ თავისთავად ამგვარი მიდგომა ძეგლების შესწავლისადმი ბევრი რამის მოქმელია.

ექვთ. თაყაიშვილის ეთნოგრაფიული დაკვირვების ნიმუშად აქ ერთ მაგალითზე შევჩერდები: Жители Пархали занимаются садоводством и скотоводством. Прежде Пархали, был известен шерстяным производством и теперь каждую пятницу во дворе мечети базилики устраивается ярмарка, на которую из-за перевала в большом количестве приходят лавы, продающие изделия из дерева и дешевую константинопольскую мануфактуру. Там же работают портные, заключают сделки, продают кукурузу, разбирают тяжбы и т. д. Пережитком домусульманских культов является праздник сбора винограда: обнаженные юноши обвеивают себя виноградными кистями, устраивают хоровод и пляшут. Этот праздник сохранился в селах ниже Пархали. В самом же Пархали муллы



не разрешают раздеваться юношам, напоминающим, надо полагать, спутников классического Бахуса (Вакха)»<sup>5</sup>.

არაერთი მოგზაური მკვლევარი ყოფილა ტაო-კლარჯეთში, მაგრამ არც ერთს არ მიუტყვევია ყურადღება ზემოაღნიშნულ მოვლენისათვის და არ აღწერილი იგი.

ამ მოვლენის ფიქსაციას კი დიდი შორს მწვედომი მნიშვნელობა აქვს. ბოლო ხანების სპეციალურ ლიტერატურაში (ვ. ბარდაველიძე)<sup>6</sup> დადგენილია, რომ ვაზი და ღვინო საკულტო მცენარე და წმინდა სასამელი იყო, რომელთაც დიდი ადგილი ეჭირა ქართველების წარმართულ რელიგიაში. ამას კარგად ეხმაურება ექვთ. თაყაიშვილის მიერ დამოწმებული შიშველი ვაყების მიერ ფერხულში ჩაბმა და ცეკვები. როგორც ცნობილია-საბერძნეთში ღმერთ დიონისეს ატრიბუტები იყო ვაზი და მტევნები; მის დღეობაზე იმართებოდა ორგიები ცეკვის თანხლებით.

ამასთან ერთად შეიძლება მოვიგონოთ, რომ სპეციალისტები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს თვლიან კულტურული ვაზის ერთ-ერთ კერად. სადაც ველური ჭიშების არსებობასთან ერთად ვაზის მრავალი სახეობაა გამოჩნუშავებული. ბევრი სპეციალისტი სიტყვა „ღვინოს“ ქართულად მიიჩნევს, საიდანაც ის გადასულია სხვა ხალხების მეტყველებაში; მათი აზრით ქართველ ხალხს შეუქმნია ვაზისა და ღვინის კულტი და ღვთაება (აგუნა) და დიონისე საბერძნეთში მცირე აზია-კავკასიიდან შესული ღვთაებაა (ცეზარი კავკასიას თვლის ღვთაებათა აკვნად) თავისთავად ისმება საკითხი დიონისეს კულტის ქართული კულტურის არაში წარმოშობის შესახებ<sup>7</sup>.

ბევრი სხვა უარესად საინტერესო დაკვირვებაც აქვს ექვთ. თაყაიშვილს ეთნოგრაფიის დარგში, მაგრამ ყველა ამით ახლა ვერ გამოვეკიდებით. აღვნიშნავთ, რომ ექვთ. თაყაიშვილი, სხვა დიდ სამუშაოებთან ერთად, დიდ ყურადღებას აქცევდა ეთნოგრაფიას, ეთნოგრაფიული ფაქტები მას მიიჩნდა დიდად მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროდ და ეთნოგრაფიული ფაქტების შეგროვებას საშურ და გადაუდებელ საქმედ თვლიდა. ეთნოგრაფიული კოლექციებით მუზეუმის გამდიდრება, ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სიტყვიერი მასალის შეგროვება—ამ საქმეს თითონაც ეწეოდა და ამის გარშემო მუშაყებს რაზმავდა, ამოკმელებდა და ამით საშვილიშვილო საქმეს აკეთებდა. ყოველივე ის. რასაც ექვთიმე თაყაიშვილის ზედლიანი ხელი ქმნიდა. მყარ საფუძველზე იყო დაფუძნებული. ამ დაუღალავი უშრეტო ენერჯის მქონე ადამიანის მოღვაწეობისათვის სავსებით შესაფერისია ხალხური გამოთქმა:

აკარგი ქენი. ქვას დაღვეი,  
ვაველი და წინ დაგხედება<sup>8</sup>.

<sup>5</sup> E. S. Takaišvili. Археологическая экспедиция 1917 года в южные провинции Грузии, Тб., 1952, 90-91.

<sup>6</sup> В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, 67-68.

<sup>7</sup> შტრ. Евг. Казаров. Культ фетишей. растений и животных в древней Греции, Петербург 1913, 155-161.

## იკვთივე თაყაიშვილი—ქართული მწერლობის მკვლევარი

ეკვთივე თაყაიშვილი იყო ფართო პროფილის ქართველოლოგი, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია ძველი ქართული მწერლობის. უმთავრესად ძველი ქართული საერო-მხატვრული მწერლობის შესწავლის საქმეს.

დაუფასებელია ე. თაყაიშვილის ღვაწლი ქართული სულიერი კულტურას ძეგლების შეკრების, დაცვისა და მეცნიერულად აღწერის მხრივ. საყოველთაოდ ცნობილია მისი მონუმენტური ორტომიანი „Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения“ (т. I, 1902—1909; т. II, 1906—1912). აღმწერელი სამართლიანად ამბობდა, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდს მაშინ პირველი ადგილი ეჭირა ქართულ ხელნაწერთა ფონდებს შორის. ე. თაყაიშვილი თავდაპირველად აპირებდა ხელნაწერების სისტემურ აღწერას აბტალოგური ჩანაწერის რიგის მიხედვით, ასეა აღწერილი პირველი ოცდაათი ხელნაწერი. ნ მარისა და ივ. ჯავახიშვილის შიითებათა კვალბაზე ოცდამე-თერთმეტე ნომრიდან ე. თაყაიშვილი შეუდგ: თემატკური პრინციპით შერჩე-ული ხელნაწერთა ჯგუფების აღწერას. მისი მიზანი იყო ერთად მოეცა ხელნა-წერთა ჯგუფების საერთო დახასიათება, გამოეყო საუკეთესო ნუსხები და იქი-დან ამოეღო მისთვის საჭირო ტექსტები. აღწერილობათა შედეგნა ე. თაყაი-შვილმა პირველად ქართულად დაიწყო, საბოლოოდ კი რუსულზე გადავიდა. მასალები რომ „აღმოსავლეთისმცოდნეთა უფრო მეტი წრეებისათვის ყოფი-ლიყო ხელმისაწვდომი“<sup>1</sup>. აღწერილობათა რუსულად შედგენას ალბათ იმანაც შეუწყო ხელი, რომ მათი პუბლიკაცია იკისრა ცნობილმა ორჯანომ, СМОМПК.

აღწერილობათა უქონლობის გამო ძველი ქართული მწერლობის ძეგლები ჩვეულებრივ იბეჭდებოდა შემთხვევითი და უვარჯისი დედნების მიხედვით, მა-შინ როდესაც იმავე ტექსტების შემცველი საუკეთესო ნუსხები უყურადღებოდ იდგა სიძველეთსაც-ავებში. ასეთ პირობებში განაკვირი არ იყო ისტორიულ-ლი-ტერატურული ხასიათის გაუვებრობანი და კუროზული შეცდომები<sup>2</sup>. ე. თაყაი-შვილის წამოწყებას ბოლო უნდა მოედო ყოველივე ამისათვის. სამწუხაროდ, ე. თაყაიშვილმა ვერ შეძლო წ. კ. საზოგადოების ხელნაწერთა მთელი ფონდის აღწერა: აღწერილობა მეორე ტომზე შეწყდა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Вместо предисловия, Описание, I, გვ. 11.

<sup>2</sup> იქვე, გვ. III--IV.

ე. თაყაიშვილის „აღწერილობას“, აკ. შანიძესთან ერთად ჩვენ შეუდგინეთ საბჭოებ-ლი (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 2, თბილისი, 1939).

ე. თაყაიშვილის აღწერილობათა ორტომეული სანიმუშო იყო თავის დრო-სათვის და შესანიშნავაა დღევანდელი პირობებისთვისაც კი. ე. თაყაიშვილის ნაშრომი არ არის აღწერილობა, ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. აღ-მწერელი ითვალისწინებდა აღსაწერი მასალის როგორც გარეგნულ მხარეს, ისე და განსაკუთრებით მის შინაარსს. აღწერილობაში საერთოდ მთლიანად არის მოყვანილი ხელნაწერთა ყველა ანდერძი, მინაწერი-ჩანაწერი. შენიშვნები, ვრცე-ლი ამონაწერები ტექსტების შესავლიდან და დასასრულიდან; უსვი ცნობები, რასაც კი მნიშვნელობა აქვს ძეგლს ავტორის, გალაშქრის, ხელნაწერის თარი-ღის, ამკინძავის, შემკვეთელის, რესტავრატორის და მისთანათა შესახებ. აღმწე-რელი ხშირ შემთხვევაში გვაძლევს თხზულების შინაარსს, კარგების დასათარე-ზას. ილუსტრაციების ნუსხას (როცა ხელნაწერი დასურათებულია). «Словом, შენიშნავს აღმწერელი—мы старались исчерпать весь историко-литературный материал, который может дать описываемая рукопись без полного изда-ния ее текста» (Вместо предисловия). „ჩვენს პროგრამაში, რასაკვირველია, არ შედიოდა ყოველი აღსაწერი ძეგლის ყოველმხრივი გამოკვლევა“, გან-აგრძობს ე. თაყაიშვილი, მაგრამ ხელნაწერთა ახლოს გაცნობა ცკლიდა ამა თუ იმ საკითხზე მანამდის არსებულ შეხედულებას და ჩვენ საჭიროდ ვთვლიდით მათ აღნიშვნასო. „ამრიგად...ასეკენიდა აღმწერელი—თუ ჩვენი აღწერილობ-ბ. წინ წასწევს ქართული მწერლობის ძეგლების შეს-წავლის საქმეს და საქმათ მასალას მისცემს საეციალისტებს, ჩვენი მიზანი სავსებით მიღწეული იქნებაო“.

ე. თაყაიშვილის აღწერილობამ თავისი მიზანი შეასრულა და შეასრულა დი-დი წარმატებით. აღფრთოვანებით შეხედნენ აღწერილობის პირველი ნაკვეთე-ბის გამოქვეყნებას ნ. მარი და ი. ჯავახიშვილი. პირველი ნაკვეთის გამოსვლის გამო ნ. მარი წერდა: „Большую, давно желанную, новость представляет настоящий труд. Пока описаны 24 номера, но о содержательности работы достаточно говорят посвященные им 202 страницы. Автор описания глав-ное внимание обращает на содержание, а не на установившийся в послед-нее время шаблон внешнего описания... Что касается выполнения, то имя Е. С. Такайшвили, автора Описания, представляет достаточную га-рантию тщательности воспроизведения текстов и вообще аккуратности ра-боты“.

ი. ჯავახიშვილის სიტყვით ე. თაყაიშვილის „Описание составлено прекрасно, тщательно, подробно и дает массу совершенно новых сведе-ний... В описании мы имеем много ценных данных, дающих неопровер-жимые выводы в области исторических и историко-литературных интере-сов“<sup>5</sup>. თვითონ ე. თაყაიშვილი იგონებს ნ. მარის განცხადებას მისი „აღ-წერილობის გამო: „Какое же это описание, это настоящее исследование!“<sup>6</sup>.

როგორც თავისი, ისე ი. ჯავახიშვილის რეცენზიის საფუძველზე ნ. მარმა შეადგინა ვრცელი „Отзыв о сочинении Е. С. Такайшвили „Описание ру-кописей“... და დასაჯილდოვებლად წარუდგინა რუსეთის მეცნიერებათა აკადე-

<sup>4</sup> ЗВОУАО, т. XV, 1904, зб. 161.

<sup>5</sup> Византийский временник, т. XI, СПб, 1904, зб. 347.

<sup>6</sup> ე. თაყაიშვილი, მოგონებანი („მნათობი“, 1959, № 2, зб: 172).

მისა. აქ ხაზგასმულია „აღწერილობის“ დიდი მეცნიერული მნიშვნელობა, ამასთან ერთად დაწვრილებით არის აღნუსხული შრომის ნაკლოვანი მხარეებიც. საერთოდ და მთლიანად, ნ. მარის აზრით, ე. თაყაიშვილის „აღწერილობა“ დიდი მოვლენაა (крупное явление) ქართველოლოგიის დარგში. იგი არისო „Первый по времени и прекрасный по выполнению опыт подробного описания грузинских рукописей большого собрания“; არ შეიძლება შრომა არ მივიჩნიოთ, როგორც „редкий и ценный вклад в русскую ориенталистическую науку“<sup>5</sup>. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ ე. თაყაიშვილის „აღწერილობა“ დააჯილდოვა ოქროს მედლით.

ე. თაყაიშვილის „აღწერილობა“ სცილდება აღწერილობის ჩვეულებრივ ფარგლებს, მისი ზოგიერთი თავი სწორედ რომ დამოუკიდებელ სამეცნიერო გამოკვლევას წარმოადგენს, მთლიანად კი იგი ნამდვილი მეგზური და წინამძღვარია ძველი ქართული მწერლობით დაინტერესებული ყველა პირისთვის. ე. თაყაიშვილის „აღწერილობის“ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ძველი ქართული მწერლობის სამეცნიერო კურსის შექმნა, რასაც აღნიშნავს კიდევაც კ. კელიძე<sup>6</sup>.

ჩვენ აქ შევეხებით ე. თაყაიშვილის ზოგიერთ აღწერილობა-გამოკვლევას, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა ძველი ქართული საერო ლიტერატურის ისტორიის სპეციალური საკითხების გასარკვევად.

კლასიკური პერიოდის მწერლობიდან ე. თაყაიშვილს აღწერილი და მიმოხილული აქვს ვეფხისტყაოსანი. აბდულმესიანი, თამარიანი და ამირანდარეჯანიანი. მკვლევარმა შეისწავლა ვეფხისტყაოსნის მასშინ ცნობილი ყველა ხელნაწერი, მათ შორის სხვა ფონდებში დაცული თუ კერძო პირთა მფლობელობაში მყოფი (II. 554—592; პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933, გვ. 43—45; ელენე თარხან-მოურავისეული ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი, „მნათობი“, 1962, 3, გვ. 139—142).

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აღწერილობის დასკვნითს ნაწილში (II, 580—582) მოცემულია ხელნაწერთა კლასიფიკაცია თარიღებისა და რედაქციების მიხედვით. ე. თაყაიშვილმა პირველმა დაადგინა, რომ ვეფხისტყაოსნის ჩვენ დრომდის მოღწეული არც ერთი ხელნაწერი არ არის მე-17 საუკუნის პირველ ნახევარზე უფრო ძველი და რომ ყველა ძველ ხელნაწერს აქვს ჩანართები და დანართები (II. 57): რომ ინტერპოლაციების ჩართვა რუსთაველის პოემაში ადრე დაწყებულია. შემდეგ კი იგი განუგრძია მე-17 საუკუნეში, ვილაც ნანუჩა ციციშვილს (იქვე). ე. თაყაიშვილი იმოწმებს პოემის ძირითად გამოცემებს და არკვევს იმათ ურთიერთ მიმართებას, საგანგებოდ ჩერდება პირველ ბეჭდურ გამოცემაზე და ვახტანგ VI ჯგაწლზე. დიდძალი მასალის შეკრების საფუძველზე ე. თაყაიშვილი საბუთიანად ამტკიცებს, რომ ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია კრიტიკული გამოცემაა. რომ „ქართული მეცნიერებისა და კულტურის სარბიელზე ამ შესანიშნავმა მოღვაწემ შეძლო გაეწმინდა ვეფხისტყაოსანი იმ დანართებისაგან, რომლებიც შეიქმნა მე-17 საუკუნეში“. მკვლევარი იმასაც თვლის, რომ თვითონ ვახტანგის გამოცემაშიც ჩარჩენილია ინტერპოლაციები, ოღონდ ისინი „არც თუ მრავალრიცხოვანია და. საფიქრებელია, მე-17

<sup>5</sup> Санктпетербург, 1908, გვ. 29 (ცალკე ამონაბეჭდი).

<sup>6</sup> ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი, 1924, გვ. 27.

საუკუნეზე უფრო ძველია“. ე. თაყაიშვილის ვარაუდით, ვეფხისტყაოსნის შეთავებზე, რასაკვირველია, მუშაობდა არა მარტო ნანუჩა ციციშვილი, შემთავებელი იყვნენ ბევრნიო. დასასრულ მკვლევარი იუწყება, რომ ის აპირებს განხილული ხელნაწერების მიხედვით ვეფხისტყაოსნის გამოცემას ივანე ეგნატეს ძე პოლტორაკის რუსული თარგმანიტურთ. სამწუხაროდ, ეს განზრახვა მან ვერ განახორციელა.

1917 წელს ე. თაყაიშვილმა გაზეთ „საქართველო“-ში (№ 22) დაბეჭდა წერილი სათაურით „ერთი ყალბი დოკუმენტის გამო“\*. ამ წერილით მკვლევარი ამხილებს თანამედროვე უკნობ ყალბისმქნელს, რომელსაც გერგეტის საძების „სულთა მატიაწეში“ ჩაურთავს ვითომცდა შოთა რუსთველის საბიოგრაფიო ცნობები.

ე. თაყაიშვილმა აღწერა ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა გაგრძელება პოემა ომანიანი (I, 563—580), გადმოსცა მისი დაწერილებითი შინაარსი (574—580) და გამოთქვა მოსაზრებანი ავტორის ვინაობის თაობაზე (563—564).

მე-12 საუკუნის ქართველ მეხოტბეთა ტექსტები მართლაც ძალზეა შერყენილი. „Путаницы в текстах, пропуски, перестановки слов и поздние вставки делали эти произведения малопонятными“, ამბობს ე. თაყაიშვილი (II, 57); ბევრი რამ გაირკვა ნ. მარის ცნობილი შრომის შედეგად, თუმცა „ბევრი რამ (კვლავ) გაურკვეველი რჩებაო“ (იქვე). აღმწერელს უკომენტარიოდ მოჰყავს ნ. მარის ძირითადი დებულებანი თამარიანის თაობაზე (I, 530—531). რაც შეეხება აბდულმესიანს, ნ. მარის გამოკვლევის თანახმად ამ ძეგლის ქების საგნად დავით აღმაშენებელი უნდა იქნას მიჩნეული (II, 162). თავის მოგონებებში ე. თაყაიშვილი ნ. მარის წიგნს მეხოტბებებზე (Древнегрузинские олониссы. ТР, IV, 1902) უწოდებს „მშვენიერ“ ნაშრომს (მნათობი, 1958, № 4, გვ. 186).

ჯერ კიდევ 1900 წელს გამოქვეყნდა ე. თაყაიშვილის საყურადღებო ნარკვევი „მართლა მოაღწია ჩვენამდის ძველი დილარიანის ნაწყვეტმა თუ არა?“ (მოამბე, 1900, № 2, გვ. 41—56). ამირანდარეჯანიანის ხელნაწერების განხილვის სადღეველზე ე. თაყაიშვილმა დაამტკიცა, რომ ე. წ. დილარიანს არაფერი საერთო არ აქვს კლასიკური პერიოდიდან ჩვენ დრომდის არმოღწეულ დილარიანთან, რომ ის წარმოადგენს ამირანდარეჯანიანის გაგრძელებას, შეთხზულია არაუადრეს მე-17 საუკუნისა ვიღაც უცნობი ქრცხიწვალელი კაცის მიერ. ახალი დილარიანი კი პეტრე ლარაძის ლალი ფანტაზიის საყოფია თავიდან ბოლომდის და ძველ დილარიანს მხოლოდ სახელით უკავშირდება. პეტრე ლარაძის დილარიანი დაიბეჭდა თბილისში 1903 წელს, ხალხსიანი ნწერლის ზაქარია ვულისაშვილის თარგმანით. „მე მოგუწყევ ეს საქმეო“, შენიშნავს ე. თაყაიშვილი მოგონებებში (მნათობი, 1959, № 9, გვ. 172). სამართლიანი ჩანს ე. თაყაიშვილის გულისწყრომა პეტრე ლარაძის განცხადების გამო, თითქოს მისი დილარიანის თავდაპირველი რედაქცია იოვანე ბატონიშვილმა მიითვისა—პეტრე ლარაძე ტყუილი იქვე. თავის წყაროში დავით ღამბაშიძის პუბლიკაციის გამო „საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი“ (ივერია, 1899, №—12, 13) ე. თაყაიშვილი არკვევს, რომ გამოქვეყნებული ტექსტი ნაწილია პეტრე ლარაძის საისტორიო პოემისა. წერილში გადმოცემულია პეტრე ლარაძის ცხოვრების საკმაოდ

\* წერილი გამოქვეყნდა პ. ინგოროვის თანაუტორობით.

დაწერილებითი ისტორია. ამ წერილსაც დღემდის არ დაუკარგავს თავისი სამეცნიერო მნიშვნელობა.

დიდად საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ე. თაყაიშვილს მე-13—15 საუკუნეების ლიტერატურულ-შემოქმედებითს ცხოვრებაზე ჩვენს ქვეყანაში (II, 54—57). ეს მოსაზრებები მიღებულია საისტორიო წყაროებისა და ზელნაწერი შემკვიდრების საფუძვლიანი შესწავლისა და გაანალიზების შედეგად.

ე. თაყაიშვილმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო თავის აღწერილობაში როსტომიანსა და იმის ციკლის ტექსტებს (I, 347—390; II, 544—545). „აღწერილობაში“ ამომწურავი სისრულითაა მოყვანილი ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ყველა ცნობა, რაც კი როსტომიანზე მოიხილება—როგორც ამ ძეგლის შემცველ ხელნაწერებში, აგრეთვე სხვა თხზულებებში (შაჰნავაზიანში, თანიანიანში, არჩილიანში). თუმცა ავტორი მოკრძალებით შენიშნავს, ნ. მარის წერილის შემდეგ (ივერია, 1891, №№—132, 133, 135) როსტომიანის ქართული ვერსიების თაობაზე „иногда не упоминается“ -ო (I, 350, შენ. 1), მან შიშობა და გამოაქვეყნა რიგი სრულიად ახალი ცნობა, რომლებიც ამდირებენ ჩვენს წარმოდგენას როსტომიანის თაობაზე. ე. თაყაიშვილმა პირველად გაგვაცნო ზაქიანისა და საამიანის ტექსტები. მანვე სცადა გაერკვია ამ ძეგლების გამლექსავთა ავტორების მამუკა მდიენისა და ბარძიშ ეაჩნაძის ვინაობა (I, 365—367).

ე. თაყაიშვილმა გამოავლინა ე. წ. აღორძინების პერიოდის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ნათარგმნი ძეგლი იოსებ-ზილქანიანი. მან აღწერა ამ ძეგლის შემცველი უნიკალური ხელნაწერი—S 1283 (II 267—274). დაასაბუთა, რომ ხელნაწერი ეკუთვნის მე-16 საუკუნეს და რომ მის მიერ გამოვლენილი პოემის ტექსტი არსებითად განსხვავდება თეიმურაზ პირველის სახელით ცნობილი ანალოგიური პოემისაგან. ერთი სიტყვით, ე. თაყაიშვილმა მოიპოვა იოსებ-ზილქანიანის ახალი რედაქციის ტექსტი და სავსებით დაზარწუნებულად გააკვირა მისი ადრინდელი თეიმურაზისეულ ვერსიასთან შედარებით.

რუსულდანიანის ხელნაწერებზე და შესაფერისი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ (I, 400—418) ე. თაყაიშვილი ამბობს, რომ „ქართული ლიტერატურის ეს დიდად მნიშვნელოვანი ძეგლი ღირსია უფრო დაწერილებითი და ყოველმხრივი შესწავლისა“ (I, 405). ე. თაყაიშვილს სწორად აქვს გაგებული რუსულდანიანის იდეური ტენდენციები, ახალი აზრი აქვს გამოთქმული ძეგლის თარგმნის თაობაზე. მისი სიტყვით, „არაფერი გვიშლის ხელს ძეგლი მივაკუთვნოთ მე-16 საუკუნეს, ე. ი. ქართული ლიტერატურის აღორძინების ეპოქის დასაწყისს“ (I, 405).

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ე. თაყაიშვილს ქილილა და დამანას ქართული ვერსიების შესწავლის საქმეში. როგორც ცნობილია, ქილილა და დამანას აქვს მეტის-მეტად რთული და დახლართული ლიტერატურული ისტორია. ამ რთული და დახლართული საკითხების გარკვევის საქმეში ე. თაყაიშვილმა შეასრულა საპატიო როლი. ქილილა და დამანას საკითხს „აღწერილობაში“ დათმობილი აქვს რამდენიმე ათეული გვერდი (I, 285—347). ნ. მარის სიტყვით, ესაა „сложная, но содержательная монография о грузинских переводах Калилы и Дамана“ (Отзыв, стр. 182).

ე. თაყაიშვილმა მოიპოვა და საუცხოოდ აღწერა ქილილა და დამანას ქართული თარგმანის ერთი უცნობი ვერსია—S 3177. მან ეჭვმიუტანლად დაამტკი-

ცა, რომ ამ ვერსიის ტექსტის პირველი ნაწილი გადმოუთარგმნია კანეთის მეფე დავითს (გარდაიცვალა 1602 წელს), თეიმურაზ პირველის მამას, ხოლო თარგმნა გაუსრულებლით ვახტანგ VI დავალებით ორ უცნობ პირს. თვითონ ვახტანგს ტექსტი ნაწილობრივ შეუწსწორებია, შეუვსია და გაულექსავს. ე. თაყაიშვილმა აღვიღად გაარკვია, რომ ა. ხახანაშვილის მიერ ადრე გამოქვეყნებული ფრაგმენტი სწორედ ახლადმოპოვებული ვერსიის ტექსტს შეიცავდა და კლასიკური ეპოქისა მას არაფერი ეცხო (ა. ხახანაშვილმა შეცდომაში შეიყვანა სახელმძღვანელო ორიენტალისტი ა. კრიმსკი). სხვა არა იყო ის რა. ხახანაშვილისეული ტექსტი (როგორც ახლადმოპოვებული ვერსიის ფრაგმენტი) ქლილა და დამანას ანგარი სოპილის რედაქციიდან ყოფილა წარმომდინარე, ხოლო ანგარი სოპილის რედაქცია შეიქმნა მე-15 საუკუნის მიწურულში (მისი ავტორი, ვაიხ ქაშიფი, გარდაიცვალა 1505 წელს). მართალია. აწინაველი კვლევებებით არ დადასტურდა ე. თაყაიშვილის თამამი დებულება. თითქოს ქლილა და დამანას ბეჭდური გზით გავრცელებული ვერსია სულხან-საბა ორბელიანის დამოუკიდებელი თარგმანის ტექსტს წარმოგიდგენს. მაგრამ ქლილა და დამანას შემდგომი ლიტერატურული ისტორიის გახსნა შესაძლებელი გახდა სწორედ ე. თაყაიშვილის შესანიშნავმა გამოკვლევამ<sup>10</sup>.

ე. თაყაიშვილმა საფუძვლიანად შეისწავლა და განიხილა ბარამიანის ქართული ვერსიები (I, 521—562; II, 524—548; პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები. 45—47). მან დაადგინა, რომ ქართულ ენაზე მოიპოვება ბარამიანის. ერთმანეთისაგან სრულიად უამოუკიდებელი სამი ვერსია. პირველია უფრო ძველი და უფრო საყურადღებოც თავისი ლიტერატურული მნიშვნელობით გალექსილი ბარამგურიანი. მეორეა პროზაული ბარამიანი ანუ ბარამგულანდამიანი. მესამე—გალექსილი ბარამგულიჯანიანი. ე. თაყაიშვილს შეუტკებია ყველაფერი, რაც კი სხვადასხვა წყაროში მოიპოვება ბარამგურიანის ქართული ვერსიის ავტორის ნოდარ ფარსადანის ძე (ციციშვილის) შესახებ. მკვლევარი მკითხველებს აწვდის საჭირო ცნობებს ბარამგურიანის უცხოელი ავტორების, კერძოდ ნიზამი განჯელის თაობაზე (II, 528—531).

ე. თაყაიშვილს ერთმანეთისათვის შეუდარებია ბარამგულანდამიანი და ბარამგულიჯანიანი. მისი სამართლიანი დასკვნით, პროზაული ბარამიანი (ბარამგულანდამიანი) და გალექსილი ბარამგულიჯანიანი სულ სხვადასხვა ნაწარმოებებია და „ტყუილად ურევინ მათ ერთმანეთში“ (I, 552). ბარამგულიჯანიანის გამლექსავს ონანა მდივანს ხელთ ჰქონია არა ჩვენი გულანდამიანი, არამედ დღემდის უცნობი სხვა წყარო (I, 558). ე. თაყაიშვილი ონანა მდივანს არ თვლის დიდი ღირსების მქონე პოეტად, „მის ლექსებს პოეტური ცეცხლი აკლიაო“; ონანა უხეშად ბაძავსო რუსთველსა და თეიმურაზს. განსაკუთრებით რუსთველსო. „რუსთველის უკვდავი პოემის მიმბაძველობა საერთოდ დამახასიათებელი ნიშანია ქართული ლიტერატურის აღორძინების ეპოქისაო“. ამბობს მკვლევარი. მაგრამ მიმბაძველობას უკიდურესი ფორმა აქვს მიღებული ონანა მდივანის მიერ გალექსილ თხზულებაშიო.

დიდი გულმოდგინებით, სისრულით და სიზუსტით აქვს ე. თაყაიშვილს აღწერილი არჩილიანის ხელნაწერები (II, 133—173), ვახტანგ მეექვსის თხზულებანი (II, 406—410) და ბევრი სხვა. ის საგანგებო ყურადღებას აქცევდა ისეთ

<sup>10</sup> დაწვრილებია ამის თაობაზე იხ.: აღ. ბარამიძე. ანგარი სოპილის ანუ ქლილა და დამანას ქართული ვერსიები (ნარკვევები, I, 1945, გვ. 237—372).

ავტორებს და ისეთ ძეგლებს, რომლებიც უფრო ნაკლებ იყო ცნობილი და შესწავლილი. ამიტომაც ე. თაყაიშვილი სპეციალურად აღარ შეჩერებულა დავით გურამიშვილზე და მის ნაწერებზე (II, 471). აქ საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის წიგნს“ ე. თაყაიშვილი რუსულად უწოდებს „Книга мудрости и лжи“ (II, 549)

დაუფასებელია ის ცნობები, რომლებიც ე. თაყაიშვილის „აღწერილობაში“ მოიპოვება მრავალრიცხოვან პოეტ-მეღეპსეთა. მწიგნობართა და მწერლობის გულშემატკივართა, აგრეთვე ნაკლებ ცნობილ (თუ უცნობ) ძეგლთა, ფრაგმენტთა, ჩანაწერ-მინაწერთა და მისთანათა შესახებ. ამ მხრივ „აღწერილობა“ ამოუწურავ წყაროსა და დიდებულ საუნჯეს წარმოადგენს.

მის მიერვე გამოკლეწილი და აღწერილი საუკეთესო ნუსხების მიხედვით ე. თაყაიშვილმა გამოსცა ქართული მწერლობის რიგი მნიშვნელოვანი ძეგლი. ასეთებია სიბრძნე ბალავარისი (თბილისი, 1895). კათალიკოზ-ბაქარაიანი (თბილისი, 1895), მელის წიგნი (თბილისი, 1899). თიმსარიანი (თბილისი, 1903). მარტალია, ეს გამოცემები არ არის მეცნიერულ-კრიტიკული. მაგრამ, როგორც ვთქვით, ისინი ემყარება საუკეთესო ხელნაწერებს, შესრულებულია დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით და თავის დროისათვის სანიმუშონია.

თავისი გამოცემებით ე. თაყაიშვილი უპასუხებდა დროის მოთხოვნილებებს. მეცნიერებაში აღძრულ საკიბოროტო საკითხებს. ცნობილია, მაგალითად, რა დიდი რეზონანსი ჰქონდა რუსულ აღმოსავლეთმცოდნეობაში ბალავარაიანის პრობლემას. აკადემიკოსმა ე. კრაჩკოვსკიმ შემოიღო სპეციალური ტერმინი კი — „варлаамовский период русского востоковедения“<sup>11</sup>. „ბალავარაიანის“ გამოქვეყნებით ე. თაყაიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აღნიშნული პრობლემის შესწავლაში (ე. თაყაიშვილის პუბლიკაციის მიხედვით სიბრძნე ბალავარისი რუსულად გადათარგმნა ივანე ჯავახიშვილმა). მელის წიგნის გამოცემა ეხმაურებოდა ნ. მარის განთქმულ სამაგისტრო შრომას „Сборники притч Варлаама“. თიმსარიანისადმი ინტერესი ე. თაყაიშვილს გაუმზავილა აკადემიკოს ს. ოლდენბურგის ნარკვევმა: „С персидской прозаической версии книги Синдбада“.<sup>12</sup> კათალიკოზ-ბაქარაიანი კი ე. თაყაიშვილის ყურადღებას იქცევდა. უწინარეს ყოვლინა, როგორც საისტორიო წყარო.

„მელის წიგნის“, „თიმსარიანისა“ და „კათალიკოზ-ბაქარაიანის“ პუბლიკაციებს უძღვის (ან ერთვის) ისტორიულ-ლიტერატუროლოგიკური ხასიათის მოკლე, საქმიანი მიმოხილვანი. ე. თაყაიშვილმა პირველმა გააჩვენა კათალიკოზ-ბაქარაიანის ავტორის, იესე ტლავაძის ვინაობა და ძეგლის რაობა. თიმსარიანის წყაროდ ე. თაყაიშვილმა საბუთიანად მიიჩნია სპარსული სინდბადის წიგნი. მთარგმნელის საკითხის გამო მკვლევარი ერთგვარად ყოყმანობდა („ნამდვილად არ ვიცი, რომელ თემიურაზ მეფეს ეუფენის თარგმანი. პირველს თუ მეორესო“). მაგრამ უფრო თემიურაზ მეორის სასარგებლოდ იხრებოდა.

ამას წინათ ელენე კელენჯერიძემ გამოაქვეყნა „უორდროპისეული ქართული ხელნაწერების აღწერილობა“ შესრულებული ე. თაყაიშვილის მიერ (Рук-

<sup>11</sup> Повесть о Варлааме и Иосафе, Перевод с арабского академика В. Р. Розена, под редакцией и с введением академика И. Ю. Крачковского. М. Л. 1947. გვ. 16, სქოლიო 2.

<sup>12</sup> Сборник статей учеников профессора Виктора Романовича Розена, Спб, 1897



პყსა ოქსფორდსკოი ბიბლიოთეკი, პრიობრეტენნყე ვ ტიფლისე ოლივერ ვარდროპომ, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 111, 1961, გვ. 189—216). ამ აღწერილობაში, სხვათა შორის, გვაქვს ზუსტი ცნობები „ყისაჲ ჰამზას“ გვიანდელ ქართულ თარგმანზე (ისტორია ანუ მოთხრობა სააბყარანა-ამარამზასი და ბაბაჲ ამარისა. გვ. 199—201)<sup>13</sup>.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ე. თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილი და გამოცემული „ქელმწიფის კარის გარიგებით“ ცნობილი გახდა, რომ არსენ იყალთოელს ჰკუთვნებია ძველი შაირი „ვინ ნაჰარმაგვეს მეფენი“. ესაა რუსთველამდელი შაირის პირველი სრულყოფილი ნიმუში. მას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც შაირის ლექსის ისტორიისათვის საერთოდ, ისე, და განსაკუთრებით, არსენ იყალთოელის ლიტერატურული მოღვაწეობისათვის კერძოდ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომებს ძველი ქართული საერო ლიტერატურის საკითხებზე არ დაუკარგავთ თავიანთი მეცნიერულ-შემეცნებითი მნიშვნელობა არც ზოგად ისტორიულ-კულტურული და არც პრაქტიკულ-გამოყენებითი თვალსაზრისით<sup>14</sup>.

<sup>13</sup> შტრ. აღ. ბარამიძე, ამირან-დარეჯანიანის ვარშემო (საქ. მეცნ. აკადემიის სმგ. მოამბე, 1960, №—1, გვ. 260—268).

<sup>14</sup> ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემას ახლავს ე. თაყაიშვილის მიერ შედგენილი მიმოხილვა ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფებისა (გვ. 127—132). 1916 წელს ე. თაყაიშვილმა ცალკე წიგნად გამოსცა ხალხური სიტყვიერება (ამოღებული „ძველი საქართველოდან“).

## ეკთიმე თაყაიშვილი და ხალხური სიტყვიერება

ჯერ კიდევ ძნელია სრული სახით წარმოვადგინოთ ის ამაგი, რაც ეკთიმე თაყაიშვილმა დასდო ქართულ ზეპირსიტყვიერებას. ძნელია ვამბობთ იმიტომ, რომ ამ შესანიშნავი ისტორიკოსის, არქეოლოგის, ფილოლოგოსის, კოლექციონერისა და საზოგადო მოღვაწის მემკვიდრეობა ერთად შეკრებილი და გამოცემული არ მოიპოვება. ამ სიძნელისდა მიუხედავად ჩვენ შევეცდებით მოკლედ მოვხაზოთ თვალსაჩინო დამსახურება, რომელიც სხვა სამეცნიერო დარგებთან ერთად ექვთ. თაყაიშვილს ქართული ფოლკლორისტიკის წინაშე მიუძღვის.

როცა მეოცე საუკუნის ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია დაიწრება, მაშინ დაწვრილებით იქნება გამოჩნეული ის უხმაურო, ფუტკრისმაგვარი მზრუნველობა, რომლითაც ეკთიმე თავს დასტრიალებდა ყოველგვარ ეროვნულს და მის შენახვასა თუ შეაწავლას ცდილობდა. უჩვეულო თავდადებული მზრუნველობით ეპყრობოდა იგი ჩვენს მდიდარსა და მრავალფეროვან ზეპირსიტყვიერებას, საერთოდ კი ხალხურ შემოქმედებას.

ექვთ. თაყაიშვილი დიდ ინტერესს იჩენდა ხალხური სიტყვიერების შიშართ.

ა) ის იყო პირველი აღმწერ-აღმნუსხველი ძველ ხელნაწერ კრებულებში შემონახული ხალხური სიტყვიერების ძეგლებისა, ბ) ის იყო ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობისა და ხალხური ნაწარმოებების გამოცემის შესანიშნავი ორგანიზატორი მე-20 საუკუნის პირველ ათეულ წლებში, გ) ის იყო შემკრები და იშვიათი დამფასებელი ხალხური სიტყვიერებისა, დ) დასასრულ, ის იყო ხალხური სიტყვიერების მკვლევარი. ექ. თაყაიშვილი თუმცა არასისტემატურად, მაგრამ მანაც იკვლევდა ფოლკლორულ შემოქმედებას, გამოთქმული აქვს მნიშვნელოვანი მოსაზრებანი და დაკვირვებანი რიგი ხალხური ძეგლების თაობაზე, ლიტერატურულ-ფოლკლორულ ურთიერთობაზე, ხალხური პოეზიის ბედზე და ა. შ.

ყველა აღნიშნული მხარე მდიდარი ფაქტიური მასალითაა წარმოდგენილი. ჩვენი ვალა ბოლომდე შევისწავლოთ მემკვიდრეობა და ღირსეული ადგილი მიუჭინოთ სახელოვან მეცნიერს ფოლკლორისტიკის განვითარებაში.

ქართულმა შემკრებლობითმა ფოლკლორისტიკამ რამდენიმე საფეხური განვლო. პირველად ფეხი მან მეცხრამეტე საუკუნესთან ერთად აიღვა, მაგრამ დაეაყუაცებას 60 წლის შემდეგ მიიღწია. ამ პერიოდის შემკრებლობითი ფოლკლორისტიკის სათავეებთან იდგნენ ეროვნული კულტურის ისეთი კორიფეები, როგორც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკ. გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი. ამათ ნაკვალევზე და იღვებზე იწყეს სვლა პეტრე უმიკაშვილმა, დავით ხიზანაშვილმა, თედო რაზიკაშვილმა, ალექსანდრე ხახანაშვილმა, ლადო აღნიაშვილმა და სხვებმა.

შემკრებთა პირველი პლეადა თავს იყრია „ივერიისა“ და წ/კ გამაგრებულ-ბელი საზოგადოების ირგვლივ, აქ იყვნენ როგორც მწერლები, ეთნოგრაფები, ფოლკლორისტიები. ენათმეცნიერები. ისე პერიფერიული ინტელიგენცია პედაგოგებისა და სასულიერო პირების სახით. ამ ჯგუფში შეიქმნა პირველი პროგრამა შემკრებთათვის ქართულ ენაზე. დაიწყო ფართო მოძრაობა, რათა ეროვნულ სიძველეთა შორის სიტყვიერებაც სხვების თანაბრად ყოფილიყო მხედველობაში მიღებული. ყოველივე ამის სულისჩამდგმელი და წამმართველი ილია იყო. შედეგი: მრავალრიცხოვანი ტექსტების პუბლიკაცია „ივერიისა“ და „ნობათში“, სასკოლო სახელმძღვანელოებსა და პერიოდულ კრებულებში, ყურან-ლებში. განხორციელდა მოზრდილი ანთოლოგიების გამოცემა დ. ხიზანაშვილის „ფშაური ლექსებისა“ (1887 წ.) და ლ. აღნაშვილის „ხალხური ზღაპრების“ (1890) სახით.

მეორე პლეადა 90-იან წლებში შეიქმნა აკაკი წერეთლის „კრებულის“ გამოჩენასთან ერთად. დიდმა მგოსანმა თავის ყურნალში ფართოდ გაუღო კარი ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს და ცალკე სოფლების კომპლექსურ შესწავლას. აკაკის „კრებულის“ ირგვლივ დარაზმული შემკრებ-ენთუზიასტები ყველა უნარის მასალას უხვად ჰკრებდნენ, მათი სამოქმედო ასპარეზი სამხრეთ დასავლეთ საქართველოსაც ფართოდ მოიცავდა, საიდანაც მოსული მასალა პირველი პლეადის ჯუმლში ნაკლებ ადგილს იკვრდა. „აკაკის კრებულის“ დახურვით მეოცე საუკუნის დასაწყისში გადაიყვანა ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობის ფურცელი და თითქმის მთელი ათი წლის მანძილზე აღარაფერი გამოჩენილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ქართველ ქალთა წრის“ მიერ 1903 წელს გამოქვეყნებულ მასიურ საკითხავ კრებულს „ზღაპრებს“.

ქართული შემკრებლობითი ფოლკლორისტიკის განვითარების შემდეგი მესამე საფეხური დაკავშირებულია საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების შექმნასთან. რომლის თავმჯდომარე და ხელმძღვანელი ექვთ. თაყაიშვილი გახლდათ.

ექვთ. თაყაიშვილმა შესანიშნავად გააგრძელა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ტრადიცია ხალხური საუნჯის შეკრება-გამოცემის საქმეში და თავის მხრივ წინ წასწია შემკრებლობითი ფოლკლორისტიკა. მასიურ მოვლენად აქცია ეროვნული სიტყვიერებისა და მუსიკის ჩაწერა, მათი აისტორიო და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით გამოყენება. შედეგი: „ხალხური სიტყვიერების“ ორტომეულის გამოცემა (1916—1918). ამ ორი წიგნის გამოსვლით დაიხურა რეკლამური ქართული ქართული ფოლკლორისტიკის „პუკრია“ და აქაც ექვთ. თაყაიშვილის როლი გვერდაუვლელია; იგი საზოგადოების ირგვლივ რაზმავდა როგორც ძველ. იგი ახალგაზრდა კადრებს და ჰქმნიდა მტკიცე ბაზას ხალხურ ნაწარმოებთა შეკრებისა და გამოცემისათვის. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ავტორიტეტი სწორად გაიზარდა. ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ისეთი გამოცემების განხორციელებამ, როგორც იყო „საქართველოს სიძველენი“ და „ძველი საქართველო“.

წ/კ საზოგადოების ხელნაწერების აღწერა-შესწავლის დროს ექვ. თაყაიშვილმა ბევრა ფოლკლორული ნაწარმოები გამოამყდავანა. ხალხურ ტექსტებს ისეთივე მეთოდით იკვლევდა, აღწერდა და აქვეყნებდა, როგორც ლიტერატურულ ძეგლებს. ამჟამად მხოლოდ დასახელება თუ შეგვიძლია ასეთი ნაწარმოებებისა; მათ შორის ბევრი ფართოდ გავრცელებული ციკლური ხასიათის სიუჟეტისა. ექ. თაყაიშვილმა აღწერა და სწორად განსაზღვრა შემდეგ ნაწარმო-

ებთა ფოლკლორული წარმომბობა: აბრამიანი. ლექსი ავთანდილისა, თქმულება ატალის შესახებ, ელისაბედიანი. ლექსი ივანე ნათლისმცემელზე. როსტომიანი. სოლომანი და კუნძულელი და სხვ. (იხ. ა. შანიძე და ა. ბარამიძე, საქართველოს მუზეუმის S ფონდის აღწერილ ხელნაწერთა საძიებელი. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკ. II, 1934 და ე. თაყაიშვილის „Описание“).

ექვთ. თაყაიშვილზე საუბრის დროს შეუძლებელია არ ვილაპარაკოთ „ძველ საქართველოს“ შესახებ. რომლის მუღმივე რედაქტორი განსვენებული მეცნიერი იყო და, სადაც ხალხურ სიტყვიერებას თითქმის კრებულის ნახევარი ეჭირა. სულ ოთხი სქელტანიანი ტომი გამოვიდა და მათ საფუძველზე შემდეგ, როცა 1916-18 წლებში იქ დაბეჭდილი ფოლკლორული მასალების გამოცემა გაიმეორეს. მას ორი დიდა წიგნი დასჭირდა თვითოეული მათგანი ფოლკლორისტი სამაგიდო წიგნს წარმოადგენს, რადგან მრავალრიცხოვანი სხვადასხვა ენარის ტექსტებია დაბეჭდილი (2 ათასზე მეტი) შენიშვნებითა და განმარტებებით; თანაც მასალები მოწოდებულია სულ შორი და შორი შეუსწავლელი კუთხეებიდან. მაგალითად: საინგილოდან, ზემო რაჭიდან, თუშეთიდან, სვანეთიდან... ექვთ. თაყაიშვილისა და საზოგადოებაში მისი თანამშრომლების მეოხებით მთელი ძალით წარმოსდგნენ ხალხური სიტყვიერების ისეთი შემკრებნი, როგორც იყვნენ თედო რაზიკაშვილი, სევასტი გაჩეჩილაძე, ივანე ბუქურაული. ზაქ. ბილანიშვილი, აფრასიონ ჭაფარიძე, ია კარგარეთელი, ვინმე მესხი, მესხი კონსტ. გვარამაძე, კ. კალანდაძე, ვაჭარელი ქალი, ნიკო ჩიმაკაძე, თ. მაგმაძე, მ. ჭანაშვილი... „ძველი საქართველოსა“ და მისი რედაქტორის სახელი დიდად დაამშვენა ვაჟა-ფშაველამ ფშავეში შეკრებილი ხალხური ლექსებითა და ანდაზებით.

ჩვენ ახლა ოდნავი შესაძლებლობაც არ გვაქვს შესაფერისად დავაფასოთ „ძველ საქართველოში“ გამოქვეყნებული ტექსტები. ამისათვის სულ მცირე-ათობედ ვრცელი მოხსენება მაინც იქნება საჭირო.

„ძველი საქართველოს“ პირველივე ტომის წინასიტყვაობაში ექვთ. თაყაიშვილმა საზოგადოებას აცნობა, რომ კრებულში სისტემატურად მოთავსდება ფოლკლორული მასალა, და მამსადაძე, ვისაც გული ერჩის მონაწილეობა მიიღოს მის შეკრებაში. რედაქტორი ასე წერდა მამსინ: „ვის არ შეუძლია ჩაწეროს და მოგვაწოდოს ხალხური ზღაპრები, სიმღერები, გადმოცემანი, არაკები, თქმულებანი, შელოცვები და გამოცანები?... რომელ განათლებულს სამეგრელოს მკვიდრს არ შეუძლია შეადგინოს ლექსიკონი ქართულ-მეგრული და მეგრულ-ქართული და დაგვიწეროს მეგრულად მეგრული სახალხო სიტყვიერება? რომელს განათლებულს სვანს არ შეუძლია შეადგინოს ქართულ-სვანური და სვანურ-ქართული ლექსიკონი და ჩაწეროს სვანური ხალხური ნაწარმოებები?“ ამგვარმა მოწოდებამ დიდად შეუწყო ხელი ჩვენში შემკრებლობითი მოღვაწეობის გაღვივებას. წამოვიდა ჩანაწერების ნაკადი, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილის გამოქვეყნება მოახერხა ექვთ. თაყაიშვილმა, უფრო მეტი კი დარჩა საისტორიო—საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდში, რომლის მხოლოდ ცნობაში მოყვანას „ხელნაწერების აღწერილობის“ ცალკე ტომი დასჭირდა.

„ძველი საქართველოს“ რედაქციასა და მის რედაქტორს დიდი მუშაობის ჩატარება სჭირდებოდათ, რათა მიღებული ჩანაწერები დასაბეჭდად მომზადებულიყო. ჩანს, შემკრებთა უმრავლესობა ასეთ დახმარებას საჭიროებდა; რედაქცია გულდასმით სწავლობდა ტექსტებს და საგანგებო მსჯელობის შემდეგ აქვეყნებდა. თვითონ „აკაკის კრებულის“ ფოლკლორისტი-კორექსონდენტებსაც კი ნედლი მასალა მოუწოდებიათ. რედაქტორი ამის თაობაზე აცხადებდა: „სა-

ჭიროთ ვრაცხთ აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი სევასტი გაჩეჩილაძის მიერ შეკრებილი სახალხო ზღაპრები და ლექსები რიგზე დააწყო საზოგადოების მდივანმა ს. გორჯაძემ. შემდეგ საბჭოს სხდომებზე წავიკითხეთ ერთად და საჭიროდ დავინახეთ დაგვერთო ის განმარტებანი სიტყვებისა, რომელნიც სახალხო სიტყვიერების ტექსტის სხოლოებშია ნაჩვენები („ძვ. საქ“, I). ასეთი, მეტად საჭირო განმარტება მხოლოდ ერთი კუთხის მასალას რამდენიმე ასეული ახლავს.

დამახასიათებელია შემდეგი გარემოებაც. 1937 წელს უნივერსიტეტში რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ჩვენ გვეწვდია ქიზიყური ზღაპრების ჩამწერი მანდილოსანი ანუსია კარგარეთელი და წარმოგვიდგინა ფოლკლორული მასალები. ტექსტების გადათვალთვლების შემდეგ ჩვენ მას მივმართეთ: „ძველ საქართველოში“ ხომ არაფერი დაგიბეჭდავთქო“. მან ჯერ უარყოფითად გვიპასუხა, შემდეგ დასძინა - სერგო გორგაძეს კი გადავეცი ერთხელ და რა უყო, არ ვიცით. ეს მანდილოსანი ვახლდათ „ვაჭირელი ქალის“ ფსევდონიმით მოღვაწე შემკრები, რომელმაც რაღაც მიზეზით, მისი მასალების: 1915 წელს გამოქვეყნება მხოლოდ 1937 წელს შეიტყო!.

ექვთ. თაყაიშვილის არქივში დაცულია მდიდარი ეპისტოლარული მასალა, საიდანაც ვგებულობთ, რომ მას მიმოწერა ჰქონდა სხვადასხვა კუთხის ფოლკლორის შემკრებლებთან და ისინიც, თავის მხრივ, დიდ იმედს ამყარებდნენ თაყაიშვილზე. შეიძლება დავასახელოთ მესხი კონსტ. გვარამაძის, ან კაპანაძის და სხვათა წერილები. ბევრი ფოლკლორისტი ენთუზიასტი დიდ ნივთიერ ხელმოკლეობას განიცდიდა, მაგრამ არჩეულ გზას მაინც არ ღალატობდა.

აი მაგალითად რას წერდა კ. გვარამაძე ერთ-ერთ ბარათში.

12.12.1X. 08 წ. ახალიციხე

დიდათ პატრუცემულო ბ. ექვთიმე!

მას შემდეგ, რაც 1891 წ. თქვენი რჩევით ერმილე ნაკაშიძის მიერ მიწვეული ვიყავი გურიაში მაკვანეთის მასწავლებლად, სადაც 1904 წლამდის დავყავი (გურიაში), და იმ ხნის განმავლობაში კი, სამჯერ მომეცა შემთხვევა შეგხვედრილიყავით თქვენ. ორჯერ ოზურგეთში და ერთჯერ კი სათავადაზნაურო სასწავლებელში თქვენი ინსპექტორობის დროს, და შემდეგ კი ალარე შეგხვედრივართ და არა იმედი, ისეთი იშვიათი ნახვის შემდეგ კიდევ გადაგავიწყდებოდით...

ახლა მეძლევა შემთხვევა მოგწეროთ, როგორც „ისტ. გეოგ. ეთნოგრაფიული საზოგადოების“ თავმჯდომარეს. იმედია, ჩემ თხოვნას არ დატოვებთ უუურადლებით. მე თვითონ წამოსვლას ვაპირებდი, რათა პირადად მენახეთ, მარა არ მომიხერხდა ჯერჯერობით წამოსვლა. აი ჩემი თხოვნა. მე, ყმაწვილობიდანვე 25 წელიწადია ზეპირსიტყვაობას და ეთნოგრაფიულ მასალებს ვაგროვებ საქართველოს სხვადასხვა პროვინციებში. ამას რ. რ. „აყაიის კრებულიდან და „მოგზაურიდან“ თქვენც გაიგებდით. და ახლა, რადგან თქვენ (სპეციალურ ამისათვის) საზოგადოება დააარსეთ, სადაც შეიმძლება მე მუშაობა სპეციალურად ამ საქმეში და უსაქმოთაც ვარ დარჩენილი, გთხოვთ მომანდოთ რაიმე სხვადასხვა პროვინციაში სამუშაო ამ საქმეში... ერთი წელიწადი ქართ. გამოც. ამხანაგობამაც შეკრიბა ზეპირსიტყვაობა.

1 მ. ხ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 209; „ლიტერატურული ძიებანი“, V, გვ. 332—34.

იმედია ამ ჩემ თხოვნას აასრულებთ და მაცნობებთ კიდევ. ამისათვისაც საპასუხო ბლანკსაც გიგზავნით.

**პატივცემით მეხბი კონსტ. გვარამაძე.**

ექვთ. თაყაიშვილი გულისხმიერად ეპყრობოდა ენთუზიასტთა ხმას. აცნობებდა საზოგადოების საბჭოს და შესაფერისად იყენებდა მუშაობაში. ამას მოწმობს დასახელებულ ბარათზე მინაწერი: „იხ. საბჭოს ოქმი № 24“.

**დიდათ. პატივცემულო ბ. ექვთიმე!**

დიდი ხანია დაწერილი მაქვს მასალები №№ 3, 4 და 5, რომელსაც ამავე ფორმით ვაგზავნი დაზღვეული ბანდეროლით (სულ 32 გვერდს ნაწერს შეიცავს) ლექსებს და ნაწყვეტებს სამეცხეთოში ჩემ მიერ შეგროვილს, მარა მარჯაც არ მქონდა გამომეგზავნა ისეთი მდგომარეობაში ჩაეარდი; უსაქმო, ცოლშვილიანი, მამაც ჩემთანაა, ამჟამად აღარც მამა მსახურობს და მოგეხსენებათ ფრანგ ძღველებს პენსიას არ აძლევენ და ასე უკიდურეს მდგომარეობაში ვარ. ახლა ცოლიც ავით მყავს და ურავლის წყლები დაუნიშნეს აქიმებმა...

ასეთ გარემოებამ დაავიანა მასალების გამოგზავნა თავის დროს. შეიძლება გურიის ხალხის ნაწარმოებები გამოგიგზავნო შემდეგისათვის. ორი რვეული გამოგზავნილი მაქვს, არ ვიცი მიიღეთ თუ არა.

მაცნობეთ მასალების მიღება, დავრწმუნდე, რომ არ იკარგება“. (თბილისში წერილი მიღებულია 8. 7. 09 (შტამპი).

ამ წერილებში მოხსენებული მესხურ-ჯავახური და გურული ფოლკლორული ნიმუშები მალე კიდევაც გამოქვეყნდა „ძველი საქართველოს“ მესამე ტომში. საქმიანი, ახლო მეგობრული დამოკიდებულება არსებობდა დედაქალაქში მყოფ მეცნიერსა და პერიფერიებში მომუშავე ფოლკლორისტ-ენტუზიასტებს შორის.

ექვთ. თაყაიშვილის ფოლკლორულ-შემკრებლობითი მოღვაწეობა მის არქეოლოგიურ ექსპედიციებსა და მოგზაურობებთან არის დაკავშირებული. როგორც ცნობილია, იგი ბევრ ისეთ მხარესა და კუთხეში ყოფილა, სადაც სხვას არ ჰქონია ბედნიერება სამეცნიერო მიზნებით ემოგზაურნა.

შემონახულია მეტად შინაარსიანი დღიურები. ბევრ მათგანში ფოლკლორული ჩანაწერებიც გვხვდება. სანიმუშოდ შეგჩერდები 1917 წელს მესხეთ-ჯავახეთში მოგზაურობის დღიურებზე (ხელნაწ. ინსტ, თაყ. კოლ. 2034).

თავიდანვე ჩანს, რომ მუშაობა ხალისიანად წარიმართა. დღიურებში უამრავი სხვადასხვა ხასიათის ცნობებია. პირველ-ყოვლისა გადასვლის საშუალებებს ახასიათებს ავტორი. „იორღათ მივალთ. ცხენი, კარგად მავალი ცხენი, თოხარიკი“ (გვ. 1). ჩანაწერებში დიდი ადგილი ეთმობა დემოგრაფიულ ცნობებს თითოეული სოფლის შესახებ. მაგალითად, სოფ. ბალანთაში მაშინ 40 კომლი სულ ქართველი ყოფილა. გეცნიერის დაკვირვებული თვალი მართო სიძველეთა ნაშთებს როდი ამჩნევს, იგი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასაც სწავლობს. „განსაცვიფრებელი სიღარიბე და სიბნელე ხალხისა; სახლები მიწურები; შესავალი ღერეფანი; საქონელთან ერთად ცხოვრება; სიღარიბე,--არის აღნიშნული ერთგან (გვ. 2). ე. თაყაიშვილი ეძებს მთქმელებს. მომღერლებს, აკვირდება მათ რეპერტუარს. ორ და სამ ენოვნობას. კულტურათა შერევას.

ლეთოდან მიმავალი შენიშნავს: „ჩემი თანამგზავრი მარკოზ მღეროდა გზაზე თათრულ სიმღერებს. და როდესაც ვკითხე. ქართული სიმღერა არ ვიცო— მომიგო. თითქმის „ქრისტე აღდგა“ არ სცოდნია“ (გვ. 2).

მოგზაურობა მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. მოსახლეობისათვის ზში-რად გაუგებარი იყო თვითმპყრობელობის დამხობისთანავე არქეოლოგიური მოგზაურობა. მკვლევარი დიდხანს არ ჩერდება ერთ ადგილზე. 24 მაისს საღამოს 5 საათზე უკვე სიზაბავრას მიაღწრა. აქ „ყველაზე უფრო განცვიფრებაში რასაც მოყავხართ—ეს არის ქალების ტანისამოსი: „თელი, თეთრი თავსახურავით, თითქმის ყველანი დიდი და პატარა; უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს სოფელი—არა ქართული სოფლისას“ (გვ. 12). სწორედ აქ მოხერხდა ხალხური პოეზიის ჩაწერა. ე. თაყაიშვილი შემთხვევას არ ჰკარგავს და დღიურში შეაქვს რამდენიმე საყურადღებო ნიმუში.

### 1. „სიზაბავრაში ჩაწერილი ლექსები, სიმღერა.

ყელი გიგავს დედალ კაკაბს, მისი შემკობილობითა,  
ვიცოდ. გულში გიყვარე, ჩემი შეტყობილობითა.

### „ახლა მეორე ხანა უთხარი მაგასო“, უთხრეს სხვებმა.

მალა ზიხარ, ბულბულს გავხარ,  
ძირს ჩამოხელ—გარიანსა.  
შენსა თავსა მე ვინ მომცემს,  
აგრე ლამაზ გვარიანსა.

### „ახლა შემდეგი ხანა“:

ერთ დარიან დილას ამოვემ მზესა,  
შევვადები ჩემ ცხენზე, დახედამ დევსა,  
მე შენკენ წამოვალ, არ გამცემ მტერსა,  
ყელი არ გამამკრა ამ უცხო თემსა (გვ. 16).

ესლა ჩვენ რომ სიმღერას დავიწყებთ (ამბობს ინფორმატორი)—სამ ხანას გიტყვი, მერე სხვამ თქვას.

2. საყდარს ვიხდება თეთრი კირიო,  
გაქ წითელი ლოყა, თეთრი პირიო,  
ერთი ახლო მოდი, შენთვი ვტირიო,  
ბულბულო, ბულბულო, ყელ მოქარგულო.

### მეორე ხანა:

ერთი ქალი ვნახე გაღმა მარდასა,  
ქერ პატარაია, ველი გაზდასა,  
დედაჩემს უთხარით: ის ამგვაროსა,  
მამაჩემს უთხარით: შინ მამგვაროსა,  
ჩემს ძმიებს უთხარით: გზა დამილოცონ! (გვ. 17).

სარქის აღოვემა (აღოშვილი უთხარით. შენიშნეს სხვებმა) სხვა ლექსიც უკარნახა:

\* მარდა-სერი, დაშორებული.

მინდვრის ყანა მოეხან, დაეთეს სელი,  
 მოხვალ აბანოდგან, ნამსიენი, სველი,  
 შემობრძანდი ჩვენსა, მოითბე ხელი  
 ბულბულო.. ბულბულო, ყელ მოქარგულო! (გვ. 17).

### 3. [პირველი ხანა]

ციეს წყაროს პირსა დგას მშვენიერი,  
 გულზე აქვს ხასი, და მოქარგული,  
 შუბლი აქვს წითელი, თმა ოქროსფერი,  
 დედა, შემეყარდა. ვერ მოვშორდები.

#### მეორე ხანა

ციეს წყაროს პირსა. დგას ლამაზი.  
 ყელი აქვს ლამაზი, ლოყა წითელი,  
 წარბი აქვს ხშირი და მაყელის ფერი.  
 დედა, შემეყარდა—ვერ მოვშორდები!

#### მესამე ხანა

აი რა დავქარგე, დედიჩან.  
 მინდვრის სოსანი, ბალის ყვავილი,  
 ცისა ნათელი, ჭვარი აქვს ქებული და სიყვარული,  
 ის ჩემია, დედიჩან, ვერ მოვშორდები (გვ. 18).

### [პირველი ხანა]

სილამაზეთ ვერას ვადარე, სახეც მიუგავს მთვარესა,  
 ტუჩი უგავს ხახვის ფურცელს, თვალწარბიც გადახატნია,  
 მე მის სიყვარულში, დედიჩან, სულიც დამილევია.

#### მეორე ხანა

მასკვლავი ვარ, ცაში გავქრები, ანთებული სანთელივით დავდნები,  
 მე რომ მის ხმას გაევიგებდე. შვედარიც ვიყვე კიდეცაც ავდგები. (ავსდგები).

#### მესამე ხანა

ცისკარიც რომ ამოვიდა, იგი უფლის თვალია,  
 ვენაცვალე მე იმას, ქალებისა თავია,  
 დედი შემობრალე. ნულარ მატრებ.

ამას მღერის შვილი, და დედა დგას ბალკონზე, მთქმელი გიორგი პავლეს  
 ქე ბალიშვილი (გვ. 19), რომელიც საქართველოდან ყოფილა წასული („მე გა-  
 დავედი საქართველოსკენო, თქვა“).

აკოფა ველიჩანოვი (ველიჩანაშვილი) ასწორებს იმ თავითვე, როგორც იტ-  
 ყვიან.—შენიშნავს ჩამწერი (გვ. 19).

5. დავესწრები ცის გახსნას; ქვეყნების დამყარებასა,  
 თქვენ რომ თვალთ დაგინახეთ, ნეტა ჩემ გახარებასა.



## მეორე ხანა:

დილა აღრე მოიყვანეს ის ლამაზი თეთრი ქალი,  
 არცა სვა და არცა ჭამა, არც არავის ვასცა ხმანი,  
 ან რომ არი თეთრი მტრელი ინდოეთიდან გამოსული (გვ. 19).  
 ამას ყავს საღმე მიჯნური, იმაზე (არს) გულგაბასრული.  
 ვარიანტი: ან ზომ იყო ანგელოზი,  
 ან ზეციდან მოფრენილი.

აქ ე. თაყაიშვილი შენიშვნას აკეთებს: „ვეფხისტყაოსნიდან არისო“

## მისამე [ხანა]

იმერეთიდან ვადმოდის საქციელი და ზრდილობა.  
 ათასად გვარი დაფასდა, ორი ათასად ზრდილობა,  
 ფილაფოზნი შეიბნენ ამაზე ქონდათ ყრულობა,  
 თუ კაცი თითონ არ არი, ცუდია გვარიშვილობა.

6. ვასილის (გვარი არ ჩანს)—თქმული:

მინდორშია თეთრი ქვაო,  
 ავსწიე და ვერ ამყვაო,  
 ქალო შენი სიყვარული,  
 სადაც წაველ თან წამყვაო (გვ. 19).

## მეორე

შენ ერდოს მოველ, შიგ იდგა კვამლი,  
 სახლი დაგიგვის, კარი თუ ზანი;  
 გამოგენტოს კვარი, სულ ანათებდი,  
 მაგ შენ ლოყებს პირში მძლევდი,  
 ასაბედი აუთ-ფულებს გაძლევდი.

## მესამე

კედელ ვაშენებდი, ურიგამ ქვასა,  
 წელზეა ამოიკრამ ჩემ ბრუდენ ხმალსა.  
 ვადუდგები წინა, მოგიკლავ ქმარსა,  
 ცრემლითაც ავიგისომ მაგ ყუფუნა თელსა (გვ. 20).

მთქმელი პ ა ვ ლ ე ბ ა ლ ი ძ ე

7. ვუშინ ბიჭმა დედაბოზმა ჩემი ერლო ვადიარა.  
 ტანსა ეცვა თეთრი ჩოხა, ქული მოვევარდიანა,  
 ნეტაუ ბიჭო, არ ვადგეველო, გული გამესევედიანა.  
 მეორე (ბიჭმა უთხრას)  
 გოგო თეთრო კაბიანო. ნემსი დავიკიდებიაო,  
 ჩემს გარდა თუ სხვა გიკვარდეს, ცეცხლი წაგკიდებიაო.

## მესამე

ქალას ვიყავ. ჰალა ენაზე, ვერხვი ვერხესა ეხვეოდა,  
 არ მენახა, გამოიკვირდა, ბიჭი გოგოს ეხვეოდა (გვ. 20).

8. მინდორშია დამძინოდა, დამხეოდა ქინკველია,  
 ლამაზ გოგოს ჩაუგორდი, ლოგინშია ტიტკელია.

## შეორე:

გაზღიხარ, გამოზღიხარ, ეზო დაგიშვენიტია,  
თქვენისთანა ბარიშნები, ბევრიც გამიშტერება.

## მესაშე:

საყვარელო სოფიო, დაგდენოდეს ოფლიო,  
მე შენ ცქერას ვერ დაეთმო, თუგინდ შკარი თოფიო“ (21).

აქ წყდება ხიზაბავრის ფოლკლორის ჩაწერა. ექვთ. თაყაიშვილი მიდის შემდეგი მარშრუტით: სარო, ხერთვისი, ამ უკანასკნელში მოსახლე სულ ქართველი მაჰმადიანებია. „2000 სული მცხოვრებია, 233 კვამლი“ (გვ. 25).

ქილდა, 25 მაისი, 1-ლი საათი: „80 კვამლი, სულ ქართველებია, გარდა 7 კვამლი თათრისა. ლაპარაკობენ სულ ქართულად“ (გვ. 26). ამას მოსდევს ჩუნჩხა, პტენა. ვარძიიდან ეს მარშრუტი 1937 წელს ჩემმა ფოლკლორულმა ექსპედიციამაც გაიარა ახალქალაქის მიმართულებით. ე. თაყაიშვილი კი ვარძიისაკენ მოიწვედა 1917 წელს.

ექვთ. თაყაიშვილი, საგანგებოდ ეძებდა სოფლებში მომღერლებსა და მელექსეებს. ამას ადასტურებს ჩანაწერი: „იოზ ბერიძემ იცის ძველებური სიმღერები“, უთხრეს თურმე ქუცუცაში (გვ. 29).

27 მაისი. მურჯანეთი, ყულალისი, ხოსპიო, კარტიკამი, ბავრა, სულგუმი, ჭუმურდიო, გოგაშენი, ვარძია, 30/V, სამშაბათი. შემდეგ ზედა თმოგვი, 31. V. „საშინელი კლდე-ღრეებია. მიწა სულ არა აქვთო“ (46), შენიშნავს. ტოლოში „ხალხური სიმღერები, ქართული იციან ქართველებმა“ (48).

სივინისი. ვალე, 2. VI. პარასკევი. „ენა ვალეში ქართველობაში კარგადაა შენახული“ (გვ. 54). „სიმღერა უფრო თათრულია. თუმცა ქართულიც იციან“ (55).

## არალი.

ექვთ. თაყაიშვილის გზადაგზა პროზაული უანრებიც ჩაუწერია. ამის მაგალითს წარმოადგენს ზღაპარი „ბედის მაძიებელი ღარიბი კაციისა“. საწყალმა კაცმა ბედის მწერლებამდე მიადწია, მოიპოვა ნატერის ქვა და კეთილად დაბრუნდა ოჯახში. იქვეა 90 წლის მოხუცის ელისაბედ ქალიძისაგან თქმული ანბანთქება. აი ნაწყვეტი:

ა ავსილხარ ყოვლად წმინდა, ყოვლის მაგალითითა უფლისა.

ბ ბაღა ხარ აყვავებული, სადგომად სული წმინდაო.

გ გაბრთელის ხარებითა მოგველინა ძალი ღვთისა.

დ დედა ხარ იესო ქრისტისა ქალ ზეციერი მამისა... (გვ. 65) (ასე-მ ჰმღე).

ჰ ჰოე რა ტყნალი ხარ, მაღირსე ხილვა, ზეცისა.

ექვთ. თაყაიშვილის დღიურებში გვხვდება წარმართული რწმენის ფიქსაცია:

„შვიდ მაისს თუ არ იწვიმა შეიღჯერ—ახალციხის გლეხობა ცულ ნიშნად თვლის: რძეს რომ გაუროო ის წყალი—მაწონი ხდება, დააყენო და დაიჭირო ჭურჭელში—ძმარი გახდება“ (გვ. 66). გიორგი წმინდა. ზიკილიაში ე. თაყაიშვილს ჩაუწერია ზღაპარი ანა გოგინავას თქმით. ერთი ღარიბი კაცი, სოლომონ ბრძენთან მიდის სამოკამაგიორედ, ათ თუმნად დაუდგება და ხელფასის წილ ჰკუხს ისწავლის (გვ. 68—72). სიუჟეტი ცნობილია.

იქვეა ლექსი, სალომე ნიკიტინის ასული აბრამოვის თქმით ჩაწერილი.

ერთ ვერანა ქვეყანასა, ერთი გლაზა ესახლება,  
გლაზა ასთე გლაზა არის, თაროს ჯამი არ ექნება (73)  
სასულიერო ლექსია. უკავს ჩაოლისმცემელი მონათლავს  
(გვ. 73—77). წ. VI, 1917 წ.

ეს ლექსი არ არის უცნობი, მისი ვარიანტები ხელნაწერებშიც იჩენს თავს. ე. თაყაიშვილს ჩაწერის დროს ალბათ ისიც მოაგონდებოდა, რომ ანალოგიური ტექსტები მან „აღწერილობაშიც“ გამოაქვეყნა (ტ. II, გვ. 291, 11, 392).

„სულიხა და ხორცის ჩხუბი“ (ვახაანება)

ხორცი — მოღოთ ვიღზინოთ,  
აქ გავიხაროთ,  
ქვეყნით ეიმყოფოთ  
ხელმწიფე ვიყოთ.  
ესრეთ ეიმყოფოთ.  
ეს სიამოვნება ჩვენც უავიმშვენოთ.

სული — ამაუ ქვეყნით  
ნუ თუ რა ვპოვოთ,  
მაგ სიხარულით  
რა დავიმშვენოთ...  
ვრცელია (გვ. 78—79)

ამას მოსდევს სასულიერო პოეზიის ნიმუში:  
I. შე ახალგაზრდა ჰაბუკი—ობლობით ვიყავ გაზრდილი.  
რა ავიზარდე პატარა, ვიყავ უფლისა მცნობელი,  
ეაქებდი ღმერთსა ქებულსა, ენა მომეცა კეთილი... (გვ. 78).

ფოლკლორული ტექსტები პირდაპირ დღიურშია შეტანილი. ექვთ. თაყაიშვილი არ გაურბის ვრცელი სიუჟეტის ფიქსაციას. ნიმუში: ზღაპარი „სიზმარი“. ერთი კაცი. იყო სიზმარი ნახა. ადგა და დილაზე დედას უთხრა: დედა, სიზმარი ვნახეო. დედას გაუხმა პირი, არ უთხრა „კეთილი იყოს“... (გვ. 80). სიზმარი მეცხვარემ იყიდა... თხრობა საინტერესოდ ვითარდება, იქვე მთქმელის ხელითაც არის რამდენიმე აბზაცი შესრულებული. რატომ მოიქცა შემკრები ასე? ალბათ მთქმელის განსწავლულობისა და მანერის საჩვენებლად.

6 ივნისს ე. თაყაიშვილი ახალციხეშია. როგორც ყველგან, აქაც ეძებს სიძველეებს, ათვალეობებს ძეგლებს, იღებს წარწერებს, მერე რუსთავისაკენ მიეშურება.

ექვთ. თაყაიშვილის № 27 კოლექციის № 1035 ნომრის ქვეშ წარმოდგენილია გაბრიელ ნათენაძის ნათქვამი ლექსები: „იმედო წახვალ დილითა“, „საყვარელო სანატრელო“ (619) და სხვ. იქვეა ვრცელი „ბეჟანიანი“ (გვ. 652—654). ანა მესხიძის თხრობილი „როსტომიანი“ (გვ. 255). შემდეგ ზღაპრები: 1) აღმოსავლეთის ხელმწიფე (გვ. 666); 2) მამის ანდერძი (გვ. 670); 3. [ნაციმპირალი] (872); 4. [გაქვავებული აბანო] (673). 5. [აჭარელთა მოსვლა] (675); 6. [ხელმწიფის სამი ქალი და სამი ვაჟი], ქალაღდი და ფანქარი, ხელი იგივეა, რაც მესხეთ—ჯავახეთის დღიურებში. ამიტომ ეს უთარილო ყდა ჩვენ 1917 წლის მაისს-ივნისის ექსპედიციის მასალებს უნდა მივაკუთვნოთ.

ზემოთ წარმოდგენილი ცნობები უეჭველი საბუთია იმისა, რომ ექ. თაყაიშვილი ექსპედიციებსა და მოგზაურობებში, ქართული კულტურის სხვა ნიმუშებთან ერთად, ფოლკლორულ ტექსტებსაც ჰკრებდა. ცხადია, ამ განცხადების დროს მისი მოგზაურობის ძირითადი მიზანიც უნდა გავითვალისწინოთ; იგი სპეციალურად ფოლკლორის შესაკრებად არასოდეს არ მიდიოდა.

ექვთ. თაყაიშვილი ფოლკლორის კოლექციონერიც იყო. მის პირად არქივში შემორჩენილია სხვა პირთა მიერ შეკრებილი ნიმუშები. ზოგი მათგანი საყურადღებოა და თანაც უცნობი. ასეთია დავით ლეონიძის ჩანაწერები ერეკლე მეორისა და მისი მსახულის ცხოვრებიდან. ზედმეტი არ იქნება გავცნოთ ერთ ტექსტს, რომელიც სხვა გადმოცემის მიხედვით ოჩხარის ჩვეულებას უკავშირდება, მრავალ ვარიანტად არის ჩაწერილი აღმოსავლეთ საქართველოში და გამოქვეყნებულია თვით თაყაიშვილის რედაქციითაც „ძველ საქართველოში“. ჩანს, აღრისდელი საწესჩვეულებო ლექსი კონკრეტულ გარემოში გადაშუშავდა და საქართველოს მეფისა და ჯავახელი მწყემსის პაექრობის ხასიათი მიიღო.

ერთხელ მეფე ერეკლე ჯარით ჯავახეთის მთაზე მიდიოდა და დაინახა მახლობლად დღეი ჯოგი და ცხვრის ფარა. ბრძანა, რომ ძროხები და ცხვრები ეყიდათ და ჯარისათვის სადილი დაემზადებიათ. მეჯოგემ უარი თქვა გაყიდვანზე. „მე მეფეს არაფერს მივიცილო და თუ გამაბედნიერებს თავის მობრძანებით ჯარინა და ჩემს პურ-მარჩის იკადრებს, შესაფერისად ვემსახურებო“. ირაკლის მოახსენეს მწყემსის — „ჯავახის“ პასუხი და მიიღო სიამოვნებით მისი პურ-მარჩი. მწყემსმა, გვარად ზურაბიშვილმა, დაკლა მრავალი ძროხა და ცხვარი და გაუმასპინძლა მეფეს. ირაკლიმ უბრძანა მდივანს სიგელი დაეწერა. დაუბახეს მწყემსს და წაუთხოვეს სიგელი მეფის წყალობისა, რომელიც მწყემსმა დაჩოქვით მოისმინა. ამ სიგელით მეფემ უბოძა მწყემსს აზნაურობა. მწყემსმა იფიქრა: „ცალიერი აზნაურობა რად მინდა, ეს მთა რომ ებოძა კიდევ, კარგი იქნებოდა“ და ნოახსენა:

მეფე უ. მწყემსის ცხოვრება სუველამ იცის მთა არის.  
შეიდი აასუ ცხვარი მყავს, ექვსი ათასი თხა არის;  
შეიდასა ძროხა მეწველი, ხარი კამეჩი სხვა არის.  
მე ასე სარჩოდ მეკოფის, აზნაურობა რა არის!

ირაკლი მიხვდა. რომ მწყემსი მთასაც თხოულობდა და უბრძანა მდივანს, ისეც ჩაეწერა სიგელში:

„ჯავახი არის, ბრიყვობსო.  
ეს მთაც მაგისი იყოსო!“.

(ე. თაყაიშვილის კოლექც. № 1074 ხელნაწერი. ჩაწერილია დავით ლეონიძის მიერ. უთარილო).

ექვთ. თაყაიშვილი ზეპირსიტყვიერებას უად ხელისშემწყობად მოეველინა. როგორც ქვემოთ ვნახავთ. დროთა განმავლობაში, აკაკი წერეთლის განწყობილება მასაც დაეფუტა. პირველყოვლისა თვითონ აკაკისთან სიხალისისა გამოვფიქრობ; „აკაკის კრებულის“. „ძველ საქართველოს“ ერთგვარ წინამორბედთაც შეიძლება ჩავთვალოთ ბევრ რამეში. საისტორიო—საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებისთანავე ექვთიმემ შემოიკრიბა იმდროინდელი ფოლკლორის ტიპის პლეადა. ზოგი დამოუკიდებლად მოდიოდა დამახილის გარეშე, ზოგს თვითონ საზოგადოების თავმჯდომარე ეძებდა, ითანხმებდა, აძლევდა დავალებებს. ამ მხრივ დამახასიათებელია ვაჟას ისტორია. რაც უშუალოდ ე. თაყაიშვილის ინიციატივიდან გამომდინარეობდა. ექვთიმე ვაჟას პეტერბურგში სტუდენტობის დროიდან იცნობდა იმ ხანებში ახალგაზრდა ფშაველი ჰაბუკი ყველას ანკვირებდა არა საკუთარი ლექსებით, არამედ ფშაველურული პოეზიის დიდძალი

ნიმუშების ზეპირი ცოდნით. შემდეგში 80-90 წ. წ. პოეტმა ეს ცოდნა უხვად გამოიყენა ეთნოგრაფიულ წერილებსა და ნარკვევებში, და მთის ფოლკლორის შეუღარბელი მცოდნის სახელი დაიმკვიდრა. სწორედ ამიტომ ამოიღო მიზანში ექვთ. თაყაიშვილმა ვაჟა. მეცხრე ათეულს მიახლოებული მსცოვანა მეცნიერი ასე იგონებს ვაჟასთან ურთიერთობის ერთ ეპიზოდს.

„შემდეგ როდესაც მე დავაარსე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება,—ამბობს ე. თაყაიშვილი,—ჩვენ შევუღლებით სხვათაშორის სახალხო პოეზიის შეკრებას და გამოქვეყნებას. გვინდოდა შეგვეკრიბა დაწვრილებითი ეთნოგრაფიული მასალები საზოგადოთ მთიელთა ცხოვრების შესახებ, და განსაკუთრებით ფშავ-ხევსურების შესახებ. მე ვთხოვე ვაჟა-ფშაველას: ამას შენზე უკეთესად ვერაინ ვერ შეგვიდგენს, გასამრჩელოს მოგართმევთ რა თქმა უნდა, შეგვიკრიბე ასეთი მასალა შეთქი. ასე, რომ ჩვენ ვიცოდეთ ცხოვრების ყველა პირობები ფშავ-ხევსურებისა დაბადებიდან დაწყებული სიკვდილამდის, მათი ზნე-ჩვეულებანი, მისწრაფებანი, ხასიათი და ცხოვრება. მანაც დამპირდა და რამოდენიმე ხნის შემდეგ მოგვიტანა შესანიშნავი მოთხრობა „ფშაველი და მისი წუთისოფელი“, რომელიც დაიბეჭდა „ძველი საქართველოს“ მეორე ტომში. ეს მოთხრობა შესანიშნავი პოეტური მოთხრობაა, რომელსაც თან ახლავს მრავალრიცხოვანი ფშაური ლექსები და ანდაზები. ხევსურეთის შესახებ ასეთი მოთხრობის დაწერა საუბედუროდ მას არ დასცალდა“ (ხელნაწ. ინსტ., თაყ. 701, გვ. 99—100).

მართლაც, შესანიშნავი ეთნოგრაფიული მოთხრობაა „ფშაველი და მისი წუთისოფელი“. იგი მცირე ენციკლოპედიას წარმოადგენს მისთვის, ვინც საქართველოს ამ შესანიშნავი კუთხის გაცნობას მოიხურავებს. მოთხრობას თან ახლავს ხალხური ლექსები, რომელთა რიცხვი პოეტმა ახალ გამოცემაში ორით გააძლია („ხალხური სიტყვიერება“, 1, 1916).

არსებობს უტყუარი ცნობები, რომ აკაკი წერეთელი მაღალ შეფასებას აძლევდა ექ. თაყაიშვილის ფოლკლორისტულ საქმიანობას და დიდი ნდობით ეპყრობოდა საზოგადოებას, რომელსაც ექვთიმე წინამძღოლობდა. აკი დიდმა მგოსანმა თავისი ქონება ანდერძით ამ საზოგადოებას დაუტოვა! აკაკი წერეთელი საზოგადოების პირველი საპატიო წევრი იყო (იხ. 1909 წლის სია, „ძვ. საქ“, 1, 1909); 1913 წელს საპატიო წევრად აკად. ნ. მარიც იქნა არჩეული (ძვ. საქ., IV. № 76). დიდი მგოსანი საზოგადოების სახელით მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა მხარეში და ზეპირსიტყვიერების შეკრებას ქადაგებდა. ე. თაყაიშვილს ეკუთვნის შესანიშნავი მოგონება, რომელიც პარიზიდან დაბრუნების შემდეგ ფოლკლორზე საუბრის დროს მას ჩვენთან ზეპირადაც გამოუთქვამს, მხოლოდ არ ვიცი, მოგონება მაშინ დაწერილი ჰქონდა, თუ გასაფორმებლად ამზადებდა.

ალვადგინოთ მეხსიერებაში ე. თაყაიშვილის მოგონების ეს თავისი ფორმითაც საყურადღებო ეპიზოდი.

„აკაკი მოვიდა ჩემთან მეორეჯერ 1911 წელს და მითხრა: რამდენადაც მე გავეცანი და ვიცნობ ხალხურ პოეზიას, ჩვენისთანა ხალხური პოეზია და ფოლკლორი სხვა ხალხს იშვიათად\* აქვს და შენ დიდი სამსახური მიგიძღვის, რომ ბევრი მასალა გამოაქვეყნე თქვენს საისტორიო და საეთნოგრაფიო ორგანოში,

\* მეორე ხელნაწერშია, თაყ., 698, გვ. 94.

„ძველ საქართველოში“. მაგრამ ეს მასალა აუარებელია, ამოუწურავია და გაასკეცებული მუშაობა უნდაო. მინდა ამ საქმეში დაგეხმაროთ და მოწმობა მომეცი, რომ მე თქვენი საზოგადოება მაგზავნის კახეთში, სახალხო პოეზიის შესაკრებად, ფულსაც შეგიკრებთო, მითხრა. მე როგორც მოგახსენეთ, სიცოლით შევხვდი ამ წინადადებას და უთხარი: „თუ ღმერთი გწამს, აკაკი, მაგას მე ნუ დამავალებ, თორემ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდები მეტი. შენ მთელი საქართველო გიციობს და მის უგვირგვინო მეფეს გეძახის, ექვთიმე თაყაიშვილმა უნდა მოგცეს შენ მოწმობა, გააცნოს შენი თავი საზოგადოებას და გაგიკეთოს რეკომენდაცია?! მე ხომ სასაცილოდ ამიგდებენ და იტყვიან: ეს, როგორ გაკადნიერებულა თაყაიშვილი, და ჩვენ გვასწავლის, ვინ არის აკაკი და როგორი პატივით უნდა მივიღოთ იგი.“

აი ასე იცი შენაო,—მითხრა,—შენ რა გენაღვლება, მე ასეთი თქვენი მოწმობა გამომადგება, ჩემი ხალხს არაფერი სჯერა. აკაკიმ ლექსის წერის მეტი არაფერი იცისო, შენ სერიოზული კაცი ხარ და მე შენს მოწმობას გამოვიყენებო. მე უთხარი: დიდის სიამოვნებით, მაგრამ სიცილს მაინც დამაყრიან მეტი. დიდი ფული ჩვენ არა გვაქვს რომ მოგართვათ, 100 მანეთს მოგართმევთ, თუ გეყოფათ ეს წასასვლელად მეტი.—თავსაყარად მეყოფაო, მითხრა,—მეტი არ მინდაო“.

დაუწერეთ ჩვეულებრივი მოწმობა და მივეცი 100 მანეთი. ამას გარდა მე მივიწერე ყველა ჩემს მეგობრებს თელავში განსაკუთრებით ვასილ კახიძეს, რაფიელ ერისთავის საძეს, პალატონი ინსპექტორი იყო, რომ ჩვენმა დიდმა მგოსანმა ასე განიზრახა ეს საქმე და გთხოვთ დიდის პატივისცემით შეხვდეთ, კარტი ეთამაშოთ და უსათუოდ წააგოთ მეტი. წაიყვან—წამოიყვანოთ სხვადასხვა სოფლებში და კმაყოფილი დააბრუნოთ მეტი.

მართლაც, დიდის ამბით შეხვდენ. რა თქმა უნდა, აკაკის და პატივი არ დაუკლიათ. თქმა არ უნდა, აკაკის ჩემთვის არაფერი არ მოუტანია და არც ჩვენ გვიკითხავს რამე ამ საქმის შესახებ“ (ხელნაწერების ინსტ., თაყ. 701, გვ. 86—87).

აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და მესხი კ. გვარამაძის მაგალითები, ვფიქრობ, საკმარისია იმის წარმოსადგენად თუ რა დამოკიდებულებაში იყო ექვთიმე მშობლიური სიტყვიერების მოამაგებთან და როგორ ცდილობდა იგი მათ წახალისებას. შემკრებლობით მუშაობაში ჩაბმასა და გამოყენებას.

ექ. თაყაიშვილს საყურადღებო დაკვირვებები მოეპოვება როგორც ცალკე საკითხების, ისე მთლიანად ხალხური სიტყვიერების შესახებ. ეს მისი მოსაზრებანი გაფანტულია სხვადასხვა ადგილას, საჭიროა მათი შეკრება. ჭერჭერობით მხოლოდ უმთავრესზე მოგახსენებთ.

პირველყოვლისა ექ. თაყაიშვილი ქართული მითოლოგიის მკვლევარია. მას გარკვეული მოსაზრებები აქვს გამოთქმული წარმართული პანთეონის შედგენილობაზე, მის ცალკეულ ღმერთებზე. ქართული წარმართობა განხილული აქვს იღმოსავლეთის მითოლოგიისა და რელიგიების ფონზე. მისი აზრით, ქართველები დასაწყვიდანვე თაყვანს სცემდნენ ასტრალურ ღმერთებს, მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს. მათ შორის უმთავრესი ადგილი მთვარეს ეჭირა.

იმ შორეული ხანიდან დღემდე მოღწეულია თქმულებების ჯგუფი, რომელიც უმთავრესად ამირანს შეეხება. ექ. თაყაიშვილი ქართველთა ამ ეროვნულ გმირს დიდი ინტერესით აკვირდება და ზოგ შემთხვევაში ახალ მოსაზრებებსაც გამოთქვამს. მისი შრომა პარიზის პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს და ძირითადად გასაზიარებელია ამირანოლოგიის თანამედროვე საფეხურზეც.

მიჯაჭვული გმირის შესახებ ექ. თაყაიშვილი ამბობს:

„ამირანი გმირი და ღვთაებრივი თვისებებით დაჯილდოებული პიროვნებაა. ოქროს კბილი აქვს. დალის და სულ-კალმანის შვილია. ბადრი და უსუპი. ძმები არაა ამირანისა, არამედ ძმობილები.“

„თქმულება ამირანზე გვიხატავს ძველ წარმართობის დროინდელ ღვთაებას და ეს თქმულება, როგორც ვიცით, დიდად გავრცელებული იყო საბერძნეთში პრომეთეოსის სახით და თვით ბერძნები ამ თქმულებას უკავშირებდნენ კავკასიას. ამირანის თქმულებას ჩვენში ბევრი ვერსია აქვს. უფრო ჭკუაზე აბლოა სვანური თქმულება, რომლითაც ამირანი მონადირეობის ქალღვთაების და მონადირეს სულ-კალმანის შვილია. ამირანს ზოგიერთი თქმულების თქმით ძმები ყავს, ბადრი და უსუპი, მაგრამ ეს მერმეა შეტანილი თქმულებაში ამირან-დარეჯანიანის გავლენით“

ცხრათა ფრინველთა მხარგრძელთა ალგეთის ქალა ვაექნა,

უძმოსა, უმამისძმოსა ამირანს თავი მოეკლა.

უსიპს წინეთ პირქუში რქევეია. პირქუში ხევესურებს ღმერთად მიაჩნიათ.

ს. ბაცალიგოში პირქუში ძლიერ ხატად ითვლება. ამირანი იტაცებს კამარ-ქეთუ-ქალს, ღრუბელთა ბატონის ასულს. ამირანი ისე გაამაყდა, რომ თავის ნათლია ქრისტე ღმერთი გამოიწვია საჭიდაოდ. ამისთვის დაისაჯა ამირანი, მიჯაჭვულ იქმნა კლდეზე, და თანაც დაბმულ ამირანს თოვლიან-ყინულოვანი გერგეტი და ყაზბეგის მთა დაეხურა.

„ამირან-შავსა ღრუბელსა აავდროთ გამზადებულსა ვავს, საცერივით თვალეზი აქვს ანუ საცრის ოდენა თვალეზი აქვს. ამირანი არ მოკვდება თუ ნეკა თითს არ მოჭრიან. ამირანი ქრისტეს ნათლული იყო, სხვანაირად თვითონ ღმერთის ნათლულია. ასეთი ღონიერი იყო, რომ მიწას უძძიმდა მიი ტარება. ამირანი კეთილი გმირია. ბოროტ სულებთან მებრძოლი. მან შავი ვეშაპი, ქარ-ცეცხლი მოკლა, პირცეცხლი ხატია“ (ხელნაწერთა ინსტ-ი. თაყ. 757; გვ. 13).

ექვთ. თაყაიშვილი კონკრეტული ანალიზის საფუძველზე საყურადღებო ზოგადი ხასიათის დასკვნამდე მისულა. ხალხის ფართო მასების ზეპირ მესხიერებას, უნარი შესწევს დიდი ხნის მანძილზე შემოინახოს ერთხელ შეთვისებული ნაწარმოები. შესაძლებელია ხალხს ავტორის ვინაობა დაავიწყდეს, მაგრამ ტექსტი მაინც არ ქრება, უკვალოდ და საუკუნეებს უძლებს. ამ პროცესში ისიც ხდება, რომ წერილობითი ძეგლები გამოაჩენენ უკვე დავიწყებულ ავტორებსა და მათ ნაწარმოებებს. მაშინ ირკვევა, რომ ფოლკლორის მიერ შემონახულ ძეგლს ინდივიდუალური ავტორი ჰყავს და არ განეკუთვნება ე. წ. ანონიმურთა წყებას. ნათქვამის ტიპიურ მაგალითად მკვლევარს დავით აღმაშენებლის ეპიტაფია მიაჩნია. მოსალოდნელია ეთერიანიც ასეთივე ბედის აღმოჩნდესო, რომელიც მთლიანი სახით ვეფხისტყაოსნის შესაღარებელ ნაწარმოებად ესახება მკვლევარს. აღნიშნული მოსაზრებანი ექ. თაყაიშვილს 1915 წელს აქვს გამოთქმული, და რადგან დაბეჭდილი არსად შეგვხვდებოდა. საარქივო მასალების ძიხნდვით გავაცნობთ მკითხველ საზოგადოებას.

„ეშვებარეშეა, რომ სახალხო პოეზიამ იქონია დიდი გავლენა ჩვენს საუკეთესო პოეტებზე და მწერლებზე. მაგრამ იმავე დროს უველა საუკეთესო ნაწარმოები ჩვენი ლიტერატურისა გადავიდა ხალხში. ჩვენ მოგვეპოვება ჯერ ნაწყვეტებად შეგროვილი ხალხური ვეფხისტყაოსანი. როსტომიანი, ბეჟახიანი, ამირან-დარეჯანიანი და სხვა, მაგრამ კარგად რომ გამოვიკვლიოთ და სრულად შევკრიბოთ ხალხური პოეზიის ნაშთები, შეიძლება აღმოჩნდეს ბევრი ისეთი ნა-

წარმოები, რომელიც ერთ დროს ყოფილა, ავტორის ვინაობაც სცოდნიათ, მაგრამ ჩვენამდის არ მოუღწევიათ და ავტორის სახელი გამქრალა, ხოლო მისი ნაწარმოები. თუ არა სრულად. ნაწყვეტებად მაინც ხალხურ პოეზიას დაუტყვეს. ამის უტყუარ საბუთს გვაძლევს ჩვენ მიერ პოენილი „ხელმწიფის კარის ვარიეტეტი“. ვის არ გსმენიათ ხალხური ლექსი-სიმღერა, რომელსაც ზოგნი თამარ მეფის ეპიტაფიას უწოდებენ, ზოგნი დავით აღმაშენებლისა.

როს ნაწარმავეს მეფენი შვიდნი მე პურად დამესხნეს,  
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღუართა გარე გამესხნეს,  
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,  
აწე ამისა მოქმედმა გულზეჲან ხელნი დამესხნეს.

„ხელმწიფის კარის ვარიეტეტი“ გვამცნევს, რომ ამ ლექსის ავტორი ყოფილა ქართულ ისტორიაში კარგად ცნობილი დავით აღმაშენებლის თანამედროვე არსენ იყალთოელი, ხოლო არ ვიცით, ეს განცალკევებითი ლექსია თუ ნაწყვეტი მთლიანი პოემისა. ჩვენს აღმოჩენილს „ხელმწიფის კარის ვარიეტეტის“ ავტორი ეკამათება უცნობ ავტორს, რომელსაც არ ეთანხმება ცნობაში, თუ როგორ დასვან პურობის დროს გარეშე სახელმწიფოს მეფენი, როდესაც ესენი ესტუმრებიან საქართველოს მეფეს, ერთად თუ ცალ-ცალკე, და დავითის აზრის გასამართლებლად არსენ იყალთოელის ავტორიტეტზე მიუთითებს და ამბობს...

აქედგან კარგად ჩანს, ზოგიერთს ჩვენამდის მოღწეულს სახალხო ლექსებს თავისი ცნობილი ავტორები ყოლა, მაგრამ მათი სახელი აღარ დაცულა, ხოლო თვითონ ნაწარმოები ჩვენს ხალხს არ დაუვიწყებია. კარგად რომ გამოიკვლიოს, (იქნებ) დარწმუნდეს, რომ აბესალომ და ეთერის ამბავი ერთი მთლიანი პოემა იყო რომელიმე პოეტისა და ეს დაიკარგა, მაგრამ სახალხო პოეზიამ ჭერჭერობით მხოლოდ ნაწყვეტები შეგვინახა. ნაწყვეტები დიდებული რამ არის. თუ ეს პოემა აღმოჩნდა და მთლიანად ჩაიწერა ვეფხისტყაოსანს არ ჩამოუვარდებია. მხოლოდ ჭერხანად მთლიანად არავის ჩუწერია. მაგრამ მე მაგალითებს არ გამოუდგები. ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩვენს დიდებულს მგოსანს აკაკის ზედმიწევნით ჰქონდა შეგნებული მნიშვნელობა სახალხო პოეზიისა და ეს მან ბეჭდვითი სიტყვიერება გამოსთქვა“.

ამ ვრცელ ამონაწერში ყველაფერი ნათლადაა ნათქვამი და განმარტება აღარ სჭირდება. ამ თვალსაზრისითაც ქართული ზეპირსიტყვიერება მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. მასში დაიწყოებული და დაკარგული ავტორების აღმოჩენა არის შესაძლებელი. ეს დებულება არც მოულოდნელი და არც გასაკვირია. ასეთი შემთხვევა სხვაც არსებობს. მაგალითად, ფშაველი მელექსე ქალის ხვარამზის ბედი, რომლის ავტორობა დადასტურებულია, მაგრამ მისი შემოქმედება კვლავ ფოლკლორის სფეროში რჩება.

ლიტერატურულ-ფოლკლორული ურთიერთობის თვალსაზრისით ექ. თაყაიშვილს ყველაზე მკვეთრად თავისი დამოკიდებულება აკაკი წერეთლის შემოქმედების მიმართ აქვს ჩამოყალიბებული. აკაკი მისი აზრით, ფოლკლორულ გარემოშია ამოზრდილი და თუ არა ეს უკანასკნელი, ისე აკაკი „აკაკი“ არ იქნებოდა. რევოლუციამდელ კრიტიკაში ჩვენ ნაკლებად გვეგულება თაყაიშვილისებურად ნათლად გამოთქმული აზრები მგოსნის ეროვნულ სიტყვიერებასთან ორგანიული კავშირის თაობაზე. აკაკის გლოვის დღეებში დაწერილ სიტყვებს დღე-



ისათვისაც არ დაუკარგავს თავისი ბრწყინვალეობა. ამიტომ თავს ნებას ვაძლევთ ვრცლად ვადმოვსცეთ აკაკის გარდაცვალების 40-ზე წარმოთქმული სიტყვები. ბევრი საყურადღებო აზრია ჩაქსოვილი მათში.

„ეს თვე დიდებულის მგოსნის აკაკის გლოვის თვე არის. მისი სიყვარულით გაერთიანებული საქართველო გლოვობს თავის საუკეთესო შვილს. ყველას სურს სიტყვით თუ კალმით გამოხატოს ძისი ღვაწლი სამშობლოსადმი, გაგვივალისწინოს მისი სამსახური, საცხებით დაგვიხატოს მისი სურათი, მაგრამ ამაოდ! ყველა გრძნობს. რომ ვერ უთქვამს ის. რისი თქმაც უნდოდა; ოდნავათაც ვერ დაუხატავს, ის, რისიც დახატვა სურდა. ხოლო როდესაც ჩვენი მგოსნის სახელს ვახსენებთ ხოლმე, მის სპეტაკ სახესთან ერთად თვალს წინ გვეშლება დიდებული სურათი. ეს სურათი რთულია. ამ სურათში ჩაქსოვილია მთელი საქართველოს ნახევარი საუკუნის ისტორია, მისი თვითშეგნების განვითარება, ერთობის ქადაგება, მამულის სიყვარული, საუცხოვო პოეზია და დიდებული ენა. საუცხოვოა ეს სურათი, რომელსაც ყველა გრძნობს, ყველას თვალწინ უძევს, მაგრამ არავის ძალუძს სიტყვით ვადმოვცეცს, კალმით დაგვიხატოს. ასეთია საიდუმლოება ხალხის სულმნათისა, ხოლო ორი რამ თვალსაჩინოდ სჭარბობს ამ სურათში, სიმშვენიერე პოეზიისა და სიეკელუცე ენისა. აკაკის ენა! ეს ის ენა არის, რომლის ყველას ეშინოდა და ამავე დროს ყველას უყვარდა! ეს ის ენა არის, რომელიც ყოველთვის გულს მოგვხვდება ხოლმე და საუკეთესო გრძნობებს აგვიშლის. ეს ის ენაა, რომელიც ყოველთვის აგვაფრთხილებს.

ეს ის ენაა, რომელიც ყველას ერთგვარად ესმის, დიდა და პატარას, გლეხს და მუშას, განათლებულს და გაუნათლებელს. ეს ენა განსპეტაკებული ხალხური პოეზიის ენაა. ხალხური პოეზიის შვილია. მისებრ მსუბუქია: ხან ნაზია, ხან ჯადოქარია, მაგრამ ყოველთვის საყვარელია, ყოველთვის მომხიბლავია. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ აკაკის ღედის ძუძუსთან ერთად ხალხური პანგები არ შეეთვისებია, ხალხური ზღაპრები, ლექსები და არაკები არ ჩანერგოდა გულში, აკაკი ჩვენთვის „აკაკი“ აღარ იქნებოდა, ქართული პოეზიის ქურუმად და ენის მეფედ ვერ გამოდგებოდა მე არ ვიცი ხალხურმა პოეზიამ შეიპყრო აკაკის სული და გული, თუ აკაკიმ შეიპყრო და შეითვისა ხალხური პოეზია, მაგრამ, ცხადია, ესენი ერთმანეთში გაითქვიფენ და საუცხოვო რამ წარმოშვეს, აკაკის პოეზია და ენა შექმნეს. ამიტომ იყო, რომ ხალხური პოეზიის მნიშვნელობა ისე კარგად არავის არ ჰქონდა შეგნებული, როგორც აკაკის.

ქართული ხალხური სიტყვიერება დაუშრეტელი ზღვა არის, რომელიც კოვზით არ ამოიწურება. ამ ზღვაში ათასი აკაკისებური პოეტის ნაწარმოებია გალესილი, მთელი ქართველი ერის ისტორიაა შერთული, მასში იხატება ჩვენი ხალხის სიბრძნე, გონების სიმკვირცხლე. მსოფლიოს თვალსაზრისი, მისი სულისკვეთება სიმღერა და გალობა. ვლოვა-გოდება, ზნე-ჩვეულება და შემოქმედებითი ნიჭი. ყველაფერი ეს ღრმად შეგნებული ჰქონდა ჩვენს დიდებულ მგოსანს.

აკაკი გრძნობდა თავის შემოქმედების ძირითად კავშირს ხალხურ პოეზიასთან და სულ იმის ცდაში იყო, როგორმე საფუძველი ჩაეყარა ხალხური პოეზიის შეკრებისათვის. საფუძველი თავის პოეზიისა გაეცნო ჩვენთვის. ამ მიზნით „კრებულები“ კი დაასა. პირველ ნომერში ამ „კრებულისა“ (№ 1 სექტემბერი, 1897 წ.), საუცხოოთ განგვიმარტა მნიშვნელობა ზეპირსიტყვიერებისა. ლექციებიც გვიკითხა, ზოგი რამ კიდევაც დაბეჭდა, მაგრამ საჭირო დახმარება ჩვენში ვერ

პოვა. გვიქადაგებდა, გვიხსნიდა ამ პოეზიის სიდიადეს, მის მნიშვნელობას და ვგებოდა ხელი გაგვემართა მისთვის, დაეხმარებოდით და ხალხური პოეზიის შეკრება მოგვეწესრიგებინა. მაგრამ ამაოდ! აქაც ჩვენი გულგრილობა გამოვიჩინეთ. ვაშა, ვაშა ბევრი ვუძახეთ ლექციების შემდეგ. მაგრამ სახსარი კი ვერ მივაწოდეთ, დახმარება ვერ აღმოუჩინეთ.

როდესაც „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“ დაარსდა და ამ საზოგადოების გამოცემაში „ძველი საქართველოს“ პირველ და მეორე ტომში დაიბეჭდა სახალხო ლექსები და ზღაპრები, აკაკის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ეზლა: სიკვდილის წინა დღეებში ჩვენ მივაწოდეთ ჭერ არ დამთავრებული მესამე ტომი „ძველი საქართველოსი“, რომელშიც დიდძალი მასალაა სახალხო პოეზიისა და, როგორც მისმა მომვლელმა და ნების აღმსრულებელმა ბიძა კონსტანტინე აბღუშელიშვილმა გადმოგვცა, მომაკვდავი მგოსანი აღტაცებაში მოსულა და მოუთხოვია წაიკითხვა მისთვის ლექსებისა. ჩვენს სასიქადულო მგოსანს ხშირად უთქვამს, ქართველი ერი არ გაქრება, თუ მისი სახალხო პოეზია არ დაიკარგავი. ჩვენ ვიტყვით: ის ერი არ გაქრება, რომელსაც აკაკი მოევლინა. მაგრამ მისი სახალხო პოეზია შეიძლება გაქრეს, თუ დროზე არ მივეშველეთ და არ შევკრიბეთ. თანამედროვე პირობებში ხალხური პოეზია ისპობა. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში კიდევაც თვალსაჩინოდ გაქრა. ხალხური პოეზია იმასვე განიცდის, რაც არქეოლოგიურ ნაშთებს მოსდის, ერთიც და მეორეც ისპობა. თუ საჭიროა არქეოლოგიური ნაშთების შეკრება და შესწავლა, აგრეთვე საჭიროა ხალხური სიტყვიერების შეკრება, გამოქვეყნება და შესწავლა. როგორც არქეოლოგიურ ნაშთების შეკრებას და შესწავლას ესაჭიროება მომზადებული პირები, ისე სახალხო პოეზიის შეკრებასაც ესაჭიროება სპეციალურად მომზადებული ადამიანები.

აკაკის სწორედ ჭავრად ჩაყვა სამარეში, ვაი თუ ქართული ზეპირსიტყვიერება დაიკარგოსო. რომ ეს არ მოხდეს, ჩვენ საზოგადოებას ანდერძათ დაგვიტოვა ამის შესახებ ზრუნვა და თავისი ავლადიდება ამ საქმის განსახორციელებლად გვიანდერძა. როგორც ჩვენს საზოგადოებას, ისე მთელ ქართველ ერს ვალად აძევს პირნათლად შეასრულოს ეს ანდერძი.

ხელი მიჰყვამ ამ საქმეს და პირველი მაგალითებიც ვეჩვენა. აკაკის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. იმედი მიეცა, რომ ამ დიად საქმეს ეშველებოდა და ვალად დასდო საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ამ საქმის სისრულეში მოყვანა. მას უანდერძა მთელი მისი ნაწირნახულები, მთელი აწ ჩვენგან სათაყვანებელი მისი ნაწარმოებები და თქვენ ვალად დაგდოთ. სხვა თუ არა. გვირგვინების ნაცვლად მაინც ამ საქმისთვის ჭეროვანი თანხა შეაგროვოთ. საქართველოს ერის წარმომადგენელნი, აკაკის ცხედარს გაფიცებთ, ნუ უმტყუნებთ ამ ანდერძს. მოგვეხმარეთ, მოგვეცით საშუალება ეს უკანასკნელი ანდერძი მაინც შეუსრულოთ დიდებულ მამულიშვილს. თუ ამდენხანს არ უჭერებდით, ეზლა მაინც დაუჭერეთ. ჩემს უბრალო სიტყვას გასავალი არ ექნებაო და ნოტარიუსის წესით მოგმართავდათ. გვაძლევთ სიტყვას, რომ ანდერძს უსრულებთ? გვაძლევთ! აი, აკაკი, სიტყვა მოგცეს, აწ და იმედია კიდევ შეასრულებენ“.

(თაყ. 1106).

ექთიმე თაყაიშვილი ჩვენს ზეპირსიტყვიერებაზე საქართველოს გარეშე ყოფნის დროსაც ზრუნავდა. ამ მხრივ საინტერესოა. მაგალითად, მისი ფრანგ არქეოლოგ ბარონ დე ბაისთან დამოკიდებულება, რომელსაც იგი 90-იან წლებში გაეცნო. სწორედ ამ დე-ბაიმ გამოსცა ფრანგულ ენაზე ერთი ქართული კლა-

სიკუთრი სიუჟეტი, რომელიც დიდად მოსწონდა ექ. თაყაიშვილს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მსცოვანმა პეტნიერმა თავისთან მიმიხზო ჩვენი ზეპირსიტყვიერების შესწავლის მდგომარეობის გაცნობის მიზნით. ამ შეხვედრის დროს როგორც კი საუბარი ზღაპრებს შეეხო, მაშინვე მაგიდიდან პატარა წიგნაკი აიღო, პოემა „როსტომელას“ სახელწოდებით. გადმოძეა და მთხოვა—გამიგე ეს ამბავი საიდან აქვს აღებული გამლექსავსო. პოემის ტექსტის წყაროს განსაზღვრა სიძნელეს არ წარმოადგენდა და იქვე მოვახსენე. შემდეგ ვარიანტების გაცნობა დამავალა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ეს დავალება ხალისით შევასრულეთ. ამ მოხსენების მომზადებასთან დაკავშირებული მასალების ძებნის დროს, ვნახეთ, რომ ჩვენს მიერ გადაცემული ვარიანტები ექ. თაყაიშვილის კოლექციაში მოხვედრილა და ხელნაწერების ინსტიტუტშია დაცული (თაყ. 1908).

„როსტომელა“ და მისი ციკლის ზღაპრები უკვდავების მძიებელი ჭაბუკის თავგადასავალს გვაცნობს. სიუჟეტის პირველი ჩანაწერი მე-17 საუკუნის ქართულ ხელნაწერთა შორის აღმოჩნდა იტალიაში. უსახელო ქართველი ჭაბუკი დიდხანს ეძებდა უსიკვდილო ქვეყანას, ბევრი იარა, მაგრამ თურმე მიწა ყველგან თავისას მოითხოვდა. ზღაპრული ჭაბუკი უცხო მხარიდან სამშობლოში დაბრუნდა და მამაპაპათა სამკვიდრებელზე აღესრულა. ექ. თაყაიშვილს ამ გილგამეშისეული ზღაპრის მოკლე შინაარსი საკუთარი ხელით შეუდგენია. ზღაპრული გმირის ბედის მძიებლობა ჩვენ ნაწილობრივ სახელოვანი მეცნიერის ცხოვრებასაც მოგვაგონებს. აქი ექვთიმე თაყაიშვილმაც ბოლოს თავისი ქვეყანა მოძებნა და აქ მიუძღვნა მიწას თავისი.

## ეკთიმე თაყაიშვილი და ისტორიული გეოგრაფია

ეკთიმე თაყაიშვილის დამსახურება ქართული ისტორიული მეცნიერების წინაშე მრავალმხრივია. მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა, სხვათა შორის, ისტორიული გეოგრაფიის სფეროსაც შეეხო. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექ. თაყაიშვილის მიერ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში (1894—1920 წ. წ.) საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ქვემო, შიდა და ზემო ქართლი, კახეთი, გურია, სამეგრელო, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი) ჩატარებული ექსკურსიები და ექსპედიციები, რომელთაც საერთოდ ქართულ ისტორიულ მეცნიერებას დიდი ძალი ახალი და არა ერთი პირველხარისხოვანი ძეგლი შესძინეს. ამ ექსპედიციების ვრცელი ანგარიშები ისტორიული მეცნიერების მრავალი დარგის მკვლევართათვის დღესაც დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებს. გარკვეული ფასი აქვთ მათ ისტორიული გეოგრაფიას დარგში მომუშავეთათვისაც.

მაგრამ ჩვენ ამჟამად გვიანტერესებს არა ამ ნაშრომთა ღირებულება საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესწავლისათვის, არამედ თვით ეკთიმე თაყაიშვილის დამსახურება ისტორიული გეოგრაფიის დარგში.

სწორი შეფასება რომ მივცეთ ექ. თაყაიშვილის ღვაწლს ამ სფეროში, აუცილებლად მიგვაჩნია მოკლედ ჩამოვაყალიბოთ ჩვენი საკუთარი შეხედულება ამ საკითხზე.

\* \* \*

ეს ძირითადი და პრინციპული, რითაც ისტორიული გეოგრაფია არსებითად განსხვავდება სხვა ისტორიული დისციპლინებისაგან, და რის გამოც მას აქვს უფლება იარსებოს როგორც ისტორიული მეცნიერების დამოუკიდებელმა დარგმა, ეს არის ის, რომ მისი შესწავლის ძირითადი საგანია გარკვეული ტერიტორია, როგორც ცოცხალი ისტორიული ორგანიზმი; ამ უკანასკნელის მოცულობისა და შინაარსის ცვალებადობის გამოვლენა და ამ ცვალებადობის მიზეზების დასაბუთება ამა თუ იმ საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესში<sup>1</sup>.

უკეთესია აქ ჩვენ ვიხმართ აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ ისტორიული გეოგრაფიის ძირითად ცნებად შემოთავაზებული ტერმინი „ქვეყანა“, რომელიც ჩვენს სინამდვილეში მოიცავს, როგორც გეოგრაფიულ მომენტს, აგრეთვე — პოლიტიკურსაც.

ამგვარად ისტორიული გეოგრაფიის საგანია „ქვეყნის“ ისტორიული განვითარების პროცესის ჩვენება და მისი მიზეზების დასაბუთება.

<sup>1</sup> საქ. ისტორიული გეოგრაფიის კრებული I, გვ. 8. ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის.

რომ უფრო ცხადივც წარმოედგინათ საქმის ვითარება, აღვნიშნავთ: ისტორიული მეცნიერების არცერთ დარგს ჩვენში (ასე ვთქვათ, „წმინდა“ ისტორიის, არქეოლოგიას, ეთნოგრაფიას) თავისი კვლევის ძირითად საგნად არ გაუხდია „ქვეყნების“ ამგვარი შესწავლა. ასე მაგალითად, რომელ ისტორიულ დისციპლინას დაუსახია მიზნად ისეთი „ქვეყნების“, ისეთი, შორს რომ არ წავიდეთ, ფეოდალური ერთეულების საზღვრების დადგენა, როგორცაა სამშვილდეს, ლორეს, ქართლის ან ცხუმის და სხვ. საერისთაოები; ვინ იცის, მაგალითად, რას წარმოადგენდა აღრეფეოდალური გუგარქი და თვით იგი რა ქვეყნებს შეიცავდა; რას ნიშნავს ის ფაქტი, რომ ეს უკანასკნელი (გუგარქი) ხან მთელ სამხრეთ საქართველოდ წარმოუდგენიათ, ხან მხოლოდ ქვემო ქართლად, ხოლო სულ უკანასკნელ დროს იგი ქვემო ქართლის ერთ პატარა პროვინციადაც კი მიიჩნიეს.

ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ სხვა პრობლემების—სოციალურის თუ ეკონომიურის, არქეოლოგიურის თუ ეთნოგრაფიულის—კვლევისას გზადაგზა ისტორიულ-გეოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია, რომ არცერთ ისტორიულ დისციპლინას დამოუკიდებლად არ ძალძს შეისწავლოს მთელი სიგრძე-სიგანით ისტორიულ-გეოგრაფიული პრობლემა. ის გარემოება, რომ ბევრი ჩვენი ისტორიკოსი კვლევისას იძულებული გამხდარა ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპურსებისათვის მიემართა და რომ მიუხედავად ამისა ძირითადი ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხები ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია. ვიმეორებთ. იმის მაჩვენებელი ფაქტია, რომ ასეთი პრობლემები ცალკე სამეცნიერო დისციპლინას—ისტორიული გეოგრაფიის—საგანია.

მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა.

თუკი ყოფილა ცდები „ქვეყნის“ საზღვრების (ამა თუ იმ საერისთაოს თუ სახევისუფლოს და სხვ.) გამოვლენისა, თითქმის არასოდეს ყოფილა იმის ცდა, რომ ახსნილი ყოფილიყო „ქვეყნის“ ამ კონკრეტული საზღვრების შექმნის მიზეზები და პირობები. და ეს საკვებით გასაგებიცაა: რადგან ეს გარემოება კამოშდინარეობს აღნიშნული მეცნიერების—ისტორიკოსების კვლევის მეთოდოლოგიდან. ზემოაღნიშნული ცდები თითქმის ყოველთვის, მხოლოდ და მხოლოდ, ნარატიულ წყაროებზე იყო დამყარებული და ამა თუ იმ მეცნიერის „კაბინეტში“ ხდებოდა. ხოლო ამგვარი მეთოდი მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ შედეგებს შეიძლება აღწევდეს, ყოველთვის მანკიერია ამ მხრივ. რადგან მისი ლოკუმენტაცია (ანტიკური ან ფეოდალური ხანის ნარატიული წყაროები) სრულიად გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, არ იძლევა საამისო ჩვენებებს და, ყოველ შემთხვევაში, ასეთი მეთოდით მიღებული შედეგები ხელმეორედ შესამოწმებელი ხდება ადგილზე. ისტორიული გეოგრაფია და მისი მეთოდი, როგორც ეს ჩვენ გვესმის, პრინციპულად განსხვავდება კაბინეტური ციებისაგან და პრაქტიკულ ძიებაზეა დამყარებული.

ჩვენ აქ გვინდა ყურადღება შევაჩეროთ იმ მცირე, მაგრამ გარკვეულ გამოცდილებაზე, რომელიც, ამ მხრივ, უკანასკნელი წლების მანძილზე შეიძინა ისტორიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილებამ საველე სამუშაოების დროს. ჩვენ მოვიხსენიებთ კონკრეტულ მაგალითებს ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების პრაქტიკიდან.

1956—1958 წწ-ში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე (მარნეულისა და ბოლნისის რაიონები) მუშაობდა ჩვენი ინსტიტუტის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიცია. ამ ექსპედიციის მუშაობის შედეგად გამოვლენილი იქნა ერთ-ერთი

ასეთი „ქვეყანა“, ისტორიულ გეოგრაფიას რომ აინტერესებს და სხვა რამოდენიმე ასეთი „ქვეყნის“ გამოვლენის რეალური საფუძვლები შეიქმნა. ეს „ქვეყანა“, რომელიც ექსპედიციის მუშაობის შედეგად გამოვლინდა არის სომხური წყაროების „წობოფორი“ ანუ ქართულად „წოფის ქევი“.

ჩვენ იმათივე ვიცილით, იმავე სომხური წყაროების შედეგად, რომ წოფი რომელიდაც აღმინისტრაციული ადრეფეოდალური (თუ უფრო ძველი არა) ერთეულის ცენტრი უნდა ყოფილიყო. ეს ცნობილი იყო აგრეთვე სპეციალური ლიტერატურიდანაც (ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა) მაგრამ არ ვიცოდით რიგინანდ არც თვით ამ წოფის მდებარეობა და მითუმეტეს, მისი „ქვეყნის“ შესაძლებელი ფარგლები.

აღვიწივ ჩასვლისას, როდესაც ჩვენ ნაწილობრივ უკვე მოვიხილეთ ის ხეობა (ბანუშ-ჩაი), რომელშიაც სოფელი წოფი მდებარეობს, გამოიჩვენა, რომ იგი (ეს ხეობა), სრულიად გარკვეულად შემოსაზღვრული და გამოყოფილი გეოგრაფიულად მეზობელი მხარეებისაგან, სოფლის მეურნეობის თავალსაზრისით საესებით თვითმარ ეკონომიურ მთლიანობასაც წარმოადგენს. მას გააჩნია საკუთარი ბარი, რომელიც ინტენსიური მეურნეობის საწარმოებლად ყველა პირობას აკმაყოფილებს და საზამთრო საძოვრებადაც გამოიყენება. (ჩვენმა დაზვერვებმა ეს დაადასტურა: გაველურებულა ვაზი. საწინახელები); მას გააჩნია საკუთარი მთა, აუცილებელი საზაფხულო საძოვრებისათვის, რამდენადაც ბანუშ-ჩაის ხეობა უშუალოდ ლელვარის მთიდან გამოდის; დაბოლოს მას გააჩნია საკუთარი წყალი, ტყე, ქვა და სხვ. უკვე, მაშასადამე, ამ გარემოებამ ჩვენ გვაფიქრებინა, რომ აქ ჩვენ საქმე უნდა გეჭონდეს იმ „ქვეყანასთან“, რომელიც ადრეფეოდალური ხანის სომხურ წყაროებში „წობოფორად“ ანუ „წოფის ქევად“ იწოდება. ხეობის დეტალურმა მოხილვამ, ამას გარდა, აქ ინტენსიური ნაკვალევი გამოავლინა ადრეფეოდალური ხანის ცხოვრებისა. ამან ჩვენი ეს მოსაზრება. ცხადია, კიდევ უფრო გაამაგრა. და ახლა, ჩვენის აზრით, ყოვლად წარმოუდგენელია. რომ დღევანდელი ბანუშ-ჩაის ხეობა არ ყოფილიყო ის „ქვეყანა“ (წოფის ქევი) ანდა ამ „ქვეყნის“ ის ძირითადი ბირთვი, რომლის ნიადაგზედაც წარმოიქმნა წოფი, როგორც გარკვეული ერთეულის ეკონომიური (და პოლიტიკური) ცენტრი.

ამგვარად, ისტორიულ-გეოგრაფიული პრაქტიკული ძიებისას წმინდა ფიზიკურ-გეოგრაფიული დაკვირვების გარდა. ამა თუ იმ მხარის მეურნეობრივ ასპექტსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აქედან გარკვეულ ხანაში ესა თუ ის „ქვეყანა“ გაპირობებულა თვით ამ „ქვეყნის“ ეკონომიური გეოგრაფიით. დაბოლოს, ეს უკანასკნელი ხშირად მიგვაგნებინებს „ქვეყნის“ ეკონომიურ (და პოლიტიკურ) კენტრსაც.

მაგრამ აქ სხვა ფაქტორიც მოქმედებს. აქ მხედველობაშია მისაღები „ქვეყნის“ ისტორიული გეოგრაფიისათვის ისეთი უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორი, როგორცაა გზა. და მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ წოფი, რომლის სახელიც მიიღო მთელმა ერთეულმა, მდებარეობს იმ გზაზე, რომელიც ამ „ქვეყნისათვის“ მთავარ სავაჭრო მაგისტრალს წარმოადგენდა და რომელსაც ადრეფეოდალურ ხანაში მისთვის დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ე. გზა, რასაკვირველია. არ არის ადრეფეოდალური ხანის წარმონაქმნი, რასაც მოწმობს ძველი სამოსახლო ბორცვების და ყორღანების არსებობა ბანუშ-ჩაის ხეობაში და კერძოდ, ზემოხსენებული გზის გასწვრივ.

ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიულმა ექსპედიციამ იმის გარდა, რომ გამოავლინა ერთ-ერთი რეალური ერთეული ადრეფეოდალური ხანის ივერიისა; („წოფის ქვეი“), თავისი პრაქტიკული ძიებისას კიდევ ერთ მნიშვნელოვან შედეგს მიაღწია. საველე მუშაობისას, სხვადასხვა ხანის მეტერიალური ძეგლების მოხილვისას წამოიჭრა ვარაუდი, რომ თუკი ადრეფეოდალურ (და, როგორც ჩანს, მის უწინარეს) ხანაში ბანუშ-ჩაის ხეობის ცენტრი წოფშია და ამიტომ ამ ერთეულს „წოფის ქვეი“ ეწოდება, უფრო გვიან, X ს-დან და ე. ი. განვითარებულ ფეოდალიზმის ხანაში ამ ერთეულის ცენტრი ინაცვლებს იმავე ხეობაში მდებარე სოფ. ხოჯორნიში (ხოჯორნის X ს-ს ეკლესია). ამიერიდან წოფის ციხე პირველობას უთმობს ხოჯორნის ციხეს. ჩვენ ამ ფაქტის არსისა და მიზეზების შესახებ ეხლა სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან სამისო საუბარი სხვაგან გვაქვს (იხ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, 1, 38—39), მაგრამ აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ექსპედიციის საველე მუშაობის შედეგად დადგინდა შესანიშნავი, ასე ვთქვათ, წმინდა ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტი: იმისდა მიუხედავად შეიცვალა თუ არა „ქვეყნის“ საზღვრები, მისი ტერიტორია (ბანუშ-ჩაის ხეობა—„წოფის ქვეი“), ისტორიული განვითარების გარკვეულ მონაკვეთზე იგივე „ქვეყანას“ სხვა სოციალური შინაარსი მიენიჭა, რისი სიმბოლიური გამოხატულებაც იყო, ამ შემთხვევაში, ცენტრის გადასაცვლება წოფიდან ხოჯორნიში. ეს უკანასკნელი ფაქტი, აქვე აღვნიშნავთ, შინაკლასობრივი ბრძოლის მატერიალური დადასტურებაცაა.

ეს ზემოაღნიშნული გარემოება, როგორც ჩვენ ვვარაუდობდით (იხ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, 1, 39); იმიტაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ საერთო სოციალური და პოლიტიკური განვითარების გამო იმ გზას, რომელზედაც წოფი მდებარეობდა ამ დროისათვის თავისთავადი, როგორც სხვადასხვა „ქვეყნების“ დამაკავშირებელი გზის, მნიშვნელობა გაკარგება და ერთი დიდი „ქვეყნის“ შინაგან გზად იქცევა.

გზებს დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნების“ მოცულობისა და ამ უკანასკნელის ცვალებადობის მიზეზების დასადგენადაც.

ასე მაგალითად, 1959—1960 წწ-ის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის განმავლობაში ატენისა და თეძმის ხეობებში. გზებზე და ხეობებში ციხე-სიმაგრეთა განლაგებაზე დაკვირვებამ წამოჭრა საფუძვლიანი ვარაუდი იმის შესახებ, რომ გარკვეული დროიდან თრიალეთი, თეძამი და ატენი ერთი ქვეყანა უნდა ყოფილიყო და, მართლაც, ბაღვაშთა დროს მაინც ეს ხეობები ერთ „ქვეყნად“ გვევლინებიან. რასაც მოწმობენ აქ დაცული მატერიალური ძეგლებიცა და ისტორიული წყაროებიც.

მეორე მხრივ, თორიც (და ჭავჭავთიც) უშუალოდ იყო დაკავშირებული ატენის ხეობაზე გამავალ გზასთან და ეს, შესაძლებელია, ქმნიდეს რეალურ საფუძველს თორელთა აღმოსავლეთისაკენ ექსპანსიის გასაგებად.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია „ქვეყნის“ მთლიანობის გასაგებად ე. წ. „ცხვრის გზები“ ანუ ის გზები, რომლის გაყოლებითაც მოძრაობს ცხვრის ფარა საზამთრო საძოვრებიდან საზაფხულო საძოვრებისაკენ.

ამ მხრივ, საინტერესოა, რომ, მაგალითად, ზოვლეს ხეობას საკუთარი მთა არ გააჩნია და ამდენად იგი დამოკიდებული უნდა ყოფილიყო (და არის კიდევ) თავიდანვე თეძამზე ან ტანას ხეობაზე. ეს გარემოება, ცხადია, გარკვეული დროიდან შექმნიდა ამ ხეობათა დაახლოება—შერწყმის ტენდენციას.

1961 წელს მთა—ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიულმა ექსპედიციამ მისი ზეღმძღვანელის აკად. ნ. ბერძენიშვილის დავალებით საგანგებოდ შესწავლა ერთი ასეთი „ცხვრის გზა“. ამ უკანასკნელის ტრასის დადგენისა და მასთან დაკავშირებული მატერიალური ძეგლების და ტოპონომიკის, აგრეთვე ისტორიული წყაროების მონაცემების გათვალისწინების შედეგად ცხადი შეიქნა, რომ ეს არის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი მაგისტრალი, რომელიც აკავშირებდა აღმოსავლეთ საქართველოს ორ უკიდურეს კუთხეს—კახეთსა და ტაოს. ამასთანავე წამოიჭრა ვარაუდი, რომ გარკვეული დროიდან ეს „ცხვრის გზა“ ძლიერი პოლიტიკური ფაქტორის მნიშვნელობას იძენს, რომელსაც არამცირედი როლი უნდა ეთამაშა აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანების საქმეში.

„ქვეყნის“ მთლიანობის თუ „ქვეყანათა“ დაახლოების ტენდენციის გასაგებად მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ირიგაციას.

ასე მაგალითად, ხოვლეს ხევის ანუ ხევხმელას ინტენსიური მიწათმოქმედება თითქმის მთლიანად დამოკიდებულია (და ძველდაც დამოკიდებული იყო) თქამზე, რადგან აქ მდებარე სოფლების (დოესი, ხოვლე, გრაკალი, ყარაღაჩი, ხანდაცი) მიწები ირწყვის თემიდან გამოტანილი ორი არხით (სიონის რუ, დუს რუ) და ცხადია, რომ ეს გარემოებაც ხოვლეს ხეობას ეკონომიურად დამოკიდებულს ხდის. აქ დგება მთელი რიგი საკითხებისა, რომელთა შესახებაც ჩვენ აქ ვერ ვიმსჯელებთ...

ზემომოტანილი მსჯელობის მთავარი მიზანი იყო გვეჩვენებინა ჩვენი შეხედულება ისტორიული გეოგრაფიის საგანზე და აგრეთვე ამ უკანასკნელის იმ სავლელ-პრაქტიკულ მხარეზე, რომლის საშუალებითაც უნდა განხორციელდეს მთავარი ამოცანა—გავერკვიოთ „ქვეყნის“ მოცულობაში და მის შინაარსში, მოკლედ, გავერკვიოთ „ქვეყნის“ ისტორიულ გეოგრაფიაში.

ამა თუ იმ „ქვეყნის“ მხოლოდ ნიშნების დადგენა (აზღვრები, ქალაქი, ციხე) და თუნდაც ამასთან ერთად მთელი „ქვეყნის“ გამოვლენა—ეს არ არის ისტორიული გეოგრაფიის კვლევის საბოლოო მიზანი. ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი მიზანია ამა თუ იმ კონკრეტული „ქვეყნის“ წარმოქმნის მიზეზების დადგენა და მისი ნიშნების (ქალაქი, ციხე) წარმოქმნის და, მაინცდამაინც, ამ კონკრეტულ ადგილას წარმოქმნის მიზეზების დადგენა. ამ მიზნის განხორციელებას ისტორიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილება ზემოხსენებული პრაქტიკული მეთოდის მეშვეობით ცდილობს.

ეს არის. მასასადამე, ძირითადად ის მეთოდიკური არსენალი, რომელიც შეიძინა ჩვენმა განყოფილებამ რამდენიმე წელს სავლელ მუშაობის გამოცდილების შედეგად. ისტორიულ-გეოგრაფიული პრაქტიკული ძიების პრინციპებისა და მეთოდის საბოლოო შემუშავება; ჯერჯერობით, მომავლის საქმეა.

ასეთი პრაქტიკული ძიება, რასაკვირველია, მხოლოდ ჩვენი განყოფილების მუშაობის შედეგი არ არის. უფრო შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენს, საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ ამ 25 წლის წინათ ამგვარი ისტორიულ-გეოგრაფიული პრაქტიკული კვლევის შედეგად იქნა შესწავლილი ბოლნისი და დმანისი (ლ. მუსხელიშვილი), რის შედეგადაც დადგენილი იქნა ის მიზეზები, რამაც დმანისი დიდ სავაჭრო ქალაქად და ამავე დროს ისტორიული ქართველების მსხვერპლად აქცია, ხოლო ბოლნისი ბოლომდე პროვინციად დასტოვა; რომელმაც იმავე ისტორიულ ქართველებს ბოლომდე გაუძლო. ასეთივე პრაქტიკული კვლევის შედეგადაა დასმული მთელი რიგი კარდინალური ისტორიული საკითხები ამ უკანასკნელ ხანებში (აკად. ნ. ბერძენიშვილი); ამგვარადვე იქნა შესწავ-



ლილი ქალაქი რუსთავი (ლ. ჰილაშვილი); ასეთივე კვლევის შედეგადაა გამოთქმული მოსაზრება, რომ ქალაქ უჯარმის წარმოქმნაში დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მეცხვარეობის განვითარებას (დ. მუსხელიშვილი); ამავე აზრით, ჩვენი განყოფილების ექსპედიციის მუშაობის შედეგად 1959 წელს ტანას ხეობაში, შეიძლება ითქვას, რომ ქალაქი ატენი ვენახმა წარმოქმნა. ცხადია, აქვე დაეძინო, რომ ორივე ეს ვარაუდი უნდა გავიგოთ. ასე ვთქვათ, cum grano salis.

ამგვარად, როგორც უკვე აღვნიშნეთ ისტორიული გეოგრაფიისათვის, როგორც ისტორიული მეცნიერებისათვის არსებითი და ძირითადი არის ტერიტორია, როგორც ცოცხალი ისტორიული ორგანიზმი.

აღამიანის საზოგადოების წარმოქმნასთან ერთად წარმოიქმნა ტერიტორია, როგორც ატრიბუტი ამ საზოგადოებისა და ამ უკანასკნელის განვითარებასთან ერთად იცვლებოდა და ვითარდებოდა ტერიტორიაც. იცვლებოდა იგი ეკონომიურადაც და კულტურულადაც, სოციალურადაც და პოლიტიკურადაც, დაბოლოს იცვლებოდა—ეთნიკურადაც. ისტორიულ-გეოგრაფიული ძიებისას ყველა ამ ასპექტს „ჩვეყნის“ განვითარებისას თანაბარი მნიშვნელობა უნდა ეძლეოდეს. ისტორიული გეოგრაფიის მიზანია, ბოლოს და ბოლოს, „ჩვეყნის“ ამ ცვლილებათა რეგისტრირება საზოგადოების განვითარების ძირითად ეტაპებზე.

ისტორიულ ხანაში ასეთი მცირე და დიდი ტერიტორიული ერთეულების გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ ყველა წყაროთა ერთობლივი გამოყენებით და ამ პირველი ადგილი უჭირავს მატერიალურ ძეგლებს და ტოპონომიკას (რადგან ნარატიული წყაროები მხოლოდ გარკვეულ პერიოდს მოიცავენ და ისიც ცალმხრივ ცნობებს გვაწვდიან). ამა თუ იმ ტერიტორიაზე მატერიალური ძეგლების და ტოპონომიკის ელემენტთა ერთიანობას ან განსხვავებას შეუძლია მოგვცეს ამა თუ იმ ტერიტორიალური ერთიანობის კონტურები და მისი შექმნის საფუძვლებიც.

უკანასკნელად ერთ საკითხს გვინდა მივაქციოთ ჩვენი ყურადღება.

ამგვარი, თუ შეიძლება ითქვას, ისტორიულ-გეოგრაფიული გააზრება საზოგადოების განვითარებისა სრულიად ბუნებრივია ჩვენი ძველი ისტორიკოსებისათვის, კერძოდ, ვახუშტის, როგორც ისტორიკოს-გეოგრაფის შეფასებაში მთავარი ის არის, რომ იგი საქართველოს მიწა-წყალს იაზრებდა და აღწერდა იმგვარი „ჩვეყნების“ მიხედვით, რომლებიც, როგორც ვიცით, სწორედ ისტორიული გეოგრაფიის საგანს წარმოადგენს. თუ ამ თვალსაზრისზე დავდგებით, მაშინ, ცხადი უნდა იყოს, რომ ჩვენში ისტორიული გეოგრაფიის ისტორია უნდა დავიწყოთ ლეონტი მროველით, რომელმაც შექმნა საქართველოს ისტორიის პირველი და შესანიშნავი ისტორიულ-გეოგრაფიული კონცეფცია.

ლეონტი მროველისათვის და ვახუშტისათვის ასეთი, ასე ვთქვათ, ისტორიულ-გეოგრაფიული აზროვნება სრულიად ბუნებრივი იყო. რამდენადაც მათ დროს ასეთი ცალკეული „ჩვეყნები“ ცოცხალი და რეალური ფაქტი იყო, ხოლო ძველად არსებულ „ჩვეყანათა“ არსებობის შესახებ ტრადიცია, საზოგადოების თვით ისტორიული განვითარების მოცემული პირობების ძალით, მეტნაკლებად დაცული იყო.

პირველად ძველი (ფეოდალური) „ჩვეყნების“ ძირეული გადანაწილება ბურჟუაზიული ურთიერთობის დამყარებამ გამოიწვია და ამდენად საქართველოში XIX ს-ის განმავლობაში მოხდა Apriori შეიძლება ითქვას, რომ ამ დროინდელ საქართველოს სრულიად სხვაგვარი და პრინციპულად განსხვავე-

ზული ისტორიული გეოგრაფია აქვს. ამას დაემატა 1917 და 1921 წლები „ქვეყნების“ ხელახალი გადანაწილებით და ყველაფერმა ამან გამოიწვია ძველად არსებული მცირე „ქვეყნების“, როგორც ცოცხალი ორგანიზმების, ტრადიციის დაკარგვა და დავიწყება, რაზედაც უნდა იყოს, ჩვენის აზრით, დამყარებული ის სკეპსისი და შეუფასებლობა ისტორიული გეოგრაფიისა და მისი საგნის მიმართ, რომელიც ჩვენთან დღესაც არსებობს: ის, რაც ბუნებრივი და თავისთავად მოცემული იყო ლეონტი მროველისა და ვახუშტისათვის, დღეს ჩვენთვის—ძნელი გასაგებია...

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა ჩვენი შეხედულება ისტორიული გეოგრაფიის საგნისა და მისი პრაქტიკული მხარის შესახებ: ეს ჩვენ დაგვიბრდა იმისათვის, რომ ნათლად წარმოგვეჩინა ჩვენი პოზიცია ამ მხრივ და ამის მიხედვით შეგვეფასებინა ექ. თაყაიშვილის წვლილი ამ დარგში.

ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით მოწყობილი ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გარკვეული მიზეზებით იყო გამოწვეული და გარკვეულ მიზნებს ემსახურებოდა. ეს იყო პერიოდი ჩვენი ქვეყნის წარსულის მატერიალური ძეგლების შეგროვებისა და გამოვლენისა და ზემოხსენებული არქეოლოგიური ექსპედიციები თუ მოგზაურობანი სწორედ ამას იმსახურებდა მიზნად, კერძოდ: უცნობ თუ ნაკლებად ნაცნობ ისტორიულ ძეგლთა (ძირითადად ეკლესია-მონასტრებისა და აგრეთვე ციხე-სიმაგრეების). აღწერა-ფიქსაციას, ეპიგრაფიკული ძეგლების გადმოღებას და წვრილი, ისტორიული ღირებულების მქონე საგნების შეგროვებას<sup>2</sup>.

<sup>2</sup> 1902 წ-ის ექსპედიციის ანგარიშში ექ. თაყაიშვილი სწერდა: „Целью нашей экспедиции было осмотреть и обследовать некоторые неизвестные и малоизвестные памятники Ахалцихского и Ахалкалакского уездов Тифлисской губернии и, проехав оттуда в Карскую область, изучить, обмерить и описать христианские памятники Чилдырского и Ардаганского уацтов Ардаганского округа“. (Е. Такайшвили, Христианские памятники, Материалы по археологии Кавказа, XII, Москва 1909. ст. V. ქვემოთ МАК. XII) ლეჩხუმ-სვანეთის 1910 წ-ის ექსპედიციის შესახებ. ექ. თაყაიშვილი სწერს: „ექსპედიციის მიზანი იყო: ვვენახა ზოგიერთი ეკლესიები ლეჩხუმისა... შუამდე შეძლებისამებრ დავეველო ყველა სვანეთის ეკლესიები; ცნობაში მოგვეყვანა და ფოტოგრაფიულად გადმოგვეღო მათში დაცული სიძველეები, შეგვეკრიბა არქეოლოგიური, ისტორიული და ეთნოგრაფიული ნივთები და მასალები“. (ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი. 1937 წ. გვ. 3. ქვემოთ. ექსპ. ლ.) ს. კიდევ უფრო კონკრეტული იყო სამეგრელოში 1913 წ-ის არქეოლოგიური მოგზაურობის. მიზანი, რომელიც, ექ. თაყაიშვილის სიტყვით, მდგომარეობდა იმაში, რომ „გადაველო ფოტოგრაფიულად ყველა შესანიშნავი ნაშთები, გაეცნობოდით ქველ მხატვრობას (ფრესკებს) მონასტრებისა და ეკლესიებისა. აღვეჩინა მათში ისეთი ისტორიული პირების სურათები და სხვა მხატვრობა. რომელთა ნამდვილი მსგავსად პირის გადაღება ფერადებით უსაჭიროებს საგანს შეადგენს ჩვენი მუზეუმისათვის. ამას გარდა ეპიგრაფიკული, რამდენადაც ვასწავებდით, არქეოლოგიურ მასალას, ეკლესიების, ჯიხების, ხატების და სხვა ნივთების წარწერებს, ხელნაწერების მინაწერებს, სიგელ-გუჯრებს და სხვა“. (ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი მეორე, ტფილისი, 1914 წ. გვ. 1 ქვემოთ: ა. მ. შ. 11). ქსნის ხეობის ისტორიულ ძეგლთა მოხილვა კი სავსებით კერძო შემთხვევით იყო გამოწვეული: „Описанные выше христианские памятники Ксанского ущелья я посетил летом 1908 года. Но главною целью моей поездки было не посещение этих памятников, а разыскание и приобретение ксанского клада золотых и серебряных вещей“ (Е. Такайшвили, Археологические экскурсии разыскание и заметки. Известия Кавказского Отдела Московского Археологич. Общества, IV, Тифлис. 1915. ст. 139. ქვემოთ: ИКОМО. IV). შდ. აგრეთვე: ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-თლისში და ჩანდლში 1907 წელს, პარიზი, 1938 წ. გვ. 4. ქვემოთ: კ-ო. და ჩ.

ცხადია, საეველ სამუშაოთა ასეთ მიზანდასახულობას არაფერი აქვს საერთო ამა თუ იმ მხარის შესწავლასთან ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით. მაგრამ უეჭველია ისიც, რომ ამგვარი ხასიათის სამუშაოებს, ნებით თუ უნებლიედ, ყოველთვის თან სდევს ხოლმე ელემენტალური ხასიათის ისტორიულ-გეოგრაფიული ძიებანი და ექ. თაყაიშვილს ამ მხრივაც აქვს ჩატარებული გარკვეული სამუშაო. კერძოდ, უპირველესად ყოვლისა, ჩვენ აქ შეხედვლობაში გვაქვს ისტორიული გეოგრაფიის ისეთი აუცილებელი და პირველ რიგში გადასაჭრელი საკითხი, როგორცაა ამა თუ იმ ისტორიული პუნქტის იდენტიფიკაცია. ექ. თაყაიშვილს კარგად ესმოდა ამგვარი ძიების მნიშვნელობა და ამიტომაც, რომ იგი, მაგალითად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თავისი მესამე, 1917 წ-ის, ექსპედიციის ერთ-ერთ დამსახურებად თვლიდა იმას, რომ მის განმავლობაში გამორკვეული იქნა ზოგიერთი, ლიტერატურაში უცნობი, მონასტრისა და ტაძრის სახელწოდება<sup>5</sup>.

მართლაც, ექ. თაყაიშვილი ყურადღებას აქცევდა ამ გარემოებას და ამიტომ მას არა ერთი პუნქტის, თანამედროვე სოფლის თუ ნაოფლარის, ძველი სახელის აღდგენა უცდია<sup>6</sup>. ამ უკანასკნელთა იდენტიფიკაციის მეთოდი (ექ. თაყაიშვილის მიერ ხმარებული) არ არის რთული. ამ შემთხვევაში ექ. თაყაიშვილი ეყრდნობა ან მოსახლეობაში შემორჩენილ გადმოცემებს, ანდა—თვით ნაოფლარის ეკლესიაზე შემორჩენილ წარწერებს<sup>7</sup>, ან ბოლოს და ბოლოს,—ვახუშტის რუკას. ზოგჯერ ეს იდენტიფიკაცია უფრო რთული გზით ხდება: ვახუშტის „გეოგრაფიის“ მონაცემებისა, მისი რუკისა და ადგილზე არქიტექტურულ ნაგებობათა გათვალისწინების საშუალებით<sup>8</sup>.

ამგვარი ხასიათის სამუშაოები ექ. თაყაიშვილს ჩატარებული აქვს არა მართლ ქვემო ქართლში, არამედ ყველგან, საცა კი მას უმოგზაურია. კერძოდ, მნიშვნელოვანი დგაწლი, ამ მხრივ, მიუძღვის მას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი პუნქტის დადგენის საქმეში<sup>9</sup>.

<sup>5</sup> Е. Такайшвили, Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии, Тбилиси, 1952, ст. 21 (ქვემოთ Эксп. Ю. Г.).

<sup>6</sup> ასე მაგალითად, მისი აზრით, თანამედროვე თეთრი წყარო უნდა უდრიდეს ვახუშტის რუკისეულ „ორთა შუას“ (Е. Такайшвили, Грузинские надписи окрестности Белого-Ключа. ИКОМАО, I, Тифлис 1924, ст. I. ქვემოთ: ИКОМАО, I) ბაშეის ტბას (წაღკაში) ძველად ბარეთის ტბა ეწოდებოდა (Е. Такайшвили, Археологические Экскурсии, разыскания и заметки. ИКОМАО, III Тифлис, 1913, ст. 3 (ქვემოთ: ИКОМАО, III) მანგლისელი რუსების Березовая балка არის ძველი გონბარი (იქვე, 4); მთიულთა ახალ-სოფელი — ძველი ზა თუ ბზა (იქვე, 10); ლენია. ყალა — ძველი წალკა (იქვე, 23); ბარმაქსიხი — ძველი ეძანი (იქვე, 67); ამბარლო (ზურტაყეტის ხეობა) — ერქუშანთ სოფელი (იქვე, 100); ექ. თაყაიშვილს ნასოფლარების სახელებიცა აქვს აღდგენილი: შოშილეთი, რომლის მანლობლად ჰამანის ციხე ყოფილა (იქვე, 106); პანტიანი (იქვე, 114) და სხვ. ეს ნასოფლარები ეციის ზრამში მდებარეობენ.

<sup>5</sup> მაგალითად, აძიკვის (იქვე, 8), ქციის (იქვე, 115—116) და თრიალეთის ახალქალაქის (იქვე, 73), აგრეთვე თედორწმოდანის და გონბადის (ბონისის ხეობა) იდენტიფიკაცია (სომხით-საორბელის ძველების წარწერები, ნაწილი პირველი, გვ. 95—97, 99—101).

<sup>6</sup> ასეთ მონაცემთა შეთანაბრებით, ამგვარი, ასე ვთქვათ, კომპლექსური მეთოდით დადგენილია სოფ. თეხის (დღ. ავრანლო) (ИКОМАО III, 45 (და ლიპარიტის უბნის (დღ. ნასოფლარი კაკლიანი) (იქვე, 108—109). აგრეთვე მონასტერ ეარდისუბნის ადგილმდებარეობა (იქვე, 121).

<sup>7</sup> წარწერის მიხედვით ერუშეთის სოფ. სიქარები ძველად საჯარებად თუ საკრებებად იწოდებოდა (МАК XI, 75); სოფ. ოკამი (კოლაში) უნდა იყოს ვახუშტისეული „მცირე ქალაქი კოლა“ (ექვს. კ.ო და ჩ. გვ. 8, ეს იდენტიფიკაცია, ჩემის აზრით, საეველია, რადგან ოკამი ძველი ტოპონიმი); სოლომონ ყალა ოღაჯსში, არის ძველი „სოლომონისი“ (იქვე, 29); ჩანგლს ძველად ლენაორი თუ ლენაღორი ეწოდებოდა (იქვე, 84).

განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხარის ძველი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ცენტრების იდენტიფიკაცია, ისეთების, როგორიცაა კალმახის ციხე ტაოში, იქვე მდებარე ვაჩი-მორის მონასტრით<sup>8</sup>; ბეჰის ციხე (ვახუშტის მიხედვით) კოლაში<sup>9</sup> და ოქროს ციხე (ალთუნ-ყალა) სამცხეში, ქვაბლიანის ხეობაში. ეს უკანასკნელი პუნქტი, ექ. თაყაიშვილის აზრით უნდა ყოფილიყო ჩორჩანელთა თუ ჩორღვანელთა ცნობილი გვარის ერისთავთ-ერისთავთა რეზიდენცია, საიდანაც იყვნენ წარმოშობით აგრეთვე ათონის მონასტრის ცნობილი ქართველი მოღვაწეები<sup>10</sup>.

ასეთივე სამუშაოებს ატარებდა ექ. თაყაიშვილი სხვა ექსპედიციების დროსაც<sup>11</sup>.

ექ. თაყაიშვილის მოღვაწეობას ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით ახასიათებდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხარე, რომელიც აგრეთვე არსებითია მხარის ისტორიული გეოგრაფიის აღსადგენად და მის შესასწავლად ამ თვალსაზრისით. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ამა თუ იმ მხარის მატერიალური კულტურის ძეგლების საამისო გათვალისწინება.

გარდა იმისა, რომ ექ. თაყაიშვილს გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი ქართულ არქეოლოგიაში (ამ ტერმინის დღევანდელი გაგებით)<sup>12</sup>. მისი ეს „არქეოლოგიური მოგზაურობანი“, ძირითადად, როგორც უკვე ვიცით ფეოდალური ხანის მატერიალური ძეგლების აღწერა-ფიქსაციას ისახავდა მიზნად. მართლაც, მისი ექსპედიციების თუ მოგზაურობების მრავალრიცხოვანი ფართო ანგარიშები, ძირითადად ფეოდალური ხანის მატერიალური ძეგლების და, პირველ რიგში, არქიტექტურული ძეგლების, დეტალურ აღწერას წარმოადგენს.

მაგრამ ცნობილი და უცნობი ეკლესია—მონასტრების დეტალური აღწერა და თუნდაც მათი ზუსტი დათარიღება ექ. თაყაიშვილისათვის არ ყოფილა, როგორც ჩანს, თვითმიზანი. იგი მატერიალური კულტურის ძეგლებს უყურებდა არა მხოლოდ მათი თავისთავადი კულტურული ფასეულობის თვალსაზრისით, არამედ აგრეთვე, როგორც ფაქტიურ ისტორიულ წყაროს, რომელსაც შეუძლია შეუემდარაო წარმოდგენა მოგვეცეს ამა თუ იმ მხარის მდგომარეობის შესახებ გარკვეულ ქრონოლოგიურ მონაცემთში.

ასე მაგალითად, ტაო-კლარჯეთში VIII ს-ის ბოლოდან, ქართველი ბაგრატიონების დამკვიდრების შემდეგ დაწყებული მოშენება-აღორძინების<sup>13</sup> ბუნებრივ გამოხატულებად თვლიდა ექ. თაყაიშვილი იქას, რომ ამ მხარეში ინტენსიური და ბრწყინვალე მშენებლობის ხანა სწორედ IX—X ს. ს-ზე მოდის. ხოლო

<sup>8</sup> იქვე, 54—66;

<sup>9</sup> იქვე, 15—16.

<sup>10</sup> Е. Такайшвили, Зарэмский монастырь его реставрация и фрески. Сборник материалов по описанию местностей и племен Кавказа, XXXV, Тифлис, 1905, ст. 34, 109—110 [ქვემოთ: СМОМПК, XXXV].

<sup>11</sup> იხ. მაგ. Эвкс. Ю. Г. 101; ა. მ. შ. 11, 19; ექსპ. ლ.-ს. 8, 95—97.

<sup>12</sup> იხ. მაგ. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი პირველი, ტფილისი, 1907, 3—4 (ქვემოთ: ა. მ. შ. 1); ეანის სიძველეები; 59—60; სერის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. ИКОМАО 1, 79—89; გათხრები არმაზის ხეობას; ИКОМАО III, 167—172; საჩხერის ყორანის; 172—173; ახალქალაქის განძი და სხვ.

<sup>13</sup> ექ. თაყაიშვილი, სამუსულმანო საქართველო, გვ. 8-12 (გამოუქვეყნებელი შრომა, ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში, ექ. თაყაიშვილის არქივში).

X-ს-ის ბოლოდან ამ შენებლობის შეწყვეტა. მისი აზრით, უკავშირდება პოლიტიკური სიმძიმის ცენტრის გადანაცვლებას დასავლეთ საქართველოში<sup>14</sup>.

იგივე თვალსაზრისი გამოსკვივის თრიალეთის მატერიალური ძეგლების შეფასებაში. ექ. თაყაიშვილი სწერს:

«Дальнейшее изыскание, конечно, может преумножить материалы, но и из того, что собрано мною, можно смело указать эпоху наиболее культурного развития названной области Грузии, когда страна покрывалась христианскими памятниками и жизнь была ключом. В этом отношении, поскольку можно судить по уцелевшим памятникам и надписям на них, золотым веком строительства в Триалетском приравнении был XI и отчасти XII век, когда в этой местности эриставами были Раты и Липариты из рода Орбелиановых. Их имена встречаются почти, на каждом памятнике»<sup>15</sup>.

ასეთ მიდგომას მატერიალური კულტურის ძეგლებისადმი და მათ აღქმას ამაგარი, ჭეშმარიტად ისტორიული, თვალთახედვით ექ. თაყაიშვილი ბუნებრივად იმ შედეგამდე მიჰყავდა, რომ მის თვალსაწიერში ექცეოდა არა მხოლოდ ჰირველხარისხოვანი არქიტექტურული ძეგლები, არამედ რიგითი, ხელოვნების თვალსაზრისით უმნიშვნელო, მატერიალური კულტურის ნაშთებიც, როგორცაა ჩვეულებრივი ნასოფლარები, სოფლის ეკლესიები, სამაროვნები, ციხე-კოშკები, გამოქვაბულ-საბინჯრები და სხვ. საამისო უამრავ მაგალითებს ვხვდებით მისი ექსპედიცია-მოგზაურობის ყველა ანგარიშში<sup>16</sup>.

ყველაზე მკაფიოდ ეს თვალსაზრისი ექ. თაყაიშვილს გამოთქმული აქვს ერთ პატარა „შენიშვნაში“ ვინმე ვ. დევიცკის დილეტანტურ წერილზე, რომელიც შეეხება ფოცხოვის ხეობის სიძველეებს:

«Мнение автора, что Пощовский участок в древности был немногочислен и не особенно культурен, не может быть принято. Множество развалин церквей, крепостей и башен, которые сам г. Девицкий отмечает, доказывает, что население здесь было многочисленное, а стиль Альской церкви с ее оригинальным планом, красивым фасадом и остатками фресковой росписи один может служить доказательством высокой культуры страны»...<sup>17</sup>.

ეს არის სწორედ იმაგარი მიდგომა მატერიალური კულტურის ძეგლების, როგორც ისტორიული წყაროსადმი, როგორსაც მოითხოვს დღეს ისტორიული გეოგრაფია.

ექ. თაყაიშვილს მხედველობიდან არ რჩება წმინდა გეოგრაფიული ფაქტორიც და ამიტომ იგი ზოგჯერ საქართველოს ისტორიული პროვინციების ფიზიკურ-გეოგრაფიულ აღწერას და მათ გეოგრაფიულ საზღვრებსაც იძლევა.

<sup>14</sup> „Период интенсивного и замечательного строительства грузинских Багратионов в Тао и Кларджети имел место в IX и, особенно, в X веке. С конца X века эта строительная деятельность прекращается, ибо после объединения Грузии и Абхазии в одно государство, центр политической жизни переносится в западную Грузию“, Эксп. Ю Г., 78.

<sup>15</sup> ИКОМАО, III, 2.

<sup>16</sup> იხ. მაგ. ა. მ. შ. 1, 59—60, 64; ИКОМАО, III, 114—116, 121; ექსპ. კ-ო. და ნ. 10; არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბილისი 1963 წ., გვ. 8 და სხვ.

<sup>17</sup> СМОМПК, XXXV, 247.

ასე მაგალითად, იგი მეტად მოკლედ აგვიწერს ამ თვალსაზრისით საჩინოს<sup>18</sup>, წალკას<sup>19</sup>, ერუშეთს<sup>20</sup> და კოლას<sup>21</sup>. მას ესმის ამ ფაქტორის არც თუ მცირედი მნიშვნელობა საერთოდ ქვეყნის ისტორიული განვითარებისათვის და ამიტომაც რომ იქ, საცა იგი სპეციალურად ეხება ტაო-კლარჯეთის ისტორიას, საკმაოდ დეტალურად აგვიწერს ამ მხარის, ჭოროხის აუზის, და მისი შემადგენელი „ქვეყნების“ (კლარჯეთი, ტაო, ისპირი, იმერხევ-შავშეთი და სხვ.) გეოგრაფიულ საზღვრებს და საერთოდ ფიზიკურ გეოგრაფიას<sup>22</sup>, თუმცა კი უნდა აღინიშნოს, რომ ეს ასე ვთქვათ. ფიზიკურ-გეოგრაფიული ექსკურსი შემდეგ თხრობასთან ორგანულად დაუკავშირებელია.

ზოგჯერ ექ. თაყაიშვილი თავისი არქეოლოგიური მოგზაურობების მეოხებით გამომზეურებული ახალი მონაცემების საფუძველზე სხვადასხვა პროვინციების მოცულობას ან პოლიტიკურ საზღვრებსაც ეხება. კერძოდ, იგი ეხება X IV—XV ს ს-ის საჭილაოს გავრცელების არეს<sup>23</sup>; სხვაგან—აზუსტებს იმიერ და ამიერ ტაოს საზღვარს<sup>24</sup>.

ექ. თაყაიშვილს გათვალისწინებული ჰქონდა ქვეყნის მეურნეობრივი ასპექტიც. რამოდენიმე ადგილას იგი აღნიშნავს კიდევაც თუ მეურნეობის რომელი სახე წარმოადგენს წამყვან დარგს ამა თუ იმ ხევში თუ ხეობაში<sup>25</sup>. იგი ზშირად აღნიშნავს ამა თუ იმ პუნქტთან მდებარე საძოვრებს<sup>26</sup>, არ ივწყებს წიაღი-

<sup>18</sup> ა. შ. შ. I, 1—2.

<sup>19</sup> ИКОМАО, III, 2: 3.

<sup>20</sup> МАК, XII, 69.

<sup>21</sup> ექსპ. კ.-ო და. ჩ. 8.

<sup>22</sup> ე. თაყაიშვილი, სამუსულმანო საქართველო.

<sup>23</sup> ჭილაძეები ერთ დროს მთავრები იყვნენ და ფლობდნენ დიდ მხარეს გურიასა და სამეგრელოს შუა. გურიაში, მათა სამფლობელო საერისთავომდის მიდიოდა, ესე იგი მათ ეკირათ მთელი ახლანდელი მხარე გურიისა, რომელსაც ჰქვია საჯავახო. სამეგრელოს მხრით მათი სამფლობელო, როგორც ირყევა ეხლა, ბანძამდის მიდიოდა. ამ საზღვრებში შედიოდა, გარდა საჯავახოისა, როპირი, სამტრედია, ახლანდელი საჭილაო, აბაშა და სუფთეთი“ (ა. შ. შ. II, 3).

<sup>24</sup> ამ პროვინციების გამყოფი საზღვრის მიმართულების დადგენაში იგი ეთანხმება ივ. ჭავჭავაძის, მაგრამ აზუსტებს მას: „за начало границы нужно, по-моему, считать не Банис-цхали, а ее приток Бардусис-цхали (по-турецки „Бардус-чан“)“. Экс. Ю. Г. 63.

<sup>25</sup> „კოლა ანუ კოლას ხევი არის სათავე მტკვრისა... ეს არის უზარმაზარი ჩაღმავება ანუ ქვაბური, სახე აქვს ტოლფერდა სამკუთხედისა... მთებიდან, რომლებითაც შემოზღუდულია კოლას ქვაბური, აუარებელი წყაროები გადმოდის. გაზაფხულზე, თოვლის დნობის დროს, ქვაბური იქევა უზარმაზარ ქაობად... მაისის შუა რიცხვებში უმეტესი ნაწილი კოლასი შრება და ივლისში იშოსება მშვენიერი ბალახით, მაგრამ ზოგ აცვალას რჩება ქაობები... მომადლო ადგილებზე და მთის კალთებზე არის სახნავი მიწები, მაგრამ პური და ქერი ყოველთვის არ მწიფდება. მთელი დანარჩენი ნაწილი ვაკესი წარმოადგენს მორწყულ მინდვრებს, ამიტომ აქ საუკეთესო საძოვრები და სათიბებია და მცხოვრებნი უმეტეს შემთხვევაში მისდევენ საქონლის მოშენებას, თუმცა ხენა-თესვისაც არ აკლებენ ხელს“ (ექსპ. კ.-ო და ჩ. 8—9). პარხალის დახასიათებისას: „Жители Пархали занимаются садоводством и скотоводством. Прежде Пархали был известен шерстяным производством“ (Эксп. Ю. Г. 90). ხახულის ხეობის აღწერისას: „Все ущелье представляет собой сплошной фруктовый сад состоящий из яблонь, сливовых, грушевых, тутовых и ореховых деревьев. Есть также айва, инжир, мушмула и даже виноград. Последний теперь уже растет в диком виде... Земли, не занятые фруктовыми садами, используются под посевы кукурузы и пшеницы. Таких земель в ущелье очень мало... Главным средством пропитания служат фрукты. Небольшая часть их отводится в Эрзерум в свежем виде, а большая часть высушивается на зиму“ (იქვე, 68).

აქედან ჩვენ შეგვიძლია დავაკენათ, რომ კოლაში, ძირითადად, მთის ტიპის მეურნეობაა (მესაქონლეობა), ხახულში—ბარის ტიპისა (მებაღე-მევენახეობა), ხოლო პარხალში—ორივე.

<sup>26</sup> Эксп. Ю. Г. 81, 83, 91; ექსპ. ლ.-ს 89.

სეულსაც; რკინის მადანი<sup>27</sup>. ქვაბარის და გიშრის მადნები<sup>28</sup> და სხვ. იგი ყურადღებას აქცევს აგრეთვე ირიგაციას და ზოგჯერ აღნიშნავს ხოლმე ესა თუ ის მხარე რომელი წყლებით ირწყვის<sup>29</sup>. კერძოდ, იგი საგანგებოდ მიუთითებს პარხლის დიდ საირიგაციო სისტემაზე<sup>30</sup>.

ექ. თაყაიშვილის ინტერესების სფეროში შედიოდა აგრეთვე ისტორიული გზები. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ ვანის ნაქალაქარის სიძველეთა გათვალისწინების საფუძველზე მას, 1907 წელს, გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ „ძველი რომაული ინდოეთის გზა... ჯერ ვანზე გაივილიდა, შემდეგ ბაღდადზე და მერმე შორაპნით გადადიოდა ლიხის მთაზე<sup>31</sup>“.

მასვე აქვს აღნიშნული თრიალეთ-ზურტაკეტის შემაერთებელი ტრასა, რომელიც ზედ მდებარე ისტორიული ძეგლების მიხედვით XII ს-ში მაინც უკვე არსებულა<sup>32</sup>. ასევე აღნიშნავს იგი კოლა-ოლოთის<sup>33</sup>, იშხან—ართვინის<sup>34</sup>, ტაო-პარხლის<sup>35</sup> და სხვ. გზებს; საინტერესოა მისი ცნობები სავაჭრო ურთიერთობის შესახებ სხვადასხვა პროვინციებს შორის<sup>36</sup>; აღნიშნავს იგი მის მიერ ნახულ ხიდებს<sup>37</sup>, ქარვასლებს<sup>38</sup> და სხვ.

ყველა ზემოთხსენებულ შემთხვევებში ექ. თაყაიშვილი მხოლოდ გზებზე კონსტრუქციით კმაყოფილდება. მაგრამ საინტერესოა მის მიერ გზის, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორის. გააზრება.

საამისოდ მოვიტანთ ერთ ამონაწერს.

აღწერს რა საჩინოს ბუნებრივ სილამაზესა და სიმდიდრეს იგი აღნიშნავს, რომ ყველაფერი ეს „ხდის საჩინოს ერთ საუკეთესო ადგილად მთელს იმერეთში. ამიტომ გასაკვირვებელი არ არის, რომ ძველად ამ მხარეს „საჩინო“ უწოდეს.“

<sup>27</sup> Эхсп. Ю. Г. 91 (პარხალში).

<sup>28</sup> ექსპ. კ-ო, და ნ. 51.—52.

<sup>29</sup> ასე მაგალითად, სკრის ხეობის შესახებ: „სკრის წყალი, ანუ როგორც ახლა ადგილობრივ ენაზე, მემღება ...ზაფხულში მინდვრების და ბაღების მოსარწყავად არც მთლად დარჩენებული (ა. მ. შ. 1, 59); ასევეა ოშკის ხეობაში (Эхсп. Ю. Г. 45) და, როგორც ვიცით, კოლაში, (იხ. ზემოთ).

<sup>30</sup> პარხალი საერთოდ წყლის სიუხვით ყოფილა ცნობილი: „В Пархали и его окрестностях обилие воды, и пархальцы к поговорке, относящейся к трем главным храмам Тао, прибавили и название своего села. Они говорят: „Ишхани славятся живописью, Ошки-красотой, Хяхули-местоположением, а Пархали—водами“. В соседних с Пархали селениях сохранился знаменитый оросительный канал, который начинается у селения Утави, недалеко от Кабаки и идет к селению Завристи. Оросительная канава на протяжении нескольких километров проложена в скале. Сооружение оросительного канала приписывается царице Тамар и считается лучшим ее делом в этом Крае“ (Эхсп. Ю. Г. 90).

<sup>31</sup> ა.მ.შ. 1,5.

<sup>32</sup> ИКОМАО, III, 79, 88—89.

<sup>33</sup> ექსპ. კ-ო და ნ. 16.

<sup>34</sup> Эхсп. Ю. Г., 81.

<sup>35</sup> იქვე, 83.

<sup>36</sup> პარხალში, ექ. თაყაიშვილის სიტყვით: „в каждую пятницу во дворе мечети-базалики устраивается ярмарка, на которую из-за перевала в большом количестве приходят лазы, продающие изделия из дерева и дешевую Константинопольскую мануфактуру. Там же работают портные, заключают сделки, продают кукурузу, разбирают тяжбы и т. п.“ (იქვე, 90).

<sup>37</sup> პარხალში, სოფ. ხევქვი, რომელიც როგორც ჩანს, სწორედ პუნტიდან მომავალ გზაზე მდებარეობდა (იქვე, 101).

<sup>38</sup> სოფ. ახასთან, ზურტაკეტში (ИКОМАО, III, 102).

მაგრამ რაც ძველად „საჩინო“ იყო, ახლა დროთა ვითარების გამო „უჩინო“ შეიქნა... თავი და თავი მიზეზი საჩინოს ჩამორჩენისა სხვა იმერეთის ნაწილებთან შედარებით არის უგზოობა. ამიერკავკასიის რკინის გზა ასცილდა საჩინოს და გაიარა რიონის მარჯვენა ნაპირზე. დღემდის რიონზე არ გაუკეთებიათ ხიდი, რომელსაც შეუძლია მტკიცე კავშირი მისცეს საჩინოს რკინის გზასთან და შეერთოს ორივე მხარე რიონის ნაპირებისა, სასოფლო გზებიც საჩინოში მეტად ცუდ მდგომარეობაშია. ამ მიზეზების გამო საჩინოს ნაწარმოებს ბაზარიც არა აქვს და ხალხიც ქონებრივად ჩამორჩენილია სხვა იმერეთის მკვიდრთან შედარებით<sup>39</sup>.

თავი რომ გავანებოთ „საჩინოს“ ექ. თაყაიშვილისეულ ეტიმოლოგიას, რომელსაც, ჩემის აზრით, ხალხურობის იერი გადაჰკრავს, აქ საინტერესო ის არის, რომ მას (ექ. თაყაიშვილს) ამ კონკრეტულ მაგალითზე მახვილი თვალით აქვს შენიშნული გზის, როგორც მძლავრი ფაქტორის დიდი მნიშვნელობა ქვეყნის ისტორიული გეოგრაფიისათვის. მართლაც, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის (და, ცხადია, არა მხოლოდ ამისთვის) ეს ზემოაღნიშნული მოვლენა ფრიად საგრძნობი უნდა ყოფილიყო. საბოლოო ჯამში, ეს იყო ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც მოშალა ძველი ფეოდალური „ქვეყნები“ და შექმნა ახალი, ბურჟუაზიული ისტორიული გეოგრაფია.

ექ. თაყაიშვილი ქვეყნის ეთნიკურ გეოგრაფიასაც ეხება. ჯერ ერთი აღსანიშნავია, რომ იგი თავისი მოგზაურობის ანგარიშებში (ქვემო ქართლი, ტაო-კლარჯეთი) თითქმის ყოველი სოფლის მცხოვრებთა კომპოზირებ რაოდენობასა და ვინაობას გადმოგვცემს. კარდა ამისა იგი ზოგჯერ მთელი მხარეების მოსახლეობაზედაც გვაძლევს საერთო ცნობებს<sup>40</sup>. შემდეგ, იგი მოსახლეობის მიგრაციის შესახებაც გვაწვდის მასალებს.

საინტერესოა, მაგალითად, გადმოცემა ქციის ხრამში XVIII ს-ში სოფ. ეგარისის დაარსების შესახებ სამეგრელოდან გადმოსახლებულთა (ლარაქეთა და სხვ.) მიერ<sup>41</sup>.

კოლას ბერძნული და სომხური მოსახლეობის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე მოვიტანეთ ცნობა. რაც შეეხება წალკის დასახლებას—ეს, ღაახლოებით, ამ ასეცდაათიოდე წლის წინ მომხდარი ფაქტია<sup>42</sup>.

<sup>39</sup> ა. მ. შ. 1, 2. შდ. იმავე ფაქტორის ასეთივე ვააზრება სუჯუნ-ს მიმართ (ა. მ. შ. 11, 22).

<sup>40</sup> „მოსახლეობა კოლასი, ჩვენი ექსპედიციის დროს, ფრიად აჭრელებული იყო. ნაწილს შეადგენდნენ გამაჰმადიანებული ქართველები, მესხები, ნაწილს ქერთები, ბერძნები და სომხები. ბერძნები და სომხები გადმოსახლებულნი იყვნენ ქ. რუს-ოსმალთა ომის შემდეგ 1877—1878 წლებისა ოსმალეთიდან და დასახლებულნი იმ ადგილებში, რომელნიც დასტოვა გამაჰმადიანებულმა ქართველებამ და ირჩია ოსმალეთში გადასახლება“. (ექსპ., კ.-ო და ჩ. 10). ოლთისის მხარის შესახებაც ექ. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ „უმეტესობა შეადგენდა გამაჰმადიანებულს ქართველებს, მესხებს. სხვათა შორის იყვნენ სერბები, ქორთები და სომხები“ (ექვე, 17).

<sup>41</sup> ИКОМАО, III, 88, 90—91, 107.

<sup>42</sup> „На Цалкс всего 50 селений. Население теперь состоит главным образом из армян и греков, выведенных из окрестностей Эрзерума и поселенных здесь в 1829—1831 гг. Прежнее исключительно грузинское население начало редеть в XVII веке и в конце его почти все выселилось вследствие постоянных нападений лезгинских шаек и татар“.

(იქვე<sup>3</sup>) კუმურდოელი სომხებიც 1829 წელს დასახლებულან (МКА, XII, 35).



თურქეთიდან გადმოსახლებულ ბერძენთა ნაწილის ეთნიკური ვინაობის გ საარკვევად საინტერესოა წინწყაროში (წალკა) მცხოვრები ბერძენების, გურჯ ნოეების, გვარისსახელი<sup>43</sup>.

საყურადღებო მასალებია აგრეთვე სომეხ-ქართულთა სიმბიოზის შესახებ კვებო ქართლში<sup>44</sup> და ტაოში<sup>45</sup>.

ამა თუ იმ დროს ქვეყნის მოსახლეობის ვინაობის დასადგენად ექ. თაყაშვილი ტოპონიმიკასაც მიმართავდა.

ასე მაგალითად, მისი აზრით, (აკად. ნ. მარის კვალად) თავდაპირველი მეტური მოსახლეობა ტაოში II ს-დან ძვ. წ.-სა, სომეხთა ექსპანსიის გამო, იწყებ არმენიზაციას. კლარჯეთი კი, ძირითადად, ქართული რჩება, თუმცა სომეხი მოსახლეობის გავლენა აქაც ჩანს ტოპონიმიკაში<sup>46</sup>.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ექ. თაყაშვილი თავისი „არქეოლოგიური ექსკურსიების“ დროს გზა და გზა აგროვებდა ტოპონიმიკურ მასალასაც, თუმცა ეს მას, რასაკვირველია, საგანგებო მიზნად არ გაუხდია. კერძოდ, იგი იწერს არა მარტო სოფლების, არამედ სოფლის უბნების, ხევების, უღელტეხილებს მთების, საძოვრების და სხვ. სახელწოდებას<sup>47</sup>.

\* \* \*

ამგვარად, როგორც ვნახეთ, ექ. თაყაშვილის განკარგულებაში იყო, შეძლება ითქვას, მთელი ის მასალა, რომელიც საჭიროა ქვეყნის ისტორიული გეოგრაფიის აღსადგენად (მატერიალური ძეგლები, ტოპონიმიკა, ეპიგრაფიკა, ისტორიული წყაროები); მის კვლევას ახასიათებს თითქმის ყველა ის ელემენტი, რომელიც საჭიროა ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევის დროს (გეოგრაფიული პუნქტების იდენტიფიკაცია, ფიზიკურ-გეოგრაფიული დაკვირვება, სამეურნეო და კულტურული ასპექტის გათვალისწინება, მოსახლეობის მიგრაციის მხედვლობაში მიღება); დაბოლოს, რაც მთავარია, მას ჰქონდა ის დიდი უპირატესება, რომელიც, ამ მხრივ, სრულიად აუცილებელია: ეს არის პრაქტიკული ძიებამოცდილება, ე. ი. ის გარემოება, რომ მას თავისი ფეხით მოვლილი ჰქონდა მხარეები, რომელთა შესახებაც სწერდა.

მაგრამ, რასაკვირველია, ყველაფერი ეს მაინც შორს არის იმისაგან, რას დღეს ჩვენ ვუწოდებთ ისტორიულ გეოგრაფიას და რასაც დღეს ჩვენ მოვიხოვთ ისტორიული გეოგრაფიისაგან. საქმე ის არის, რომ, ჭერ ერთი, მთელი მასალა და ყველა ის ელემენტი ისტორიულ-გეოგრაფიული ძიებისა, რომელიც დაეხმობა გვექონდა საუბარი, ერთნაირი სისრულით და ერთნაირი თანმიმდევრობით არ არის გამოვლენილი და გააზრებული სხვადასხვა მხარის მიმართ (მეორე, რაც მთავარია, ყველაფერი ეს არ ექვემდებარება ერთ იდენტურ თითოეული მხარის ისტორიულ გეოგრაფიას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებითი და ძირითადი მომენტი ისტორიული გეოგრაფიისა—ტერიტორია, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, რომელსაზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა შინაარსსა და მ

<sup>43</sup> „Гурджановы, как показывают и их фамилия (гурджи по-турецки грузы считают себя потомками грузин, хотя они вместе с другими цацкинскими греками пришли из Азиатской Турции“ (ИКОМАО II, 96).

<sup>44</sup> ИКОМАО, III, 99, 104.

<sup>45</sup> Эхсп. Ю, Г., 42.

<sup>46</sup> ექ. თაყაშვილი, სამუსულმანო საქართველო.

<sup>47</sup> იხ. მაგ. ექს. კ.-ო. და ჩ. 52—53, 68, 39; Эхсп. Ю. Г. 68, 90 და სხვა.

ცულობას იღებს, ექ. თაყაიშვილს არ გაუხდია თავისი ამგვარი კვლევის მიზნად. იგი „ქვეყანას“ იაზრებს, როგორც სტატიკურ, უცვლელ ერთეულს და ეს მიუხედავად იმისა, რომ მასვე ჰქონდა ისეთი დაკვირვება „ქვეყანათა“ ცვლილებებისა, როგორც ეს ზემოთ საჩინოს მაგალითზე აღვნიშნეთ.

სწორედ ამიტომ მისი აღწერა ისეთი პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრებისა. როგორსაც თავის დროზე წარმო დგენდნენ ბექის ციხე<sup>48</sup>, კალმახის ციხე<sup>49</sup>, თორთუმის ციხე<sup>50</sup>. ჭაჭის ციხე, მგელციხე ან ველის ციხე<sup>51</sup>, ათაბაგთა<sup>52</sup>, ბაღვაშთა<sup>3</sup> თუ ჩორჩანელთა რეზიდენციები<sup>54</sup> და სხვა მისთანანი, უსაგნოდ გამოიყურება, რადგან ისინი არ არიან დაკავშირებულნი მათ ისტორიულ და გეოგრაფიულ გარემოსთან, მათ „შესაველ ქვეყნებთან“ და ამ უკანასკნელთა ფონზე არ არიან განხილულნი.

მაგრამ, რასაკვირველია, ჩვენგან უმართებულო იქნებოდა, ყველაფერი ეს ექვთიმე თაყაიშვილის პირად ნაკლად ჩაგვეთვალა. მის დროს ისტორიული გეოგრაფია, როგორც ისტორიული მეცნიერების დისციპლინა, დღევანდელი გაგებით არ არსებობდა და ამდენად ექ. თაყაიშვილს ჩვენ არ შეიძლება წავუყენოთ პრენტენზიები იმის შესახებ, რაც უნდა მოეთხოვოს მკვლევარს დღეს ამ დარგში; მით უმეტეს, რომ, როგორც ვიცით, ექ. თაყაიშვილის მრავალრიცხოვანი ექსპედიციები, რომელთა შედეგების დიდი მნიშვნელობა ჩვენი საისტორიო მეცნიერებისათვის მათი სულაჩამდგარისავე უზომო ენერჯის და საქმისადმი სიყვარულის შესატყვისია, სრულიად სხვა, კონკრეტულ მიზნებს ისახავდა.

მაგრამ ერთი რამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: ექ. თაყაიშვილს, განსხვავებით ბევრი სხვა მკვლევარისაგან, კარგად ესმოდა. [და მთელი მისი მოღვაწეობა ამას ნათლად ადასტურებს], რომ დეტალური პრაქტიკული ძიება და ახალი მატერიალური ძეგლებისა თუ ტოპონიმიკური მასალის გამოვლენა აუცილებელია ჩვენი ისტორიული მეცნიერებისა და, კერძოდ, ისტორიული გეოგრაფიის განვითარებისათვის. აი რას წერდა იგი ზემოთ ერთხელ უკვე დამოწმებულ შენიშვნაში ვ. დევიცკის წერილზე:

«Почховский участок ждет еще более детального обследования в археологическом отношении всех его боковых ущелий. Изыскание специализата может увеличить эпиграфический материал и даст возможность восстановить древняя названия церквей и крепостей. До сих пор мы даже не знаем, какую крепость нужно считать за Джакисцихе: Кала-Бойн, Чанчах или Джакисман»<sup>55</sup>.

ცხადია, ამგვარად წარმოედგინა მას საერთოდ თავისი „არქეოლოგიური ექსკურსიების“ ძიების პრაქტიკული მხარე. ჩვენ ამაზე ზემოთ უნდა დავრწმუნებულყოფიყავით.

იგივე პრაქტიკული ამოცანა ჯერ კიდევ დგას დღევანდელი ისტორიული გეოგრაფიის წინაშე.

<sup>48</sup> ექსპ. კ.-ო. და ჩ., 15—16.

<sup>49</sup> იქვე, 54—55.

<sup>50</sup> Эксп. Ю. Г., 19.—20.

<sup>51</sup> МАК. XII, 58—59, 69.

<sup>52</sup> ექსპ. კ.-ო და ჩ., 41.

<sup>53</sup> ИКОМО, III, 32, 108—109.

<sup>54</sup> СМОМПК, XXXV, 109—110.

<sup>55</sup> СМОМПК, XXXV, 248.

## ეპითიმე თაყაიშვილი და ქართული სამართლის ისტორია

აკადემიკოს ე. თაყაიშვილის ღვაწლი საქართველოს ისტორიის მეცნიერების წინაშე ფასდაუდებელია. ქართველი ხალხის მდიდარი წარსულის შესწავლას მონადრომა მან მთელი თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი სიცოცხლე. ე. თაყაიშვილმა საქართველოს ისტორიის არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი ძეგლი აღმოაჩინა. მისი მოღვაწეობის შედეგად ჩვენი ხალხის წარსულის მრავალ ბუნდოვანსა და ბურუსით მოსილ საკითხს სინათლის შუქი მოეფინა. მან დაღუპვას გადაარჩინა ისეთი ძეგლები, რომელთაც საქართველოს ისტორიის შესწავლისთვის ვალსაზრისით პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ.

ე. თაყაიშვილის მეცნიერული მოღვაწეობის ძირითადი საგანი საქართველოს ისტორიის წყაროების შესწავლა იყო და ამ მიმართულებით მისი იუშაობა შეუღდარებელია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ე. თაყაიშვილი იშვიათი კეთილსინდისიერებით, უდიდესი ენერგიითა და სიყვარულით ეკიდებოდა ყოველ შესასწავლ ძეგლს და ამ მხრივ მისი ღვაწლი საყოველთაო აღიარებას იმსახურებს.

საქართველოს ისტორიას XIX საუკუნის უკანასკნელი ათეული წლებიდან ე. თაყაიშვილის სახით სწორედ ისეთი მეცნიერი გამოუჩნდა, რომელიც მისთვის აუცილებელი იყო: მან მკვიდრი საძიკველი აწუყვანა საქართველოს ისტორიის ძეგლების მეცნიერულ შესწავლას. 70 წლის განმავლობაში თავგამოდებით ემსახურებოდა ის ჩვენი ხალხის წარსულის შესწავლის საქმეს.

ჩვენ ე. თაყაიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობის მხოლოდ ერთ მხარეს შევხებით. სახელდობრ, იმ წვლილს, რომელიც მან შეიტანა საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხების დამუშავების საქმეში. სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, გარდა „ქელმწიფის კარის გარიგების“ აღმოჩენა-გამოცემისა, ესეც საკმარისი იქნებოდა მისი სახელის უკვდავსაყოფად, მაშინ როდესაც „ქელმწიფის კარის გარიგების“ გამოცემა მისი მოღვაწეობის მხოლოდ ერთი ნაწილია და ისიც არა მთავარი.

განუზომელია „ქელმწიფის კარის გარიგების“ მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის საერთოდ და კერძოდ კი საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. შინაარსით ეს ძეგლი სახელმწიფო სამართალს ეკუთვნის და გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პერიოდს ასახავს. მისი შედარება შეიძლება „დასტურლამალთან“, რომელიც გვიანფეოდალური ხანის ქართლის სახელმწიფოებრივ წყობილებასა და სამართლის ინსტიტუტებს ეხება.

„ქელმწიფის კარის გარიგება“ იმდენად მნიშვნელოვან მასალას შეიცავს გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილები-

სა. რომ ამ მხრივ მას ხსენებული პერიოდის შესასწავლად მნიშვნელობით ვერცერთი სხვა ძეგლი ვერ შეედრება<sup>1</sup>.

აქად. ივ. ჯავახიშვილი „ტელმწიფის კარის გარიგების“ შესახებ წერს: „ამ ძეგლის შინაარსი იმდენად მრავალფეროვანია, რომ მას საქართველოს, როგორც სახელმწიფო წყობილების, ისე კულტურული, ეკონომიური და ნივთიერი კულტურის შესასწავლად უაღრესი მნიშვნელობა აქვს“<sup>2</sup>.

ძეგლის შესახებ თვითონ ე. თაყაიშვილი 1920 წელს, ე. ი. ძეგლის გამოქვეყნებისას წერდა: „ამ ოცდაათის წლის განმავლობაში აუარებელი ძეგლები და ისტორიული საბუთები აღმოჩნდა და გამოქვეყნდა, რომელთა შეოხებით ქვაკუთხედი ჩაეყარა ჩვენი ისტორიის შესწავლას, მაგრამ ჯერ არ აღმოჩენილა ძეგლი, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების, სახელმწიფო ყოფა-ცხოვრების და შინაგანი ორგანიზაციის შესასწავლად ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორც ტელმწიფის კარის გარიგებას აქვს... ასე მთლიანად დალაგებული და ასე დაწვრილებით გაშუქებული სახელმწიფო წესწყობილების სურათი, როგორსაც ტელმწიფის კარის გარიგება გვაძლევს, არც ერთს ძეგლში და საბუთში არ მოგვეპოება... ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კარის გარიგების აღმოჩენა ზემოთა ჩვენი ისტორიისათვის“<sup>3</sup>.

ძეგლის აღმოჩენის შესახებ ე. თაყაიშვილი მოგვითხრობს: „ხელნაწერი. რომელშიაც დაკულია გარიგება ხელმწიფის კარისა, ჩვენ ვიპოვეთ რამოდენიმე წლის წინათ ქართლში მოგზაურობის დროს ერთს ვაპარტახებულს სახლში და ამოვიღეთ ნაგავიდან, რომელიც ჩვენს თვალს წინ გამოგავეს ოთახიდან“. საერთოდ ზომ ე. თაყაიშვილი სწორედ იმ მიზნით მოგზაურობდა ხოლმე, რომ შეეგროვებინა საქართველოს ისტორიის ძეგლები. ერთი ასეთი მოგზაურობის დროს მან პირდაპირ დალუპავს ვადაარჩინა „ტელმწიფის კარის გარიგება“.

ასეთი ძეგლის აღმოჩენა და გამოცემა, როგორც ვთქვით, თავისთავად დიდად დასაფასებელია, აგრეთვე ფრიად მნიშვნელოვანია ის მუშაობა, რომელიც ე. თაყაიშვილმა ჩაატარა ძეგლის ხელნაწერის შესწავლაზე, ლექსიკონის შედგენაზე და სხვა. ამასთანავე, მან მოგვცა ძეგლის დახასიათება, მისი შინაარსის მიხედვით.

ე. თაყაიშვილმა დაწვრილებით შეისწავლა ძეგლი, გამოარკვია თუ სამართლის რომელ დარგს მიეკუთვნება ის და სახელდობრ რა და რა ინსტიტუტის შესახებ მოიპოვება მასში მასალა. მკვლევარი გულისტკივილით აღნიშნავს ძეგლის დეფექტურობას: „რომ ეს ძეგლი მთლიანად შენახულიყო,—წერს ის—ჩვენ სრული ურთი გვექნებოდა საქართველოს სახელმწიფოს წესწყობილებისა და ყოფა-ცხოვრებისა, მაგრამ რამაც ჩვენამდის მოაღწია. ისიც ფასდაუდებელია და ისიც საკმაოდ გვიშუქებს მრავალ მხარეს საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებისა მეცამეტე საუკუნის დასასრულს და მეთოთხმეტეს დასაწყისში“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 65—67; მისივე, საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო წყობილების ფორმის საკითხი „ტელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით (ეურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1959, № 3).

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 1, 1928, გვ. 67—68.

<sup>3</sup> პროფ. ექ. თაყაიშვილი, „ტელმწიფის კარის გარიგება“, 1920, გვ. XXXIV, XXXVIII.

<sup>4</sup> გვ. I.

<sup>5</sup> იქვე, გვ. XXXIV.

ე. თაყაიშვილის ამ სიტყვების მიხედვით ძეგლი სამართლის იმ დარგს ეკუთვნის, რომელიც სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხებს აღდგენს, ე. ი. სახელმწიფო სამართალს. ე. თაყაიშვილი სამართლის საკითხებს განიხილავს ძეგლის მნიშვნელობის საკითხთან დაკავშირებით. ე. თაყაიშვილის შრომის ამ ნაწილს ასეთი სათაური აქვს: „მნიშვნელობა კარის გარიგებისა საქართველოს ისტორიის და სამართლისათვის“<sup>6</sup>. სათაურის მიხედვით საუბარია საქართველოს ისტორიასა და სამართალზე და ამ უკანასკნელში, რასაკვირველია, იგულისხმება ქართული სამართლის ისტორია.

ძეგლი შეიცავს მასალას საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხის შესახებაც. მავალითად, მასში არის ცნობები დავით აღმაშენებლის მეფობის ზოგიერთი საყურადღებო ეპიზოდის, საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის, საეკლესიო წყობილების თაობაზე და სხვა. ამასთანავე, ძეგლში მოიპოვება საყურადღებო მასალა ქართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ. ყველა ეს საკითხი დაწვრილებით აქვს განხილული ე. თაყაიშვილს ხსენებულ ნაშრომში.

როგორც აღნიშნეთ, „ქელმწიფის კარის გარიგება“ ძირითადად სამართლის დარგს ეკუთვნის და მკვლევარი ამ ძეგლისადმი წამძღვარებულ გამოკვლევაში, ძეგლის შინაარსის შესაბამისად, უმთავრესად სამართლის ისტორიის საკითხებს ეხება.

იგი ამტკიცებს, რომ „გარიგება“ შედგენილია არა უადრეს XIII საუკუნის დასასრულისა და უფრო კი XIV საუკუნის პირველ ნახევარში. ამასთანავე მას საჭიროდ უცვნია განემარტა, რომ მართალია, ძეგლი XIII საუკუნის დასასრულისა და XIV საუკუნის დასაწყისის საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებას ასახავს, მაგრამ ის იმავე დროს საერთოდ გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების სურათს გვიხატავს, რადგან XIII და XIV საუკუნეთა მიჯნის საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილება ერთბაშად კი არ შექმნილა, არამედ არის ნაყოფი ხანგრძლივი ისტორიული განვითარებისა: „ეს წესწყობილება (XIII საუკუნის დასასრულისა და XIV საუკუნის დასაწყისისა, ი. ს.), რასაკვირველია, თანდათანობით გამომუშავებულია საუკუნეთა განმავლობაში, დაახლოებით მეთათედან მეთოთხმეტე საუკუნემდის, მას თავის ევოლუცია აქვს და ნიშანია საქართველოს რთული კულტურული ცხოვრებისა და განვითარებისა“<sup>7</sup>.

ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ „ქელმწიფის კარის გარიგება“, როგორც ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის „უმთავრესი წყარო“, საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ, თუ „რა დაწესებულებანი არსებობდა საქართველოში, ვინ უდგა სათავეში თვითეულს დაწესებულებას, რომელნი ხელისუფალნი ანუ მოხელენი მსახურობდნენ დაწესებულებაში და რა უფლება და მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული თვითეულს მათგანს“<sup>8</sup>.

„ქელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, სახელმწიფოს სათავეში მეფე იდგა. მეფე სახელმწიფოს განაგებდა მოხელეების საშუალებით, რომელთა შორის უმძაღლეს რანგს ვეზირები ეკუთვნოდნენ. ვეზირი, ე. თაყაიშვილის აზრით, შემდეგი პერიოდის მინისტრს უდრის<sup>9</sup>.

<sup>6</sup> „ქელმწიფის კარის გარიგება“, გვ. XXXIV.

<sup>7</sup> იქვე, გვ. XXXIV.

<sup>8</sup> იქვე, გვ. XXXIV—XXXV.

<sup>9</sup> იქვე, გვ. XXXIV—XXXV.

ე. თაყაიშვილი ჩამოთვლის ექვს ვეზირს: ჰყონდიდელს, ათაბაგს, ამირსპასალარს, მანდატურთუხუცესს, მემურჰლეთუხუცესსა და მსახურთუხუცესს. მწიგნობართუხუცესი ჰყონდიდელი, ე. თაყაიშვილის აზრით, არის პირველი ვეზირი და „ერთგვარი პრემიერი“, მის გარეშე „არც ერთი სახელმწიფო საქმე არ გადაწყდება“<sup>10</sup>. დანარჩენი ვეზირები, ასკენის ე. თაყაიშვილი „ქელმწიფის კარის გარიგების“ ანალიზის საფუძველზე, ორ ჯგუფად იყოფოდა: სამთა ვეზირთა ჯგუფი (ათაბაგი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი) და ორთა ჯგუფი (მემურჰლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი). ვეზირთა პირველ ჯგუფს „დარბაზობისა და პურობის დროს“. მეტი პატივი ჰქონდა, ძეგლის მიხედვით<sup>11</sup>.

ამ ექვსი ვეზირიდან, ე. თაყაიშვილის განმარტებით, ოთხი ძველი ვეზირია, ორი კი—ათაბაგი და მსახურთუხუცესი — ახალი: ათაბაგი ვეზირად გახდა თამარის მეფობის უკანასკნელ წელს, ხოლო მსახურთუხუცესს ვეზირობა მისცა რუსუდან მეფემ.

ვეზირთა ბჭობა მეფის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა. აქ წყდებოდა მნიშვნელოვანი საკითხები და, ე. თაყაიშვილის დასკვნით, ამ ბჭობას „ვეზირობა“ ეწოდებოდა<sup>12</sup>.

ვეზირთა ბჭობა მეფის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა. იქ წყდებოდა ღა, ოღონდ სათათბირო ხმით.

„თვითელს ვეზირის სახლოს სამართველოდ მთელი შტატი“ ყადა მოხელეთაო. წერს ე. თაყაიშვილი<sup>13</sup>.

ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ „ქელმწიფის კარის გარიგებაში“ ასახულია განვითარებული ფეოდალური მონარქია; მასში გატარებულია მეფის ძლიერი ხელისუფლების იდეოლოგია. „ქელმწიფის კარის გარიგებაში“ დასურათებული სასახლის ეტიკეტის მიხედვით მეფე ღვთის მოადგილეა ამ ქვეყნად, მისი ყოველი სიტყვა, ყოველი ნაბიჯი და საერთოდ მისი პიროვნება განსაკუთრებული შარავანდედით არის მოსილი. ამ მხრივ „ქელმწიფის კარის გარიგება“ აბსოლუტური მონარქიის ატრიბუტებს გვიხატავს. აქ არ არის იმის აღვლილი, რომ უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ამ საკითხზე. როგორც ცნობილია, აბსოლუტიზმი წარმოიშობა მხოლოდ იქ, სადაც ფეოდალიზმის წიაღში ვითარდება კაპიტალიზმის ჩანასახები. ასეთი მდგომარეობა საქართველოში არ გვექონია, იმ პერიოდში მაინც. მაშ როგორ ავხსნათ, რომ „ქელმწიფის კარის გარიგებაში“ აბსოლუტიზმის სასარგებლო იდეოლოგიაა განვითარებული?

„ქელმწიფის კარის გარიგება“ არის არა ოფიციალური დოკუმენტი, არამედ კერძო პირის ნაწარმოები. მისი ავტორი ეკამათება ვინმე სოფრომისძეს, რომელსაც აგრეთვე დაუწერია ასეთი ნაწარმოები. თავისთავად ის გარემოება, რომ „ქელმწიფის კარის გარიგების“ შექმნის დროს თურმე ასეთივე ილიდიული შინაარსის ნაწარმოები იწერებოდა, იმის დამადატურებელია, რომ მაშინ ქართული იურიდიული აზროვნება განვითარების მაღალ დონეზე მდგარა: თუ კი ასეთი ნაწარმოები ყოფილა, მას მკაცრად ეყოლებოდა. ე. ი საზოგადოებაში არსებულა სათანადო მოთხოვნილება.

<sup>10</sup> „ქელმწიფის გარიგება“, გვ. XXXV.

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> იქვე, გვ. XXXV—XXXVI.

<sup>13</sup> იქვე, გვ. XXXVI.

რადგან „ქელმწიფის კარის გარიგება“ კერძო პირის ნაწარმოებია (ავტორი უცნობია, ის კარის დიდი მოხელე უნდა იყოს), ამდენად საქმე გვაქვს ავტორის პირად შეხედულებასთან აბსოლუტიზმის შესახებ. აბსოლუტიზმის სასარგებლო შეხედულება მაშინდელ პირობებში პროგრესული იყო, რადგან აბსოლუტიზმი ფეოდალური დაქუცმაცებულობის პირობებში წინ გადადგმული ნაბიჯია და ახალი საზოგადოებრივი ეკონომიური ფორმაციის მოახლოების მანიშნებელი.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ შეხედულების წარმოშობასაც შესაფერისი სოციალ-ეკონომიური პირობები ესაჭიროება. ამასთანავე, ისიც არის შესაძლებელი, რომ ზოგიერთი პროგრესული შეხედულება ადრე იკვლევდეს გზას და ისეთ ვითარებაშიც კი წარმოიშობოდეს, როცა მისი განხორციელება მხოლოდ მომავალში იყოს შესაძლებელი.

გარდა ამისა, ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პერიოდის ზოგიერთი მოვლენა, შესაძლებელია, იმასაც გვაფიქრებინებდეს, რომ აბსოლუტური მონარქიის შექმნის იდეას მაშინდელ საქართველოში რეალურა საფუძვლებიც ჰქონოდა. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს მაღალი კულტურა. რომლის მწვერვალი „ვეფხისტყაოსანია“, ხოლო მასში ცენტრალიზებული, ძლიერი ფეოდალური მონარქიის იდეა არის გატარებული. ამასვე მოწმობს „ქელმწიფის კარის გარიგება“ და მრავალი სხვა არაპირდაპირი საბუთი.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ XIII საუკუნის საქართველოში დამოწმებულია საეკატო ამხანაგობათა არსებობა. რაც აგრეთვე საბუთია იმისა, რომ იმ პერიოდისათვის მწიფდებოდა პირობები ფეოდალური საზოგადოების რღვევის დასაწყისისა.

ამჟამად ჩვენთვის საყურადღებოა, თუ როგორ უყურებს ამ საკითხს ე. თაყაიშვილი. „ქელმწიფის კარის გარიგების“ ანალიზის საფუძველზე ის ძილის იმ დასკვნამდე, რომ ხსენებული ძეგლის მიხედვით, რომელშიაც ასახულია სასახლის რთული ეთიკეტი და ცერემონიები, შეიძლება საქართველოს მეფის კარი შედარებულ იქნეს საფრანგეთის სამეფო კართან. იგი წერს: „ქ. გარიგება გვიხატავს სურათს თვით ხელმწიფის კარისა ანუ დარბაზისა და იმ რთულის ეტიკეტის და ცერემონიებისა. რომელიც არსებობდა კელმწიფის კარზე. თითოეულის კელმწიფის ფეხის გადადგმაზედ. და რომელიც მოგვაგონებს ლიუდოვიკო მეოთხემეტის კარის ეთიკეტს“<sup>14</sup>. ამასთანავე, ე. თაყაიშვილი გვითითებს ძეგლის იმ ადგილებზე, რომლებიც მას საქართველოსა და საფრანგეთის სამეფოს მსგავსებას ანიშნებს. ასეთი ადგილებია: 1) დარბაზობის წესრიგი (მუხ. 20—29). 2) წესრიგი პურობისა (მუხ. 31—33), 3) მეფის მოკაზმვა (მუხ. 35), 4) ახალი წლის გამო ცერემონია (მუხ. 1—2), 5) ნათლისღების წესრიგი (მუხ. 3), 6) აღდგომისა დღესასწაულთან დაკავშირებული ცერემონიები (მუხ. 6). მითითებული ადგილები იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ მათში მოცემულია მეფის ყოველი ნაბიჯის დაწვრილებითი აღწერილობა, მეფის პიროვნებისათვის ზეზუნებრივი თვისებების მიწერა და სხვა ასეთები, რაც საერთოდ დამახასიათებელი იყო აბსოლუტური მონარქიისათვის ფეოდალური ევროპის ქვეყნებში.

ცნობილია, რომ ყველაზე უფრო ტიპურად ფეოდალიზმისა და სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმათა განვითარება საფრანგეთში მიმდინარეობდა.

<sup>14</sup> „ქელმწიფის კარის გარიგება“, გვ. XXXV.

ფეოდალიზმის სახელმწიფოებრივი წყობილების უკანასკნელი ფორმა—აბსოლუტიზმი საფრანგეთში შედარებით უფრო დასრულებული სახით არის წარმოდგენილი, ვიდრე ინგლისსა და სხვა ქვეყნებში. საფრანგეთში აბსოლუტიზმმა თავის უმაღლეს საფეხურს ლიუდოვიკო XIV დროს მიაღწია. სწორედ ამ ლიუდოვიკოზე აქვს საუბარი ე. თაყაიშვილს, როდესაც მას საქართველოს სამეფო კარის დახასიათება სურს.

რაკი ე. თაყაიშვილი საქართველოს სამეფო კარის შესადარებლად იღებს საფრანგეთის სამეფო კარს, მას საქართველოში საფრანგეთის მსგავსი წესწყობილება მიეგულება, ე. ი. მისი ვარაუდით შესაძლებელია, საქართველოშიც გაერთიანების პერიოდში სახელმწიფო წესწყობილებას აბსოლუტიზმის ნიშნები ჰქონოდა.

ე. თაყაიშვილი აღფრთოვანებული იყო ამ ძეგლის აღმოჩენით და ძლიერ მაღალ შეფასებასაც აძლევდა მას: „უნდა გამოვტყუდეთ—წერს ის,—ჩვენ არც მოველოდით ასეთი ძეგლის აღმოჩენას ჩვენს ძველს მწერლობაში. ასეთი ძეგლი იშვითაა თვით უაღრეს კულტუროსან დიდ ხალხების და სახელმწიფოთა ისტორიაშიც“<sup>15</sup>.

ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ მის მიერ მომზადებული ძეგლის ქართული ტექსტი და რუსული თარგმანი უნდა გამოცემულიყო პეტროგრადში, იტაური „აკადემიის გამოცემათა სერიაში“; ტექსტი უკვე აწყობილიც იყო, მაგრამ „პეტროგრადის აკადემიასთან ჩვენი კავშირი რევოლუციის შემდეგ შეწყდა“ და ძეგლი ქართულად 1920 წელს თბილისში გამოვეიცო<sup>16</sup>. ამ ძეგლზე მუშაობასთან დაკავშირებით ჩვენ ლენინგრადში, აკად. ნ. მარის არქივში ვიპოვნეთ ნაწილი „ქელმწიფის კარის გარიგების“, ექ. თაყაიშვილის მიერ შესრულებული რუსული თარგმანისა, გამოსაცემად აწყობილი.

ნ. მარი ამის შესახებ წერდა: ჩემი მეგობარი, პროფ. ე. თაყაიშვილი და მე ერთმანეთს რევოლუციამ დაგვაშორა, ალბათ, სამუდამოდ; მას ძლიერ უყვარდა მის მიერ აღმოჩენილი „ქელმწიფის კარის გარიგება“. რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისათვისაო; ეს ძეგლი, ე. თაყაიშვილის მიერ რუსულ ენაზე ნათარგმნი, უნდა დაბეჭდილიყო «Христианский Восток»-ში, მისი და ჩემი კომენტარებითო. ძეგლი უკვე აწყობილი იყო, როცა დაიწყო 1917 წლის თებერვლის რევოლუცია. აწყობილი მასალა დაიკარგა, მხოლოდ ნაწილი გადაარჩა და ძეგლის დიდი მნიშვნელობის გამო, სწერდა ნ. მარი, განზრახვა გვაქვს, ეს გადაარჩენილი ნაწილი, ჩვენი გამოკვლევითა და განმარტებითურთ, გამოვცეთო.

მაგრამ ნ. მარსაც არ დასცალდა ამ საქმის ბოლომდე მიყვანა, მისი შრომა არ არის დამთავრებული. ჩვენ ვაღმოვწერეთ ე. თაყაიშვილი „რუსული თარგმანი ნ. მარის არქივიდან და აგრეთვე ნ. მარის შენიშვნები. იქ, სადაც მარი არ ეთანხმება თაყაიშვილის თარგმანს, იგი თავის საკუთარს იძლევა. ცნობილია, რომ ეს ძეგლი ძლიერ ძნელი გასაგებია და ამიტომ ამ ორი მეცნიერის თარგმანს თავისთავად დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უფრო, რომ სწორედ ძეგლის რთული ადგილების გაგება იწვევდა მათ აზრთა სხვაობას. ნ. მარის არქივში გადაარჩენილი აღმოჩნდა ძეგლის რუსული თარგმანი სანახევროდ, მაგრამ სამაგიეროდ ძეგლის ეს გადაარჩენილი ნახევარი არის სწორედ უფრო მნიშვნელოვანი. როდესაც ე. თაყაიშვილი საზღვარგარეთიდან საქართველოში დაბრუნდა

<sup>15</sup> დამოწ. ნაშრ., გვ. XXXIV.

<sup>16</sup> იქვე, გვ. XXXVI.



1945 წელს, მას მიეუტანეთ აკად. ნ. მარის არქივიდან ამოწერილი მასალა. იგი ინტერესით გაეცნო ნ. მარის კომენტარს და ახალი საყურადღებო შენიშვნები გამოთქვა თარგმანის შესახებ. ჩვენ განზრახული გვაქვს „ქელმწიფის კარის გარიგების“ რუსული თარგმანის გამოცემა. ნ. მარისა და ე. თაყაიშვილის შენიშვნებითურთ.

ე. თაყაიშვილი საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხებს ეხება აგრეთვე თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომში: „როდის შეიქცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ“<sup>17</sup>. ამ წერილში ავტორი განიხილავს ადრეფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების მნიშვნელოვან საკითხებს. მას განვითარებული აქვს მოსაზრება, რომ იბერთა სახელმწიფო, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში წარმოიშვა, 523 წელს სწყვეტს არსებობას და მის ადგილზე ქართლის სამთავროები ყალიბდება. ეს არის ქართლის ტერიტორიაზე ფეოდალური სამთავროების წარმოშობის პროცესი. IX საუკუნეში ქართლის ერისთავთა სამთავროები კვლავ ქართლის სამეფოდ ერთიანდება, ხოლო „X საუკუნის დასასრულიდან“ გაერთიანებული საქართველოს სამეფო იქმნება.

აღრინდელი ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების მრავალ საყურადღებო საკითხს ეხება ე. თაყაიშვილი „სუმბატ დაიეთის ძის ქრონიკის“ შესამე გამოცემისადმი წამძღვარებულ გამოკვლევაში<sup>18</sup>.

ე. თაყაიშვილი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სიგელ-გუჯრებს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა დარგის შესწავლის თვალსაზრისით. ასეთი საბუთები, მისი აზრით, „შეადგენენ უმთავრესს და საუკეთესო მასალას ჩვენი წარსული ცხოვრების სურათის დასახატავად და საქართველოს ისტორიის აღსადგენად. მატიაწინი და ქრონიკები მართო ჩონჩხბა ისტორიისა“, ხოლო სიგელ-გუჯრები—„სისხლი და ხორცი“<sup>19</sup>. სიგელ-გუჯრები. ე. თაყაიშვილის მართებული განმარტებით, „გვააწავლიან იურიდიულ წესწყობილებას საქართველოს სამეფოსას, გვიჩვენებენ კანონებს, ზნეჩვეულებას“, სამართალს; „გვიხატავენ დამოკიდებულებას ერთმანეთში სხვადასხვა წოდებათა და კლასთა“ და სხვ<sup>20</sup>.

ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა მრავალი პირველხარისხოვანი სიგელი, რომელთა ნაწილი იურიდიული შინაარსისაა. ამ ძეგლთა გამოცემასთან ერთად ე. თაყაიშვილი გვაძლევს მათ დახასიათებას და მიაქცევს ჩვენს ყურადღებას იმაზე, თუ რით არის ძეგლი შესანიშნავი, სამართლის რომელ დარგს განეკუთვნება და სხვა. მაგალითად. როცა ეხება გიორგი IX მიერ ორალელისძეთა-კვიტაშვილთათვის ბოძებულ სასისხლო სიგელს, ე. თაყაიშვილი განმარტავს, რომ ეს სიგელი „ძლიერ საყურადღებოა“ ქართული სამართლის შესასწავლად<sup>21</sup> და რომ „აქ პირველად გვხვდება ზოგიერთი საყურადღებო ტერმინები“<sup>22</sup>. აღნიშნული იუგლი მართლაც საყურადღებო მასალას შეიცავს სამართლის რიგი ცნებებისათვის. ძირითადად სიგელი სისხლის სამართალს განეკუთვნება და მასში მოთხ-

<sup>17</sup> ჟურნ. „მნათობი“, № 8, 1948 წ.

<sup>18</sup> „სუმბატ დაიეთის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ“, გამოსცა აკად. ე. თაყაიშვილმა, 1949.

<sup>19</sup> „საქართველოს სიძველენი“, ტ. 1, ექვ. თაყაიშვილის რედაქტორობით. 1899, გვ. IV.

<sup>20</sup> იქვე, გვ. IV—V.

<sup>21</sup> იგივე, ტ. III, 1910, გვ. 436.

<sup>22</sup> იქვე.

რობილია დანაშაულის სხვადასხვა შედგენილობა და დაურევება; საუბარია თავ-  
დასხმაზე, გერაზე, სანახშიროზე და სხვ<sup>23</sup>.

ე. თაყაიშვილს გამოცემული აქვს ქსნის ერისთავის 1470 წლის სიგელი-  
იგი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შალვა ერის-  
თავი ხსენებულ სიგელში „დაწერილებით განმარტავს, თუ რა სასჯელი უნდა  
მიესაჯოს იმათ, ვინც მონასტრის კარ-მიდამოში რაიმე დანაშაულობას ჩაიდენს“  
და რომ „ამ სახით ეს გუჯარი წარმოგვიდგენს განცალკევებულს კანონმდებლო-  
ბას“<sup>24</sup>.

მართლაც, ქსნის ერისთავის ხსენებული სიგელი ერთ-ერთ მნიშვნელოვან  
წყაროს წარმოადგენს ქართული ფეოდალური სისხლის სამართლის ისტორიის  
შესწავლისათვის. ერისთავი მეფისაგან თითქმის დამოუკიდებლად აწესრიგებს  
მონასტრის საქმეებს და ამასთანავე ადგენს იმ იურიდიულ რეჟიმს, რომელშიაც  
პის საერისთავოში მდებარე მონასტერი იმყოფება. სიგელში განსაზღვრულია  
მონასტრის იმუნიტეტი და ამასთან დაკავშირებით მოცემულია დანაშაულის  
სხვადასხვა სახე და შესაფერისი სანქცია.

ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემულია როსტომ მეფის 1638 წლის სიგელი  
მურდარის შესახებ, რომელიც ძირითადად აღნიშნული მოხელის შემოსავალს  
ეხება. მოხელის შემოსავალი კი, როგორც ცნობილია, მის ფუნქციასთან არის  
დაკავშირებული. ამ შემთხვევაში საუბარია მურდარის იმ სარგოზე, რომელსაც  
ის იღებს საბუთზე ბეჭდის დაწმისათვის. მურდარი მეფის ბეჭდის შემნახავი  
და მეფესთან ფრიად დაახლოებული პირი იყო<sup>25</sup>. ე. თაყაიშვილი განმარტავს,  
რომ მურდარის შესახებ როსტომის 1638 წლის ეს სიგელი შეტანილი აქვს ვახ-  
ტანგ VI-ს თავის „დასტურლამალში“ და რომ იგი წარმოადგენს ერთ-ერთ „წყა-  
როს ვახტანგ VI-ის დასტურლამალისა“<sup>26</sup>.

საერთოდ ე. თაყაიშვილი ქართული სამართლის ისტორიის წყაროებს სპე-  
ციალურად იკვლევდა და კარგადაც ჰქონდა ისინი შესწავლილი.

იოსებ ბებუთაშვილის 1818 წლის მოხსენებასთან დაკავშირებით იგი ეხება  
ნიშყარბაშის სახელოს და მართებულად განმარტავს, რომ ეს არის მონადირე-  
თიუხუცესის, ანუ მსახურთუხუცესის სახელო. ამ ძეგლთან დაკავშირებით ის  
ეხება აგრეთვე მელიქის, მამასახლისისა და მოლარეთუხუცესის სახელოებს,  
რომელთა შესახებაც მის მიერ გამოქვეყნებულ საბუთში მეტად საყურადღებო  
მასალა მოიპოვება<sup>27</sup>.

ობიზართა შესანიშნავი სიგელი, რომელიც შეიკავს ფრიად შინაარსიან  
ცნობებს სასამართლო პროცესის შესახებ, აკად. ე. თაყაიშვილის მიერ არის  
გამოცემული და გამომცემელი ყურადღებას აქცევს ამ ძეგლის „იურიდიულ  
მხარეს“<sup>28</sup>.

ე. თაყაიშვილს აინტერესებს ადაფისაგან სამართლის ნორმის წარმოშობა  
და როდესაც ამის შესახებ ჯეროვანი, მასალა მოიპოვება, ის სათანადო აღგილას

<sup>23</sup> „საქართველოს სიძველენი“, III, გვ. 436—439.

<sup>24</sup> იქვე, გვ. III—IV.

<sup>25</sup> ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 241—245.

<sup>26</sup> „საქართველოს სიძველენი“, ტ. III, გვ. IV.

<sup>27</sup> იქვე, გვ. IV.

<sup>28</sup> იქვე, ტ. II, გვ. 1.

მივივითთებს კიდევაც. მაგალითად, მისი აზრით, ქალაქ თბილისის მოურავის განაწესში გათვალისწინებული ნორმები ადათებიდან უნდა მომდინარეობდეს<sup>29</sup>.

ე. თაყაიშვილის მიერ არის გამოცემული ქართული სამართლის ისტორიის ისეთი, იურიდიული შინაარსის შესანიშნავი ძეგლები, როგორცაა დიდი მოურავისა და ჭავჭავაძის დავის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება, კახეთის საბაჟოს განაწესი, ლევანისა და ვახტანგ ბატონიშვილის მიერ მთიულეთისათვის შედგენილი კანონები და სხვა. მოკლე წგრილში შეუძლებელია ყველა იმ მნიშვნელოვანი ძეგლის ჩამოთვლა, რომელთაც ე. თაყაიშვილის მაღლიანი ხელი შეხებია და რომელთა გამო მას თავისი მოსაზრება გამოუთქვამს.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ ე. თაყაიშვილი ყურადღებას აქცევს ძეგლის ისეთ მხარეს, რომელიც ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა. ამის მაგალითად მოვიყვანოთ ვახტანგის სამართლის წიგნის ერთ მუხლს, ზოგიერთი ხელნაწერის მიხედვით: „დედაკაცს მამულთან კელი არა აქვს“<sup>30</sup>. საყურადღებოა, თუ რატომ არის ასეთი ადგილი მხოლოდ ზოგიერთ ხელნაწერში და ამასთან დაკავშირებით გამოსარკვევია, თუ რამდენად ჰქონდა ამ მუხლს გავრცელება, მოქმედებდა თუ არა იგი პრაქტიკაში?

1634 წლის ერთ-ერთ საბუთში, რომელიც როსტომ მეფის წყალობის სიგელს წარმოადგენს, საუბარია იმის შესახებ, რომ მამული ოჯახის რძალს გაუცია. მეფე წერს: „მოკითხული ვქენით და დედაკაცს მამულის გასყიდვა არ ეხელყოფოდა“ და ამიტომ ნასყიდობა გავაუქმეთ<sup>31</sup>. ე. თაყაიშვილს „საქართველოს სიძველენი“-სათვის შედგენილ სარჩევში მოყავს ამ ძეგლის სათაურიც და თან ზემოთ მითითებული ადგილიც. იგი ამხევილებს ყურადღებას ქალის სამამულო უფლებების საკითხზე ფეოდალურ საქართველოში<sup>32</sup> და გვიჩვენებს ხსენებული მუხლის მოქმედებას პრაქტიკაში.

ხშირად ე. თაყაიშვილი ქართული სამართლის ისტორიის საკითხებს გაკვრით ეხება თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებში. მაგრამ ყველა მათი ჩვენება შორს წაგვიყვანდა.

აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: ე. თაყაიშვილს დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული ქართული სამართლის ისტორიის დარგში იმ მხრივაც, რომ სიგელ-გუჯრების შესწავლისა და ძეგლების ანალიზის დროს იგი იძლეოდა მათ კლასიფიკაციას და არქმევდა თვითოეულს შინაარსის შესაფერის სახელს—იმ შემთხვევაშიც, როცა უქანასკნელი თვით ძეგლში არ იყო მოცემული.

ასეთი სახელები კი ხშირად იურიდიული ტერმინების სახით წარმოგვიდგება. მის მიერ მოცემულ დასათაურებაში უკვე ჩანს, თუ სამართლის რომელ დარგს უნდა მივაკუთვნოთ ძეგლი, სამართლის რომელი ინსტიტუტის დახასიათებაში მოგვეხმარება ის და სხვა.

ე. თაყაიშვილი ქართული სამართლის ისტორიაში პირველი მეცნიერია, რომელმაც დიდი მასშტაბის შრომა ჩაატარა ქართული იურიდიული ტერმინების გარკვევა-დადგინებაზე. შესაძლებელია, ყველა ის სახელწოდება, რომელსაც იგი ხმარობდა თავის ნაშრომებში, დღეს ერთნაირად მისაღები არ იყოს, ჯაგრამ ე. თაყაიშვილის ამ მუშაობას მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თავის დროზე და დღესაც არ დაუკარგავს იგი.

<sup>29</sup> „საქართველოს სიძველენი“, II, გვ. 523.

<sup>30</sup> ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის რედაქციით, 1955, მუხლი 231.

<sup>31</sup> „საქართველოს სიძველენი“, ტ. II, 1909, გვ. 180, საბ. 1684 წლისა.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 568.

გავიხსენოთ იურიდიულ ძეგლთა ყველა ის სახელწოდება, რომელთაც  
 ე. თაყაიშვილი იყენებდა თავის ნაშრომებში:  
 განჩინების წიგნი<sup>33</sup>,  
 განჩინება თუ განაჩენი<sup>34</sup>,  
 გუჯარი<sup>35</sup>,  
 სიგელი<sup>36</sup>,  
 გაყოფის წიგნი<sup>37</sup>,  
 ყმობის წიგნი<sup>38</sup>,  
 შერიგების წიგნი<sup>39</sup>,  
 ფიცის წიგნი<sup>40</sup>, საფიცრის წიგნი<sup>41</sup>,  
 მიბარების წიგნი<sup>42</sup>,  
 ბარათი (სურსათის ძიღების შესახებ)<sup>43</sup>,  
 განწესების წიგნი (ჯამაგირისა)<sup>44</sup>,  
 განწესება<sup>45</sup>,  
 ვალის აღების წიგნი<sup>46</sup>,  
 გაცვლის წიგნი<sup>47</sup>,  
 წყალობის წიგნი<sup>48</sup> (ზოგჯერ სიგელიც, ეწოდება<sup>49</sup>),  
 პირობის წიგნი<sup>50</sup>. პირობა<sup>51</sup>,

<sup>33</sup> „საქართველოს სიძველენი“, ტ. I, 1899, გვ. 425, საბ. 1644 წ.; გვ. 383, საბ. 1653 წ., გვ. 412, საბ. 1654 წ.; 349, საბ. 1714 წ., გვ. 449, საბ. 1714—1730 წწ.; გვ. 421, საბ. 1792 წ.; ტ. II, 1909 წ. გვ. 413, საბ. 1646 წ.; გვ. 191, საბ. 1692—1703 წ.; ტ. III, ე. თაყაიშვილის რედაქციით, 1920, გვ. 428—429, საბ. 1717—1724 წწ.; იქვე, გვ. 205, საბ. 1728 წ.

<sup>34</sup> „საქართველოს სიძველენი“, ტ. III, 1910, გვ. 428, საბ. 1703—1709 წწ.; გვ. 418, საბ. 1730—1735 წწ.

<sup>35</sup> „საქართველოს სიძველენი“, ტ. I, 1899, გვ. 321, საბ. 1556 წ., გვ. 34 საბ. 1611—1615 წწ. (ზიკვინთის ეკლესიის გუჯარი); გვ. 26, საბ. 1611—1659 წწ. (სოფის ტაძრის გუჯარი); ტ. III, 1910, გვ. 555, საბ. 1470 წ.; გვ. 124, საბ. 1600—1605 წწ.

<sup>36</sup> იქვე, გვ. 475, საბ. 1491 წ.

<sup>37</sup> „საქართველოს სიძველენი“, ტ. I, 1899, საბ. 1543, ტ. II; გვ. 239, საბ. 1674 წ.

<sup>38</sup> იგივე, ტ. III, გვ. 523, საბ. 1788 წ.

<sup>39</sup> იგივე, ტ. III, გვ. 451, საბ. 1738—1739 წწ.

<sup>40</sup> იქვე, გვ. 64, საბ. XVII საუკ. გვ. 45, საბ. 1680—1710 წწ.; გვ. 46, საბ. 168—1710 წწ.

გვ. 50, საბ. 1707—1710 წწ.; ტ. II, გვ. 207, საბ. 1675—1685 წწ.; გვ. 185, 1676—1696 წწ.

გვ. 564, საბ. 1679 წ.; გვ. 459, საბ. 1744 წ.

<sup>41</sup> იგივე, ტ. III, გვ. 445, საბ. 1737 წ.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 443, საბ. 1738 წ.

<sup>43</sup> იქვე, გვ. 404, საბ. 1701 წ.; გვ. 415, საბ. 1723 წ.

<sup>44</sup> იქვე, გვ. 509, საბ. 1710 წ.

<sup>45</sup> იგივე, ტ. I, გვ. 426, საბ. 1679 წ.; გვ. 491, საბ. 1693 წ.; ტ. III, გვ. 423, საბ. 1752 წ.; გვ. 522, საბ. 1786 წ.; გვ. 522, საბ. 1787 წ.

<sup>46</sup> იქვე, გვ. 129, საბ. 1636—1703 წწ.

<sup>47</sup> „საქართველოს სიძველენი“, I, გვ. 410, საბ. 1590 წ.; იქვე, საბ. 1627; იქვე, გვ. 411, საბ. 1628 წ.; იქვე, გვ. 413, საბ. 1654 წ.; გვ. 413, საბ. 1659 წ.; გვ. 414, საბ. 1672 წ.; გვ. 415, საბ. 1658 წ.; გვ. 417, საბ. 1616 წ.; გვ. 127, საბ. 1636—1703 წ.; ტ. II, გვ. 9, საბ. 1339 წ.; გვ. 8, საბ. 1338 წ.; ტ. III, გვ. 536, საბ. 1625—1639 წწ.

<sup>48</sup> იქვე, გვ. 251, საბ. 1626 წ.; გვ. 252, საბ. 1628 წ., გვ. 253, საბ. 1640 წ.

<sup>49</sup> იქვე, გვ. 96, საბ. 1746 წ.; გვ. 159, საბ. 1790 წ. ტ. III, გვ. 406, საბ. 1703 წ.

<sup>50</sup> იქვე, ტ. II, გვ. 175, საბ. 1685—1695 წწ.

<sup>51</sup> იქვე, გვ. 135, საბ. 1712, გვ. 125, საბ. 1691 წ.; ტ. II, გვ. 45, საბ. 1582 წ.; ტ. I, გვ. 135, საბ. 1712 წ.

სითარხნის წიგნი<sup>52</sup>,  
 აზატობის (პირადი განთავისუფლების) წიგნი<sup>53</sup>,  
 არაბ<sup>54</sup>,  
 შეწირულობის წიგნი<sup>55</sup> (ზოგჯერ გუჯარი აქვს შერქმეული)<sup>56</sup>.  
 გაერთიანების პირობა<sup>57</sup>,  
 თავღებობის წიგნი<sup>58</sup>,  
 ნასყიდობის წიგნი<sup>59</sup>,  
 ბრძანების წიგნი<sup>60</sup>, ბრძანება<sup>61</sup>.  
 სარგო<sup>62</sup>,

სასიხლო სიგელი<sup>63</sup>, სისხლის ზღვევის სიგელი<sup>64</sup> და სხვა.

თვითოველი აქ მოყვანილი სახელწოდება, როგორც უკვე ითქვა, იური-  
 დიული შინაარსის ტერმინია. ე. თაყაიშვილმა წარმატებით სცადა, დიდძალი  
 ნედლი მასალის დამუშავების საფუძველზე დაედგინა თუ შეემუშავებია ქარ-  
 თული სამართლის ისტორიის სხვადასხვა დარგის ან ინსტიტუტის შესატყვისი,  
 იურიდიული შინაარსის ტერმინოლოგია.

ამასთანავე, ე. თაყაიშვილისათვის ქართული სამართლის ისტორია არ ყო-  
 ფილა კვლევის მთავარი საგანი. ამ საკითხებზე მუშაობას ის ეწეოდა იმდენ-  
 ნად, რამდენადაც ისინი მის მიერ აღმოჩენილი ამათუ იმ ძეგლის მიხედვით წა-  
 მოიჭრებოდა. მიუხედავად ამისა, აღმოჩენილი და გამოქვეყნებული ძეგლების  
 მიხედვით იურიდიული ტერმინების წარმოჩენით მან ქართული სამართლის  
 ისტორიის ყამირზე პირველი მეცნიერული კვალი გაავლო.

დიდი აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ქართული სამართლის  
 ისტორიის დარგში, მაგრამ, როგორც ვთქვით, ქართული სამართლის ისტორია  
 ნაწილია საქართველოს ისტორიისა და ე. თაყაიშვილის უმთავრესი სამოღვაწეო  
 ასპარეზი სწორედ საქართველოს ისტორია იყო, ხოლო ამ საქმეში მისი დამსა-  
 ზურება ზომ განუზომელია.

სამშობლოს საამაყო შვილმა, მისი წარსულის დაუღალავმა მკვლევარმა  
 ექვთიმე თაყაიშვილმა სამარადისო ადგილი დაიმკვიდრა ქართველი ხალხის  
 გულში.

<sup>52</sup> იქვე, გვ. 326, საბ. 1711 წ.; გვ. 100, საბ. 1756 წ. გვ. საბ. 1712 წ.

<sup>53</sup> იქვე, 1799, გვ. 175, საბ. 1799; ტ. III, გვ. 460, საბ. 1746 წ.

<sup>54</sup> იქვე გვ. 30, საბ. XVII ს.

<sup>55</sup> იქვე, გვ. 133, საბ. 1705.

<sup>56</sup> იქვე, 1909, გვ. 61, საბ. 1624 წ.

<sup>57</sup> იქვე, გვ. 171, საბ. 1792 წ.

<sup>58</sup> იქვე, გვ. 70, 1659, გვ. 72, საბ. 1672 წ., გვ. 74, საბ. 1678, გვ. 76, საბ. 1679 წ.; გვ. 326, საბ. 1681; გვ. 80, საბ. 1690 წ., გვ. 80, საბ. 1698; გვ. 302, საბ. 1702 წ.; ტ. II, გვ. 25, საბ. 1506 წ.; გვ. 26, საბ. 1607 წ.; იქვე ტ. III, გვ. 554, საბ. 1676 წ.; გვ. 547, საბ. 1675—1700 წ.

<sup>59</sup> იქვე, გვ. 98, საბ. 1747 წ., 1899 წ.

<sup>60</sup> იქვე, ტ. II, გვ. 297, საბ. 1703—1709.

<sup>61</sup> „საქართველოს სიძველენი“, ტ. II, გვ. 522, საბ. 1784—1790 წწ.

<sup>62</sup> იქვე, გვ. 3, საბ. 1460 წ.; იგივე, ტ. II, გვ. 12, საბ. 1360—1395 წწ.; გვ. 371, საბ. 1433 წ.; გვ. 35, საბ. 1413—1444 წწ. გვ. 17, საბ. 1457 წწ., ტ. III, გვ. 432, საბ. 1408 წ., გვ. 435, საბ. 1463 წ.

<sup>63</sup> იგივე, ტ. II, გვ. 120, საბ. 1652 წ.

<sup>64</sup> იქვე.

## საქართველოში

მცირე უწყება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მოღვაწეობის პირველი  
ათი წლის განმავლობაში (1907—1917)

(წავითხული საზოგადოების წლიურ კრებაზე, 1917 წლის 16 დეკემბერს)<sup>1</sup>.

ამა წლის 20 სექტემბერს შესრულდა ათი წელი მას შემდეგ, რაც საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ დაიწყო მოქმედება. ათი წელი არც იმე ცოტა ხანია საზოგადოების არსებობაში, რომ საქირო არ იყოს მისი აღნიშვნა. დღევანდელი საზოგადო პირობები ნებას არ გვაძლევს, ფართოდ და საქვეყნოდ ვიღღესასწაულოთ ათი წლის თავი. ზეიმს და ხმაურობას საზოგადოდ ჩვეული არა ვართ, იტიადრე ეს უხერხულია ამხანად, როდესაც ჩვენი პოლიტიკური ყოფნა-არყოფნის საკითხია წამოყენებული, როცა საქართველომ უნდა დაიბრუნოს წართმეული პოლიტიკური თავისუფლება, უნდა აღორძინდეს როგორც თვითმპყროველი ერი, თვითმმართველი სახელმწიფო რუსეთის ფედერაციაში. ეს მთავარი და საბედისწერო საკითხი ჩრდილავს ყოველგვარ საკულტურო საქმეს და ასეც უნდა იყოს, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ საკულტურო მუშაობა სრულიად შესწყდეს, ეს დაღუპვის გზა იქნებოდა ერიათვის. თუ ჩვენი ერი პოლიტიკურად მომწიფდა და დაწინაურდა შედარებით, ამის თავი ზიზუხი მემკვიდრეობით გადმოცემული და ქართველთ ფსიქიკაში ღრმად ჩანერგილი ძველი ქართული კულტურაა—ის კულტურა. რომელიც ყოველთვის აშკარად არ სჩანს, მაგრამ ერს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი. ყოველი ჩვენი კულტურული დაწესებულება და საზოგადოება ცდილობდა და ცდილობს თვითშეგნების გზაზე დაეყენებინა ქართველი ერი, შეექმნა ახალი კულტურა ძველი კულტურის ნიადაგზე, გაეცნო ერისათვის თავისი წარსული და აწმყო. ამათი წყალობით ჩაენერგა ქართველ ხალხს ლტოლვილება უკეთესი მერმისისადმი. ერთ ასეთს, ფრიად მნიშვნელოვან კულტურულ დაწესებულებას წარმოადგენს „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაც“. ამიტომ ნება მიბოძეთ, სულ მცირედ. მწრალად აღვნიშნოთ, თუ რა გააკეთა საზოგადოებამ ამ ათი წლის განმავლობაში და რაზედ უნდა იყოს უმთავრესად მისი ყურადღება მიქცეული ახლო მომავალში.

მე არ შეგაწუხებთ მოთხრობით საზოგადოების დაარსების ისტორიისა. საზოგადოების წესდება დამტკიცდა 30 ივნისს 1907 წელს და პირველი კრება გაიხსნა 20 სექტემბერს იმავე წლისა.

საზოგადოების მოქმედება, თანახმად წესდებაში დასახული მიზნებისა, ამ ათი წლის განმავლობაში შეეხებოდა უმთავრესად შემდეგ დარგებს: საჯარო კრებების მართვას და რეფერატების კითხვას, ლექტორების მოწვევას და ლექციების კითხვას, გამოფენების გამართვას, ექსკურსიების მოწყობას, საჯამომცემლო მოღვაწეობას, მუზეუმის და წიგნთსაცავის დაარსებას, ფრესკების გად-

<sup>1</sup> იხილეთ პირველად. გ. ლ.

მოღებას და ცდას სახსრის მოპოებისათვის როგორც მუზეუმის ასაშენებლად, ისე საზოგადოების უზრუნველსაყოფად.

ჩვენც ამრიგად განვიხილავთ საზოგადოების მოღვაწეობას.

### კრებები და რეფერატები

ამ ათი წლის განმავლობაში საზოგადოებამ გამართა სულ 124 საზოგადო კრება. თითო წელს მოდის თორმეტ კრებაზე მეტი. ამ კრებებზე წევრები კითხულობდნენ რეფერატებს და მოხსენებებს და ბჭობდნენ საზოგადოების საქმეებზე. სულ წაკითხული იყო 88 მოხსენება. ამათში პროფესორმა ივანე ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის შვილმა აწაიკითხა 4, განსვენებულმა ალექსანდრე ხახანაშვილმა—1, იოსებ ყიფშიძემ—3, აკაკი შანიძემ—2, დავით კარიჭაშვილმა—3, სერგო გორგაძემ—13, კორნელი კეკელიძემ—3, პავლე ინგოროყვამ—4. იუსტინე აბულაძემ—7, პოლიევქტ კარბელაშვილმა—6, ვასილ კარბელაშვილმა—1, ლეონ მელიქსეტბეგოვმა—1, გიორგი ჩუბინაშვილმა—1, განსვენებულმა ალექსანდრე სარაჯიშვილმა—4, განსვენებულმა ვაჰან გაბინიანმა—1, ამბროსი ხელაიამ (ახლა ჭყონდიდის მიტროპოლიტმა)—1, სარგის კაკაბაძემ—3, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჭავჭავაძის შვილმა—2, განსვენებულმა მიხეილ ქაიხოსროს ძე ყიფიანმა—1, ალექსანდრე სვანიძემ—3, მოსე ჭანაშვილმა—5, გრიგოლ ყიფშიძემ,—1, სევასტიანე ჩილაძემ—1. ილია კარგარეთელმა—1, იოსებ ნანანაშვილმა—1, გიორგი მამრამაძემ—1. შალვა ქარუმიძემ—1, ექიმმა აბელ იაშვილმა—1 და თავმჯდომარემ—13. ამავე დროის განმავლობაში საზოგადოების საბჭოს სხდომა ჰქონდა 158: თითო წელს მოდის ხუთმეტზე მეტი სხდომა. ამ სხდომებზე ირჩეოდა და წყდებოდა საზოგადოების საქმეები. საჯარო სხდომების ოქმები და კრებებზე გამართული კამათები ისტამბუბოდა „ძველ საქართველოში“. 1907—1917 წლების ოქმები ცალკე წიგნადაც არის გამოცემული.

### ლექციები

საბჭოს ძლიერ საჭიროდ მიიჩნდა ყოველთვის საჯარო ლექციებს მოწყობა. ამიტომ მიმართავდა ხოლმე მცოდნე პირებს თხოვნით. მეტად დავალებული ვართ ამ მხრით ჩვენი საზოგადოების წევრის, პროფესორი ივანე ალექსანდრეს ძის ჭავჭავაძის შვილის მიერ. რომელიც საზოგადოების სახელით და საზოგადოების სასარგებლოდ თითქმის ყოველ წელს კითხულობდა ლექციებს, ან საყურადღებო მოხსენებას აკეთებდა საზოგადო კრებაზე. ამ ლექციების საგანი იყო: ქართული სამართლის ისტორია, ძველი ქართული ხელოვნების ისტორია, ეკონომიკური სტრუქტურა და მდგომარეობა საქართველოსა, ქართველი ისტორიკოსები და მათი ნაწარმოებნი. სახელმწიფო წეს-წყობილება ძველ საქართველოში და სხვა. ორი ლექცია წაიკითხა ქართული ანთროპოლოგიის შესახებ, 1911 წელს. ზოსკოვის უნივერსიტეტის ლაბორანტმა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჭავჭავაძის შვილმა და ერთიც, ქართული ფრესკების შესახებ—თავმჯდომარემ, მიმდინარე წლის დამდეგს. ლექციების მოწყობას აფერხებდა, გარდა კარგი ლექტორების სიძვირისა, აგრეთვე შესაფერი ბინის უქონლობა, მეტისმეტი სიძნელე ნების აღებისა ძველი რეჟიმის დროს (შინაარსის წარდგენასაც კი თხოულობდნენ). მომავალში ამ დარჯასაც უნდა მიექცეს მეტი ყურადღება. უნდა გამოიწახოს ბინა და შეძენილ იქნას ეგრეთ წოდებული „თვალთმაქცი ფანარი“ და სხვა.

### გამოფენანი

გამოფენა მარტო ორხელ მოაწყო საზოგადოებამ ამ ათი წლის განმავლობაში: ერთხელ ფოტოგრაფიული სურათებისა და გეგმებისა, გურია-სამეგრელოში მოგზაურობის შესახებ და მეორედ ფრესკებისა, მიმდინარე წელს. უკანასკნელ გამოფენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მან დიდი ყურადღება მიიქცია თავისი ორიგინალობით, არა თუ ჩვენში, არამედ რუსეთშიაც.

### ექსკურსიები

ექსკურსიების მოწყობას ყოველთვის დიდი ყურადღებით ეპყრობოდა საბჭო: იგი დარწმუნებული იყო, რომ საქართველოს წარსულის და აწმყოს ჯეროდნად შესწავლა კარგად მოწყობილი ექსკურსიებით შეიძლებოდა. არ ყოფილა წელი, რომ რაიმე ექსკურსია არ მოგვეწყოს, ან საზოგადო ან სპეციალი. სულ ათი წლის განმავლობაში 35 ექსკურსია იყო მოწყობილი. ექსკურსიების საგანი იყო: საისტორიო, საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ნივთების მოკრძევა; ძველი ნაშთების და ძეგლების შესწავლა; მათი გეგმების და სურათების გადმოღება; სახალხო პოეზიის და სიტყვიერების მასალების შეკრება; ქართული ენის კილოკავების შესწავლა. რაიონი ექსკურსიისა იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხე: ქართლი, კახეთი, ქიზიყი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი. თორთუმის და ისპირის ხეობები. ექსკურსიებში მონაწილეობას იღებდნენ საბჭოს წევრები და საგანგებოდ მოწვეული მეცნიერები, მხატვრები, ხუროთმოძღვარნი, ფოტოგრაფნი. ამ ექსკურსიების დროს არის უმეტესად შეგროვილი ჩვენი მუზეუმ-ბიბლიოთეკის ნივთები, ხელნაწერები. სიგელ-გუჯარნი, სურათები, ფრესკები და გეგმები. სვანეთში, სამეგრელოში და თორთუმ-ისპირში მოგზაურობას უფრო ექსპედიციის ხასიათი ჰქონდა თავისი შემადგენლობით.

ეს დარგი მოქმედებისა მომავალში უფრო უნდა განვითარდეს: ნაშთები თანდათან იკარგება, ძეგლები ინგრევა, ფრესკები მოცივია. რაც გვაქვს დღეს, ხვალ აღარ გვექნება, გადარჩენა ნაშთებისა საშური.

### საგამომცემლო მოღვაწეობა

საზოგადოების დაარსების პირველივე დღიდან გამგეობა შეუდგა გამოცემათა თადარიგს და დააარსა ორი სერია: „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“. პირველში იბეჭდებოდა რეფერატები, გამოკვლევანი და სხვადასხვა საისტორიო, სალიტერატურო, საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო მასალა, ხოლო მეორეში—სიგელ-გუჯარები, ისტორიული წერილები და სხვა ძეგლები. დღემდის გამოვიდა ოთხი ტომი „ძველი საქართველოსი“ და სამი ტომი „საქართველოს სიძველენისა“ (პირველი ტომი საზოგადოების დაარსებამდის იყო გამოცემული, მაგრამ ახლა იბეჭდება მეორე შევსებული გამოცემა, რომელიც ომის მიზეზით შეჩერებულია). ამის გარდა, დაწყებულია ბეჭდვა მეთხუთმეტი ტომისა, რომელიც ომისავე მიზეზით შეჩერდა. ბოლო დროს საბჭომ გადასწყვიტა დააარსოს კიდევ ორი სხვა სერია: „ძველი ქართული მწერლობა“ და „ქართული ხალხური სიტყვიერება“. პირველი ტომი „ძველი ქართული მწერლობისა“ უკვე გამოვიდა იუსტინე აბულაძის რედაქტორობით და შეიცავს „მეფეთა წიგნის“ ანუ „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიის პირველ ნაწილს; „ქართუ-



ლი ხალხური სიტყვიერება“ ცალკე წიგნად ჯერ არ გამოსულა, მაგრამ ამ დარგის მასალის შეკრებას და გამოქვეყნებას დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული; ის იბეჭდებოდა „ძველ საქართველოში“. ამ დარგიდან დაისტამბა: სახალხო ლექსები 2000-მდე. არაკები და სიტყვის მასალანი—1385, გამოცანები—118, სიმღერები, ნოტებით—16, გადმოცემანი და თქმულებანი—4, ზღაპრები—33, საერთოდ სულ 3556 ნომერი. ეს დაბეჭდილი მასალა ცალკე წიგნადაც არის დამზადებული, აკლია მხოლოდ სარჩევი და მალე გამოვა. „საქართველოს სიძველენის“ სამ ტომში დაბეჭდილია სულ 1527 სიგელ-გუჯარი და სხვა საბუთები. ამას გარდა, საზოგადოებამ გამოსცა ცალკე: ურთი „პალეოგრაფიული ალბომი“, „ოქმები საზოგადო კრებისა 1907-დან 1912 წლამდის“ და „ზოგიერთი დაუბეჭდავი ლექსები აკაი წერეთლისა“.

სულ საზოგადოებას ათი წლის განმავლობაში ჰქონდა ათი გამოცემა. რაღა თქმა უნდა, გამოცემათა რიცხვი მცირეა, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ სამი წლის ომმა თითქმის მოგვისპო საშუალება გამომცემლობის გაგრძელებისა. ამას გარდა, ჩვენი გამოცემანი შეიცავენ შინაარსით ვრცელ კრებულებს, თითო ტომში ზოგჯერ 700-900 გვერდია. მათში დიდძალი ახალი მასალა შეკრებილი, ხოლო ზოგი გამოკლევა და საეთნოგრაფიო წერილი—მთელი მონოგრაფიებია. ყველა ეს ცალ-ცალკე რომ გამოგვეცა, ორმოც ნომერზე მეტს დაიჭერდა.

გამომცემლობა ძლიერ შეფერხებული იქნება მომავალშიც, თუ საკუთარი სტამბა არ გვექნა. აუცილებლად საჭიროა, რამდენიმე საზოგადოებამ შეერთებული ძალით გაიჩინოს საკუთარი სტამბა.

### მუზეუმ-ბიბლიოთეკის დაარსება

ქართული ეროვნული მუზეუმის და წიგნთსაცავის დაარსება თავ მიზნად დაისახა საზოგადოების საბჭომ, მაგრამ პირველ ხანაში მას არ მოეპოებოდა ბინა, სადაც უნდა შეეკრიბა ნივთები და წიგნები. სულ პატარა კარადა თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოსთან დაარსებული საადგილ-მაჟულო კომისიის ოთახში იყო დასაბამი იმ მუზეუმისა და წიგნთსაცავისა, რომელიც ახლა გვაქვს. შემდეგ დაგვიტოვეს ერთი ოთახი სათავად-აზნაურო გიმნაზიის მეორე სართულში და ბოლოს—მესამე სართულის მთელი მარჯვენა ფრთა ამ შენობისა. იმავე დროს, ჩვენ წინადადება მივეციით წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას, აქვე გადმოეტანა თავისი მუზეუმ-ბიბლიოთეკა, რაზედაც გამგეობა დათანხმდა დიდი ყოყმანის შემდეგ. ამ დრომდის წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმ-ბიბლიოთეკა მოთავსებული იყო თავად-აზნაურობის ქარვასლაში, წიგნის მალაზიის გვერდით და, გარდა სიფიროვისა და უხერხულობისა, განიცდიდა ცეცხლისაგან ვანადგურების შიშს. რა ბედი მოელოდა მას, რომ ის ქარვასლაში დარჩენილიყო, ამას ყველა კარგად წარმოიდგენს მას შემდეგ, რაც ცეცხლმა იმსხვერპლა ქართული თეატრი და წერა-კითხვის საზოგადოების მალაზია.

ბიბლიოთეკის დაარსების ნება მოგვეცეს 5 დეკემბერს 1911 წელს, ხოლო მუზეუმისა—24 იანვარს 1912 წელს. იმ დრომდის ვაგროვებდით მხოლოდ წიგნებს და ხელნაწერებს ბიბლიოთეკისათვის და ნივთებს მუზეუმისათვის. მუზეუმ-ბიბლიოთეკის თანდათანობით ზრდას ადვილად წარმოვიდგენთ, თუ მხედველობაში მივიღებთ, რა გქონდა პირველ საანგარიშო წელს და რა გვაქვს ახლა. 1907 წელს ბიბლიოთეკაში იყო 52 სახელწოდების რუსული და ფრანგული

წიგნი და 23 სხვადასხვა სახელწოდების ქართული წიგნი, სულ 75. დღეს გვაქვს 9.875 სახელწოდების ნაბეჭდი წიგნი (ამათში ქართული 1495, ხოლო რუსულსა და უცხო ენებზე—8.380), 160 ალბომი, 1427 ხელნაწერი და რვა ათასზე მეტი სიგელ-გუჯარი. ხელნაწერთა შორის ბევრია ეტრატზედ ნაწერი, საკმაოდ შიშობევა სურათებით შემკობილი. არაა იშვიათი ახლად აღმოჩენილი, ჩვენს შვეტლობაში უცნობი წყაროები. დროის მიხედვით, უძველესი ხელნაწერები ეკუთვნიან მეთავე საუკუნეს, უგვიანესი—მეოცეს. სიგელ-გუჯართა შორის უძველესი ეკუთვნიან მეთორმეტე საუკუნეს, უგვიანესი—მეცხრამეტეს დასაწყისს. ნაბეჭდ წიგნებსა და ალბომებს შორის ბევრი იშვიათი გამოცემაა და ღირს ფასად ეცნოს. გამოცემათა უმეტესი ნაწილი შეეხება საქართველოს და საზოგადო კავკასიას და მის მოსაზღვრე მხარეებს. როდესაც დიდი ბიბლიოთეკა შემოგაძლიეს ქიმიის შესახებ, ჩვენ არ მივიღეთ, ვინაიდან ჩვენს მიზანს არ შეეფერებოდა, და წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაზედ მივუთითეთ.

ეგრევე თანდათანობით იზრდებოდა და მდიდრდებოდა ჩვენი მუზეუმიც. პირველ საანგარიშო წელს მუზეუმისათვის ნივთები არა გექონია, მეორე წლიდან დავიწყეთ შეგროვება, მესამე წლის ბოლოს გექონდა სულ 79, ახლა კი გვაქვს 2.432 სხვადასხვა საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ნივთი, 550 ნაქსოვ-ნაკერი, 62 ქანდაკება, 585 მხატვრული ნაწარმოები, ფერადებით ნახატავი, ისტორიულ პირთა პორტრეტები, ტიპები და სხვა.

ცალკე განყოფილებას შეადგენს ეკლესია-მონასტერთა კედლებიდან გადმოღებული ფრესკები (ფაქსიმილე). ფრესკების გადმოღებას საბჭო შეუდგა 1912 წლიდან და ამ ხუთი წლის განმავლობაში იმდენი ფაქსიმილე მოგროვდა, რომ შესაძლო შეიქნა ფრესკების გამოფენის გამართვა. სულ ამჟამად მუზეუმში მოიპოვება 73 ძველი ფრესკის პირი. ფრესკების რიცხვში საპატიო ადგილი უჭირავს დინასტიურ პორტრეტებს, ესე იგი მეფეთა, დედოფალთა, ერისთავთა და დიდებულთა სურათებს. ვინაიდან ფრესკები ღირს ადგილს იჭერენ კედლები-სას, ახლა მუზეუმში ადგილი აღარა გვაქვს ახალი ფრესკებისათვის. ფრესკები გადმოღებულია ჭერხანად შემდეგი ეკლესია-მონასტრების კედლებიდან: ბეთანისა, საფარისა, მცხეთისა, ყინწყვისისა, ჭულევისა, ტიმოთეს უბნისა, ნაბახტევისა, ნაყურალეშისა, ტაბაქინისა, ვანისა, გარესჯისა, ბერთუბნისა, ნეკრესისა, საბუისა, ხახლისა, ოშკისა და იშხანისა. გადმოღებნი იყვნენ საგანგებოდ მოწვეულნი მხატვარნი და ამ ბოლო დროს, როცა ქართველ ხელოვანთა საზოგადოება გაიხსნა, ამ საზოგადოების წევრნი—ახალგაზრდა მხატვარნი. ჩვენი ყურადღება მიქცეული იყო ისეთი ფრესკების გადმოღებაზე, რომელთაც მოშლა მოელოდათ და დროზე მიშველება იყო საჭირო, რომ ასლი მაინც შეგვრჩენოდა. ეს დარგი ღირს თანხას თხოულობს, მაგრამ გადმოღების გაგრძელება აუცილებლად საჭიროა, უამისოდ სამუდამოდ დაუკარგავთ იმ საუცხოო ნიმუშებს ქართული ხელოვნებისა, რომელიც ჭერ კიდევ საკმაოდ შეგვრჩენია და რომელიც ღლითი დღე ხელიდან გვეცლება.

### ნუმისმატიური კოლექცია

მუზეუმს ამჟამად მოეპოვება თვალსაჩინო კოლექცია სხვადასხვა ფულე-ბისა. უცხო სახელმწიფოთა ფულეებით უფრო მდიდარია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II კოლექცია. მსოფლიო ნუმისმატიკა უსაზღვროა და ყველა სახელმწიფოთა ფულეების კოლექციის შედგენას, რასაკვირველია, ვერ

გამოვუდგებით. ჩვენ თავ მიზნად დავისახეთ ქართულისა და საქართველოში ჰოჭრილი ფულების კოლექციის შედგენა და ამ დარგში თვალსაჩინო შედეგსაც მივალწიეთ.

ჩვენი ქართული ფულების კოლექცია ახლა ერთი უკეთესთაგანი არის ცნობილთა შორის. იგი შედგა სამი კოლექციისაგან: საფუძვლად დაედგა იაკობ სერგის ძე მედვედიევისაგან ნაყიდი, მიემატა ამაზე არა ნაკლები კოლექცია თავმჯდომარისა, რომელიც მან გადასცა საზოგადოებას, და შეუერთდა ის ქართული ფულები, რომელიც იყო კირიონ II კოლექციაში (ეს უკანასკნელი ცალკე ინახება, მაგრამ კატალოგში საერთოდ არის აღნიშნული). ამგვარად შეიქმნა კარგი კოლექცია, რომელიც ახლა დალაგებულია და აღნუსხვილი დროთა, მეფობათა და დინასტიათა მიხედვით. ამ დალაგებაში დიდი სამსახური გაგვიწია ქართული ფულების კარგად მკოდნემ, ევგენი ალექსანდრეს ძე პახომოვმა. უვარგისი და ყალბი ფულები გამოკრიცხეთ. ასევე უნდა მოვიქცეთ სხვა უცხო ფულების შესახებაც, რომელთა დიდი ნაწილი ან ყალბია, ან ისე გაფუჭებული, რომ სპილენძად თუ გამოდგება და ტყუილად იჭერს ადგილს მუზეუმში.

ეს გადარჩეული და დალაგებული, ქართული ფულების კოლექცია შეიცავს ამჟამად 3.883 ცალს. ამათში თეთრი (ვერცხლისა) არის 1081, შავი (პალეენდისა)—2.794, ხოლო ბრინჯაოსი—4. კოლექცია იწყება კოლხიდური ფულებიდან და თავდება რუს-ქართულ ფულებით, რომელთა მოჭრა შეწყდა 1833 წელს.

ჩვენს კოლექციაში საკმაოდ მოიპოვება „უნიკუმები“, იშვიათი ფულები. ბევრია ისეთებიც, რომელნიც ლიტერატურაში ცნობილი არ არიან და არ ვიცით, რომელ მეფეებს ეკუთვნიან. ასეთებია წვრილი ვერცხლის ფულები მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საუკუნეებისა. ეს ის დროა, რომლის მეფეთა სია არეულია და ჩვენს ისტორიაში ჭერაც გამორკვეული არ არის. ასეთია ფულები წარწერებით: „გი“ (გიორგი), „ბ“ (ბაგრატ), „ქე“ (კონსტანტინე) და სხვა, რაღა თქმა უნდა, რომ ბევრია ისეთი ქართული ფულებიც, „უნიკუმები“ და „არა უნიკუმები“, რომელნიც მოიპოვებიან ბერლინის, ერმიტაჟის, ზუბოვის და სხვა კოლექციებში და ჩვენ კი არ მოგვეპოვება. ასეთებია, მაგალითად, სასანიანთა დინასტიის ჭურის ფულები (გარდა სტეფანოსისა), დავით კურაპალატის ფული, დავით აღმაშენებელისა და სხვა.

ფულების ღირსება სიძველით არ გაიზომება, ძველი ფულის ფასი იშვიათობაზე არის დამყარებული და არა სიძველეზე. იმ დროს, როდესაც თამარ მეფისა და რუსუდნის ფულები შუარობით ფასობენ, მეცხრამეტე საუკუნის რუსულ-ქართული ორბაზიანები, აბაზიანები და ნახევარაბაზიანები, ზოგიერთი წლებისა, რამდენიმე თუთნობით ფასობენ.

იმედი გვაქვს, მომავალში ჩვენი კოლექცია უფრო გამდიდრდება.

### მუზეუმისათვის შენობის აგების საკითხი და მისი თანხები

ეროვნულ მუზეუმისათვის საკუთარი შენობის მოპოვება თუ აგება ყოველთვის საზრუნავ საგანს შეადგენდა როგორც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, ისე წერა-კითხვის საზოგადოებისათვის. ვინაიდან სხვაფრივ საკმაო თანხის შეგროვება შეუძლებელი იყო ჩვენს დარბ საზოგადოებაში, ორივე საზოგადოება ეძებდა მეცენატს, რომელსაც ეს საქმე უნდა ეკისრა, მაგრამ ამოდ. ზუზალაშვილები ის დამხმარე არ გასჭ-

რა. ბოლოს დავით ზაქარიას ძემ სარაჯიშვილმა იკისრა მუზეუმის აშენება თავისი ხარჯით. რჩევა იყო, რომ მას თავისი საბლი დაეტოვებინა მუზეუმისათვის. მაგრამ არ მოხერხდა. არც მუზეუმის აშენება დასცალდა, მაგრამ ანდერძით დაავალა თავის ნების აღმსრულებელთ, ზოგიერთი მისი მამულის ლიკვიდაცია მოეხდინათ და იქიდან აღებული ფულის ნახევარი მუზეუმის ასაგებად გამოყოფილიყო, ნახევარი კი — სასტიპენდიოდ.

წერა-კითხვის საზოგადოების ერთ-ერთ წლიურ კრებაზე არჩეული იყო სამუზეუმო კომისია, რომელშიაც შედიოდნენ როგორც წერა-კითხვის საზოგადოების, ისე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრები. უკანასკნელი საზოგადოების თავმჯდომარე იმავე დროს სამუზეუმო კომისიის თავმჯდომარეც იყო.

თავ მიზნად ამ კომისიამ დაისახა ადგილის შეძენა მუზეუმისათვის. ჯერ მიემართეთ ტფილისის თავად-აზნაურობას და ვთხოვეთ სამუზეუმოდ ის ადგილი, რომელიც მდებარეობს ფრეილინის ქუჩაზედ და შეადგენს თავად-აზნაურთა ქარვასლის კარ-მიდამოს ნაწილს, შენობითურთ, რომელშიაც მაშინ საადგილ-მამულო ბანკი იყო. თავად-აზნაურთა კრებამ, ნაცელად ნაჩვენები ადგილისა, გადაწყვიტა მოგვეცეს ორმოცდაათი ათასი მანეთი, წერილ-წვრილად. ამთგან ხუთმეტი ათასი მანეთი უკვე მივიღეთ და ოცდახუთმეტი ათასი მანეთის მოცემა ვალად ედება ახლა ეროვნულ საბჭოს, როელზედაც გადავიდა ტფილისის თავად-აზნაურთა კოლექტიური ქონება და მათი ვალდებულებანი. მოცემული ფულით და წერა-კითხვის საზოგადოების სხვა თანხებით ჩვენ ვიყიდეთ, წერა-კითხვის საზოგადოების სახელობაზედ, სამოციათას მანეთად, ეგრეთ წოდებული „ფიქრის გორა“, რომელიც შეიცავს 5000-ზე მეტს ოთხკუთხედ საყენს. ამითი სწორი ადგილია 1800 საყენი. ეს ადგილი იყო წინეთ გახზარებული მუზეუმის ასაშენებლად. ახლა იგი რამდენიმე ასი ათასი მანეთი ღირს.

დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის ნაანდერძევი მამულების ლიკვიდაცია გაგრძელდა. თავი სალიკვიდაციო მამული წყნეთის ქუჩაზედ ტფილისის თავად-აზნაურობამ იყიდა, იმ პირობით, რომ ფასი—ასი ათასი მანეთი მიეცა წერა-კითხვის საზოგადოებისათვის წვრილ-წვრილად, ათი წლის განმავლობაში. ამრიგად, საზოგადოებას სამუზეუმო თანხა ექნებოდა სრულად მიღებული მხოლოდ ათი წლის შემდეგ (ამ რიცხვიდან რვა წლის შემდეგ, ვინაიდან ორი წელი უკვე გავიდა). ეს, რასაკვირველია, ხელსაყრელი არ იყო. ამას გარდა, მთელი თანხა, რომელიც უნდა მიეღო საზოგადოებას მუზეუმისათვის, არ აღემატებოდა ახი ათას მანეთს. ჩვენ ყოველთვის ვუმტკიცებდით აწ განსვენებულს დავით სარაჯიშვილის მეუღლეს ეკატერინე ივანეს ასულს სარაჯიშვილისა, რომელსაც დავალებული ჰქონდა ქმრის ანდერძით თავის მხრით ანდერძისავე შედგენა, რომ დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის სურვილი ჯეროვანი მუზეუმის აშენების შესახებ ნარგები თანხით ვერ განხორციელდება. ეკატერინე ივანეს ასული ყურადღებით მოეპყრა მუზეუმის აშენების საქმეს და ჩვენს საზოგადოებას უანდერძა მუზეუმის ასაშენებლად ნახევარი იმ თანხისა, რომელიც უნდა დარჩენილიყო მისი ქონების ლიკვიდაციისა და ნაანდერძებელ სხვა თანხების სხვადასხვა საზოგადოებათა შორის განაწილების შემდეგ. ახლა ლიკვიდაცია თითქმის თავდება, თანხა გამოირკვა: ჩვენ გვერგება ექვსას ათას მანეთზე მეტი. ამიტომ საჭიროდ დავინახეთ უფრო შესაფერი და ადვილად მისასვლელი ადგილი გვეყიდა მუზეუმის ასაშენებლად, ვიდრე ფიქრის გორაა. გადავწყვიტეთ, გამოგვეყიდა თავად-აზნაურობისაგან ის მამული, რომელიც მან შეიძინა დავით ზაქარი-

ას ძის სარაჯიშვილის ნების აღმსრულებლებებისაგან და რომლის ვალი ჯერ არ გადაეხადათ წერა-კითხვის საზოგადოებისათვის, გარდა ოცი ათასი მანეთისა. თავად-აზნაურობის საზოგადო კრებამ ნება დაგვართო. ეს საქმე ამ დღეებში დავაბოლოვეთ. ნასყიდობის ქაღალდი, უფროს ნოტარიუსთან შესრულებული, ახლა ხელში გვაქვს. ფული, ასი ათასი მანეთი, უკვე ჩავიბარეთ. წერა-კითხვის საზოგადოებამ თავად-აზნაურობისაგან გაინაღდა 80 ათასი მანეთის ვექსილი და ის, რაც რვა წლის განმავლობაში უნდა მიეღო, ერთად მიიღო. ჩვენც ხელსაყრელი მამული შევიძინეთ; ასი ათასი მანეთი ეკატერინე ივანეს ასულის სარაჯიშვილის ნების აღმსრულებელთაგან მივიღეთ ჩვენი საზოგადოების სახვედრო ფულის ანგარიშში. არა უგვიანეს ხუთი წლისა, როგორც გამოაკვეულია. კიდევ უნდა მივიღოთ ნახევარ პილიონ მანეთზედ მეტი.

ამრიგად, როგორც ხედავთ, დღეს მუზეუმის აშენების საქმე მკვიდრ ნიჟადავზე დგას. მუზეუმისათვის ორი ადგილი გვაქვს აჩენილი, ორივე ძვირფასი. ერთი მათგანი თანხად უნდა იქცეს და სამუზეუმო თანხას მიემატოს. ჩვენი და წერა-კითხვის საზოგადოების თანხები უნდა შეერთდეს და ამ შეერთებულ თანხებით და ძალებით, როცა დრო დაწყნარდება და მშვიდობიანობა ჩამოვარდება, შესაფერი შენობის აგება უნდა დაიწყეთ. მოსალოდნელი არ არის, მაგრამ თუ წერა-კითხვის საზოგადოებამ არ მოისურვა ჩვენთან ერთად, საზიარო მუზეუმის აშენება, ახლა ჩვენის ღონითაც შეეძლებოდა საკუთარი შენობის აგებას.

### თანხების მდგომარეობა და სახარჯო თანხის სიმცირე

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ სამუზეუმო თანხას, რომელიც გვერგება განსვენებულის ეკატერინე სარაჯიშვილის ანდერძით, რომელზედაც უკვე მოგახსენეთ, თუ მხედველობაში მივიღებთ ამჟამად ნაყიდს მამულს წყნეთის ქუჩაზე და იმ მიწას სათავადაზნაურო გიმნაზიის მახლობლად, რომელიც პ. ო. უ. უ. მანის ვილმა შემოგვწირა და აგრეთვე თანხებს, რომელაც გვაქვს. ჩვენი ქონება საერთოდ ამჟამად ეღირება არა ნაკლებ შვიდასი ათასი მანეთისა. რასაკვირველია, ეს ცოტა არ არის ათი წლის მოქმედებისათვის.

მეორე მხრივ, ზოგს ეგონება, რომ ჩვენ მდიდარი ვართ, მაგრამ ეს ასე არ არის. სამუზეუმო თანხა მარტო შენობას უნდა მოხმარდეს ანდერძის ძალით და ახლანდელ სიძვირეში არც ეყოფა. არც ერთი უძრავი მამული შემოსავალს არ გვაძლევს, ერთი კიდევაც ჩვენგან ითხოვს ხარჯს. დარჩა მარტო ძირითადი, საგანგებო და სახარჯო თანხები, რომელნიც არ აღემატება ოთხმოციასთან მანეთს. ჩვენი თანხების სარგებელი წლიურად ძლივს აღწევს სამი ათას მანეთამდე. სახარჯო თანხების სიმცირე შეადგენს ერთ უმთავრეს ნაკლს საზოგადოებისა. საზოგადოებას ჯერ ვერ შეუტრები იმდენი თანხა, რომ მატერიალურად უზრუნველ იყოს მისი არსებობა. ჯეროვანი მოქმედებისათვის ჯეროვანი სახსარი გვინდა. რასაკვირველია, თუ ანგარიშს გავუწევთ იმ გარემოებას, რომ როცა საზოგადოება შეიქმნა, არაფერი არ გვექონდა და ახლა ცოტაოდენი რამე გვაქვს; ამ დარგშიაც შევამჩნევთ ზრდას და წარმატებას, მაგრამ ეს არ კმარა.

როდესაც მოქმედება დაიწყეთ, საზოგადოებას ჰქონდა 68 მანეთი და 40 კაპ. საზოგადოების დაარსებამდის ჩვენ გვექონდა „ქართული ისტორიის და მწერლობის მოყვარულთა“ პატარა კერძო წრე. ამ წრემ გამოსცა თავისი ხარჯით წიგნი „თიმსარიანი“ და ეს გამოცემა და გადაარჩენილი 18 მან. და 40 კაპ. ჩვენ

გადიწეცით ახლად დაარსებულ საზოგადოებას, პირველსავე კრებაზე. ეს იყო და ეს ჩვენი ძირითადი თანხა. პირველ საანგარიშო წელს ჩვენი ბიუჯეტა უდრიდა 379 მანეთს და 76 კაპიკს, ხოლო მიმდინარე წლის შემოსავალი, ხარჯ-ალრიცხვით, აღწევს თოთხმეტი ათას მანეთამდე. გასული წლის ბალანსი უდრის 89. 257 მანეთს და 98 კაპ.

ჩვენ ყოველთვის იმ აზრისა ვიყავით, რომ საზოგადოებამ უნდა მიიღოს ყოველი ღონე და იმდენი თანხა იქონიოს, რომლის შემოსავალი მას უზრუნველყოფს. ამ საქმეში ყველა წევრმა უნდა აღმოგვიჩინოს დახმარება. ყველა ვალდებულად უნდა ხდიდეს თავს, რითაც შეუძლია დაგვეხმაროს. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენი საზოგადოება ერთადერთი არის, რომელიც ტყუილად არ იღებს საწევრო ფულს, არამედ მუქთად ურიგებს წევრებს თავის გამოცემებს და ეს გამოცემანი ყოველთვის მეტი ღირს, ვიდრე წლიური საწევრო გადასახადი.

### მიცვალეზულნი, რომელთაც ღვაწლი მიუძღვით საზოგადოების წინაშე

საზოგადოების ათი წლის მოღვაწეობის განხილვის დროს მოვალე ვართ გავისხენოთ აწ გარდაცვალეზულნი პირნი, რომელთაც თავისი პირადი მოღვაწეობით თუ ნივთიერად ხელის გაწყობით ღვაწლი დასდეს საზოგადოებას; გვმართებს კურთხევიტა და მადლობით მოვიგონოთ ეს პირნი.

პირადი მოღვაწეობით დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი საზოგადოების წინაშე განსვენებულს ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილს. დღიდგან საზოგადოების დაარსებისა ის იყო გამგეობის წევრი, ასრულებდა ხაზინადარის და ბიბლიოთეკა-მუზეუმის გამგის თანამდებობას. პატიოსანი, უანგარო და მხნე მუშაკი ნამდვილი ბურჯი გახდა საზოგადოებისა. არ იყო ისეთი დღე, რომ ის არ მისულიყოს თავმჯდომარესთან და არ ჰქონოღეს ბჭობა, თუ როგორ უნდა მოწყობილიყო საზოგადოების საქმეები. ხელოვნების კარგად მცოდნემ, მან, სხვათა შორის. დიდი ყურადღება მიაქცია სურათების შეკრებას, დაკაზმვას და დალაგებას. მისი მეცადინეობით არის შექმნილი მრავალი ჩვენი მხატვრის ნაწარმოებნი. მისი უდროოდ გარდაცვალეზა ჩვენთვის მარჯვენა ხელის მოჭრა იყო. უდროოდ და უეცრად გარდაიცვალა აგრეთვე გამგეობის მეორე წევრი ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე. ცნობილი პრაქტიკის ადამიანი, დაუღალავი მუშაკი ალექსანდრე დიდი გულშემატკივარი იყო ყოველგვარი ქართული საზოგადო საქმისა. ათასი სხვა მძიმე საქმით დატვირთული, მაინც პოულობდა დროს და დახმარებას გვიწევდა, რჩევით და საქმით. მისი სამუშაო კაბინეტი საადგილ-მამულო კომისიაში, სადეპუტატო საკრებულოსთან—დასაბამი იყო ჩვენი მუზეუმ-ბიბლიოთეკისა.

დიდი თანაგრძნობით შეხვდა ჩვენი საზოგადოების დაარსებას ცნობილი ძველი საზოგადო მოღვაწე, ფრიად დარბაისელი ქართველი ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძე, რომელმაც გვიანდერძა თავისი ქონების ნაწილი. ეს პირველი ანდერძი იყო ჩვენი საზოგადოების სასარგებლოდ. მისით გვერგო 11.084 მანეთზე მეტი ნომინალური ანგარიშით, ფაქტიურად კი თანხა უდრის 13.000 მანეთს, ვინაიდან ამ თანხაში ორი მომგებიანი ბილეთია.

ამ ანდერძს მოჰყვა განსვენებული ჩვენი სახელოვანი პოეტის აკაკი წერეთლის ანდერძი, რომელმაც დაგვიტოვა, მის მიერ სათაყვანებელი ქართული ზეპირსიტყვაობის ფონდისათვის, თავისი თხზულებანი, პატარა მამული

და აგრეთვე ის ფონდო, რომელიც გვირგვინების სანაცვლოდ უნდა შეკრებილიყო. უკანასკნელი თანხა უდრის ახლა 13.000 მანეთს<sup>1</sup>.

ანდერძითვე მივიღეთ სახელოვანი ქართველი პედაგოგის, იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილის დატოვებული ერთი პირველი სესხის მომგებიანი ბილეთი, რომლის ღირებულება ახლა უდრის 1000 მანეთს. ამას გარდა, აწ განსვენებულმა, ტფილისის მცხოვრებმა სოლომონ გაბაშვილმა გვიანდერძა სამასი მანეთი. ექიმ მრეველიშვილის გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა მრევლიშვილებმა შემოგვწირეს მისი დატოვებული ხუთი ათასი მანეთი, თანხად, რომლის სარგებელი წიგნების გამოსაცემად მაშინ უნდა გამოვიყენოთ, როდესაც ეს თანხა გადაიქცევა, ზედ შეეცეილი პროცენტებით, ათი ათას მანეთად. ამ დღეებში მივიღეთ, კიდევ, განსვენებულის, სოფელ დილომის მცხოვრების მიხეილ მარიამულის ხაანდერძევი 1000 მანეთი.

მაგრამ ყველაზე დიდი ამბავი. განსვენებულთა შორის, ნივთიერი სახსრის დატოვებით მიუძღვის საქართველოში ჯერხანად უმაგალითო ქველმოქმედს ეკატერინე ივანეს ასულს სარაჯიშვილისას. ჯერ კიდევ მისმა მეუღლემ დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილმა სიცოცხლეშივე განიზრახა თავის ზარჯით მუზეუმისათვის სახლის აშენება, მაგრამ აღარ დასცალდა. მუზეუმის ასაშენებლად წერა-კითხვის საზოგადოებას მან დაუტოვა თანხა ასი ათას მანეთამდის, ხოლო მისმა მეუღლემ ამავე მიზნისათვის ჩვენ საზოგადოებას უანდერძა თანხა, რომელიც, როგორც გამოირკვა და მოგახსენეთ, შეადგენს ექვსასი ათას მანეთზე მეტს. ამათგან ასი ათასი მანეთი უკვე მივიღეთ და მუზეუმისათვის, წყნეთის ქუჩაზედ აღდილი ვიყიდეთ, ხოლო ნახევარ მილიონ მანეთზე მეტს კიდევ მოველით შენობის ასაგებად.

ყველა აქ ჩამოთვლილ პირთა და ქველმოქმედთა ხსოვნას და აგრეთვე იმათ ხსოვნას, ვინც საზოგადოების წევრნი იყვნენ. რაიმე სარგებლობა მოუტანეს და ამჟამად განსვენებულნი არიან—ყველა ჩამოთვლა შეუძლებლად მიგვაჩინა—, გთხოვთ, ფეხზე წამოდგომით პატივი სცეთ (კრებამ ფეხზე აღდგომით პატივი სცა მათ ხსოვნას).

### მზრუნველნი წევრნი საზოგადოებისა

ჩვენ უმადურობაში ჩამოგვერთმევა, აწ კარგად მყოფნი ჩვენი დამხმარენი და თვალსაჩინო მოამაგენიც რომ არ მოვიხსენიოთ. მრავალმა პირმა აღმოგვიჩინა დახმარება, მრავალი პირიდან მოგვდის შემოწირულობა დღითი დღე, მაგრამ ყველას აქ ვერ ჩამოვთვლით. იმედია, ამისათვის არც არაფერს გვისაყვედურება. ხოლო ერთი-ორი უმთავრესი ჩვენი მეცენატი რომ არ მოვიხსენიოთ, არ შეიძლება.

პირველად უნდა აღვნიშნოთ ის მხურვალე თანაგრძნობა და მონაწილეობა, რომელიც მიიღო ჩვენი საზოგადოების წარმატებაში პატივცემულმა პავლე იოსების ძე თუშანიშვილმა. ამან თავიდან კარგად შეიგნო საზოგადოების მნიშვნელობა და ყოველი მხრით ხელი შეგვიწყო: უმაღლესი ყოველისა, შემოგვწირა ვერაზედ, ქართულ გიმნაზიის მახლობლად, ერთი დესიატინა მიწა. ეს მიწა მან იყიდა ამ თორმეტი წლის წინ, 28.800 მანეთად. მიწას ბანკის ვალი აქვეს 11 ათას მანეთამდის, მაგრამ ბანკში წლიურ შესატან ფულს თვითონ იხ-

<sup>1</sup> იხ. ამ ანგარიშის დამატება აკაკის ანდერძის შესახებ. გ. ლ.

დის, მამულის ფასი დღითი დღე მატულობს და ერთხელ თვალსაჩინო ფონდი გახდება საზოგადოებასა. პავლე თუმანიშვილმა შეადგინა მშვენიერი ბიბლიოთეკა ნაბეჭდი წიგნებისა საქართველოს და საზოგადოდ კავკასიის შესახებ, რომელიც შეიცავს 2.502 ცალს, და სრულად გადმოსცა საზოგადოებას. მანვე შეუკვეთა ფოტოგრაფიული ალბომები საქართველოს ეკლესია-მონასტრებისა და სხვათა სიძველეთა ცნობილს ფოტოგრაფს, აწ განსვენებულს დიმიტრი ივანეს ძე ერმაკოვს და ეს გროვა ფოტოგრაფიული სურათებისა, ოცდაათ დიდ ალბომად გაკეთებული, გადმოსცა საზოგადოებას. მანვე შემოგვეწირა ბევრი საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ნივთი, ძვირფასი ნაწარმოებნი ქართველი მხატვრებისა და სხვა. მანვე შეუკვეთა ლამაზი კარადები (შეაფუბი), რომლებშიაც მოთავსებულია მის მიერ შემოწირული ნივთები და წიგნები. პავლე თუმანიშვილმა მოგვცა ჩვენ საშუალება, მოგვეხდინა დიდი არქეოლოგიური ექსპედიცია სვანეთში და აგვეწერა და გადმოგვეღო ფოტოგრაფიული სურათები იქაური შესანიშნავი ქართული ნაშთებისა. ამ მოგზაურობის დროს, სხვათა შორის, გადმოღებულ აქმნა ფოტოგრაფიის საშუალებით ადიშის სახარება, მეცხრე საუკუნისა, რომელიც უკვე გამოსცა, ფოტოტიპურად, მოსკოვის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ. პავლე თუმანიშვილი: დღესაც განაგრძობს თავის ქველმოქმედებას და მეცენატობას ჩვენი საზოგადოებისადმი. ყველა ასეთი ამაგისათვის ჩვენმა საზოგადოებამ ის აიჩიია თავის მზრუნველ წევრად. იგი მართლა რომ ნამდვილი მზრუნველია საზოგადოებისა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით (საზოგადო კრება ტაშისცემით შეხვდა ამ გასცხადებას).

არა ნაკლები ღვაწლი დასდო საზოგადოებას მისმა უშმინდესობამ, აწ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კირიონ II. ჯერ კიდევ ექსორიობაში ყოფნის დროს შემოსწირა მან საზოგადოებას თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნებისა, მრავალი საარქეოლოგიო ნივთი, ალბომები, სურათები და დიდი ნუმისმატიური კოლექცია, რომელიც შეიცავს 2.700-ზე მეტს სხვადასხვა ფულს. მანვე შემოგვეწირა ასთუმნიანი შინაგანი სესხის 5% ობლიგაცია. 1915 წლისა. წელიწადი არ გავიდოდა ისე, რომ რაიმე ნივთები, ხელნაწერები თუ ფულები არ გამოგვზავნა ჩვენი საზოგადოებისათვის რუსეთიდან. კიდევ მეტი ყურადღებით გვეპყრობა და მზრუნველობას გვიწევს ახლა, როდესაც სამშობლოში დაბრუნდა. ამ დღეებში ესტუმრა მუზეუმს და გადმოსცა ნივთები, რომელთა შორის ფრიად საყურადღებოა ქიზიყის მოურავის დროშის თავი—ვერცხლისა, ოქროთი დაფერილი ჯვარის სახედ, რომელიც გაუკეთებია როსტომ მეფეს, 1658 წელს. მუზეუმში მოიპოვება ქიზიყის მოურავის მეორე დროშა, ირაკლი მეორის დროისა, მაგრამ ამას თავი შუბის მსგავსი აქვს, მაშინ, როდესაც ერთი საუკუნით წინ მაჰმადიან მეფეს დროშის თავი ჯვარის სახედ შეუკვეთია. კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II, კარგა ხანია, ცნობილია, როგორც მკვლევარი ქართული კულტურისა და სიძველენისა და ამიტომაც ჩვენმა საზოგადოებამ მას მიანიჭა საზოგადოების საპატიო წევრის ხარისხი. ის ამავე დროს ჩვენი მზრუნველი წევრიც არის (საზოგადოება ტაშისცემით შეხვდა ამ განცხადებას).

წესდების ძალით, მზრუნველი წევრის ხარისხი ენიჭება იმათ, ვინც არა ნაკლებ ექვსასი თუმნისა შემოიტანს ერთდროულად, ან სამოც-სამოც თუმანს წლიურად. სამწუხაროდ ჩვენდა, ქართველთაგან ამ ბოლო დრომდის არავინ არ გამოჩნდა მსურველი მზრუნველი წევრობისა და არავის არ შემოუტანია იმდენი თანხა, რომ მზრუნველ წევრად აგვეჩიია, გარდა პავლე იოსების ძე თუმანი-



შვილისა. გასულ წელს ჩვენ ბაქოში გავემგზავრეთ და იქაურ ქართველთა კოლონიას ვთხოვეთ შემწეობა ერმაკოვის ფოტოგრაფიული ფირფიტების შეხადენად. ბაქოს ქართულმა კოლონიამ დაგვდვა პატივი და აღგვიტყვა შემოტანა 35000 მანეთისა. ჯერხანად იქილგან მივიღეთ, საქართველოში კარგად ცხოვრილი ქველმოქმედის აკაკი მეთოდეს ძის ხოშტარიასაგან რვა ათასი მანეთი (ექვსი ათასი საწვერო და ორი ათასი შემოწირულობა) და დღეს საბჭო გიდგენთ თქვენ და წინადადებას გაძლევთ, აირჩიოთ ეს პატივსაცემი პირი საზოგადოების მზრუნველ წევრად. ბაქოდანვე მივიღეთ პატივცემულ ნიკოლოზ იოსების ძე ჯაყელისაგან ათასი მანეთი და განცხადება, რომ იგი თანდათან შეავსებს მზრუნველი წევრის ხვედრ გადასახადს, ექვსი ათას მანეთს. სხვებისაგანაც ველით დანაპირების შესრულებას და იმედი გვაქვს, დიდი მოლოდინი არ დაგვიკირდება. მზრუნველი წევრის ხვედრი ფული შემოიტანა და კიდევ ოთხი ათას მანეთამდის შემოგვწირა. შარშანწინ, რუსეთში კარგად ცნობილმა განათლებულმა პირმა და კოლექციონერმა დიმიტრი ივანეს ძე შჩუკინმა, რომელიც თქვენ მიერ შარშან იქნა არჩეული მზრუნველ წევრად. ამას გარდა, დ. შჩუკინიდან მივიღეთ კიდევ, საახგარისო წელს, ძლიერ ძვირფასი წიგნები და მათ შორის ისეთი იშვიათი გამოცემანი, როგორიც არის ზენიგოროდსკის და ბოტკინის მინანქრის კოლექცია ათა აღწერილობა. პირველი გამოცემა დაიბეჭდა მხოლოდ 200 ცალი და გასაყიდად არ დადებულა, ანტიკვარებთან ღირდა ათასი მანეთი. მეორე გამოცემა იშვიათია. ჩვენთვის ეს გამოცემანი მით უფრო საინტერესოა, რომ უშეტესი ნაწილი გამოცემული მინანქრიანი ხატებისა და ჯერებისა საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან არის მოპარვით და მოტაცებით გაზიდული.

ამრიგად, დღემდის ორი მზრუნველი წევრი გვყავდა და დღეს ამას ემატება მესამეც, ბ-ნი აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარია.

როგორც მოგახსენეთ, დამხმარე წევრნი ბევრი გვყავს და ყველას ვერ ჩამოვთვლით. მათ შორის ისეთებიც არიან, რომელნიც იშვიათად გაუშვებენ საყურადღებო ძველ ქართულ ნივთს, რომ არ იყიდონ და არ შემოგვწვირონ. ასეთია, მაგალითად, რაქდენ ყარაშანის ძე და თეოფიძე, რომელიც ხშირად ყიდულობდა და გვიგზავნიდა ქუთაისიდან სხვადასხვა ნივთებს და ფულებს. მისგან გვაქვს, სხვათა შორის, მიღებული როდამ დედოფლის (გიორგი მე-XI ასულის და იმერეთის ნეთის ალექსანდრე V-ის მეუღლის) სასიგელო ბეჭედი, მრავალი კოლხიდური ფული და სხვა ვერცხლის და ოქროს ნივთები. აგრეთვე სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ პეტროგრადის უნივერსიტეტის პრიატ-დოცენტმა სვიმონ ავალიანმა წელს გამოგვიგზავნა მრავალი ძვირფასი წიგნი ისტორიისა, ლიტერატურისა და ბელოვების შესახებ. სულ მისგან მივიღეთ 793 წიგნი და 37 ალბომი. განსვენებული ალ. ყიფშიძის შემკვიდრებისაგან მივიღეთ 532 სხვადასხვა წიგნი. სხვა მრავალთა შემომწირველთა სახელები ყოველთვის იბეჭდებოდა გაზეთებში და საზოგადოების წლიურ ანგარიშებში.

იმ დაწესებულებათა შორის, რომელნიც სუბსიდიას გვაძლევდნენ, პირველი ადგილი ეჭირა, რასაკვირველია, ტფილისის თავად-ანაწარობის ბანკს. მათი წლიური შემწეობა უქანასკნელ წლებში განისაზღვრებოდა შვიდი ათასი მანეთით. ამას გარდა, სხვა დახმარებასაც ხშირად გვაძლევდნენ. მაგალითად, წელს თორთუმის და ისპირის ხეობებში საექსპურსიოდ მოგვეცეს ოთხი ათასი

მანეთი. ათას ორას მანეთს წლიურ შემწეობას გვაძლევს ახალი კლუბი. სხვა დაწესებულებათა შემწეობას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა.

### საზოგადოების საპატიო წევრები

საპატიო წევრის ხარისხს მარტო მეცნიერული ღვაწლისათვის ანიჭებს წევრებს საზოგადოება, ისიც დამსახურებულ და ცნობილ მეცნიერებს. ამ შემთხვევაში საზოგადოება ფრთხილად იქცევა, მარჯვნივ და მარცხნივ უბრალოდ არ არიგებს ხარისხს. ამიტომაც არის, რომ საპატიო წევრი ჯერ-ჯერობით მარტო სამი გვყავს, სამივე უკვე დამსახურებულნი და კარგად ცნობილნი არა თუ ჩვენიში. არამედ რუსეთშიც და საზღვარს გარეთაც: პროფესორი ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II და აკადემიკოსი ნიკო მარი, რომლის გამოკვლევანი ქვაკუთხედია ჩვენი ენის, ლიტერატურის და საზოგადოდ წარსულის შესასწავლად.

### ნამდვილი წევრები

ნამდვილი წევრი საზოგადოებისა იხდის ერთდროულად ხუთ თუმანს, ანუ წლიურად სამ მანეთს. დამეთანხმებით, რომ ეს დიდი გადასახადი არ არის. ამას გარდა, ნამდვილ წევრებს საზოგადოების გამოცემანი მუქთად ურიგდება. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენ საზოგადოებას ბევრი წევრი ეყოლებოდა. მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. თანდათანობით ზრდა აქაც შეიმჩნევა, მაგრამ ძალიან არა: პირველ საანგარიშო წელს გვყავდა სულ 250 ნამდვილი წევრი, შემდეგ წლებში რიცხვმა იმატა და ახლა გვყავს 468 წევრი. ეს, რასაკვირველია, ცოტაა. სირცხვილია, რომ ასეთ საზოგადოებას ათასი წევრი არ ჰყავდეს. ეს, ერთის მხრით, საბჭოს წევრების უზრუნველობის ბრალია. ჩვენ საზოგადოებაში, გამოცდილებით ვიცით, თუ თვითონ არ მიმართე, არა მოაგონე, არ აკისრე წევრობა, არ გამოართვი საწევრო ფული, თავისთავად მოვალეობა არ აგონდებათ. მომავალში საჭიროა საწევრო გადასახადის გადიდება, ვინაიდან გამოცემანი ძვირად დაგვიჯდება. გარდა ამისა, უნდა შემოვიღოთ დამფუძნებელ წევრთა ზარისხი, მეტი გადასახადით. ესეც უნდა ვთქვათ, რომ ჩვეულებრივი საწევრო ფულის გადასახადით იშვიათად თუ რომელიმე საზოგადოება გამდიდრებულა.

\* \* \*

ამრიგად, ჩვენ ძლიერ მოკლედ აღწუსხეთ ყველა დარგი საზოგადოების მოქმედებისა ამ ათი წლის განმავლობაში. თვითოეულ დარგს აქვს თავისი მნიშვნელობა და ყველა ერთად თვალსაჩინო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ცხოვრებაში. ხოლო ნუგინ იფიქრებს, რომ ჩვენ გვაკმაყოფილებდეს ჩვენი მოქმედება. სულაც არა! ვიცით, რომ შეათედი არაა გაკეთებული იმისი, რაც გასაკეთებელია; კარგად ვიცით მრავალი ნაკლულევანება ჩვენი მოქმედებისა, მაგრამ იმ პირობებში, რა პირობებშიაც ვიყავით და ვართ, მეტის გაკეთება ჩვენთვის შეუძლებელი იყო. ამიტომ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას და მის საბჭოს თამამად შეუძლია თქვას: feci quod potui... საზოგადოება მკვიდრ ნიადაგზე ღვას, საფუძველი ღრმად ჩაყრილია, ახლა კედლები უნდა, სახურავი და შიგნით გამშვენება.

სახელდობრ, ჩვენ არა გვაქვს საკუთარი ბინა მუზეუმისათვის. განვიცდით ისეთ სივიწროვეს, რომ ზოგიერთი ნივთი ვერ გადმოგვიზიდავს მუზეუმში; ჩვენი მუზეუმი ამჟამად უფრო საწყობია მუზეუმის ნივთებისა, ვიდრე მუზეუმი; ხივთები ჭეროვანად ვერ გამოგვიფენია; ჭეროვანი კატლოგები ჭერ ვერ შეგვიდგენია; რაც გამოსაცემია, ვერ გამოგვიცია; გამოცემანი ვერ დაგვისურათებია; დიდი და ფართო ექსპედიციები და ექსკურსიები ვერ მოგვიწყვია; საკმაო თანხები ვერ შეგვიგროვებია; მოსამსახურენი ნივთიერად უზრუნველი ვერ გვიყვია, და სხვ.

ჩვენი საზოგადოების თავი სენი იგივეა, რასაც ყველა ასეული საკულტურო დაწესებულებანი განიცდიან. ეს არის უკაცობა და უკაცობის მიზეზი კიდევ— უფულობა, უსახსრობა. ჩვენი საზოგადოება სამეცნიეროა, მაგრამ ფაქტიურად საქველმოქმედო საზოგადოება არის, სადაც საბჭოს ყველა წევრი უსასყიდლოდ მუშაობს, ხოლო მათში არც ერთი არ არის ისეთი, რომელიც სხვა სამსახურით და საქმით დატვირთული არ იყოს, არსობის პურის მოსაპოვებლად. მაშასადამე, ჩვენს საქმეს მან უნდა მონადროს სხვა სამსახურიდან გადარჩენილი, ეგრეთ წოდებული თავისუფალი დრო. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენი მოღვაწენი ხუთ-ექვს სხვა ქართულ საკულტურო თუ საზოგადო დაწესებულებაშიც იღებენ მონაწილეობას, დამეთანხმებით, რომ დრო აღარ ექნებათ, რათა ჭეროვანად იმუშაონ ჩვენ საზოგადოებაში. ასეთი წევრები თუ სხდომაზე დაგვესწრნენ და რჩევა მოგვცეს, ისიც დიდი საქმეა, ზოგჯერ ამის საშუალება არა აქვთ. სხვას მათ ვერაფერს მიანდობთ. ასეთ მდგომარეობას განვიცდით ჩვენ ყველანი. ერთადერთი კაცი, რომელიც ჯამაგირით ემსახურება საზოგადოებას, ი რ ო დ ი ო ნ ს ო ნ ლ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ა. მერმე. რა ჯამაგირი ქონდა და აქვს, არ იკითხავენ? მრცხვენია კიდევ. მოგახსენოთ: ჭერ ხუთი თუმანი თვეში, მერმე შეიღანახევაარი, მერმე ათი და შემდეგ მუზეუმში—სწორედ იმდენი, რამდენსაც იღებს იმ შენობის შევიცარი, სადაც მუზეუმია მოთავსებული, იმ განსხვავებებით, რომ მას ბინაც აქვს შენობაში და ი. სონდლულაშვილს კი—არა. მხოლოდ ამ დღეებში გადაუხადეთ მას ოცი თუმანი. თანაც მთელი სატექნიკო და საფინანსო საქმეები მას აწევს კისერზე. სწორედ ჩვენ საზოგადოებაში ეხლა იმდენი საქმეა გასაკეთებელი. რომ ამას უნდა, მაინც, ხუთი-ექვსი მომზადებული კაცი, რომელთაც სხვა არაფერი საქმე არ უნდა ჰქონდეთ, გარდა საზოგადოების სამსახურისა. ეს არის ახლა ჭერის საკითხი. ამას თანხა უნდა და ეს თანხა უნდა ვიშოვოთ.

იმედი გვაქვს, რომ როდესაც თვითმმართველობა გვექნება. ჩვენი ერი მეტყურადღებებს მიაქცევს საზოგადოებას; იმედი გვაქვს, რომ მომავალს, მეორე ათი წლის ანგარიშს მომავალი თავმჯდომარე ქართული მუზეუმის საკუთარ სადგომში წაიკითხავს; იმედი გვაქვს, რომ მაშინ ჩვენ საზოგადოებას სათავეში ეყოლება ჩვენზე უფრო მომზადებული ათიოდე მოღვაწე, რომელთაც სხვა საქმე არ ექნებათ, გარდა ამ საზოგადოებაში სამსახურისა; ვიმედოვნებთ, რომ ახლა თუ მართო სამი მზრუნველი წევრი გვყავს, მაშინ ასი ვეყოლება. ღმერთმან თქვენ ყველანი კარგად გამყოფოს და მრავალი ათი წლას დღესასწაულს დაგასწროთ ჩვენი საზოგადოებისა.

## ა. თაყაიზვილი

### ატაკის ანდერძის ბამო

(პასუხად კოტე აბდუშელიშვილს)<sup>1</sup>

განსვენებულის მგოსნის აკაკი წერეთლის ნების აღმსრულებელი ბ-ნი კოტე აბდუშელიშვილი მოგვითხრობს (გაზ. „საქართველო“, № 272), რომ მისმა ამხანაგებმა, აკაკის ნების აღმსრულებლებმა მას ჩააბარეს, დროებით მოსავლელად. მგოსნის სახლი და ქონება; აღუთქვეს ყოველი მიმდინარე ხარჯების მიცემა; დადგენილებაში ისიც მოიხსენიეს, რომ ნაანდერძევი ქონება ერთი თვის განმავლობაში მემკვიდრეებს უნდა მიეღოთ მისგან და ის გაენთავისუფლებიათ. და აი, განაგრძობს ბ-ნი კოტე, მესამე წელიწადია მის პირადს და წერილობით თხოვნას გადაწყვეტილ პასუხს არ აძლევს მემკვიდრეები, ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოება და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ტფილისში. აგრეთვე ვერც ნების აღმსრულებელთაგან მიუღია პასუხი და რჩევა, თუ როგორ მოქცეულიყო ამ შემთხვევაში. ახლა ბატონი კოტე გაზეთის საშუალებით იწვევს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას და საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას და ნების ყველა აღმსრულებელთ, აგრეთვე ყველა პარტიის თითო წარმომადგენელს, მიბრძანდნენ ან მგოსნის დანატოვარ სახლში (სხვიტორში), ან ქუთაისში და ან ტფილისში, გამართონ კრება, მოისმინონ მისგან როგორც მისი გარემოება, ისე განსვენებული მგოსნის დანატოვარი ქონების მდგომარეობა, და ამ კრებაზე ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს, თუ როგორ ინებებენ მემკვიდრეები: მიიღებენ თუ არა მემკვიდრეობას, და თუ არ ინებებენ მიღებას, მაშინ როგორ მოქცეს ის? კრების მოწვევის დროისა და ადგილის საჩქაროდ დანიშნას მე მთხოვს ბ-ნი კოტე, როგორც პირდაპირ მემკვიდრეს (?).

ამ საქმის შესახებ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საბჭოს მონდობილობით უნდა განვაცხადოთ შემდეგი:

განსვენებულმა აკაკიმ საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოებას დააავალა სახალხო პოეზიის შეკრება და გამოცემა და ამის ფონდისათვის გვიანდერძა უფლება მისი ნაწერების გამოცემისა და მათი გაყიდვით მიღებული თანხის გამოყენებისა, ამასთანავე მან დაგვიტოვა ანდერძით, იმავე ზეპირსიტყვაობის ფონდისათვის, ორი უძრავი ქონება: ეენახი მისი ეზოს მახლობლად და ტყე, საირთო სხვა მონაწილეობთან, რომელიც არენდით არის გაცემული და არენდს ჭირვადა არ გასვლია. ყოველივე ამას გარდა, აკაკიმ გვიანდერძა ის თანხა, რომელიც უნდა შემდგარიყო მისი კუბოს გვირგვინებით შემკობის სანაცვლოდ (ვინც ამას მოისურვებდა), ხოლო ქ. შ. წ. კ. საზოგადოებას დაუტოვა მისი სახლი და ეზო, იმ პირობით, რომ საზოგადოებას იქ გაეხსნა სკოლა.

უძრავი ქონება სიცოცხლეში უნდა ესარკებლებია განსვენებულის ცოლ-შვილს, ხოლო შემდეგ გადმოდიოდა საზოგადოებებზე. მაგრამ მისმა ოჯახმა განცხადება შემოიტანა და უარი სთქვა თავის უფლებაზე—ქ. შ. წ. კ. და საისტ.

<sup>1</sup> დაუმთავრებელია. იბეჭდება პირველად. გ. ლ.

და საეთნ. საზოგადოებათა სასარგებლოდ. შეკითხვაზე, ვლელულობთ თუ არა მემკვიდრეობას, ჩვენ, საბჭოს დადგენილებით, თანხმობა გამოვუცხადეთ. ახლერძის დამტკიცება ნების სხვა აღმსრულებლებისაგან ბ-ს კოტე აბლუშელიშვილს ჰქონდა მინდობილი.

კოტე აბლუშელიშვილის წერილის შემდეგ მკითხველს ეგონება, რომ საქ-საისტ. და საეთნ. საზ-ბაში მართლა არ მისცა გადაწყვეტილი პასუხი, იღებს ის თუ არა აკაიის მემკვიდრეობას, არ გაიღო მიმდინარე ხარჯები ანდერძის დასამტკიცებლად და სხვა. მაგრამ ეს ასე არ არის: აკაიე ანდერძით დაუტოვა ჩვენს საზოგადოებას ორი უძრავი ქონება, ზემოთ აღნიშნული. საზოგადოებამ დაადგინა, მიეღო ნაანდერძევი ქონება, მაგრამ ნების აღმსრულებლებმა და მათ შორის თვით ბ-ნმა კოტემ მომართეს განცხადებით, ნაანდერძევი ვენახი უსათუოდ ქ. შ. წ. კ. საზ. უნდა დაუთმოთ, უამისოდ სკოლა ვერ იხეირებს და ვერ მოთავსდება აკაიის კარ-მიდამოშიო. ჩვენ, საბჭოს არ მოგვეწონა ანდერძის ასეთი შეცვლა, მაგრამ საყვედურის თავიდან ასაცილებლად და დაინტერესებულმა იმით, რომ აკაიის სახელობის სკოლას უკეთ მოწყობილი მამული ჰქონებოდა, შევიწყნარეთ შუამდგომლობა ნების აღმსრულებლებისა, წერილობით განვუცხადეთ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას დათმობა ვენახისა და ვთხოვეთ მოეცათ პასუხი, იღებს საზოგადოება ნაანდერძევი მამულს და ჩვენგან დათმობილს ვენახს. თუ არა? წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობიდან მივიღეთ პასუხი, რომ ეს კითხვა განხილული იქნება წლიურ კრებაზე. ეგ იყო შარშან წინ, მაგრამ იმ წლის კრებაზე ეს კითხვა არ დაუსვამს გამგეობას. შარშან კიდე განვიმეორეთ თხოვნა და მე პირადად ვთხოვე თავმჯდომარეს გ. ყაზბეგს, დაეჩქარებიათ ამ საქმის გადაწყვეტა. თავმჯდომარე დამპირდა, კომისიას გადავცემთ საქმესო. მართლა გადასცა კიდეც, მაგრამ გამგეობამ არ იკისრა საქმის გადაწყვეტა და შარშანდელ საზოგადო კრებას მიანდო. საზოგადო კრებას მე მივმართე თხოვნით, ბოლო მოეღოთ ამ საქმისთვის, მაგრამ კრებამ არ შეიწყნარა თხოვნა, საქმე კიდეც გადასდო და გამგეობას მიანდო, კარგად გამოეყვლია, ხიფათი ხომ არ მოსდევდა მევალებებისაგან ნაანდერძევის მიღებას და შარშანდელ წლიურ კრებაზე მართალი დასმული იყო ეს საკითხი, მაგრამ უმეტესობამ საქმის გადადება მოინდომა. მე მივმართე კრებას და ვამტკიცებდი, რომ გადადება ყოვლად შეუძლებელია, ორი წლის განმავლობაში საზოგადოებას შეეძლო საკითხი გამოერკვია და თუ საქმე საეჭვოდ მიაჩნიათ, მათ უნდა სთქვან, მაშინ ვენახს ჩვენვე მივიღებთ და სკოლის გახსნის საქმესაც ხელს შევუწყობთ კერძო საზოგადოების საშუალებით. ვინაიდან დარწმუნებული ვართ, რომ აკაიის სურვილს ქართველი საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს. კრებამ არ შეიწყნარა ჩემი თხოვნა, საქმე გადასდო. ამბობდნენ, იმ თვეში გადაეწყვეტოთ საქმესო, მაგრამ დღემდის არ გადაწყვეტიათ.

ეს ყველაფერი კარგად აქვს მოხსენებული ბ-ნი კოტეს და ვერ გაგვიგია, ჩვენ რაღად გვაბრალებს, თითქოს პასუხი არ მიგვეცეს? ჩვენ მემკვიდრეობა მივიღეთ ტყეს ჩაიბარებთ მეარენდესაგან, როდესაც არენდს ვადა გაუვა და გაეყიდით—რასაკვირველია, თუ გაგვაყიდვიეს. რაც შეეხება ვენახს, თვითონ კოტემ და მისმა ამხანაგებმა მოგვისაპეს საშუალება, თავისი დადგენილებით, რომ წ. კ. საზ-ბას გადაეცემა. თუ ახლა თავის დადგენილებას გაუტყებენ ნების აღმსრულებლები და მოგვეწერენ, თქვენ მიიღეთ ვენახიო, დიდის სიამოვნებით მივიღებთ და ბ-ნ კოტეს იმავე დღეს გავანთავისუფლებთ მოვლისაგან, თუ მისი შემოსავალი მას აწუხებს. თვითონ ბ-ნ კოტესაგან გამიგონია, ვენახი ძვირფასია

და ათი ათასი მანეთი ღირსო. უარს ვინ იტყვის ასეთ მამულზე, რომელიც ბანკის ვალსაც მოიშორებს და ზეპირსიტყვაობასაც თანხას შეამატებს?!

ბ-ნ კოტეს განცხადება მით უფრო საოცარია, რომ მას ყველაზე უკედ მოეხსენება, რომ საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოებამ არა თუ გადაჭრილი პასუხი მისცა მემკვიდრეობის მიღებაზე, არამედ კიდევაც მიიღო ეს მემკვიდრეობა და ჩაიბარა დამტკიცებული ანდერძი, კოტესავე საშუალებით. ანდერძის დამტკიცება ნების აღმსრულებლებმა კოტეს მიანდეს, ჩვენც მას მივანდევით საქირო დოკუმენტების მიღება; დასამტკიცებელი ხარჯები მოგვთხოვა — მივართვით; ანგარიში წარმოგვიდგინა მამულის წინანდელი წლების გადასახადისა—გადავიხადეთ; „პრაგონის“ ფული დასჭირდა, აკაკის მოსამსახურე გამოგვიგზავნა—გავისტუმრეთ; აკაკის მეგალები გამოგვიგზავნა—გავისტუმრეთ; სულ ვალში მივეცი 3.500 მანეთი, ამით რიცხვში: სახელმწიფო ბანკიდან დავიხსენით თვით კოტე აბდუშელიშვილის ვექსილები; ათასი მანეთისა, შემწეობა აღმოუჩინეთ პოეტის ქვრივს; შევისყიდეთ მემკვიდრისაგან აკაკის ავეჯი და ნივთები, რაც აქ იყო და რაც პეტროგრაღში იყო დაგროვილი. ძამული არ ჩაიბარესო რომ წერს ბ. კოტე, რომელი მამული უნდა ჩავიბაროთ? ზემოთ ხომ აღვნიშნეთ, რა ვითარებაშია დღესდღეობით იმ მამულის საკითხი [და მაშასადამე, თითქოს დამატებით აღარაფერი გვაქვს სათქმელი და განსამარტებელი?!]...

Е. С. Такайшвили

## О ДЕЯТЕЛЬНОСТИ ГРУЗИНСКОГО ОБЩЕСТВА ИСТОРИИ и ЭТНОГРАФИИ\*

Этнографические материалы за прежние века жизни грузинского народа встречаются в летописях, в житиях святых грузинской церкви, в актах, в поэтических произведениях и в других памятниках письменности. Особо ценный материал дает недавно найденный мною Распорядок царского двора, рисующий придворную жизнь грузинских царей, функции и права должностных лиц грузинского государства. За XVII век много этнографического материала можно извлечь из «Арчилиани», сборника произведений царя Арчила, и из произведений царя Теймураза I. Для XVIII века лучшим источником служат: «Дастуламаль» царя Вахтанга VI, произведения царя Теймураза II, в особенности его «Сарке-ткмулта», а также произведения поэта Давида Гурамишвили и, главным образом, История и география Грузии царевича Вахушта. Знаменитый историк и географ Вахушт предпослал своему труду подробную статью о нравах грузин, составленную не только на основании личного наблюдения, но и на основании верных литературных источников и других материалов. Он подробно сообщает, как изменялись одеяния, вооружения, придворные церемонии, названия должностных лиц, нравы и привычки грузин под влиянием персов, турков и других исторических факторов. Он дает не только очерк современных нравов и привычек грузин, но и указывает эволюцию обычаев и быта грузин. Открываемые в настоящее время источники все более и более оправдывают сведения Вахушта. Вообще, чем больше мы изучаем этого писателя, тем более мы убеждаемся в верности его источников и сообщаемых им сведений.

После присоединения Грузии к России, в первой половине XIX века, на грузинском языке появилось одно произведение, которое можно назвать, без преувеличения, настоящим сборником этнографического характера. Я говорю о «Калмасоба» иероманаха Ионы Хелашвили. Для изучения нравов, обычаев и жизни грузин начала XIX века это неоценимый источник. С появлением газет и журналов на грузинском языке со второй половины XIX века этнографические материалы стали появляться в этих периодических изданиях. В грузинских газетах и журналах за последние 60 лет напечатаны обширные и весьма ценные материалы в виде описаний нравов, обычаев, суеверий, местных преданий, народных сказаний, легенд, песен, стихотворений, загадок и пословиц. Но этим материалом трудно пользоваться вследствие отсутствия библиографического указателя. Теперь, впрочем, этот пробел пополнен: петроградские студенты-грузины составили полный библиографический указатель.

\* Доклад, прочитанный автором в соединенном заседании подсекции этнографии и лингвистики с Грузинским обществом истории и этнографии и Армянским этнографическим обществом 22 июня 1913 года (იგულისხმება რუსეთის ექიმთა და ბუნებისმეტყველთა ყრილობა, შეჯგაბი თბილისში. ეს მოხსენება გადმობეჭდილია აღნიშნული ყრილობის შრომების კრებულიდან, რომელიც გამოვიდა 1916 წელს. გ. ლ.).

лиографический указатель статей и материалов, помещенных в грузинских периодических изданиях до настоящего времени, который печатается Академией Наук\*.

Весьма ценным материалом для изучения грузинской этнографии служат также произведения грузинских поэтов XIX века: Н. Бараташвили, Ал. Чавчавадзе, Р. Эристави, Ильи Чавчавадзе, Акакия Церетели, Важа-Пшавела, А. Мочухуридзе (Казбека), Ниношвили (Ингороква) и многих других. К этому нужно прибавить еще драматические произведения Г. Эристави, З. Антонова, Ав. Цагарели, Гв. Сундукиана, И. Гедеванишвили и многих других. Есть также на грузинском языке не мало брошюр и отдельных изданий по этнографии Грузии. Между ними можно отметить, например: Народные сказки Тедо Разикашвили, 2 тома; Грузинские сказки Влад. Агниашвили; Пшавские стихотворения Н. Хизанашвили; Сказки с иллюстрациями для детей, издание кружка грузинских женщин, 2 тома; Сборники, изданные Акакием Церетели («*საქართველოს*») с 1897 по 1906 год; Сванские сказки Виссариона Нижарадзе; Грузинские народные песни, изд. З. Чичинадзе; Грузинские загадки, изд. 1876 г.; Грузинские загадки, изд. Р. Эристави; Грузинская народная поэзия, его же; «Этериани» или повесть об Абесаломе и Этери, издание Петра Умикашвили; народная поэзия, его же посмертное издание, и т. д.

Обхожу молчанием работы грузин по этнографии на русском языке, как, например, Р. Эристова (в изданиях Кавк. Отд. Географ. Общ.), Д. Бакрадзе, Ал. Хаханова и многих других, так как эти труды известны русским ученым, занимающимся кавказскою этнографией. Особенно много материала по этнографии Грузии помещено учителями-грузинами в «Сборниках материалов для описания местностей и племен Кавказа», издаваемых Кавк. учебн. округом. Главный недостаток этих работ составляет отсутствие грузинского текста. Представьте себе, если бы вы имели собрание русских сказок и народных произведений только в переводе на иностранный язык и не имели бы их в оригинале, на языке русского народа, который создал эти сказки и произведения и придал им своеобразный стиль, своеобразный колорит. Вы бы, конечно, мало оценили такой сборник. Без оригинала значение таких трудов уменьшается до минимума. Наконец, мы не знаем, какой текст, какие фразы, какие выражения эти учителя переводили. Переводы с грузинского очень трудны и для специалистов-грузиноведов, а еще труднее должны быть для малоподготовленных сельских учителей. Поэтому я не могу не высказать пожелания, чтобы в этих «Сборниках материалов» и в других изданиях впредь переводы сопровождалась и текстом на том языке, с которого делается перевод.

Специальное этнографическое общество «Грузинское общество истории и этнографии» основано недавно, а именно в сентябре 1907 г. Стало быть, оно функционирует без малого шесть лет. Деятельность Общества за это время выразилась в двух направлениях: во-первых, в подготовке материалов для Грузинского музея и библиотеки и, во-вторых, в издательской деятельности.

Для своей библиотеки Общество собрало уже более 4.000 томов печатных книг по грузинологии и вообще по Кавказоведению, более 1.000 рукописей, в числе которых много пергаментных и свыше 7.000 ру-

\* Часть библиографии, касающаяся истории, археологии и этнографии, уже отпечатана.



кописных актов, сигелей и гуджаров. Некоторые пергаментные акты восходят к XI и XII векам.

Для музея Общество имеет пока более 1.200 предметов историко-этнографического характера, редкую коллекцию грузинских монет и монет других государств, свыше 400 вышивок и рукодельных работ, более ста альбомов, видов и типов Грузии и вообще Кавказа и свыше 350 картин, типов и рисунков. В числе картин имеется редкое собрание типов всех кавказских народностей конца XVIII и начала XIX века, немало портретов исторических деятелей, очень много кавказских типов современных местных художников, а также немало и жанровых картин.

Особый отдел составляет собрание фресок со стен храмов, монастырей и церквей. На стенах храмов и монастырей Грузии в изобилии сохранились фрески не только религиозного характера, но и фрески исторических деятелей с VII по XIX век, а иногда даже жанровые картины. Так, например, на южной, еще не совсем замазанной известью стене Мцхетского собора представлены танцы женщины в национальных костюмах, которые исполнялись во время храмового праздника. По фрескам мы можем проследить как пышный расцвет местной, грузинской культуры, так и черты иноземного влияния, влияния Византии, арабского халифата и арабской культуры, влияния Персии, Турции и т. д. По фрескам мы можем проследить изменение костюмов и вооружения в различные эпохи, изменение нравов, обычаев и т. д. Вопрос о собрании точных копий фресок со стен грузинских храмов составляет очередную задачу Общества, но начало этому уже положено, как вы убедитесь при осмотре музея\*. Пока имеются факсимиле фресок: царицы Тамары, ее отца царя Георгия III, ее мужа Давида; изображения царицы Марии, жены царя Ростома, XVII века; Зазы фанаскертели, XVI века; самцхийских атабегов; Дадзианов мингрельских; вельмож Ласуридзевых конца XIII века и многих других.

Издательская деятельность Общества пока выразилась в выпуске четырех больших сборников и в подготовке трех других. В двух томах «Грузинских древностей» отпечатаны акты, так называемые сигели и гуджары, в количестве 1096 документов. Один том был издан еще до открытия Общества, так что в трех томах пока отпечатано 1527 актов и печатается еще IV том. В двух других сборниках «Древней Грузии» напечатаны рефераты, читанные на общих собраниях Общества, а также историко-археологические статьи и материалы, но большая часть сборников этой серии занята статьями этнографического характера и этнографическими материалами. В этом отношении заслуживает внимания статья Н. Чимакадзе «О вольной Сванетии», которая подробно рисует жизнь сванов во всех отношениях. Автор долгое время был сельским учителем в Сванетии, имел возможность хорошо изучить нравы, обычаи и верования сванов. В том же сборнике другой знаток сванской жизни и сванского языка, природный сван благочинный Виссарион Нижарадзе, известный своими трудами о Сванетии, поместил очерк грамматики сванского языка и присоединил в конце сванские пословицы и загадки. Еще более обширная статья о провинции Саингило и ингилойцах принадлежит М. Джанашвили, природному ингилойцу и известному грузинологу. Ингилойцы — грузины, живущие в соседстве с лезгинами. В прошлые века они насильно были обращены в магометанство и подверглись сильному влиянию лезгинского племени. Автор дает

\* Многие члены Съезда осматривали Грузинский музей,

подробный очерк жизни нравов и обычаев ингилойцев, с присоединением грамматики ингилойского наречия и ингилойского словаря.

Особого внимания заслуживает статья: «Пшавец и его земная жизнь», принадлежащая известному грузинскому поэту из природных пшавов Важа-Пшавеле. Редакция сборника просила его описать нравы и обычаи пшавов. Поэт мастерски выполнил поручение, придав статье форму поэтического рассказа и изобразив в ярких чертах жизнь, нравы, обычаи, занятия и мирозерцание пшавов. В конце статьи автор приложил 46 народных пшавских стихотворений и 167 пословиц.

Большую заботу наше Общество проявляет в деле собирания и обнародования народной поэзии и народной словесности. Народная словесность имеет особое значение для грузинской литературы. Теперь установлено, что почти вся поэтическая литература Грузии, как оригинальная, так и переводная, перешла в народ и, конечно, изменяясь и принимая народный характер, создала параллели. Так, наряду с «Вепхисткаосани» Руставели мы имеем народный «Вепхисткаосани»; части «Шах-Намэ», «Ростомнани», «Бежаниани» и «Заакиани» создали народные «Ростомнани», «Бежаниани» и «Заакиани».

Повесть об Абесаломе и Этери, вероятно, тоже имела литературный прототип. Кроме того, я могу констатировать, что известное четверостишие, повествующее о заслугах царя Давида Возобновителя и приеме им в Начармагеве царей, своих вассалов, и дошедшее до нас в виде народного стихотворения, есть произведение современника царя Давида — Арсения Икалтоели. На это есть бесспорное указание в найденном мною «Распорядке царского двора». Таким образом, народная поэзия может вскрыть нам остатки утерянных литературных произведений.

Общество имеет своих агентов-собрателей народной словесности и периодически печатает в своих сборниках собранный материал. В двух вышедших томах «Древней Грузии» пока отпечатаны: «Сказки, собранные Севастием Гачечиладзе в верхней Имеретии», числом 15; народные стихотворения, заговоры, заклинания, загадки и пословицы, собранные тем же С. Гачечиладзе в Верхней Имеретии, всего 259 номеров; народные песни, переложенные на ноты Иа Каргаретели, всего 16 песен; тушинские стихотворения, пословицы, поговорки и афоризмы, собранные во внешней Кахетии, в сел. Патардзеули, Захарием Биланишвили в 1883-1887 годах. Всего 179 стихотворений и афоризмов и 585 пословиц и поговорок. Этот отдел народных стихотворений и поговорок отличается редким подбором и в высшей степени ценен. Народные стихотворения-песни, собранные Афросионом Джапаридзе в Верхней Раче (4 стихотворения), народные стихотворения, собранные в Месхетии (Ахалцихском уезде), священником Иоанном Гварамадзе (2 стихотворения); аварская песня о набеге на Кахетию, перевод А. Сараджева; народные предания из жизни царицы Тамары, сообщенные К. Магаловым (2); устные сказания из времен имеретинского царя Соломона I Великого (Хресильская и Рухская битвы), записанные Т. Мамаладзе.

В III томе «Древней Грузии», который выйдет осенью сего года, уже отпечатаны: народные стихотворения, собранные в Карталинии Ф. Разикашвили; народные стихотворения, собранные в Кахетии им же; народные стихотворения, записанные в Карталинии Иа Каргаретели, народные стихотворения, собранные в Месхетии ныне покойным священником грузино-католиком Иоанном Гварамадзе, известным под псевдонимом Винне Месхи; пословицы, поговорки, собранные в Месхе-

тии и в Гурии Константином Гварамадзе. Всего в этом томе отпечатано 1559 стихотворений, 675 пословиц и поговорок и 74 загадки.

В IV томе «Древней Грузии», который выйдет в следующем году, уже напечатаны 18 сказок, записанных Севастием Гачечиладзе в Имеретии, К. Каландадзе в Гурии, и одною дамою в сел. Вакири\*.

Таким образом, всего напечатано Обществом из народной поэзии и народной словесности: народных стихотворений около 2000, пословиц и поговорок 1385, загадок 118, песнь с нотами 16, устных преданий и сказаний 4, сказок 33. Итого в общей сложности 3556 номеров.

Если к этому прибавить еще большое собрание сказок, стихотворений, пословиц, поговорок, загадок, заговоров и заклинаний, имеющиеся в портфеле Общества и предназначенное для последующих сборников, то в этом выразится вся скромная, но, полагаю, очень полезная деятельность Грузинского Общества истории и этнографии за шесть лет его существования.

---

\*Оба названных тома «Древней Грузии», III и IV, уже вышли

შინაარსი

ბერძენიშვილი ნ., შესავალი	5
ლომთათიძე გ., ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და ღვაწლი	12
ლონდუა ვ., ექვთიმე თაყაიშვილი როგორც წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი	55
ხახუტაიშვილი დ., ექვთიმე თაყაიშვილი როგორც ისტორიკოსი	84
გრიგოლია ქ., ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ეპიგრაფიკა	90
ლომთათიძე გ., ექვთიმე თაყაიშვილი როგორც მთხრელი არქეოლოგი	100
ქუთათელაძე დ., რაპორტი (ბაგინეთში თბრისა)	117
ჩუბინაშვილი გ., ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ხელოვნების ძეგლები	120
ჩიტაია გ., ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ეთნოგრაფია	131
ბარამიძე ალ., ექვთიმე თაყაიშვილი—ქართული მწერლობის მკვლევარი	139
ჩიქოვანი მიხ., ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული სიტყვიერება	147
მუსხელიშვილი დ., ექვთიმე თაყაიშვილი და ისტორიული გეოგრაფია	165
სურგულაძე ივ., ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული სამართლის ისტორია	180
თაყაიშვილი ე., მცირე უწყება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობის პირველი ათი წლის განმავლობაში (1907—1917)	191
თაყაიშვილი ე., აკაკის ანდერძის გამო	205
Такайшвили Е. С., О деятельности грузинского общества истории и этнографии	208

Академик

**Е. С. Такайшвили**

**ЖИЗНЬ И ДЕЯТЕЛЬНОСТЬ**

Сборник статей

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

\*

რედაქტორი გ. ჩ ი ტ ა შ ა

გამომცემლობის რედაქტორი ი. გ ა ჩ ი ლ ა ძ ე

ტექნიკური ელ. ბ ო კ ე რ ი ა

კორექტორი ლ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.12.1965; ნაბეჭდი თაბახი 18.90;

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16.27;

ფე 02274; ტირაჟი 2000; შეკვეთა 679;

ფასი 1 მან. 32 კაპ

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, ул. Дзержинского № 8

---

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5  
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, ул. Г. Табидзе 3/5